ფრანც კაფკა

გოდოლი

Das Schloss

1. ჩამოსვლა

კ. გვიან საღამოს ჩამოვიდა. მთელი სოფელი თოვლის საბურველში გახვეულიყო. გოდლისგორა არ მოჩანდა, ჯანღსა და წყვდიადში გაუჩინარებულიყო, და ვეება ციხეს სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა, სხივი რაა, ისიც კი არ კრთებოდა. დიდხანს იდგა კ. შარაგზიდან სოფელში მიმავალ ხის ხიდზე და მოჩვენებითს სიცარიელეს გაჰყურებდა.

შემდეგ ღამის გასათევის საძებრად გაეშურა. ფუნდუკში ჯერ არ ეძინათ, და თუმცა მეფუნდუკე ოთახებს არ აქირავებდა, ისე დააბნია და შეაცბუნა ნაგვიანევი სტუმრის გამოჩენამ, რომ ნება დართო კ.-ს, აეღო თივის ნაალი და საერთო ოთახში დაწოლილიყო. კ. დათანხმდა. გვიანობამდე შემორჩენილი რამდენიმე გლეხი ლუდს წრუპავდა, მაგრამ კ.-ს ხმა არ გაუცია არავისთვის, თვითონ ჩამოიღო ნაალი სხვენიდან და ღუმელთან დაწვა. თბილოდა, გლეხები არ ყაყანებდნენ, კ.-მ კიდევ ერთხელ მოავლო მათ დაღლილი მზერა და იქვე ჩაეძინა.

მაგრამ ცოტა ხანში გააღვიძეს. ქალაქურად ჩაცმული ყმაწვილი კაცი, რომელიც მოწკურული თვალებითა და დაფანჩული წარბებით მსახიობს წააგავდა, მეფუნდუკესთან ერთად თავს დასდგომოდა. გლეხები ჯერ არ დაშლილიყვნენ, ზოგიერთს სკამი ისე მოებრუნებინა, რომ უკეთ დაენახა და გაეგო, რა ხდებოდა. ყმაწვილმა კაცმა თავაზიანად მოიხადა ბოდიში იმისათვის, რომ კ. გააღვიძა, გაეცნო – გოდლის მოურავის ვაჟი ვარო, – მერე კი უთხრა: „ეს სოფელი გოდოლს ეკუთვნის და ის, ვინც აქ ცხოვრობს ან ათევს ღამეს, ფაქტობრივად გოდოლში ცხოვრობს და ათევს ღამეს. ეს კი ეკრძალება ყველას, ვისაც გრაფის ნებართვა არა აქვს. თქვენ ასეთი ნებართვა არ გაგაჩნიათ, ყოველ შემთხვევაში, არ წარმოგიდგენიათო.“

კ. წამოიწია, თმაზე გადაისვა ხელი, მომხდურებს ქვემოდან ახედა და თქვა: „ეს რა სოფელში მოვხვდი? განა გოდოლი აქ არისო?“

„რა თქმა უნდა, აქ არის“, დინჯად წარმოთქვა ყმაწვილმა კაცმა, ხოლო ზოგიერთმა ირგვლივ მყოფმა კ.-ს შეხედა და თავი გააქნია. „აქ არის გრაფ ვესტვესტის ციხე-დარბაზი.“

„ეს იგი, ღამის გასათევად ნებართვა უნდა ავიღო?“ ჩაეკითხა კ., თითქოს სურდა, დარწმუნებულიყო, რომ ეს სიტყვები არ დასიზმრებია.

„ნებართვა აუცილებლად უნდა აიღოთ“, უპასუხა ყმაწვილმა კაცმა, ხელი გაშალა და მეფუნდეკესა და იქ მყოფ ხალხს ჰკითხა: „განა უნებართვოდ იქნებაო?“ ეტყობოდა, რომ აშკარად დასცინოდა კ.-ს.

„რა გაეწყობა, უნდა ავიღო ნებართვა“, თქვა კ.-მ, დაამთქნარა და გადაიგდო საბანი, თითქოს წამოდგომას აპირებსო.

„ვისთან უნდა აიღოთ?“ ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა.

„უფალ გრაფთან“, თქვა კ.-მ, „მეტი რა ჩარაა?!“

„ახლა, შუაღამისას უნდა აიღოთ ნებართვა უფალი გრაფისაგან?“ წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა, და უკან წადგა ფეხი.

„განა არ შეიძლება?“ გულგრილად ჰკითხა კ.-მ, „მაშინ რატომღა გამაღვიძეთ?“

ამ სიტყვებზე ყმაწვილ კაცს გული მოუვიდა. „წანწალი გყვარებიათ“, აუწია ხმას. „მე მოვითხოვ, პატივი სცეთ გრაფის მოსამსახურეებს. თქვენ კი იმიტომ გაგაღვიძეთ, რომ მემცნო, დაუყოვნებლივ დატოვეთ-მეთქი გრაფის სამფლობელო.“

„გეყოთ პამპულაობა“, განზრახ თქვა ჩუმი ხმით კ.-მ, დაწვა და საბანი წაიხურა. „მეტისმეტად კადნიერად იქცევით, ყმაწვილო, და ხვალ ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით თქვენს საქციელს. ამას მეფუნდუკეც და ყველა ეს ბატონიც დამიდასტურებს, თუ საერთოდ დამჭირდა დასტური. მე კი მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ის მიწისმზომელი გახლავართ, რომელიც გრაფმა გამოიძახა. ჩემი თანაშემწეები ხელსაწყოებით ხვალ ჩამოვლენ მანქანით. უბრალოდ, მინდოდა თოვლში გამესეირნა, მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენჯერმე ამებნა გზა და ამიტომაც მოვხვდი აქ ასე გვიან. თვითონაც ვიცოდი, თქვენ რომ არ გეთქვათ, რომ ახლა მეტისმეტად გვიანია გოდოლში მისვლა. სწორედ ამიტომ დავყაბულდი ამ ღამის სათევს, რომელშიც თქვენ, მეტი რომ არა ვთქვათ რა, ასე უდიერად დამირღვიეთ მყუდროება. ამით ჩემი ახსნა-განმარტება დამთავრებულია. ღამე მშვიდობისა, ბატონებო!“ და კ.-მ ღუმელისაკენ ქნა პირი.

„მიწისმზომელიო?“ მოესმა ვიღაცის გაუბედავი შეკითხვა ზურგსუკანიდან, შემდეგ სიჩუმემ დაისადგურა, მაგრამ ყმაწვილმა კაცმა იქვე დაიოკა ნერვები და მეფუნდუკეს უთხრა – საკმაოდ თავშეკავებული ხმით, რომ აღენიშნა დასაძინებლად დაწოლილი კ.-სადმი პატივისცემა, მაგრამ საკმაოდ ხმამაღლა, რომ მას გაეგონა: „ტელეფონით დავაზუსტებ ყველაფერს.“ მაშასადამე, ამ ფუნდუკში ტელეფონიც ჰქონიათ? კარგად კი მოწყობილან! თუმცა, ზოგი რამ აკვირვებდა კიდეც კ.-ს, მაგრამ საერთოდ, ყველაფერი ისე მიიღო, როგორც ჯერ არს. გამოირკვა, რომ ტელეფონი ზედ მის თავზე ეკიდა, მაგრამ ნამძინარევს ვერ შეემჩნია. და თუ ყმაწვილი კაცი რეკვას დაიწყებს, რამდენიც უნდა ეცადოს, თვალს მოატყუოს, მაინც გაუტეხენ ძილს.

დაარეკინოს, თუ არა? საბოლოოდ კ.-მ გადაწყვიტა, ხელი არ შეეშალა მისთვის. თავის მომძინარებას აზრი აღარ ჰქონდა, და კ. ისევ გულაღმა დაწვა, მან დაინახა, რომ გლეხები გაუბედავად შეჯგუფულიყვნენ და ერთმანეთში ხმადაბლა საუბრობდნენ; ეტყობოდა, მიწისმზომელის ჩამოსვლა არ იყო ხელწამოსაკრავი ამბავი. სამზარეულოს კარი გაიღო, და მთელი კარის ღიობი ამოავსო ქალის, მეფუნდუკის ცოლის ზორზოხა ფიგურამ. მეფუნდუკე ფეხაკრეფით მივიდა ქალთან და ყველაფერი მოახსენა. ამასობაში სატელეფონო საუბარიც დაიწყო. თავად მოურავს ეძინა, მაგრამ მოურავის თანაშემწე, ერთი თანაშემწეთაგანი, ბატონი ფრიცი, ადგილზე აღმოჩნდა. ყმაწვილმა კაცმა, რომელმაც თქვა, შვარცერი გაწუხებთო, თანაშემწეს უამბო, რომ ნახა ვინმე კ., ასე ოცდაათი წლის კაცი, ერთობ ცუდად ჩაცმული, რომელსაც არხეინად ეძინა თივის ნაალზე და თავქვეშ ბალიშის მაგივრად ზურგჩანთა ამოედო, ხოლო გვერდით როკებიანი ჯოხი ედო. რა თქმა უნდა, ამან დააეჭვა, და ვინაიდან მეფუნდუკემ აშკარად უგულებელყო თავისი მოვალეობანი, მან, შვარცერმა, ვალდებულად ჩათვალა თავი, ძირისძირამდე ჩასწვდომოდა ამ საქმეს, მაგრამ უცნობი ერთობ გააღიზიანა იმ ამბავმა, რომ გამოაღვიძეს, დაჰკითხეს და დაემუქრნენ, რომ გააძევებდნენ გრაფის სამფლობელოდან. თუმცა, ეგებ სწორიც იყო, გული რომ მოუვიდა, ვინაიდან ამტკიცებს, ის მიწისმზომელი ვარ, რომელიც თვით გრაფმა გამოიძახაო. რა თქმა უნდა, აუცილებელია თუნდაც ფორმალობის დასაცავად, შეამოწმონ ეს განცხადება, ამიტომ შვარცერი სთხოვს უფალ ფრიცს, იკითხოს ცენტრალურ კანცელარიაში, ნამდვილად ელოდებიან იქ მიწისმზომელს, თუ არა, და დაუყოვნებლივ აცნობოს პასუხი ტელეფონით.

სიჩუმემ დაისადგურა. ფრიცი მიწისმზომლის ამბავს კითხულობდა, აქ კი პასუხს ელოდებოდნენ. კ. გაუნძრევლად იწვა, იგი არც კი გადაბრუნებულა მეორე მხარეს, არავითარ ინტერესს არ იჩენდა და თვალი გაშტერებოდა. შვარცერის ღვარძლნარევი, თანაც, ფრთხილი მოხსენება მოწმობდა ერთგვარ დიპლომატიურ მომზადებას, რომელსაც გოდოლში, როგორც ჩანს, ყველანი გადიოდნენ, შვარცერისთანა უმნიშვნელო ადამიანებიც კი. ეტყობოდა, ნამუსიანად მუშაობდნენ, რადგან ცენტრალური კანცელარია ღამითაც განაგრძობდა საქმიანობას. პასუხმა არ დააყოვნა, როგორც ჩანს, მაშინვე გადმოსცეს. ფრიცმა ცოტა ხანში დარეკა. პასუხი, ეტყობა, ერთობ მოკლე იყო, და შვარცერმა გაბრაზებულმა დაკიდა ყურმილი. „აკი ვამბობდი!“ დაიყვირა მან. „რა მიწისმზომელი, რის მიწისმზომელი, ერთი უბადრუკი ცრუპენტელა და მაწანწალაა, ხოლო შესაძლოა, უარესიც!“ თავიდან კ.-მ იფიქრა, ახლა ყველანი – შვარცერიც, გლეხებიც, მეფუნდუკეც და დიასახლისიც – ერთად მომდგებიანო. მაშინვე წაიფარა თავზე საბანი, თუნდაც პირველი იერიში რომ მოეგერიებინა, მაგრამ აქ ისევ დარეკა ტელეფონმა, როგორც კ.-ს მოეჩვენა, განსაკუთრებით ხმამაღლა. მან ფრთხილად გამოჰყო თავი. და თუმცა არავის ეგონა, ზარი კ.-ს ეხებაო, მაინც ყველანი შედგნენ, ხოლო შვარცერი აპარატთან მივიდა. მოისმინა გრძელი ახსნა-განმარტება და ჩუმად ჩაილაპარაკა: „ესე იგი, შეცდომაა? ძალიან ვწუხვარ. როგორ, თავად კანცელარიის უფროსმა დარეკა? უცნაურია, უცნაური. რა ვუთხრა უფალ მიწისმზომელს?“

კ. დაიძაბა. მაშასადამე, გოდოლმა დაუდასტურა მიწისმზომლის წოდება. ერთი მხრივ, ეს ხელს არ აძლევდა, ვინაიდან მოასწავებდა, რომ გოდოლში მასზე იციან ყველაფერი, რაც საჭიროა, და, თუ გავითვალისწინებთ ძალთა თანაფარდობას, ხუმრობით თანხმდებიან ხმალში გამოწვევას. მაგრამ, მეორე მხრივ, ამას ჰქონდა

თავისი უპირატესობაც. მისი აზრით, ეს ამტკიცებდა, რომ კ.-ს ჯეროვნად არ აფასებენ და, მაშასადამე, მას მეტი თავისუფლება ექნება, ვიდრე ეგონა. და რახან ჰგონიათ, რომ მისი წოდების უდავოდ ქედმაღლური აღიარებით შეძლებენ მუდმივ ძრწოლაში იყოლიონ, მწარედ შემცდარან: ცოტა არ იყოს, შეშინდა, ეს არის და ეს.

კ.-მ ხელის აქნევით ანიშნა შვარცერს, მომეშვიო, როცა ის გაუბედავად შეეცადა მისულიყო კ.-სთან, და უარი უთხრა წინადადებაზე, გადასულიყო ფუნდუკის მფლობელთა ოთახში, მხოლოდ ის იკმარა, რომ მეფუნდუკეს გამოართვა ჭიქა სასმელი, ხოლო დიასახლისს – ხელ-პირის დასაბანი ტაშტი, საპონი და პირსახოცი. არც კი დასჭირვებია, ეთხოვა, დარბაზიდან გადითო, რადგან უკვე ყველანი ერთმანეთს ასწრებდნენ გასვლას და კ.-სკენ ზურგშექცევით დგებოდნენ, რათა მას დილით ვერავინ ეცნო. ლამფა ჩააქრეს, და, ბოლოს და ბოლოს, თავი დაანებეს. მაშინვე წაიღო ბურანმა და, თუმცა ოთახში მოცუნცულე ვირთაგვებმა ერთი-ორჯერ გააღვიძეს, დილამდე ეძინა.

საუზმის შემდეგ – კ.-ს ჭამა-სმაც და სასტუმროში ყოფნაც, მეფუნდუკის თქმით, გოდოლს უნდა აენაზღაურებინა – კ.-მ გადაწყვიტა სოფელში გასულიყო. მაგრამ რამდენადაც მეფუნდუკე, რომელსაც უგულოდ ელაპარაკებოდა, რადგან ახსოვდა მისი გუშინდელი საქციელი, ხმისამოუღებლად და დამნაშავის გამომეტყველებით უტრიალებდა გარეშემო, კ.-ს შეეცოდა იგი და ნება დართო, მის გვერდით ჩამომჯდარიყო.

„გრაფს ჯერ არ ვიცნობ“, თქვა კ.-მ, „ამბობენ, კარგ ნამუშევარში კარგადაც იხდისო, მართალია? როცა ჩემებრ შორს გადაიხვეწები ოჯახისაგან, გინდა, რაც შეიძლება მეტი ჩაიტანო სახლში“.

„ამაზე ნუ სწუხხართ, ცუდი ანაზღაურების გამო აქ ჯერ არავის დაუჩივლია.“

„მეც არავის დავაჩაგვრინებ თავს“, თქვა კ.-მ, „შემიძლია ჩემი გავიტანო გრაფთანაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, აჯობებს ამ ბატონთან მშვიდობიანად მოვრიგდე.“

მეფუნდუკე კ.-ს პირდაპირ ჩამომჯდარიყო ფანჯრის რაფის კიდეზე – უფრო თავისუფლად დაჯდომას ვერ ბედავდა – და კ.-ს დიდ თაფლისფერ დამფრთხალ თვალებს არ აცილებდა, და თუმცა აქამდე თავად სულ კ.-ს ეტმასნებოდა, ახლა, როგორც ჩანს, ერთი სული ჰქონდა, გარეთ გავარდნილიყო. ეგებ იმ შეკითხვებს გაურბოდა, გრაფს რომ ეხებოდა? ანდა ეშინოდა, ვაითუ ბატონი, რომელსაც კ.-ში ხედავდა, არ არისო სანდო კაცი? კ.-მ გადაწყვიტა, ფიქრებიდან გამოეყვანა. საათს შეხედა, და უთხრა: „სადაცაა, ჩემი თანაშემწეებიც მოვლენ, შეგიძლია, აქ მომიწყოო?“.

„რა თქმა უნდა, ბატონო, მაგრამ განა ისინი შენთან ერთად არ იცხოვრებენ გოდოლში?“

ნუთუ ასე იოლად და ხალისიანად ამბობს უარს მდგმურებზეც და განსაკთუთრებით კ.-ზე, რადგან თვლის, რომ მიწისმზომელმა უეჭველად გოდოლში უნდა იცხოვროს.

„არ ვიცი, ეს ჯერ არ გადამიწყვეტია“, თქვა კ.-მ, „თავდაპირველად უნდა გავიგო, რა სამუშაოს შემომთავაზებენ. თუ, მაგალითად, აქ, ქვემოთ მომიწევს მუშაობა, მაშინ ქვემოთ ცხოვრება უფრო მომეხერხება, თანაც, ვშიშობ, რომ გოდოლში ყოფნა დიდად არ მომეწონება. იქ ისე ლაღად ვერ ვიგრძნობ თავს, როგორც მინდა.“

„შენ გოდოლი არ იცი“, ჩუმად თქვა მეფუნდუკემ.

„რა თქმა უნდა, არ ვიცი“, თქვა კ.-მ, „წინასწარ არც ღირს ლაპარაკი. გოდოლზე ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცი, რომ იქ ეხერხებათ კარგი მიწისმზომლების პოვნა. მაგრამ შეიძლება ჰქონდეთ სხვა უპირატესობებიც.“ კ. წამოდგა, რომ თავიდან მოეცილებინა მეფუნდუკე, რომელიც ძარღვებაშლილი იკვნეტდა ტუჩებს. არც ისე იოლი იყო, მოგეპოვებინა ამ კაცის ნდობა.

გარეთ რომ გადიოდა, კ.-ს ყურადღება მიიპყრო მუქჩარჩოიანმა ჩაშავებულმა პორტრეტმა, რომელიც კედელზე ეკიდა. მან ეს პორტრეტი ადრეც შეამჩნია თავისი ნაალიდან, მაგრამ შორიდან ხეირიანად ვერ გაარჩია, და იფიქრა, სურათი ჩარჩოდან არის ამოღებული და მხოლოდ შავი დაფა დარჩაო. მაგრამ ახლა დაინახა, რომ ეს იყო პორტრეტი, 50-ამდე წლის მამაკაცის წელამდე პორტრეტი. მას თავი ისე დაბლა დაეხარა, რომ თვალები თითქმის არ უჩანდა, და მკაფიოდ იყო გამოკვეთილი მხოლოდ მაღალი გამობურცული შუბლი და მსხვილი კაუჭა ცხვირი, დახრილი თავით მკერდზე მიჭერილი განიერი წვერი წინ გამოშვერილიყო, მარცხენა ხელი ხშირ თმაში შეეყო, მაგრამ თავს ზევით ვერ სწევდა. „ვინ არის?“ უკან მოუხედავად ჰკითხა კ.-მ. „გრაფი?“

„არა“, უპასუხა მეფუნდუკემ, „ეს მოურავია.“ „ლამაზი მოურავი ჰყოლიათ იმ თქვენს გოდოლში. ზედ ეტყობა“, თქვა კ.-მ, „აფსუსია, რომ ვაჟი ასეთი უხეირო გამოუვიდა.“ „არა“, თქვა მეფუნდუკემ, თავისკენ მიიზიდა კ. და ყურში ჩასჩურჩულა: „შვარცერმა წუხელ ზედმეტები ილაპარაკა, მამამისი მხოლოდ მოურავის თანაშემწეა, თანაც ერთ-ერთი, ყველაზე დაბალი რანგისა.“ კ.-ს მოეჩვენა, რომ იმ წუთში მეფუნდუკე ძალიან ჰგავდა ბავშვს. „რა მამაძაღლია!“ გაეცინა კ.-ს, მაგრამ მეფუნდუკეს ეტყობოდა, რომ სასაცილოდ არ ჰქონდა საქმე. „მამამისიც ძლევამოსილი კაცია!“ თქვა მან. „რაებს ამბობ?!“ უთხრა კ.-მ. „შენ ყველა ძლევამოსილი გგონია. ალბათ, მეც?“ „შენ?“ თქვა მეფუნდუკემ მორიდებით, მაგრამ მტკიცედ. „შენ ძლევამოსილი არ მგონიხარ.“ „თურმე, შენ ყველაფერს ამჩნევ“, უთხრა კ.-მ. „გულახდილად რომ ვთქვა, არავითარი ძლევამოსილება მე არ გამაჩნია. ალბათ, ამიტომაც არის, რომ შენზე ნაკლებად როდი ვცემ პატივს ყოველგვარ ძალაუფლებას, ოღონდ მე არა ვარ შენისთანა გულახდილი და ყოველთვის როდი მსურს, გამოვტყდე ამაში.“ ამ სიტყვებზე კ.-მ ოდნავ მოუთათუნა მეფუნდუკეს ლოყაზე ხელი – უნდოდა, ენუგეშებინა კიდეც და მეტი ნდობითაც განეწყო. შეცბუნებულმა მეფუნდუკემ ოდნავ გაიღიმა, იგი მართლაც ჰგავდა ყმაწვილ ბიჭს – რბილი გამომეტყველება, თითქმის უწვერულვაშო პირისახე, მაინც, რამ შეართვევინა ასეთი ზორზოხა, ასაკოვანი ქალი,– კედელში დატანებული სარკმლიდან მოჩანდა, როგორ იძლეოდა ბრძანებებს სამზარეულოში დოინჯშემოყრილი დიასახლისი. მაგრამ კ.-ს არ უნდოდა ახლა ზედმეტი კითხვებით დაეფრთხო მეფუნდუკე, იმის შიშით, რომ სახეზე გაუქრებოდა ღიმილი, რომელიც ამდენ ჯაფად დაუჯდა. მან მხოლოდ თავით ანიშნა კარზე, გამიღეო და გარეთ გავიდა. დარიანი ზამთრის დილა იდგა.

ახლა მთელი გოდოლი მკაფიოდ გამოიკვეთა გამჭვირვალე ჰაერში, და თოვლის თხელი საბურველი, რომელიც ციხეს ფარავდა, კიდევ უფრო მკაფიოდ აჩენდა გოდლის ნაირ-ნაირ ფორმებსა და ხაზებს. კაცმა რომ თქვას, იქ, მთაზე, თითქოს თოვლიც უფრო თხლად იდო, ვიდრე აქ, სოფელში, სადაც კ. არანაკლები გაჭირვებით იგნებდა გზას, ვიდრე გუშინ – უკაცრიელ მინდორში. აქ თოვლი ლამის ქოხების

ფანჯრებს აღწევდა და გეგონებოდა, სადაცაა, შეუერთდებაო დაბალი სახურავებიდან ჩამოწოლილ ნამქერს, ხოლო იქ, მთაზე, ყველაფერი უფრო ლაღად და მსუბუქად ლივლივებდა – ყოველ შემთხვევაში, ასე მოჩანდა ქვემოდან.

მთელი გოდოლი, როგორიც შორიდან მოჩანდა, სავსებით შეე საბამებოდა კ.-ს მოლოდინს. ეს იყო არა ძველებური რაინდული ცოხე-დარბაზი, არა მდიდრული ახალი სასახლე, არამედ ნაგებობათა წყება, რომელიც შედგებოდა რამდენიმე ორსართულიანი და მრავალი ერთმანეთს მიტყუპული დაბალი შენობისაგან, და თუ არ იცოდი, რომ ეს გოდოლია, პატარა ქალაქი გეგონებოდა. კ.-მ დაინახა მხოლოდ ერთი კოშკი, რომელიც ზემოდან გადმოჰყურებდა საცხოვრებელ სახლს თუ ეკლესიას – ვერ გაარჩევდი. კოშკის თავზე ყვავ-ყორნის გუნდები ტრიალებდნენ.

კ. წინ მიდიოდა და თვალს არ აცილებდა ციხეს, – სხვა არაფერი მას არ აინტერესებდა. მაგრამ რაც უფრო ახლოს მიდიოდა, მით უფრო მეტად უცრუებდა იმედს გოდოლი, რომელიც უბრალოდ ერთი უშნო ქალაქი აღმოჩნდა, და მისი სახლები მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ ქოხმახებისაგან, რომ ქვით იყო ნაგები, ისიც, ბათქაში დიდი ხნის ჩამოცვენილი ჰქონდათ, ხოლო რიყის ქვის ნაწყობი აშკარად იშლებოდა. კ.-ს წამით გაახსენდა თავისი მშობლიური ქალაქი. იგი არაფრით არ იყო ამ ეგრეთ წოდებულ გოდოლზე ნაკლები. კ. მხოლოდ მის სანახავად რომ ჩამოსულიყო, იტყოდა, აფსუს, რა ტყუილად ვიარეო ამდენი... გაცილებით უფრო გონივრული იქნებოდა, კვლავ სტუმრებოდა შორეულ მშობლიურ მხარეს, სადაც ამდენი ხანია არ ყოფილა. და კ.-მ გულში შეადარა მშობელი ქალაქის ეკლესიის კოშკი გოდოლს, ზემოთ რომ წამომართულიყო. ის იყო სწორხაზოვანი, ცისკენ აჭრილი ნაგებობა, წითელი კრამიტით გადახურული განიერი სახურავით, სულ მთლად მიწიერი – განა შეგვიძლია ჩვენ სხვანაირად ვაშენოთ? მაგრამ უფრო ზევით მიმსწრაფი, ვიდრე დაბალ-დაბალი სახლები, უფრო სადღესასწაულო, ვიდრე მათი უღიმღამო სადაგი დღეები, ხოლო ეს კოშკი, ზემოთ რომ მოჩანს, – ერთადერთი, რომელიც მან შეამჩნია, საცხოვრებელი სახლის კოშკი, როგორც ახლა აღმოჩნდა, და შესაძლოა, ციხე-დარბაზის მთავარი კოშკი – წარმოადგენდა ერთგვაროვან მრგვალ ნაგებობას, რომელიც სიბრალულის გამო ალაგ-ალაგ სუროთი დაეფარათ, პატარა სარკმლებით, რომლებიც ახლა მზეზე ბრწყინავდა – ამაში იყო რაღაც გიჟური – წინ გამოჭრილი ლავგარდანით, რომლის მოყანყალებული მეჩხერი და მყიფე ქონდურები, თითქოს ბავშვის გაუბედავი თუ დაუდევარი ხელით რომ იყო დახატული, ლურჯ ცაში აჭრილიყო. გეგონებოდა, ვიღაც ბაიყუშმა მობინადრემ, რომელიც, წესით, სახლის ყველაზე შორეულ კუთხეში უნდა შეყუჟულიყო, უცებ გაანგრიაო სახურავი და იქიდან გამოყო თავი, რათა მთელ დუნიას დანახვებოდა.

კ. კვლავ შეჩერდა, თითქოს, ასე, შემდგარი, უფრო იოლად განსჯიდა იმის შესახებ, რაც ნახა. მაგრამ ხელი შეუშალეს. სოფლის ეკლესიის მიღმა, სადაც ის შეჩერდა, – არსებითად, ეს უფრო სამლოცველო იყო, ბეღლისმაგვარი მინაშენით, რომელშიც მთელი მრევლი დაეტევოდა, – სკოლა იდგა. გრძელი დაბალი სახლი, რაღაც სახელდახელოდ შეკოწიწებულისა და, ამასთანავე, ძველის უცნაური ნაზავი – მესრით შემოღობილ და თოვლში ჩაფლულ ბაღში წამოჩრილიყო. ბაღს ვამბობთ, თორემ დათოვლილი მინდვრისგან ვერ გაარჩევდი. იქიდან სწორედ იმ დროს გამოდიოდნენ ბავშვები მასწავლებელთან ერთად. პატარები მჭიდროდ შემორტყმოდნენ გარს დამრიგებელს, თვალებში შესციცინებდნენ და შეუსვენებლივ ლაპარაკობდნენ, კ.-ს არაფერი ესმოდა მათი სხვაპასხუპა მეტყველებისა.

მასწავლებელი, ჩია, ბეჭვიწრო კაცი, წელგამართული მოდიოდა, და სულ არ ტოვებდა სასაცილო შთაბეჭდილებას. მან შორიდანვე შეამჩნია კ., – ანდა, როგორ არ შეამჩნევდა, როდესაც მისი მოწაფეებისა და კ.ს გარდა ირგვლივ კაციშვილი არ იყო. როგორც სტუმარი, კ. პირველი მიესალმა მასპინძელს, თანაც, პატარა მასწავლებელს ერთობ შთამბეჭდავი გამომეტყველება ჰქონდა. „დილა მშვიდობისა, ბატონო მასწავლებელო“, თქვა კ.-მ. თითქოს ბრძანება გაიგონესო, ბავშვები ერთბაშად დადუმდნენ და ამ მოულოდნელმა მორიდებულმა სიჩუმემ მისი სიტყვების მოლოდინში რაღაცნაირად გუნება გამოუკეთა მასწავლებელს. „გოდოლს ათვალიერებთ?“ იკითხა მან უფრო რბილად, ვიდრე კ. მოელოდა, მაგრამ ისეთი კილოთი, თითქოს კ.-ს საქციელს უწუნებდა. „დიახ“, თქვა კ.-მ. აქ პირველად ვარ, გუშინ საღამოს ჩამოვედი.“ „თქვენ გოდოლი არ მოგწონთ?“ სწრაფად ჰკითხა მასწავლებელმა. „რა ბრძანეთ?“ ჩაეკითხა კ., ცოტა არ იყოს დაბნეული, და გაიმეორა მასწავლებლის კითხვა, ოღონდ შეარბილა: „მომწონს თუ არა გოდოლი? რატომ გადაწყვიტეთ, რომ ციხე-დარბაზი არ მომეწონებოდა?“ „ჩამოსულთაგან არავის არ მოსწონს“, თქვა მასწავლებელმა. კ.-მ, რაიმე ზედმეტი რომ არ წამოსცდენოდა, სიტყვა ბანზე აუგდო და ჰკითხა: „თქვენ ალბათ, იცნობთ გრაფს?“ „არა“, უპასუხა მასწავლებელმა, და დააპირა განზე გამდგარიყო, მაგრამ კ. არ ეშვებოდა და კითხვა გაუმეორა: „როგორ, თქვენ არ იცნობთ გრაფს?“ „საიდან უნდა ვიცნობდე?“ ჩუმად თქვა მასწავლებელმა და შემდეგ ხმამაღლა ფრანგულად დაუმატა: „ფრთხილად იყავით უცოდველი ბავშვების თანდასწრებითო.“ კ.-მ გადაწყვიტა, რომ ამ სიტყვების შემდეგ შეძლებდა ეკითხა: „თქვენ ნებას დამრთავთ, ოდესმე რომ გამოგიაროთ, უფალო მასწავლებელო? მე აქ დიდი ხნით ჩამოვედი და უკვე ვგრძნობ თავს მარტოსულად. გლეხებთან ცოტა რამ მაქვს საერთო, გოდოლთან, ეტყობა, – ასევე.“ „გოდოლსა და გლეხებს შორის რაიმე განსაკუთრებული განსხვავება არც არის“, თქვა მასწავლებელმა. „შესაძლოა“, დაეთანხმა კ. – „მაგრამ ჩემ მდგომარეობაში ეს არაფერს არ ცვლის. შეიძლება, ამ დღეებში გესტუმროთ?“ „მე შვანენგასეზე, ყასაბთან ვცხოვრობ“, თქვა მასწავლებელმა და თუმცა უფრო თავისი მისამართი აცნობა, ვიდრე თავისთან დაპატიჟა, კ.-მ მაინც თქვა: „კეთილი, მე გეახლებითო.“ მასწავლებელმა თავი დაუქნია და დაემშვიდობა, ხოლო ბავშვები მაშინვე აჟრიამულდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისინი ციცაბო დაღმართზე ჩამავალ შესახვევში გაუჩინარდნენ.

კ. თავს ვერ უყრიდა აზრებს – ამ საუბარმა გუნება გაუფუჭა. ჩამოსვლის შემდეგ პირველად იგრძნო ნამდვილი დაღლილობა. შორ გზას სულ არ დაქანცავს იგი, მიდიოდა თავისთვის, მიდიოდა დღითი დღე, მშვიდად, ნაბიჯ-ნაბიჯ. ახლა კი თავი იჩინეს უძლიერესი გადაღლის შედეგებმა – და უნდა ითქვას, უდროო დროს. გულით უნდოდა, ახალი ხალხი გაეცნო, მაგრამ ყოველი ახალი შეხვედრა უმძაფრებდა დაღლილობის გრძნობას. არა, სავსებით საკმარისი იქნება, თუ, – როგორც ახლა გრძნობს თავს, – გოდლის შესასვლელამდე გაისეირნებს.

კვლავ მოუჩქარა ნაბიჯს, მაგრამ წინ გრძელი გზა ედო. აღმოჩნდა, რომ ქუჩა – სოფლის თემშარა – მიდიოდა არა გოდლისგორისაკენ, არამედ მხოლოდ უახლოვდებოდა მას და შემდეგ, თითქოს განზრახო, გვერდს უქცევდა და არც სცილდებოდა ციხეს, არც ზედ ადგებოდა. კ. სულ ელოდა, აი ახლა მოუხვევსო ქუჩა გოდლისაკენ და მხოლოდ ამის გამო განაგრძობდა სიარულს, ძალიან იყო დაღლილი და აშკარად ეშინოდა, გზა არ აბნეოდა, თანაც, აოცებდა სოფლის სიდიდე: იგი დაუსრულებლად გრძელდებოდა – ისევ ის პატარა სახლები, შეჭირხლული

ფანჯრები, თოვლი და უკაცრიელობა – აქ მოულოდნელად მოსწყდა გზას, რომელიც აქამდე მარწუხივით იჭერდა, და გადავიდა ვიწრო შესახვევში, სადაც თოვლი კიდევ უფრო ღრმად იდო და სადაც მუხლამდე ეფლობოდა ფეხი. კ.-ს შუბლზე ოფლმა დაასხა, და სიქაგაცლილი შედგა.

კი მაგრამ, მარტო ხომ არ იყო, ხელმარცხნივ და ხელმარჯვნივ გლეხების ქოხები იდგა. მან თოვლი აიღო, დააგუნდავა და სარკმელს ესროლა. იმავ წამს გაიღო კარი – პირველი კარი, რომელიც გაიღო, რაც სოფლის შარაგზაზე მოდიოდა, – მოხუცი გლეხი, რომელსაც ყავისფერი ტყაპუჭი ეცვა, ღიმილით გამოვიდა მის შესახვედრად, თავი მხრისკენ დაეხარა. „შეიძლება, ცოტა ხნით შემოვიდე თქვენთან?“ – თქვა კ.-მ. „ძალიან დავიღალე.“ ვერ გაიგონა, რა უპასუხა მოხუცმა, მაგრამ მადლიერებით დაინახა, რომ ბერიკაცმა ფიცარი გაუდო, რათა ღრმა თოვლიდან ამოსულიყო. რამდენიმე ნაბიჯიც, და კ. ქოხში აღმოჩნდა

დიდ, ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში იყო. სინათლიდან შემოსულმა ერთხანს ვერაფერი ვერ გაარჩია, ვარცლს დაეჯახა, და ქალის ხელმა გვერდზე გამოიყვანა. ერთ კუთხეში ხმამაღლა ყვიროდნენ ბავშვები, მეორიდან ოხშივარი მოდიოდა, რომელიც ნახევრად სიბნელეს სრულ სიბნელედ აქცევდა. კ. იდგა ვით ღრუბლებში გახვეული. „შეხედეთ, მთვრალია“, გაისმა ვიღაცის ხმა. „ვინა ხართ?“ მკაცრად დაიძახა ვიღაცამ. თან, ეტყობა მოხუცს მიმართა და დასძინა: „რატომ შემოუშვი? გზაზე ათასი ოხერი დაეხეტება, ყველას უნდა გაუღო კარი?“ „მე გრაფის მიწისმზომელი ვარ“, თქვა კ.-მ, – თითქოს თავს იმართლებდაო იმის წინაშე, ვისაც ჯერაც ვერ ხედავდა. „აჰ, ეს მიწისმზომელია“, თქვა ქალის ხმამ და მაშინვე სიჩუმემ დაისადგურა. „თქვენ მიცნობთ?“ იკითხა კ.-მ. „რა თქმა უნდა“, მოკლედ მოუჭრა იგივე ხმამ, მაგრამ ის, რაც მათ იცოდნენ კ.-ს შესახებ, როგორც ჩანს, ვერაფერი სახარბიელო იყო მისთვის.

ბოლოს და ბოლოს, ნისლი ცოტა გაიფანტა და კ.-მ თანდათან უკეთ დაინახა იქაურობა. როგორც ჩანს, ოჯახში საბანაო დღე ჰქონდათ. კართან რეცხავდნენ, მაგრამ ოხშივარი მოდიოდა მარცხენა კუთხიდან, სადაც უზარმაზარ ხის ვარცლში – ასეთები კ.-ს არც ენახა, იგი სიდიდით ორადგილიანი საწოლის ოდენა იქნებოდა – ცხელ წყალში ორი მამაკაცი იბანდა ტანს, მაგრამ კიდევ უფრო მოულოდნელი – თუმცა, ძნელი სათქმელი იყო, რით გამოიხატებოდა ეს მოულოდნელობა, – აღმოჩნდა ის, რაც მარჯვენა კუთხეში მოჩანდა. დიდი ფანჯრიდან, ოთახის უკანა კედელში დატანებული ერთადერთი სარკმლიდან – ეზოს მხრიდან იღვრებოდა მკრთალი, ნაზი შუქი, და ატლასის ათინათად დასთამაშებდა ქალის კაბას, რომელიც დაღლილი მოკალათებულიყო მაღალ სავარძელში და ძუძუთა ბავშვი გულში ჩაეხუტებინა. იქვე თამაშობდნენ პატარები, აშკარად, გლეხის შვილები, მაგრამ ქალი თითქოს ამ გარემოს არ ეკუთვნოდა. მართალია, ავადმყოფობა და დაღლილობა თვით გლეხთა სახეებსაც აფაქიზებს და უფრო დახვეწილს ხდის ხოლმე.

„დაბრძანდით!“ თქვა ერთმა, წვერგაბურძგნილმა კაცმა, რომელსაც გრძელი, ჩამოშვებული ულვაში ჰქონდა. იგი ხშირ-ხშირად ქშენდა და წარამარა აბჩენდა პირს, – უაზრო ჟესტით ამოსწია ხელი ვარცლიდან და მიუთითა კ.-ს სკივრზე, თან უცაბედად შეაშხეფა სახეში თბილი წყალი. სკივრზე უკვე დამჯდარიყო მოხუცი, რომელმაც კ.-ს გაუღო კარი, და დაღონებული, რაღაცას ფიქრობდა. კ.-ს გაეხარდა, რომ ბოლოს და ბოლოს შეუძლია დაჯდეს. მეტი აღარავის მიუქცევია მისთვის ყურადღება. ყმაწვილი ქალი, რომელიც ვარცლში რეცხდა თეთრეულს, ქერათმიანი

და ფერხორციანი, ჩუმად ღიღინებდა, მამაკაცები ვარცლში ჭყუმპალაობდნენ, ბავშვები ერთთავად მათთან მიძვრებოდნენ, მაგრამ ისინი არ უშვებდნენ, აშხეფებდნენ ნაბან წყალს, რომელიც კ.-საც ასველებდა. სავარძელში მიწოლილი ქალი უსიცოცხლოდ გარინდულიყო და სადღაც ზევით იცქირებოდა, თითქოს ძუძუს მიკრულ ჩვილს კი არ უყურებდა, მის თავსზემოთ გაშტერებოდაო თვალი.

კ. დიდხანს ტკბებოდა ამ უძრავი, ნაღვლიანი და მშვენიერი სურათით, მაგრამ შემდეგ, ეტყობა, ჩაეძინა, იმიტომ, რომ როცა ვიღაცის ყვირილზე გამოეღვიძა, იგრძნო, რომ თავი გვერდით მჯდომი მოხუცის მხარზე ედო. მამაკაცებს უკვე დაებანათ ტანი, ჩაეცვათ და კ.-ს მახლობლად იდგნენ, ხოლო ვარცლში ახლა ბავშვები ჭყუმპალაობდნენ და მათ თავზე ადგა ქერა ყმაწვილი ქალი. როგორც გამოირკვა, მყვირალა წვეროსანი ორთაგან მთავარი არ ყოფილა. მეორე, თუმც არ იყო ტანად უფრო დიდი და წვერიც გაცილებით უფრო მეჩხერი ჰქონდა, აღმოჩნდა ჩუმი, ნელი, მხარბეჭიანი სახეგანიერი კაცი; იგი თავდახრილი იდგა. ,,უფალო მიწისმზომელო", თქვა მან, ,,თქვენი აქ დარჩენა არ იქნება, მომიტევეთ უდიერობისათვის." ,,მე არც მიფიქრია დარჩენა", თქვა კ.-მ, ,,მინდოდა, მხოლოდ სული მომეთქვა. ახლა უკვე დავისვენე და შემიძლია წავიდე." ,,ალბათ გიკვირთ, სტუმართმოყვარენი რომ არა ვართ", უთხრა კაცმა, ,,მაგრამ სტუმართმოყვარეობა ჩვენ წესად არა გვაქვს, ჩვენ სტუმრები არ გვჭირდება." კ.-ს, რომელსაც ხანმოკლე ძილის წყალობით უკვე დაესვენა და კვლავ მოეკრიბა აზრი, გაეხარდა გულწრფელი ნათქვამი. იგი უფრო თავისუფლად მოძრაობდა, ხელჯოხს დაეყრდნო, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, და იმ ქალთანაც კი მივიდა, სავარძელში რომ იჯდა, თან გრძნობდა, რომ ტანად ყველა დანარჩენზე უფრო მაღალი იყო.

,,სწორი ბრძანებაა", თქვა კ.-მ. ,,რად გინდათ სტუმრები? მაგრამ ათასში ერთხელ კაცი შეიძლება დაგჭირდეს კიდეც. მაგალითად, მიწისმზომელი, ისეთი, როგორიც მე ვარ." ,,მე ეს არ ვიცი", უნდილად ამოღერღა კაცმა. ,,თუ თქვენ გამოგიძახეს, მაშასადამე, ვიღაცას დასჭირდით. ალბათ, ეს გამონაკლისია, მაგრამ ჩვენ, ჩვენდა თავად, პატარა ხალხი ვართ, კანონის მიხედვით ვცხოვრობთ და ჩვენგან ეს არ უნდა გეწყინოთ." ,,არა, არა", თქვა კ.-მ. ,,მე თქვენი მხოლოდ მადლიერი ვარ, პირადად თქვენი, და ყველა აქ მყოფისა." თქვა, და ყველასთვის მოულოდნელად, კ. ადგილზე შეხტა, მალაყი გააკეთა და სავარძელში მჯდომი ქალის წინაშე აღმოჩნდა. დაღლილი ცისფერი თვალები ქვემოდან მიაჩერდნენ, გამჭვირვალე აბრეშუმის თავშალი სანახევროდ უფარავდა ქალს შუბლს, ჩვილს მის მკერდზე ეძინა. ,,ვინა ხარ?" ჰკითხა კ.-მ, და ქალმა საკუთარი თავის, თუ კ.-ს, ანდა თავისი სიტყვებისადმი დამცინავი კილოთი მიუგო: ,,მე მოსამსახურე ვარ გოდლიდან."

მაგრამ, წამიც არ გასულა, რომ კ.-ს მარცხნიდან და მარჯვნიდან სტაცა ხელი ორმა კაცმა და ხმის ამოუღებლად, ძალით მიათრია კართან, თითქოს ახსნა-განმარტებისათვის სხვა ხერხი არ მოიძებნებოდა. მოხუცმა მოულოდნელად გაიხარა და ტაშს შემოჰკრა, მრეცხავმაც გაიცინა ბავშვებთან ერთად, რომლებიც უცებ ახმაურდნენ.

კ. ისევ ქუჩაში იდგა, მამაკაცები ზღურბლიდან ადევნებდნენ თვალს. კვლავ დაიწყო თოვა, მაგრამ არემარე თითქოს განათდაო. ,,სად წახვალთ ახლა?" მოუთმენლად დაუძახა წვერგაბურძგნილმა. ,,იქით – გოდლის გზაა, აქეთ – სოფლისა." პასუხად კ.-მ მას კი არ მიმართა, არამედ მეორეს, რომელიც არ მალავდა უპირატესობას სხვებთან

შედარებით, და უფრო თავაზიანი მოეჩვენა: „ვინა ხართ თქვენ? ვის ვუთხრა მადლობა სულის მოთქმისათვის?“ „მე დაბაღი ლაზემანი ვარ“, უპასუხა კაცმა, „ხოლო სამადლობელი არაფერი და არავისი გაქვთ.“ „საუცხოოა“, თქვა კ.-მ. „ვიმედოვნებ, კიდევ შევხვდებით.“ „არა მგონია“, თქვა კაცმა. და იმავე წუთს წვერგაბურძგნილმა ხელი ასწია და დაიყვირა: „გამარჯობა, არტურ, გამარჯობა, იერემია!“ კ. უკან მიბრუნდა: ესე იგი, ამ სოფელში მაინც გამოდიოდა ხალხი ქუჩაში! გოდლიდან მომავალ გზაზე ორი შუატანის ახალგაზრდა მოაბიჯებდა, ორივენი მოხდენილი ტანისანი იყვნენ, შემოჭერილი კოსტიუმებით, და სახითაც კი, ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივე შავტუხა იყო, ხოლო მოკლე წვერი ისეთი კუპრისფერი ჰქონდათ, რომ მათს შავგვრემან სახეზეც კი გამოირჩეოდა. ძნელი გზის მიუხედავად, გასაოცრად ჩქარა მოდიოდნენ, შეწყობილად ადგამდნენ ჩამოქნილ ფეხებს. „აქ სად მოდიხართ?“ დაუძახა წვეროსანმა. მათთან ურთიერთობა მხოლოდ ასე, ძახილით გამოდიოდა, ისე ჩქარა მოდიოდნენ, და ნაბიჯსაც არ ანელებდნენ. „საქმეზე!“ სიცილით უპასუხეს ახალგაზრდებმა. „სად?“ „ფუნდუკში!“ „მეც იქ მინდა!“ დაიყვირა კ.-მ ყველაზე ხმამაღლა. მთელი არსებით უნდოდა, რომ ამ ორს თან წაეყვანა, და თუმცა მათი ნაცნობობა არაფერს განსაკუთრებულს არ უქადდა, მაგრამ ისინი ნაღდად კეთილი, ხალისიანი თანამგზავრები იქნებოდნენ. მათ გაიგონეს კ.-ს სიტყვები, მაგრამ მხოლოდ დაუკრეს თავი და მყისვე გაუჩინარდნენ შორეთში.

კ. ჯერ კიდევ თოვლში იდგა, არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ამოეღო იქიდან ფეხი, რათა ნამქერში ჩაებიჯებინა, დაბაღი და მისი ამხანაგი, ერთობ კმაყოფილნი, რომ საბოლოოდ მოიშორეს თავიდან კ., აუჩქარებლად შედიოდნენ სახლში, და შეღებული კარიდან დროდადრო გამოხედავდნენ ხოლმე კ.-ს. ბოლოს და ბოლოს, კ. მარტოდ მარტო დარჩა ღრმა თოვლში. „ალბათ, მექნებოდა სასოწარკვეთილების საბაბი“, გაიფიქრა კ.-მ, „აქ შემთხვევით რომ მოვხედრილიყავი და არა განზრახ.“

მოულოდნელად სახლის მარცხენა მხარეს პაწია სარკმელი გაიღო. სანამ დახურული იყო, იგი მუქ-ლურჯად მოჩანდა, – ეტყობა, თოვლის ათინათის გამო – ისეთი პატარა, ერთი ბეწო იყო, რომ ახლა შიგ მოჩანდა მინის უკან მდგომის არა მთელი სახე, არამედ მხოლოდ თვალები, ბერიკაცის თაფლისფერი თვალები. „აი, ისიც, იქა დგას“, მოესმა კ.-ს ქალის მთრთოლვარე ხმა. „ეს მიწისმზომელია“, წარმოთქვა მამაკაცის ხმამ. შემდეგ კაცი სარკმელს მიუახლოვდა და უბოროტოდ, მაგრამ მაინც ისე თქვა, თითქოს შეწუხებული იყო, ემანდ, არ დაირღვესო წესრიგი ჩემი სახლის წინ: „ვის ელოდებით?“ „ველოდები, სანამ ვისიმე მარხილი არ წამიყვანს“, თქვა კ.-მ. „აქ მარხილები არ დადიან“, თქვა მამაკაცმა, „აქ არ არის სავალი გზა.“ „მაგრამ ეს გზა ხომ გოდოლში მიდის?“ მიმართა კ-მ „და მაინც, ეს არ არის შარაგზა“, გაიმეორა მამაკაცმა რაღაც სიჯიუტით. ორივე დადუმდა, მაგრამ მამაკაცი, ეტყობა, რაღაცაზე ფიქრობდა, იმიტომ, რომ არ ხურავდა სარკმელს, საიდანაც მსუბუქი კვამლი გამოდიოდა. „ცუდი გზაა“, თქვა კ.-მ, რათა გაეგრძელებინა საუბარი.

მაგრამ პასუხად იმ კაცმა მხოლოდ ორი სიტყვა უთხრა: „დიახ, რასაკვირველიაო.“ ერთხანს იყუჩა და მერე დასძინა: „თუ გნებავთ, მე წაგიყვანთ მარხილით.“ „დიდად დამავალებთ, წამიყვანეთ!“ გაეხარდა კ.-ს. „რამდენს გამომართმევთ?“

„არაფერს“, თქვა მამაკაცმა. კ.-ს ძალიან გაუკვირდა. „თქვენ ხომ მიწისმზომელი ხართ“, აუხსნა მამაკაცმა, „თქვენ გოდოლს ეკუთვნით, საით გინდათ წასვლა?“ „გოდოლში.“ უპასუხა კ.-მ. „მაშინ არ წამოვალ“, იქვე მოუჭრა მამაკაცმა. „მაგრამ მე ხომ გოდოლს ვეკუთვნი“, თქვა კ.-მ და მამაკაცის სიტყვები გაიმეორა. „შესაძლებელია“, ორჭოფულად მიუგო მან. „მაშინ ფუნდუკში წამიყვანეთ“, თქვა კ.-მ. „კეთილი“, თქვა მამაკაცმა, „ახლავე გამოვიყვან მარხილს.“ ეტყობა, აქ საქმე ეხებოდა არა განსაკუთრებულ თავაზიანობას, არამედ, უფრო სწორად, ეგოისტურ, შიშნარევ, თითქმის პედანტურ მისწრაფებას, რაც შეიძლება მალე მოეცილებინათ კ. სახლის წინ გამავალი ქუჩიდან.

გაიღო ჭიშკარი და გამოვიდა მსუბუქი ტვირთისათვის განკუთვნილი უკოფოო ბრტყელი პატარა მარხილი, რომელშიც გაძვალტყავებული ჯაგლაგი იყო შებმული, მარხილს მოჰყვებოდა წელში მოკაკული, არცთუ ისე ბებერი, მაგრამ თითქოს დალეული, კოჭლი კაცი, რომელსაც ნატანჯი წითელი ძვალტყავა სახე და წირპლიანი თვალები ჰქონდა. თავს შემოხვეული სქელი თავშალის ნაკეცებში ჩამალული თავპირი ერთი ბეწოდ მოჩანდა. კაცი, აშკარად, ავად იყო და, როგორც ჩანს, ქუჩაში მხოლოდ იმისთვის გამოვიდა, რომ კ. წაეყვანა. კ.-მ ასეც უთხრა მარხილის პატრონს, მაგრამ მან ხელი აუქნია. კ.-მ მხოლოდ ის გაიგო, რომ ეს კაცი მემარხილე გერშტეკერი იყო და ეს მოუხერხებელი მარხილი იმიტომ გამოიყვანა, რომ გამზადებული ჰქონდა, ხოლო სხვა მარხილების გაწყობას მეტისმეტად ბევრი დრო დასჭირდებოდა. „დაბრძანდით“, უთხრა მან და მათრახის ტარით მარხილის უკანა მხარეზე მიუთითა. „გვერდით დაგიჯდებით“, უპასუხა კ.-მ. „მე ფეხით მოვდივარ“, თქვა გერშტეკერმა. „რატომ?“ ჰკითხა კ.-მ. „ფეხით მოვდივარ“, გაიმეორა გერშტეკერმა, და უეცრად ისე აცახცახდა ხველის შემოტევისაგან, რომ იძულებული გახდა, ფეხებით თოვლს დაყრდნობოდა, ხოლო ხელებით მარხილის კიდეს, რომ არ დაცემულიყო. კ.-ს არაფერი არ უთქვამს. ჩაჯდა მარხილის უკანა მხარეს, კაცს ხველამ თანდათან გაუარა, და დაიძრნენ.

იქ, ზემოთ წამომართული გოდოლი, სადაც კ. დღეს აპირებდა მოხვედრას, უცნაურად ჩამუქებულიყო და დაშორდა მარხილს. უეცრად, თითქოს ნიშანს აძლევს და ცოტა ხნით ემშვიდობებაო, იქიდან გაისმა ზარის რეკა, მხიარული და ფრთაშემსხმელი, და ამ ზარის ხმისაგან კ.-ს წამით შეუტოკდა გული, თითქოს შიშით – ზარში ხომ სევდაც გამოსჭვიოდა, – ვინ იცის, ეგებ ასრულდეს ის, რისკენაც იგი გაუბედავად მიისწრაფოდა. მაგრამ დიდი ზარი ცოტა ხანში დადუმდა. იგი შეცვალა სუსტმა ერთტონიანმა ზანზალაკის ხმამ, რომელიც, კაცმა არ იცის, ზემოდან თუ უკვე სოფლიდან მოისმოდა და ზარების ეს წკრიალა გადაძახილი ყველაზე უკეთ შეეფერებოდა ტაატით მიმავალი მარხილის სრიალსაც და ავადმყოფ, მაგრამ უმოწყალო მეეტლესაც.

„მომისმინე!“ დაიძახა უცებ კ-მ. ისინი უკვე ეკლესიას უახლოვდებოდნენ. ფუნდუკი შორიახლოს იყო და კ. ცოტათი გათამამდა. „სულ მიკვირს, რომ შენ საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვიტე, წამოგეყვანე. განა ვინმემ დაგრთო ამის ნება?“ მაგრამ გერშტეკერი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა კ.-ს და მშვიდად მიაბიჯებდა ჯაგლაგის გვერდით. „ეჰეი!“ დაიძახა კ.-მ. მერე პეშვით მარხილში დადებული თოვლი დააგუნდავა და გუნდა შიგ ყურისძირში ესროლა გერშტეკერს. გერშტეკერი გაჩერდა და უკან მიბრუნდა. და როდესაც კ.-მ იგი ასე ახლოს დაინახა – მარხილს მხოლოდ ერთი ნაბიჯი ჰქონდა გავლილი, – დაინახა ეს მოკუზული,

რაღაცით დახეიბრებული ფიგურა, ანთებიანი, დაღლილი, გამხდარი სახე უცნაური განსხვავებული ლოყებით – ერთი ბრტყელი, მეორე ჩავარდნილი, – დაღებული, დაბნეული პირი, საიდანაც რამდენიმე ღერი კბილი მოუჩანდა, იქედნური კითხვა უკვე თანაგრძნობით გაიმეორა: ხომ არ შეახურებენ გერშტეკერს იმისათვის, რომ მან კ. წამოიყვანა? „რა გინდა, რას შემომიჩნდი?“ ჰკითხა გერშტეკერმა, ეტყობოდა, რომ კ.-ს სიტყვების არსი ვერ გაიგო, მერე აღარ დალოდებია განმარტებას, ცხენს შეუძახა და გზა განაგრძო.

როდესაც ისინი – კ.-მ დალანდა ნაცნობი მოსახვევი – უკვე თითქმის მიუახლოვდნენ ფუნდუკს, იქ სრულ წყვდიადს დაესადგურებინა, რამაც კ. დიდად გააოცა. ნუთუ ასე დიდხანს იყო წასული? – დიდი-დიდი, მისი ვარაუდით, ერთ-ორ საათს, თანაც, დილიდან გამოვიდა, და სულ არ მოშივნოდა, ზედაც სულ ცოტა ხნის წინ ნათელი დღე იყო, და უეცრად – ასეთი წყვდიადი ჩამოწვა. „მოკლე დღეებია, მოკლე“, ჩაილაპარაკა თავისთვის, ჩამოცურდა მარხილიდან და ფუნდუკისაკენ გაუდგა გზას.

ბედად, პარმაღის ზედა საფეხურზე მეფუნდუკე იდგა, მაღლა აეწია ფარანი და გზას უნათებდა. წამით გაახსენდა გერშტეკერი. შეჩერდა, მაგრამ ხველა საიდანღაც სიბნელიდან მოისმა, – ნამდვილად ის იყო. ეგ არაფერი, კვლავ შევხვდებით. კიბეზე ავიდა, მეფუნდუკე მოწიწებით მიესალმა, კ.-მ კარის ორსავე მხარეს ორი კაცი დაინახა. მეფუნდუკეს ხელიდან ფარანი გამოართვა და იმ ორ კაცს მიანათა. ესენი აღმოჩნდნენ ის ორნი, რომლებიც სოფელში შეხვდნენ და იერემიას და არტურს ეძახდნენ. მხედრულად მიესალმნენ, და კ.-ს უნებლიედ გაახსენდა სამხედრო სამსახური – ცხოვრების საამური წლები. გაახსენდა და გაეცინა.

„თქვენ ვინა ხართ?“ ჰკითხა მან და თვალი მოავლო ორივეს. „თქვენი თანაშემწენი“, უპასუხეს მათ. „დიახ, თანამშემწენი“, ხმადაბლა დაუდასტურა მეფუნდუკემ. „როგორ?“ იკითხა კ.-მ. „თქვენ ჩემი ძველი თანაშემწენი ხართ? ეს თქვენ გიბრძანეთ უკან მომყოლოდით, და თქვენ გელოდებოდით?“ „დიახ“, თქვეს მათ. „ეს კარგია“, თქვა კ.-მ ცოტა ხნის შემდეგ, „კარგია, რომ ჩამოხვედით“, დასძინა მან ერთგვარი პაუზის მერე, „მაგრამ თქვენ ძალიან დაიგვიანეთ, ძალზე უპასუხისმგებლონი გამოდექით.“ „შორი გზა გვედო“, თქვა ერთმა მათგანმა. „შორი გზა?“ გაიმეორა კ.-მ. „მაგრამ მე ხომ შეგხვდით, როცა გოდლიდან მოდიოდით.“ „დიახ“, თქვა ორივემ, თუმცა არაფერი არ განუმარტავთ. „ხელსაწყოები რა უყავით?“ ჰკითხა კ.-მ. „ჩვენ ხელსაწყოები არა გვაქვს“, უპასუხეს ერთხმად. „როგორ, ხელსაწყოები, რომლებიც მე განდეთ?“ თქვა კ-მ. „ჩვენ არა გვაქვს ხელსაწყოები“, გაიმეორეს მათ. „რა ხალხი ხართ!“ თქვა კ.-მ. „გაგეგებათ რამე გეოდეზიურ სამუშაოებში?“ „არა“, თქვა ორივემ. „თქვენ თუ ჩემი უწინდელი თანაშემწეები ხართ, ყველაფერი უნდა გესმოდეთ“, უთხრა კ.-მ. ისინი სდუმდნენ. „რა გაეწყობა, წავიდეთ!“ თქვა კ.-მ და მსუბუქი ხელისკვრით სახლში შეიყვანა.

2. ბარნაბა

სამივენი ერთად მიუსხდნენ პატარა მაგიდას დარბაზში და ხმის ამოუღებლად დაიწყეს ლუდის სმა. კ. შუაში იჯდა, თანაშემწეები – ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ. დარბაზში, ისევე როგორც წინა საღამოს, მხოლოდ ერთ სუფრასთან ისხდნენ გლეხები. „გამიჭირდება თქვენს პატრონს“, თქვა კ.-მ, თან უყურებდა თანაშემწეებს

და ერთმანეთს ადარებდა მათ სახეებს, „აბა, როგორ განგასხვაოთ? თქვენ ხომ მხოლოდ სახელებით განსხვავდებით, ისე კი ერთმანეთს გავხართ როგორც...“ კ. დადუმდა და თავისდაუნებურად დასძინა: „გავხართ – როგორც ორი უხსენებელი“, თანაშემწეებს გაეცინათ. „ჩვეულებრივ, ჩვენ იოლად გვანსხვავებენ“, თითქოს თავს იმართლებენო, თქვეს მათ. „მჯერა“, თქვა კ.-მ, „თვითონ ვარ ამისი მოწმე, მაგრამ მე ჩემი თვალები მაქვს, და თქვენ ვერანაირად ვერ განსხვავებთ. ამიერიდან მოგმართავთ ხოლმე, როგორც ერთ კაცს და ორივეს დაგიძახებთ არტურს, ერთ თქვენგანს ხომ მართლაც ასე ჰქვია, შენ, არა?“ „არა“, თქვა თანაშემწემ, „მე იერემია მქვია.“ „არა აქვს მნიშვნელობა“, თქვა კ.-მ, „სულ ერთია, ორივეს არტურს დაგიძახებთ. თუ სადმე გავგზავნი არტურს, თქვენ ორივენი წახვალთ, დავავალებ არტურს სამუშაოს – და ორივენი მოჰკიდებთ მას ხელს, რა თქმა უნდა, მე სულაც არ მაძლევს ხელს, რომ არ შემიძლია თქვენ გამოგიყენოთ სხვადასხვა სამუშაოზე, სამაგიეროდ, მეორე მხრივ, უფრო მოსახერხებელია: ყველაფრისთვის, რასაც მე დაგავალებთ, ერთად, განუყოფლად აგებთ პასუხს, როგორ გაიყოფთ სამუშაოს – ჩემთვის სულ ერთია. ოღონდ არავითარ თავის მართლებას თითოეულისაგან ცალ-ცალკე არ მივიღებ, თქვენ ჩემთვის ერთი კაცი ხართ.“ ორივე დაფიქრდა და თქვა: „ჩვენთვის ეს ძალზე უსიამოვნო იქნება.“ „აბა რა!“ თქვა კ.-მ. „რა თქმა უნდა, თქვენთვის უსიამოვნო უნდა იყოს, მაგრამ ასე იქნება.“ კ. უკვე რამდენიმე წუთის განმავლობაში ამჩნევდა, რომ მათი მაგიდის გარშემო ფეხაკრეფით დადის ერთი გლეხი, მერე უცბად გაბედა, ერთ-ერთ თანაშემწესთან მივიდა და უნდოდა, რაღაც ჩაეჩურჩულებინა ყურში. „უკაცრავად“, თქვა კ.-მ, მაგიდას დაარტყა მუშტი და ფეხზე წამოდგა, „ესენი ჩემი თანაშემწეები არიან. ჩვენ ახლა ვთათბირობთ. და არავის არა აქვს უფლება, ხელი შეგვიშალოს!“ „ოჰ, მაპატიეთ, მაპატიეთ!“ შეშინებულმა ჩაილაპარაკა გლეხმა და ზურგით დაიხია უკან თავის ამხანაგებთან. „ერთი რამ მტკიცედ უნდა დაიცვათ“, თქვა კ.-მ და ისევ დაჯდა ადგილზე, „ჩემს დაუკითხავად არავის არ უნდა გასცეთ ხმა. მე აქ უცხო კაცი ვარ, და რაკი თქვენ ჩემი ძველი თანაშემწეები ხართ, თქვენც უცხონი ხართ აქ. ამიტომ ჩვენ, სამი უცხო, ერთად უნდა ვიყოთ. დავკრათ ხელი?“ ორივემ მაშინვე გაუწვდინეს ხელები. „თათი - იქით“, თქვა კ.-მ, „ხოლო ჩემი ბრძანება ძალაში რჩება. ახლა წავალ, წავუძინებ, და თქვენც გირჩევთ, დაწვეთ. დღევანდელი სამუშაო დღე დაგვეკარგა, ხვალ კი დილაადრიან უნდა დავიწყოთ, იშოვეთ მარხილი, რომ გოდოლში ავიდეთ, და დილის ექვსი საათისათვის მარხილი სახლის წინ იდგეს.“ „კეთილი“, თქვა ერთმა, მაგრამ მეორე ჩაერია: „შენ ამბობ „კეთილიო“, თავად კი იცი, რომ ეს შეუძლებელია.“ „ხმა-კრინტი!“ თქვა კ.-მ. „თქვენ რა, ერთი – ალთას, მეორე – ბალთას?“ მაგრამ აქ კვლავ ალაპარაკდა პირველი: „ის მართალია, ეს შეუძლებელია, გოდოლში უცხო პირებს უნებართვოდ არ უშვებენ.“ „ნებართვა სად ავიღოთ? „არ ვიცით, შეიძლება, მოურავთან.“ „რა გაეწყობა, ტელეფონით ვრეკოთ. აბა, მარდად, თქვენ ორივემ ახლავე დაურეკეთ მოურავს.“ ორივენი ტელეფონს ეცნენ, გამოიძახეს ნომერი – როგორ ფაცა-ფუცობდნენ, როგორ მორჩილად აჩვენებდნენ თავს! – და იკითხეს, თუ შეიძლება, კ. მათთან ერთად ხვალ დილას გოდოლში გამოცხადდესო. „არა!“ გაისმა ისე ხმამაღლა, რომ მაგიდასთან მჯდომმა კ.-მ გაიგონა. პასუხი ამომწურავი იყო. იქ დასძინეს: „არც ხვალ, არც რომელიმე სხვა დღეს.“ „თვითონ დაველაპარაკები“, თქვა კ.-მ და ფეხზე წამოდგა. და თუმცა, არც კ. და არც მისი თანაშემწენი არ იწვევდნენ აქამდე განსაკუთრებულ ინტერესს – თუ არ ჩავთვლით იმ გლეხის შემთხვევას, – მისმა ბოლო სიტყვებმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს. სოფლელები კ.-სთან ერთად ადგნენ ფეხზე და, თუმცა მეფენდუკე ცდილობდა დაეჭირა ისინი, ყველანი ტელეფონის ირგვლივ შეჯგუფდნენ.

უმრავლესობა გამოთქვამდა აზრს, რომ კ. საერთოდ არავითარ პასუხს არ მიიღებს. კ. იძულებული გახდა, ეთხოვა მათთვის, გაჩუმებულიყვნენ, თქვენი აზრი საერთოდ არ მაინტერესებსო.

ყურმილში ზუმერის მაგივრად ზუზუნი მოისმა – ასეთი რამ კ.-ს არასოდეს არ სმენია ტელეფონში. გეგონებოდა, ურიცხვი ბავშვთა ხმების ჟრიამულიაო – თუმცა ეს ზუზუნი ჟრიამულს კი არა, უფრო სწორად, შორეული, ძალიან, ძალიან შორეული ხმების სიმღერას უფრო ჰგავდა, – გეგონებოდა, ეს გუგუნი სრულიად წარმოუდგენლად ერწყმისო ერთმანეთს ერთადერთ მაღალ და მაინც მძლავრ ხმად, იგი შიგ ყურში ურტყამდა, თითქოს ცდილობსო, შეაღწიოს არა მარტო უბადრუკ სმენაში, არამედ სადღაც უფრო ღრმადაც. კ. უსმენდა, ხმას არ იღებდა, მარცხენა იდაყვით ტელეფონის სადგარს ჩამოყრდნობილი, და უსმენდა, უსმენდა...

არც კი იცოდა, რამდენ ხანს გასტანა ამ ლოდინმა, მაგრამ აქ მეფუნდუკემ ქურთუკის კალთაზე მოქაჩა და ყურში უთხრა, თქვენთან შიკრიკი მოვიდაო. „წადი!“ ვერ შეიკავა თავი და დაიყვირა კ.-მ, როგორც ჩანს, პირდაპირ ტელეფონის ყურმილში, იმიტომ, რომ მას მაშინვე უპასუხეს „ოსვალდი გისმენთ, ვინ ლაპარაკობს?“ გაიგონა კ.-მ მკაცრი, ქედმაღლური ხმა, და მაშინვე იგრძნო მეტყველების რაღაც დეფექტი, რომლის გამოსწორებასაც ცდილობდა მოსაუბრე მეტისმეტი მოჩვენებითი სიმკაცრით.

კ. ფეხს ითრევდა, არ უნდოდა, თავისი ვინაობა დაესახელებინა – ტელეფონის წინაშე იგი თავს უმწეოდ გრძნობდა. მისთვის შეეძლოთ დაეცაცხანათ, დაეხეთქებინათ ყურმილი. კ.-მ ფრიად მნიშვნელოვანი გზა მოიჭრა. კ.-ს გაუბედაობა მოთმინებას უკარგავდა მის თანამოსაუბრეს. „ვინ ლაპარაკობს?“ გაიმეორა მან და დასძინა: „დიდად დამავალებდით, მანდედან რომ არ მირეკავდეთ. ეს წუთია დაგვირეკეს ამ ტელეფონიდან.“ კ.-მ ყურადღება არ მიაქცია ამ სიტყვებს, მოიკრიბა გამბედაობა და თქვა: „ლაპარაკობს ბატონი მიწისმზომლის თანაშემწე.“ „ვინ თანაშემწე? ვინ ბატონი? ვინ მიწისმზომელი?“. კ.-ს უეცრად გაახსენდა წუხანდელი სატელეფონო საუბარი. „ჰკითხეთ ფრიცს“, მოუჭრა მან. მისდა გასაოცრად, ამ სიტყვებმა გასჭრა, მაგრამ ამაზე უფრო მეტად გაუკვირდა იქაური სამსახურის ერთიანობა, მას მაშინვე უპასუხეს: „ვიცი, ვიცი, არ გააჭირა ამ მიწისმზომელმა საქმე?! დიახ, დიახ! მერედა რა, ვინ თანაშემწე ბრძანდებით?“ „იოზეფი“, უთხრა კ.-მ. მას ძალიან უშლიდნენ ხელს ზურგსუკან მდგომი გლეხები თავიანთი ჩურჩულით, ეტყობა იმის წინააღმდეგნი იყვნენ, რომ კ.-მ არასწორად მოახსენა თავისი ვინაობა. მაგრამ გლეხებთან საქმის გასარჩევად არ ეცალა, მთელი არსებით სატელეფონო საუბარში იყო ჩართული. „იოზეფი?“ ხელახლა იკითხეს იქიდან. „მაგრამ აკი თანაშემწეებს ჰქვიათ...“ მცირედი პაუზა, როგორც ჩანს, დასჭირდათ იმისათვის, რომ დაეზუსტებინათ სახელები. „არტური და იერემია.“ „ეს ახალი თანაშემწეები არიან“, თქვა კ.-მ. „არა, გეუბნებით, ძველები არიან-მეთქი.“ „არა, ახლები არიან, აი მე კი ძველი ვარ, მე დღეს ჩამოვედი უფალი მიწისმზომლის შემდეგ.“ „არა!“ იყვირეს ყურმილში. „მაშ ვინ ვარ მე?“ იკითხა კ.-მ უცვლელი სიმშვიდით. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა და იგივე კაცმა, იგივე მეტყველების დეფექტით, მაგრამ სულ სხვა, შეცვლილი და მოწიწებული ხმით ჩაილაპარაკა: „შენ ძველი თანაშემწე ხარ.“

კ. ამ ხმას აკვირდებოდა და კინაღამ გამორჩა კითხვა: „რა გინდა შენ?“ ყველაზე მეტად უნდოდა, ყურმილი დაედო. ამ საუბრებისაგან, სულ ერთია, მაინც ვერაფერს

გამორჩებოდა. მაგრამ აქ იძულებული იყო, რაღაც ეთქვა და სხაპასხუპით იკითხა: „როდის შეიძლება ჩემი უფროსი მოვიდეს გოდოლში?“ „არასდროს!“ გაისმა პასუხად. „კეთილი“, თქვა კ.-მ და ყურმილი დაკიდა.

გლეხები, აქამდე უკან რომ ედგნენ, მჭიდროდ მიუახლოვდნენ. თანაშემწეები, რომლებიც დროდადრო გახედავდნენ ხოლმე კ.-ს, იმით იყვნენ დაკავებულნი, რომ გლეხები მეტისმეტად ახლოს არ მოეშვათ, მაგრამ ამას აშკარად თვალის ასახვევად აკეთებდნენ, მით უმეტეს, საუბრის შედეგით კმაყოფილი გლეხები ნელ-ნელა იხევდნენ უკან. უეცრად მათ რიგებში უკანიდან სწრაფი ნაბიჯით შეიჭრა ვიღაც კაცი, თავი დაუკრა კ.-ს და წერილი გადასცა. კ.-მ გამოართვა წერილი და აათვალიერ-ჩაათვალიერა შიკრიკი – ეს მნიშვნელოვანი მოეჩვენა. შიკრიკსა და თანაშემწეებს შორის დიდი მსგავსება იყო, მასაც თანაშემწეებსავით მოხდენილი ტანი ჰქონდა, ისეთივე შემოჭერილი ტანსაცმელი ეცვა, ისეთივე მკვირცხლი და მარდი იყო მოძრაობაში, როგორც ისინი, და ამასთანავე, ორივესგან სრულიად განსხვავდებოდა. ნეტავ, ეს ყოფილიყო ჩემი თანაშემწე, გაიფიქრა კ.-მ. შიკრიკი რაღაცით მოაგონებდა მეძუძურ ქალს, რომელიც დაბაღის ოჯახში ნახა. მას თითქმის ყველაფერი თეთრი ფერისა ეცვა და თუმცა ტანსაცმელი აბრეშუმისა არ იყო – ისევე, როგორც სხვები, იგი საზამთროდ იყო ჩაცმული, – თავისი სინაზით და ზეიმურობით სამოსი აბრეშუმისას წააგავდა. სახე ნათელი და გახსნილი ჰქონდა, თვალები – არაჩვეულებრივად დიდი, და ბაგეზე რაღაც საოცრად სანდომიანი ღიმილი დასთამაშებდა; მან სახეზე ჩამოისვა ხელი, თითქოს ამ ღიმილის წაშლას ცდილობსო, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა. „ვინა ხარ შენ?“ ჰკითხა კ.-მ. „მე ბარნაბა მქვია“, უპასუხა ახალგაზრდამ. „შიკრიკი გახლავართ.“ ვაჟკაცურად და ამასთანავე ნაზად ეღებოდა და ეკუმებოდა ტუჩები, როცა სიტყვებს წარმოთქვამდა. „მოგწონს აქაურობა?“ ჰკითხა კ.-მ და მიანიშნა გლეხებზე, მას ჯერ კიდევ არ განელებოდა ინტერესი გლეხებისა და მათი თითქოს განზრახ დამახინჯებული სახეებისადმი – გეგონებოდა, ამ გლეხებს ზემოდან ურტყესო კინკრიხოში, სანამ არ გაუბრტყელეს თავის ქალა, და სახის ნაკვთებიც ამ ცემით მიყენებული ტკივილის გავლენით ჩამოუყალიბდათო, – ახლა მათ დაეღოთ შეშუპებული ტუჩები და ხან კ.-ს უყურებდნენ, ხან არ უყურებდნენ, ზოგჯერ ირგვლივ აცეცებდნენ თვალს და აჩერებდნენ მზერას რაიმე საგანზე. და კიდევ კ.-მ ბარნაბას მიანიშნა თავის თანაშემწეებზე – ისინი ჩახუტებულნი, ერთმანეთს ლოყამიდებულნი იდგნენ და იცინოდნენ, ვერც გაარჩევდი - მორცხვად, თუ უტიფრად. კ.-მ ხელი გაიშვირა მათკენ, თითქოს ბარნაბას წარუდგენსო თავის ამალას, რომელიც გარემოებებმა მოახვიეს თავს, და ელოდება – ამ ნდობის მოსაპოვებლად იღვწოდა კ., – რომ ბარნაბას ერთხელ და სამუდამოდ დაენახა, რა განსხვავებაა მათსა და თვით კ.-ს შორის. მაგრამ, სრული გულუბრყვილობით – ეს ერთი შეხედვისთანავე ჩანდა, საერთოდ ვერ გაეგო, რისი თქმა ეწადა კ.-ს, მან მხოლოდ აღიქვა კ.-ს ჟესტი, როგორც კეთილგონიერი მსახური აღიქვამს პატრონის ყოველ სიტყვას, იმასაც კი, რომელიც უშუალოდ მას არ ეხება, და პასუხად მხოლოდ მორჩილად მოავლო თვალი ირგვლივ ყველაფერს. ხელი დაუქნია ნაცნობ გლეხებს, რამდენიმე სიტყვით მიმართა თანაშემწეებს – და ყოველივე ამას აკეთებდა ლაღად, ძალდაუტანებლად. არ აგრძნობინებდა ირგვლი მყოფთ, ვინ – თქვენ და ვინ – მეო! და კ.-ს, თითქოს თავის ადგილზე მოსვესო, მაგრამ მაინც ნირწაუმხდარს, გაახსენდა წერილი, რომელიც მთელი ამ დროის მანძილზე ეკავა ხელში, და იქვე გახსნა. წერილში ნათქვამი იყო: „დიდად პატივცემულო ბატონო! როგორც თქვენთვის ცნობილია, თქვენ მიღებული ხართ გოდლის მფლობელის სამსახურში. თქვენი უშუალო უფროსია სოფლის

მამასახლისი, რომელიც გაგაცნობთ ყველა უახლეს დეტალს თქვენი სამუშაოსა და ანაზღაურების პირობების შესახებ. მამასახლისსავე უნდა ჩააბაროთ ხოლმე ანგარიში. ამასთანავე, მეც შევეცდები, არ დაგკარგოთ თვალთახედვის არიდან. ამ წერილის მომტანი, ბარნაბა დროდადრო გკითხავთ, რა გსურთ, და მომახსენებს ამის შესახებ. ჩემი მხრივ, მუდამ მზად ვიქნები, შეძლებისდაგვარად ამოგიდგეთ მხარში. მე დაინტერესებული ვარ, რომ ჩემი მუშაკები კმაყოფილი იყვნენ.“ შემდეგ მოდიოდა გაურკვეველი ხელმოწერა, მაგრამ იქვე გვერდით ნაბეჭდი ასოებით ეწერა: „X კანცელარიის უფროსი.“ „მოიცა!“ უთხრა კ.-მ ბარნაბას, რომელიც ამ დროს მდაბლად უკრავდა თავს, და გასძახა მეფუნდუკეს, რომ მისთვის ცალკე ოთახი გამოეყოთ, – სურდა, მარტოდ დარჩენილი გარკვეულიყო წერილში, ამასთან, გაახსენდა, რომ ბარნაბასადმი მთელი მისი სიმპათიის მიუხედავად, ის მხოლოდ შიკრიკი იყო, და უბრძანა, მისთვის ლუდი მოეტანათ. კ.-მ თვალი გაადევნა, როგორ მიიღებდა ბარნაბა ამას, მაგრამ მან ლუდი აიღო და დაუფარავი სიამოვნებით ერთბაშად მოიყუდა. შემდეგ კ. მეფუნდუკეს გაჰყვა. ამ უბადრუკ ფუნდუკში კ.-სათვის ვერ მოიძებნა ვერაფერი, გარდა სხვენში მდებარე ერთი ბეწო ოთახისა, თანაც, ამას გართულებები მოჰყვა იმიტომ, რომ მეფუნდუკე იძულებული გახდა, სადღაც გადაეყვანა ორი მოსამსახურე ქალი, რომლებსაც აქამდე იქ ეძინათ. კაცმა რომ თქვას, იქ მეტი არაფერი გაუკეთებიათ, მხოლოდ გამოიყვანეს მოსამსახურე ქალები. ოთახი არ დაულაგებიათ, ერთადერთ საწოლზეც კი არ დაუგიათ ლოგინი. მასზე მხოლოდ ორი გაქუცული საბანი და ცხენის ჩულო იყო გადაფარებული, რომელიც წუხანდლიდან დარჩენილიყო. კედლებზე ეკიდა რამდენიმე ბიბლიური ნახატი და ჯარისკაცების ფოტოსურათები. ოთახი არც კი გაუნიავებიათ – ეტყობა, იმედი ჰქონდათ, რომ ახალი მდგმური დიდხანს არ დარჩებოდა აქ, და არაფერი უღონიათ მის დასატოვებლად, მაგრამ კ. ყველაფრისთვის მზად იყო, მოიხურა საბანი, დაჯდა მაგიდასთან და სანთლის შუქზე დაიწყო წერილის ყურადღებით კითხვა.

წერილი თავიდან ბოლომდე არ იყო ერთნაირი, ზოგიერთი ფრაზით მას მიმართავდნენ როგორც თავისუფალ კაცს, ადამიანს, რომლის პირად ნებასაც აღიარებენ, – ეს გამოიხატებოდა მიმართვითა და იმ ფრაზით, სადაც ლაპარაკი იყო მის სურვილებზე. მაგრამ იყო ისეთი გამოთქმები, რომლებითაც მას ფარულად თუ აშკარად ეკიდებოდნენ როგორც უბადრუკ, მაღალი პოსტიდან ლამის შეუმჩნეველ მუშაკს, – თითქოს დიდ უფროსობას საკუთარი თავისთვის ძალა უნდა დაეტანებინა, რომ „იგი მხედველობიდან არ დაეკარგათ“, ხოლო უშუალო უფროსად დაუნიშნეს სოფლის მამასახლისი, რომლისთვისაც ანგარიშიც კი უნდა ჩაებარებინა ხოლმე. სავსებით შესაძლებელი იყო, მისი ერთადერთი თანამშრომელი გამხდარიყო სოფლის პოლიციელი! აქ, უდავოდ, ისეთი აშკარა წინააღმდეგობები იმალებოდა, რომ ისინი უეჭველია, წერილში განზრახ იყო შეტანილი. კ.-მ ერთბაშად უკუაგდო ესოდენ მაღალი ინსტანციისათვის შეუფერებელი აზრი, რომ ისინი რაღაც მერყეობას იჩენდნენ. უფრო სწორად, იგი აქ ხედავდა მისთვის დაუფარავად შემოთავაზებულ არჩევანს – თავისი დასკვნები გამოეტანა წერილის შინაარსიდან: სურს, გახდეს მუშაკი სოფელში, რომელსაც გოდოლთან გაზვიადებით ხაზგასმული, მაგრამ, სინამდვილეში მხოლოდ მოჩვენებითი კავშირი ექნება, თუ სურს, მხოლოდ გარეგნულად ითვლებოდეს სოფლის მუშაკად, სინამდვილეში კი მთელი თავისი სამუშაო შეუთანხმოს გოდლიდან მიღებულ მითითებებს, რომლებსაც ბარნაბა გადასცემს ხოლმე. კ. არც დაფიქრებულა – არ შეყოყმანდებოდა, მთელი ამ დროის მანძილზე არაფერი რომც არ გაეგო. მხოლოდ სოფლად მუშაობით, რაც შეიძლება

შორს გოდლის მოხელეებისაგან, შეძლებს იგი რაღაცას მაინც მიაღწიოს გოდოლში, თანაც, სოფლის ის მცხოვრებნიც, რომლებიც ჯერჯერობით უნდობლად ეკიდებოდნენ, სულ სხვანაირად დაუწყებენ ლაპარაკს, როდესაც იგი მათი მეგობარი თუ არა, თანასოფლელი მაინც გახდება, და როდესაც იგი არაფრით იქნება განსხვავებული გერშტეკერისა და ლაზემანისაგან – ასეთი ცვლილება კი რაც შეიძლება მალე უნდა დამდგარიყო, ყველაფერი ამაზე იყო დამოკიდებული. მაშინ მის წინაშე ერთბაშად გაიხსნებოდა ყველა გზა, რომლებიც არათუ ჩაკეტილი იყო მისთვის, მათ ვერც კი ხედავდა, თუ იქაური, მთელი გოდლისგორელი ბატონების იმედად და სამოწყალოდ იქნებოდა. მართალია, აქ იმალებოდა ერთი საფრთხე, და წერილში იგი საკმაოდ იყო ხაზგასმული, ერთგვარი ნიშნისმოგებითაც კი, თითქოს ამისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ეს არის მუშის მდგომარეობა, სამსახური, უფროსი, ჯამაგირის პირობები, ანგარიშვალდებულება, მოჯამაგირე, ამ სიტყვებით არის აჭრელებული მთელი წერილი, მაშინაც კი, როდესაც საქმე რაღაც უფრო პირადულს ეხებოდა, სულ ერთია, ამაზეც იგივე თვალსაზრისით ლაპარაკობდნენ. თუ კ. მოინდომებს გახდეს მუშა, შეუძლია გახდეს, მაგრამ – მაშინ უკვე სერიოზულად და სამუდამოდ, ყოველგვარი სხვა პერსპექტივის გარეშე. კ.-ს ესმოდა, რომ არავითარი უშუალო საფრთხე აქ არ არის, ამისი არ ეშინოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, საგონებელში აგდებდა ვითარება, გამუდმებული იმედგაცრუების ჩვევა. მძიმე, თუმც შეუმჩნეველი გავლენა თითოეული წუთისა, ამას ყოველ შემთხვევაში, უფრთხოდა და ამ საშიშროებას იგი უნდა ებრძოლოს. წერილი დუმილით არ უვლიდა გვერდს არც იმას, რომ თუ ეს ბრძოლა დაიწყებოდა, მაშინ კ.-ს უკვე ჰქონდა გაბედულება ჩაბმულიყო ამ ბრძოლაში: ეს ნათქვამი იყო შეფარვით, დახვეწილად და მხოლოდ მშფოთვარე სინდისის – სწორედ მშფოთვარე და არა გარეცხილი! – ადამიანს შეეძლო ამოეკითხა ეს იმ სამ სიტყვაში, რომლებიც მის სამუშაოზე მიღებას ეხებოდა: „როგორც თქვენთვის ცნობილია.“ კ.-მ მოახსენა თავის შესახებ, და ამ მომენტიდან დაწყებული, ნათქვამი იყო წერილში, იგი, როგორც მისთვის ცნობილია, მიღებულ იქნა.

კ.-მ კედლიდან ჩამოხსნა ერთ-ერთი ნახატი, ლურსმანზე კი წერილი ჩამოკიდა. ამ სოროში უნდა იცხოვროს, დაე, წერილიც აქ ეკიდოს.

შემდეგ დარბაზში ჩავიდა, ბარნაბა თანაშემწეებთან ერთად იჯდა სუფრასთან. „აჰა, თურმე სად ყოფილხარ“, ანაზდად უთხრა კ.-მ – უბრალოდ, გაეხარდა, ბარნაბა რომ დაინახა. ყმაწვილი მაშინვე წამოხტა ფეხზე, დანარჩენი გლეხებიც ასევე წამოიშალნენ ადგილებიდან, როგორც კი დაინახეს კ., რათა გარს შემოხვეოდნენ, ეტყობა, მათ უკვე წესად გაეხადათ კ.-ს კუდში დევნა. „არ მომეშვებით?“ დაიყვირა კ.-მ. გლეხები არ გაუბრაზდნენ და ნელ-ნელა დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებზე. რომ მიდიოდა, ერთმა მათგანმა, თითქოს თავს იმართლებსო, სხვათა შორის, გაუგებარი ღიმილით თქვა: „ყოველ ჯერზე რაღაც ახალ ამბავს ვიგებთო“, და ტუჩები გაილოკა, თითქოს ეს ახალი ამბავი გემრიელი ლუკმა იყო. ის გაუგებარი ღიმილი რამდენიმე სხვა გლეხის სახეზეც აირეკლა. კ.-მ თავი შეიკავა მეგობრული მიმართვისაგან, მოსწონდა, რომ გლეხები მოწიწებით ეკიდებოდნენ, მაგრამ საკმარისი იყო, ბარნაბას გვერდით დამჯდარიყო, რომ მაშინვე იგრძნო ვიღაცის სუნთქვა კეფაზე: გლეხმა თქვა, მარილის ასაღებად მოვედიო, მაგრამ კ.-მ ისე დაუბაკუნა ფეხი, რომ იმ კაცს სამარილისთვის აღარ სცხელოდა, და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. მართლაც, არ იყო ძნელი კ.-ს მოთმინებიდან გამოყვანა, საკმარისი იყო, ეს გლეხები მიგეშვა, მათი მიდეგა

მონაწილეობა კიდევ უფრო უარესი გამოდგა, ვიდრე სხვათა გულჩათხრობილება, გარდა ამისა, ისინიც საკმაოდ გულჩათხრობილნი იყვნენ: რომ კ. მათ მაგიდას მისჯდომოდა, ისინი მაშინვე წამოიშლებოდნენ და წავიდოდნენ. მხოლოდ ბარნაბას იქ ყოფნა აკავებდა, რომ ჩხუბი არ აეტეხა. მიუხედავად ამისა, მაინც მუქარით მიტრიალდა მათკენ, და გლეხებიც მაშინვე მობრუნდნენ. მაგრამ როცა დაინახა, როგორ სხედან ისინი, ყველა – თავ-თავის ადგილზე, ერთმანეთში არ ლაპარაკობენ. არ ეტყობათ, რომ ურთიერთობდნენ, მხოლოდ იმით არიან დაკავშირებულნი, რომ თვალს არ აცილებენ. კ.-ს მოეჩვენა, რომ ისინი ბოროტი განზრახვით არ მოქმედებდნენ. შეიძლება, მართლაც სურთ, რაღაც წამოაცდენინონ, ოღონდ, სიტყვებით ვერ გამოხატავენ, და შესაძლოა, ყოველივე ეს უბრალო ბალღობაც იყო, რომელიც აქ თითქოს ყველას სჩვევია. განა ბალღურად არ იქცეოდა თვითონ მეფუნდუკე – ორი ხელით რომ ეკავა ერთ-ერთი გლეხისათვის განკუთვნილი ჭიქა ლუდი. გაშეშებული იდგა, ისე მიშტერებოდა კ.-ს, რომ ვერ გაიგონა ცოლის ძახილი, რომელსაც სამზარეულოს სარკმლიდან გამოეყო თავი.

უკვე გაცილებით უფრო მშვიდად მიმართა ბარნაბას. სიამოვნებით დაითხოვდა თანაშემწეებს, მაგრამ ხომ უნდა ეპოვა საბაბი. ამასობაში, ისინი ხმაამოუღებლივ ჩასჩერებოდნენ თავიანთ ლუდს. „რაც შეეხება წერილს“, თქვა კ.-მ, „უკვე წავიკითხე. შენ იცი შინაარსი?“ „არა“, თქვა ბარნაბამ, და მისი მზერა მეტს ამბობდა, ვიდრე მისი პასუხი. იქნებ, კ. შეცდა, მეტისმეტად ბევრი კარგი რამ რომ აღმოაჩინა მასში, ისევე, როგორც გლეხებში – ცუდი, მაგრამ სიამოვნებდა მასთან ერთად ყოფნა. „იქ შენზეც არის ლაპარაკი – შენ დრო და დრო უნდა გადასცე ხოლმე ცნობები ჩემგან უფროსობას, და იმათი ამბავი შემატყობინო, ამიტომაც მეგონა, რომ შენ წერილის შინაარსი გეცოდინებოდა.“ „მე მხოლოდ წერილის გადმოცემა დამავალეს“, თქვა ბარნაბამ, „და მითხრეს, დაელოდე, სანამ წაიკითხავსო. ვინიცობაა, ზეპირი ან წერილობითი პასუხის დაბარება დასჭირდესო.“ „ძალიან კარგი“, თქვა კ.-მ, „წერილობითი პასუხი არ არის საჭირო, გადაეცი უფროსს, სხვათა შორის, რა ჰქვია? ხელმოწერა ვერ გავარჩიე.“ „კლამი“, უპასუხა ბარნაბამ. „ჰოდა, გადაეცი უფალ კლამს ჩემი მადლობა მიღებისათვის, აგრეთვე მისი უაღრესი თავაზიანობისათვის, კაცისაგან, რომელსაც ჯერ არაფრით გამოუჩენია თავი, ამას განსაკუთრებით ვაფასებ. მზად ვარ, უსიტყვოდ დავემორჩილო მის მითითებებს. ისიც უთხარი, რომ არავითარი განსაკუთრებული სურვილი არ გამაჩნია.“ ბარნაბა ყურადღებით უსმენდა და ბოლოს სთხოვა, დანაბარებს გაგიმეორებო. კ.-მ ნება დართო, და ბარნაბამ სიტყვა-სიტყვით გაუმეორა ყველაფერი. შემდეგ ადგა და დამშვიდობება დააპირა.

აქამდე კ. სულ აკვირდებოდა მის სახეს, მაგრამ ამჯერად უკანასკნელად შეათვალიერა. ტანად ბარნაბა არ იყო კ.-ზე მაღალი, და მაინც ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ კ.-ს ზემოდან უყურებდა, თუმცა, ძალზე თვინიერად, – წარმოუდგენელი იყო იმის გაფიქრება, რომ ეს კაცი მოინდომებდა ვისიმე დამცირებას. მართალია, ის მხოლოდ შიკრიკი იყო, და ისიც კი არ იცოდა, რა ეწერა წერილში, რომელიც მას გამოატანეს, მაგრამ მის მზერაში, ღიმილში, მიხრა-მოხრაში იმალებოდა რაღაც ამბავი, თუმცა თვითონ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა ამაზე. და კ.-მ ხელი გაუწოდა, რამაც აშკარად გააკვირვა ის – რადგან, სურდა, უბრალო თავის დაკვრა ეკმარა.

და როგორც კი ბარნაბა გავიდა – იქამდე, სანამ კარს გააღებდა, წამით მიეყრდნო წირთხლს და თვალი მოავლო ოთახს, ისე, რომ არავისზე შეუჩერებია მზერა. კ.-მ

თანაშემწეებს უთხრა: ,,ახლა ოთახიდან ჩემს მონახაზს გამოვიტან და სამუშაო გეგმა განვიხილოთო.“ მათ სურდათ, კ.-ს გაჰყოლოდნენ, მაგრამ კ.-მ უთხრა: ,,დარჩითო.“ ხოლო როდესაც მაინც დააპირეს აჰკიდებოდნენ, ბრძანება კიდევ უფრო მკაცრად გაუმეორა. ბარნაბა წინკარში უკვე აღარ ჩანდა, არადა, ეს წუთია გავიდა, მაგრამ სახლის წინაც – ისევ გათოვდა – ვერ დაინახა. დაიძახა: ,,ბარნაბა!“, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. შეიძლება, ჯერ შენობაშია? ეს ერთადერთ შესაძლებლობად ეჩვენებოდა, მაგრამ მაინც, კ.-მ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუძახა. სახელის გამოძახილმა გვირგვინივით გადაუარა ჩაბნელებულ არემარეს. და უკვე შორიდან ყრუდ მოისმა პასუხი – ისე შორს წასულიყო ბარნაბა, კ.-მ კვლავ დაუძახა და თვითონ ბარნაბას შესახვედრად წავიდა. როცა შეხვდა, ფუნდუკი უკვე აღარ ჩანდა.

,,ბარნაბა“, თქვა კ.-მ მთრთოლვარე ხმით. ,,მინდა, კიდევ რაღაც გითხრა. მე მგონი, ძალზე უხეიროდ მოიგონეს, რომ თუ გოდოლში რამე დამჭირდა, მხოლოდ შენს შემთხვევითს გამოვლაზე უნდა ვიყო დამოკიდებული. ახლა რომ არ დაგწეოდი – ხოლო შენ კი არ დადიხარ, ფრინავ. ჯერ კიდევ ფუნდუკში მეგონე, – ვინ იცის, რამდენ ხანს მომიწევდა ლოდინი, როდის გამოჩნდებოდი ხელახლა.“ ,,მაგრამ შენ ხომ შეგიძლია დირექტორთა საბჭოს სთხოვო, რომ მე მოვიდე ხოლმე დათქმულ დროს, როდესაც შენ იტყვი“, თქვა ბარნაბამ. ,,ესეც არ არის საკმარისი“, თქვა კ.-მ. ,,იქნებ, მე მთელ წელიწადს არ მქონდეს არაფერი გადასაცემი, მერე კი უეცრად შენი წასვლიდან თხუთმეტ წუთში გამოჩნდეს რაღაც სასწრაფო გარემოება.“ ,,რა ვქნათ, – მოვახსენო უფროსს, რომ შენთან სხვაგვარი კავშირი დაამყაროს, არა ჩემი მეშვეობით?“ ,,არა – არა“, თქვა კ.-მ, ,,სულაც არა, ეს ისე, სხვათა შორის გითხარი, ახლა ხომ, საბედნიეროდ, დაგეწიე.“ ,,ხომ არ დავბრუნდეთ ორივენი ფუნდუკში“, თქვა ბარნაბამ, ,,ახალი დავალება რომ მომცე?“ და უკვე ეზოსაკენ ქნა პირი. ,,არ ღირს, ბარნაბა“, თქვა კ.-მ, ,,უმჯობესია, ცოტას გამოგაცილებ.“ ,,რატომ არ გინდა, იქ დავბრუნდეთ?“ ჰკითხა ბარნაბამ. ,,იქ ხალხი გვიშლის ხელს“, თქვა კ.-მ. ,,შენ ხომ თავად ნახე, რა მომაბეზრებლები არიან ეს გლეხები.“ ,,შეგვიძლია, შენს ოთახში შევიდეთ“, თქვა ბარნაბამ. ,,ეს ოთახი მოსამსახურეებისთვის არის განკუთვნილი“, თქვა კ.-მ, ,,იქ ჭუჭყია, ჩახუთულია ჰაერი, ამიტომაც წამოვედი შენს სანახავად, იქ რომ არ გეყურყუტა, ოღონდ“, განაგრძო კ.-მ შეცბუნებულმა, თან ცდილობდა დაბნეულობა დაეძლია, ,,ოღონდ ხელი უნდა გაგიყარო – შენ ჩემზე უფრო თამამად დადიხარ“, და კ.-მ ხელი გაუყარა. ბნელოდა. მის სახეს კ. ვერ ხედავდა, ბარნაბას მთელი ფიგურა ბუნდოვნად მოჩანდა სიბნელეში, და კ.-მ ცოტა ხანში ფათურით იპოვა მისი ხელი.

ბარნაბა არ შეწინააღმდეგებია და მათ გზა განაგრძეს – სულ უფრო შორდებოდნენ ფუნდუკს. კ. გრძნობდა, რომ უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, ბარნაბას ფეხს ვერ აუწყობდა, აყოვნებდა მას და ჩვეულებრივ ვითარებაში ამ უმნიშვნელო გარემოებას შეეძლო ყველაფერი დაეღუპა, მეტადრე იმ ქუჩაბანდებში რომ მოხვედრილიყვნენ, სადაც დღისით ეფლობოდა თოვლში კ. და საიდანაც ახლა ბარნაბას ხელით გაუხდებოდა სათრევი. მაგრამ კ. ცდილობდა ამაზე არ ეფიქრა და თავს იმით ინუგეშებდა, რომ ბარნაბა სდუმდა, ხოლო რაკი ისინი არ ლაპარაკობდნენ, მაშასადამე, ბარნაბას მხოლოდ ერთი მიზანი რჩებოდა – განეგრძო ერთად სიარული.

ასე მიდიოდნენ, მაგრამ, სახელდობრ, სად – კ.-ს არ ესმოდა. იგი ვერაფერს ვერ არჩევდა. ისიც კი არ იცოდა, გაიარეს უკვე ეკლესია, თუ არა. იმდენ ძალისხმევას ახმარდა სიარულს, რომ უკვე ფიქრის თავი აღარც ჰქონდა. იმის მაგივრად, რომ

გონება მოეკრიბა, თავში აზრები ეფანტებოდა. გამუდმებით ახსენდებოდა მშობლიური ადგილები, მოგონებები შემოსწოლოდა. იქაც, მთავარ მოედანზე ასევე იდგა ეკლესია, საყდარსაც ცალ მხარეს, მაღალი მესრით შეღობილი სასაფლაო ეკვროდა. ბიჭებისაგან ცოტა ვინმე თუ იყო ასული ამ მესერზე, კ. ერთხელაც ვერ აძვრა ზედ, მაგრამ ცნობისმოყვარეობა როდი ერეკებოდა მესრისაკენ ბავშვებს, სასაფლაო მათთვის არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენდა. არაერთგზის შესულან იქ გისოსებიანი კარით, მაგრამ მათ გულით ეწადათ, სლიპინა მაღალ მესერს გადასულიყვნენ. და ერთხელ დღისით – როცა დადუმებულ ცარიელ მოედანზე მზე აჭერდა, კ.-ს არც იქამდე, და არც შემდეგ არასდროს ენახა მოედანი ასეთი – მოულოდნელად ბედმა გაუღიმა: იმ ადგილას, სადაც ასე ხშირად უცდებოდა ფეხი და მიწას ენარცხებოდა, იგი პირველივე ცდაზე აძვრა ზევით, თან კბილით ალამი ეკავა. ფეხქვეშ კენჭების შრიალი ჯერაც არ შემწყდარიყო, რომ იგი უკვე ზემოდან იჯდა მესერზე. ჩაარჭო ალამი, ქარმა გაასწორა ქსოვილი. იგი იყურებოდა ქვემოთ, ირგვლივ, მხარს უკანაც კი გაიხედა და მიწაში ჩასმულ ჯვრებს მოავლო მზერა, და არავინ იყო ქვეყნად მასზე უფრო მამაცი. შემთხვევით იქვე მიმავალმა მასწავლებელმა ბრაზიანი მზერით აიძულა კ., მესრიდან ჩამოსულიყო. მიწაზე რომ დახტა, კ.-მ მუხლი იტკინა, გაჭირვებით, კოჭლობით მივიდა სახლამდე, მაგრამ მთავარი იყო, რომ მესერი მაინც დალაშქრა. ამ გამარჯვების შეგრძნება, როგორც მაშინ ეჩვენებოდა, მთელი სიცოცხლე ბურჯად ექნებოდა. და ეს არც ისე სულელური აზრი იყო: ახლაც კი, მრავალი წლის შემდეგ, თოვლიან ღამეს, როცა ბარნაბასთან ერთად მიდიოდა, უეცრად გაახსენდა ეს შემთხვევა.

კიდევ უფრო მაგრა დაეყრდნო ბარნაბას – ის ისედაც თითქმის უკვე მიათრევდა, არც ერთს არ დაურღვევია დუმილი. გავლილი მანძილის შესახებ კ.-ს შეეძლო მხოლოდ გზის მდგომარეობის მიხედვით ემსჯელა. არც ერთ ქუჩაბანდში არ შეუხვევიათ. გულში გადაწყვიტა, რომ ვერანაირი სიძნელე, უკან დაბრუნების შიშიც კი ვერ აიძულებს გაჩერდეს. თუნდაც, მთელი გზა ასე ათრიონ – ამასაც გაუძლებს. ეს გზა არ დამთავრდება? დღისით გოდოლი იოლად მისაღწევ მიზნად მოეჩვენა, ხოლო შიკრიკმა ალბათ იცის ციხისაკენ მიმავალი ყველაზე მოკლე გზა.

მოულოდნელად ბარნაბა გაჩერდა. სად არიან? განა წინ გზა აღარ არის? იქნებ ბარნაბას სურს დაემშვიდობოს კ.-ს? არა, ამას ვერ შეძლებს. კ. ისე მაგრა ჩააფრინდა ხელში ბარნაბას, რომ ლამის თავად იგრძნო ტკივილი. ანდა, იქნებ მოხდა ყველაზე წარმოუდგენელი რამ, და ისინი უკვე გოდოლში მივიდნენ ან მის ჭიშკართან დგანან! მაგრამ რამდენადაც კ.-ს ესმოდა, ისინი აღმართში არ ასულან. თუ ბარნაბამ იგი მეორე, ვაკის გზით წამოიყვანა? „სად ვართ?“–იკითხა კ.-მ ჩუმად. უფრო თავის თავს ჰკითხა ვიდრე ბარნაბას, „შინა ვართ“, თქვა ბარნაბამ ასევე ჩუმად. „შინ?“ „ყურადღებით, ბატონო, ფეხი არ დაგიცდეს, აქ დაქანებაა“ „დაქანება?“ „აქ სულ ორი-სამი ნაბიჯია“, დასძინა ბარნაბამ და კარს მიუკაკუნა.

კარი მათ ქალიშვილმა გაუღო და ისინი აღმოჩნდნენ დიდი ოთახის პარმაღზე, თითქმის სრულ სიბნელეში – მხოლოდ მაგიდის თავზე, მარცხენა კუთხეში ეკიდა პაწია ნავთის ნათურა. „ეს ვინ მოგიყვანია, ბარნაბა?“ იკითხა გოგონამ. „მიწისმზომელი“, უპასუხა მან. „მიწისმზომელი“, ხმამაღლა გაიმეორა გოგონამ, მაგიდასთან მსხდომთა გასაგონად. მაშინვე ფეხზე წამოდგა ორი მოხუცი – ქალი და მამაკაცი – და კიდევ ერთი ქალიშვილი. ისინი კ.-ს მიესალმნენ. ბარნაბამ ყველა გააცნო – ეს მისი მშობლები და დები, ოლღა და ამალია იყვნენ. კ.-მ ცალი თვალით

გახედა მათ. სველი პალტო გახადეს და გასაშრობად ღუმელთან ჩამოკიდეს. კ. არ შეწინააღმდეგებია.

ესე იგი, ისინი კი არ იყვნენ სახლში, უბრალოდ ბარნაბა იყო თავის სახლში. მაგრამ რატომ იყვნენ აქ? კ.-მ განზე გაიყვანა ბარნაბა და ჰკითხა: „რატომ მოხვედი სახლში? თუ თქვენ გოდლის ფარგლებში ცხოვრობთ?“ „გოდლის ფარგლებში?“ გაიმეორა ბარნაბამ, თითქოს არ ესმისო, რას ეუბნებოდა კ. „ბარნაბა“, თქვა კ.-მ „აკი გინდოდა, ფუნდუკიდან პირდაპირ გოდოლში წასულიყავი.“ „არა, ბატონო“, თქვა ბარნაბამ, „მინდოდა, შინ წამოვსულიყავით, მე მხოლოდ დილაობით დავდივარ გოდოლში და იქ არასდროს არ ვათევ ღამეს.“ „აი, თურმე რა ყოფილა“, თქვა კ.-მ, „ეს იგი, შენ არ აპირებდი გოდოლში წასვლას, შენ თავიდანვე მხოლოდ აქ მოდიოდი?“ ბარნაბას ღიმილი უფრო ფერმკრთალი მოეჩვენა, თვითონ იგი კი ნაკლებად მნიშვნელოვანი. „მაშ რატომ არ გამაფრთხილე?“ „შენ არც გიკითხავს“, თქვა ბარნაბამ, „შენ მხოლოდ გინდოდა, დავალება მოგეცა ჩემთვის, მაგრამ არა საერთო ოთახში და არა შენს სივიწროვეში, ჰოდა, ვიფიქრე, რომ აქ, ჩემს მშობლებთან შენ არავინ შეგიშლის ხელს, მითხრა ყველაფერი, რაც გინდა. ახლა ისინი გავლენ, თუ შენ მიბრძანებ, ხოლო თუ ჩვენთან უფრო მოგწონს, შეგიძლია აქ გაათიო ღამე. განა რაიმე დავაშავე?“ კ.-ს უჭირდა პასუხის გაცემა. მაშასადამე, ყოველივე ეს გაუგებრობა იყო, საზიზღარი, ამაზრზენი გაუგებრობა, ხოლო კ. ასე მწარედ შეცდა. იგი მოაჯადოვა ბარნაბას ტანზე შემოჭერილმა ხავერდოვანმა, აბრეშუმივით ბრჭყვიალა ქურთუკმა, ახლა კი შიკრიკს ღილები შეეხსნა და შიგნით მოუჩანდა უხეში, ჭუჭყიანი რუხი დაკერებულ-დაკემსილი პერანგი, რომელშიც გამოკვეთილიყო მუშაკაცის ძლიერი, დაკუნთული ძარღვიანი მკერდი. და მთელი ვითარება არა მარტო არ ეწინააღმდეგებოდა, კიდევ უფრო აუარესებდა საერთო შთაბეჭდილებას, ეს მოხუცი, ნიკრისის ქარით გატანჯული მამაც, რომელიც ხელის ცეცებით დადიოდა და ძლივს ადგამდა გახევებულ ფეხებს, გულხელდაკრეფილი დედაც, წარმოუდგენელი სიმსუქნის გამო ძლივს რომ დალასლასებდა. ორივენი – დედაც და მამაც – ერთბაშად, როგორც კი კ. შევიდა, მისკენ წამოვიდნენ, მაგრამ ჯერაც ვერ მოახლოვებოდნენ. ორივე და, ასე რომ ჰგავდნენ ერთმანეთს და ბარნაბას ქერა თმებით და გამომეტყველებით, ოღონდ სახის უფრო ტლანქი ნაკვთები ჰქონდათ, ტანადი, ფერხორციანი ქალიშვილები – გარს შემორტყმოდნენ კ.-ს და ელოდნენ, როდის აღირსებდა სალამს მაინც, მაგრამ კ. სდუმდა, ხმას ვერ იღებდა: ეჩვენებოდა, რომ აქ, სოფელში ყოველი კაცი რაღაცას ნიშნავდა მისთვის, და, ალბათ, ასეც იყო, ოღონდ ეს ადამიანები მას არანაირად არ ეხებოდნენ. თვითონ რომ შესძლებოდა, დამოუკიდებლად გაეგნო გზა ფუნდუკისაკენ, ახლავე წავიდოდა. მას სულაც არ ხიბლავდა შესაძლებლობა, დილაუთენია გოდოლში ბარნაბას გაჰყოლოდა. უნდოდა, იქ ბარნაბასთან ერთად შეუმჩნევლად, ღამით მისულიყო, თან ისეთ ბარნაბასთან, როგორადაც ადრე ეჩვენებოდა, იმ კაცთან ერთად, ვინც მისთვის ყველაზე ახლობელი იყო იმათგან, ვისაც სოფელში აქამდე შეხვედროდა და რომელზეც იგი, გარდა ამისა, ფიქრობდა, რომ თავისი, ერთი შეხედვით, მოკრძალებული თანამდებობის მიუხედავად, მჭიდროდ არისო დაკავშირებული გოდოლთან, მაგრამ ასეთი ოჯახის წევრთან ერთად, რომელთანაც ის განუყოფლად იყო დაკავშირებული – იგი უკვე სუფრას მისჯდომოდა მათთან ერთად – ამ კაცთან ერთად, რომელსაც აშკარად ღამესაც არ გაათევინებდნენ გოდოლში, მასთან ხელიხელჩაკიდებული, დღისით-მზისით გამოცხადებულიყო გოდოლში – ეს წარმოუდგენელი, სასაცილო და მარცხისათვის განწირული საქმე იქნებოდა.

კ. ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა, გადაწყვიტა, ასე გაეტარებინა მთელი ღამე და საერთოდ არ მიეღო ამ ოჯახისაგან არავითარი სამსახური. სოფლის მცხოვრებნი, რომლებიც მას გარეთ აგდებდნენ ან უფრთხოდნენ, ახლა გაცილებით უფრო ნაკლებ საშიშნი ეჩვენებოდა: ისინი, არსებითად ბედის ანაბარა ტოვებდნენ მას და ამით ეხმარებოდნენ, შინაგანად მოეკრიბა ძალები, მაგრამ ასეთი ვითომ თანაშემწენი, რომლებიც ნაცვლად იმისა, რომ გოდოლში წაეყვანათ, ინიღბებოდნენ და საკუთარ სახლში მიჰყავდათ, ასეთი ადამიანები გზას ურევდნენ, და ნებსით თუ უნებლიეთ ძალას აცლიდნენ. კ. ოჯახურ სუფრაზე მიიპატიჟეს, მან მიპატიჟებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და თავჩაქინდრული, თავის რაფაზე დარჩა.

მაშინ ოლღა, ორ დათაგან უფრო დამყოლი, ერთგვარი ქალიშვილური კდემით, წამოდგა, კ.-სთან მივიდა და სთხოვა, სუფრაზე დამჯდარიყო. პური და ღორის ქონი უკვე დაეჭრათ, ლუდს კი ახლა მოვიტანო. „საიდან?“ ჰკითხა კ.-მ. „სამიკიტნოდან“, უთხრა გოგონამ. კ.-ს გაეხარდა, ასეთი შემთხვევა რომ მიეცა. ქალიშვილს სთხოვა ლუდი კი არ მოეტანა, უბრალოდ გაეცილებინა იგი ფუნდუკამდე, რადგან იქ მნიშვნელოვანი სამუშაო დარჩენოდა. მაგრამ გამოირკვა, რომ გოგონა ასე შორს, მის ფუნდუკში კი არა, მეორე, გაცილებით უფრო ახლომდებარე სასტუმროში – „საბატონო კარმიდამოში“ აპირებდა წასვლას. მაგრამ კ.-მ დაიჩემა, გაგაცილებო. შესაძლოა, იქ ვიპოვო ღამის სათევი ადგილი: როგორიც უნდა ყოფილიყო იგი, ამ სახლის ყველაზე საუკეთესო საწოლს ერჩივნა. ოლღამ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უპასუხა და სუფრას გახედა. მისი ძმა ფეხზე ადგა, მზადყოფნით დაუკრა თავი და უთხრა: „რა გაეწყობა, თუკი ბატონს ასე სურს!“ ამ თანხმობამ კინაღამ აიძულა კ. უარი ეთქვა თავის თხოვნაზე: თუ ბარნაბა თანხმდება, მაშასადამე ამას არავითარი აზრი არა აქვს. მაგრამ, როდესაც დაიწყო კამათი, საერთოდ შეუშვებდნენ თუ არა კ.-ს სასტუმროში, და ყველამ ეჭვი გამოთქვა, კ.-მ უფრო მტკიცედ მოითხოვა, წავალო, და არც კი ცდილა, რაიმე ჭკვიანური საბაბი მოეგონებინა ასეთი თხოვნისათვის, – დაე, ამ ოჯახმა მიიღოს იგი ისეთად, როგორიც არის, რატომღაც მათი სულ არ ერიდებოდა. ცოტა არ იყოს, აბნევდა მხოლოდ ამალიას სერიოზული, ჯიქური და ჯიუტი მზერა, რომელიც ბრიყვულადაც კი ეჩვენებოდა.

სასტუმროსაკენ მიმავალ მოკლე გზაზე კ. ისე ჩააფრინდა ოლღას, როგორც აქამდე მის ძმას, სხვაგვარად არ შეეძლო, და ქალი თითქმის მიათრევდა; ოლღასაგან შეიტყო, რომ ეს სასტუმრო, არსებითად, განკუთვნილია მხოლოდ გოდლისგორელი ბატონებისათვის. როდესაც ისინი საქმეზე დადიან სოფელში, იქ სადილობენ, ზოგჯერ კი ღამესაც ათევენ. ოლღა ხმადაბლა და თითქოს გულწრფელად ელაპარაკებოდა კ.-ს, სასიამოვნო იყო მასთან სიარული, თითქმის ისევე, როგორც აქამდე მის ძმასთან. და თუმცა კ.-ს არ სურდა, აჰყოლოდა ამ სასიხარულო შეგრძნებას, მას მაინც ვერაფერს უხერხებდა.

სასტუმრო, ერთი შეხედვით, ძალიან ჰგავდა ფუნდუკს, სადაც კ. ჩამოხდა. საერთოდ, ეტყობოდა, რომ სოფელში გარეგნულად დიდად არ ანსხვავებდნენ არაფერს, მაგრამ რაღაც პატარ-პატარა ნაირგვარობანი თვალშისაცემი იყო. პარმაღს მოაჯირი ჰქონდა, კარის თავზე ლამაზი ფარანი ეკიდა. როდესაც ისინი შედიოდნენ, მათ ზემოთ ქსოვილის ნაჭერი აფრიალდა – ეს იყო დროშა გრაფის გერბით. წინკარში მათ სასტუმროს პატრონი შეეფეთა, რომელიც, როგორც ჩანს, შენობის შემოვლაზე იყო: თავისი პატარა გამჭრიახი თუ ნამძინარევი თვალებით სხვათა შორის მოავლო კ.-ს მზერა და თქვა: „უფალ მიწისმზომელს ნება აქვს, მხოლოდ ბუფეტში შევიდესო“. „რა

თქმა უნდა“, თქვა ოლღამ, რომელიც მაშინვე გამოესარჩლა კ.-ს, – „იგი მხოლოდ მე მაცილებს.“ მაგრამ უმადურმა კ.-მ ოლღას გააშვებინა ხელი და განზე გაიყვანა სასტუმროს პატრონი. ოლღა მოთმინებით ელოდებოდა სტუმარს წინკარის კუთხეში. „მინდა, ღამე გავათიო აქ“, თქვა კ.-მ. „სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია“, თქვა სასტუმროს პატრონმა, „როგორც ჩანს, თქვენ არაფერი არ იცით. სასტუმრო მხოლოდ და მხოლოდ გოდლისგორელი ბატონებისთვის არის განკუთვნილი.“ „შეიძლება, ასეც გქონდეთ წესად მიღებული“, თქვა კ.-მ, „მაგრამ სადმე რომ გამათევინოთ ღამე, ალბათ, ეს შეგიძლიათ.“ „დიდი სიამოვნებით გაგათევინებდით“, თქვა სასტუმროს პატრონმა. „მაგრამ რომ არაფერი ვთქვათ თავად წესების სიმკაცრეზე, რომლებზეც თქვენ მსჯელობთ, როგორც უცხო კაცი, თქვენი თხოვნის შესრულება შეუძლებელია იმიტომაც, რომ გოდლისგორელი ბატონები ძალზე მგრძნობიარენი არიან და დარწმუნებული ვარ, უცხო კაცის დანახვაც კი, მეტადრე, გაუფრთხილებლად, მათ გულს მოუყვანს. თუ აქ ღამის გათევის ნებას დაგრთავთ, თქვენ კი შემთხვევით – არადა, შემთხვევა ყოველთვის ბატონების მხარეზეა – აქ დაგინახავენ, მაშინ თქვენც და მეც დავიღუპებით. გაგეცინებათ, უაზრობად ჟღერს, მაგრამ მართლაც ასეა.“ ეს მაღალ-მაღალი კაცი, რომელსაც სერთუკი ყველა ღილზე შეეკრა, ცალი ხელით კედელს მიყრდნობოდა, ხოლო მეორით დოინჯი შემოეყარა, ფეხები გადაეჯვარედინებინა და კ.-სკენ ოდნავ დახრილიყო, მას ისე გულწრფელად ელაპარაკებოდა, რომ გეგონებოდა, არავითარი კავშირი არა აქვსო სოფელთან, თუმცა, მისი მუქი ტანსაცმელი გლეხის სადღესასწაულო სამოსელს გავდა „მე მჯერა თქვენი“, თქვა კ.-მ, „და არც წესების მნიშვნელობას ვაკნინებ, თუმცა მთლად გასაგებად ვერ გამოვთქვი აზრი. მაგრამ მინდოდა, თქვენი ყურადღება მიმეპყრო მხოლოდ ერთი გარემოებისათვის: მე გოდოლში მნიშვნელოვანი ნაცნობობა მაქვს და ცოტა ხანში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მექნება, ეს კი დაგიცავთ თქვენ საფრთხისაგან, რომელიც შეიძლება შეგექმნათ ჩემი ღამისთევის გამო. ჩემი ნაცნობობა იყოს თქვენთვის იმის საწინდარი, რომ მე შემიძლია სრულად დაგიფასოთ ყოველგვარი, თუნდაც უმცირესი სამსახური.“ „ვიცი“, თქვა სასტუმროს პატრონმა და კიდევ ერთხელ გაიმეორა: „ეს მე ვიცი.“ კ.-ს უკვე უნდოდა თავისი თხოვნა დაეზუსტებინა, მაგრამ სასტუმროს პატრონის სიტყვებმა ძაფი გაუწყვიტა, და მხოლოდ ეს ჰკითხა: „დღეს ბევრი გოდლელი ბატონი ათევს ღამეს თქვენთან?“ „ამ მხრივ შეიძლება ითქვას, იღბლიანი დღე გვაქვს“, თქვა სასტუმროს პატრონმა ზანტად, „დღეს ღამის გასათევად მხოლოდ ერთი ბატონი დარჩა.“ მაგრამ კ.-ს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, დაჟინებით გაემეორებინა თხოვნა, თუმცა იმედი ჰქონდა, რომ იგი თითქმის უკვე მიიღეს, და ამიტომ, მხოლოდ გოდლელი ბატონის გვარი იკითხა „კლამი“, თქვა სასტუმროს პატრონმა სხვათა შორის და შებრუნდა თავისი ცოლისაკენ, რომელიც სწორედ ამ დროს გამოვიდა თავისი ძალიან გაცვეთილი, ძველმოდური კაბის შრიალით – უამრავი მაქმანითა და ნაოჭით აჭრელებული კაბა მაინც საკმაოდ კოხტად გამოიყურებოდა, იგი აშკარად ქალაქში იყო შეკერილი. ქალი მეუღლის დასაძახებლად მოსულიყო – ბატონ უფროსს რაღაც უნდაო, გითხრას. წასვლისას სასტუმროს პატრონი კ.-სკენ შებრუნდა, თითქოს ღამისთევის საკითხი მას კი არა, თავად კ.-ს უნდა გადაეწყვიტა. მაგრამ კ.-მ ვერაფერი ვერ უთხრა, იგი მთლად დაიბნა, როცა გაიგო, რომ სწორედ მისი უფროსი ათევს აქ ღამეს. გრძნობდა, რომ კლამის აქ ყოფნა გაცილებით მეტად ბოჭავდა, ვიდრე გოდოლში მიღებული წესები. კ.-ს სულ არ ეშინოდა, მისთვის აქ რომ ჩაევლოთ იმ თვალსაზრისით, როგორც ეს სასტუმროს პატრონს ესმოდა, მაგრამ მისთვის უსიამო უტაქტობა იქნებოდა, უნებლიედ რომ ეწყენინებინა კაცისათვის, რომლისგანაც ის დავალებულია. ამასთანავე, ძალზე

თრგუნავდა ის გარემოება, რომ მის ამ მერყეობაში უკვე აშკარად იჩინა თავი მორჩილების, მუშაკაცის ხელქვეითობის გრძნობამ, რომელიც ასე აშინებდა, და რომ აქაც კი, სადაც ეს შეგრძნება ასეთი ცხადი იყო, მას ვერაფერს უხერხებდა. იგი იდგა, ტუჩებს იკვნეტდა და ხმას არ იღებდა, სანამ კარს მიღმა მიიმალებოდა, სასტუმროს პატრონი კიდევ ერთხელ შემობრუნდა და კ.-ს შეხედა. კ. თვალს არ აცილებდა, ადგილიდან არ იძროდა, სანამ ოლღა არ მოვიდა და ძალით არ წაიყვანა. ,,რა გინდოდა სასტუმროს პატრონისაგან?" ჰკითხა ოლღამ. ,,მინდოდა, აქ გამეთია ღამე", თქვა კ.-მ. ,,კი მაგრამ, შენ ხომ ჩვენთან იძინებ?" გაიკვირვა ოლღამ. ,,ჰო, რა თქმა უნდა", თქვა კ.-მ ორაზროვნად.

3.ფრიდა

ბუფეტში – დიდ, შუაგამოცარიელებულ ოთახში – კედლებთან მიდგმულ ლუდის კასრებთან და ზედ კასრებზე ისხდნენ გლეხები, მაგრამ სულ სხვები, არ გავდნენ იმ ფუნდუკის სტუმრებს, სადაც კ. ჩამოხდა. ისინი ჩაცმული იყვნენ გაცილებით უფრო კოხტად და სუფთად, რუხი-მოყვითალო უხეში ქსოვილის ტანსაცმელში, განიერ ქურთუკებსა და შემოჭერილ შარვლებში, ყველანი იყვნენ თანაბრად პატარა ტანისანი, ერთი შეხედვით, ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს ბრტყელი ძვალ-ტყავა, მაგრამ ღაჟღაჟა პირისახით. ისინი მშვიდად ისხდნენ, თითქმის არ იძროდნენ ადგილიდან და მხოლოდ აუჩქარებელ და გულგრილ მზერას შეავლებდნენ ხოლმე ახლად შემოსულთ. ალბათ იმიტომ, რომ ასე ბევრნი იყვნენ, ირგვლივ კი ასეთი სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, მათ რაღაცნაირად დათრგუნეს კ.. მან კვლავ გაუყარა ხელი ოლღას, თითქოს თავს იმართლებს, აი, ამას მოვყევიო სასტუმროში. ოთახის კუთხეში ფეხზე წამოდგა ვიღაც მამაკაცი, ეტყობა, ოლღას ნაცნობი, და უნდოდა, მასთან მისულიყო, მაგრამ კ.-მ ქალს ხელი მოჰკიდა და მეორე მხარეს გაახედა. ეს, ოლღას გარდა არავის შეუნიშნავს, თვითონ ქალსაც არ გაუწევია წინააღმდეგობა და მხოლოდ ღიმილით გააპარა თვალი იმ კაცისაკენ.

კათხებში ლუდს ასხამდა ახალგაზრდა გოგონა, სახელად ფრიდა. ეს იყო შეუხედავი, პატარა ქერათმიანი ქალი, რომელსაც მწუხარე თვალები და ჩაცვივნული ლოყები ჰქონდა, მაგრამ კ. გააოცა მისმა მზერამ, რომელიც განსაკუთრებული უპირატესობის გრძნობით იყო აღსავსე. როდესაც ქალმა თვალი შეაჩერა კ.-ზე, მას მოეჩვენა, რომ ამ მზერით ქალმა უკვე გადაწყვიტა ბევრი საკითხი, რომელიც მას ეხებოდა. და თუმცა თავად ვერც კი წარმოიდგენდა მათ არსებობას, მაგრამ ქალის მზერა არწმუნებდა, ისინი არსებობენო. კ. შორიდან უყურებდა ფრიდას, მაშინაც კი, როდესაც იგი ოლღას დაელაპარაკა. ოლღასა და ფრიდას შორის მეგობრობა აშკარად არ იყო. მათ მხოლოდ უნდილად უთხრეს ერთმანეთს რამდენიმე სიტყვა. კ.-ს სურდა, გაემხნევებინა ისინი და ამიტომ ყასიდად შეეკითხა: ,,თქვენ იცნობთ ბატონ კლამს?" ოლღამ გულიანად გადაიკისკისა. ,,რას იცინი, რომ იცინი?" – გაღიზიანებულმა ჰკითხა კ.-მ. ,,სულაც არ ვიცინი", – თქვა ქალიშვილმა ისე, რომ არ შეუწყვიტავს სიცილ-კისკისი. ,,ოლღა ჯერ კიდევ მთლად ბავშვია", – თქვა კ.-მ და დახლზე გადაიხარა, რათა კიდევ ერთხელ დაეჭირა ფრიდას მზერა, მაგრამ ქალმა თვალი დახარა და ჩუმად თქვა: ,,გსურთ, ბატონი კლამი ნახოთ?" კ.-მ უთხრა, – კიო. ქალმა თვალით კარზე ანიშნა, იქვე, მისგან ხელმარცხვნივ. ,,აქ არის ჭუჭრუტანა. შეგიძლიათ, გაიხედოთ და ნახოთო. ,,ეს ხალხი რას იტყვის?" – იკითხა კ.-მ, მაგრამ ფრიდამ მხოლოდ ქედმაღლურად გამოწია წინ

ქვედა ტუჩი და უჩვეულოდ რბილი ხელით მოქაჩა კ.-ს კარისაკენ. პატარა ჭუჭრუტანაში, რომელიც აშკარად თვალთვალისათვის იყო გაკეთებული, მან თითქმის მთელი მეზობელი ოთახი დაინახა. საწერ მაგიდას ოთახის შუაგულში მოსახერხებელი მრგვალ-ზურგიანი სავარძლით ეჯდა ბატონი კლამი, რომლის თავზეც კაშკაშა ლამფა ეკიდა. ეს იყო შუა ტანის მსუქანი, საკმაოდ შეუხედავი მამაკაცი. სახეზე ნაოჭები არ ეტყობოდა, მაგრამ ლოყები წლების სიმძიმეს დაედონდლოვებინა და ქვემოთ ჩამოეწია. შავი ულვაში ზოლად მიუყვებოდა ტუჩს. ცხვირზე ირიბად ჩამოცმული პენსნე ლამფის შუქზე ბრჭყვინავდა და თვალებს უფარავდა. კლამი პირდაპირ მაგიდასთან რომ მჯდარიყო, კ. მხოლოდ მის პროფილს დაინახავდა, მაგრამ რაკი კლამი მკვეთრად შებრუნდა მისკენ, პირდაპირ სახეში უყურებდა. მარცხენა იდაყვით კლამი მაგიდას დაყრდნობოდა, მარჯვენა ხელი, თითებშუა გაჩრილი სიგარით მუხლზე ჩამოედო. წინ ედგა ჭიქა ლუდი, მაგრამ მაგიდას მაღალი ქიმი მიუყვებოდა კიდეზე და კ.-მ ვერ გაარჩია, იდო იქ რაიმე ქაღალდები, თუ არა, მაგრამ მოეჩვენა, რომ მაგიდა ცარიელი იყო. ამაში რომ დარწმუნებულიყო, ფრიდას სთხოვა გაეხედა ჭუჭრუტანაში და ეთქვა, რა დევს მაგიდაზე. მაგრამ ქალმა უამისოდაც დაუდასტურა, რომ არავითარი ფურცლები იქ არ არის, მე ცოტა ხნის წინ ვიყავი ამ ოთახში და ვნახეო. კ.-მ ჰკითხა ფრიდას, ხომ არ წავიდეო, მაგრამ ქალმა უთხრა, რამდენიც გინდა, იყურეო. ახლა კ. მარტოდ მარტო დარჩა ფრიდასთან. ოლღას, როგორც შეამჩნია, თავის ნაცნობთან მაინც გაეკვლია გზა, კასრზე დასკუპებულიყო და ფეხებს აქნევდა. „ფრიდა“, ჩურჩულით ჰკითხა კ.-მ, „თქვენ ძალიან კარგად იცნობთ ბატონ კლამს?“ „რა თქმა უნდა!“ თქვა მან. – ქალი დაიხარა კ.-სკენ და კეკლუცად, როგორც კ.-ს მოეჩვენა, გაისწორა თავისი ჰაეროვანი, გულამოღებული კრემისფერი ბლუზა, რომელიც თითქოს ფაშფაშა ქალისაგან მოხვედრილიყო მის ვიწრო მხრებზე, მერე უთხრა, „თქვენ გახსოვთ, როგორ გადაიხარხარა ოლღამ?“ „დიახ, ეს უზრდელობით მოუვიდა.“ „მთლად მასეც არ არის“, დაამშვიდა ფრიდამ, „მას ჰქონდა საფუძველი, გაეცინა. თქვენ იკითხეთ, ვიცნობ თუ არა კლამს, არადა, მე ხომ...“ და ამის თქმისას იგი უნებლიედ გაიმართა წელში, ისევ შეაჩერა მათი საუბრისათვის სრულიად შეუფერებელი გამარჯვებული მზერა კ.-ზე. „მე ხომ მისი საყვარელი ვარ.“ „კლამის საყვარელი?“ იკითხა კ.-მ, და ქალმა თავი დაუკანტურა. „ო, მაშინ თქვენ ჩემთვის...“ და კ.-მ გაიღიმა, რათა მეტისმეტად სერიოზული ელფერი არ მისცემოდა მათ ურთიერთობას. „თქვენ ჩემთვის დიდმნიშვნელოვანი პერსონა ბრძანდებით.“ „და არა მარტო თქვენთვის“, თქვა ფრიდამ თავაზიანად, ისე, რომ არ უპასუხია მისი ღიმილისათვის, მაგრამ კ.-მ უკვე იპოვა საშუალება, მისი ქედმაღლობა რომ გაექარწყლებინა. „თქვენ უკვე იყავით გოდოლში?“ ჰკითხა მან. ამან არ გაჭრა, იმიტომ, რომ ქალმა უპასუხა: „არა, არ ვყოფილვარ, მაგრამ განა არ კმარა ის, რომ მე აქ, ბუფეტში ვარ?“ ამ ქალს წარმოუდგენლად დიდი პატივმოყვარეობა ჰქონდა და, როგორც კ.-ს მოეჩვენა, სურდა, იგი სწორედ კ.-ს მეშვეობით დაეკმაყოფილებინა. „მართალი ბრძანებაა“, თქვა კ.-მ, „თქვენ აქ ბუფეტში, ალბათ, სასტუმროს პატრონის მაგივრად მუშაობთ.“ „უდავოდ“, თქვა ქალმა, „თავდაპირველად მე ხომ მეძროხე ვიყავი ფუნდუკში „ხიდის პირას.“ „ასეთი ნაზი ხელების პატრონი?“ თქვა კ.-მ შეკითხვის კილოთი და თვითონაც არ იცოდა, უნდოდა, ეამებინა ქალისათვის თუ მართლა მოხიბლული იყო ფრიდათი. ხელები ნამდვილად პატარა და ნაზი ჰქონდა, თუმცა შეიძლებოდა მათთვის სუსტი და უშნოც კი გეწოდებინა. „მაშინ მათ არავინ არ აქცევდა ყუოადღებას“, თქვა ქალმა, „ახლაც არ აქცევენ...“ კ.-მ ცნობისმოყვარეობით შეხედა ქალს, მაგრამ მან მხოლოდ გააქნია თავი და მეტი აღარაფერი უთქვამს. „რა თქმა

უნდა“, თქვა კ.-მ, „თქვენ გაქვთ თქვენი საიდუმლოებანი და არ გაუზიარებთ მათ კაცს, რომელიც სულ ნახევარი საათის წინ გაიცანით და რომელსაც ჯერ არ მისცემია საბაბი, ეამბნა თქვენთვის თავის თავზე ყველაფერი.“ მაგრამ ეს შენიშვნა, როგორც აღმოჩნდა, არ ყოფილა მთლად მოსწრებული: მან თითქოს გამოიყვანაო ფრიდა რაღაც ბურუსიდან, რომელიც ხელს აძლევდა კ.-ს. ქალმა მაშინვე ამოიღო ქამარზე დაკიდებული პატარა ტყავის ჯიბიდან მრგვალი საცობი, ჩასვა ჭუჭრუტანაში და კ.-ს უპასუხა: „რაც შეგეხებათ თქვენ, მე ყველაფერი ვიცი. თქვენ მიწისმზომელი ბრძანდებით.“ მერე კი დასძინა: „უკაცრავად, ახლა უნდა ვიმუშაო“, თან, აშკარად ცდილობდა, არ ეჩვენებინა კ.-სთვის, რომ შეიცვალა მისდამი დამოკიდებულება. ქალმა დაიკავა თავისი ადგილი დახლთან, სადაც უკვე მიდიოდნენ სტუმრები და სთხოვდნენ, აევსო ცარიელი კათხა. კ.-ს სურდა, შეუმჩნევლად გამოლაპარაკებოდა ქალს კიდევ ერთხელ, ამიტომ დახლიდან ცარიელი კათხა აიღო და მებუფეტესთან მივიდა. „კიდევ ერთი სიტყვა, ფროილაინ ფრიდა, – ეს ხომ არაჩვეულებრივი მიღწევაა – წარმომიდგენია, რაოდენ დიდი ნებისყოფაა საჭირო, რომ უბრალო მოჯამაგირის ქალი მებუფეტე გახდე, – მაგრამ განა ეს თქვენისთანა ადამიანისათვის ნიშნავს, რომ უკვე მიაღწიეთ საბოლოო საწადელს? თუმცა, ამაოდ გეკითხებით – არ დამცინოთ, ფროილაინ ფრიდა, და თვალებზე გეტყობათ არა იმდენად წარსული, არამედ მომავალი ბრძოლაც. ქვეყნად ხომ ამდენი დაბრკოლებაა, და რაც უფრო მაღალია მიზანი, მით უფრო ძნელი იქნება დაბრკოლებები და არაფერი სათაკილოა, თუ თქვენ მოიპოვებთ თუნდაც უმნიშვნელო, დიდი ვერაფერი გავლენის მქონე, მაგრამ ისეთი კაცის დახმარებას, რომელიც ასევე ჩაბმულია ბრძოლაში. ეგებ, მე და თქვენ შევძლოთ მარტოდ მარტო მშვიდად ვისაუბროთ ყველაფერზე, თორემ ხომ ხედავთ, როგორ მოგვჩერებია ყველა.“ „ვერ გამიგია, რა გინდათ ჩემგან“, თქვა ქალმა და მის ხმაში უნებლიედ გამოსჭვიოდა არა ცხოვრებისეულ გამარჯვებათა სიხარული, არამედ გაუთავებელი იმედგაცრუებებით განცდილი გულისტკივილი. „ხომ არ აპირებთ, კლამს წაართვათ ჩემი თავი? ღმერთო, შენ მიშველე!“ ქალმა ხელები გაასავსავა. „თქვენ მიმიხვდით“, თქვა კ.-მ, თითქოს მობეზრდაო გაუთავებელი უნდობლობა, „სწორედ ასეთი გახლდათ ჩემი იდუმალი განზრახვა. თქვენ უნდა მიატოვოთ კლამი და ჩემი საყვარელი გახდეთ. რაკი გითხარით სათქმელი, ახლა შემიძლია წავიდე.“ „ოლღა!“ დაიძახა კ.-მ. „წავედით შინ!“ ოლღა მაშინვე ჩამოხტა კასრიდან იატაკზე, მაგრამ ძველი ამხანაგები დაეხვივნენ და არ უშვებდნენ. მოულოდნელად ფრიდამ მუქარის თვალით შეხედა კ.-ს და ჩუმად თქვა: „როდის შემიძლია თქვენ დაგელაპარაკოთ?“ „აქ გამათევინებენ ღამეს?“ იკითხა კ.-მ. „დიახ“, უპასუხა ფრიდამ. „მაშასადამე, შემიძლია დავრჩე?“ „გადით ოლღასთან ერთად, რათა მე მოვიშორო ეს ხალხი, შემდეგ შეგიძლიათ დაბრუნდეთ.“ „კეთილი“, თქვა კ.-მ, რომელიც მოუთმენლად ელოდებოდა ოლღას, მაგრამ გლეხები არ უშვებდნენ, რაღაც როკვა გამოეგონებინათ და გოგონას გარს შემორტყმოდნენ. ხმამაღლა ყვიროდნენ, რიგ-რიგობით გამოვარდებოდნენ ხოლმე წრიდან, წელზე ხვევდნენ ხელს და ადგილზე ატრიალებდნენ. ფერხული სულ უფრო ჩქარდებოდა. ხარბი, ხრინწიანი ხმები ერთმანეთს ერწყმოდა. თავდაპირველად ოლღა, რომელიც სიცილით ცდილობდა, თავი დაეღწია მოცეკვავეებისათვის და წრე გამოერღვია, ახლა, თმაგაშლილი, ხელიდან ხელში გადადიოდა. „აი, ასეთ ხალხს მიგზავნიან!“ თქვა ფრიდამ, რომელიც გაბრაზებული იკვნეტდა თხელ ტუჩებს. „ვინ არიან?“ ჰკითხა კ.-მ. „კლამის მსახურები“, უპასუხა ფრიდამ. „წარამარა მოჰყავს ხოლმე აქ, მე კი ძარღვები უნდა ვიშალო. თავად არ ვიცი, რას გეუბნებოდით ახლა, ბატონო მიწისმზომელო, და თუ რაღაც მთლად დალაგებულად არ გამომივიდა, – მაპატიეთ, ამ ხალხის ბრალია.

ამაზე უარესს და საზიზღარს ვერ წარმოიდგენ, და ამ ნაძირალებს უნდა მივართვა ხოლმე ლუდი. რამდენჯერ ვთხოვე კლამს, დატოვოს ხოლმე ისინი შინ, რაკი მე ყველა სხვა ბატონის მსახურნი უნდა ვითმინო, შენ მაინც მეცი-მეთქი პატივი, მაგრამ არავითარი თხოვნა არ ჭრის, მის მოსვლამდე ერთი საათით ადრე შემოცვივდებიან ხოლმე აქ, როგორც პირუტყვი ბოსელში. მაგრამ ახლა ყველას თავლაში გავყრი – იქ არის მათი ადგილი. თქვენ რომ აქ არ ყოფილიყავით, ახლავე გავაღებდი ამ კარს – დაე, კლამმა თავად გაყაროს ისინი.“ „განა კლამს არ ესმის?“ ჰკითხა კ.-მ. „არა“, თქვა ფრიდამ. „კლამს სძინავს.“ „როგორ?“ წამოიძახა კ.-მ. „სძინავს? მაგრამ, როდესაც მე ოთახში შევიხედე, მაგიდასთან იჯდა და სულ არ ეძინა.“ „ასე იცის ხოლმე, სულ ასე ზის“, თქვა ფრიდამ. „როდესაც თქვენ უცქერდით, მას უკვე ეძინა. განა სხვაგვარად შეგახედებდით იქ? ხშირად სძინავს ხოლმე ასეთ მდგომარეობაში, საერთოდ, ამ ბატონებს ბევრი სძინავთ, ვერ გამიგია, რატომ. თუმცა, ამდენი რომ არ ეძინოს, როგორ გაუძლებდა ამ ნაძირალებს? ახლა მე მომიწევს მათი გაყრა.“ ქალმა აიღო მათრახი, რომელიც კუთხეში ჰქონდა მიყუდებული, და ერთი ნახტომით, მოულოდნელი შეკუნტრუშებით – ასე ხტება ხოლმე ცხვარი – მიეჭრა მოცეკვავეებს. თავდაპირველად იფიქრეს, კიდევ ერთი მოფერხულე ქალი შეგვემატაო, და მართლაც, გეგონებოდა, ფრიდა ახლა მათრახს დააგდებსო, მაგრამ მან მყისვე ასწია შოლტი თავს ზემოთ. „კლამის სახელით!“ დაიყვირა მან. „თავლაში! ყველანი – თავლაში!“ აქ მიხვდნენ, რომ მათ არ ეხუმრებიან: კ.-სათვის გაუგებარი შიშით მიფერხულეებმა უკან დაიხიეს. ვიღაცის ხელისკვრა – და კარი გაიღო, ღამის ჰაერი შემოვიდა, წამიც და ყველანი გაქრნენ ფრიდასთან ერთად, რომელიც, როგორც ჩანს, ეზოდან მათ თავლაში ერეკებოდა. მოულოდნელად ჩამოვარდნილ სიჩუმეში კ.-ს წინკარიდან ვიღაცის ფეხისხმა მოესმა. კ.-მ იმავ წამს სამალავს დაუწყო ძებნა, შეამჩნია დახლი – ერთადერთი ადგილი, სადაც შეეძლო, შეეფარებინა თავი, და იქ დაიმალა, მართალია, მას არ ეკრძალებოდა ბუფეტში ყოფნა, მაგრამ რახან აქ აპირებდა ღამის გათევას, არ იყო საჭირო თვალში გაჩხეროდა ვინმეს. ამიტომ, როცა კარი გაიღო, მან დახლქვეშ ჩაყვინთა და თუმც იქაც ემუქრებოდა ერთგვარი საფრთხე, შეემჩნიათ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, მაინც შეეძლო, ემართლებინა თავი, რომ იქ აბობოქრებულ გლეხებს დაემალა. ეს სასტუმროს პატრონი იყო. „ფრიდა!“ დაიძახა მან და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

ბედად, ფრიდა მალევე შემოვიდა, სიტყვით არ უხსენებია კ., და იჩივლა, ამ მოსამსახურეებმა ტვინი წაიღესო, შემდეგ დახლის მიღმა გავიდა იმ იმედით, რომ იქ კ.-ს იპოვიდა. კ. შეეხო ქალის ფეხს და უსაფრთხოდ იგრძნო თავი. ვინაიდან ფრიდამ კ.-ზე არაფერი არ თქვა, მის შესახებ სასტუმროს პატრონი ალაპარაკდა. „ის მიწისმზომელი სადღაა?“ იკითხა მან. როგორც ეტყობოდა საერთოდ თავაზიანი კაცი იყო, ზრდილი, კარგი მანერები ჰქონდა ზემდგომ ბატონებთან მუდმივი და შედარებით თავისუფალი ურთიერთობის წყალობით, მაგრამ ფრიდას განსაკუთრებით მოწიწებული ტონით ელაპარაკებოდა, და ეს მაშინვე გხვდებოდა თვალში, იმიტომ, რომ იგი მეპატრონე იყო, ქალი კი მისი მსახური, თუმცა, უნდა ითქვას, ერთობ თამამი მსახური. „მიწისმზომელი მთლად დამავიწყდა“, თქვა ფრიდამ და თავისი პაწია ფეხი დააბიჯა მკერდზე კ.-ს. „ალბათ, დიდი ხანია წავიდა.“ „მე რომ არ მინახავს?“ თქვა პატრონმა, „თუმცა მთელი ეს დროა, წინკარში ვდგავარ.“ „აქ არ არის“, ცივად თქვა ფრიდამ. „ხომ არ დაიმალა სადმე“, თქვა პატრონმა. „ისეთი სახე აქვს, მისგან ყველაფერს შეიძლება მოელოდო.“ „არა მგონია, საამისო გამბედაობა ეყოს“, თქვა ფრიდამ და უფრო მაგრა დააჭირა კ.-ს ფეხი. ამ ქალს

რაღაც ჰქონდა მხიარული, ლაღი, რაც კ.-ს ადრე არ შეუმჩნევია, და ყოველივე ეს კიდევ უფრო მოულოდნელად გამოჩნდა, როცა ფრიდამ სიცილით ჩაილაპარაკა: „იქნებ, აქ დაიმალა, ქვემოთ?“ დაიხარა კ.-სკენ, უცებ აკოცა, მერე წელში გაიმართა და გულისტკივილით თქვა: „არა, აქაც არ ყოფილა.“ მაგრამ სასტუმროს პატრონმაც გააკვირვა კ., როდესაც უეცრად წარმოთქვა: „ჩემთვის ძალზე უსიამოვნოა, რომ ნამდვილად არ ვიცი, წავიდა თუ არა. და აქ მთავარი არა მარტო ბატონი კლამია, მთავარია მიღებული წესები. წესები კი გეხებათ თქვენც, ფროილაინ ფრიდა, ისევე როგორც მე. ბუფეტისათვის თქვენ აგებთ პასუხს, დანარჩენ ოთახებს მე შევამოწმებ, ღამე მშვიდობისა, კეთილი ანგელოზები!“ ის იყო, ოთახიდან გავიდა, რომ ფრიდამ ელნათურა ჩააქრო და უკვე დახლქვეშ აღმოჩნდა კ.-ს გვერდით. „ჩემო ძვირფასო! ტკბილო, ჩემო, ჩემო!“ ჩასჩურჩულა ყურში, მაგრამ არც კი შეხებია კ.-ს. თითქოს სიყვარულმა ქანცი გააცალაო, ხელი გაეშალა და გულაღმა იწვა. ეტყობა, ბედნიერი შეყვარების ამ მდგომარეობაში დრო უსასრულობად ეჩვენებოდა, გული უმღეროდა, მაგრამ თავი შეიკავა და ჩურჩულით დააღიღინა რაღაც სიმღერა, მერე შეიფრთხიალა – კ. ისევ გაუნძრევლად იწვა, თავის ფიქრებში ჩაფლული, – და ბავშვურად დაუწყო ნჯღრევა: „მოდი, მოდი, აქ, ქვემოთ, შეიძლება გავიგუდოთ!“ ისინი ჩაეხუტნენ ერთმანეთს. ქალის პატარა სხეული იწვოდა კ.-ს მკლავებში. რაღაც ბურუსში, რომლის თავის დაღწევასაც კ. ამაოდ ცდილობდა, ყრუდ მიეხეთქნენ კლამის კარს, რომელიც ორიოდე ნაბიჯზე იყო; და იწვნენ შემდეგ იატაკზე დაყენებულ ლუდის გუბეებსა და დაყრილ ნაგავს შორის. დაიწყო ბედნიერი საათები, ერთობლივი სუნთქვის, ერთობლივი გულისფეთქვისა, საათები, როდესაც კ. გამუდმებით გრძნობდა, რომ გზა აებნა, რომ უკვე ისე შორს აღმოჩნდა უცხო მხარეში, სადაც აქამდე კაციშვილი არ ყოფილა – ცხრა მთას იქით, სადაც თვით ჰაერი სულ სხვა ნაწილაკებისაგან შედგება, ვიდრე შინ, სადაც შეიძლება, დაიხრჩო ამ გაუცხოებისაგან, მაგრამ ვერაფერს ვერ უზამ მის უაზრო ცდუნებებს – შეგიძლია, მხოლოდ ჩაყვინთო მათ მორევში, სულ უფრო ღრმად ჩახვიდე და ჩაიკარგო, და ამიტომ, ყოველ შემთხვევაში, პირველ წუთში მუქარად კი არა, უფრო სწორად, ნუგეშის გამოკრთომად მოესმა ღრმა, მბრძანებლურ-გულგრილი ხმა, რომელიც ფრიდას კლამის ოთახიდან ეძახდა. „ფრიდა“, ჩასჩურჩულა კ.-მ ქალს ყურში, თითქოს ძახილს გადასცემსო. მექანიკური, უკვე თითქოს თანდაყოლილი მორჩილებით ფრიდას უნდოდა ფეხზე წამომხტარიყო, მაგრამ მაშინვე მოეგო გონს, მიხვდა, სად იმყოფებოდა, გაიზმორა, ჩუმად გაიცინა და თქვა: „როგორ წავალ ახლა მასთან, მეტი აღარასდროს აღარ წავალ!“ კ.-ს უნდოდა გადაერწმუნებინა ქალი, უნდოდა, ეიძულებინა, წასულიყო, ის კი არა, მისი ბლუზის ნაფლეთების შეგროვებაც კი დაიწყო, მაგრამ ვერაფერს ამბობდა – მეტისმეტად ბედნიერი იყო, ფრიდას რომ ეხვეოდა, მეტისმეტად ბედნიერი და მეტისმეტად შეშინებული, იმიტომ, რომ ეჩვენებოდა: ახლა ფრიდას რომ დაეტოვებინა – მაშინვე დატოვებდა ყველაფერი, რაც მას აქვს. და, თითქოს კ.-ს მხარდაჭერას გრძნობსო, ფრიდამ მომუჭა მუშტი, კარს დაუკაკუნა და დაიძახა: „მე კი მიწისმზომელთან ვარ! მე კი მიწისმზომელთან ერთად ვარო!“ კლამმა, რა თქმა უნდა, მაშინვე ჩაიკმინდა ხმა. მაგრამ კ. ადგა, ფრიდას გვერდით ჩაიმუხლა და თვალი მოავლო ოთახს, რომლის სიბნელეშიც განთიადის შეუმჩნეველი სინათლე გამომკრთალიყო. რა მოხდა? რა იქნა მისი იმედები? რას შეუძლია ახლა მოელოდოს ფრიდასაგან, რომელმაც ასე დააღალატა. იმის მაგივრად, რომ ფრთხილად ევლო წინ, როგორც ამას მოითხოვდა მტრისა და მიზნის მნიშვნელობა, მთელ ღამეს ლუდის წუმპეებში იკოტრიალა – და ახლა მათი სიმყრალისაგან თავბრუ ეხვეოდა. „ეს რა ჰქენი?“ უთხრა ქალს ხმადაბლა. „ახლა ხომ

ორივენი დავიღუპეთ.“ „არა“, უპასუხა ფრიდამ, „დავიღუპე მარტო მე, სამაგიეროდ ახლა შენ მყავხარ. ნუ სწუხხარ. ერთი შეხედე, როგორ იცინიან ეს ორნი.“ „ვინ?“ იკითხა კ.-მ და შებრუნდა. დახლზე იჯდა ორივე მისი თანაშემწე, ცოტა დაღლილები, ღამენათევნი, მაგრამ მხიარულები, ასეთი მხიარულება ეუფლება ხოლმე ადამიანს თავისი ვალის პატიოსნად მოხდის შემდეგ. „აქ რა ჯანდაბა გინდათ?“ დაუყვირა კ.-მ, თითქოს თანაშემწეების ბრალი ყოფილიყო ყველაფერი, მერე მიმოიხედა, რათა მოეძებნა მათრახი, რომელიც საღამოს ფრიდას ჰქონდა. „ხომ უნდა გვეპოვე“, თქვეს თანაშემწეებმა, „ჩვენთან ქვემოთ არ ჩამოსულხარ, მაშინ ბარნაბასთან დაგიწყეთ ძებნა და, ბოლოს აი აქ გიპოვეთ. მთელ ღამეს გვაყურყუტე აქ. ვინცა თქვას, იოლი სამსახური გაქვთო!..“. „თქვენ მე დღისით მჭირდებით, ღამით კი არა“, თქვა კ.-მ. – აქედან მოშორდით!“ „ახლა კი უკვე დღეა“, თქვეს თანაშემწეებმა, და ადგილიდან არ დაძრულან. მართლაც, უკვე დღე დამდგარიყო, კარი გაიღო, და გლეხები ოლღასთან ერთად, რომელიც კ.-ს სულ მთლად დაავიწყდა, შემოვიდნენ ბუფეტში ისევე, როგორც წინა საღამოს, ოლღა ხალისიან გუნებაზე იყო, და, თუმცა ტანსაცმელიც და თმაც სავალალო მდგომარეობაში ჰქონდა, უკვე შემოსვლისთანავე დაუწყო თვალებით ძებნა კ.-ს. „რატომ არ წამოხვედით წუხელ ჩვენთან?“ ჰკითხა ლამის ცრემლნარევი ხმით, „ვიღაც დედაკაცის გამო!..“ დასძინა შემდეგ, და ეს ფრაზა რამდენჯერმე გაიმეორა. ფრიდა, რომელიც წუთით გაქრა ბუფეტიდან, ისევ შემოვიდა საცვლების პატარა ფუთით ხელში. ოლღა ნაღვლიანად გადგა განზე. „აბა, ახლა შეგვიძლია წავიდეთ“, თქვა ფრიდამ. გასაგები იყო, რომ იგი „ხიდისპირა“ ფუნდუკზე ლაპარაკობს, და სწორედ იქ აპირებს წასვლას. კ. ფრიდას გვერდით დადგა, მის ზურგსუკან ადგილი დაიკავეს თანაშემწეებმა, ასეთი მწყობრით დაიძრნენ. გლეხები ზიზღით უყურებდნენ ფრიდას, რაც სავსებით გასაგები იყო – მეტისმეტად მკაცრად ექცეოდა აქამდე ეს ქალი. ერთმა ჯოხიც კი აიღო ხელში და ისე დაიჭირა თავი, რომ არ გაატარებდა ქალს, თუ იგი ამ ჯოხს არ გადაახტებოდა, მაგრამ საკმარისი იყო ფრიდას ერთი შეხედვა, რომ უკან დაეხია. დათოვლილ ქუჩაში რომ გავიდა, კ.-მ შვებით ამოისუნთქა, ეს იყო ნამდვილი ბედნიერება – გამოსვლა სუფთა ჰაერზე, სადაც გზაც არ გეჩვენებოდა ისეთი აუტანელი. ხოლო კ. აქ ისევ მარტო რომ აღმოჩენილიყო, კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა. ფუნდუკში მისვლისას იგი მაშინვე ავიდა თავის ოთახში და საწოლზე დაწვა, ხოლო ფრიდამ გვერდით, იატაკზე დაიგო ლოგინი. მათ შეჰყვნენ თანაშემწეებიც, ისინი გაყარეს, მაგრამ ამჯერად ფანჯრიდან შემოძვრნენ. კ. მეტისმეტად დაღლილი იყო საიმისოდ, რომ კიდევ ერთხელ გაეყარა ისინი. მეფუნდუკის ცოლი თავისი ფეხით ამოვიდა ზემოთ, რომ ფრიდას მისალმებოდა, რომელიც დიასახლისს „დედილოს“ ეძახდა. დაიწყო გაუგებარ-გაუთავებელი აღტაცებული მისალმებები პირზე კოცნითა და ხანგრძლივი გულში ჩახუტებით. საერთოდ, ამ ოთახს მოსვენება არ ეწერა, წარამარა შემორბოდნენ მოსამსახურე ქალები, ბრახუნით დააბიჯებდნენ ოთახში მამაკაცის ჩექმებით, რაღაც მოჰქონდათ, რაღაც მიჰქონდათ. ხოლო როდესაც პირთამდე გატენილი სკივრ–საწოლიდან რაღაც უნდა ამოელაგებინათ, ისინი უბოდიშოდ იღებდნენ ნივთებს კ.-ს ქვეშიდან, რომელიც იქ იწვა. ფრიდას ისე მიესალმნენ, როგორც თავიასიანს. მაინც, მოსამსახურეების სირბილის მიუხედავად, კ. მთელი დღე და მთელი ღამე იწვა, არ ამდგარა. ფრიდა მზრუნველად უვლიდა, როცა ბოლოს და ბოლოს, მეორე დილას ადგა, ძალამოკრებილი და დასვენებული, სოფელში მისი ყოფნის მეოთხე დღე იწყებოდა.

4. პირველი საუბარი დიასახლისთან

იგი სიამოვნებით დაელაპარაკებოდა ფრიდას მარტო, მაგრამ თანაშემწეებმა, რომლებსაც, სხვათა შორის, ფრიდა ხუმრობით და სიცილ-კისკისით ელაპარაკებოდა, თავიანთი ძალითმაცხოვნეობით გვარიანად გაუწყალეს გული. მეორე მხრივ, იოლი სარჩენი იყვნენ, არაფერს არ თხოულობდნენ, სადღაც კუთხეში ეძინათ ორ ძველ კაბაზე, თან, როგორც ფრიდას ეუბნეოდნენ, ეს მათი ღირსების საქმეა, უფალ მიწისმზომელს ხელი არ შეუშალონ და რაც შეიძლება ნაკლები სივრცე დაიკავონ – ამიტომ სულ ერთთავად ცდილობდნენ შემჭიდროებულიყვნენ, ხითხითით და კისკისით ხელებით და ფეხებით ეხლართებოდნენ ერთმანეთს და იმდენს ახერხებდნენ, რომ დაღამებისას კუთხეში მხოლოდ ერთი დიდი გორგალი მოჩანდა. სამწუხაროდ, დღისით ცხადი ხდებოდა, რომ ერთობ ყურადღებით აკვირდებიან და სულ მუდამ უთვალთვალებენ კ.-ს, მაშინაც კი, როდესაც ისინი, თითქოს პატარა ბავშვები თამაშობენო, მომუჭული მუშტიდან ჭოგრიტივით უყურებდნენ ან მალაყს გადადიოდნენ, და სხვათა შორის ესროდნენ მზერას კ.-ს, როდესაც წვერს ივარცხნიდნენ – როგორც ჩანს, ძალიან ამაყობდნენ თავიანთი წვერ-ულვაშით და წარამარა ადარებდნენ, ვის უფრო გრძელი და ხშირი ჰქონდა, და მსაჯულად ფრიდას უხმობდნენ. კ. ლოგინიდან სრულიად გულგრილად უყურებდა ამ სამის გართობას.

ახლა, როდესაც დასვენებულად იგრძნო თავი, და გადაწყვიტა, ამდგარიყო, სამივემ დასწრებაზე დაიწყო მისი მოვლა-პატრონობა, მაგრამ კ. ჯერ არ იყო ისე მომაგრებული, რომ წინააღმდეგობა გაეწია არამკითხე გადიებისათვის. და თუმცა ესმოდა, რომ ეს დამოკიდებულს ხდიდა მათზე და შეიძლება, ცუდად დამთავრდეს, ვერაფერს გააწყობდა, კაცმა რომ თქვას, არც ისეთი ხელწამოსაკრავი იყო გემრიელი ყავა, რომელიც ფრიდამ მოუტანა, შეფიცხება ღუმელთან, რომელიც ფრიდამ აუნთო და სამსახურის გასაწევად მუდამ მზადმყოფი თანამშემწეების რბენინება კიბეზე ზევით-ქვევით პირის დასაბანი წყლის, საპნის, სავარცხლის და სარკის მოსატანად, ის კი არა, ჭიქა რომის მოსაცუნცულებლადაც, რომელიც კ.-მ ინება.

და აი, იმ დროს, როდესაც მას ემსახურებოდნენ, ის კი „კამანდრობდა“, კ.-მ უეცრად თქვა, უფრო - იმიტომ, რომ კარგ გუნებაზე იყო, ვიდრე წარმატების იმედით: „ახლა კი დროებით მოშორდით აქედან. ჯერ არაფერი არ მჭირდება, მინდა, ფროილაინ ფრიდას პირისპირ ველაპარაკოო.“ და როდესაც სახეზე შეატყო, რომ ისინი მაინც და მაინც დიდ წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, მათ სანუგეშოდ დასძინა: „მერე კი ჩვენ სამივენი ერთად წავალთ მამასახლისთან, ქვემოთ დამელოდეთ.“ მისდა გასაოცრად, თანაშემწეებმა დაუჯერეს, ოღონდ, წასვლისას თქვეს: „ჩვენ აქაც შეგვეძლო დაგლოდებოდითო“, რაზეც კ.-მ უპასუხა: „ვიცი, მაგრამ არ მინდაო.“

კ.-ს არ მოეწონა, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით გაეხარდა კიდეც, რომ ფრიდამ, რომელიც თანაშემწეების წასვლისთანავე კალთაში ჩაუჯდა, უთხრა: „ძვირფასო, რატომ აითვალწუნე ასე თანაშემწეები? ჩვენ არ უნდა გვქონდეს მათგან არაფერი დამალული, ისინი ერთგული ადამიანები არიან.“ „ხო, ერთგული!“ თქვა კ.-მ. „ისინი სულ მუდამ მითვალთვალებენ. ეს უაზრობა, ის კი არა, დიდი საზიზღრობაა.“ „მგონი, შენი მესმის“, თქვა ქალმა და მაგრა მოეხვია კისერზე, უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა, და, რადგანაც სკამი ზედ საწოლის გვერდით იდგა, ორივენი ერთი შექანდნენ, და შემდეგ ლოგინში გადაგორდნენ. ისინი ერთად იწვნენ, მაგრამ უკვე არა ისეთი ვნებით, როგორც წინა ღამეს, რაღაცას ეძებდა ქალი და რაღაცას ეძებდა კ.

ეძებდნენ გაშმაგებული, შეშლილი სახეებით, ერთურთის მკერდში თავის მალვით, მაგრამ მათს ხვევნა-კოცნას, მათი სხეულების ძიგძიგს როდი მოჰქონდა თავდავიწყება, პირიქით, კიდევ უფრო მეტად ახსენებდა ორივეს, რომ მათი ვალია – ეძებონ. და როგორც ძაღლები გაშმაგებით თხრიან ხოლმე მიწას, ისე უღრმავდებოდნენ ისინი ერთმანეთის სხეულებს, და უმწეოდ, იმედგაცრუებით, რათა ბედნიერების უკანასკნელი ნიშან-წყალი არ დაეკარგათ, ლოკვით გადაუვლიდნენ ხოლმე ერთმანეთს სახეზე. და მხოლოდ დაღლილობამ აიძულა ისინი მადლიერად გარინდულიყვნენ. და მაშინ კვლავ შემოვიდნენ მოსამსახურე ქალები. „ერთი ნახეთ, როგორ გაწოლილან აქ!“ თქვა ერთმა მათგანმა და სიბრალულით გადააფარა თავშალი.

როდესაც კ.-მ ცოტა ხნის შემდეგ თავშალი გადაიგდო და მიმოიხედა, სულაც არ გაკვირვებია, რომ თავიანთ კუთხეში უკვე მოკალათებულიყვნენ მისი თანაშემწეები, თითი კ.-საკენ გამოეშვირათ, ხუმრობით ტუქსავდნენ ერთმანეთს და მხედრულ სალამს აძლევდნენ. გარდა ამისა, ზედ საწოლთან იჯდა დიასახლისი და წინდას ქსოვდა. ეს წვრილმანი სამუშაო არანაირად არ შეეფერებოდა მის ზორზოხა ფიგურას, რომელსაც ოთახში ლამის მთელი სინათლე დაეჩრდილა. „მე უკვე დიდი ხანია, გელოდებით“, თქვა მან და ზევით ასწია თავისი განიერი, უამრავი ბებრული ნაოჭით დაღარული, მაგრამ მასიურობის მიუხედავად მაინც ჯერ კიდევ დაუმჭკნარი და, ალბათ, წარსულში ლამაზი სახე. მის სიტყვებში იგრძნობოდა საყვედური, სრულიად უადგილოდ, იმ მიზეზისა გამო, რომ კ.-ს მისთვის აქ საერთოდ არ დაუძახია. ამ სიტყვების პასუხად მან ოდნავ დაუკრა თავი დიასახლისს და საწოლიდან წამოდგა. ადგა ფრიდაც, კ.-ს მოცილდა და დიასახლისის სკამს დაეყრდნო. „ხომ არ შეიძლება, ქალბატონო დიასახლისო“, თქვა კ.-მ, რომელიც სხვა რაღაცაზე ფიქრობდა, „გადაგვედო ჩვენი საუბარი. დამელოდეთ, სანამ მამასახლისისაგან დავბრუნდებოდე, მასთან ერთად მნიშვნელოვანი საქმეები უნდა განვიხილო.“ „ეს საქმე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მერწმუნეთ, უფალო მიწისმზომელო“, თქვა დიასახლისმა, „იქ საქმე ეხება სამუშაოს, აქ კი ადამიანს, ფრიდას, ჩემს საყვარელ მოახლეს.“ „რახან ასეა“, თქვა კ.-მ, „კეთილი, რა თქმა უნდა, ოღონდ არ მესმის, რატომ არ გვემსჯელა ამ საქმეზე მე და ფრიდას.“ „იმიტომ, რომ მე მიყვარს ფრიდა, მაწუხებს მისი ბედი“, თქვა დიასახლისმა და ფრიდას თავი, რომელიც, ფეხზე მდგომი, მჯდომარეს მხოლოდ მხრებამდე სწვდებოდა, ახლოს მიიწია. „რაკი ფრიდა ასე გენდობათ თქვენ“, თქვა კ.-მ, „რა გაეწყობა, მეც უნდა გენდოთ. და რახან ფრიდამ ახლახან უწოდა ჩემს თანამშემწეებს ერთგული ადამიანები, მაშასადამე, ჩვენ აქ ყველანი მეგობრები ვყოფილვართ. ჰოდა, უნდა გითხრათ, დიასახლისო, რომ ჩემი აზრით, ყველას აჯობებს, მე და ფრიდა დავქორწინდეთ, რაც შეიძლება მალე. სამწუხაროა, ძალზე სამწუხარო, რომ მე ვერანაირად ვერ ავუნაზღაურებ ფრიდას იმას, რაც ჩემს გამო დაკარგა – ვერც ადგილს სასტუმროში, და ვერც კლამის მფარველობას.“ ფრიდამ თავი ასწია – თვალში ცრემლი ჩასდგომოდა, გამარჯვებული იერის ნიშან-წყალიც აღარ დარჩენოდა. „რატომ – მე? რატომ მერგო ეს წილად სწორედ მე?“ „რა?“ ერთხმად ჰკითხეს კ.-მ და დიასახლისმა. „საწყალი გოგო დაიბნა“, თქვა დიასახლისმა, „დაიბნა, ამდენი ბედნიერება და ამდენი მწუხარება – ერთად მოადგა!“ და თითქოს მისი სიტყვების დასტურადო, ფრიდა კ.-ს მოეხვია, თავდავიწყებით დაუწყო კოცნა, თითქოს, მათ გარდა ოთახში არავინ ყოფილიყო, გულზე მიეხუტა, აქვითინდა და მის წინაშე დაიჩოქა, და იმ დროს, როდესაც კ. ალერსიანად უსვამდა ორივე ხელს თავზე ფრიდას, კ.-მ დიასახლისს ჰკითხა: „თქვენ, მგონი, მამართლებთ?“ „თქვენ პატიოსანი

კაცი ბრძანდებით“, თქვა დიასახლისმა ასევე ცრემლნარევი ხმით. ეტყობოდა, რომ გულმოკლული იყო. მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და დასძინა: „ოღონდ ახლა უნდა მოიფიქროთ, რა გარანტიებს მისცემთ ფრიდას. თქვენ ხომ, რაოდენ დიდ პატივსაც უნდა გცემდეთ, მაინც უცხო კაცი ხართ, ვერავის მომიყვანთ მოწმედ, თქვენი ოჯახური მდგომარეობა ჩვენთვის უცნობია. მაშასადამე, ძვირფასო ჩემო უფალო მიწისმზომელო, თქვენ უნდა მიხვდეთ, რა გარანტიებია საჭირო. თქვენ ხომ თავად გითქვამთ, რა ბევრს კარგავს ფრიდა თქვენთან სიახლოვით.“ „გარანტიები, რა თქმა უნდა, საჭიროა“, თქვა კ.-მ. „და ალბათ, ყველაზე სწორი იქნებოდა, ისინი ნოტარიუსთან რომ დაგვემოწმებინა, თუმცა, შეიძლება ამ საქმეში ჩაერიონ გრაფის სამსახურის სხვა დაწესებულებებიც. სხვათა შორის, მეც მოსათავებელი მაქვს რაღაც საქმეები ქორწინებამდე. კლამს უნდა დაველაპარაკო.“ „ეს შეუძლებელია!“ თქვა ფრიდამ, რომელიც იატაკიდან წამოიწია და უფრო მაგრა ჩაეხუტა კ.-ს. „რა უცნაური აზრია!“ „არა, ეს აუცილებელია“, თქვა კ.-მ, „და თუ თვითონ ვერ შევძლებ ამის მიღწევას, შენ უნდა დამეხმარო.“ „არ შემიძლია, კ., არ შემიძლია“, თქვა ფრიდამ, „კლამი არასოდეს დაგიწყებს ლაპარაკს ან კი როგორ იფიქრე, რომ კლამი ხმას გაგცემს?!“ „შენ კი დაგიწყებს ლაპარაკს?“ ჰკითხა კ.-მ. „მეც არა“, თქვა ფრიდამ. „არც ერთს არ დაგველაპარაკება. ეს სრულიად შეუძლებელია.“ იგი დიასახლისისაკენ მიბრუნდა და ხელი გაშალა: „დაფიქრდით, დიასახლისო, დაფიქრდით, რას მოითხოვს იგი.“ „უცნაური კაცი ბრძანდებით, უფალო მიწისმზომელო“, თქვა დიასახლისმა, და საშინელი შესახედავი იყო, როგორ გაიმართა წელში იგი მოულოდნელად სკამზე, როგორ გაშალა ფეხები და გამოაჩინა მძლავრი მუხლისთავები თხელ ბოლოკაბაში. „თქვენ შეუძლებელს მოითხოვთ.“ „რატომ არის ეს შეუძლებელი?“ იკითხა კ.-მ. „ახლა ყველაფერს აგიხსნით“, თქვა დიასახლისმა ისეთი ტონით, თითქოს იგი უკანასკნელად კი არ პატიობს კაცს, არამედ უკვე პირველ სასჯელს ადებსო. „ახლავე სიამოვნებით აგიხსნით ყველაფერს. რა თქმა უნდა, მე არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს გოდოლთან. მე მხოლოდ ქალი ვარ, ამ ღვთისაგან დავიწყებული ფუნდუკის დიასახლისი – შესაძლოა, არც მთლად დავიწყებული, მაგრამ ისეთი, რომელიც არც ცოცხლებში წერია და არც მკვდრებში, – ასე რომ, თქვენ შეგიძლიათ არავითარი ყურადღება არ მიაქციოთ ჩემს სიტყვებს, მაგრამ მე დიდი ცხოვრება გამოვიარე, ათასგვარ ადამიანსა ვარ გადაყრილი, მეურნეობის მთელი სიმძიმე ჩემი მხრებით გამოვატარე – და თუმცა ქმარი კარგი მყავს, მაგრამ, როგორც ფუნდუკის პატრონი, იგი ყოვლად უვარგისია. ვერ გაუგია, რა არის პასუხისმგებლობა. აი, თქვენ, მაგალითად, მხოლოდ მისი დოყლაპიობის წყალობით – მე იმ დღეს საშინლად დავიღალე – ზიხართ ჩვენთან სოფელში, აქ რბილ საწოლზე, სითბო თქვენ არ გაკლიათ და ჭამა-სმა.“ „ეს როგორ?“ იკითხა კ.-მ. გაფანტული გონება მოიკრიბა, ეტყობოდა, რომ ღელავდა – უფრო ცნობისმოყვარეობისაგან, ვიდრე გაღიზიანებისაგან. „დიახ, დიახ, მხოლოდ მისი დოყლაპიობის წყალობით“, კვლავ გაიმეორა დიასახლისმა, თან, თითს იშვერდა კ.-საკენ. ფრიდა შეეცადა, დაემშვიდებინა მეფუნდუკის ცოლი. „შენ რაღა გინდა?“ იკითხა დიასახლისმა და მთელი ტანით ფრიდასკენ შებრუნდა. „უფალმა მიწისმზომელმა მკითხა და მე უნდა უნდა ვუპასუხო. თორემ ვერ გაიგებს იმას, რაც ჩვენთვის თავისთავად გასაგებია: უფალი კლამი არასდროს არ დაუწყებს მას ლაპარაკს. მეც რას დამიჩემებია „არ დაუწყებსო“, მას არ შეუძლია დაელაპარაკოს. მისმინეთ, უფალო მიწისმზომელო! უფალი კლამი გოდლელი კაცია, და ეს თავისთავად, იმ ადგილის მიუხედავად, რომელიც კლამს უკავია, ძალზე მაღალი წოდებაა. რას წარმოადგენთ თქვენ, რომლისგანაც ასეთი თავის დამცირებით

მოვითხოვთ ქორწინების თანხმობას? თქვენ გოდლიდან არ ხართ, არც ამ სოფლიდან ხართ. რა ხართ? არაფერი! მაგრამ, საუბედუროდ, თქვენ მაინც ხართ ვიღაც, თქვენ გადამთიელი ხართ, თქვენ ყველგან ზედმეტი ხართ, ყველას ხელს უშლით, თქვენს გამო ყველას გაუთავებელი უსიამოვნებანი აქვთ, თქვენი გულისთვის მოსამსახურე ქალები გამოვასახლეთ, ჩვენ არ ვიცით, რას აპირებთ, თქვენ შეგვიცდინეთ ჩვენი ძვირფასი პაწია, ჩვენი ფრიდა, – და ახლა იგი, სამწუხაროდ, იძულებული ვართ, თქვენ ცოლად გამოგაყოლოთ. მე კი არ გსაყვედურობთ. თქვენ ისეთი ხართ, როგორიც ხართ. რა არ მინახავს ამ ცხოვრებაში, ამასაც ავიტან. ახლა კი, წარმოიდგინეთ, რას მოითხოვთ თქვენ, არსებითად. ისეთმა კაცმა, როგორიც კლამია, – რატომ უნდა დაგიწყოთ ლაპარაკი! მე გული მატკინა იმის გაგებამაც, რომ ფრიდამ ჭუჭრუტანაში შეგახედათ, ეტყობა, რახან ამას დათანხმდა, თქვენ უკვე შეცდენილი გყავდათ. ერთი მითხარით, საერთოდ, როგორ გაუძელით კლამის დანახვას? შეგიძლიათ არ მიპასუხოთ, ვიცი – საუცხოოდ გაუძელით, და ეს – იმიტომ, რომ თქვენ არც შეგიძლიათ დაინახოთ კლამი როგორც წესი და რიგია, არა, მე სულაც არ ვაზვიადებ, მეც არ შემიძლია. გინდათ, რომ კლამი დაგელაპარაკოთ, იგი აქაურებთან, სოფლის წარმომადგენლებთანაც კი არ ლაპარაკობს, ჯერ არასდროს არ გაუცია ხმა სოფლის არც ერთი მცხოვრებისათვის. ფრიდასთვის დიდი პატივი იყო – და მე სიკვდილამდე ვიამაყებ ფრიდათი – რომ იგი მას სახელს ეძახდა და რომ ფრიდას შეეძლო, მიემართა მისთვის, როცა მოესურვებოდა, ჭუჭრუტანით სარგებლობის ნებართვაც კი მიიღო, მაგრამ ლაპარაკით ფრიდას არასდროს არ დალაპარაკებია; ხოლო იმას, რომ კლამი ზოგჯერ ეძახდა ფრიდას, სულაც არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორიც ადამიანებს სურთ მიანიჭონ, უბრალოდ, იგი დაუძახებდა ხოლმე: ,,ფრიდაო“, და რატომ – ვინ უწყის? და ის რომ, ფრიდა მყისვე გარბოდა მასთან, – ეს მისი პირადი საქმეა. ხოლო ის გარემოება, რომ ფრიდას კლამთან უსიტყვოდ უშვებდნენ, – ეს უკვე უფალი კლამის კეთილი ნებაა, არ შეიძლება ამტკიცო, რომ იგი თავისთან იხმობდა. მართალია, ახლა ისიც, რაც იყო, საბოლოოდ დამთავრდა. შეიძლება ისე მოხდეს, რომ კლამმა ოდესღაც კიდევ თქვას: ,,ფრიდაო!“ ეს შესაძლებელია, მაგრამ შეშვებით, – გოგოს, რომელიც თქვენ გადაგეკიდათ, – მასთან აღარავინ შეუშვებს და მხოლოდ ერთი რამ, მხოლოდ ერთი რამ არ შედის ჩემს უბედურ თავში, როგორ დაგრთოთ ნება ქალიშვილმა, რომელზეც ამბობდნენ, კლამის საყვარელიაო – თუმცა მე მიმაჩნია, რომ ეს დიდი გაზვიადებაა, – როგორ დაგრთოთ ნება, თითი დაგეკარებინათ მისთვის?!“

,,დიახ, გასაოცარი საქმეა“, თქვა კ.-მ და ფრიდა კალთაში ჩაისვა, რასაც ქალი არ შეწინააღმდეგებია, თუმცა კი, დახარა თავი, ,,მაგრამ ეს, ჩემი აზრით, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ყველაფერი სულაც არ არის ისე, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ. ერთი მხრივ, თქვენ, რა თქმა უნდა, სწორი ბრძანდებით, როდესაც ამტკიცებთ, თითქოს მე კლამთან შედარებით არარაობა ვარ. მაგრამ თუ ახლა მოვითხოვ კლამთან დალაპარაკებას და მთელი თქვენი ახსნა-განმარტებები არ მაშინებს და ხელს არ ამაღებინებს ამ განზრახვაზე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შემიძლია კლამის დანახვას გავუძლო, როდესაც ჩვენს შუა კარი არ იქნება, სავსებით შესაძლებელია, რომ მისი გამოჩენისთანავე ოთახიდან ტყვიასავით გამოვვარდე, მაგრამ ასეთი, თუმც სავსებით გამართლებული, შიში, ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს, უარი ვთქვა საწადელის მიღწევის ცდაზე. და თუ მე შევძლებ, თამამად გავუსწორო მას თვალი, მაშინ სულაც არ არის აუცილებელი, რომ იგი დამელაპარაკოს, საკმარისი იქნება ისიც, რომ მე დავინახო, რა შთაბეჭდილებას ახდენს მასზე ჩემი სიტყვები. ხოლო თუ – არავითარს,

ან იგი მე საერთოდ არ მათხოვებს ყურს, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, ერთს მაინც მოვიგებ – იმას, რომ მოურიდებლად, ლაღად გამოვთქვი ჩემი აზრი ამა ქვეყნის ძლიერთაგან ერთ-ერთის წინაშე, ხოლო თქვენ, დიასახლისო, ადამიანთა გარჩევის თქვენი დიდი ცოდნის მიუხედავად, თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილების მიუხედავად, და ფრიდას, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ იყო კლამის საყვარელი, მე ვერ ვხედავ ვერავითარ საფუძველს, გავურბოდე ამ სიტყვას, - თქვენ ორივეს, უეჭველია, იოლად შეგიძლიათ გამონახოთ შესაძლებლობა, და შემახვედროთ კლამს, ხოლო თუ სხვა გზით ვერ მოხერხდება, მაშინ ახლავე უნდა წავიდე სასტუმროში: შეიძლება, ის ახლაც იქ იყოს.“

„არა, ეს შეუძლებელია“, თქვა დიასახლისმა, „ვხედავ, რომ თქვენ უბრალოდ ფანტაზია არ გყოფნით, ვერაფერი ვერ გაგიგიათ. მითხარით მაინცაა: რაზე აპირებთ კლამთან ლაპარაკს?“

„ფრიდაზე, რა თქმა უნდა“, თქვა კ.-მ.

„ფრიდაზე?“ იკითხა დიასახლისმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ ბოლომდე ვერ ჩახვდა კ.-ს სიტყვებს, და ფრიდას მიმართა: „გესმის ფრიდა? მას ნდომებია, შენზე დაელაპარაკოს კლამს? თვით უფალ კლამს?“

„ოჰ“, თქვა კ.-მ, „თქვენ ასეთი გონიერი, ღირსეული და პატივსაცემი ქალი ბრძანდებით, და გაშინებთ ყოველგვარი უმნიშვნელო რამ. ბუნებრივია, მინდა კლამს ფრიდაზე ველაპარაკო, და არაფერი საშინელი ამაში არ არის, პირიქით, ეს თავისთავად ცხადია. თქვენ აქაც ცდებით, როდესაც ფიქრობთ, რომ კლამს ჩემი გამოჩენისთანავე გაუქრა ინტერესი ფრიდასადმი. იფიქროთ ასე – ნიშნავს, ჯეროვნად არ აფასებდეთ კლამს. მე საუცხოოდ მესმის, რომ ჩემი მხრივ მეტისმეტი სითამამეა – ჭკუა გასწავლოთ თქვენ, მაგრამ რას იზამ, იძულებული ვარ, ჩემს გამო კლამის დამოკიდებულება ფრიდასადმი ვერანაირად ვერ შეიცვლება. ან მათ შორის არ ყოფილა არავითარი ახლო ურთიერთობა – არსებითად, ასე ფიქრობენ ისინი, ვინც ართმევს ფრიდას კლამის საყვარლობის წოდების უფლებას, მაშინაც და ახლაც არავითარი ურთიერთობა არ არის, ანდა, თუ ასეთი ურთიერთობა არსებობდა, განა შეიძლება იფიქრო, რომ ჩემს გამო - ისეთი, როგორც თქვენ სწორად ბრძანეთ, კაცის გამო, - რომელიც სრული არარაობაა კლამის თვალში, ეს ურთიერთობა შეიძლება დაირღვეს? მხოლოდ შიშით, დაფეთებით, პირველ წუთს ეს კიდევ შეიძლება დაიჯერო, მაგრამ საკმარისია, ცოტა დაფიქრდეთ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. თუმცა, მოდით, ფრიდასაც ვათქმევინოთ თავისი აზრი.“

ჩაფიქრებული ფრიდა ლოყით კ.-ს მკერდს მიკვროდა და სადღაც შორს იყურებოდა. ამ სიტყვების გაგონებაზე კი თქვა: „დედილო, რა თქმა უნდა, ცამდე მართალია. კლამს ჩემი ამბავი აღარ აინტერესებს, არც უნდა, იცოდეს, მაგრამ სულაც არა შენს გამო, ჩემო ტკბილო, – ასეთი ამბები მასზე არ მოქმედებს. მე ისიც კი მგონია, რომ ჩვენ მხოლოდ მისი წყალობით ვიპოვეთ ერთმანეთი, მაშინ, დახლის ქვეშ, და მე კი არ ვწყევლი, არამედ ვლოცავ ამ წუთს.“

„რახან ასეა“, ნელა წარმოთქვა კ.-მ. მას ტკბილად ჩაესმა ყურში ეს სიტყვები, და თვალიც კი დახუჭა, რომ ისინი გულში ჩასწვდომოდნენ, „კეთილი, რახან ასეა, მაშასადამე, ნაკლებად უნდა მეშინოდეს კლამთან ლაპარაკისა“.

„ღმერთმანი“, თქვა დიასახლისმა და კ.-ს ზემოდან დახედა, „ზოგჯერ თქვენ ჩემ ქმარს მაგონებთ, ისეთივე ჯიუტი და ისეთივე ბალღი ხართ. თქვენ აქ სულ რამდენიმე დღეა, ჩამობრძანდით, და გინდათ, უკვე ყველაფერი იცოდეთ უფრო უკეთ, ვიდრე ჩვენ, აქაურებმა, ვიდრე მე, ასაკოვანმა ქალმა, ვიდრე ფრიდამ, რომელსაც ამდენი რამ უნახავს და სმენია იქ, სასტუმროში. არ უარვყოფ, იქნებ, ზოგჯერ შეიძლება კიდეც რაღაცას მიაღწიო, ყველა კანონის, ყველა ძველი წეს-ჩვეულების მიუხედავად. თავად მე ჩემ დღეში ასეთ რამეს არ მოვსწრებივარ, მაგრამ ამბობენ, არისო მაგალითები, ყველაფერი ხდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ამის მიღწევა შესაძლებელია არა ისე, როგორც თქვენ გგონიათ, არა იმ გზით, რომ დაიჩემოთ: „არა, არა, არაო!“ – მხოლოდ ისე, რომ ეცადოთ თქვენი ჭკუით გახვიდეთ ფონს და არავის კეთილ რჩევას არ მიუგდოთ ყური. გგონიათ, მე თქვენზე ვზრუნავ?! რა საქმე მქონდა თქვენთან, როდესაც მარტო იყავით? სხვათა შორის, აჯობებდა, მაშინ ჩავრეულიყავი, შეიძლებოდა, ბევრი რამ თავიდან აგვეცილებინა. მაგრამ მაშინვე ვუთხარი თქვენზე ჩემს ქმარს: „ერიდე-მეთქი ამ კაცს!“ მეც მოგერიდებოდით, ფრიდას ბედი თქვენი ბედისთვის რომ არ დაგეკავშირებინათ, მხოლოდ მას უნდა უმადლოდეთ – გსურთ, თუ არ გსურთ, - ჩემს მზრუნველობას, ჩემს პატივისცემას თქვენდამი. და თქვენ არა გაქვთ უფლება, ერთი ხელის დაკვრით უგულებელმყოთ, მომიშოროთ თავიდან იმიტომ, რომ ჩემს წინაშე, ერთადერთი ადამიანის წინაშე, რომელიც დედაშვილურად ზრუნავს პატარა ფრიდაზე, თქვენ გეკისრებათ ყველაზე სერიოზული პასუხისმგებლობა. შეიძლება ფრიდა სწორიც იყოს, რომ ყველაფერი კლამის ნებით მოხდა, მაგრამ ახლა მე კლამზე არაფერი ვიცი, მასთან არასდროს მომიწევს ლაპარაკი, ეს ჩემთვის სრულიად მიუწვდომელია. თქვენ კი აქ დამჯდარხართ, ჩემს ფრიდას ეხვევით, და – რა დასამალია? – აქ მე გაჩერებთ. დიახ, მე გაჩერებთ. აბა, სინჯეთ, ახალგაზრდავ, მე რომ ჩემი სახლიდან ქუჩაში გიკრათ თავი, იპოვით თავშესაფარს სოფელში სადმე? ძაღლის ბუდრუგანა რაა, იმაშიც არ შეგიშვებენ!“

„გმადლობთ“, თქვა კ.-მ. „თქვენ უაღრესად გულწრფელნი ბრძანდებით, და მე მჯერა თქვენი ყოველი სიტყვისა, მაშასადამე, რა მერყევი მდგომარეობა მქონია მე, და, ესე იგი, ფრიდასაც.“

„არა!“ გულმოსულმა დაუყვირა დიასახლისმა. „ფრიდას სულ სხვა მდგომარეობა აქვს. აქ თქვენ საერთო არაფერი გაქვთ. ფრიდა ჩემი ოჯახის წევრია, და ვერავის მოუბრუნდება ენა, მის მდგომარეობას მერყევი უწოდოს.“

„კეთილი, კეთილი“, თქვა კ.-მ. „დაე, ასე იყოს. თქვენ აქაც სწორი ბრძანდებით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ფრიდას, ჩემთვის უცნობი მიზეზით თქვენი მეტისმეტად ეშინია და ჩარევა არ სურს. მოდით, მხოლოდ ჩემზე ვილაპარაკოთ. ჩემი მდგომარეობა უაღრესად მერყევია, ამას თქვენ არ უარყოფთ, პირიქით, ყოველნაირად ცდილობთ დაამტკიცოთ. თქვენ აქაც ისევე, როგორც ყველაფერში, რაც ბრძანეთ, მეტწილად სწორი ხართ, მაგრამ მეც მაქვს შენიშვნები. მაგალითად, მე ვიცი ადგილი, სადაც საუცხოოდ შემიძლია გავათიო ღამე, რომ მოვინდომო.“

„ნეტავ, სად? სად?“ ერთხმად წამოიყვირეს ფრიდამ და დიასახლისმა ისეთი გზნებით, თითქოს ორივეს ერთნაირი მიზეზი ჰქონოდა ცნობისმოყვარეობისათვის.

„ბარნაბასთან!“ თქვა კ.-მ.

„ამ მათხოვრებთან!“ იყვირა დიასახლისმა. „ამ შერცხვენილ გლახებთან! ბარნაბასთან! თქვენ გაიგონეთ?“, და იგი მიბრუნდა კუთხისაკენ, მაგრამ თანაშემწენი უკვე გამომძვრალიყვნენ იქიდან და, ჩახუტებულნი, დიასახლისის ზურგს უკან იდგნენ, ქალმა კი, თითქოს დასაყრდენს ეძებსო, ხელი სტაცა ერთ მათგანს მკლავში. – „გაიგონეთ, ვის ჩაუძმაკაცდა ეს ვაჟბატონი? ბარნაბას ოჯახს! რა თქმა უნდა, იქ კი გაათევინებენ ღამეს, ოჰ, ნეტავი იქ ათევდეს, და არა სასტუმროში! თქვენ სადღა იყავით?“

„ქალბატონო“, თქვა კ.-მ, სანამ თანაშემწენი ხმას ამოიღებდნენ, „ეს ჩემი თანაშემწენი არიან, თქვენ კი მათ ისე ექცევით, თითქოს თქვენი თანაშემწენი იყვნენ, ხოლო ჩემი - ყარაულები. ყოველივე დანარჩენში მზად ვარ უაღრესად თავაზიანად განვიხილო ყველა თქვენი მოსაზრება, მაგრამ ეს არანაირად არ ეხებათ ჩემს თანაშემწეებს, აქ ისედაც ყველაფერი ნათელია. ამიტომ გთხოვთ, ჩემს თანაშემწეებს ხმას ნუ გასცემთ, ხოლო თუ თქვენ ჩემი თხოვნა გეცოტავებათ, მაშინ ავუკრძალავ ჩემს თანაშემწეებს გიპასუხოთ თქვენ.“

„მაშასადამე, თქვენთვის ხმა ვეღარ გამიცია!“ უთხრა დიასახლისმა თანაშემწეებს და სამივემ გულიანად გაიცინა: დიასახლისმა – იქედნურად, მაგრამ გაცილებით უფრო გესლიანად, ვიდრე კ. მოელოდა მისგან, ხოლო თანაშემწეებმა – თავიანთი ჩვეული გამომეტყველებით, რომელიც ერთდროულად მრავლისმთქმელიც იყო და არაფრისმთქმელიც, და მოწმობდა, რომ ისინი იხსნიან ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

„ოღონდ, ნუ ბრაზობ“, თქვა ფრიდამ, „და სწორად გაგვიგე, რატომ ვღელავთ ასე. თუ მართალი გინდა, მე და შენ მხოლოდ ბარნაბას წყალობით ვიპოვეთ ერთმანეთი. როდესაც მე პირველად დაგინახე ბუფეტში – შენ მაშინ ოლღასთან ხელგაყრილი შემოხვედი, – თუმცა, ზოგი რამ უკვე მსმენოდა შენზე, მაგრამ შენდამი აბსოლუტურად გულგრილი ვიყავი, უფრო ზუსტად, მხოლოდ შენს მიმართ კი არა, თითქმის ყველას მიმართ ვიყავი გულგრილი, და ამ ქვეყანაზე ყველაფრის მიმართ. მართალია, მე მაშინაც ბევრი რამის გამო ვიყავი უკმაყოფილო, ბევრი რამ მაბრაზებდა, მაგრამ რა უკმაყოფილება, რა გაბრაზება იყო ეს?! მაგალითად ჩემი წყენინება შეეძლო ნებისმიერ სტუმარს, რომელიც ბუფეტში შემოეხეტებოდა – ისინი გასაქანს არ მაძლევდნენ, შენ თავად ნახე ეს ბიჭები, მაგრამ უარესებიც მოუყვანიათ, კლამის მსახურებს არ ეთქმით ყველაზე უარესები. ბევრს მოუყენებია წყენა, მაგრამ მე – რა? ვფიქრობდი, რომ ეს ასი წლის წინ მოხდა, ანდა სხვას გადახდა, არა მე, ანდა, ვიღაცამ მიამბო ამის შესახებ, ან ყველაფერი უკვე დავიწყებული მქონდა. არა, ახლა ვერ აღვწერ, ვერც კი წარმოვიდგენ, როგორ იყო ყველაფერი, – იმდენად შეიცვალა ყოველივე მას შემდეგ, რაც კლამმა მიმატოვა.“

აქ ფრიდა დადუმდა, სევდიანად დახარა თავი და ხელები მუხლებზე დაიკრიფა.

„ხომ ხედავთ“, თქვა დიასახლისმა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს თვითონ კი არ ლაპარაკობს, არამედ ფრიდას ახმოვანებსო. ფრიდასთან უფრო ახლოს მიიწია და გვერდით დაუჯდა. „ხომ ხედავთ, უფალო მიწისმზომელო, რა მოჰყვა თქვენს საქციელს?! დაე, ეს ჭკუისსასწავლებელი იყოს თქვენი თანაშემწეებისათვის – მე ხომ მეკრძალება მათთან ლაპარაკი! ფრიდა ბედნიერი იყო, ისეთი ბედნიერი, როგორიც თავის დღეში არ ყოფილა, და თქვენ ამოგლიჯეთ ამ მდგომარეობიდან, მაგრამ თქვენ

ეს მოახერხეთ მხოლოდ იმის წყალობით, რომ ფრიდა ბავშვურად აზვიადებდა ყველაფერს და თქვენ შეებრალეთ – მისთვის აუტანელი იყო იმის დანახვა, როგორ იყავით თქვენ ოლღას მკლავს ჩაფრენილი და, მაშასადამე, - ბარნაბას ოჯახის კლანჭებში მოხვედრილი. თქვენ ფრიდამ გადაგარჩინათ, თვითონ კი ზვარაკად შეეწირა თქვენს ხსნას. ხოლო ახლა, როდესაც ასე მოხდა, და ფრიდამ გაწირა ყველაფერი, რაც მას გააჩნდა, იმ ბედნიერებისათვის, რომ თქვენ გჯდომოდათ კალთაში, ახლა თქვენ ყველაზე მთავარი კოზირი გგონიათ შესაძლებლობა, რომ ბარნაბასთან ათიოთ ღამე! ეტყობა, გსურთ მიჩვენოთ, რომ თქვენ ჩემზე არ ხართ დამოკიდებული? რა თქმა უნდა, მართლაც რომ გაგეთიათ ღამე ბარნაბასთან, ჩემზე ნამდვილად აღარ იქნებოდით დამოკიდებული – იმავ წამს გაგაძევებდით ჩემი სახლიდან.“

„ბარნაბას ოჯახზე არავითარი ცოდვა არ მსმენია და არ ვიცი“, თქვა კ.-მ, ფრთხილად აიყვანა ხელში ფრიდა, რომელიც უსიცოცხლოდ იჯდა, და ნელა დასვა საწოლზე, თვითონ კი ფეხზე წამოდგა. „შესაძლოა, თქვენ აქ სწორიც ბრძანდებოდეთ, მაგრამ მეც უდავოდ სწორი ვიყავი, როდესაც გთხოვეთ, დაგენებებინათ ჩემთვის და ფრიდასთვის, თავად გადაგვეწყვიტა ჩვენი საქმე. თქვენ აქ გაკვრით ბრძანეთ სიყვარულსა და მზრუნველობაზე, მაგრამ მე რაღაც არ შემიმჩნევია ისინი, აქ უფრო მეტი სიძულვილი გამოითქვა, დაცინვა და მუქარა, რომ გამაძევებდით ქუჩაში, თუ განიზრახეთ, ხელი ააღებინოთ ფრიდას ჩემზე, ან მე – ფრიდაზე, ეშმაკურად იქცევით, მაგრამ არა მგონია, რომ ეს მოახერხოთ, ხოლო თუ მოახერხეთ, მაშინ ნება მიბოძეთ, მეც, ამჯერად – თუნდაც, ბუნდოვნად – დაგემუქროთ – მწარედ ინანებთ. რაც შეეხება ბინას, რომელიც თქვენ მომეცით, – საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ამ საზიზღარ ბუდრუგანას – ვერც გაიგებ, თქვენ ეს საკუთარი ნებით გააკეთეთ, თუ არა, ალბათ, მითითება მიიღეთ გრაფის კანცელარიიდან. სწორედ იქ მოვახსენებ, რომ თქვენ უარი მითხარით, ხოლო თუ სხვა საცხოვრისს შემომთავაზებენ, თქვენ, ალბათ, დიდი შვებით ამოისუნთქავთ, მაგრამ მე უფრო მეტ შვებას ვიგრძნობ, ახლა კი მივდივარ სოფლის მამასახლისთან – ამ საქმეზეც და სხვა საქმეებზეც. ხოლო თქვენ, თუ მეტისმეტად არ შეწუხდებით, იზრუნეთ მაინცაა ფრიდაზე – ერთი შეხედეთ, რა დღეში ჩააგდეს იგი თქვენმა, უკაცრაული პასუხია, დედაშვილურმა სიტყვებმა!“

თქვა და თანაშემწეებს მიუბრუნდა, „წავედით!“ ჩამოიღო კლამის წერილი ლურსმნიდან და გასასვლელისაკენ გაემართა. დიასახლისი უსიტყვოდ უყურებდა და მხოლოდ მაშინ, როცა კ.-მ კარის სახელურს მოჰკიდა ხელი, თქვა: „უფალო მიწისმზომელო, მინდა კიდევ ერთი რჩევა მოგცეთ წასვლისას, იმიტომ, რომ რა სიტყვებიც უნდა გეთქვათ, როგორც უნდა გეწყენინებინათ ჩემთვის, ასაკოვანი ქალისათვის, ჩემთვის თქვენ მაინც ფრიდას მომავალი ქმარი ხართ. მხოლოდ ამიტომ გეუბნებით: თქვენ წარმოდგენაც კი არა გაქვთ ჩვენს აქაურ საქმეებზე, და ეს საშინელებაა, პირდაპირ თავი მირატრატებს, როდესაც თქვენ გისმენთ, როცა გონებაში ვადარებ თქვენ სიტყვებს და თქვენს მტკიცებებს საქმის ჭეშმარიტ ვითარებასთან. თქვენს უცოდინარობას ერთბაშად ვერ უშველი, და იქნებ აქ შეუძლებელია რაიმეს გაკეთება, მაგრამ მრავალი თვალსაზრისით აჯობებს, ცოტათი მაინც მომენდოთ და გაიცნობიეროთ, რომ თქვენ არაფერი არ იცით. მაშინ თქვენ, მაგალითად, ჩემს მიმართ გაცილებით უფრო სამართლიანი გახდებოდით და ცოტა მაინც გაიგებდით, რა შიში ვჭამე – ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს, – როცა გავიგე, რომ ჩემმა ძვირფასმა პაწიამ, შეიძლება ითქვას, არწივი მიატოვა და თავისი ბედი

დაუკავშირა ბრმა გველბრუცას, თანაც, სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით უფრო უარესად არის, და მე მხოლოდ ვცდილობ დავივიწყო ეს ამბავი, თორემ კრინტსაც არ დავძრავდი. აი, თქვენ ისევ მოგდით გული. არა, ნუ წახვალთ, მოისმინეთ თუნდაც ეს თხოვნა: სადაც უნდა მიხვიდეთ, გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ სწორედ ის ყველაზე უცოდინარი, საქმეში ჩაუხედავი კაცი, და გაფრთხილდით: აქ, ჩვენთან, სადაც თქვენ უბედურებისაგან გიცავთ ფრიდას გვერდით ყოფნა, შეგიძლიათ, იყბედოთ რამდენიც თქვენს გულსა და სულს ესიამოვნება, მაგალითად, შეგიძლიათ გული იჯეროთ ჩვენს წინაშე, როგორ აპირებთ კლამთან ლაპარაკს, მაგრამ სინამდვილეში, სინამდვილეში – ძალიან, ძალიან გთხოვთ, გემუდარებით – ნუ იზამთ ამას!“

იგი ადგა, აღელვებისაგან წაიბორძიკა და კ.-სთან მივიდა. ხელი ჩაავლო მკლავში და მუდარით ჩახედა თვალებში. „ქალბატონო“, თქვა კ.-მ, „არ მესმის, რატომ იმცირებთ თავს ასეთი საქმის გამო, რატომ მეხვეწებით, თუ, როგორც თქვენ ბრძანებთ, ჩემთვის შეუძლებელია კლამთან ლაპარაკი, მაშასადამე, ამას ვერც მივაღწევ, მთხოვთ თქვენ თუ არ მთხოვთ. მაგრამ თუ ეს მაინც შესაძლებელია, რატომ არ ვისარგებლო ასეთი შესაძლებლობით, მით უმეტეს, რომ მაშინ მოიხსნება ყველა თქვენი მთავარი არგუმენტი და საფუძველი თქვენი დანარჩენი შიშებისა. დიახ, რა თქმა უნდა, მე არაფერი ვიცი აქაური ამბებისა, ეს მართალია, ჩემთვის ძალზე სავალალოა, მაგრამ აქ არის ის უპირატესობაც, რომ არცოდნა არცოდვაა, კაცი, რომელმაც არაფერი არ იცის, უფრო თამამად მოქმედებს, და სწორედ ამიტომ სიამოვნებით დავრჩები მთელი ჩემი არცოდნის ამარა, სანამ ძალი შემწევს, მზად ვარ კისრად ვიდო ყველა ცუდი შედეგი, თქვენ კი, ალბათ, მათ თავიდან ვერ აიცილებთ, მაგრამ ეს შედეგებიც ხომ ძირითადად მხოლოდ მე შემეხება, აი რატომ არის ჩემთვის განსაკუთრებით გაუგებარი თქვენი ხვეწნა-მუდარა. ფრიდაზე თქვენ უეჭველია, იზრუნებთ და თუ მე საერთოდ გავქრები მისი ცხოვრებიდან, ეს, თქვენი თვალსაზრისით, ფრიდასთვის ნამდვილი ბედნიერება იქნება. მაშ რიღასი გეშინიათ? ხომ არ გეშინიათ იმისა, - რომ მთელი ჩემი უცოდინარობის მიუხედავად, ყველაფერი შეიძლება მოგვარდეს“, აქ კ.-მ უკვე კარი გააღო, „შემთხვევით, კლამზე ხომ არ შეგტკივათ გული?“ დიასახლისი უსიტყვოდ უყურებდა რა ჩქარ-ჩქარა ჩაირბინა კიბე, და როგორ მიჰყვნენ უკან თანაშემწეები.

5. მამასახლისთან

მისდა გასაოცრად, მამასახლისთან მომავალი საუბარი ნაკლებად ანაღვლებდა კ.-ს. ამას იმით ხსნიდა, რომ აქამდე, როგორც გამოცდილებამ უჩვენა, გრაფის ადმინისტრაციასთან საქმიანი ურთიერთობა მისთვის ყოველგვარი გართულების გარეშე ვითარდებოდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ, ეტყობა, მის მიმართ გამოცემული იყო გარკვეული, მისთვის უაღრესად ხელსაყრელი ინსტრუქცია, ხოლო მეორე მხრივ, ყველა ინსტანცია გასაოცრად იყო შეკავშირებული ერთ მთლიან ორგანიზმად, თანაც, ეს განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობოდა იქ, სადაც, ერთი შეხედვით, ასეთი კავშირი არ არსებობდა. ამაზე რომ ფიქრობდა, კ. მზად იყო სავსებით დამაკმაყოფილებლად მიეჩნია თავისი მდგომარეობა, თუმცა დროდადრო, გულარხეინობის ასეთი შემოტევების დროს ყოველთვის ეუბნებოდა საკუთარ თავს, რომ სწორედ ამაში იმალება მთავარი საფრთხე. ხელისუფლებთან პირდაპირი კონტაქტი არ იყო ისე გაძნელებული, იმიტომ, რომ ეს ხელისუფალნი მთელი მათი

საუცხოო ორგანიზაციის პირობებში შორეული და უხილავი ბატონების სახელით იცავდნენ შორეულ და უხილავ საქმეებს, არადა, ამ დროს თავად კ. იბრძოდა რაღაც ცოცხალისათვის – საკუთარი თავისათვის. ამასთან, მართალია, მხოლოდ პირველ ხანებში იბრძოდა საკუთარი ნებით, თავად მიდიოდა შეტევაზე. და არა მარტო ის იბრძოდა საკუთარი თავისათვის, მისთვის იბრძოდნენ სხვა ძალებიც – ის მათ არ იცნობდა, თუმცა ხელისუფალთა ძალისხმევის მიხედვით შეეძლო, ევარაუდა, რომ ისინი არსებობენ. მაგრამ იმით, რომ ხელისუფალნი აქამდე სიამოვნებით უწყობდნენ ხელს – მართალია, წვრილმანებში, დიდ ამბებზე აქამდე ლაპარაკი არ ყოფილა, – ისინი ართმევდნენ იოლი გამარჯვებების შესაძლებლობას, ხოლო იმავდროულად ამ კანონიერი გამარჯვებებით განსაცდელ კანონიერ კმაყოფილებასაც, აქედან გამომდინარე სავსებით საფუძვლიანი რწმენით, რომელიც საჭირო იყო შემდგომი, უკვე გაცილებით უფრო სერიოზული ბრძოლებისათვის, ამის მაგივრად ხელისუფალნი ყველგან უშვებდნენ კ.-ს, ყველგან, სადაც კი მოისურვებდა – მართალია, მხოლოდ სოფლის ფარგლებში, – და ამით ძალას აცლიდნენ და ასუსტებდნენ მას: არიდებდნენ რა თავს ბრძოლას, ისინი ნაცვლად ამისა, აბამდნენ მას არასამსახურებრივ, სრულიად გაუგებარ, უღიმღამო და მისთვის უცხო ცხოვრებაში. და თუ კ. სულ ერთთავად ფხიზლად არ იქნებოდა, შეიძლებოდა, ისე მომხდარიყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ადგილობრივ ხელისუფალთა კეთილგანწყობის მიუხედავად, მთელი თავისი უიოლესი სამსახურებრივი მოვალეობების კეთილსინდისიერი შესრულების მიუხედავად, ამ მოჩვენებითი გარეგნული კეთილგანწყობით მოტყუებული კ. თავის დანარჩენ ცხოვრებაში ისე წინდაუხედავად მოიქცევა, რომ რაღაცაზე უთუოდ წაიტეხს კისერს, და მაშინ ხელისუფალნი, კვლავინდებურად თავაზიანად, დაყვავებით, თითქოს არა თავისი საკუთარი ნებით, არამედ ვიღაც მისდამი უცნობის სახელით, უნდა ჩაერიონ და მოიშორონ გზიდან იგი. კაცმა რომ თქვას, არსებითად რაში მდგომარეობდა აქ მისი „დანარჩენი“ ცხოვრება? აქამდე კ.-ს არსად არ ენახა, ასე მჭიდროდ რომ ყოფილიყო გადახლართული ერთმანეთში პირადი და სამსახურებრივი ცხოვრება, როგორც აქ – ისე გადახლართული, რომ ზოგჯერ შეიძლებოდა მოგჩვენებოდა, სამსახურმა და პირადმა ცხოვრებამ ადგილები გაცვალესო. რას ნიშნავდა, მაგალითად, წმინდა წყლის ფორმალური ძალაუფლება, რომელსაც კლამი იჩენდა კ.-ს სამსახურებრივი საქმეების მიმართ, იმ რეალურ ძალაუფლებასთან შედარებით, რომელიც კლამს ჰქონდა კ.-ს საძინებელში? ჰოდა, სწორედ ამიტომ გამოდიოდა ისე, რომ უფრო ქარაფშუტული ყოფაქცევა, უფრო მეტი სილაღე სრულიად ბუნებრივი იყო მხოლოდ ხელისუფლებთან უშუალო შეხებისას, ხოლო სხვა მხრივ, უნდა გემოქმედა უაღრესად ფრთხილად, ყოველმხრივ აგეწონ-დაგეწონა თითოეული მოსალოდნელი შედეგი, თითოეული ნაბიჯი.

ცოტა ხნის შემდეგ მამასახლისთან შეხვედრამ სავსებით დაადასტურა, რომ კ.-ს სწორად წარმოედგინა აქაური წესები. მამასახლისმა, ერთი შეხედვით, გულღია და სალმიანმა სუფთად გაპარსულმა მსუქანმა კაცმა, რომელიც ავად იყო – ნიკრისის ქარების შემოტევა ჰქონდა – კ. მიიღო ლოგინში მწოლიარემ. „ესე იგი, თქვენ ბრძანდებით ჩვენი უფალი მიწისმზომელი“, – თქვა მან და სცადა, წამოწეულიყო, რათა მისალმებოდა, მაგრამ ვერ შეძლო და ისევ ბალიშზე მიესვენა, თან თავის ფეხებზე უჩვენებდა, სულ ამ ფეხების ბრალიაო. ჩუმმა ქალმა, რომელიც ჩრდილივით დაფარფატებდა ერთი ბეწო, ისიც ფარდაჩამოფარებული სარკმლებით ჩაბნელებულ ოთახში, კ.-ს სკამი მოუტანა და ზედ საწოლთან დაუდგა. „დაბრძანდით,

დაბრძანდით, უფალო მიწისმზომელო“, თქვა მამასახლისმა, „და მითხარით ერთი, რა გსურთ?“ კ.-მ კლამის წერილი წაუკითხა და თავისაგან რამდენიმე შენიშვნა დაურთო. აქ მას კვლავ დაეუფლა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის უჩვეულო სიიოლის შეგრძნება. ხელისუფალნი პირდაპირ ართმევდნენ და თვითონ იღებდნენ კისრად ყველა სიძნელეს. მათთვის შეიძლებოდა, რაც გინდა, ის დაგეკისრებინა, ხოლო თავად განზე მდგომი და თავისუფალი დარჩენილიყავი. მამასახლისმა თითქოს იგრძნოო მისი ასეთი განწყობილება და მოუსვენრად აწრიალდა ლოგინში. ბოლოს კი თქვა: „მე, უფალო მიწისმზომელო, როგორც თქვენ, ალბათ, შენიშნეთ, უკვე დიდი ხანია, ყველაფერი ვიცი, ხოლო ის ამბავი, რომ პირადად ჯერ არაფერი მიღონია, იმის ბრალია, რომ ჯერ ერთი, ავად ვარ, მეორეც, თქვენ ისე დიდხანს არ მოდიოდით, რომ უკვე ვიფიქრე: ხომ არა თქვა-მეთქი უარი ამ საქმეზე? მაგრამ ახლა, როდესაც თქვენ ასე თავაზიანად მეახელით სტუმრად, უნდა გითხრათ სრული სიმართლე და – საკმაოდ უსიამოვნო. თქვენი თქმით, თქვენ მიგიღეს როგორც მიწისმზომელი, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ მიწისმზომელი არ გვჭირდება. მიწისმზომლისათვის ჩვენ არა გვაქვს არავითარი, თუნდაც ყველაზე წვრილმანი სამუშაო. ჩვენი პატარა მეურნეობების საზღვრები გავლებულია, ყველაფერი ზედმიწევნით არის გამიჯნული. ხელიდან ხელში საკუთრება ათასში ერთხელ გადადის, ხოლო მიწის გამო წამოჭრილ მცირე დავას ჩვენ თვითონ ვაგვარებთ ხოლმე, მაშ, რაში გვჭირდება მიწისმზომელი?!“ გულის სიღრმეში კ., მართალია, ქვეცნობიერად, უკვე მზად იყო ასეთი სიტყვებისათვის. ამიტომ მან მყისვე უპასუხა: „ეს ჩემთვის სრული მოულოდნელობაა. მაშასადამე, მთელი ჩემი გეგმები ჩაიშალა? შემიძლია, მხოლოდ იმედი ვიქონიო, რომ აქ რაღაც გაუგებრობა მოხდა.“ „სამწუხაროდ, არა“, თქვა მამასახლისმა, „ყველაფერი სწორედ რომ ისეა, როგორც მე მოგახსენეთ.“ „კი მაგრამ, როგორ შეიძლება!“ წამოიძახა კ.-მ. „ნუთუ იმიტომ გამოვიარე ამხელა გზა, რომ უკან გამაბრუნონ?“ „ეს უკვე სხვა საკითხია“, თქვა მამასახლისმა, „იგი არ არის ჩემი გადასაწყვეტი. მაგრამ შემიძლია აგიხსნათ, როგორ მოხდა გაუგებრობა. ისეთ უზარმაზარ დაწესებულებაში, როგორიც არის გრაფის კანცელარია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მით უმეტეს, როცა ერთი განყოფილება ერთ განკარგულებას გამოსცემს, მეორე – მეორეს. მათ არაფერი იციან ერთმანეთის შესახებ, და თუმცა კონტროლის ინსტანცია შეუცდომლად მოქმედებს, მაგრამ თავისი ბუნების გამო იგი ყოველთვის აგვიანებს, სწორედ ამიტომ, შეიძლება წამოიჭრას ათასგვარი უმნიშვნელო გაუგებრობანი. მართალია, ჩვეულებრივ, ეს წვრილმანებია, როგორც თქვენი საქმე. მე ჯერ არასდროს მსმენია, რომ შეცდომები დაეშვათ სერიოზულ ამბებში, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა ეს წვრილმანი ასევე ფრიად უსიამოვნოა. რაც შეეხება თქვენს შემთხვევას, არ დავიწყებ მისგან სამსახურებრივი საიდუმლოს შექმნას – მე ხომ სულაც არა ვარ მოხელე, გლეხკაცი ვარ და გლეხკაცად დავრჩები, თქვენ კი გულახდილად გეტყვით, როგორ მოხდა ყველაფერი დიდი ხნის წინათ – სულ რამდენიმე თვე იყო გასული, რაც მამასახლისის თანამდებობა დავიკავე, – მივიღე განკარგულება, აღარ მახსოვს, რომელი განყოფილებიდან, სადაც კატეგორიული ტონით – ამ ბატონებს სხვაგვარად არ შეუძლიათ – იყო ნათქვამი, რომ სულ მალე მიწისმზომელს გამოიძახებენ და რომ ჩვენს თემს ევალება, მოამზადოს მისი მუშაობისათვის საჭირო მთელი გეგმები და ნახაზები. რა თქმა უნდა, ეს განკარგულება თქვენ არ გეხებოდათ, ეს მრავალი წლის წინათ იყო, და ახლა თავადაც არ გავიხსენებდი, ლოგინად რომ არ ვიყო ჩავარდნილი – ხოლო როდესაც ლოგინში წევხარ, დრო ბევრი გაქვს. ათასგვარი სისულელე მოგდის თავში... მიცი!“ შეწყვიტა თხრობა და ცოლს დაუძახა, რომელიც

გაუგებარი ფაცაფუცით მოძრაობდა ოთახში. „ერთი ნახე, შენი ჭირიმე, იმ კარადაში განკარგულება უნდა იყოს.“ და, მიმართა რა კ.-ს, აუხსნა: „მე მაშინ ახალდაწყებული მქონდა სამსახური და ყოველ ქაღალდს ვინახავდი.“ ცოლმა მაშინვე გააღო კარადა. კ.-მ და მამასახლისმა შიგ შეიხედეს. კარადა ქაღალდებით იყო სავსე, როცა კარი გაიღო, იქიდან გადმოცვივდა ორი უზარმაზარი დასტა საბუთებისა, რომლებიც თოკით იყო გადახვეული. ასეთი თოკით ჩვეულებრივ, ფიჩხის კონებს კრავენ, და შეშინებული ქალი უკან გახტა. „ქვემოთ მოძებნე, ეს ქაღალდები ქვემოთ არის“, ბრძანა მამასახლისმა საწოლიდან. ცოლს ორი ხელით ეკავა შეკვრები და მორჩილად ყრიდა მათ კარადიდან, რათა საჭირო საბუთები ეპოვა. უკვე ნახევარი ოთახი ქაღალდებით იყო მოფენილი. „დიახ“, თქვა მამასახლისმა და თავი გააქნია, „უდიდესი სამუშაოა გაწეული, აქ მხოლოდ მცირედი ნაწილია, მთავარი ბეღელში მაქვს შენახული, თუმცა საბუთების მეტი ნაწილი დიდი ხანია დამეკარგა, განა შესაძლებელია ყველაფერი შეინახო?! მაგრამ ბეღელში ჯერ კიდევ არის ბევრი რამ. რა ქენი, იპოვე განკარგულება?“ ჰკითხა ცოლს. „მოძებნე საქაღალდე, რომელზეც ლურჯი ფანქრითა არის ხაზგასმული სიტყვა „მიწისმზომელი.“ „აქ ძალიან ბნელა“, თქვა ცოლმა. „წავალ, სანთელს მოვიტან.“ ამის თქმაზე კარისაკენ გაეშურა, სანამ გავიდოდა, ქაღალდებზე მიაბიჯებდა. „ცოლი დიდი დასაყრდენია ჩემთვის ამ კანცელარიის ქაღალდებში“, თქვა მამასახლისმა, „ძნელი სამუშაოა, არადა, მისთვის თავისუფალ დროს უნდა მოვიცალო. სადა მაქვს ეს დრო? – მართალია, საწერად მყავს ერთი თანაშემწე, ჩვენი მასწავლებელი, მაგრამ სულ ერთია, ვერ ავუდივარ. აი, რამდენი გადასაწყვეტი საქმე დამიგროვდა, მათ კი უჯრაში ვინახავ“, თქვა და ხელი მეორე კარადისაკენ გაიშვირა, „ახლა კი, როდესაც ლოგინად ჩავვარდი, ქაღალდებში ვიხრჩობით.“ თქვა და დაღლილ-დაქანცული, თუმცა, ამაყი გამომეტყველებით, ბალიშებს მიესვენა. „ეგებ მე დავეხმარო თქვენს ცოლს ძებნაში?“ ჰკითხა კ.-მ, როდესაც სანთლით დაბრუნებულმა ქალმა მუხლებზე დაიჩოქა და საბუთის ძებნა დაიწყო. მამასახლისმა ღიმილით გააქნია თავი: „მე უკვე გითხარით, რომ თქვენგან არა მაქვს არავითარი სამსახურებრივი საიდუმლო, მაგრამ მაინც არ შეიმიძლია, დაგანებოთ ამ ქაღალდებში ქექვა.“ ოთახში სიჩუმემ დაისადგურა, ისმოდა მხოლოდ ქაღალდების შრიალი, მამასახლისმა ცოტა წათვლიმა კიდეც. კარზე გაუბედავი კაკუნის ხმა გაისმა. კ. კარისაკენ შებრუნდა. ეს, რა თქმა უნდა, მისი თანაშემწეები იყვნენ. ეტყობა, მაინც შეძლო ცოტათი აღეზარდა ისინი: ოთახში ველურებივით კი არ შემოცვივდნენ, მხოლოდ ჩაიჩურჩულეს შეღებულ კართან: „მთლად გავითოშეთ ქუჩაში.“ „ვინ არის?“ შეკრთა ნამძინარევი მამასახლისი. „ჩემი თანაშემწეები გახლავან“, თქვა კ.-მ, „არ ვიცი, სად დავალოდინო, ქუჩაში ძალიან ცივა. აქ კი შეგვაწუხებენ.“ „მე არ შემიშლიან ხელს“, თავაზიანად თქვა მამასახლისმა, „აქ შემოუშვით, აკი ვიცნობ ორივეს, ძველი ნაცნობები არიან.“ „თქვენი არ ვიცი, მე კი გვარიანად მომაბეზრეს თავი“, გულახდილად თქვა კ.-მ. თან რიგრიგობით სამივეს ავლებდა თვალს – ჯერ მამასახლისს, მერე თანაშემწეებს, მერე ისევ მამასახლისს, და ხედავდა, რომ სამივეს სახეზე სრულიად ერთნაირი ღიმილი დასთამაშებდა. „კეთილი, რახან აქ მობრძანდით“, თქვა ბოლოს, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი გადაწყვიტაო, „ბარემ დარჩით და დაეხმარეთ მამასახლისის მეუღლეს, იპოვოს საბუთი, რომელზეც ლურჯი ფანქრით არის ხაზგასმული სიტყვა „მიწისმზომელი.“ მამასახლისი არ იყო წინააღმდეგი. მაშასადამე ის, რისი უფლებაც არ ჰქონდა კ.-ს, ნებადართული იყო მისი თანაშემწეებისათვის. ისინი მყისვე ეცნენ ქაღალდებს, მაგრამ უფრო მეტად აქეთ-იქეთ ყრიდნენ საბუთებს, ვიდრე ეძებდნენ, და სანამ ერთი ასო-ასო არჩევდა წარწერას, მეორე უკვე ხელიდან გლეჯდა საქაღალდეს. ხოლო მამასახლისის ცოლი მხოლოდ

ცარიელი კარადის წინ დაჩოქილიყო, და თითქოს საერთოდ შეეწყვიტა ძებნა, ყოველ შემთხვევაში, სანთელი ძალიან შორს ედგა.

,,დიახ, თანაშემწეები", თქვა მამასახლისმა თვითკმაყოფილი ღიმილით, ისე, თითქოს ყველაფერი მისი განკარგულებით კეთდებაო, ოღონდ ეს არავინ არ იცის. ,,მაშასადამე, გული გაგიწყალეს, მაგრამ ეს ხომ თქვენი საკუთარი თანაშემწეები არიან." ,,სულაც არა", ცივად თქვა კ.-მ. ,,ისინი აქ ამეკიდნენ." ,,რას ნიშნავს ,,აგეკიდნენ?" თქვა მამასახლისმა. ,,გინდოდათ, გეთქვათ, ისინი აქ მოგიჩინეს?" ,,კეთილი, ,,მომიჩინეს", თქვა კ.-მ, ,,მაგრამ ასეთივე წარმატებით შეეძლოთ ჩამოცვენილიყვნენ ციდან, ისე წინდაუხედავად მომიჩინეს." ,,წინდაუხედავად ჩვენში არაფერი არ კეთდება", თქვა მამასახლისმა, სულ გადაავიწყდა მტკივანი ფეხი, დაჯდა და წელში გაიმართა. ,,არაფერი?" თქვა კ.-მ. ,,არც ჩემი გამოძახება?" ,,თქვენი გამოძახებაც, ალბათ, წინასწარ იყო მოფიქრებული", თქვა მამასახლისმა, ,,ოღონდ ათასგვარმა გარეშე გარემოებამ ააბნია საქმე, ამას მე დაგიმტკიცებთ საბუთებით ხელში." ,,თუ იპოვეთ... ამ საბუთებს ვერასდროს ვერ იპოვით!" თქვა კ.-მ. ,,როგორ ვერ ვიპოვი?" წამოიძახა მამასახლისმა. ,,მიცი, ძვირფასო, მალე მომიძებნე! თუმცა, შემიძლია გიამბოთ ერთი ამბავი უსაბუთოდაც. განკარგულებას, რომელზეც გელაპარაკეთ, ჩვენ მადლიერებით ვუპასუხეთ, რომ არავითარი მიწისმზომელი ჩვენ არ გვჭირდება. ამ წერილზე პასუხი, როგორც ჩანს, იმ განყოფილებაში არ მისულა, რომელშიც უნდა მისულიყო, – ვუწოდოთ მას ა განყოფილება, შეცდომით მოხვდა ბ განყოფილებაში, მაშასადამე, ა განყოფილება უპასუხოდ დარჩა, თან ბ განყოფილებამაც, სამწუხაროდ, ვერ მიიღო ჩვენი პასუხი მთლიანად: ან პაკეტიდან ამოღებული ქაღალდები ჩვენთან დარჩა, ანდა, გზაში დაიკარგა – ყოველ შემთხვევაში, ჩვენს განყოფილებაში ისინი არ არის, ამაზე თავს ვდებ, – ერთი სიტყვით, ბ განყოფილებაში მოხვდა მხოლოდ საბუთების ყდა. ყდაზე ეწერა, რომ თანდართულ საბუთში – სამწუხაროდ, იგი იქ არ იყო – საქმე ეხება მიწისმზომლის დანიშვნას. ამასობაში, ა განყოფილება ჩვენს პასუხს ელოდებოდა და, თუმცა, მათ ჰქონდათ შენიშვნა ამ საკითხზე, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე საქმეთა უზუსტესი წარმოების დროს – სავსებით გასაგები და გარდაუვალიც კია, – მათი რეფერენტი იმის იმედად იყო, რომ ჩვენ ვუპასუხებთ მათ, და მაშინ იგი ან მიწისმზომელს გამოიძახებს, ანდა, თუ საჭირო გახდა, ჩვენ ხელახლა მოგვწერს. ამიტომ მან უგულებელყო მთელი წინასწარი ჩანაწერები და შემდეგ სულ მთლად გადაავიწყდა ეს საქმე. მაგრამ საბუთების პაკეტი ბ განყოფილებაში მოხვდა იმ რეფერენტთან, რომელიც განთქმული იყო თავისი კეთილსინდისიერებით, – მას სორდინი ჰქვია, იგი იტალიელია, და მეც კი, საქმეში ჩახედულ კაცს, ვერ გამიგია, რატომ არის, რომ ამ კაცს, ასეთი ნიჭის პატრონს, დღემდე უკავია ასეთი უმნიშვნელო ადგილი? მაგრამ გავიდა უკვე რამდენიმე თვე, თუ წელიწადი არა, მას შემდეგ, რაც ა განყოფილებამ პირველად მოგვწერა, და ეს გასაგებია: ქაღალდი ხომ, როგორც წესი და რიგია, თუ სწორი გზით მიდის, მაშინ ხვდება თავის განყოფილებაში სულ დიდი ერთი დღით უფრო გვიან და იქ იმავე დღეს აძლევენ მას მსვლელობას. მაგრამ უკეთუ იგი რაღაც სხვა გზით წავიდა – საქმის ისეთი საუცხოო ორგანიზაციის დროს კი, როგორიც ჩვენს უწყებაშია, ლამის საგანგებოდ უნდა ეძებო ეს ,,სხვა გზა", – მაშინ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ძალზე დიდხანს გრძელდება. და როდესაც ჩვენ მივიღეთ მოთხოვნა-შეკითხვა სორდინისაგან, მხოლოდ ბუნდოვნად გვახსოვდა, რას ეხებოდა საქმე, ჩვენ მაშინ მხოლოდ ორნი – მე და მიცი – ვმუშაობდით, და მასწავლებელი ჯერ არ მყავდა თანაშემწედ დანიშნული, ასლებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ვინახავდით, – ერთი სიტყვით, ჩვენ შეგვეძლო გაგვეცა მხოლოდ ძალზე

გაურკვეველი პასუხი, რომ ასეთი ინსტრუქციის შესახებ არაფერი ვიცით და არც მიწისმზომელი არ გვჭირდება.“

„მაგრამ“, თქვა მცირეოდენი პაუზის შემდეგ მამასახლისმა, თითქოს თავისმა ნაამბობმა ისე გაიტაცა, რომ უკვე ძალიან ღრმად შეტოპა, ან ეს სადაცაა მოხდებაო, „ხომ არ მოგბეზრდათ ამ ამბის სმენა?“

„არა“, თქვა კ.-მ „ძალიან თავშესაქცევი ამბავია.“

მამასახლისი მაშინვე შეეპასუხა: „მე თავშესაქცევად კი არ გიამბობთ ამას.“

„თავშესაქცევიო, იმიტომ გითხარით“, აუხსნა კ.-მ, „რომ შემეძლო ჩამეხედა ამ სულელურ არეულობაში, რომელზეც, გარკვეულ პირობებში ადამიანის ყოფნა-არყოფნა დამოკიდებული.“

„ჯერ არსად არ ჩაგიხედავთ“, თქვა მამასახლისმა, „და მე შემიძლია, გიამბოთ, რა მოხდა შემდეგ. რა თქმა უნდა, ჩვენმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა ისეთი კაცი, როგორიც არის სორდინი. მე ვეთაყვანები მას, თუმცა სიქა გამაცალა. საქმე ის გახლავთ, რომ იგი არავის არ ენდობა: მაშინაც კი, მაგალითად, ათასჯერ რომ დარწმუნდეს, რომ კაცი სრულ ნდობას იმსახურებს, იგი ათასმეერთედ ისეთივე უნდობლობით მოეკიდება, თითქოს საერთოდ არ იცნობდეს, უფრო სწორად, ზუსტად იცის, რომ მის წინაშე გაიძვერაა. ჩემდათავად, ეს სწორად მიმაჩნია. მოხელე სწორედ ასე უნდა იქცეოდეს. სამწუხაროდ, თავად მე, ჩემი ხასიათის გამო, ვერ მივბაძავ მის მაგალითს. ხომ ხედავთ, როგორ მოგენდეთ თქვენ, უცხო ადამიანს, და ყველაფერს გიკაკლავთ, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია. ხოლო სორდინის ჩვენს პასუხთან დაკავშირებით მყისვე გაუჩნდა ათასგვარი ეჭვი. და დაიწყო ხანგრძლივი მიმოწერა. სორდინიმ მოითხოვა პასუხი, რატომ მომივიდა თავში, მეცნობებინა, რომ მიწისმზომლის გამოძახება არ არის საჭირო. მე ვუპასუხე – და აქ მიცის იშვიათი მეხსიერება დამეხმარა, – რომ პირველმა დააყენა ეს საკითხი კანცელარიამ (ის ამბავი, რომ ჩვენ მაშინ შეკითხვა მივიღეთ სხვა განყოფილებიდან, რა თქმა უნდა, მთლად დავიწყებული გვქონდა). მაშინ სორდინიმ დაგვისვა კითხვა: რატომ ვახსენე მე მხოლოდ ახლა კანცელარიიდან მიღებული პირველი შეკითხვა? მე კი ვუპასუხე: იმიტომ, რომ მხოლოდ ახლა გამახსენდა-მეთქი. სორდინი: ეს უაღრესად უცნაურია. მე მივწერე, სულ არ არის უცნაური ასეთ გაჭიანურებულ საქმეში. სორდინი: ეს მაინც უცნაურია, იმიტომ, რომ შეკითხვა, რომელიც მე ვახსენე, საერთოდ არ არსებობს. მე: რა თქმა უნდა, არ არსებობს, იმიტომ, რომ საბუთი დაკარგულია. სორდინი: მაგრამ ხომ უნდა არსებობდეს რაღაც ჩანანიშნი იმის შესახებ, რომ ასეთი შეკითხვა გამოიგზავნა. იგი კი არსად არ არის. დავიბენი, იმიტომ, რომ ვერ ვბედავდი ვერც მტკიცებას, ვერც ვარაუდის გამოთქმას, რომ სორდინის განყოფილებაში შეცდომა მოხდა. შესაძლოა, თქვენ, უფალო მიწისმზომელო, გულში საყვედურობთ სორდინის იმისათვის, რომ მას შეეძლო გამოეჩინა ყურადღება ჩემი მტკიცებებისადმი, და თუნდაც ეკითხა სხვა განყოფილებებში ამ შეკითხვის ამბავი. მაგრამ სწორედ ეს იქნებოდა უმართებულო და მე არ მინდა, რომ თქვენ, თუნდაც გულში, ჩრდილი მიაყენოთ ამ კაცის სახელს. მთავარი კანცელარიის მთელი საქმიანობა ისეა აგებული, რომ საერთოდ გამორიცხულია შეცდომების დაშვების შესაძლებლობა. ამ წესს უზრუნველყოფს საუცხოო სამსახურის ორგანიზაცია, მთლიანად, და იგი აუცილებელია შესრულების რაც შეიძლება მეტად დაჩქარებისათვის. ამიტომ,

სორდინის არ შეეძლო, ეკითხა ამბავი სხვა განყოფილებებში. თუმცა, ისინი არც გასცემდნენ მას პასუხს, იმიტომ, რომ იქ მაშინვე მიხვდებოდნენ, რომ საქმე ეხება შესაძლო შეცდომის ძებნას.“

,,ნება მიბოძეთ, უფალო მამასახლისო, შეგაწყვეტინოთ და ერთი კითხვით მოგმართოთ“, თქვა კ.-მ, ,,მგონი, თქვენ აქამდე ახსენეთ რაღაც კონტროლის განყოფილება? როგორც ჩანს, აქ ისეთი მეურნეობაა, რომ კაცს თავზარი დაგეცემა იმის გაფიქრებაზეც კი, რომ კონტროლმა დაგაღალატოს.“

,,თქვენ ძალზე მკაცრი ბრძანდებით“, თქვა მამასახლისმა, ,,მაგრამ ათასგზის უფრო მკაცრიც რომ იყოთ, ვერ შეედრებოდით იმ სიმკაცრეს, რომლითაც საქმეთა მმართველობა ეკიდება საკუთარ თავს. მხოლოდ მთლად უცხო კაცს შეუძლია დასვას ასეთი კითხვა, არსებობს კონტროლის განყოფილება? დიახ, აქ ყველგან მხოლოდ კონტროლის განყოფილებებია. მართალია, ისინი იმისთვის არ არის განკუთვნილი, რომ აღმოაჩინონ შეცდომები ამ სიტყვის უხეში თვალსაზრისით, იმიტომ, რომ შეცდომები აქ არ ხდება, ხოლო თუ ხდება, როგორც თქვენს შემთხვევაში, ვის შეუძლია საბოლოოდ თქვას, რომ ეს შეცდომაა?“

,,ეს სულ სხვაა, ახალი ამბავია!“ წამოიძახა კ.-მ.

,,ჩემთვის კი ძალიან ძველია!“ თქვა მამასახლისმა, ,,მე თქვენზე ნაკლები როდი მჯერა, რომ მოხდა შეცდომა, და სორდინი სწორედ ამიტომ გახდა ავად – სასოწარკვეთილებისაგან, და პირველმა საკონტროლო ინსტანციებმა, რომლებსაც ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ, რომ მათ აღმოაჩინეს შეცდომის წყარო, ასევე აღიარეს, რომ შეცდომა არის. მაგრამ ვინ დაუდგება თავდებად იმას, რომ მეორე საკონტროლო ინსტანციაც ასევე განსჯის, მის შემდეგ მესამე და ყველა მომდევნონი?“

,,ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, თქვა კ.-მ, ,,აჯობებს, არ მოვყვე განსჯას, თანაც, სიტყვამ მოიტანა, და კონტროლის განყოფილებების ამბავი პირველად მესმის და, რა თქმა უნდა, ჯერ ვერ ვიგებ, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ უნდა გაიმიჯნოს საქმის ორი მხარე: ერთი, ის, რაც განყოფილებათა შიგნით ხდება, და, რაც მათ შეუძლიათ ასე თუ ისე ოფიციალურად განმარტონ, და, მეორე, არსებობს ცოცხალი ადამიანი, მე, რომელიც ყველა ამ სამსახურის მიღმა დგას და რომელსაც სწორედ ამ სამსახურებისაგან ემუქრება ისეთი უაზრო გადაწყვეტილება, რომ მე სერიოზულად მართლა ვერ დავიჯერებ ამ საფრთხეს. საკითხის პირველ მხარესთან დაკავშირებით ყველაფერი ცხადია და ისე არის, როგორც თქვენ, უფალო მამასახლისო, ახლა ჩამოაყალიბეთ საქმის გასაოცარი და უჩვეულო ცოდნით, მაგრამ ახლა მინდა, მოვისმინო ორიოდ სიტყვაც ჩემს შესახებ.“

,,აქამდეც მივალ“, თქვა მამასახლისმა, ,,მაგრამ თქვენ ვერაფერს ვერ გაიგებთ, თუ რაღაც წინასწარ არ აგიხსენით. მე მეტისმეტად ნაადრევად ვახსენე კონტროლის განყოფილებები. დავუბრუნდეთ სორდინისთან მიმოწერას. როგორც უკვე გითხარით, მე სულ უფრო ნაკლებად ვეპასუხებოდი მას, მაგრამ როდესაც სორდინის ხელში აქვს თუნდაც უმცირესი უპირატესობა ვისიმე წინაშე, იგი უკვე გამარჯვებულია. აქ კიდევ უფრო მეტად ძლიერდება მისი ყურადღება, ენერგია, ნებისყოფა; ეს სანახაობა თავზარს სცემს მოწინააღმდეგეს და ფრთას ასხამს ამ მოწინააღმდეგეთა მტრებს. მეც მომსვლია ზოგჯერ ასეთი რამ, ამიტომ, შემიძლია, ვილაპარაკო ამის შესახებ. კაცმა რომ თქვას, ჯერ არასდროს მინახავს იგი საკუთარი თვალით, აქ ვერ ჩამოდის –

მეტისმეტად გადატვირთულია სამუშაოთი, როგორც მითხრეს, მის კაბინეტში კედლებიც კი არ ჩანსო – ჭერამდეა ახუხულებული საქაღალდეების შეკვრები საქმეებით, და მხოლოდ ისეთი საქმეებით, რომლებზეც ახლა მუშაობს სორდინი და რაკი სულ მუდამ ხან იღებენ იქიდან საქაღალდეებს, ხან უკან აბრუნებენ, თანაც, ყველაფერი ნაჩქარევად კეთდება, ქაღალდების ეს გროვები დრო და დრო ჩამოიშლება ხოლმე, სორდინის კაბინეტი ყველა დანარჩენისაგან გაუთავებელი პარტყა-პურტყით და ბრახა-ბრუხით გამოირჩევა. დიახ, სორდინი ისე მუშაობს, როგორც ჯერ არს. იგი იმდენსავე ყურადებას უთმობს ყველაზე წვრილმან საქმეებს, როგორც ყველაზე მსხვილმანს.“

„აი, თქვენ, უფალო მამასახლისო, სულ მუდამ უწოდებთ ჩემს საქმეს წვრილმანს“, თქვა კ.-მ, „არადა, მას დრო დაუთმო ბევრმა მოხელემ, და მაშინაც კი, თუ იმ საქმეთა გროვაში იგი საერთოდ შეუმჩნეველი იყო, ახლა, უფალ სორდინის მსგავსი მოხელეების გარჯით უკვე კარგა ხანია გადაიზარდა დიდ საქმედ. სამწუხაროდ, ეს ასეა, თანაც, მერწმუნეთ, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, – ჩემი პატივმოყვარეობა იმით კი არ გამოიხატება, რომ ჩემი გულისთვის ჭერამდე ადიოდეს და იშლებოდეს ჩემი საქმის საქაღალდეების შეკვრების უზარმაზარი გროვები, არამედ ის, რომ ხელი არ შემიშალონ და დამანებონ, მშვიდად ვაკეთო ჩემი საქმე – ჩემი წვრილმანი გეოდეზიური სამუშაო პატარა სამხაზველო მაგიდასთან.“

„არა“, თქვა მამასახლისმა, „თქვენს საქმეს დიდი არ ეთქმის. ამ მხრივ სასაყვედურო არაფერი გაქვთ. იგი ერთ-ერთი ყველაზე უმცირესია სხვა უმცირეს საქმეთაგან. სამუშაოს მოცულობა სულაც არ განსაზღვრავს საქმის მნიშვნელობის ხარისხს. თქვენ მიახლოებითი წარმოდგენაც კი არა გაქვთ ჩვენს ადმინისტრაციაზე, რახან ასე ფიქრობთ, მაგრამ მაშინაც კი, მთავარი რომ იყოს სამუშაოს მოცულობა, თქვენი საქმე, სულ ერთია, ყველაზე უმნიშვნელოთა შორის აღმოჩნდებოდა, ჩვეულებრივი საქმეები, ანუ ისინი, რომლებშიც არ არის ეგრეთ წოდებული შეცდომები, კიდევ უფრო გაძლიერებულ, მაგრამ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ნაყოფიერ მუშაობას მოითხოვენ. გარდა ამისა, თქვენ ხომ ჯერ არაფერი იცით იმ ნამდვილი სამუშაოს თაობაზე, რომელიც თქვენს გამო გავწიეთ. სწორედ ამის შესახებ მინდა გიამბოთ ახლა. თავდაპირველად სორდინი მე არაფერში არ მითრევდა, მაგრამ მოდიოდნენ მისი მოხელეები, სასტუმროში ყოველ ცისმარე დღეს მიმდინარეობდა სოფლის ყველაზე თვალსაჩინო მცხოვრებთა დაკითხვა, ივსებოდა ოქმები. მცხოვრებთა უმრავლესობა მე მიჭერდა მხარს, ზოგი ჯიუტობდა. გლეხკაცისათვის ნაკვეთის გაზომვა ხომ საშვილიშვილო საქმეა. მას ყველაფერში ფარული პირშეკვრა და უსამართლობა ეჩვენება, აქ კი მათ თავკაციც გამოუჩნდათ, და სორდინის, მათი თქმით, ისეთი შთაბეჭდილება უნდა შექმნოდა, მე რომ დამაყენებინა ეს საკითხი თემის წარმომადგენელთა წინაშე, ყველა არ იქნებოდა მიწისმზომლის გამოძახების წინააღმდეგი. ამიტომ მოსაზრება, რომ მიწისმზომელი ჩვენ არ გვჭირდება, სულ მუდამ დგებოდა კითხვის ქვეშ. აქ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ვინმე ბრუნსვიკმა – თქვენ, ალბათ, მას არც იცნობთ, – შეიძლება, არც იყოს ცუდი ადამიანი, მაგრამ ბრიყვია და მეოცნებე, იგი ლაზემანის სიძეა.“

„დაბაღი?“ ჰკითხა კ.-მ და აუწერა წვეროსანი, რომელიც ლაზემანთან ნახა.

„დიახ, ეს ის არის“, თქვა მამასახლისმა.

„მე მის ცოლსაც ვიცნობო“, თქვა კ.-მ, უფრო ალალბედზე.

„შესაძლოა“, თქვა მამასახლისმა და დადუმდა.

„ლამაზი ქალია“, თქვა კ.-მ, „მართალია, ფერმკრთალია, სნეულსა ჰგავს. ალბათ, გოდლიდან არის!“ ნახევრად კითხვით დასძინა მან.

მამასახლისმა საათს დახედა, კოვზში წამალი დაისხა და ჩქარ-ჩქარა გადაყლაპა.

„თქვენ, ალბათ, გოდოლში მხოლოდ კანცელარიის ამბები იცით?“ მკვეთრად ჰკითხა კ.-მ.

„დიახ“, უპასუხა მამასახლისმა ირონიული და მაინც არხეინი ღიმილით. „ეს ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის. ახლა ბრუნსვიკს დავუბრუნდეთ: ჩვენ რომ შეგვეძლოს გავრიცხოთ იგი ჩვენი თემიდან, თითქმის ყველა ბედნიერი იქნებოდა, პირველ რიგში – ლაზემანი, მაგრამ, ამავე დროს, ბრუნსვიკს რაღაც გავლენა ჰქონდა. იგი ვერაფერი ორატორია, მაგრამ სამაგიეროდ მყვირალაა, ბევრისთვის კი ესეც საკმარისია. ჰოდა, მოხდა ისე, რომ მე იძულებული შევიქენი საკითხი დამეყენებინა მთელი საბჭოს წინაშე – ერთადერთი, რასაც ბრუნსვიკმა მიაღწია, იმიტომ, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოს წევრთა უმრავლესობას ვიღაც მიწისმზომლის გაგონებაც კი არ სურდა. და თუმცა, ყოველივე ეს მრავალი წლის წინ მოხდა, საქმე ვერანაირად ვერ შეწყდებოდა – ნაწილობრივ სორდინის კეთილსინდისიერების გამო, რომელიც საგულდაგულო გამოძიებებით ცდილობდა, გაერკვია, რას ეფუძნება არა მარტო უმრავლესობის, არამედ ოპოზიციის ნება, ნაწილობრივ – ბრუნსვიკის სიბრიყვისა და პატივმოყვარეობის გამო, პირადად რომ არის დაკავშირებული ბევრ მოხელესთან, რომლებსაც გული გაუწყალა თავისი მონაჩმახი ფანტაზიებით. მართალია, სორდინი თავს არ ატყუებინებდა ბრუნსვიკს. თუმცა, ძალიანაც რომ მოეწადინებინა, ბრუნსვიკი ვერც მოატყუებდა. მაგრამ სწორედ მოტყუების თავიდან ასაცილებლად იყო საჭირო ახალი გამოძიება, და ერთი გამოძიება არ იყო დამთავრებული, რომ ბრუნსვიკი რაღაც ახალს იგონებდა. მას უყვარს ხოლმე რაღაცეების მოგონება, რაც მისი სიბრიყვის გამო არც არის გასაკვირი. ახლა კი შევეხები ჩვენი სამსახურებრივი აპარატის ერთ თავისებურებას. რამდენადაც ზუსტია იგი, იმდენადვე არის მგრძნობიარე. თუ რომელიმე საკითხს მეტისმეტად დიდხანს განიხილავენ, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჯერ კიდევ საბოლოო განხილვამდე უცბად, თვალისდახამხამებაში რაღაც გაუთვალისწინებელ ინსტანციაში – მისი პოვნა კი შემდეგ შეუძლებელია – მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც თუმც არ არის ყოველთვის სწორი, მაგრამ საბოლოოდ ხურავს საქმეს. ისე გამოდის, თითქოს კანცელარიის აპარატი ვეღარ უძლებსო დაძაბულობას, როდესაც მას წლითი წლობით უჩიჩინებენ ერთიდაიგივე, არსებითად, უმნიშვნელო საქმის გამო, და მოულოდნელად ეს აპარატი თავისით, მოხელეების მონაწილეობის გვერდის ავლით, ხურავს ამ საქმეს. რა თქმა უნდა, არავითარი სასწაული აქ არ ხდება, უბრალოდ, რომელიმე მოხელე წერს დასკვნას საქმის დახურვის შესახებ, ან, იქნებ, იღებენ დაუწერელ განაწყვეტილებასაც, და შემდეგ უყარე კაკალი, ყოველ შემთხვევაში აქ, ჩვენთან, და, ალბათ, იქაც, კანცელარიაში, სახელდობრ, რომელმა მოხელემ მიიღო გადაწყვეტილება მოცემული საქმის გამო და – რა საფუძველზე. მხოლოდ კონტროლის განყოფილებები, დიდი ხნის შემდეგ, ადგენენ ამას, მაგრამ ჩვენ არაფერს არ გვატყობინებენ, თუმცა, ახლა ეს უკვე აღარც იქნება ვინმესთვის საინტერესო.

ამასთან, როგორც მოგახსენეთ, ყველა ეს საბოლოო გადაწყვეტილება ყოველთვის საუცხოოა, მაგრამ ყველას ერთი და იგივე ხინჯი აქვს: ჩვეულებრივ, მათ ამბავს მეტისმეტად გვიან იგებ, ამასობაში კი ჯერ კიდევ მიმდინარეობს ცხარე კამათი დიდი ხნის გადაწყვეტილ საქმეთა გამო. არ ვიცი, მიღებულ იქნა, თუ არა ასეთი გადაწყვეტილება თქვენი საქმის შესახებ, ბევრი რამ ამას მოწმობს, ბევრი – საწინააღმდეგოს, მაგრამ ეს რომ მომხდარიყო, მაშინ თქვენ გამოგიგზავნიდნენ მოწვევას. თქვენ გამოივლიდით მთელ გრძელ გზას აქამდე, ჩვენამდე, გავიდოდა ძალზე ბევრი დრო, ამასობაში სორდინი განაგრძობდა მუშაობას, სანამ ქანცი არ გასძვრებოდა, ბრუნსვიკი ხალხს ააჯანყებდა, როგორც სჩვევია, ორივე კი მე გამაწვალებდა. მე მხოლოდ ვარაუდს გამოვთქვამ, რომ ასე შეიძლებოდა, მომხდარიყო, დანამდვილებით კი ვიცი მხოლოდ ერთი რამ: ამასობაში ერთ-ერთმა საკონტროლო განყოფილებამ აღმოაჩინა, რომ მრავალი წლის წინ ა განყოფილებიდან თემში გაიგზავნა მოთხოვნა-შეკითხვა მიწისმზომლის გამოძახების შესახებ და რომ პასუხი აქამდე არ არის. ამ ცოტა ხნის წინათ მე მომივიდა შეკითხვა, და, რაღა თქმა უნდა, მაშინვე დადგინდა, რომ ა განყოფილება დასჯერებია ჩემს პასუხს, რომ მიწისმზომელი ჩვენ არ გვჭირდება, და სორდინის უნდა ეღიარებინა, რომ ამ შემთხვევაში იგი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, და, მართალია, არა საკუთარი მიზეზით, ამდენი უმაქნისი სამუშაო გასწია, თანაც, ამდენ ხალხს დააწყვიტა ნერვები. ყოველი მხრიდან რომ არ მოგვწოლოდა ამდენი ახალი სამუშაო, როგორც ყოველთვის, და თქვენი საქმე რომ არ ყოფილიყო ასეთი წვრილმანი, შეიძლება ისიც კი თქვა, წვრილმანთა შორის უწვრილმანესიო, ჩვენ ყველანი, ალბათ, შვებით ამოვისუნთქავდით, მე მგონი, თვით სორდინიც. მხოლოდ ბრუნსვიკი ბუზღუნებდა, მაგრამ ეს უკვე უბრალოდ სასაცილო იყო. ახლა კი წარმოიდგინეთ, უფალო მიწისმზომელო, ჩემი იმედგაცრუება, როდესაც მთელი ამ ამბის კეთილად გასრულების შემდეგ – ხოლო მას მერე, ასევე ბლომად დრო გავიდა – უცებ გამოტყვერით თქვენ, და როგორც ჩანს, ისე გამოდის, რომ მთელი ეს საქმე ხელახლა გვაქვს დასაწყები. მაგრამ თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რომ, რამდენადაც ეს ჩემზეა დამოკიდებული, ამას არამც და არამც არ დავუშვებ!“

„რასაკვირველია!“ თქვა კ.-მ. „მაგრამ მე კიდევ უფრო უკეთ მესმის, რომ აქ ხდება აღმაშფოთებელი უმსგავსოება, არა მარტო ჩემს მიმართ, არამედ კანონების მიმართაც. მე კი პირადად შევძლებ, დავიცვა თავი.“

„ეგ, როგორ?“ ჰკითხა მამასახლისმა.

„ამას ვერ გაგიმხელთ“, თქვა კ.-მ.

„არ შემოგიჩნდებით“, თქვა მამასახლისმა, „მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ჩემი სახით თქვენ ტოვებთ – არ ვიტყვი მეგობარს, მეტისმეტად უცხონი ვართ ერთმანეთისათვის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, – მხარდამჭერს თქვენს საქმეში. ერთს არ დავუშვებ – რომ თქვენ მიწისმზომლად მიგიღონ, სხვა მხრივ, შეგიძლიათ, დაწყნარებით მომმართოთ მე, მართალია, მონიჭებული ძალაუფლების ფარგლებში, რომელიც საკმაოდ შეზღუდული მაქვს.“

„თქვენ სულ მუდამ ამბობთ, რომ მოვალენი არიან მიმიღონ მიწისმზომლის თანამდებობაზე, მაგრამ მე ხომ უკვე ფაქტობრივად მიღებული ვარ. აი, კლამის წერილი.“

„კლამის წერილი!“ თქვა მამასახლისმა. „იგი ფასეულია და მნიშვნელოვანი კლამის ხელმოწერის გამო – მგონი ხელმოწერა ნამდვილია. – მაგრამ სხვა მხრივ... თუმცა თავს შევიკავებ ჩემი პირადი აზრის გამოთქმაზე. მიცი“, დაიძახა მან, და დასძინა, „რას აკეთებთ ამდენხანს მანდ?“

მიციმ და თანაშემწეებმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ იყვნენ დატოვებულნი, ეტყობა, ვერ იპოვეს საჭირო საბუთი და ცდილობდნენ, მთელი ქაღალდები ისევ კარადაში შეელაგებინათ, მაგრამ უწესრიგოდ დაყრილი საქაღალდეების გროვას ვერაფერს უხერხებდნენ. როგორც ჩანს, თანაშემწეების მოგონილი იყო ის, რის გაკეთებასაც ახლა ცდილობდნენ. მათ იატაკზე დაედოთ კარადა. შიგ შეეტენათ მთელი საქაღალდეები, მიცისთან ერთად კარადის კარზე გადამსხდარიყვნენ და ზემოდან აწვებოდნენ.

„ესე იგი, საბუთი ვერ ვიპოვეთ“, თქვა მამასახლისმა, „სამწუხაროა, რა თქმა უნდა, მაგრამ თქვენ ხომ უკვე ყველაფერი იცით, ჩვენ, კაცმა რომ თქვას, აღარავითარი საბუთი არ გვჭირდება, შემდეგ, რა თქმა უნდა, საბუთები მოიძებნება. ალბათ, მასწავლებელს ექნება წაღებული. მას შინ ბევრი საბუთი აქვს. ახლა კი, მიცი მოიტანე შენი სანთელი და ეს წერილი წამიკითხე.“

მოვიდა მიცი, – იგი კიდევ უფრო შეუხედავი და უღიმღამო ჩანდა, საწოლის კიდეზე რომ ჩამოჯდა, და მიეხუტა თავის ჯანმაგარ, შუშპარა ქმარს, რომელმაც ალერსიანად მოხვია ხელი. სანთლის შუქზე უფრო მკაფიოდ გამოჩნდა მიცის გამხდარი სახე – ნათელი, მკაცრი, ოდნავ შერბილებული განვლილი წლებით. ქალმა თვალი შეავლო წერილს და მაშინვე მოწიწებით დაიკრიფა გულხელი. „კლამის წერილია!“ თქვა მან. ცოლ-ქმარმა ერთად წაიკითხეს წერილი, რაღაც იჩურჩულეს, ხოლო როდესაც თანაშემწეებმა იყვირეს, „ეგეც ეგრეო!“ საბოლოოდ რომ შეძლეს კარადის დახურვა, და მიციმ მდუმარე მადლიერებით გახედა მათ, – მამასახლისი ალაპარაკდა: „მიცი სავსებით მეთანხმება, და ახლა შემიძლია თამამად გითხრათ ჩემი აზრი. ეს საერთოდ არ არის სამსახურებრივი საბუთი, ეს კერძო წერილია. უკვე თვით მომართვა „დიდად პატივცემულო უფალო!“ მოწმობს ამას. გარდა ამისა, აქ სიტყვაც არ არის ნათქვამი იმაზე, რომ თქვენ მიწისმზომლად მიგიღეს, აქ ლაპარაკია საერთოდ გრაფის სამსახურზე. სხვათა შორის, არც აქ წერია რაიმე გარკვეული, მხოლოდ ის, რომ თქვენ „მიღებული ხართ“, „როგორც თქვენთვის ცნობილია“, ანუ პასუხისმგებლობა იმის დასადასტურებლად, რომ მიღებული ხართ, თქვენ გეკისრებათ. და, ბოლოს სამსახურის ხაზით თქვენ გგზავნიან მხოლოდ ჩემთან, მამასახლისთან, მითითებით, რომ მე ვარ თქვენი უშუალო უფროსი, და უნდა გაცნობოთ თქვენ შემდგომი ნაბიჯების შესახებ, რაც, არსებითად უკვე გავაკეთე. ისეთი კაცისათვის, ვინც იცის ოფიციალური საბუთების კითხვა, და ამის შედეგად კიდევ უფრო უკეთ ერკვევა არაოფიციალურ წერილებში, ყველაფერი დღესავით ნათელია. ის, რომ თქვენ, უცხო კაცი, ამაში ვერ გაერკვიეთ, მე არ მიკვირს. საერთოდ და მთლიანად ეს წერილი მოწმობს მხოლოდ იმას, რომ კლამს განზრახული აქვს, პირადად მოჰკიდოს ხელი თქვენს საქმეს იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გრაფის სამსახურში მიგიღებენ.“

„თქვენ, უფალო მამასახლისო, ისე კარგად გაშიფრეთ ეს წერილი“, თქვა კ.-მ, „რომ მისგან აღარაფერი აღარ დარჩა, გარდა ფარატინა ქაღალდზე გაკეთებული ხელმოწერისა. ნუთუ თქვენ ვერ ამჩნევთ, როგორ ამცირებთ ამით კლამის სახელს, რომელსაც თითქოს პატივისცემით ეკიდებით?“

„ეს გაუგებრობაა“, თქვა მამასახლისმა. „მე სულაც არ ვაკნინებ წერილის მნიშვნელობას და ჩემი ახსნა-განმარტებით სულაც არ ვამცირებ მის ღირებულებას, პირიქით! კლამის კერძო წერილს, უდავოდ, გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ოფიციალურ საბუთს, ოღონდ ის მნიშვნელობა არ გააჩნია, რომელსაც თქვენ მიაწერთ.“

„თქვენ იცნობთ შვარცერს?“ ჰკითხა კ.-მ.

„არა“, უპასუხა მამასახლისმა, „ეგებ შენ იცნობ, მიცი? შენც არ იცნობ? არა, ჩვენ მას არ ვიცნობთ.“

„აი, ეს არის უცნაური“, თქვა კ.-მ, „ის ხომ მოურავის თანაშემწის ვაჟია.“

„ჩემო ძვირფასო უფალო მიწისმზომელო“, თქვა მამასახლისმა, „აბა, როგორ უნდა ვიცნობდე მოურავის ყველა თანაშემწის ყველა ვაჟიშვილს?“

„კეთილი“, თქვა კ.-მ, „მაშინ მოგიწევთ, სიტყვაზე მენდოთ. ჰოდა, ამ შვარცერთან მომივიდა უსიამო ლაპარაკი სწორედ იმ დღეს, როცა ჩამოვედი. მაგრამ შემდეგ მან ტელეფონით ჰკითხა მოურავის თანაშემწეს, სახელად ფრიცს, და მიიღო დასტური. რომ მე მოწვეული ვარ მიწისმზომლად, როგორ ახსნით თქვენ ამას, უფალო მამასახლისო?“

„ძალიან უბრალოდ“, თქვა მამასახლისმა. „ეტყობა, თქვენ აქამდე არასდროს გქონიათ კონტაქტი ჩვენს კანცალერიასთან, ყოველი ასეთი კონტაქტი არის მხოლოდ მოჩვენებითი. თქვენ კი მთელი ჩვენი საქმეების უცოდინარობის გამო, იგი ნამდვილი გეგონათ. რაც შეეხება ტელეფონს: ხომ ხედავთ, მე არავითარი ტელეფონი არა მაქვს. თუმცა, ვის-ვის და მე ხშირად მიხდება საქმის დაჭერა კანცელარიებთან. ლუდხანებში და, საერთოდ, ასეთ ადგილებში ტელეფონები კიდევ შეიძლება გამოდგეს თუნდაც, როგორც მუსიკალური კოლოფის მსგავსი რამ, ისინი მეტი არაფრად არ გამოდგება. პირადად. თქვენ აქედან უკვე დაგირეკიათ სადმე? დაგირეკიათ? მაშინ შეიძლება გამიგოთ: გოდოლში, როგორც მითხრეს, ტელეფონი თითქოს საუცხოოდ მუშაობს, იქ გაუთავებლად რეკავენ, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე აჩქარებს სამუშაოს. ეს განუწყვეტელი სატელეფონო საუბრები ჩვენამდე აქაური აპარატებით აღწევს ხმაურის და სიმღერის სახით. თქვენ, ალბათ, ესეც გაგიგონიათ. ჰოდა, ერთადერთი, რაც არის ნამდვილი, რასაც შეგიძლიათ ენდოთ, ეს გახლავთ. ყოველივე დანარჩენი კი მოტყუებაა. არავითარი მუდმივი სატელეფონო კავშირი გოდოლთან აქ არ არის, არავითარი ცენტრალური სადგური, რომელიც ჩვენს გამოძახებას იქით გადართავდა, არ არსებობს. თუ ჩვენ აქედან ვიძახებთ ვიღაცას გოდლიდან, იქ რეკავს ყველა აპარატი, ყველა უმდაბლეს განყოფილებაში, უფრო სწორად, დარეკავდა, როგორც მე ზუსტად ვიცი, რომ თითქმის ყველგან არ იყოს გამორთული ზარები. მართალია, ზოგჯერ რომელიმე მოხელე, რომელიც მუშაობით არის გადაღლილი, და ცოტაოდენი გართობა სჭირდება – განსაკუთრებით ღამით, ან გვიან საღამოს – და ტელეფონს ჩართავს, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენ იქიდან ვიღებთ პასუხს, მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ ხუმრობით. და ეს სავსებით გასაგებია, ანდა ვის ეყოფა გამბედაობა, დარეკოს შუაღამისას თავისი პირადი წვრილმანი და უმაქნისი საქმეების გამო იქ, სადაც ასეთი დაძაბული მუშაობაა? მე არ მესმის, როგორ შეიძლება დაიჯეროს უცხო კაცმაც კი, რომ თუ იგი სორდინის დაურეკავს, მაშინ მას მართლაც თავად სორდინი უპასუხებს? მოსალოდნელია უპასუხოს რომელიმე

წვრილფეხა რეგისტრატორმა სულ სხვა განყოფილებიდან. და, პირიქით, ათასში ერთხელ შეიძლება ბედი გეწიოს და როდესაც ვინმე რეგისტრატორს გამოიძახებ, უეცრად გაიგონებ თვით სორდინის პასუხს და ამ დროს უმჯობესია, თავქუდმოგლეჯილი გაიქცე ტელეფონისაგან, როგორც კი პირველ სიტყვას გაიგონებ.“

„ამას, რა თქმა უნდა, ასე არ ვუყურებდი“, თქვა კ.-მ, „ასეთი დეტალები არ ვიცი და ვერც მეცოდინებოდა. მაგრამ არც განსაკუთრებული ნდობა მქონია სატელეფონო საუბრებისა, ყოველთვის მესმოდა, რომ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რასაც შეიტყობ ან რასაც მიაღწევ უშუალოდ თვითონ გოდოლში.“

„არა“, თქვა მამასახლისმა და კ.-ს სიტყვაზე გამოეკიდა, „სატელეფონო საუბრებსაც ასევე აქვთ მნიშვნელობა, სხვაგვარად როგორ შეიძლება? იმიტომ, რომ ეს არის ცნობა, რომელსაც გოდლის მოხელე გაძლევს. როგორ შეიძლება, ამ ცნობას მნიშვნელობა არ ჰქონდეს? მე ხომ აგიხსენით უკვე კლამის წერილთან დაკავშირებით: ყველა ამ გამონათქვამს არ გააჩნია უშუალო სამსახურებრივი მნიშვნელობა და, როდესაც მათ ასეთ სამსახურებრივ მნიშვნელობას მიაწერთ, თქვენ ცდებით. მაგრამ მათი კერძო, პირადი მნიშვნელობა, მეგობრული თუ მტრული დამოკიდებულების თვალსაზრისით, ძალზე დიდია. მეტწილად გაცილებით უფრო მეტია ყოველგვარ სამსახურებრივ ურთიერთობასთან შედარებით.“

„ჩინებულია“, თქვა კ.-მ, „დავუშვათ, ყველაფერი სწორედ ასეა, მაგრამ მაშინ მე გოდოლში უამრავი კარგი მეგობარიც მყოლია: თუ ძირისძირამდე ჩასწვდები საქმის არსს, მაშინ შეიძლება ერთ-ერთ განყოფილებაში მრავალი წლის წინ გაჩენილი იდეა – რატომ არ გამოგვეძახებინა აქ მიწისმზომელი? – მეგობრულ საქციელად ჩაითვალოს ჩემს მიმართ. შემდეგ უკვე ყველაფერი ერთმანეთს მიჰყვა, სანამ საბოლოოდ – მართალია, საუბედუროდ, აქ არ შემომიტყუებდნენ, ახლა კი გაგდებით მემუქრებიან.“

„ერთგვარი სიმართლე თქვენს სიტყვებში უდავოდ არის“, თქვა მამასახლისმა, „თქვენ მართალი ხართ, რომ გოდლიდან მომავალი არავითარი მითითება არ უნდა აღიქვა სიტყვა-სიტყვით. მაგრამ სიფრთხილე საჭიროა ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, არა მარტო აქ, და რაც უფრო მნიშვნელოვანია მითითება, მით უფრო ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ მას, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია თქვენი სიტყვები, აქ შემომიტყუესო. თქვენ რომ უფრო ყურადღებით გეგდოთ ყური ჩემი ახსნა-განმარტებისათვის, მიხვდებოდით, რომ თქვენი გამოძახების საკითხი ძალზე რთულია საიმისოდ, რომ მე და თქვენ მასში გავერკვეთ ასეთი ხანმოკლე საუბრის დროს.“

„ესე იგი ერთი დასკვნა გვრჩება“, თქვა კ.-მ, „ყველაფერი ძალზე გაურკვეველი და გადაუწყვეტელია, გარდა იმისა, რომ აქედან მაგდებენ.“

„ვინ გაბედავს თითი დაგაკაროთ და გაგაძევოთ აქედან, უფალო მიწისმზომელო?“ თქვა მამასახლისმა. „სწორედ მთელი წინანდელი ამბების გაურკვევლობაა იმის საწინდარი, რომ თქვენ უაღრესად თავაზიანად მოგეპყრან. როგორც ჩანს, თქვენ მეტისმეტად ფიცხი ხართ. აქ არავინ გაგაჩერებთ ძალით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თქვენ გაგდებენ.“

„იცით, უფალო მამასახლისო“, თქვა კ.-მ, „ახლა თქვენ ყველაფერი მეტისმეტად ცხადი გეჩვენებათ. მე კი ჩამოგითვლით, რა მაჩერებს აქ: ის მსვეხრპლი, რომელიც გავიღე, რათა შინიდან წამოვსულიყავი, გრძელი ძნელი გზა, სავსებით დასაბუთებული იმედები, რომლებიც მქონდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიმიღებდნენ აქ, ჩემი სრული უსახსრობა, შეუძლებლობა, კვლავ ვიპოვო სამუშაო ჩემ ქალაქში, და ბოლოს, ყველა დანარჩენზე ნაკლებად არა, – ჩემი საცოლე, რომელიც აქაურია.“

„აჰ, ფრიდა“, თქვა მამასახლისმა ყოველგვარი გაკვირვების გარეშე. „ვიცი, ვიცი. მაგრამ ფრიდა თქვენ ყველგან გამოგყვებათ, სადაც მოისურვებთ. რაც შეეხება ყოველივე დანარჩენს, აქ, უდავოდ მოგვიწევს ზოგი რამ ავწონ-დავწონოთ. მე ამის შესახებ თავად მოვახსენებ გოდოლში, თუ მოვა გადაწყვეტილება ან თუ მომიწევს აქამდე კიდევ ერთხელ მოგისმინოთ, კაცს გამოგიგზავნით. თანახმა ხართ?“

„არა, არა“, თქვა კ.-მ, „მე არ მჭირდება გოდლისაგან ბოძებული წყალობა, მე მინდა მივიღო ყველაფერი სამართლიანად.“

„მიცი“, უთხრა მამასახლისმა ცოლს, რომელიც ჯერ კიდევ ეჯდა გვერდით, მიხუტებული, და ხელში ათამაშებდა კლამის წერილს, რომლისგანაც გემი გაეკეთებინა. გულგახეთქილმა კ.-მ ქალს ხელიდან გამოგლიჯა წერილი, „მიცი, ისევ ამტკივდა ფეხი, კომპრესი უნდა გამომიცვალო.“

კ. წამოდგა, „მაშინ, ნება მიბოძეთ, დაგტოვოთ.“ თქვა მან. „რა თქმა უნდა!“ თქვა მიციმ, რომელიც მალამოს ამზადებდა. „თანაც, მეტისმეტად ძლიერი ორპირი ქარია.“ კ. უკან მიბრუნდა: მის თანაშემწეებს, როგორც ყოველთვის, უადგილო სამსახურებრივი თავგამოდებით კ.-ს ბოლო სიტყვებისთანავე ფართოდ გამოეღოთ კარის ორივე ნახევარი. კ.-მ მოასწრო მხოლოდ თავი დაეკრა მამასახლისისათვის – სურდა, რაც შეიძლება მალე გაეხურა კარი და თავიდან აეცილებინა სნეულისათვის ოთახში ცივი ქარის შეჭრა. სასწრაფოდ გაიხურა კარი და სირბილით გავიდა გარეთ. უკან, როგორც ყოველთვის, თანაშემწენი მისდევდნენ.

6. მეორე საუბარი დიასახლისთან

სასტუმროსთან მეფუნდუკე ელოდებოდა. თავად ვერ ბედავდა ლაპარაკის დაწყებას, ამიტომ კ.-მ ჰკითხა, რა გინდაო. „შენ უკვე იპოვე ახალი ბინა?“ ჰკითხა ფუნდუკის პატრონმა, რომელიც მიწას ჩასჩერებოდა. „შენმა ცოლმა გიბრძანა, გაგეგო?“ თქვა კ.-მ. „ალბათ, ძალზე დამოკიდებული ხარ დიასახლისზე?“ „არა“, უთხრა მეფუნდუკემ, „ჩემით გეკითხები, მაგრამ ცოლი ძალიან ღელავს და განერვიულებულია შენს გამო, ვერ მუშაობს, არ დგება, კვნესის და დაუსრულებლად მოთქვამს.“ „მე ხომ არ მივიდე მასთან?“ ჰკითხა კ.-მ. „ძალიან დამავალებ“, თქვა მეფუნდუკემ, „უკვე მინდოდა, შენთან გამომევლო, მამასახლისთან რომ იყავი. ერთხანს მის კართან ვიდექი და გაყურადებდით. თქვენ განუწყვეტლივ ლაპარაკობდით და არ მინდოდა, ხელი შემეშალა, თანაც, ცოლის ამბავი მაწუხებდა, შინ გამოვიქეცი, ქალმა კი თავისთან არ შემიშვა, ჰოდა, ამიტომაც ვდგავარ აქ და გელოდები.“ „მაშინ, წავიდეთ დიასახლისთან“, „ახლავე“, თქვა კ.-მ, მალე დავამშვიდებ.“ „კარგია, თუ მოახერხებ ამას“, თქვა მეფუნდუკემ.

სახლში შევიდნენ ნათელი სამზარეულოს გავლით, სადაც ოთხი თუ ხუთი მოსამსახურე, ერთმანეთისაგან მოშორებით რომ იდგნენ, თითოეული – თავისი სამუშაოთი დაკავებული, კ.-ს დანახვაზე პირდაპირ გაშეშდა. უკვე სამზარეულოში მოისმოდა დიასახლისის კვნესა. იგი ვიწრო უსარკმლო პატარა ოთახში იწვა, რომელიც სამზარეულოსაგან თხელი ფირფიცრის ტიხარით იყო გამოყოფილი. იქ მხოლოდ დიდი ორადგილიანი ცოლქმრული საწოლი და კარადა ეტეოდა. დიდი საწოლი ისე იდგა, რომ ლოგინიდან მთელი სამზარეულო მოჩანდა და დაწოლილთ შეეძლოთ, თვალი ედევნებინათ იმათთვის, ვინც იქ მუშაობდა. სამაგიეროდ, სამზარეულოდან თითქმის არაფერი არ მოჩანდა ოთახში, სადაც სრულ წყვდიადში გაჭირვებით გაარჩევდი მხოლოდ თეთრ-წითელ საბნებს. თვალი სიბნელეს რომ მიეჩვეოდა, ერთი-ორ წუთში შეიძლებოდა, დანარჩენიც დაგენახა.

,,როგორც იქნა, მოხვედით", სუსტი ხმით თქვა დიასახლისმა. იგი გულაღმა იწვა, გამართული, როგორც ჩანს, უჭირდა სუნთქვა, და ბუმბულის საბანი გადაეხადა. ლოგინში იგი გაცილებით უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ვიდრე კაბით, მაგრამ თვალებამოღამებული სახე უნებლიე სიბრალულს იწვევდა, განსაკუთრებით წმიდამაქმანიანი ქუდის გამო, რომელიც თავზე დაეხურა, თუმცა აშკარად პატარა ჰქონდა და წარამარა სძვრებოდა. ,,როგორ მოვიდოდი", თქვა კ.-მ დაყვავებით, ,,თქვენ ხომ არ დაგიძახიათ ჩემთვის." ,,რატომ მალოდინეთ ამდენ ხანს?" თქვა დიასახლისმა ავადმყოფისათვის ჩვეული სიკერპით. ,,დაჯექით", უთხრა და საწოლის კიდეზე მიუთითა, ,,თქვენ კი, დანარჩენები, აქედან წადით!" თანაშემწეთა გარდა, პატარა ოთახში მოსამსახურე ქალებიც შემოსულიყვნენ. ,,მეც გავალ, გარდენა", თქვა მეფუნდუკემ, და კ.-მ პირველად გაიგონა დიასახლისის სახელი. ,,რასაკვირველია, გადით", ნელა წარმოთქვა მან და თითქოს რაღაც სხვაზე ფიქრობსო, დაბნეულად დაუმატა: ,,რა გინდა აქ?" მაგრამ როდესაც ყველანი სამზარეულოში გავიდნენ – თანაშემწეებიც კი, რომლებიც დიასახლისის ბრძანებას მაშინვე დაემორჩილნენ, თუმცა, გზადაგზა ერთად ეარშიყებოდნენ მოსამსახურე ქალს, – გარდენამ მაინც დროზე მოისაზრა, რომ სამზარეულოში ისმის ყველაფერი, რაზეც ლაპარაკობენ ტიხარს მიღმა – კარი აქ საერთოდ არ იყო, – და ამიტომ ყველას უბრძანა, სამზარეულოდანაც გასულიყვნენ. სამზარეულო მყისვე დაცარიელდა.

,,გთხოვთ, უფალო მიწისმზომელო", თქვა გარდენამ, – იქ, კარადაში, გააღებთ თუ არა, თავშალი ჰკიდია, მომეცით, გეთაყვა დავიფარო, თორემ ცხელ საბანს ვერ ვიტან, ბუმბულის ქვეშ მიჭირს სუნთქვა." ხოლო როდესაც კ.-მ თავშალი მიაწოდა, ქალმა თქვა: ,,შეხედეთ, ლამაზი თავშალია, არა?" ეს იყო ჩვეულებრივი შალის თავსაფარი, კ.-მ მხოლოდ ზრდილობის გამო მოსრისა თითებით იგი კიდევ ერთხელ, მაგრამ არაფერი არ უთქვამს. ,,ჰოო, თავსაფარი ძალზე ლამაზია", თქვა გარდენამ და შალი მოიხურა. ახლა იგი მშვიდად იწვა. გეგონებოდა, მთელმა ტკივილმა გაუარაო, უფრო მეტიც, ახლა ქალმა შენიშნა, რომ ბალიშზე წოლისაგან თმა ასწეწოდა, წუთით წამოჯდა ლოგინში და ქუდის ქვეშ ვარცხნილობა გაისწორა. ხშირი, ლამაზი თმა ჰქონდა.

კ.-მ მოთმინება დაჰკარგა: ,,თქვენ ბრძანეთ, ქალბატონო, გაეგოთ, ვიპოვეთ თუ არა ახალი ბინა?" ,,მე ვბრძანეო? – არა, არა, ეს შეცდომაა." ,,მაგრამ თქვენმა ქმარმა ეს-ეს არის მკითხა." ,,მჯერა, მჯერა", თქვა დიასახლისმა, ,,ჩვენ გაუთავებელი კინკლაობა გვაქვს, როდესაც მე არ მინდოდა თქვენი მიღება, იმან დაგტოვათ, ხოლო როდესაც მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენ აქ ცხოვრობთ, ის გაგდებთ. სულ ასე შვრება, როგორ არ

მობეზრდა ეს პამპულაობა.“ „ესე იგი“, თქვა კ.-მ, „თქვენ ამდენად შეიცვალეთ აზრი ჩემზე? თან, სულ ერთი-ორ საათში?“ „ჩემი აზრი არ შემიცვლია“, თქვა დიასახლისმა მისუსტებული ხმით, „მომეცით ხელი. აი, ასე. ახლა კი დამპირდით, რომ სრულიად გულწრფელად მელაპარაკებით, მაშინ მეც გულახდილი ვიქნები თქვენთან.“ „კეთილი“, თქვა კ.-მ, „ვინ დაიწყებს?“ „მე!“ თქვა დიასახლისმა. ეტყობოდა, რომ უბრალოდ კი არ უნდოდა დახმარებოდა კ.-ს, არამედ ერთი სული ჰქონდა, როდის მოხსნიდა გუდას პირს.

მან საბნის ქვეშიდან გამოიღო ფოტო და კ.-ს გაუწოდა. „შეხედეთ ამ სურათს“, სთხოვა მამაკაცს. უკეთ რომ დაენახა, კ.-მ სამზარეულოში შეაბიჯა, მაგრამ იქაც ძნელი გასარჩევი იყო რაიმე ფოტოსურათზე, რომელიც ჟამთა სიავისაგან გახუნებულიყო, დამსკდარიყო, ლაქებით დაფარულიყო და საერთოდ, გაქუცულიყო. „ეს რა მოსვლია?“, სინანულით თქვა კ.-მ. „ხო, აფსუსია“, თქვა დიასახლისმა, „თან დაატარებ წლების მანძილზე, ჰოდა, ფუჭდება. მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით, ყველაფერს გაარჩევთ. მე კი შემიძლია დაგეხმაროთ: მითხარით, რა გაარჩიეთ. მე ისე მსიამოვნებს, ამ სურათზე რომ მელაპარაკებიან. აბა, რა დაინახეთ?“ „ახალგაზრდა კაცი“, თქვა კ.-მ. „სწორია“, თქვა დიასახლისმა. „რას აკეთებს ეს კაცი?“ „მგონი, რაღაც ფიცარზე წევს, იზმორება და ამთქნარებს.“ დიასახლისს გაეცინა: „არაფერიც!“ თქვა მან. „რა „არაფერიც“?! აი, ეს ფიცარი, აი, ეს კაცი, რომელიც წევს“, არ იშლიდა თავისას კ., „უფრო ყურადღებით დააკვირდით“, გაღიზიანებით თქვა დიასახლისმა. „განა ის წევს?“ „არა“, დაეთანხმა კ., „იგი არ წევს, უფრო, ჰაერში ლივლივებს, დიახ, ახლა ვხედავ, ეს ფიცარი კი არა, უფრო რაღაც ბაგირია, და ახალგაზრდა კაცი თოკს ახტება.“ „ხომ გითხარით“, გახარებულმა წამოიძახა დიასახლისმა, „ხტება, ასე ვარჯიშობენ კანცელარიის შიკრიკები. ვიცოდი, რომ თქვენ გაარჩევდით. სახეს თუ ხედავთ?“ „სახე თითქმის სულ არ მოჩანს“, თქვა კ.-მ, „მხოლოდ ის ჩანს, რომ იგი ძალზე დაძაბულია, პირი გაუღია და თვალები დაუხუჭავს, თმა ასწეწვია.“ „ძალიან კარგი“, მადლიერებიათ უთხრა დიასახლისმა, „იმისათვის, ვინც მას პირადად არ იცნობდა, ძნელი გასარჩევია კიდევ რაიმე. მაგრამ ბიჭი ძალზე ლამაზი იყო. მე მხოლოდ წამით ვნახე და ისიც ვერ დამივიწყია.“ „ვინ იყო?“ ჰკითხა კ.-მ. „ეს იყო“, თქვა დიასახლისმა, „ეს იყო შიკრიკი, რომლის პირითაც მიხმო პირველად კლამმა თავისთან.“

კ. მთელი გულისყურით ვერ უსმენდა – მინების ზრიალს აყურადებდა. მაშინვე მიხვდა, საიდან მოდიოდა ეს ხმაური. სამზარეულოს სარკმლის მიღმა მისი თანაშემწენი დახტოდნენ თოვლში და ცდილობდნენ, დაენახვებინათ, რა ბედნიერნი არიან, კ.-ს რომ ხედავენ, გახარებულნი უჩვენებდნენ კ.-ს ერთმანეთს და ფანჯრის მინისაკენ თითი გამოეშვირათ. კ.-მ თითი დაუქნია, და ისინი მაშინვე გახტნენ უკან, თან ერთმანეთს ეჯაჯგურებოდნენ, ფანჯრისაგან რომ ჩამოეცილებინათ, მაგრამ ერთი წინ გამოიჭრა და ორივე კვლავ მინას აეკრა. კ. ტიხარს მიღმა მიიმალა – იქ თანაშემწენი ვერ დაინახავდნენ. თვითონაც არ სჭირდებოდა მათი ყურება, მაგრამ ფანჯრის მინის ჩუმი, თითქოს მომლოდინე ზრიალი კიდევ დიდხანს ჩაესმოდა ყურში.

„ისევ ეს თანაშემწეები არიან“, უთხრა დიასახლისს, თითქოს ბოდიშს უხდისო და ფანჯარაზე ანიშნა, მაგრამ ქალს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. უკან გამოართვა ფოტოსურათი, ისევ დახედა, გაასწორა და კვლავ ჩამალა საბნის ქვეშ. ახლა უფრო ნელა ამოძრავებდა ხელს, მაგრამ არა დაღლილობისაგან, ეტყობა,

შემოწოლილი მოგონებების სიმძიმით. სურდა, ყველაფერი ეამბნა კ.-სათვის, მაგრამ წარსული რომ გაიხსენა, სულ გადაავიწყდა სტუმარი. ცოტა ხნის შემდეგ გამოერკვა ბურანიდან, თვალებზე გადაისვა ხელი და თქვა: ,,თავსაფარიც კლამმა მაჩუქა. ქუდიც. ფოტოსურათი, თავშალი და ქუდი – ეს სამი რამ მაქვს მის სახსოვრად. მე არ ვარ ფრიდასავით ახალგაზრდა, არც ისეთი პატივმოყვარე ვარ, ვერც მგრძნობიარობით შევეჯიბრები. ის ხომ ძალიან მგრძნობიარე გყავთ. ერთი სიტყვით, საბოლოოდ შევურიგდი ცხოვრებას, მაგრამ უნდა ვაღიარო: ეს სამი რამ რომ არ მქონდეს, ამდენ ხანს აქ ვერ გავძლებდი, შეიძლება, თქვენ ეს სამი საჩუქარი უბადრუკობად მოგეჩვენოთ, მაგრამ თქვენ მხოლოდ დაფიქრდით: ფრიდას, რომელიც ასე დიდხანს ხვდებოდა კლამს, არავითარი სუვენირი არა აქვს, მე ვკითხე, მაგრამ იგი მეტისმეტად ბევრს ნატრობს, თანაც, სულ უკმაყოფილოა. აი მე კი, მე ხომ სულ სამჯერ ვიყავი კლამთან, მეტი არ დავუძახივარ. თვითონაც არ ვიცი, რატომ, – ეს ნივთები სახსოვრად წამოვიღე, ალბათ, გული მიგრძნობდა, რომ უკვე მოვჭამე ჩემი დრო. მართალია, საჩუქრებზე თავად უნდა მეზრუნა, – კლამი არასდროს არ გაჩუქებს თავისი სურვილით, მაგრამ როცა დაინახავ რაიმე შესაფერისს, უნდა დასცინცლო.''

კ. უხერხულად გრძნობდა თავს, ამ ნაამბობს რომ ისმენდა, თუმცა ყოველივე ეს უშუალოდ მას არ ეხებოდა. ,,ეს როდის იყო?'' ჰკითხა და ჩუმად ამოიოხრა.

,,ოც წელიწადზე მეტი ხნის წინ'', თქვა დიასახლისმა, ,,ოც წელიწადზე გაცილებით მეტი ხნის წინათ... ,,

,,აი, თურმე, რა დიდხანს უნახავენ კლამს ერთგულებას'', თქვა კ.-მ. ,,მაგრამ გესმით თუ არა თქვენ, დიასახლისო, რომ თქვენი აღსარება, განსაკუთრებით, როდესაც ჩემს მომავალ ქორწინებაზე ვფიქრობ, მაშფოთებს და ძალიან ცუდ ხასიათზე მაყენებს?''

დიასახლისს ძალიან არ მოეწონა, რომ კ.-მ მის მოგონებებს თავისი საქმე მიატმასნა, და გაბრაზებულმა ამრეზით გახედა.

,,ნუ ბრაზობთ, დიასახლისო'', თქვა კ.-მ. ,,მე ხომ კრინტიც არ დამიძრავს კლამის წინააღმდეგ, მაგრამ გარემოებათა გამო მაინც მაქვს მასთან რაღაც დამოკიდებულება, ამას კლამის ყველაზე თავგამოდებული თაყვანისმცემელიც კი არ გახდის საკამათოდ. ასე რომ, თავად გესმით, სწორედ ამიტომ ვიწყებ ფიქრს ჩემ თავზე, როგორც კი კლამს მიხსენებენ, და აქ ვერაფერს გავაწყობ. მაგრამ იცით, დიასახლისო'', და კ.-მ ქალის ხელი აიღო, თუმცა იგი სუსტად უძალიანდებოდა, ,,გაიხსენეთ, რა სავალალოდ დასრულდა ჩვენი ბოლო საუბარი, მოდით, ამჯერად მაინც ნუ წავიჩხუბებთ.''

,,სწორი ბრძანდებით'', თქვა დიასახლისმა და თავი დახარა, ,,მაგრამ შემიბრალეთ, მე ხომ სხვა ადამიანებზე ნაკლებ მგრძნობიარე არა ვარ, – პირიქით, ყველას აქვს ბევრი მტკივნეული ადგილი, მე კი ერთადერთი ტკივილი მაქვს.''

,,სამწუხაროდ, ეს ჩემი მტკივნეული ადგილიც არის'', თქვა კ.-მ, ,,მაგრამ მე შევეცდები, მოვიკრიბო მთელი ძალები, ოღონდ, ამიხსენით, გეთაყვა, როგორ ავიტანო ოჯახურ ცხოვრებაში ეს გამაოგნებელი ერთგულება კლამისადმი – თუ, რა თქმა უნდა, ვივარაუდებთ, რომ ფრიდა ამ მხრივ თქვენ გგავთ?''

,,გამაოგნებელი ერთგულებაო?'' გულმოსულმა გაიმეორა დიასახლისმა. ,,განა ეს ერთგულებაა? მე ერთგული ვარ ჩემი ქმრისა, რა შუაშია აქ კლამი? კლამმა ერთხელ გამიხადა საყვარლად. განა შემიძლია, ოდესმე დავუკარგო ეს წოდება? მეკითხებით,

როგორ ავიტანოო ასეთი ერთგულება ფრიდას მხრიდანო? ეჰ, უფალო მიწისმზომელო, ვინა ხართ თქვენ, რომ ბედავთ და ამას მეკითხებით?“

„ქალბატონო!“ მკაცრად თქვა კ.-მ.

„ვიცი“, დანებდა დიასახლისი, „ოღონდ ჩემს ქმარს ასეთი კითხვები არასდროს დაუსვამს. ჩემთვის გაუგებარია, ვინ შეიძლება ჩაითვალოს უფრო უბედურად – მე – მაშინ, თუ ფრიდა – ახლა? ფრიდა, რომელმაც თავისი ნებით მიატოვა კლამი, თუ მე, რომელსაც იგი მეტს აღარ ეძახდა თავისთან? შეიძლება, მაინც ფრიდაა უფრო უბედური, თუმცა, მან ჯერ კიდევ არ იცის თავისი უბედურების მთელი სიღრმე. მაგრამ მაშინ მთელი ჩემი არსება შეპყრობილი იყო ამ მწუხარებით, იმიტომ, რომ მე გამუდმებით ვეკითხებოდი საკუთარ თავს და, არსებითად დღესაც ვეკითხები: რატომ მოხდა ასე? კლამმა სამჯერ ბრძანა შენი დაძახება, მეოთხედ კი აღარ დაუძახიხარ! მეოთხე ჯერი არასოდეს დამდგარა! განა სხვა რაზე შემეძლო ფიქრი იმ დროს? სხვა რაზე შემეძლო მელაპარაკა ჩემს ქმართან, რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ გავყევი. დღისით სალაპარაკოდ არ გვეცალა, ეს ფუნდუკი სავალალო მდგომარეობაში გვერგო, რაღაცნაირად უნდა წამოგვეწია, – მაგრამ ღამით? წლების მანძილზე მე და ჩემი ქმარი ვლაპარაკობდით მხოლოდ კლამზე, მხოლოდ იმაზე, თუ რატომ გაუქრა მას ჩემდამი გრძნობები და თუ ჩემი ქმარი ამ საუბრის დროს იძინებდა, მე ვაღვიძებდი, და ჩვენ კვლავ განვაგრძობდით იგივე საუბარს.“

„მაშინ“, თქვა კ.-მ, „მე, თქვენის ნებართვით, დაგისვამთ ერთ უხერხულ კითხვას, და გთხოვთ, უზრდელობად არ ჩამომართვათ.“

დიასახლისი სდუმდა.

„მაშასადამე, არ შეიძლება, შეგეკითხოთ“, თქვა კ.-მ. „კეთილი, ჩემთვის ესეც კმარა.“

„დიახ, რა თქმა უნდა“, თქვა დიასახლისმა, „თქვენთვის ისედაც ყველაფერი გასაგებია. ეს განსაკუთრებული საქმეა. თქვენ ყველაფერს არასწორად იგებთ, დუმილსაც კი. სხვაგვარად თქვენ არ შეგიძლიათ. კეთილი, ნებას გრთავთ, მკითხოთ.“

„თუ მე ყველაფერს არასწორად განვმარტავ“, თქვა კ.-მ, „მაშინ, შესაძლოა, ჩემი კითხვაც სულ ტყუილად მგონია კადნიერი, და არ ჩამომართმევთ უზრდელობად. მე მინდა მხოლოდ ვიცოდე: სად გაიცანით თქვენი ქმარი და როგორ გერგოთ საკუთრებად ეს ფუნდუკი?“

დიასახლისმა კოპები შეიკრა, მაგრამ სრულიად გულგრილად უპასუხა: „ეს ძალზე უბრალო ისტორიაა. მამაჩემი მჭედელი იყო. ხოლო ჰანსი, ჩემი ახლანდელი ქმარი, მეჯინიბედ მსახურობდა ერთ მდიდარ გლეხთან და ხშირად მოდიოდა მამასთან. ეს იყო კლამთან ჩემი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ, თავს ძალზე უბედურად ვგრძნობდი, თუმცა საამისო საფუძველი არ მქონდა: ყველაფერი, რაც მოხდა, მოხდა როგორც წესი და რიგია, და ის, რომ მე კლამთან მეტს აღარ მიშვებდნენ, თვითონ კლამის გადაწყვეტილება იყო, მაშასადამე, აქაც ყველაფერი რიგზეა. ოღონდ, ასეთი გადაწყვეტილების მიზეზები იყო გაუგებარი, და ბევრი ვიფიქრე მათზე, მაგრამ უმადური უნდა ვყოფილიყავი, რომ უბედურად მეგრძნო თავი. და მაინც, უბედური ვიყავი. მუშაობის თავი არ მქონდა და დილიდან საღამომდე ჩვენს პატარა ბაღში ვიჯექი. სწორედ იქ დამინახა ჰანსმა, ზოგჯერ მომიჯდებოდა ხოლმე გვერდით. მე არ

ვწუწუნებდი, არაფერს ვეუბნებოდი, მაგრამ ჰანსმა ისედაც იცოდა, რაში იყო საქმე და ვინაიდან კეთილი გული აქვს, ზოგჯერ ჩემთან ერთად ტიროდა ხოლმე. და აი, მაშინდელი მეფუნდუკე დაქვრივდა და გადაწყვიტა, დაეხურა საქმე, თანაც, უკვე ბერიკაცი იყო – ერთხელ ჩვენს ბაღთან ჩაიარა, და დაინახა, როგორ ვისხედით ორნი, შეჩერდა და მაშინვე შემოგვთავაზა თავისი ფუნდუკი იჯარით, ისე, რომ წინასწარ ფულის აღებაც არ მოინდომა – თქვა, რომ ჩვენ გვენდობა, და იჯარის ქირად სულ უმნიშვნელო თანხა დაგვინიშნა. არ მინდოდა, ზედმეტ ტვირთად დავწოლოდი მამაჩემს, მთელ ქვეყანაზე ჩემთვის უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო, სწორედ ამიტომ დავიწყე ფიქრი ფუნდუკზე, ახალ სამუშაოზე, რომელიც ცოტას მაინც დამეხმარებოდა, დამევიწყებინა ჩემი წარსული, სწორედ ამიტომ, არ ვუთხარი უარი ჰანსს, როდესაც ცოლობა მთხოვა. ეს არის და ეს მთელი ჩემი თავგადასავალი.“

მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა, მერე კი კ.-მ თქვა: „ფუნდუკის პატრონი სულგრძელად მოიქცა, მაგრამ წინდაუხედავად. ეგებ, მას ჰქონდა განსაკუთრებული მიზეზი, თქვენ ორივეს რომ მოგნდობოდათ?“

„იგი კარგად იცნობდა ჰანსს, ბიძად ეკუთვნოდა“, თქვა დიასახლისმა.

„მაშინ, რა თქმა უნდა, გასაგებია“, თქვა კ.-მ, „ალბათ, ჰანსის ოჯახი ძალზე დაინტერესებული იყო თქვენი ქორწინებით?“

„შესაძლოა“, თქვა დიასახლისმა, „არ ვიცი, – ამაზე არასდროს მიფიქრია.“

„არა, ალბათ, ასეც იყო საქმე“, თქვა კ.-მ, „რაკი ოჯახი ასეთ მსხვერპლს არ მოერიდა და გადაწყვიტა, თქვენთვის ფუნდუკი ყოველგვარი გარანტიის მიუღებლად გადმოელოცა.“

„არავითარი წინდაუხედაობა მათი მხრივ არ ყოფილა, როგორც მოგვიანებით გამოირკვა“, თქვა დიასახლისმა, „მე სამუშაოს მოვკიდე ხელი, მე ხომ მჭედლის შვილი ვიყავი, ჯანი და ღონე არ მაკლდა, არ მჭირდებოდა არც მოსამსახურეები და არც მოჯამაგირეები, ყველაფერს მარტო ავუდიოდი, – სასადილოშიც, სამზარეულოშიც, საჯინიბოშიც, ეზოშიც, ხოლო რაც შეეხება საჭმელს, ისე გემრიელად ვამზადებდით, რომ ისინი, ვინც სასტუმროში დადიოდა სასადილოდ, ჩვენთან გადმოვიდნენ. თქვენ სადილის დროს ბუფეტში ჯერ არ ყოფილხართ, და არ იცით, რამდენი მუშტარი გვყავს. მაშინ გაცილებით მეტი გვყავდა, ახლა იმდენი აღარ არის. ბოლოს, შევძელით არა მარტო დროზე გაგვესტუმრებინა იჯარის ფული, არამედ რამდენიმე წლის შემდეგ გვეყიდა კიდეც მთელი მეურნეობა, და ახლა ჩვენ თითქმის არა გვაქვს ვისიმე ვალი, მაგრამ მოხდა ისიც, რომ საბოლოოდ შევირყიე ჯანმრთელობა, გულმა დამაღალატა, და უცებ ვიგრძენი თავი დედაბრად. თქვენ, ალბათ, გგონიათ, რომ ჰანსზე გაცილებით უფროსი ვარ, სინამდვილეში კი სულ ორი-სამი წლით ახალგაზრდაა ჩემთან შედარებით. ის არასდროს არც დაბერდება, ისე მოიწყო სამუშაო, აქ ყალიონს გააბოლებს, იქ საუბარს მოისმენს, შემდეგ ჩიბუხიდან თუთუნის ფერფლს გამოყრის, ლუდს მიუტანს მუშტარს, – არა, ასეთ სამუშაოზე რა დაგაბერებს.“

„რა თქმა უნდა, თქვენი ძალისხმევა ყოველგვარი ქების ღირსია“, თქვა კ.-მ, „ეს უეჭველია, მაგრამ თქვენ ხომ გათხოვებამდელ დროზე ლაპარაკობდით, და მე, ცოტა არ იყოს, მიკვირს, რომ ჰანსის ოჯახი ასე ცდილობდა, დაექორწინებინეთ, არ

ერიდებოდა ხარჯებს ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთ რისკზე მიდიოდა, როდესაც თქვენ ფუნდუკს გაძლევდათ, თუ მთელ იმედს ამყარებდნენ მხოლოდ თქვენს შრომისმოყვარეობაზე, რისი ამბავიც საეჭვოა, სცოდნოდათ, ჰანსის სიზანტე ხომ კარგად იცოდნენ.“

„რასაკვირველია“, გაბეზრებულმა თქვა დიასახლისმა, „მესმის, საითაც უმიზნებთ, მაგრამ ააცილეთ მიზანს. კლამი მთელ ამ საქმეში არაფერ შუაშია, რატომ უნდა ეზრუნა ჩემზე, უფრო სწორად, როგორ შეეძლო, ეზრუნა ჩემზე? მან ხომ ჩემს შესახებ არაფერი იცოდა. რახან მეტი აღარ დავუძახივარ თავისთან, მაშასადამე, დავავიწყდი. როცა იგი ადამიანს თავისთან არ ეძახის, პირწმინდად ავიწყდება. ფრიდას თანდასწრებით არ მინდოდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ იგი უბრალოდ კი არ ივიწყებს, აქ გაცილებით უფრო სერიოზულად არის საქმე. თუ ადამიანს დაივიწყებ, შეგიძლია, ისევ გაეცნო, მაგრამ კლამისთვის ეს შეუძლებელია, თუ თავისთან არ გამოგიძახა, მაშასადამე, მას დაავიწყდა არა მხოლოდ წარსული, არამედ დაავიწყდი შენც სამუდამოდ. რომ მოვინდომო, შემიძლია, გავიზიარო თქვენი თვალსაზრისი. ეგებ ის სწორიც არის იქ, ცხრა მთას იქით, საიდანაც თქვენ ჩამოხვედით, მაგრამ აქ ასეთი აზრები ყოვლად უადგილოა. ეგებ, თქვენ ისეთ უაზრობამდეც მიხვიდეთ, რომ გადაწყვიტოთ, თითქოს კლამმა განზრახ მომცაო ჩემი ჰანსი ქმრად, რათა არაფერი არ მიშლიდეს ხელს, ვიარო ხოლმე მასთან, თუ იგი ოდესმე გადაწყვეტს დამიძახოს. ჰოდა, ამაზე მეტ სისულელეს ვერ მოიფიქრებს კაცი. ერთი მანახეთ ის ადამიანი, ვინც გაბედავს და დამიშლის, გავვარდე კლამთან, როგორც კი ნიშანს მომცემს! უაზრობაა, სრული უაზრობა,შეიძლება, მთლად გარეკო კაცმა, თუ ასეთ ფიქრებს გაივლებ თავში.“

„არა“, თქვა კ.-მ, „გარეკვით ნაღდად არ გავრეკავ და ის, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ, მე ჯერ არ მიფიქრია, თუმცა, ახლოს ვიყავი ამ აზრთან. ჯერჯერობით მე მხოლოდ ის მაოცებს, რომ ნათესავები ასევე დიდ იმედებს ამყარებდნენ თქვენს ქორწინებაზე და, რომ ეს იმედები ნამდვილად აუხდათ – მართალია, თქვენი გულისტკენის, თქვენი ჯანმრთელობის ფასად. რა თქმა უნდა, ყველა ეს მოვლენა რომ კლამთან იყო დაკავშირებული, ამის შესახებ აქამდეც ვფიქობდი, მაგრამ – არა მთლად, ან ჯერჯერობით არა მთლად ისეთი ტლანქი სახით, როგორც თქვენ წარმოსახეთ, ალბათ, იმიტომ, რომ კვლავ გაგეკრათ კბილი ჩემთვის, ჩანს, ეს კმაყოფილებას განიჭებთ. კი ბატონო, შეგიძლიათ გააგრძელოთ! ხოლო ჩემი აზრი აი, რაში მდგომარეობდა: უწინარეს ყოვლისა, კლამი ნაღდად იყო თქვენი ქორწინების მიზეზი. კლამი რომ არა, თქვენ ასე არ გაუბედურდებოდით, არ დაჯდებოდით ყვავილნარში. კლამი რომ არა, თქვენ ვერ გნახავდათ ჰანსი, ხოლო თქვენ ასეთი მწუხარე სახე რომ არ გქონოდათ, მფრთხალი ჰანსი ვერასდროს ვერ გაბედავდა თქვენთან გამოლაპარაკებას. კლამი რომ არა, თქვენ არასდროს არ იტირებდით ჰანსთან ერთად. კლამი რომ არა, ჰანსის გულკეთილი ბიძა, ფუნდუკის პატრონი, ვერასდროს დაგინახავდათ ერთად მსხდომთ. კლამი რომ არა, თქვენ არ იქნებოდით ასე უგულოდ განწყობილი ყველაფრისადმი და არ გაჰყვებოდით ცოლად ჰანსს. ხომ ხედავთ, მე ვიტყოდი, რომ კლამი აქ ძალიანაც შუაშია. მაგრამ ეს როდია ყველაფერი. თქვენ რომ არ გდომებოდათ კლამის დავიწყება, ამდენ ძალას არ შეალევდით სამუშაოს და ვერ აიყვანდით მეურნეობას ასეთ სიმაღლეზე. მაშასადამე, აქაც კლამია შუაში. და, ამას გარდა, კლამის ბრალია თქვენი ავადმყოფობა იმიტომ, რომ ჯერ კიდევ გათხოვებამდე თქვენს გულს ვნება მიადგა უბედური სიყვარულისაგან. რჩება

მხოლოდ ერთი კითხვა: რით მოხიბლა ამ ქორწინებამ ასე ჰანსის ახლობელ-ნათესავები? თქვენ როგორღაც თვითონ თქვით, რომ იყო, თუნდაც ოდესღაც, კლამის საყვარელი – ეს ნიშნავს, სამუდამოდ შეინარჩუნო ეს მაღალი წოდება. ჰოდა, ალბათ სწორედ ამან აცდუნა ჰანსის ოჯახი. ამას გარდა, მე მგონი, მათ იმედი ჰქონდათ, რომ ის ბედნიერი ვარსკვლავი, რომელმაც თქვენ მიგიყვანათ კლამთან – ოღონდ თუ ის, როგორც თქვენ ამტკიცებთ, მართლაც ბედნიერი იყო, – ეს ვარსკვლავი მუდამ თან გსდევთ და არ გიღალატებთ, როგორც კლამი.“

„და თქვენ ყოველივე ამას სერიოზულად ამბობთ?“ იკითხა დიასახლისმა.

„რა თქმა უნდა, სერიოზულად“, მყისვე მიუგო კ.-მ, „ოღონდ, მე მგონია, რომ ჰანსის ნათესავები მართალნიც იყვნენ თავიანთ იმედებში, და ამასთანავე, არც იყვნენ მართლები, მე მეჩვენება, რომ მივხვდი კიდეც, რა შეცდომა მოუვიდათ მათ. გარეგნულად თითქოს ყველაფერი მოხერხდა. ჰანსი კარგად მოეწყო, ისეთი ცოლი ჰყავს, ყველას ზედ დარჩება თვალი, მას პატივს სცემენ, მეურნეობა თავისუფალია ვალებისაგან. მაგრამ, არსებითად არაფერი გამოუვიდათ, და, რასაკვირველია, იგი გაცილებით უფრო ბედნიერი იქნებოდა უბრალო გლეხის გოგოსთან, რომელიც შეიყვარებდა პირველი, ნამდვილი სიყვარულით, და თუ, როგორც თქვენ საყვედურობთ, იგი ზოგჯერ ბუფეტში ზის განმარტოებული და თავ-პირი ჩამოსტირის, ეს – მხოლოდ იმიტომ, რომ მართლაც გრძნობს თავს გარკვეულწილად ხელმოცარულად, თუმცა, უბედურად – არა, ამდენად მაინც ვიცნობ, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ასეთი ლამაზი და გონიერი კაცი გაცილებით უფრო ბედნიერი იქნებოდა, სხვა ცოლი რომ ჰყოლოდა; მე მინდა ვთქვა, რომ იგი უფრო დამოუკიდებელი, მონდომებული, ვაჟკაცური იქნებოდა. თავად თქვენ არა ხართ უფრო ბედნიერი; თქვენივე თქმით, ეს სამი სუვენირი რომ არ გქონოდათ, სიცოცხლის ხალისსაც დაჰკარგავდით, თან გული გაქვთ დაავადებული. რა გამოდის, მაშასადამე, ნათესავებს ტყუილი იმედი ჰქონდათ? არა, არა მგონია. ბედნიერი ვარსკვლავი თქვენ დაგნათოდათ, მაგრამ ისინი ვერ მისწვდნენ.“

„მაინც რა გამოგვრჩა?“ ჰკითხა დიასახლისმა. იგი გულაღმა იწვა, მთელი ტანით გამართული, და ჭერს მისჩერებოდა.

„არ ჰკითხეთ კლამს“, თქვა კ.-მ.

„ისევ თქვენს საქმეს დავუბრუნდით“, თქვა დიასახლისმა.

„ანუ თქვენსას“, თქვა კ.-მ. ჩვენი საქმეები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.“

„მაინც, რას ერჩით კლამს?“ ჰკითხა დიასახლისმა, საწოლზე წამოჯდა, ბალიშები გაისწორა, რათა უკეთ დაყრდნობოდა, და პირდაპირ ჩახედა თვალებში კ.-ს. „მე თქვენ გულახდილად მოგიყევით ჩემი ამბავი – იგი თქვენთვის მრავალმხრივ არის ჭკუის სასწავლებელი. მითხარით ასევე გულახდილად: რა გინდათ, ჰკითხოთ კლამს? მე ძლივს შევიპირე ფრიდა, რომ ზემოთ ასულიყო და თქვენს ოთახში მჯდარიყო, – მეშინოდა, რომ მისი თანდასწრებით ასე გულახდილად არ ილაპარაკებდით.“

„მე დასამალი არაფერი მაქვს“, თქვა კ.-მ. „მაგრამ თავდაპირველად მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო აი, რას. კლამი მყისვე ივიწყებს ხოლმე ყველაფერს – ასე ბრძანეთ თქვენ თვითონ. ჯერ ერთი, მე რომ მკითხო, – ეს არ ჰგავს სიმართლეს, მეორე,

ვერაფრით ვერ დაამტკიცებ, მაშასადამე, ეს არის მხოლოდ ლეგენდა, რომელიც თავიანთი დედაკაცური ტვინით შეთხზეს კლამის მორიგმა ფავორიტმა ქალებმა. მიკვირს, როგორ დაიჯერეთ თქვენ ასეთი უნიჭო მონაჩმახი.“

„არა, ეს ლეგენდა არ არის“, თქვა დიასახლისმა. „ამას ამტკიცებს ჩვენი ერთობლივი გამოცდილება.“

„მაშასადამე, შემდგომ შეთხზულ ამბავს ამის უარყოფაც შეუძლია“, თქვა კ.-მ. „და ამას გარდა, თქვენს ამბავსა და ფრიდას ამბავს შორის არის კიდევ ერთი განსხვავება. კაცმა რომ თქვას, ის კი არა, რომ კლამმა აღარ მიიხმო ფრიდა თავისთან, პირიქით, კლამმა დაუძახა, ხოლო ფრიდა არ წავიდა. შესაძლოა, ახლაც ზის და ელოდება.“

დიასახლისს არაფერი არ უთქვამს, მხოლოდ გამომცდელი მზერა შეავლო კ.-ს და თქვა: „მე მზად ვარ, მშვიდად მოვისმინო ყველაფერი, რისი თქმაც თქვენ გნებავთ. უმჯობესია, გულახდილად ვილაპარაკოთ, ნუ დამინდობთ. მხოლოდ ერთი თხოვნა მექნება, ნუ ახსენებთ კლამის სახელს, თქვით. ხოლმე უბრალოდ „ის“, „იგი“, ანდა კიდევ რაღაც სხვა, ოღონდ სახელით ნუ მოიხსენიებთ.“

„სიამოვნებით“, თქვა კ.-მ. „ოღონდ, გამიჭირდება იმის ახსნა, თუ რა მინდა მისგან. უწინარეს ყოვლისა, მინდა, ახლოს ვნახო, მერე, მისი ხმა გავიგონო, შემდეგ კი გავიგო, როგორ უყურებს იგი ჩვენს ქორწინებას, ხოლო რას ვთხოვ, შესაძლოა, შემდეგ, ეს უკვე იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება ჩვენი საუბარი. აქ შეიძლება ათასი რამ წამოიჭრას, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მთავარი იქნება ის, რომ პირისპირ შევხვდები მას. აქამდე ხომ არც ერთ ნამდვილ მოხელესთან არ მილაპარაკია უშუალოდ. მე მგონი, ამის მიღწევა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მეგონა. მაგრამ ახლა მე ვალდებული ვარ, დაველაპარაკო მას როგორც კერძო პირს, და, ჩემი აზრით, ამის მიღწევა გაცილებით უფრო იოლია. როგორც მოხელეს, შემიძლია მას ველაპარაკო მხოლოდ მის, როგორც ჩანს, მიუდგომელ კანცელარიაში, იქ, გოდოლში, ან, შესაძლოა, სასტუმროში, თუმცა, ეს უკვე საეჭვოა. მაგრამ როგორც კერძო პირი, შემიძლია, მას ველაპარაკო ყველგან: სახლში, ქუჩაში – ერთი სიტყვით, იქ, სადაც გადავეყრები. ხოლო იმ ამბავს, რომ ჩემს წინაშე ამავე დროს იქნება მოხელეც, სიამოვნებით გავითვალისწინებ, მაგრამ მთავარი ჩემთვის ეს არ არის.“

„კეთილი“, თქვა დიასახლისმა და სახე ბალიშებში ჩარგო, თითქოს მის ნათქვამში რაღაც სარცხვინელი იყო. „თუ მოვახერხებ, ჩემი ნაცნობების მეშვეობით მივაღწიო, რომ კლამს გადასცენ თქვენი სათხოვარი – დაელაპარაკოთ მას, – შეგიძლიათ, აღმითქვათ, რომ არაფერს არ მოიმოქმედებთ თვითნებურად, როგორც მოგეპრიანებათ.“

„აი, ამას ვერ დაგპირდებით“, თქვა კ.-მ. „თუმცა, სიამოვნებით შეგისრულებდით თხოვნას, გნებავთ, – ხვაშიადს. საქმე არ ითმენს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ასეთი არასახარბიელო საუბარი მქონდა მამასახლისთან.“

„ეს ვერაფერი არგუმენტია“, თქვა დიასახლისმა. „მამასახლისი სრულიად უმნიშვნელო ფიგურაა. ნუთუ ეს თვითონ ვერ შეამჩნიეთ? ის ერთ დღესაც ვერ გაძლებდა თავის ადგილზე, ცოლი რომ არა – სწორედ ის უძღვება ქმრის საქმეებს.“

„მიცი?“ იკითხა კ.-მ. დიასახლისმა დასტურით დაუკრა თავი. „ის ესწრებოდა ჩვენს საუბარს“, თქვა კ.-მ.

„თუ გამოთქვა თავისი აზრი?“ იკითხა დიასახლისმა.

„არა“, თქვა კ.-მ. „მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მას არავითარი თავისი აზრი არ გააჩნია.“

„რასაკვირველია“, თქვა დიასახლისმა, „თქვენ ჩვენს ამბებს არასწორად ხედავთ. ყოველ შემთხვევაში, იმას, რაც თქვენს შესახებ გადაწყვიტა მამასახლისმა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო მის ცოლს მე დაველაპარაკები, როგორც კი ვნახავ. თქვენ კი გპირდებით, რომ კლამის პასუხს მიიღებთ არა უგვიანეს ერთი კვირისა, და უკვე არ გექნებათ არავითარი საფუძველი ჯიბრში ჩამიდგეთ მე.“

„ყოველივე ეს არ არის არსებითი“, თქვა კ.-მ. „მე მტკიცედ გადავწყვიტე ყველაფერი, და სულ ერთია, მაინც შევასრულებ ჩემს გადაწყვეტილებას. შევასრულებდი მაშინაც კი, უარი რომ მომსვლოდა. ხოლო რახან ასე გადავწყვიტე წინასწარ, როგორ შემიძლია ახლა შეხვედრის შესახებ ვითხოვო? ის რაც უთხოვნელად იქნებოდა თამამი, მაგრამ სულაც არა – ბოროტგანზრახული საქციელი, უარის თქმის შემთხვევაში აშკარად გადაიქცევა ურჩობად. ხოლო ეს, კაცმა რომ თქვას, უარესია.“

„უარესი?“ გაიმეორა დიასახლისმა. „აქ თქვენ სულერთია, ურჩობას გამოიჩენთ. ახლა კი მოიქეცით, როგორც გენებოთ. ერთი, ბოლოკაბა მომაწოდეთ.“

დიასახლისს არ მორიდებია კ.-ს იქ ყოფნისა, ისე ჩაიცვა ბოლოკაბა და სამზარეულოში გავიდა სწრაფი ნაბიჯით. დარბაზიდან კარგა ხანია ისმოდა ყაყანი. სარკმელში წარამარა აკაკუნებდნენ. ერთხელ კ.-ს თანაშემწეებმა სარკმელი გამოაღეს და დაიძახეს, გვშიაო. სხვა სახეებიც ასევე იყურებოდნენ იქიდან. შორიდან მოისმოდა მოგუდული მრავალხმიანი სიმღერაც კი.

და მართლაც, კ.-სთან დიასახლისის საუბრის გამო, სადილმა დააგვიანა. იგი ჯერ არ იყო მზად, ხალხი კი უკვე შეკრებილიყო. თუმცა, ვერავინ ბედავდა დაერღვია დიასახლისის აკრძალვა და სამზარეულოში შესულიყო, მაგრამ როცა სარკმელთან დადარაჯებულმა მეთვალყურეებმა დანარჩენებს მოახსენეს, დიასახლისი უკვე გამოვიდაო, ყველა მსახურმა ქალმა მაშინვე შეირბინა სამზარეულოში, და, როდესაც კ. საერთო ოთახში შევიდა, იქ, მაგიდებთან ადგილის დასაკავებლად იხუვლა ხალხმა – ოცზე მეტმა ქალმა და მამაკაცმა, რომელთა ჩაცმულობასაც უფრო პროვინციული ეთქმოდა, ვიდრე გლეხური. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კუთხის მაგიდა იყო დაკავებული, იქ იჯდა წყვილი რამდენიმე ბავშვთან ერთად. მამა, სანდომიანი ცისფერთვალა კაცი, რომელსაც ჭაღარა ქოჩორი გასწეწოდა, ბავშვებთან დახრილიყო და მათი სიმღერის ტაქტზე დანით დირიჟორობდა, ცდილობდა, ცოტათი დაეწევინებინა ხმა. იქნებ, სურდა კიდეც, რომ სიმღერას მათთვის შიმშილი დაევიწყებინა. დიასახლისმა გულგრილად მოიხადა ბოდიში სტუმრების წინაშე, თუმცა არავის აზრადაც არ მოსვლია, ესაყვედურა. ქალმა თვალებით დაუწყო ძებნა მეფუნდუკეს, მაგრამ ის, როგორც ჩანს, კარგა ხნის გაქცეული იყო, რათა თავი დაეღწია უხერხული მდგომარეობისათვის. შემდეგ დიასახლისი აუჩქარებლად გავიდა სამზარეულოში, და კ.-ს, რომელიც თავის ოთახში ფრიდასთან მიიჩქაროდა, ზედაც არ შეხედა.

7. მასწავლებელი

ზემოთ კ.-ს მასწავლებელი დახვდა. მისდა გასახარად, ოთახს თითქმის ვეღარ იცნობდი, ისე დაელაგებინა ფრიდას. კარგად გაენიავებინა, ღუმელი აეგიზგიზებინა, იატაკი მოერეცხა, ხელახლა დაეგო ლოგინი. იქიდან მოეცილებინა მსახური ქალების ნივთები, მთელი ეს საზიზღარი ხარახურა, მათი სურათებიც კი, ხოლო მაგიდას, რომელიც ადრე ყველას თვალში ეჩხირებოდა ჭუჭყჩამკვდარი ზედაპირით, ახლა თეთრი ნაქსოვი სუფრა ჰქონდა გადაფარებული. ახლა შეეძლოთ, სტუმრებიც მიეღოთ, ხოლო კ.-ს ღარიბული საცვალი, რომელიც ეტყობა, დილაუთენია გაერეცხა ფრიდას და ახლა ღუმელთან დაჭიმულ თოკზე შრებოდა, არავის არ უშლიდა ხელს. მასწავლებელი და ფრიდა მაგიდასთან ისხდნენ და წამოდგნენ, როგორც კი კ. ოთახში შევიდა. ფრიდამ გადაკოცნა კ., მასწავლებელმა ოდნავ დაუკრა თავი. კ.-მ, დაბნეულმა და დიასახლისთან საუბრით კიდევ უფრო შეწუხებულმა, მასწავლებელს ბოდიში მოუხადა, რომ აქამდე ვერ შეიარა მასთან. ისე გამოდიოდა, თითქოს ეგონა, რომ მასწავლებელს, რახან კ. არ მივიდა, ვერ გაუძლო გულმა და თავად ესტუმრაო. მაგრამ მასწავლებელმა მისთვის ჩვეული თავდაჭერით ისეთი სახე მიიღო, თითქოს ახლა-ღა ახსენდებაო, რომ კ.-სთან მოილაპარაკა რაღაც სტუმრობაზე. „თქვენ ხომ, უფალო მიწისმზომელო, – დინჯად თქვა მან, – ის უცნობი ბრძანდებით, რომელსაც ორიოდე დღის წინ ეკლესიის მოედანზე ვესაუბრე!“ „დიახ“, – მოკლედ მოუჭრა კ.-მ. ახლა, თავის ოთახში რომ იყო, მას აღარ სურდა ეთმინა ის, რასაც აქამდე, ყველასგან მიტოვებული, ითმენდა. იგი ფრიდას მიუბრუნდა და რჩევა ჰკითხა: მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს და რა აჯობებს, ჩავიცვაო. ფრიდას არაფერი არ უკითხავს კ.-სთვის, მაშინვე იხმო თანაშემწენი – ისინი ახალ სუფრას ათვალიერებდნენ, – და უბრძანა, დაუყოვნებლივ გაეწმინდათ ეზოში კ.-ს კოსტიუმი და ფეხსაცმელი, და ამ უკანასკნელმაც მაშინვე დაიწყო გახდა. თვითონ ფრიდამ კი პერანგი თოკიდან ჩამოხსნა და ქვემოთ, სამზარეულოში გაიქცა გასაუთოვებლად.

ახლა კ. მარტოდ მარტო დარჩა მასწავლებელთან, რომელიც წყნარად ეჯდა მაგიდას. კ.-მ ერთხანს შეიცადა, მერე პერანგი გაიძრო და ტაშტში პირის დაბანას შეუდგა. მხოლოდ ახლა, მასწავლებლისაკენ ზურგით რომ მიბრუნდა, ჰკითხა, რაზე შეწუხებულხართო. „მე უფალი მამასახლისის დავალებით მოვედი“, – თქვა მასწავლებელმა. კ.-მ უპასუხა, რომ მზად არის, მოისმინოს ეს დავალება. მაგრამ ვინაიდან წყლის ჭყაპაჭყუპი ახშობდა მის სიტყვებს, მასწავლებელი იძულებული გახდა ახლოს მისულიყო და კ.-ს გვერდით, კედელთან დამდგარიყო. კ.-მ ბოდიში მოუხადა, რომ მისი თანდასწრებით იბანდა პირს, აუხსნა, საერთოდ ვღელავო დანიშნული შეხვედრის გამო. მასწავლებელს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის, და თქვა: „თქვენ არ იყავით თავაზიანი მამასახლისთან. ასეთ ხანდაზმულ, დამსახურებულ, გამოცდილ, პატივისაცემ და ღირსეულ ადამიანთან.“ „არ მახსოვს, რომ უზრდელად მოვქცეულიყავ“, – თქვა კ.-მ., თან პირს იმშრალებდა, – „მაგრამ სწორი შენიშვნაა, რომ იმ დროს გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ამბებზე ვფიქრობდი, და არ მცხელოდა დახვეწილი მანერებისათვის. აკი საქმე ჩემს ყოფნა-არყოფნას ეხებოდა. მას კი საფრთხე შეექმნა უმცგავსო საქმის წარმოების გამო, თუმცა, რას გიამბობთ თქვენ ამის შესახებ, როცა თავად ბრძანდებით ამ კანცელარიის აქტიური წევრი. რაო, მამასახლისმა დაიჩივლა ჩემზე?“ „ვისთან უნდა დაეჩივლა?“ თქვა მასწავლებელმა. „ასეთი კაცი რომც გამოჩენილიყო, განა ის დაიწყებდა ჩივილს? მე მხოლოდ მისი კარნახით შევადგინე ერთი პატარა ოქმი თქვენი მოლაპარაკების შესახებ და მივიღე საკმარისი ცნობები, როგორც უფალი მამასახლისის გულკეთილობის შესახებ, ისე თქვენი პასუხების ხასიათის

შესახებ.“ სანამ კ. სავარცხელს ეძებდა – ეტყობა, ფრიდამ, ოთახს რომ ალაგებდა, სადღაც შეინახა, – და სხვათა შორის იკითხა, „რა ოქმი? თანაც უჩემოდ შედგენილი იმ კაცის მიერ, ვინც არც კი დასწრებია საუბარს? ბარაქალა, ბარაქალა! საერთოდ რაში დაგჭირდათ ოქმი? განა ეს ოფიციალური საუბარი იყო?“ „არა, საუბარი ნახევრად ოფიციალური გახლდათ“, თქვა მასწავლებელმა, „მაგრამ ოქმიც ასევე სანახევროდ არის ოფიციალური, იგი მხოლოდ იმიტომ შევადგინეთ, რომ ჩვენთან ყველაფერში უნდა იყოს უმკაცრესი წესრიგი. ყოველ შემთხვევაში, ახლა ოქმი არსებობს და სასახელოს ვერაფერს გმატებთ.“ კ.-მ ბოლოს და ბოლოს იპოვა სავარცხელი, რომელიც საწოლზე დავარდნილიყო, და უკვე უფრო მშვიდად თქვა: „არსებობს და – იარსებოს, თქვენ იმიტომ გაისარჯეთ, რომ ჩემთვის გეცნობებინათ ეს ამბავი?“ „არა“, თქვა მასწავლებელმა, „მაგრამ მე ავტომატი ხომ არა ვარ, უნდა გითხრათ თქვენ, რასაც ვფიქრობ. ჩემი დავალება კი, პირიქით, უფალი მამასახლისის სიკეთის დასტურია. ხაზს ვუსვამ, რომ მისი სიკეთე გაუგებარია და რომ მხოლოდ ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობისა და უფალი მამასახლისის მიმართ ღრმა პატივისცემის ნიშნად, იძულებული გავხდი ხელი მომეკიდა ასეთი დავალების შესრულებისთვის.“ კ., უკვე პირდაბანილი და თმადავარცხნილი, მიუჯდა მაგიდას, პერანგისა და ზედა ტანსაცმლის მოლოდინში. მას ოდნავაც არ ეტყობოდა ცნობისმოყვარეობა, გაეგო, თუ რა უნდა გადაეცა მისთვის მასწავლებელს, თან კარგად ახსოვდა მეფუნდუკის ცოლის სიტყვებიც, რომელმაც აგდებულად მოიხსენია მამასახლისი. „ალბათ, უკვე პირველი დაიწყო?“ იკითხა მან, თან მომავალ გზაზე ფიქრობდა, მაგრამ იქვე გამოერკვა ფიქრებიდან და იკითხა: „თქვენ, მგონი, მამასახლისის დავალების გადმოცემას აპირებდით ჩემთვის?“ „აკი გითხარით“, თქვა მასწავლებელმა, და მხრები აიჩეჩა, თითქოს, სურს მთელი პასუხისმგებლობა თავიდან მოიცილოსო. „უფალი მამასახლისი შიშობს, ვაითუ თქვენს საქმეზე პასუხის ხანგრძლივი დაყოვნების შემთხვევაში თქვენ დაუფიქრებლად მოიქცეთ და ჩაიდინოთ რაღაც ისეთი, რასაც ინანებთ. ჩემი მხრივ, ვერ გამიგია, რატომ ეშინია ამისა, მე ვფიქრობ, რომ უმჯობესია თქვენ ისე მოიქცეთ, როგორც თქვენ გსურთ. ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, არც თქვენი მფარველი ანგელოზები ვართ და არც გვიკისრია ვალდებულება კუდში გდიოთ ყველგან, სადაც წახვალთ, თუმცა, ყველამ თავისი საქმე იცის. უფალი მამასახლისი სხვა აზრისაა. რა თქმა უნდა, გადაწყვეტის დაჩქარება მას არ შეუძლია – ეს გრაფის კანცელარიების საქმეა, მაგრამ თავისი გავლენის ფარგლებში მამასახლისი აპირებს წინასწარ მოგმართოთ ჭეშმარიტად სულგრძელი წინადადებით – თქვენზეა დამოკიდებული, მიიღებთ, თუ არა. იგი გთავაზობთ, ჯერჯერობით სკოლის ფარეშის ადგილი დაიკავოთ.“ თავდაპირველად კ.-მ წაუყრუა წინადადებას, თუ რას სთავაზობდნენ სახელდობრ, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ასეთი რამ შემოსთავაზეს, არ მოეჩვენა მნიშვნელობას მოკლებულად. ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ, მამასახლისის აზრით, კ.-ს შეეძლო საკუთარი თავის დასაცავად რაღაც მოემოქმედა. და იმისათვის, რომ თემისათვის თავიდან აეცილებინა ზედმეტი უსიამოვნება, მამასახლისი მზად იყო, დათანხმებოდა ერთგვარ ხარჯებს. მაინც, რა სერიოზულად მოჰკიდებიან აქ მის საქმეს?! ალბათ, მამასახლისმა კინწისკვრით გამოაგდო მასთან მასწავლებელი, და ისიც მოთმინებით ელოდებოდა, იქამდე კი მთელი ოქმი გაეშანშალებინა.

რა ნახა, კ. ჩაფიქრდაო, მასწავლებელმა განაგრძო: „მე მოვახსენე ჩემი განსხვავებული აზრი. მივუთითე, რომ სკოლის ფარეში აქამდე ერთხელაც არ დაგვჭირვებია – ეკლესიის მნათეს ცოლი დროდადრო ალაგებს სკოლას, ხოლო ჩვენი მასწავლებელი

ქალი, ფროილაინ გიზა, ამას თვალს ადევნებს. მე კი ისედაც გადაყოლილი ვარ ბავშვებს, და არავითარი სურვილი არა მაქვს, თავი ვიმტვრიო სკოლის ფარეშის გამო. უფალმა მამასახლისმა მითხრა, კი მაგრამ, სკოლაში საშინელი ჭუჭყიაო. მე ვუპასუხე, საქმე არც ისე ცუდად არის-მეთქი, და დავძინე: განა უკეთესი იქნება, ეს კაცი ფარეშად რომ ავიყვანოთ-მეთქი? ეჭვსგარეშეა, - არა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ასეთ სამუშაოზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს, უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლაში სულ ორი დიდი კლასია, არ არის არავითარი დამხმარე სათავსი, მაშასადამე, სკოლის ფარეშმა ოჯახიანა ერთ-ერთ კლასში უნდა იცხოვროს, იქ იძინოს, შესაძლოა, საჭმელიც იქ მოამზადოს და, რა თქმა უნდა, საკლასო ოთახი ამის შედეგად უფრო სუფთა ვერ გახდება-მეთქი. მაგრამ უფალმა მამასახლისმა შემახსენა, რომ ეს ადგილი თქვენთვის ნამდვილი ხსნა იქნება და ამიტომ თქვენ იმუშავებთ თავდაუზოგავად, რაც შეიძლება უკეთ, ამას გარდა, თქვა უფალმა მამასახლისმა, ჩვენ გვეყოლება მუშახელი თქვენი ცოლის და თქვენი თანაშემწეების სახით, ასე რომ, შეგვეძლება სანიმუშო წესრიგში ვიქონიოთ არა მარტო სკოლა, არამედ სკოლისირგვლივი ნაკვეთიცო, მაგრამ მე იქვე გავუბათილე ეს არგუმენტები. ბოლოს, უფალ მამასახლისს აღარ მოუტანია თქვენი მხარდამჭერი მოსაზრებები, მხოლოდ გაეცინა და თქვა, რომ რახან თქვენ მიწისმზომელი ხართ, მაშასადამე, შეგიძლიათ ზედმიწევნით ლამაზად გააშენოთ ყვავილნარი სკოლის ბაღში. ამ ხუმრობის პასუხად არაფერი მითქვამს. იძულებული გავხდი, თქვენთან წამოვსულიყავი ამ დავალებით.“ „ტყუილად გარჯილხართ, უფალო მასწავლებელო“, თქვა კ.-მ, „მე აზრადაც კი არ მომივა, დავთანხმდე ამ ადგილს.“ „საუცხოოა“, თქვა მასწავლებელმა, „საუცხოო, მაშასადამე, თქვენ უარს ამბობთ ყოველგვარი დათქმისა და პირობის გარეშე.“ ეს თქვა, შლაპა აიღო თავი დაუკრა კ.-ს და გავიდა.

ცოტა ხანში ფრიდა დაბრუნდა – სახეზე ეტყობოდა, რომ ძარღვებაშლილი იყო, პერანგი გაუუთოვებელი მოიტანა, კითხვებზე არ პასუხობდა. კ.-მ სცადა, დაემშვიდებინა, და უამბო მასწავლებლისა და მამასახლისის წინადადების შესახებ. სათქმელი არ დაემთავრებინა, რომ ქალმა პერანგი საწოლზე დააგდო და გარეთ გაიქცა. მალევე დაბრუნდა, ოღონდ, არა მარტო, არამედ მასწავლებელთან ერთად, რომელიც ხმას არ იღებდა და გულმოსულად შეეკრა კოპები. ფრიდამ სთხოვა, მეტი მოთმინება გამოიჩინეო – ჩანს, აქ მომავალს, გზაში რამდენჯერმე ეთხოვა ამის შესახებ – მერე კ.-ს მოქაჩა და გაიყვანა გვერდითა კარში, რომელზეც კ.-ს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. იქიდან – მეზობელ სხვენში და იქ, ბოლოს და ბოლოს, აღელვებისაგან აქოშინებულმა უამბო, რაც მოხდა. დიასახლისი აღშფოთებული იყო იმით, რომ დაიმცირა თავი, და გული გადაუშალა კ.-ს. უფრო უარესიც – დაუთმო იმაში, რაც შეეხებოდა კლამთან მოლაპარაკებას და მაინც ვერ მიაღწია ვერაფერს კ.-ს ცივი, როგორც მან თქვა, გულგარე უარის გარდა, და ამიტომ ახლა გადაწყვიტა, რომ მეტს აღარ გააჩერებს კ.-ს თავის სახლში. თუ მას აქვს რაღაც ნაცნობობა გოდოლში, ნუ აყოვნებს, გამოიყენოს იგი იმიტომ, რომ დღესვე, ამ წუთასვე უნდა დატოვოს მისი სახლი და მხოლოდ ადმინისტრაციის უშუალო ბრძანებითა და ძალდატანებით მიიღებს მას უკან. მაგრამ იმედოვნებს, რომ ეს არ მოხდება, ვინაიდან დიასახლისსაც აქვს გოდოლში ნაცნობობა და შეძლებს, გამოიყენოს იგი, თანაც კ. მათ ფუნდუკში მოხვდა მხოლოდ მეფუნდუკის დოყლაპიობის გამო, ახლა კი იგი აღარ სჭირდება: ჯერ კიდევ ამ დილას ტრაბახობდა, სხვა ღამის სათევიც მაქვსო. რასაკვირველია, ფრიდა უნდა დარჩეს: თუ ფრიდა სწორედ კ.-სთან ერთად წავა, დიასახლისისთანა უბედური არავინ იქნება, ამის გაფიქრებაზეც კი ქვითინი აუვარდა იქ,

სამზარეულოში, და იატაკზე ჩაიკეცა ქურის გვერდით, ამ საწყალმა ქალმა, რომელსაც ავადმყოფი გული აქვს! მაგრამ როგორ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო, თუ ყოველივე ეს, ყოველ შემთხვევაში, მისი წარმოდგენით, ჩრდილს მიაყენებს კლამის ნათელ მოგონებებს. აი, რა მდგომარეობაშია ახლა დიასახლისი. რა თქმა უნდა, ფრიდა გაჰყვება მას, კ.-ს, სადაც უნდა წავიდეს იგი, თუნდაც ქვეყნიერების დასალიერში. აქ საჭოჭმანო არაფერია, მაგრამ ახლა ორივენი შავ დღეში არიან. ამიტომ ფრიდამ დიდი სიხარულით მიიღო მამასახლისის წინადადება, და თუმცა ეს შეთავაზება მთლად კ.-ს შესაფერისი არ არის, მაგრამ ადგილი ხომ დროებითია – ეს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, – ან შეიძლება, დრო მოიგონ და იოლად გამონახონ სხვა შესაძლებლობა. მაშინაც კი, თუ საბოლოო გადაწყვეტილება კ.-სთვის არახელსაყრელი იქნება. „ხოლო უკიდურეს შემთხვევაში“, წამოიძახა ფრიდამ და კ.-ს გადაეხვია, – „ჩვენ წავალთ, რა დაგვაკავებს აქ, ამ სოფელში? იქამდე კი ძვირფასო, მოდი, დავთანხმდეთ ამ წინადადებას, კარგი? მე გზიდან მოვაბრუნე მასწავლებელი, შენ მხოლოდ უთხარი „კეთილიო“, და ჩვენ სკოლაში გადავალთ.“

„ცუდად გამოვიდა ყველაფერი“, სხვათა შორის თქვა კ.-მ. მას სულაც არ აინტერესებდა, სად იცხოვრებენ, ახლა, საცვლებისამარა, გაიყინა ამ სხვენში, სადაც არც კედლები იყო, არც ფანჯარა, და ძვალსა და რბილში გამტანი ქარი ქროდა. „შენ ისე კოხტად დაალაგე ოთახი, ახლა კი უნდა დავტოვოთ. არა, არ მინდა, ძალიან არ მინდა, დავთანხმდე ამ ადგილს, მარტო ის რად ღირს, რომ თავი უნდა დავიმცირო ვიღაც სოფლის მასწავლებლის წინაშე და უფროსად დავიყენო იგი. კიდევ ცოტა ხანს რომ დავრჩენილიყავით აქ, ეგებ ჩემი დღევანდელი მდგომარეობა შეიცვალოს, შენ მაინც ცოტა ხანს რომ ყოფილიყავი აქ, მაშინ შეიძლებოდა რაღაცას დავლოდებოდით და მასწავლებლისათვის გაურკვეველი პასუხი გაგვეცა. ჩემთვის მე ყოველთვის ვიპოვი ღამის გასათევ ადგილს, თუნდაც ბარნა...“ მაგრამ აქ ფრიდამ პირზე ხელი დააფარა. „ოღონდ, იქ არა“, შეშინებულმა წარმოთქვა ქალმა, „გევედრები, ნუ იმეორებ ასეთ სიტყვებს. მზად ვარ, ყველაფერში დაგიჯერო. გინდა, აქ მარტო დავრჩები, ამაზეც მზად ვარ, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ჩემთვის, გინდა, უარი ვთქვათ ამ წინადადებაზე, რაოდენ მცდარიც უნდა იყოს ეს, ჩემი აზრით. რაც შეეხება სხვა შესაძლებლობებს, თუ მათ ამ საღამოსვე გამონახავ, თავისთავად ცხადია, ჩვენ მაშინვე ვიტყვით უარს სკოლის ფარეშის ადგილზე და არავინ დაგვაბრკოლებს. ხოლო, რომ ამბობ, მასწავლებლის წინაშე თავი დავიმცირო, მე შევეცდები, ეს არ დავუშვა, თვითონ დაველაპარაკები, შენ კი მხოლოდ გვერდზე დამიდექი და ხმა არ ამოიღო. ჩვენ მერეც ასე მოვიქცევით. თუ არ გინდა, შენ მას არასოდეს არ გასცემ ხმას, სინამდვილეში მასწავლებელს მხოლოდ მე დავემორჩილები, თუმცა ესეც არ იქნება, ძალიან კარგად ვიცი ყველა მისი სუსტი მხარე. ესე იგი, ჩვენ არაფერს არ დავკარგავთ, თუ დავთანხმდებით ამ თანამდებობას, სამაგიეროდ ბევრს დავკარგავთ, თუ უარს ვიტყვით, უწინარეს ყოვლისა, თუ შენ დღეს ვერაფერს მიაღწევ გოდოლში, მაშინ ნამდვილად ვერ მიაღწევ ვერაფერს ვერსად. ღამის სათევსაც კი ვერ იშოვი მარტო შენთვის, მე ვლაპარაკობ ისეთ ღამის სათევზე, რომლისაც მე, შენს მომავალ ცოლს, არ შემრცხვებოდა. ხოლო თუ შენ არსად გექნება ღამის სათევი, როგორღა შეძლებ მომთხოვო მე, რომ აქ ვიძინო, თბილ ოთახში და ვიცოდე, რომ შენ ღამით, ყინვაში ქუჩა-ქუჩა დადიხარ?“ კ.-ს ძალიან შეცივნოდა, ხელები მოეხვია თავისი თავისთვის, დრო და დრო ხელს მხარზე იტყაპუნებდა, რომ ცოტა მაინც გამთბარიყო, მერე კი ქალს უთხრა: „მაშინ სხვა გზა არა გვრჩება, უნდა დავთანხმდეთ. წავიდეთ.“

ოთახში შესვლისთანავე ღუმელთან მიირბინა და მასწავლებელს ზედაც არ შეხედა. მასწავლებელი მაგიდასთან იჯდა. დიდი საათი ამოიღო, დახედა და თქვა: „ღამდება.“ „სამაგიეროდ, ჩვენ ახლა საბოლოოდ შევთანხმდით, უფალო მასწავლებელო“, თქვა ფრიდამ, „ჩვენ ვიღებთ ადგილს.“ „კეთილი“, თქვა მასწავლებელმა, „მაგრამ ადგილი უფალ მიწისმზომელს შესთავაზეს. დაე, თავად გამოთქვას თავისი აზრი.“ ფრიდამ გადაწყვიტა, კ.-ს მიხმარებოდა: „რასაკვირველია“, თქვა ქალმა, „იგი თანახმაა ადგილზე. ხომ ასეა, კ.?“ ამრიგად, კ.-ს შეეძლო მოკლე „დიახ“ ეკმარა, რომელიც იმდენად მასწავლებელს კი არა, ფრიდას ეხებოდა. „ასეთ შემთხვევაში“, თქვა მასწავლებელმა, „ისღა დამრჩენია, გაგაცნოთ თქვენი სამსახურებრივი მოვალეობანი, რათა ამასთან დაკავშირებით ერთხელ და სამუდამოდ მოვილაპარაკოთ. თქვენ, უფალო მიწისმზომელო, ყოველდღე უნდა დაალაგოთ და გაათბოთ ორივე კლასი. თავად გაუძღვეთ სასკოლო ინვენტარისა და სატანვარჯიშო იარაღების ყველა წვრილმან შეკეთებას, მოხვეტოთ თოვლი ბაღის გზებზე, შეასრულოთ როგორც ჩემი, ისე ჩვენი აღმზრდელი ქალის ყველა დავალება, ჩემი და ფროილაინ გიზას შიკრიკის მოვალეობა, ხოლო წელიწადის თბილ დროს – დაამუშაოთ მთელი სასკოლო ბაღი. ამის სანაცვლოდ თქვენ იღებთ უფლებას, იცხოვროთ ერთ-ერთ კლასში, თქვენი არჩევანისამებრ, მაგრამ რასაკვირველია, როდესაც გაკვეთილები მიმდინარეობს არა ორივე კლასში ერთდროულად, და თუ თქვენ იმ კლასში მოხვდებით, სადაც მეცადინეობა იწყება, მაშინვე უნდა გადაბარგდეთ მეორე კლასში. საჭმლის მომზადება სკოლაში აკრძალულია, სამაგიეროდ, თქვენ და თქვენს ოჯახს გექნებათ უფასო ჭამა-სმა თემის ხარჯზე, აქ ფუნდუკში. იმის შესახებ, რომ თქვენ არ უნდა მიაყენოთ ჩრდილი სკოლის ღირსებას და, განსაკუთრებით, არ უნდა გახადოთ ბავშვები თქვენი ოჯახური ცხოვრების არასასურველი სცენების მოწმენი, მე მხოლოდ სხვათა შორის მოგახსენებთ; თქვენ, როგორც განათლებულმა კაცმა, ეს თავად იცით. ამასთან დაკავშირებით უნდა გითხრათ კიდევ, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ მოვითხოვოთ, რომ თქვენი და ფროილაინ ფრიდას ურთიერთობა რაც შეიძლება მალე დააკანონოთ. ამ პუნქტებს და კიდევ ზოგიერთ წვრილმანს ჩვენ ჩავწერთ ხელშეკრულებაში, რომელსაც თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ სკოლის შენობაში გადმოსვლისას.“ ყოველივე ეს კ.-ს იმდენად უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა, თითქოს მას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა ამასთან და მას არ ეხებოდა, მაგრამ მასწავლებლის მედიდურობა აღიზიანებდა, და დაუდევრად უთხრა: „დიახ, რასაკვირველია, ეს ჩვეული მოთხოვნებიაო.“ ფრიდას სურდა მიეფუჩეჩებინა მისი სიტყვები და ჯამაგირის ამბავი იკითხა. „ანაზღაურების საკითხი ერთი თვის გამოსაცდელი ვადის შემდეგ გადაწყდებაო“, თქვა მასწავლებელმა. „მაგრამ ჩვენთვის ეს დიდი დაბრკოლებაა“, თქვა ფრიდამ, „მაშასადამე, ჩვენ უკაპიკოდ უნდა დავქორწინდეთ, არაფრისაგან გავიჩინოთ მეურნეობა. ნუთუ, უფალო მასწავლებელო, არ შეგვიძლია თხოვნით მივმართოთ თემის საბჭოს, რათა ახლავე დაგვინიშნონ თუნდაც მცირე ჯამაგირი თქვენ რას გვირჩევთ?“ „არაფერს“, თქვა მასწავლებელმა, რომელიც კვლავინდებურად კ.-ს უყურებდა. „ასეთი სათხოვარი კმაყოფილდება მხოლოდ ჩემი შუამდგომლობით, მე კი ამას არ ვიზამ. თქვენ ადგილი გეძლევათ როგორც პირადი შეღავათი, გამონაკლისი, ხოლო როდესაც შეგნებული გაქვს შენი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, მაშინ გაუთავებელი გამონაკლისები დაუშვებელია.“ აქ კ.-მ, თუმცა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, გადაწყვიტა, ჩარეულიყო. „რაც შეეხება ხათრსა და გამონაკლისს, უფალო მასწავლებელო“, თქვა მან, „მე მგონია, რომ თქვენ ცდებით, უფრო მე გხათრობთ და გიკეთებთ გამონაკლისს, ვიდრე თქვენ – მე!“ „არა“, თქვა

მასწავლებელმა და გაიღიმა: ბოლოს და ბოლოს, ხომ აიძულა კ.-ს, ამოეღო ხმა! „აქ მე ზუსტი ცნობები მაქვს: სკოლის ფარეში ჩვენ ისევე გვჭირდება, როგორც მიწისმზომელი. რა მიწისმზომელი, რა ფარეში – ორივე ზედმეტი ტვირთია ჩვენს კისერზე. მე უნდა ვიმტვრიო თავი, როგორ გავამართლო ხარჯები თემის წინაშე. უმჯობესი და უფრო ბუნებრივი იქნება, უბრალოდ დამედო განცხადება მაგიდაზე და არაფრით არ დამესაბუთებინა იგი.“ „მე სწორედ ის მინდოდა მეთქვა, რომ თქვენ იძულებული ხართ, მიმიღოთ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. თუმცა ეს ზედმეტი საზრუნავია თქვენთვის, თქვენ მაინც უნდა მიმიღოთ, ხოლო თუ ვიღაცას აიძულებენ მიიღოს კაცი, და ეს კაცი თანხმდება მიღებას, მაშასადამე ის უშვებს გამონაკლისს, მას პატივს დებს.“ „უცნაურია“, თქვა მასწავლებელმა, „რამ შეიძლება გვაიძულოს თქვენი მიღება? მხოლოდ ჩვენი მამასახლისის კეთილი, მეტისმეტად კეთილი გული გვაიძულებს, დავთანხმდეთ ამას. მე ვხედავ, უფალო მიწისმზომელო, რომ თქვენ მოგიწევთ, შეელიოთ ბევრ თქვენს ფანტაზიას, სანამ რამდენადმე რიგიანი ფარეში დადგებოდეთ, და, რასაკვირველია, ასეთი გამონათქვამები ნაკლებად უწყობს ხელს იმას, რომ თქვენ დღე-დღეზე დაგინიშნოთ ჯამაგირი. სამწუხაროდ, ამთავითვე ვამჩნევ, რომ თქვენი საქციელი ბევრ საზრუნავს გამიჩენს: აი ახლაც, თქვენ მესაუბრებით – გიყურებთ და თვალს ვერ ვუჯერებ – პერანგისა და გრძელი ნიფხვის ამარა!“ „ხო, ხო!“ წამოიძახა კ.-მ სიცილით და ტაშს შემოჰკრა. „აჰ, ეს უხეირო თანამშემწეები, სად ჯანდაბაში არიან?“ ფრიდამ კართან მიირბინა. მასწავლებელმა, რა ნახა, კ. ჩემთან ლაპარაკს აღარ აპირებსო, ფრიდას ჰკითხა: როდის გადმოხვალთო სკოლაში. „დღესვე“, უპასუხა ფრიდამ. „დილით შევამოწმებ“, თქვა მასწავლებელმა. დამშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია, და ის იყო, აპირებდა გასულიყო კარში, რომელიც ფრიდამ თავისთვის გაიღო, რომ დაეჯახა მოსამსახურე ქალებს – ისინი უკვე ბარგი-ბარხანიანა მოსულიყვნენ, რათა კვლავ მოეწყოთ თავიანთი ოთახი, და იძულებული გახდა მათ შუა გაჭირვებით გამძვრალიყო – ქალები გზას არავის არ დაუთმობდნენ, – ფრიდაც გაჰყვა მას, და ასევე ძლივს გაძვრა. „ძალიან ჩქარობთ“, უთხრა კ.-მ მოსამსახურე ქალებს, ამჯერად, სავსებით მშვიდობიანად. „ჩვენ ჯერ არ წავსულვართ, და თქვენ უკვე გამოცხადდით?“ მათ არაფერი უპასუხიათ, და მხოლოდ დაბნეულებს გადაჰქონდათ ხელიდან ხელში თავიანთი ფუთები, რომლებშიც ისევ ის ჭუჭყიანი ძველმანები მოუჩანდათ. „როგორც ჩანს, თქვენ არასდროს გაგირეცხავთ თქვენი ტანსაცმელი!“ თქვა კ.-მ უბოროტოდ, უფრო მეგობრული კილოთი. მათ ეს შენიშნეს, ორივემ დააღო პირი და უხმოდ გაიცინა, თან ლამაზი, მაგარი, ნადირის კბილები გამოაჩინა. „შემოდით, რახან მოხვედით“, თქვა კ.-მ, „მოეწყვეთ, ეს ხომ თქვენი ოთახია.“ და რახან ისინი ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ შემოსვლას – ეტყობა ოთახი წინანდლისაგან განსაკუთრებით განსხვავებული ეჩვენათ. – კ.-მ ხელი მოჰკიდა ერთ მათგანს, რათა წინ გამოეტარებინა, მაგრამ მაშინვე გაუშვა – ისე გაოცებული მიაჩერდა ორივე, შემდეგ ერთმანეთს გადახედეს, და უკვე თვალს აღარ აცილებდნენ. „გეყოთ, რას მომშტერებიხართ?!“ თქვა კ.-მ, თან ცდილობდა, რაღაც უსიამო შეგრძნება დაეძლია, ხელიდან გამოართვა ტანსაცმელ-ფეხსაცმელი ფრიდას, რომელსაც გაუბედავად შემოჰყვა ოთახში ორივე თანაშემწე, და ჩაცმა დაიწყო. მას აქამდეც ვერ გაეგო, რატომ უყურებდა ასეთი მოწყალე თვალით ფრიდა მის თანაშემწეებს. აკი, იმის მაგივრად, რომ ტანსაცმელი ეზოში გაეწმინდათ, ისინი უზრუნველად სადილობდნენ ქვემოთ, სადაც ხანგრძლივი ძებნის შემდეგ იპოვა ისინი ფრიდამ. კ.-ს გაუწმენდავი ნივთები მათ კალთაში ჩაეწნეხათ. ფრიდა იძულებული გახდა, გამოერთმია და ყველაფერი საკუთარი ხელით გაეწმინდა. მიუხედავად ამისა, ქალს, რომელიც ასეთ დღეს აყრიდა მამაკაცებს სამიკიტნოში, არც

კი დაუწყია თანაშემწეების ლანძღვა, ხოლო მათი აღმაშფოთებელი დაუდევრობა ხუმრობაში გადაიტანა და ერთ მათგანს ლოყაზე ხელიც კი მოუთათუნა. კ.-მ გადაწყვიტა, მარტო რომ დარჩებოდნენ, ქალისთვის ამის გამო შენიშვნა მიეცა. „დაე, თანაშემწეები დარჩნენ“, თქვა კ.-მ, „და დაგეხმარონ გადასვლაში.“ მაგრამ ისინი, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგი იყვნენ: დანაყრებულნი, ბღლარძუნის ხოშზე მოსულიყვნენ და სიამოვნებით დაეჭიდებოდნენ ერთმანეთს. მხოლოდ ფრიდამ რომ თქვა: „არა, აქ დარჩითო!“ დაემორჩილნენ ბრძანებას. „იცით, სად მივდივართ?“ ჰკითხა კ.-მ. „ვიცით“, უპასუხა ფრიდამ. „და მეტს აღარ მაკავებ?“ ჰკითხა კ.-მ. „შენ იმდენ დაბრკოლებას წააწყდები“, თქვა ფრიდამ, „განა ჩემს სიტყვებს აქვს რაიმე აზრი.“ დამშვიდობების ნიშნად კ.-ს აკოცა და რადგან უსადილოდ მიდიოდა, საგზლად გაატანა პაკეტში ჩადებული ძეხვი და პური, რომელიც ქვემოდან ამოიტანა, თან შეახსენა, რომ უკვე აქ კი არ მობრუნებულიყო, არამედ პირდაპირ სკოლაში წასულიყო, მხარზე დაადო ხელი და კარამდე მიაცილა.

8. სანამ კლამს ელოდებოდა...

თავდაპირველად კ. გახარებული იყო, რომ ჩახუთული ოთახიდან გამოვიდა, თავი დააღწია მოსამსახურე ქალებისა და თანაშემწეების ყაყანსა და ღრიანცელს. საღამოხანს ცოტა მოეყინა, თოვლი გამაგრებულიყო და სიარული ისე აღარ უჭირდა. მაგრამ უკვე ბნელდებოდა, და კ.-მ ნაბიჯს აუჩქარა.

გოდოლი, როგორც ყოველთვის, მდუმარებასა და იდუმალებას მოეცვა. ბინდს შერწყმული კონტურები უკვე თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. აქამდე კ.-ს იქ სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ დაენახა. ეგებ, სიშორის გამო არ მოჩანდა არაფერი, მას კი მთელი არსებით ეწადა, რაღაც დაელანდა, აუტანელი სიჩუმე იდგა. როდესაც კ. გოდოლს უყურებდა, ზოგჯერ ეჩვენებოდა, თითქოს ის ვიღაცას ადევნებსო თვალს, ის ვიღაც კი მშვიდად იჯდა, წინ იყურებოდა და ის კი არა, რომ იმდენად გაეტაცა ფიქრებს, რომ ყველაფერს მოწყვეტილიყო, – უფრო სწორად, თავს გრძნობდა ლაღად და თავისუფლად, თითქოს მარტოდმარტოა დარჩენილი ამ ქვეყანაზე და არავინ უთვალთვალებსო, და თუმცა კი ხედავს, რომ თვალს ადევნებენ, ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა – ქალამნადო. და მართლაც, მიზეზი იყო ეს, თუ შედეგი, მეთვალყურის თვალი მაინც ვერაფერს ეჭიდებოდა გოდოლზე, ვერ ჩერდებოდა მასზე და ქვემოთ ცურდებოდა. დღესაც, შებინდებისას ეს შთაბეჭდილება ძლიერდებოდა; რაც უფრო გულდასმით აკვირდებოდა კ. არემარეს, მით უფრო ნაკლებს ხედავდა, და მით უფრო ღრმად ინთქმებოდა ყველაფერი სიბნელეში.

ის იყო, კ. სასტუმროს მიუახლოვდა, რომელიც ჯერ არ გაენათებინათ, რომ პირველ სართულზე ფანჯარა გაიღო და ახალგაზრდა, პუტკუნა სუფთად გაპარსულმა ბატონმა, რომელსაც ბეწვის ქურქი ეცვა, ფანჯარაში გამოჰყო თავი. კ.-ს სალამზე მან თავის ოდნავი დაკვრითაც არ უპასუხა, არც წინკარში, არც ლუდის დარბაზში კ.-ს არავინ შეხვედრია. ამძაღებული ლუდის სუნი კიდევ უფრო საზიზღარი გამხდარიყო, ვიდრე წინათ. რა თქმა უნდა, „ხიდისპირა“ ფუნდუკში ამას არ დაუშვებდნენ. კ. მაშინვე მივიდა კართან, რომელშიც ორიოდ დღის წინ უთვალთვალა კლამს, ფრთხილად დააწვა სახელურს, მაგრამ კარი ჩაეკეტათ, ხელის ცეცებით სცადა ჭუჭრუტანა მოეძებნა, მაგრამ ხუფი, ეტყობა, ისე მჭიდროდ ჰქონდა მიჭერილი, რომ

ხელის ცეცებით ვერ იპოვიდა, ამიტომ კ.-მ ასანთს გაჰკრა. ქალის წამოკივლებამ შეაკრთო. კუთხეში კარსა და დახლს შუა, ზედ ღუმელთან, ყმაწვილ ქალს ჩაეთვლიმა, რომელიც ასანთის ალის გაელვებაზე ნამძინარევი მიაჩერდა მას და ძლივს ახელდა თვალებს, რომლებიც უნებლიედ ეხუჭებოდა. ეტყობა, ეს იყო ფრიდას შემცვლელი. მაგრამ გოგონა სულ მალე მოვიდა გონს, და შუქი აანთო. სახეზე ჯერ კიდევ ეტყობოდა გაბრაზება. ბოლოს, კ. იცნო. ,,აჰ, უფალო მიწისმზომელო!" თქვა ღიმილით, ხელი გაუწოდა და გაეცნო: ,,მე პეპი მქვია." ეს იყო პატარა და ღაჟღაჟა ფერხორციანი გოგონა, რომელსაც შუბლზე უხუჭუჭდებოდა ხშირი ჟღალ-ქერა თმა; შვენოდა სქელი ნაწნავი. ტანთ ემოსა ნაცრისფერი ბრჭყვიალა სადა ქსოვილის ფართხუნა კაბა, რომელიც ძალიან არ უხდებოდა. კაბას ქვედა არშიაზე მიუყვებოდა აბრეშუმის ლენტი ბავშვური დაუდევრობით შეკრული ბაფთით, რომელიც მოძრაობაში ხელს უშლიდა. ჰკითხა, ფრიდა როგორ არის, მალე დაბრუნდებაო? შეკითხვა საკმაოდ იქედნურად ჟღერდა. ,,წავიდა თუ არა ფრიდა", დასძინა ქალიშვილმა, ,,მე გამომიძახეს, – პირველ შემხვედრს ხომ არ დააყენებდნენ?! აქამდე, მოახლედ ვმსახურობდი და ვერ ვიტყი, რომ მარჯვედ შევიცვალე ადგილი. აქ საღამოს სამუშაოა, ღამითაც მიწევს გვიანობამდე დარჩენა. ეს კი ძალზე დამღლელია, სული კბილით მიჭირავს, არ მიკვირს, რომ ფრიდამ დატოვა ეს სამუშაო." ,,ფრიდა აქ ძალზე კმაყოფილი იყო ყველაფრისა", თქვა კ.-მ, რათა პეპი, ბოლოს და ბოლოს, მიმხვდარიყო, რა განსხვავება იყო მასა და ფრიდას შორის, ,,იგი, როგორც ჩანს, ამაზე არც ფიქრობდა." ,,მაინც და მაინც ნუ დაუჯერებთ", თქვა პეპიმ. ,,ფრიდას, ისე როგორც არავის, შეუძლია თავის დაჭერა. რისი თქმაც არ სურს, ვერ ათქმევინებ და ვერც ვერავინ შეამჩნევს, თუ რაიმე აქვს სათქმელი, რამდენი წელიწადია, ერთად ვმსახურობთ, მუდამ ერთ ლოგინში გვეძინა ხოლმე, მაგრამ ჩემი მეგობარი მაინც არ გახდა. ალბათ, ახლა საერთოდ დავავიწყდი. ეტყობა, მისი ერთადერთი მეგობარია ,,ხიდისპირა" ფუნდუკის ხანდაზმული დიასახლისი, ესეც რაღაცას ნიშნავს." ,,ფრიდა ჩემი საცოლეა", თქვა კ.-მ, თან მალულად ცდილობდა, ხელით კარის ჭუჭრუტანა მოესინჯა. ,,ვიცი", თქვა პეპიმ, ,,ამიტომაც გიამბობთ. სხვაგვარად თქვენთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა." ,,მესმის", თქვა კ.-მ. ,,თქვენ ფიქრობთ, რომ მე შემიძლია ვიამაყო, ასეთი უთქმელი გოგონას გული რომ მოვიგე." ,,დიახ", თქვა პეპიმ და მხიარულად გადაიკისკისა, თითქოს მან და კ.-მ ახლა ფრიდას თაობაზე რაღაც იდუმალ თანხმობას მიაღწიესო.

მაგრამ, კაცმა რომ თქვას, კ.-ს იმდენად აინტერესებდა არა გოგონას სიტყვები, რომლებიც ცოტა არ იყოს ხელს უშლიდნენ ჭუჭრუტანის ძებნაში, არამედ მისი აქ ყოფნა, მისი გამოჩენა იგივე ადგილზე. რა თქმა უნდა, იგი ფრიდაზე გაცილებით უფრო ახალგაზრდა იყო, მთლად ბავშვი, და კაბაც სასაცილო ჰქონდა. ალბათ, ასე იმიტომ ჩაიცვა, რომ თავის წარმოდგენაში მეტისმეტად აზვიადებდა მებუფეტე ქალის მოვალეობათა მნიშვნელობას. თავისებურად კი მართალი იყო, იმიტომ, რომ ეს მისთვის სრულიად შეუფერებელი ადგილი, შემთხვევით და დაუმსახურებლად ერგო. თანაც, დროებით, – მას იმ ტყავის ჩანთასაც არ ანდობდნენ, რომელიც ერთთავად წელზე ეკიდა ფრიდას. ხოლო მისი მოჩვენებითი უკმაყოფილება თანამდებობის გამო, აშკარად თვალში ნაცრის შეყრა იყო. და მაინც, ამ გოგოსაც კი, თავისი ბავშვური უგუნურების მიუხედავად, ალბათ, რაღაც ნაცნობობა ჰქონდა გოდოლში. იგი ხომ, თუ არ ტყუოდა, წინათ მოახლედ მსახურობდა. თვითონაც არ ესმოდა თავისი ყადრი, ზედიზედ კარგავდა აქ დღეებს, როგორც სიზმარში. ამ პუტკუნა, ოდნავ ბეჭებში მოხრილ სხეულს რომც მოხვეოდა, კ. არავითარ

უპირატესობას არ მოიპოვებდა, მაგრამ რაღაცნაირად შეეხებოდა ამ სამყაროს და გაიადვილებდა წინსვლას ძნელ გზაზე, მაშინ, ეგებ ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც ფრიდასთან. აქ ყველაფერი სხვაგვარად იყო. საკმარისი იყო მხოლოდ წარმოედგინა ფრიდას გამოხედვა, რომ მიმხვდარიყო ამას. კ. არაფრის დიდებით არ შეეხებოდა პეპის, მაგრამ მაინც იძულებული გახდა, წუთით თვალი მოეხუჭა, ისე ხარბად მისჩერებოდა გოგონას.

,,სინათლის ანთება არ შეიძლება", თქვა პეპიმ და ჩამრთველი გადაატრიალა, ,,მე მხოლოდ იმიტომ ავანთე, რომ თქვენ ძალიან შემაშინეთ. რა გჭირდებათ აქ? ფრიდას ხომ არ დარჩა რამე?" ,,ჰო", თქვა კ.-მ და კარზე მიანიშნა, ,,იქ, ოთახში სუფრა დარჩა, ნაქსოვი, თეთრი." ,,აჰა, თავისი სუფრა", თქვა პეპიმ, ,,მახსოვს, მახსოვს, ლამაზი ნამუშევარია, მეც ვეხმარებოდი სუფრის ქსოვაში, მაგრამ არა მგონი, იქ, ოთახში იყოს." ,,ფრიდას კი ჰგონია, იქ დევსო. ვინ ცხოვრობს იქ?" იკითხა კ.-მ. ,,არავინ", უპასუხა პეპიმ, ,,ეს ბატონების სასადილოა, იქ ბატონები სვამენ და ჭამენ, უფრო სწორად, ოთახი გამოყვეს საამისოდ, მაგრამ თითქმის ყველა ბატონი ზემოთ, თავის ნომერში ამჯობინებს ჯდომას." ,,მე რომ ნაღდად ვიცოდე, რომ იმ ოთახში არავინ არ არის, შევიდოდი და თვითონ მოვძებნიდი სუფრას", თქვა კ.-მ. ,,მაგრამ წინასწარ კაცმა არაფერი იცი, მაგალითად, კლამი ხშირად ზის ხოლმე იქ." ,,იქ ნამდვილად არ არის", თქვა პეპიმ, ,,ის ხომ ახლა მიემგზავრება. ეზოში უკვე ელოდება მარხილი."

კ.-ს სიტყვაც არ უთქვამს და მაშინვე გავიდა ბუფეტიდან, მაგრამ დერეფანში გასასვლელისაკენ კი არ გაემართა, არამედ საპირისპირო მხარეს წავიდა და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ეზოში ამოჰყო თავი. რა სიმყუდროვე და სილამაზე იყო აქ! ეზო ოთხკუთხა იყო, სამივე მხრიდან სახლი აკრავდა გარს. მეოთხე, ქუჩისაგან მაღალი, თეთრი გალავნით გამოყოფილ მხარეს, რომელშიც განიერი, ფართოდ გაღებული ჭიშკარი მოჩანდა, ეზოს მხრიდან სახლი უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე ქუჩიდან, ყოველ შემთხვევაში, აქ პირველი სართული საკმაოდ მაღალი იყო და უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, იმიტომ, რომ მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა შეფიცრული შუშაბანდი, რომელიც ყოველი მხრიდან იყო დახურული, კაცის სიმაღლეზე დატანებული მცირე ღიობის გარდა, კ.-ს საპირისპირო მხარეს, დიაგონალზე, თითქმის შენობის შუაგულში, კუთხესთან ახლოს, სადაც გვერდითა ფლიგელი მდებარეობდა, მოჩანდა ღია უკარო სადარბაზო. სადარბაზოს წინ იდგა გადახურული მარხილი, რომელშიც ორი ცხენი იყო შებმული. ეზოში არავინ ჩანდა მეეტლის გარდა, რომელიც კ.-მ უფრო წარმოიდგინა, ვიდრე შორიდან, საღამოს ბინდბუნდში დაინახავდა.

კ.-მ ჯიბეებში ჩაიწყო ხელი, მალიმალ იხედებოდა იქეთ-აქეთ და კედელს აკრულმა აუარა გვერდი ეზოს ორ მხარეს, სანამ მარხილს არ მიუახლოვდა. მეეტლე – ერთი იმ გლეხთაგანი, რომლებიც წინა მისვლაზე ნახა ბუფეტში, – ტყაპუჭში ჩამძვრალი, გულგრილად ადევნებდა თვალს კ.-ს – თითქოს კაცი კი არა, კატა ყოფილიყო, მაშინაც კი, როდესაც კ. მიუახლოვდა, გაჩერდა და მიესალმა, ხოლო ადამიანის მოულოდნელი გამოჩენით შეშფოთებულმა ცხენებმა ყურები დაცქვიტეს, მეეტლეს მისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. კ.-საც ეს უნდოდა. კედელს მიეყრდნო, გაშალა პაკეტი, საგზალი ამოიღო, და მადლიერებით მოიგონა ფრიდა, რომელიც ასე ზრუნავდა მასზე. მერე შეიხედა დაბალ, თითქოს ძალიან ღრმა გასასვლელში, რომელიც სადარბაზოს კვეთდა, – აქ ყველაფერი საგულდაგულოდ შეეთეთრებინათ და მკაფიოდ გაემიჯნათ სწორი ხაზებით.

მოლოდინმა უფრო დიდხანს გასტანა, ვიდრე კ.-ს ეგონა. საგზალი უკვე დიდი ხნის დამთავრებული ჰქონდა, ყინვა სულ უფრო მეტად აგრძნობინებდა თავს, ბინდ-ბუნდი სრულ სიბნელედ გადაქცეულიყო, ხოლო კლამი არა და არ გამოდიოდა. „ეს კიდევ დიდხანს იქნება ასე?“, გაისმა ვიღაცის ხრინწიანი ხმა კ.-საგან ისე ახლოს, რომ იგი შეკრთა. მეეტლე ლაპარაკობდა. იგი გაიზმორა და ხმამაღლა დაამთქნარა, თითქოს ახლახანს გამოეღვიძაო. „რა იქნება დიდხანს?“ იკითხა კ.-მ, ამ ჩარევით ლამის გახარებულმა – რადგან უკვე არ სიამოვნებდა დაძაბული დუმილი. „სანამ თქვენ არ წახვალთ“, თქვა მეეტლემ, მაგრამ თუმცა კ. ვერ მიხვდა ნათქვამს, მაგრამ ხელახლა აღარაფერი აღარ ჰკითხა და გადაწყვიტა, რომ ასე უფრო იოლი იქნებოდა ეთქმევინებინა ამ ქედმაღალი ახალგაზრდისათვის თუნდაც რაღაც. უჩვეულოდ აღიზიანებდა, რომ ამ სიბნელეში ხმას არ სცემდნენ. და, მართლაც, მცირეოდენი დუმილის შემდეგ, მეეტლემ თქვა: „კონიაკი გნებავთ?“ „დიახ“, თქვა კ.-მ ანგარიშმიუცემლად: მეტისმეტად მაცდუნებლად ჟღერდა ეს წინადადება იმიტომ, რომ სიცივისაგან უკვე აძაგძაგებდა. „მაშინ გამოაღეთ მარხილის კარი“, თქვა მეეტლემ. „იქ, გვერდითა უბეში რამდენიმე ბოთლია. აიღეთ ერთი, მოსვით და მე გადმომეცით. მე თვითონ ჩამოსვლა გამიჭირდება. ტყაპუჭი მიშლის.“ კ.-ს გული მოუვიდა, რომ ასეთი დავალების შესრულება მოუხდა, მაგრამ რაკი უკვე შეეკრა მეეტლეს, ყველაფერი შეუსრულა, თუმცა არსებობდა საფრთხე, რომ კლამი მარხილთან ჩაავლებდა. განიერი კარი გამოაღო და შეეძლო, იქვე ამოეძრო ბოთლი კარის გვერდითა ჯიბიდან, მაგრამ რახან კარი უკვე გაღებული იყო, ისე ძლიერ მიუწევდა გული მარხილისკენ, რომ ვერ მოითმინა, წუთით მოუნდა იქ ჩაჯდომა. შევიდა და მოხერხებულად მოიკალათა. მარხილში გასაოცარი სითბო იყო და მიუხედავად ღია კარისა, არ ციოდა – კარის დახურვა კ.-მ ვერ გაბედა. ძნელია თქვა, რომ სკამზე ზიხარ, როდესაც საბნებში, ბეწვეულსა და ბალიშებში იძირები. სადაც უნდა მიბრუნდე, სადაც უნდა დაჯდე – შენ ქვემოთ ყველგან სილბო და სითბოა. კ.-მ ხელი გაშალა, საზურგეს ჩამოეყრდნო, თავით ბალიშებს მიესვენა, რომლებიც იქვე ეწყო, და მარხილიდან ბნელ სახლს გახედა. რატომ არ გამოდის კლამი ამდენხანს? თოვლში ხანგრძლივი დგომის შემდეგ სითბოთი გაბრუებულ კ.-ს მაინც უნდოდა, რომ კლამი ბოლოს და ბოლოს გამოსულიყო. აზრი, რომ აჯობებდა, კლამს ასეთ მდგომარეობაში თვალში არ შესჩხეროდა, ერთობ გაურკვევლად, სუსტ სიგნალად მისწვდა მის ცნობიერებას. ამ გაბრუებას ხელს უწყობდა მეეტლის საქციელიც – ის ხომ უნდა მიმხვდარიყო, რომ კ.-მ მარხილში მოიკალათა, მაგრამ დატოვა იქ, ისიც კი არ მოუთხოვია, კონიაკი გადმომეციო, ეს, მეეტლის მხრივ, გულისამაჩუყებელი საქციელი იყო და კ.-მ მოინდომა, როგორმე ესიამოვნებინა მისთვის. ისევ იმ მდგომარეობაში დარჩა და გადასწია ხელი ჯიბისაკენ, მაგრამ არა ღია, არამედ მის უკან, დახურული კარის მიმართულებით. აღმოჩნდა, რომ არავითარი განსხვავება არ იყო: მეორე ჯიბეში ასევე ეწყო ბოთლები. მან ამოაძრო ერთი ბოთლი, მოახრახნა საცობი, უსუნა და უნებლიე ღიმილმა გაუბადრა სახე: სასმელს ისეთი ტკბილი, ისეთი მიმზიდველი სუნი ჰქონდა, თითქოს ვიღაც საყვარელი ადამიანი გაქებს, თავზე ხელს გისვამს და ალერსიანი სიტყვით გეფერებაო. შენ კი არც იცი, რაზეა, არსებითად, ლაპარაკი, არც გინდა, იცოდე და ბედნიერი ხარ იმის შეგრძნებით, რომ სწორედ ასე გეპყრობიან. „ნუთუ ეს კონიაკია?“, ჰკითხა თავის თავს გაოცებულმა კ.-მ, და ცნობისმოყვარეობით მოსვა ყლუპი. დიახ, ეს კონიაკი იყო. უცნაურია, მაგრამ კონიაკი, რომელიც წვავდა და ათბობდა, როგორ ხდება – მოსვამ, და ყველაფერი, რაც უნაზესი სურნელის მატარებლად გეჩვენებოდა, მეეტლის უხეშ სასმელად გექცევა! „ნუთუ ეს შესაძლებელია?“ ჰკითხა თავის თავს კ.-მ, და კიდევ მოწრუპა.

და უეცრად – იმ მომენტში, როდესაც კ.-მ დიდი ყლუპი მოსვა, ყველგან – კიბეზე, სადარბაზოში, დერეფანში, გარეთ, შესასვლელის თავზე ელექტრობა აინთო და გააჩახჩახა იქაურობა. მოისმა ნაბიჯების ხმა – ვიღაც კიბეზე ჩამოდიოდა. კ.-ს ხელიდან გაუხლტა ბოთლი, კონიაკი მარხილში დაიღვარა. კ. მარხილიდან გადმოხტა და ის იყო, მოასწრო გრუხუნით მიეჯახუნებინა კარი, რომ სახლიდან ნელი ნაბიჯით გამოვიდა კაცი. კ.-მ იფიქრა, ერთი ნუგეშია, რომ ეს კლამი არ არის, თუმცა, ეგებ სწორედ ეს არის დასანანი? ეს ის კაცი იყო, რომელიც კ.-მ უკვე ნახა პირველი სართულის ფანჯარაში. იგი ახალგაზრდა იყო, წარმოსადეგი, სახეთეთრი და ლოყებღაჟღაჟა, და თანაც, ერთობ სერიოზული. კ.-მ ერთი კუშტად გახედა ახალგაზრდას, მაგრამ ეს კუშტობა უფრო მეტად სწორედ მას ეხებოდა. აჯობებდა, აქ თანაშემწენი გამოეშვა: ასე მოქცევას თანაშემწეებიც შესძლებდნენ. კაცი მის წინაშე იდგა, გეგონებოდა, მის უგანიერეს მკერდშიც კი არ არის იმდენი ჰაერი, რომ ამოისუნთქოს და სუნთქვას სათქმელიც ამოაყოლოსო. ,,ეს აღმაშფოთებელია", თქვა მან ბოლოს და გაისწორა შლაპა, რომელიც შუბლზე ჩამოფხატოდა. ნუთუ ბატონმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ კ. მარხილში იჯდა და რაღაც სხვა რამ მოეჩვენა აღმაშფოთებლად? ის ხომ არა, რომ კ. საერთოდ ეზოში აღმოჩნდა? ,,როგორ მოხვდით აქ?" ჰკითხა კაცმა უკვე უფრო ხმადაბლა და მოითქვა სული, თითქოს, აუცილებლობას ემორჩილებაო. რა კითხვებია? რა უთხრას? ნუთუ, კ.-მ თვითონ უნდა უპასუხოს ამ ბატონს, რომ აქ მოსვლა, რასაც ამდენი იმედს უკავშირებდა, უშედეგო და ფუჭი გამოდგა? მაგრამ პასუხის ნაცვლად კ. მარხილთან მიბრუნდა, კარი გამოაღო და აიღო თავისი ქუდი, რომელიც იქ დარჩენოდა. უხერხულობა იგრძნო, როდესაც დაინახა, როგორ წვეთავდა საფეხურზე კონიაკი.

მერე ისევ ამ კაცისაკენ შებრუნდა: ახლა იგი აღარც აპირებდა დაემალა მისთვის, რომ მარხილში იჯდა, თუმცა, ეს არ იყო ყველაზე უარესი. მაგრამ მისთვის რომ ეკითხათ, იგი არც დამალავდა, რომ მეეტლემ თავად შეაგულიანა, ყოველ შემთხვევაში, მარხილის კარი გააღებინა. გაცილებით უფრო უარესი იყო ის, რომ ამ ბატონმა ანაზდად წაასწრო, ვერ დაემალა მას და ვეღარ დაელოდა კლამს, ცუდია, რომ ასე დაიბნა და ვერ მოისაზრა, რომ შეეძლო მარხილში დარჩენილიყო, კარი მიეკეტა და იქ ტყავების ქვეშ კლამს დალოდებოდა, ან მოეცადა, სანამ ახალგაზრდა ბატონი ეზოდან გავიდოდა. მართალია, ვის შეიძლებოდა, სცოდნოდა: უეცრად ახლა კლამი რომ გამოჩენილიყო საკუთარი პერსონით, ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, აჯობებდა მარხილის გვერდით შეგებებოდა. დიახ, ბევრი რამ უნდა მოეფიქრებინა წინასწარ, მაგრამ ახლა ვერაფერს გააწყობდა, ყველაფერი დამთავრებული იყო.

,,წამომყევით", თქვა კაცმა, ის კი არა – მბრძანებლური კილოთი, ბრძანება იგრძნობოდა არა სიტყვაში, არამედ სიტყვის თანმხლებ მოკლე და განზრახ გულგრილ ხელის აქნევაში. ,,მაგრამ მე რომ აქ ერთ კაცს ველოდები?", თქვა კ.-მ, რომელსაც უკვე გადაწურვოდა წარმატების იმედი, მაგრამ მაინც ცდილობდა, თავისი გაეტანა. ,,წამობრძანდით", გაიმეორა ახალგაზრდამ სრულიად აუღელვებლად, თითქოს სურდა, ეჩვენებინა, რომ მას ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ კ. ვიღაცას ელოდებოდა. ,,მაგრამ მაშინ ვეღარ ვნახავ იმ კაცს, ვისაც ამდენი ხანია ველოდები", თქვა კ.-მ და ტანში გასცრა. მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც მოიგო, რაღაც ბედს ეწია და თუმცა ამ მოგებაში ხელშესახები არაფერი იყო, კ. არ აპირებდა, უარი ეთქვა მასზე ამ კაცის პირველი მოთხოვნისთანავე. ,,სულ ერთია, თქვენ მას ვეღარ ნახავთ, წახვალთ, თუ აქ

დარჩებით“, თქვა ბატონმა. და თუმცა მისი ნათქვამის აზრი მკვეთრი იყო, სიტყვებში მაინც გამისჭვიოდა აშკარა თანაგრძნობა თვით კ.-ს აზრთა მდინარებისადმი. „მაშინ მე მირჩევნია, აქ ველოდო და ვერ ვნახოო“, ჯიუტად თქვა კ.-მ. არა, იგი არ დაუშვებს, რომ ამ კაცმა აქედან პირშიჩალაგამოვლებული გააძუნძულოს. ახალგაზრდა ბატონს კი უკან გადაეწია თავი, წამით დაეხუჭა თვალი, თითქოს, კ.-ს სიბრიყვის შემხედვარეს, სურდა, აღედგინა თავისი გონიერი აზრები, მერე თვალი გაახილა, ენის წვერით ტუჩები მოილოკა და მეეტლეს უთხრა: „ცხენები გამოხსენიო.“

მეეტლემ გაბრაზებულმა გახედა კ.-ს, მერე უსიტყვოდ დაემორჩილა ბატონის ბრძანებას და ზანტად ჩამოცოცდა თავისი მძიმე ტყაპუჩით კოფოდან, შემდეგ, თითქოს ბრძანების გაუქმებას კი არა, თვით კ.-ს საქციელში რაღაც ცვლილებას ელოდებაო, ძალზე გაუბედავად დაიწყო ცხენებშებმული მარხილის უკანა სვლით გაყვანა სახლის გვერდითა ფლიგელისაკენ, სადაც განიერ ჭიშკარს მიღმა, ეტყობა, ეტლების ფარეხი და საჯინიბო მდებარეობდა. კ.-მ დაინახა, რომ მარტო დარჩა: ერთ მხარეს მარხილი მისრიალებდა, ხოლო მეორე მხარეს – იქით, საიდანაც თვითონ კ. მოვიდა, – მიემართებოდა ახალგაზრდა ბატონი; ერთიც და მეორეც ისე ნელა მოძრაობდნენ, თითქოს კ.-ს აგრძნობინებდნენ, რომ მას ხელეწიფება მარხილიც და ბატონიც უკან დააბრუნოსო.

იქნებ, ეს ხელმწიფებაც ჰქონდა, მაგრამ მისგან ვერაფერს გამორჩებოდა: მარხილის ადგილზე დაბრუნება ნიშნავდა, საკუთარი თავი გაეგდო აქედან. და იგი ისევ ისე იდგა ეზოს ერთადერთ ბინადრად, მაგრამ ეს გამარჯვება არავითარ სიხარულს არ უქადდა. ხან ახალგაზრდა ბატონს უყურებდა, ხან მეეტლეს. ბატონი უკვე იმ კარამდე მივიდა, საიდანაც კ. პირველად გამოვიდა ეზოში, და კიდევ ერთხელ მოიხედა უკან. კ.-ს მოეჩვენა, რომ მან თავი გააქნია, თითქოს კიცხავსო მისი უგუნური სიჯიუტის გამო, შემდეგ მტკიცე და გადამჭრელი მოძრაობით მკვეთრად შებრუნდა და დერეფნის სიღრმეში გაუჩინარდა. მეეტლე გაცილებით უფრო დიდხანს დარჩა კ.-ს თვალთახედვის არეში – ბევრს ეწვალებოდა მარხილს, მერე მძიმე ჭიშკარი გააღო, უკანა სვლით მიიყვანა იქ მარხილი, გამოხსნა ცხენები, თავლაში შეიყვანა, ყოველივე ამას სერიოზულად, საკუთარ ფიქრებში ჩაღრმავებული აკეთებდა. ეტყობოდა, რომ არ ჰქონდა მალე გასვლის იმედი. და ეს მდუმარე ფუსფუსი, ისე, რომ ერთხელაც არ გამოუხედავს კ.-საკენ, მისთვის გაცილებით უფრო მწარე საყვედური იყო, ვიდრე ახალგაზრდა ბატონის საქციელი. მეეტლე მორჩა თავის სამუშაოს, ნელა, ბეჭების რხევა-რხევით გადაკვეთა ეზო, ჩაკეტა დიდი ჭიშკარი, მერე დაბრუნდა და ასევე ნელა გააყოლა თვალი თოვლში დატოვებულ თავის ნაკვალევს, თავლასთან მივიდა და იქ ჩაიკეტა. მაშინვე ყველგან ჩაქრა ელექტრობა – ვისთვის გაენათებინათ ახლა? – და მხოლოდ ზევით, ხის შუშაბანდის ღიობში მოჩანდა სინათლის ვიწრო ზოლი; კ.-ს მოეჩვენა, თითქოს მასთან გაწყვიტეს ყოველგვარი კავშირი და თუმცა, ახლა უწინდელზე უფრო თავისუფლად შეეძლო დალოდებოდა აქ, მისთვის ნაკრძალ ადგილას, რამდენიც სურდა და ვისაც სურდა, იმას, და, ამასთან, მოიპოვა ეს თავისუფლება, ისე, როგორც ვერავინ მიოპოვებდა ახლა მას ხელსაც ვერ ახლებდნენ, ან ვერ გააძეებდნენ, – ამავე დროს, ასევე ცხადად გრძნობდა, რომ არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო უაზრო და უფრო სასოწარმკვეთი, ვიდრე ეს თავისუფლება, ეს მოლოდინი, და ეს შეუვალობა.

9. ბრძოლა დაკითხვის წინააღმდეგ

იგი ადგილს მოსწყდა და ისევ შენობისკენ გაემართა, მაგრამ უკვე არა კედელ-კედელ და ფეხაკრეფით, არამედ შუა ეზოში, თოვლში მიაბოტებდა. დერეფანში სასტუმროს პატრონს შეეფეთა, იგი მდუმარედ მიესალმა და ბუფეტის შესასვლელზე ანიშნა. კ.-ც იქით გაეშურა, იმიტომ, რომ ეზოში გაითოშა და სურდა, ადამიანები დაენახა, მაგრამ მწარედ გაუცრუვდა იმედი, როდესაც სპეციალურად დადგმულ მაგიდასთან. ჩვეულებრივ, ყველანი კასრებს სჯერდებოდნენ. სწორედ ის ახალგაზრდა კაცი, და მის წინ – ამან განსაკუთრებით აუშალა ძარღვები – ,,ხიდისპირა" ფუნდუკის დიასახლისი იხილა. პეპის ამაყად აეწია თავი, ბაგეზე უცვლელი ღიმილი დასთამაშებდა, ნათლად გრძნობდა თავისი მდგომარეობის დიდ მნიშვნელობას. თავის ყოველ შემობრუნებაზე, სქელ ნაწნავს აქნევდა, და წინ და უკან დარბოდა – ბატონს ჯერ ლუდი მოუტანა, შემდეგ საწერ-კალამი და მელანი. ახალგაზრდა კაცს მაგიდაზე ქაღალდები დაეწყო, ერთმანეთს ადარებდა რაღაც მონაცემებს, რომლებსაც ხან ერთ ქაღალდში პოულობდა, ხან მეორეში, მაგიდის შორეულ კუთხეში რომ იდო, და რაღაცის ჩასაწერად ემზადებოდა. წარმოსადეგი დიასახლისი თავისი დიდი ტანის სიმაღლიდან, მდუმარედ, თითქოს ისვენებსო, დაჰყურებდა ბატონს და მის ქაღალდებს, თან ოდნავ გამოეშვირა ქვედა ტუჩი, და ისეთი სახით – თითქოს, ბატონს უკვე აცნობაო ყველაფერი, რაც საჭირო იყო და მან ეს მოწყალედ მიიღოო. ,,უფალი მიწისმზომელი, როგორც იქნა", თქვა ახალგაზრდამ, ერთი გახედა კ.-ს და კვლავ ჩაუღრმავდა თავის ქაღალდებს. დიასახლისმაც მოავლო კ.-ს გულგრილი, არაფრისმთქმელი მზერა, ხოლო პეპიმ თითქოს მხოლოდ მაშინ შეამჩნიაო კ., როდესაც იგი დახლთან მივიდა და სირჩა კონიაკი შეუკვეთა.

კ. დახლს დაეყრდნო, თვალებზე ხელისგული აიფარა და არავის აქცევდა ყურადღებას, შემდეგ ხელი მოიშორა, კონიაკი დააჭაშნიკა და სირჩა გვერდზე გაწია. არ დაილეოდა. ,,ეს ბატონები კი ყველანი სვამენ", თქვა პეპიმ. გადაასხა დარჩენილი კონიაკი, წყალი გამოავლო სირჩას და კვლავ თაროზე შემოდგა. ,,ბატონებს ამაზე უკეთესი კონიაკიც აქვთ", თქვა კ.-მ. ,,შესაძლებელია", უპასუხა პეპიმ, ,,მე კი სხვა არა მაქვს." ამრიგად მოიშორა თავიდან კ. და ისევ განაგრძო ახალგაზრდა ბატონის მომსახურება, თუმცა მას არაფერი არ სჭირდებოდა, და პეპიც წრეს წრეზე ურტყამდა ბატონის ზურგს უკან. თან მოწიწებით ცდილობდა, მის მხარს ზემოდან ქაღალდებში ჩაეხედა, მაგრამ ეს მხოლოდ ფუჭი ცნობისმოყვარეობა და თავმოწონება იყო. დიასახლისი ამას ხედავდა და გულმოსული იჭმუხნიდა შუბლს.

უეცრად, დიასახლისმა შეიფრთხიალა, სმენად გაიკრიფა და სიცარიელეს მიაჩერდა. კ. უკან მიბრუნდა – არაფერი განსაკუთრებული არ გაუგონია, თითქოს სხვებსაც არ გაუგონიათ არაფერი, მაგრამ დიასახლისმა დიდი ნაბიჯებით ფეხაკრეფით მიირბინა იმ კართან ოთახის სიღრმეში, რომელიც ეზოში გადიოდა, გაიხედა კლიტის ჭუჭრუტანაში, დანარჩენებს მიუბრუნდა, თვალი დახუჭა და ალმურმოდებულმა თითით მოიხმო ბუფეტში მყოფნი თავისაკენ. ისინი რიგრიგობით იყურებოდნენ ჭუჭრუტანაში, დიასახლისი – ყველაზე მეტ ხანს, მაგრამ არც პეპი დავიწყებიათ. ყველაზე გულგრილი ამ სანახაობისადმი ახალგაზდა ბატონი იყო. ის და პეპი დიდხანს არ დარჩენილან ჭურჭურუტანასთან და მხოლოდ დიასახლისი, წელში მოკაკული, ლამის მუხლებზე დაჩოქილი, დაძაბული უთვალთვალებდა – ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ევედრებაო ამ ჭუჭრუტანას შიგ შეშვებას, იმიტომ, რომ უკვე დიდი ხანია, აღარაფერი ჩანდა. ქალი ბოლოს და ბოლოს,

გაიმართა წელში. სახეზე გადაისვა ხელი, თმა გაისწორა, ღრმად ამოისუნთქა, თითქოს თავდაპირველად თვალი ოთახში მყოფ ადამიანებს უნდა შეაჩვიოს, მას კი ეს არ ეამებაო. და მაშინ კ.-მ ჰკითხა, – არა იმისათვის, რომ პასუხად რაღაც გარკვეული გაეგონა, არამედ იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა შესაძლო თავდასხმა, – იგი ახლა ისეთი იოლი საკბილო გამხდარიყო, რომ ლამის ყველაფრის ეშინოდა: ,,მაშასადამე, კლამი უკვე წავიდა?" დიასახლისმა უხმოდ ჩაუარა გვერდით, მაგრამ მაგიდასთან მჯდომმა ახალგაზრდამ თქვა: ,,დიახ, რა თქმა უნდა, დაინახა, რომ თქვენ უკვე აღარ ყარაულობთ, და შეძლო გამგზავრებულიყო. პირდაპირ საოცრებაა, მაინც, რა მგრძნობიარეა კლამი. თქვენ შენიშნეთ, დიასახლისო, რა აწრიალებული იყურებოდა აქეთ-იქეთ?" მაგრამ დიასახლისი თითქოს ვერაფერს ვერ ხედავდა, და ახალგაზრდა განაგრძობდა: ,,მაგრამ, საბედნიეროდ, უკვე აღარაფერი აღარ ჩანდა - მეეტლემ წაშალა თოვლში მთელი ნაკვალევი." ,,დიასახლისს კი არაფერი შეუმჩნევია", თქვა კ.-მ, კაცმა არ იცის, რატომ: გარკვეულ მიზანს ისახავდა, თუ უბრალოდ გული მოუვიდა ამ მტკიცების უაპელაციო და გადამჭრელი ტონის გამო. ,,შეიძლება, იმიტომ, რომ იმ წუთს ჭუჭრუტანაში არ ვიყურებოდი", თქვა დიასახლისმა. უწინარეს ყოვლისა, სურდა, ახალგაზრდას გამოჰქომაგებოდა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, კლამსაც გამოსარჩლებოდა და დასძინა: ,,ყოველ შემთხვევაში, მე არ მჯერა კლამის მეტისმეტი მგრძნობიარობისა. მართალია, ჩვენ გული შეგვტკივა კლამზე და ვცდილობთ, დავიცვათ ყოველგვარი უსიამოვნებისაგან, რადგან გვგონია, რომ კლამი უაღრესად მგრძნობიარეა. ეს კარგია და, ალბათ, ასეთია მისი ნება, მაგრამ დანამდვილებით ჩვენ არაფერი არ ვიცით, რა თქმა უნდა, კლამი არასდროს არ დაუწყებს ლაპარაკს იმას, ვისთანაც – არ სურს, რამდენსაც უნდა ეცადოს ის და რაოდენ ჯიუტიც არ უნდა იყოს, მაგრამ საკმარისია ის, რომ კლამი არასოდეს დაუწყებს მას ლაპარაკს და არ დაუძახებს თავისთან. მაშ, რა საჭიროა იმის ფიქრი, რომ იგი ვერ გაუძლებს ამ კაცის დანახვას? ყოველ შემთხვევაში, ამას ვერ დაამტკიცებ, იმიტომ, რომ ეს არასდროს არ მოხდება." ახალგაზრდა ბატონმა კვერი დაუკრა: ,,დიახ, რა თქმა უნდა, მე თავადაც ძირითადად ამ თვალსაზრისს ვადგავარ. ხოლო თუ რამდენადმე განსხვავებული აზრი გამოვთქვი, ეს – მხოლოდ იმიტომ, რომ უფალი მიწისმზომლისათვის გასაგები ყოფილიყო, მაგრამ სწორია ისიც, რომ კლამმა, სახლიდან გამოსვლისას, რამდენჯერმე გაიხედა აქეთ-იქეთ." ,,შეიძლება, მე მეძებდა?" თქვა კ.-მ. ,,სავსებით შესაძლებელია", თქვა ახალგაზრდა ბატონმა. ,,ეს აზრადაც არ მომსვლია." ყველას გაეცინა, ხოლო პეპი, რომელიც აშკარად ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა, ყველაზე ხმამაღლა იცინოდა.

,,რახან ჩვენ აქ ყველანი ერთად ასე კარგად და მხიარულად ვგრძნობთ თავს", თქვა ახალგაზრდა ბატონმა, ,,მე ძალიან გთხოვთ, თქვენ, უფალო მიწისმზომელო, დაუმატოთ ამ საბუთებს რაღაც ცალკეული მონაცემები." ,,წერა გყვარებიათ", თქვა კ.-მ და შორიდან შეავლო თვალი საბუთებს. ,,დიახ, ვერაფერი ჩვევაა", თქვა ახალგაზრდამ და ისევ გაიცინა: ,,მაგრამ, იქნებ, თქვენ არც იცით, ვინა ვარ, მე გახლავართ მომი, კლამის მდივანი, სოფლის ხაზით." ამ სიტყვების შემდეგ ოთახში მოწიწებულმა მდუმარებამ დაისადგურა. თუმცა, დიასახლისიც და პეპიც, ალბათ, იცნობდნენ ამ ბატონს, მაგრამ ისინი თითქოს გაოგნდნენო, როცა მან თავისი სახელი და თანამდებობა დაასახელა. და თვითონ ახალგაზრდა ბატონიც თითქოს გააოგნაო თავისი ნათქვამის მნიშვნელობამ. ისე დაიჭირა თავი, ვითომ სურს, თავიდან აიცილოსო ყოველგვარი ზეიმურობა, რომელიც გარდაუვალად უნდა მოჰყოლოდა ამ სიტყვებს, იგი თავის საბუთებს ჩაუღრმავდა და კვლავ დაიწყო წერა. ოთახში

მხოლოდ კალმის წრიპინი ისმოდა. „მერედა, რას ნიშნავს ეს – მდივანი სოფლის ხაზით?“ იკითხა კ.-მ. მცირეოდენი დუმილის შემდეგ, მომის ნაცვლად, რომელიც აშკარად თავისი ღირსების შებღალვად თვლიდა ასეთი ახსნა-განმარტების მიცემას მას შემდეგ, რაც იგი შეკრებილთ წარუდგა, უპასუხა დიასახლისმა: „ბატონი მომი – კლამის მდივანია, ისევე როგორც კლამის სხვა მდივნები, მაგრამ მისი სამსახურის ადგილი და, თუ მე არა ვცდები, მისი მოღვაწეობის წრე...“ აქ მომმა ენერგიულად გააქნია საბუთებზე დახრილი თავი და დიასახლისმა გამოასწორა ნათქვამი: „დიახ, მაშასადამე, ისეთივე მდივანია, როგორც დანარჩენები, ოღონდ მისი სამსახურის ადგილი, – მაგრამ არა მისი მოღვაწეობის წრე – შემოიფარგლება სოფლით. ბატონი მომი უზრუნველყოფს სოფლისათვის საჭირო საბუთების გადმოცემას კლამისაგან, და სოფლიდან შემოსული ყველა ქაღალდის გადაცემას კლამისათვის.“ ამ სიტყვებზე კ.-მ ქალს ალმაცერად შეხედა. აშკარა იყო, რომ ამ ცნობამ მასზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. დიასახლისმა, რომელიც, ცოტა არ იყოს, დაიბნა, დასძინა, „ასეა ჩვენში მიღებული – ყველა ბატონს თავისი მდივანი ჰყავს სოფლის ხაზით.“ მომმა, რომელიც დიასახლისს გაცილებით უფრო ყურადღებით უსმენდა, ვიდრე კ., ქალს მიმართა და დაუმატა: „სოფლის საქმეთა გამგებელი მდივნების უმრავლესობა მხოლოდ ერთ რომელიმე ბატონზე მუშაობს, მე კი ვმუშაობ ორზე – კლამზე და ვალაბენზე.“ „დიახ“, თქვა დიასახლისმა, რომელმაც, ეტყობა, გაიხსენა ეს ფაქტი, „უფალი მომი ორ ბატონზე მუშაობს, კლამზე და ვალაბენზე, მაშასადამე, იგი ორგზის მდივანია.“ „უყურე შენ, ორგზის!“ თქვა კ.-მ და თავი დაუკრა მომს, რომელიც ადგილიდან წამოიწია და ძალზე ყურადღებით უყურებდა კ.-ს – ასე მოწონებით უკრავენ თავს ბავშვს, რომელიც პირში შეაქეს. და თუმცა, ამ თავის დაკვრას აბუჩად აგდების ელფერიც დაჰკრავდა, მაგრამ იგი ან ვერ შეამჩნიეს, ანდა მიიღეს როგორც ჯეროვანი. სწორედ კ.-ს წინაშე, რომელსაც კლამმა, სხვათა შორის შეხედვაც კი არ აღირსა, აქებდნენ კლამის მდივანს, ერთი აშკარა განზრახვით, იგი ეღიარებინა და ედიდებინა კ.-ს. და მაინც, კ.-მ ეს არ აღიქვა, როგორც ჯერ არს. კ., რომელიც ყოველნაირად ცდილობდა, გამხდარიყო კლამის ერთი შეხედვის ღირსი, არ აფასებს მომს, რომელსაც შეეძლო კლამის გვერდით ეცხოვრა. მას არც უკვირდა და, მით უმეტეს, არ შურდა მისი, იმიტომ, რომ მისთვის ყველაზე სასურველი იყო არა თავისთავად კლამთან სიახლოვე, არამედ მნიშვნელოვანი იყო, რომ მხოლოდ ის, კ., და არავინ სხვა, თავისი, და არა ვიღაც სხვისი საქმეებით მისულიყო კლამთან, და მისულიყო არა იმისათვის, რომ ამას დასჯერებოდა, არამედ მასთან მისვლის მეშვეობით მოხვედრილიყო უფრო ზემოთაც – გოდოლში.

აქ კ.-მ საათს დახედა და თქვა: „ახლა კი დროა, შინ წავიდეო.“ ვითარება მყისვე შეიცვალა მომის სასარგებლოდ. „დიახ, რა თქმა უნდა“, თქვა მომმა, „თქვენ გიხმობთ სკოლის მსახურის ვალი, მაგრამ თქვენ მაინც მოგიწევთ დამითმოთ რამდენიმე წუთი. სულ ორი-სამი მოკლე შეკითხვა მექნება...“ „რო მეზარება?“, თქვა კ.-მ, და, ის იყო, გასასვლელისაკენ დააპირა წასვლა, რომ მომმა საქაღალდე მაგიდას დაუტყაპუნა და წამოიძახა: „კლამის სახელით, მე მოვითხოვ, რომ თქვენ უპასუხოთ ჩემს შეკითხვებს.“ „კლამის სახელით?“ გაიმეორა კ.-მ. „განა მას აინტერესებს ჩემი საქმეები?“ „ამის შესახებ მე ვერ განვსჯი“, თქვა მომმა. „ხოლო თქვენ, ალბათ, საერთოდ ბაიბურშიც არ იქნებით, ასე რომ, მოდით, მშვიდად დავუტოვოთ ამის განსჯა თვით კლამს. მე, როგორც კლამის მიერ დანიშნული თანამდებობის პირი, გთავაზობთ, დარჩეთ და გვიპასუხოთ კითხვებზე.“ „უფალო მიწისმზომელო“, ჩაერია საუბარში დიასახლისი, „მე ვერიდები თქვენთვის კიდევ რაიმე რჩევის მოცემას.

წინანდელ ჩემს რჩევა-დარიგებებს, თანაც, მათგან ყველაზე კეთილმოსურნესაც კი, თქვენ ხომ ხმალამოღებული შეხვდით, და არაფერია დასამალი, მე აქ, ბატონ მდივანთან, მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ, როგორც წესი და რიგია, ვაცნობო უფროსობას თქვენი საქციელისა და თქვენი განზრახვების შესახებ, და სამუდამოდ უსაფრთხოვყო თავი ჩემს სახლში, თქვენი დაბინავებისაგან, აი, როგორი ურთიერთობა გვაქვს თქვენ და მე; როგორც ჩანს, იგი ვერ შეიცვლება, და თუ ახლა ჩემს აზრს გამოვთქვამ, სულაც არა – იმიტომ, რომ დაგეხმაროთ, არამედ იმისთვის, რომ თუნდაც ცოტათი გავუადვილო ბატონ მდივანს ძნელი ამოცანა – იქონიოს საქმე ისეთ კაცთან, როგორიც თქვენ ხართ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თქვენც შეგიძლიათ, თუ მოინდომებთ, გამოსწუროთ თქვენთვის სასარგებლო რამ ჩემს სიტყვებს, ისარგებლოთ ჩემი სრული გულწრფელობით, ხოლო თუ არა – გულწრფელად, მე თქვენთან სხვაგვარად საუბარი არ შემიძლია. საერთოდ კი, მე მძაგს თქვენთან საუბარი, ჰოდა, უწინარეს ყოვლისა, თქვენი ყურადღება უნდა მივაპყრო იმას, რომ ერთადერთი გზა, რომელმაც შეიძლება კლამთან მიგიყვანოთ, გადის ოქმებზე. არ მინდა, გავაზვიადო, – შესაძლოა, ამ გზამაც ვერ მიგიყვანოთ კლამთან, და შესაძლოა, ეს გზაც შეწყდეს კლამამდე არმისული. აქ უკვე ყველაფერი ბატონ მდივნის კეთილმოსურნეობაზეა დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, ეს არის ერთადერთი გზა, რომელსაც თუნდაც კლამის მიმართულებით მიჰყავხართ, და თქვენ გინდათ, ამ ერთადერთ გზაზე თქვათ უარი ყოველგვარი საბაბის მოუტანლად, უბრალოდ სიჯიუტის გამო?“ „ეჰ, დიასახლისო“, თქვა კ.-მ, „სულაც არ არის ეს ერთადერთი გზა კლამისაკენ, და მას ჩირის ფასი აქვს, ისევე, როგორც ყველა სხვა გზას.“ „მაშასადამე, თქვენ, ბატონო მდივანო, წყვეტთ, შეიძლება, თუ არა, კლამმა ცნობად მიიღოს ის, რასაც მე აქ ვიტყვი, ან არ მიიღოს?“ „უდავოდ“, თქვა მომმა და ამაყად გაიხედა ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ. თუმცა, დასანახი არაფერი იყო. „მაშ რა საჭიროა მდივნობა?“ „აი, ხედავთ, დიასახლისო“, თქვა კ.-მ, „თურმე მე უნდა მეძებნა გზები არა კლამისაკენ, არამედ, თავდაპირველად, მისი მდივნისაკენ.“ „მეც სწორედ ის მინდოდა, დაგხმარებოდით, გეპოვათ ეს გზა“, თქვა დიასახლისმა. „განა დილით არ შემოგთავაზეთ, გადამეცა თქვენი სათხოვარი კლამისათვის? მისი გადაცემა კი შეიძლებოდა ბატონი მდივნის მეშვეობით. მაგრამ თქვენ უარი თქვით, და მაინც, თქვენთვის სხვა გზა, ამის გარდა, არ არსებობს. მართალია, თქვენი დღევანდელი გამოხდომის შემდეგ, როდესაც შეეცადეთ ანაზდად დასდგომოდით თავს კლამს, თითქმის აღარ დაგრჩათ წარმატების იმედი. მაგრამ ამ უკანასკნელი, იოტისოდენა, გაქრობის პირას მისული, თითქმის არარსებული იმედის ნატამალის გარდა, თქვენ არაფერი არა გაქვთ.“ „როგორ გამოდის ეს, დიასახლისო“, თქვა კ.-მ, „თავდაპირველად თქვენ დაბეჯითებით ცდილობდით, ხელი აგეღებინებინათ ჩემთვის კლამთან შეღწევის ცდებზე. ახლა კი სერიოზულად იღებთ ჩემს თხოვნას, და იმასაც კი ფიქრობთ, რომ თუ გეგმა ჩამეშალა, მაშინ დავიღუპები. თუ თქვენ აქამდე შეგეძლოთ, ალალი გულით დაგერწმუნებინეთ, არამც და არამც არ ვცდილიყავ კლამთან შეხვედრას, ახლა თქვენ, თითქოს ასეთივე გულწრფელობით, უბრალოდ მიბიძგებთ კლამისაკენ მიმავალ გზაზე, თუმცა, ეგებ, ეს გზა სულაც არ მიემართება მისკენ?“ „განა მე თქვენ სადმე გიბიძგებთ?“ იკითხა დიასახლისმა. „განა ამას ჰქვია რაიმე გზაზე ბიძგება, თუ მე პირდაპირ გეუბნებით, რომ ყველა ცდა უიმედოა! იცით, რაკი თქვენ კიდევ გყოფნით უტიფრობა, ამკიდოთ მთელი პასუხისმგებლობა მე, მაშინ მართლაც აღარ ყოფილა საშველი. ეგებ, ბატონი მდივნის აქ ყოფნამ გაგათამამათ და მოგცათ დიდი გული? არა, უფალო მიწისმზომელო, არსადაც არ გიბიძგებთ. მხოლოდ ერთ რამეში შემიძლია გამოვტყდე: როდესაც გაგიცანით, ცოტა

არ იყოს, გადაჭარბებით შეგაფასეთ. ფრიდაზე თქვენმა ელვისებურმა გამარჯვებამ შემაშინა, მე არ ვიცოდი, რა შეგიძლიათ კიდევ, მინდოდა, თავიდან ამეცილებინა რაიმე ახალი უბედურება და გადავწყვიტე: რით შემიძლია კიდევ ნამუსზე შეგაგდოთ, თუ არა მუქარით და თხოვნით, მაგრამ ახლა მე უკვე ვისწავლე ყველაფრის მშვიდი შეფასება. გააკეთეთ ყველაფერი, რაც თქვენ მოგეპრიანებათ. შეიძლება, თქვენი მცდელობისაგან იქ, ეზოში, თოვლზე, ღრმა კვალი დარჩეს. მეტის იმედი ნუ გექნებათ.“ „თქვენი წინააღმდეგობრივი სიტყვებით თქვენ არაფერი არ აგიხსნიათ ჩემთვის, მაგრამ მე მიგითითეთ მაინცაა თქვენ ამ წინააღმდეგობებზე, ესეც კარგია. ახლა კი გთხოვთ თქვენ, ბატონო მდივანო, მიბრძანოთ, სწორია, თუ არა, დიასახლისის მტკიცება, რომ მას შემდეგ, რაც მოგცემთ ჩვენებებს, რომლებსაც თქვენ მოითხოვთ ჩემგან, მე მივიღებ ნებართვას, წარვსდგე კლამის წინაშე? თუ ასეა, მაშინ მე მზად ვარ, ვუპასუხო ნებისმიერ შეკითხვას. ამ მხრივ, საერთოდ ყველაფერზე მზადა ვარ.“ „არა“, თქვა მომმა, „აქ არავითარი კავშირი არ არის. საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ მივიღო დღევანდელი დღის ზუსტი აღწერილობა კლამის სოფლის რეგისტრატურისათვის. აღწერილობა უკვე მზად მაქვს, თქვენ გრჩებათ მხოლოდ წესის და რიგის დასაცავად შეავსოთ ორი-სამი ხარვეზი. არავითარი სხვა მიზანი აქ არ არის და ვერც იქნება.“ კ. მდუმარედ უყურებდა დიასახლისს. „რას მიყურებთ, რომ მიყურებთ?“ თქვა მან. „განა მე რაღაც სხვა გითხარით? აი, ასე იცის, ბატონო მდივანო, მხოლოდ ასე. ამახინჯებს ცნობებს, რომლებსაც იღებს, მერე კი ამბობს, რომ მას არასწორ მონაცემებს აძლევენ. მე სულ თავიდანვე ვუმტკიცებ, დღესაც და მერეც ვიტყვი მხოლოდ ერთს: მას არ გააჩნია ოდნავი შესაძლებლობაც კი, მოხვდეს კლამთან მიღებაზე. მაშასადამე, რახან არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნია, მაშინ ამ საქმეში ოქმებიც ვერ უშველის, რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო მარტივი და გასაგები? შემდეგ მე მას ვეუბნები: ეს ოქმი არის ერთადერთი სამსახურებრივი კავშირი კლამთან, რომელიც მისაწვდომია მისთვის, და ესეც სრულიად გასაგები და უცილობელი ფაქტია. მაგრამ ვინაიდან მას არ სჯერა ჩემი და ჯიუტად – არ ვიცი, რატომ და რისთვის, – დაუჩემებია, რომ შეაღწევს კლამთან, მაშინ, თუ მისი აზრების მსვლელობას მივყვებით, მას შეიძლება დაეხმაროს ერთადერთი ნამდვილი სამსახურებრივი კავშირი, რომელიც დაუმყარდება კლამთან, – ეს ოქმი. აი, ყოველივე, რაც მე ვთქვი და თუ ვინმე რაიმე სხვას ამტკიცებს, ის განზრახ აუკუღმართებს ჩემ ნათქვამს.“ „რახან ასეა, დიასახლისო“, თქვა კ.-მ, „გთხოვთ, მომიტევოთ: მაშასადამე, მე ვერ გაგიგეთ თქვენ, საქმე ის არის, რომ თქვენი წინანდელი სიტყვებიდან მე გამოვიტანე მცდარი დასკვნა, როგორც ახლა გამოირკვა, თითქოს მე მრჩებოდა რაღაც პაწაწკინტელა იმედი.“ „რა თქმა უნდა“, თქვა დიასახლისმა, „მე ასე მიმაჩნია, მაგრამ თქვენ ისევ აუკუღმართებთ ჩემს სიტყვებს, ოღონდ, უკვე პირიქით. ასეთი იმედი თქვენ, ჩემი რწმენით, გრჩებათ და იგი, რა თქმა უნდა, ემყარება მხოლოდ ამ ოქმს. თუმცა, რასაკვირველია, ეს არ უნდა გაიგოთ ისე, რომ გული გაუწყალოთ ბატონ მდივანს.“ „ხოლო თუ მე ვუპასუხებ კითხვებს, მაშინ შემეძლება ვნახო კლამი?“ „როდესაც ასე კითხულობს ბავშვი, მასზე მხოლოდ ეცინებათ, ხოლო თუ – მოზრდილი, ამით იგი შეურაცხყოფას აყენებს ადმინისტრაციას, და ბატონმა მდივანმა მოწყალედ გააქარვა საწყენი მიმართვა თავისი დახვეწილი პასუხით, მაგრამ იმედი, რომელზეც მე მოგახსენებთ, სწორედ ის არის, რომ თქვენ ამ ოქმის მეშვეობით რაღაცნაირად უკავშირდებით, უფრო ზუსტად, შეიძლება, რაღაცნაირად დაუკავშირდეთ კლამს. განა ასეთი იმედი გეცოტავებათ? ხოლო თქვენ რომ გკითხონ, რა დამსახურება გაქვთ ისეთი, რომლისთვისაც ბედი ამ იმედს გჩუქნითო, შეგიძლიათ გვიპასუხოთ თუნდაც რაიმე? მართალია, ამ იმედზე რაღაც უფრო

გარკვეულის თქმა არ შეიძლება, და ბატონი მდივანი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, სიტყვასაც არ გადაგიკრავთ ამის თაობაზე. როგორც მან უკვე ბრძანა, მისი საქმეა – წესისა და რიგის გულისათვის აღწეროს დღევანდელი მოვლენები, მეტს იგი ვერაფერს გეტყვით, იმ შემთხვევაშიც კი, ჩემი სიტყვების შემდეგ, თქვენ თუ გკითხავთ.“ „ერთი მიბრძანეთ, ბატონო მდივანო“, იკითხა კ.-მ, – „კლამი წაიკითხავს ჩემს ამ ოქმს?“ „არა“, თქვა მომმა, „რატომ უნდა იკითხოს? ხომ არ შეუძლია კლამს იკითხოს ყველა ოქმი, იგი მათ საერთოდ არ კითხულობს. მომაშორეთ აქედან თქვენი ოქმებიო, გვეუბნება იგი ყოველთვის.“ „აჰა, უფალო მიწისმზომელო“, საბრალო ხმით თქვა დიასახლისმა, „თქვენ მე პირდაპირი გამაწამეთ თქვენი კითხვებით. ნუთუ აუცილებელია, ანდა თუნდაც სასურველია, რომ კლამმა ეს ოქმი წაიკითხოს და დაწვრილებით შეიტყოს თქვენი ცხოვრების ყველა უბადრუკი წვრილმანი, ხომ არ გიჯობთ მორჩილად ითხოვოთ, რომ ოქმი არ დაანახონ კლამს. თუმცა, სხვათა შორის, ეს თხოვნა ისეთივე უგუნური იქნებოდა, როგორც თქვენი ნებისმიერი სხვა სათხოვარი, – ვის შეუძლია რაიმე დაუმალოს კლამს? სამაგიეროდ, მასში გამოჩნდებოდა მაინცაა თქვენი ხასიათის კარგი მხარეები. მაგრამ განა ეს საჭიროა ყოველივე იმის გამღვივებლად, რასაც თქვენს იმედს უწოდებთ? განა თავად არ ბრძანეთ, რომ კმაყოფილი იქნებით, თუ მოგეცემათ შესაძლებლობა, გამოთქვათ აზრი კლამის წინაშე მაშინაც კი, თუ იგი ზედაც არ შემოგხედავთ და ყურს არ გათხივებთ? და განა ამ ოქმის მეშვეობით თქვენ არ მიაღწევთ თუნდაც ამას, ან იქნებ გაცილებით უფრო მეტსაც?“ „გაცილებით მეტსო?“ იკითხა კ.-მ. „კი მაგრამ, როგორ?“ „ნეტავ, ბალღივით არ მოითხოვდეთ, რომ თქვენ ყველაფერი ერთბაშად ჩაგიდონ პირში, როგორც ნუგბარი. აბა, ვის შეუძლია დაგეხმაროთ, პასუხი გასცეთ ამ კითხვებს? ოქმი კლამის რეგისტრატურაში ხვდება, აქ, სოფელში, ეს თქვენ უკვე გაიგონეთ, და უფრო გარკვევით სხვას ვერაფერს გეტყვიან, მაგრამ გესმით თქვენ ბატონი მდივნისა და სოფლის რეგისტრატურის ოქმების მთელი მნიშვნელობა? იცით, რას ნიშნავს ეს, როდესაც ბატონი მდივანი თქვენ დაგკითხავთ? ალბათ, თვითონაც არ იცის ეს. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. იგი მშვიდად ზის აქ, ასრულებს თავის მოვალეობას წესის და რიგის გულისათვის, როგორც მან თავად თქვა, მაგრამ თქვენ მხოლოდ გაითვალისწინეთ, რომ იგი კლამის დანიშნულია, კლამის სახელით მუშაობს. თუმცა მისი სამუშაო, შესაძლოა, არასდროს არ მივიდეს კლამამდე, მაგრამ მას წინასწარ აქვს მიღებული კლამის თანხმობა; განა შეუძლია ვინმეს შეიპიროს კლამის თანხმობა, თუ იგი არ არის გამსჭვალული კლამის სულისკვეთებით? მე სულაც არ ვაპირებ პირში ველაქუცო ბატონ მდივანს, იგი თავადაც იქნებოდა ამის წინააღმდეგი, მაგრამ მე ვლაპარაკობ არა პირადად მასზე, არამედ იმაზე, თუ რას წარმოადგენს იგი, როდესაც მოქმედებს როგორც ახლა – კლამის თანხმობით: მაშინ იგი იარაღია კლამის ხელში, და ვაი იმის ბრალი, ვინც მას არ დაემორჩილება.“

დიასახლისის მუქარამ როდი შეაშინა კ., მაგრამ მას მობეზრდა ლაპარაკი, რომლის დროსაც ქალი გამუდმებით ცდილობდა, გამოეჭირა იგი. კლამი შორს იყო. როგორღაც დიასახლისმა კლამი არწივს შეადარა, და კ.-ს მაშინ ეს სასაცილოდ მოეჩვენა, მაგრამ ახლა იგი ვერაფერს ხედავდა სასაცილოს: იგი ფიქრობდა იმ საშინელ შორეთზე, იმ მიუწვდომელ საცხოვრისზე, ურყევ იდუმალებაზე, რომელსაც დრო და დრო, შესაძლოა, არღვევდეს მხოლოდ ყვირილი, როგორიც კ.-ს ცხოვრებაში არ გაუგონია, ფიქრობდა გამჭრიახ მზერაზე, მოუხელთებელსა და განუმეორებელზე, რომელიც თავის თავს არასდროს უღალატებს, შეკრულ წრეებზე, რომლებსაც იგი

ლივლივით ურტყამდა ცაში გაუგებარი კანონებით, და მხოლოდ წამით რომ გადაუვლიდა ხოლმე დაბლა მყოფ კ.-ს, – და ყოველივე ეს ამსგავსებდა კლამს არწივს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას არ ჰქონია არავითარი დამოკიდებულება ოქმთან, რომელზეც მომს ეს-ეს არის დაუცვივდა მარილიანი კრენდელის ნამცეცები, როდესაც მის თავზე გატეხა ლუკმა, მერე ლუდი დააყოლა, და ქაღალდებზე კვლიავის თესლი და მარილის ფხვნილი ეპნეოდა.

„ღამე მშვიდობისა“ თქვა კ.-მ. „მე მძაგს ყოველგვარი დაკითხვა.“ „შეხედეთ, წასვლას აპირებს“, ლამის შეშინებულმა უთხრა მომმა დიასახლისს. „ვერ გაბედავს წასვლას“, უპასუხა ქალმა, მაგრამ კ.-ს აღარაფერი გაუგია, იგი უკვე დერეფანში იყო გასული. ციოდა, ძვალსა და რბილში გამტანი ქარი უბერავდა. მოპირდაპირე კარიდან სასტუმროს მეპატრონე გამოჩნდა, როგორც ჩანს, იგი დერეფანს ჭუჭრუტანიდან ადევნებდა თვალს. კ. იძულებული გახდა, უფრო მჭიდროდ შემოეხვია ტანზე პიჯაკი, რადგან აქ, შენობაშიც კი, ქარი ტანსაცმელს აგლეჯდა. „უკვე მიბრძანდებით, უფალო მიწისმზომელო?“ დაინტერესდა იგი. „თქვენ ეს გიკვირთ?“ იკითხა კ.-მ. „დიახ. განა თქვენ აღარ დაგკითხავენ?“ „არა“, თქვა კ.-მ. „მე არ დავაკითხვინე თავი.“ „რატომ?“ იკითხა სასტუმროს პატრონმა. „არ ვიცი, რატომ უნდა დავუშვა, რომ მე დამკითხოს ვიღაცამ, რატომ უნდა დავყვე ჩინოვნიკთა ოხუნჯობებს თუ ახირებებს? შესაძლოა, სხვა დროს, ასევე, ხუმრობით ან ახირებით, დავყვე, დღეს კი სულაც არ მეხუმრება – არა.“ „დიახ, რა თქმა უნდა“, თქვა სასტუმროს პატრონმა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ეთანხმებოდა მხოლოდ თავაზიანობის გულისათვის, და არა თავისი რწმენით. „ახლა კი წავალ და ბატონის მსახურებს შევუშვებ ბუფეტში. მათი დრო დიდი ხანია, დამდგარია. მე უბრალოდ არ მინდოდა, ხელი შემეშალა დაკითხვისათვის.“ „თქვენ თვლით, რომ დაკითხვა ასეთი მნიშვნელოვანია?“ იკითხა კ.-მ. „რასაკვირველია!“ უპასუხა სასტუმროს პატრონმა. „მაშასადამე, ტყუილად მითქვამს უარი?“ თქვა კ.-მ. „არ ღირდა უარის თქმა“ თქვა სასტუმროს პატრონმა. და, რამდენადაც კ. სდუმდა, მან კ.-ს სანუგეშოდ, თუ იმიტომ, რომ ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა, – დაუმატა: „ეგ არაფერი, ამის გამო ზეციდან მდუღარე კუპრი არ გადმოისხმება!“ „სწორი ბრძანებაა“, თქვა კ.-მ. „ამინდს არ უჩანს საკუპრე პირი.“ ორივეს გაეცინა და დაშორდნენ ერთმანეთს.

10. გზაზე

კ. პარმაღზე გამოვიდა და ჩაბნელებულ არემარეს მოავლო თვალი. გამყინავი ქარი ქროდა, ნამდვილი ავდარი იყო და რატომღაც, ამასთან დაკავშირებით, კვლავ გაახსენდა, რა დაჟინებით ცდილობდა დიასახლისი, ეიძულებინა იგი ოქმს დამორჩილებოდა, და როგორ არ დაჰყვა ქალის ნებას. მართალია, მეფუნდუკის ცოლი ეშმაკურად იქცეოდა: ხან ეუბნებოდა, უნდა უპასუხოო კითხვებს, ხან კი, ოქმი არ გინდაო. ბოლოს და ბოლოს, ძნელი გასარკვევი იყო, დაჰყვა, თუ არ დაჰყვა დიასახლისის ფარულ ნებას. ინტრიგანი დედაკაცია, ფიქრობდა კ., და ეტყობა, მოქმედებს ტუტუცურად და ბრმად, როგორც ქარაშოტი, რაღაც შორეული, უცხო მითითებებით, რომლებსაც გონებით ვერასგზით ვერ ჩასწვდები.

ის იყო, ორიოდ ნაბიჯი გაიარა გზაზე, რომ შორს აციმციმდა ორი მოცახცახე ჩირაღდანი. კ.-ს გაეხარდა, სიცოცხლის ნიშანწყალი რომ დაინახა, და მათკენ ნაბიჯს აუჩქარა, ისინიც მისკენ მოდიოდნენ. თვითონაც ვერ მიხვდა, რატომ გაუცრუვდა ასე

იმედი, როდესაც თანაშემწეები იცნო. ისინი ხომ მის შესახვედრად წამოსულიყვნენ, ეტყობა, ფრიდას გამოეგზავნა, და ფარნები, რომლებმაც იგი ირგვლივ მოგუგუნე წყვდიადიდან გამოათავისუფლეს, მისი საკუთარი იყო, და მაინც იმედგაცრუებული ჩანდა, იმიტომ, რომ ელოდა უცხოებს, და არა ამ ყელში ამოსულ ნაცნობებს, რომლებიც ჭირად ქცეულიყვნენ მისთვის, მაგრამ მარტო თანაშემწენი როდი მოდიოდნენ მის შესახვედრად, მათთან ერთად სიბნელიდან გამოჩნდა ბარნაბაც. ,,ბარნაბა!" დაიძახა კ.-მ და ახალგაზრდას ხელი გაუწოდა. ,,ჩემთან მოდიხარ?" შეხვედრით გაოცებულ კ.-ს სულ მთლად დაავიწყდა, რა შარში გახვია ბარნაბამ. ,,შენთან", უწინდელი უცვლელი თავაზიანობით და სერიოზულობით თქვა ბარნაბამ. ,,კლამის წერილი მომაქვს". ,,კლამის წერილი!" იყვირა კ.-მ., თავი ასწია და სასწრაფოდ სწვდა წერილს, რომელიც ხელში ეკავა ბარნაბას. ,,გამინათეთ!" უბრძანა თანაშემწეებს, მათ მაღლა ასწიეს ფარნები და მარჯვნიდან და მარცხნიდან მჭიდროდ ამოუდგნენ მხარში. კ. იძულებული გახდა, რამდენჯერმე დაეკეცა დიდი წერილი – ქარი ხელიდან გლეჯდა თაბახის ფურცელს. მერე წაიკითხა: ,,უფალ მიწისმზომელს. ფუნდუკი ,,ხიდის პირას". გეოდეზიურ სამუშაოებს, რომლებიც თქვენ ამ დრომდე შეასრულეთ, მთლიანად ვიწონებ. ასევე, თქვენი თანაშემწეების გარჯაც ქებას იმსახურებს. თქვენ მარჯვედ მიაჩვიეთ ისინი მუშაობას. ასეთივე გულმოდგინებით განაგრძეთ შრომა! წარმატებით დაასრულეთ დაწყებული საქმე. ყოველგვარი შეფერხება ჩემს უკმაყოფილებას გამოიწვევს. დანარჩენზე ნუ სწუხხართ – ანაზღაურების საკითხი უახლოეს ხანს გადაწყდება. თქვენ ყოველთვის ჩემი კონტროლის არეში ხართ." კ. თვალს ვერ სწყვეტდა წერილს, სანამ თანაშემწეებმა, რომლებიც გაცილებით უფრო ნელა კითხულობდნენ, სამგზის ხმადაბლა დაიძახეს ,,ვაშაო", თან, სასიამოვნო ამბით გახარებულნი, ფარნებს იქნევდნენ. ,,მშვიდად!" თქვა კ.-მ და ბარნაბას მიუბრუნდა. ,,გაუგებრობა მოხდა!" უთხრა, მაგრამ ბარნაბამ ვერ გაუგო. ,,გაუგებრობა მოხდა", გაიმეორა კ.-მ და კვლავ დაეუფლა უწინდელი დაღლილობა, სკოლისაკენ მიმავალი გზა შორი მოეჩვენა. ბარნაბას მიღმა მთელი მისი ოჯახი წამოიმართა, ხოლო თანაშემწეები ისე აწვებოდნენ, რომ იძულებული გახდა, მუჯლუგუნებით მოეშორებინა თავიდან; რატომ გამოგზავნა ფრიდამ ისინი მის შესახვედრად, აკი უბრძანა თანაშემწეებს, ქალთან დარჩითო, შინისაკენ მიმავალ გზას თავადაც იპოვიდა, თან – უფრო იოლად, ვიდრე მათს საზოგადოებაში; ზედაც, ერთ მათგანს კისერზე მოხვეული შარფი გახსნოდა, ბოლოებს ქარი უფრიალებდა და უკვე რამდენჯერმე მოარტყა კ.-ს სახეში, მართალია, მეორე თანაშემწე მაშინვე აცილებდა სახიდან თავისი გრძელი, წვეტიანი, მუდმივად მოძრავი თითებით, მაგრამ ეს არ შველოდა საქმეს. ეტყობა, ორივეს მოსწონდა კიდეც ეს თამაში და, საერთოდ, ქარს და არეულ ღამეს აღეგზნო ისინი. ,,მომწყდით თავიდან!" იყვირა კ.-მ. ,,რატომ არ წამოიღეთ ჩემი ჯოხი, რახან ჩემს შესახვედრად წამოხვედით? რით გაგრეკოთ ახლა, სახლში?" თანაშემწენი ბარნაბას ზურგს ამოეფარნენ მაგრამ, როგორც ეტყობოდათ, არ იყვნენ ძალიან შეშინებულნი, იმიტომ, რომ მოახერხეს თავიანთი ფარნები მარჯვენა და მარცხენა მხარზე დაეყრდნოთ თავიანთი უფროსისათვის, თუმცა მან თავიდან მოიშორა ისინი. ,,ბარნაბა", თქვა კ.-მ და გული ეტკინა, რადგან ბარნაბას აშკარად არ ესმოდა მისი და რომ თუმცა მშვიდ საათებში მისი ქურთუკის ბრჭყვიალი გულს ეფონებოდა, მაგრამ, როცა საქმე სერიოზულ ამბავს შეეხებოდა, ტყუილად ელოდა მისგან დახმარებას – მხოლოდ უსიტყვო წინააღმდეგობას გრძნობდა, წინააღმდეგობას, რომელთანაც ბრძოლა არ უხერხდებოდა, იმიტომ რომ თვით ბარნაბაც უმწეო იყო, და თუმცა სულ ერთთავად გაბადრული ჰქონდა სახე, მისი ღიმილისაგან იმდენივე ხეირი იყო, რამდენიც -

ზეცაში მოკიაფე ვარსკვლავისაგან ქარიშხლის წინააღმდეგ აქ, ქვემოთ. „შეხედე, რას მწერს ეს ვაჟბატონი“, უთხრა კ.-მ და წერილი ცხვირთან მიუტანა. „ვიღაცამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. მე არავითარი გეოდეზიური სამუშაოები არ შემისრულებია და შენ თავად ხედავ, რისი მაქნისი არიან ჩემი თანაშემწეები. მართალია, შეუძლებელია, შეფერხებები იყოს სამუშაოში, რომელიც არ წარმოებულა, და მაშასადამე, ამ ბატონის უკმაყოფილებას ვერ გამოვიწვევდი, ხოლო მოწონებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ რომ ვერც ვმშვიდდები?!“ „მე ყველაფერს გადავცემ“, თქვა ბარნაბამ, რომელიც ბარათს ზემოთ იყურებოდა, რადგან, სულ ერთია, მაინც ვერ წაიკითხავდა, ისე ახლოს ჰქონდა მიტანილი ცხვირთან. „ეჰ“, თქვა კ.-მ. „შენ სულ მპირდები, ყველაფერს გადავცემო, მაგრამ განა შემიძლია ნამდვილად გენდო სიტყვაზე? არადა, ისე მჭირდება საიმედო შიკრიკი, ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე.“ კ.-მ მოუთმენლად იკბინა ტუჩზე. „ბატონო“, თქვა ბარნაბამ და ისე ალერსიანად დახარა კისერი, რომ კ. კინაღამ კვლავინდებურად აჰყვა ცდუნებას, დაეჯერებინა მისთვის. – „რასაკვირველია, მე ყველაფერს გადავცემ, იმასაც, რაც შენ წინა ჯერზე დამაბარე, აუცილებლად გადავცემ.“ „როგორ?“ აღმოხდა კ.-ს. „ჯერ არაფერი გადაგიცია? განა გოდოლში არ იყავი მეორე დღეს?“ „არა“, თქვა ბარნაბამ, „მამაჩემი მოხუცია, შენ ხომ თვითონ ნახე, სამუშაო კი იქ სწორედ მაშინ, ბევრი ჰქონდა, იძულებული ვიყავი დავხმარებოდი, მაგრამ ახლა სულ მალე ისევ წავალ გოდოლში.“ „რას მიშვრები, მღუპავ? დიდი უცნაური კაცი ხარ!“ იყვირა კ.-მ და შუბლზე დაირტყა ხელი. „არ იცი, რომ კლამის საქმეები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ყველა სხვა საქმესთან შედარებით? მალემსრბოლის მაღალი თანამდებობა გიკავია და ასე უმსგავსად ასრულებ შენს მოვალეობებს? ვის რა ჭირად უნდა მამაშენის სამუშაოები? კლამი ელოდება ცნობებს, შენ კი, იმის მაგივრად, რომ ფრთა გამოისხა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცე მასთან, ამჯობინებ, ნაკელი ზიდო ბოსლიდან.“ „არა, მამაჩემი მეჩექმეა“, წარბშეუხრელად თქვა ბარნაბამ, „და მას ბრუნსვიკის შეკვეთა აქვს, მე კი მამაჩემის შეგირდი ვარ.“ „მეჩექმე-შეკვეთა-ბრუნსვიკი“, სიძულვილით გაიმეორა კ.-მ, თითქოს სამუდამოდ ამოშანთაო გამოუდეგრობის გამო თითოეული ამ სიტყვათაგანის სახსენებელი, „საერთოდ, ვის სჭირდება ჩექმა თქვენს მუდამ ცარიელ შარაგზებზე? და, საერთოდ რა საქმე მაქვს მეჩექმეებთან? მე შენ მოგანდე შეტყობინება არა იმიტომ, რომ ხარაზის სკამზე დაგრჩენოდა და აგერ-დაგერია ყველაფერი, არამედ დაუყოვნებლივ გადაგეცა ჩემი დანაბარები შენი ბატონისათვის.“ აქ კ. ცოტათი დაცხრა, გაახსენდა, რომ კლამი, ალბათ, მთელი ეს ხანი გოდოლში კი არა, სასტუმროში იყო, მაგრამ ბარნაბას გულით ეწადა დაემტკიცებინა, რა კარგად ახსოვს კ.-ს პირველი დავალება და სიტყვა სიტყვით მოჰყვა მის გამეორებას, კ.-ს კვლავ მოუვიდა გული. „კმარა, გაჩუმდი“, თქვა მან. „ნუ მიწყრებით, ბატონო“, თქვა ბარნაბამ და, თითქოს ქვეცნობიერად სურს კ. დასაჯოსო, თვალი მოაშორა მას და მიწას ჩააჩერდა – თუმცა, შეიძლება უბრალოდ დაიბნა ყვირილისაგან. „შენზე კი არ ვწყრები“, თქვა კ.-მ, რომელიც ახლა მხოლოდ თავის თავს ამტყუნებდა მთელი ამ დავიდარაბის გამო. „შენზე არ ვწყრები, მაგრამ ბედი მქონია, რომ ასეთი დესპანი გამომიჩნდა ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეებისათვის.“ „მისმინე!“ თქვა ბარნაბამ, გეგონებოდა, თავის შიკრიკულ ღირსებას რომ იცავს, იგი საკმარისზე მეტს ლაპარაკობსო. „კლამი ხომ არავითარ ამბებს არ ელოდება და გული მოსდის, როდესაც მივდივარ. „ისევ ახალი ამბები!“ თქვა როგორღაც, მეტწილად კი, შორიდან რომ დამინახავს, მაშინვე დგება და მეზობელ ოთახში გადის, არ მიღებს ხოლმე. და საერთოდ, არსად არ არის ნათქვამი, რომ მე მყისვე გამოვცხადდე ხოლმე ახალი დავალებით. ნათქვამი რომ ყოფილიყო, აუცილებლად გამოვცხადდებოდი, მაგრამ

ამის შესახებ სიტყვაც არ არის ნათქვამი. მე რომ საერთოდ არც გამოვჩენილიყავი, სამდურავსაც ვერავინ მეტყოდა, ხოლო თუ დავალებას გადმოგცემთ, ამას მხოლოდ ჩემი კეთილი ნებით ვაკეთებ.“ „კეთილი“, თქვა კ.-მ, თან თვალს არ აშორებდა ბარნაბას და ცდილობდა, არ მიექცია ყურადღება თანაშემწეებისათვის: ისინი რიგრიგობით, ნელა, თითქოს, საიდანღაც ქვემოდან ამოდიანო, თავებს ჰყოფდნენ ბარნაბას ზურგსუკან და სტვენა-ზუზუნით, ქარის მსგავსად სწრაფად ჩაყვინთავდნენ ხოლმე ბარნაბას ამოფარებულნი, თითქოს კ.-სი შეეშინდათო, – ასე ერთობოდნენ დიდხანს. „არ ვიცი, როგორ არის მიღებული კლამთან, მაგრამ ძალიან მეეჭვება, რომ შენ ზუსტად გესმის ყველაფერი, ზუსტადაც რომ გესმოდეს, სათუოა, რომ ჩვენ შევძლოთ, შევცვალოთ რაიმე. მაგრამ დანაბარების გადაცემა შენ შეგიძლია, მეც ამას გთხოვ, მეტს არაფერს. სულ პატარა დავალებაა. შეგიძლია გადასცე მას ხვალ, და მაშინვე, ხვალვე, დილიდან მომიტანო პასუხი, ანდა მაცნობო მაინც, როგორ მიგიღეს იქ? შეგიძლია და გინდა, გააკეთო ეს? ამით უდიდეს სამსახურს გამიწევ, ვინ იცის, ეგებ მეც მომეცეს შემთხვევა გადაგიხადო სამადლობელი, როგორც წესი და რიგია, შეიძლება ახლაც მზად ვარ, შეგისრულო რაიმე სურვილი?“ „რა თქმა უნდა, მე შევასრულებ შენს დავალებას“, თქვა ბარნაბამ. „და შეეცდები შეასრულო იგი რაც შეიძლება უკეთ, გადასცე ყველაფერი თვითონ კლამს, მიიღო პასუხი მხოლოდ მისგან და ყველაფერი ეს გააკეთო მარდად, დილიდანვე. მითხარი, ხომ ეცდები?“ „ვეცდები, როგორც შემიძლია“, თქვა ბარნაბამ, „მაგრამ მე ხომ სულ მუდამ ვცდილობ.“ „მოდი, ნუ ვიკამათებთ ახლა“, თქვა კ.-მ. „აი ჩემი დავალება: მიწისმზომელი კ. უფალ უფროსს სთხოვს ნებართვას, ეახლოს პირადად მას, და წინასწარ იღებს ყველა პირობას, რომლებიც ასეთ ნებართვასთან არის დაკავშირებული. ის იძულებულია მიმართოს ამ თხოვნით იმიტომ, რომ აქამდე ყველა შუამავალი არაფრის მაქნისი აღმოჩნდა. დამამტკიცებელ საბუთად საკმარისია დავასახელო ის, რომ მას აქამდე არ შეუსრულებია არავითარი გეოდეზიური სამუშაო და, თუ მამასახლისის განცხადებით ვიმსჯელებთ, ვერასდროს ვერ შეასრულებს; მან სირცხვილისა და სასოწარკვეთილების გრძნობით წაიკითხა უფალი უფროსის უკანასკნელი წერილი და მხოლოდ პირადი შეხვედრა უფალ უფროსთან უშველის საქმეს. მიწისმზომელს ესმის, რაოდენ დიდია მისი თხოვნა, მაგრამ იგი ყოველ ღონეს იხმარს, რათა რაც შეიძლება ნაკლებად შეაწუხოს უფალი უფროსი, და თანახმაა, დაემორჩილოს ყოველგვარ დროებრივ შეზღუდვას, ხოლო თუ საჭიროდ მიიჩნევენ, მაშინ დაუწესონ სიტყვების ზღვრული რაოდენობა, რომელთა წარმოთქმის უფლება ექნება მოლაპარაკების დროს. იგი ვარაუდობს, რომ სულ ათ სიტყვას იმყოფინებს. ღრმა პატივისცემით და უაღრესი მოუთმენლობით მოელის იგი პასუხს.“ აღელვებული კ. ისე ლაპარაკობდა, თითქოს კლამის კარის წინ მდგარიყო და მორიგე კარისკაცს მიმართავდა. „გაცილებით უფრო გრძლად გამოვიდა, ვიდრე მეგონა“, თქვა მან, „მაგრამ შენ ყველაფერი უნდა გადასცე სიტყვიერად. წერილის წერა არ მსურს. იგი კვლავ უსასრულო კანცელარიებში ჩაიკარგება.“ და კ.-მ მხოლოდ დაჯღაბნა ყველაფერი ფურცელ ქაღალდზე, რომელიც ერთ-ერთ თანაშემწეს ედო ბეჭებზე, სანამ მეორე ფარნით უნათებდა, მაგრამ წერდა უკვე ბარნაბას კარნახით – მას ყველაფერი დაეხსომებინა და შეგირდის გულმოდგინებით ზუსტად გაიმეორა ყველაფერი, თან ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია თანაშემწეების მაცდური კარნახისთვის. „შენ დიდებული მეხსიერება გქონია“, თქვა კ.-მ და ფურცელი გადასცა. „შეეცადე, ასევე დიდებულად გამოიჩინო თავი ყოველივე დანარჩენში. რას ისურვებდი? ნუთუ შენ არავითარი სურვილი არა გაქვს? გულახდილად გეტყვი: მე უფრო მშვიდად ვიქნებოდი და ჩემი დანაბარების ბედი არ შემაწუხებდა, შენ რომ რაიმე სურვილი

გამოგეთქვა.“ თავდაპირველად ბარნაბა სდუმდა, მერე კი თქვა: „ჩემმა დებმა მოგიკითხეს.“ „შენმა დებმა?“ თქვა კ.-მ. „ჰო-ჰო, მახსოვს, ფერხორციანი და ტანადი გოგონები არიან.“ „ორივემ მოგიკითხა“, თქვა ბარნაბამ, „მაგრამ განსაკუთრებით ამალიამ, სწორედ მან მომიტანა დღეს შენთვის გადმოსაცემი წერილი გოდლიდან.“ კ. მაშინვე მოეჭიდა ამ სიტყვებს რადგან ყველა დანარჩენზე მეტად აინტერესებდა – თან ჰკითხა: „ხომ არ შეუძლია მას, გადასცეს ჩემი დანაბარები გოდოლში? იქნებ, ერთად წასულიყავით ორივენი და რიგრიგობით გეცადათ ბედი?“ „ამალიას არა აქვს უფლება, შევიდეს კანცელარიაში“, თქვა ბარნაბამ, „თორემ, სიამოვნებით გააკეთებდა ყველაფერს.“ „შეიძლება, ხვალ გამოგიაროთ“, თქვა კ.-მ. „ოღონდ იქამდე პასუხი მომიტანე. სკოლაში დაგელოდები, შენც მომიკითხე შენი დაიკოები.“ გეგონებოდა, ბარნაბა ცას ეწიაო სიხარულით, კ.-ს დაპირება რომ გაიგონა და დამშვიდობების ნიშნად ხელის ჩამორთმევის შემდეგ ალერსიანად გადაუსვა მხარზე ხელი კ.-ს, თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც წინათ, როდესაც ბარნაბა მთელი ბრწყინვალეებით გამოჩნდა გლეხებს შორის ფუნდუკში. კ.-მ, მართალია – ღიმილით, მაგრამ მიიღო ეს ჟესტი, როგორც ჯილდო. მოლბა, და, შინ რომ ბრუნდებოდნენ, აღარ უშლიდა თანაშემწეებს ეკეთებინათ ყველაფერი, რაც მოეხუშტურებოდათ.

11. სკოლაში

სახლს რომ მიადგა, ერთიანად გათოშილი იყო. ყველგან ბნელოდა, ფარნებში სანთლები დამწვარიყო, და ხელის ცეცებით გააღწია სკოლის საკლასო ოთახში, თუმცა თანაშემწეებს მიჰყვებოდა, რომლებიც აქ უკვე კარგად იგნებდნენ გზას. „ახლა პირველად შემიძლია შეგაქოთ“, უთხრა მან და კლამის წერილი გაახსენდა. ოთახის კუთხიდან გაისმა ფრიდას ნამძინარევი ხმა: „თავი დაანებეთ კ.-ს, გამოიძინოს! ხელს ნუ უშლით.“ მაშასადამე, მთელი ეს დრო ქალი კ.-ზე ფიქრობდა, თუმცა ძილი მოერია და ვეღარ დაელოდა. აინთო სინათლე; ლამფა ოდნავ ბჟუტავდა. ეტყობოდა, რომ ნავთი ილეოდა. ახალგაზრდა წყვილის მეურნეობას, საერთოდ, ბევრი რამ აკლდა. ღუმელში მთელი შეშა დამწვარიყო, დიდ ოთახს, რომელიც ასევე სავარჯიშო დარბაზს წარმოადგენდა – ტანვარჯიშის იარაღები კედლებთან იყო გამწკრივებულ და ჭერიდან ეშვებოდა, – შეშის მთელი მარაგი შთაენთქა, და თუმცა ყველანი არწმუნებდნენ კ.-ს, აქ ძალიან თბილაო, ახლა, სამწუხაროდ, ყველაფერი გაცივებულიყო. ფარდულში შეშის დიდი მარაგი ინახებოდა, მაგრამ ფარდული ჩაკეტილი იყო, გასაღები კი თან წაეღო მასწავლებელს, რომელსაც ეთქვა, შეშის აღება შეგიძლიათ მხოლოდ მეცადინეობის დროს გასათბობადო. ყველაფერს მოევლებოდა, საწოლები მაინც რომ ყოფილიყო, სადაც თავს მიდებდა კაცი, მაგრამ არაფერი იყო, გარდა ერთადერთი თივის ნაალისა, რომელზეც ფრიდას გადაეფარებინა შალის თავსაფარი, მართალია, ძალიან სუფთა, და ორი უხეში მოუხერხებელი საბანი, რომლებიც თითქმის არ ათბობდნენ. თანაშემწენი ამ საცოდავ ნაალსაც კი შურის თვალით უყურებდნენ, თუმცა, რა თქმა უნდა, არავითარი იმედი არ ჰქონდათ, რომ მასზე წამოგორდებოდნენ. ფრიდა შეშინებული თვალებით უყურებდა კ.-ს: მან ხომ დაამტკიცა, რომ შეუძლია სიმყუდროვე და სილამაზე შემატოს ისეთ უბადრუკ ოთახსაც კი, როგორიც ჰქონდათ ფუნდუკში, მაგრამ აქ უფულოდ ვერაფერს გააწყობდა. „ჩვენს ოთახს ერთი რამ ამშვენებს – ტანვარჯიშის იარაღები“, თქვა აცრემლებულმა ქალმა ნაძალადევი ღიმილით, მაგრამ კ.-ს შეპირდა, რომ ხვალვე იპოვის გამოსავალს და აღმოფხვრის მთავარ ნაკლოვანებებს – უხეირო საწოლსა და

სათბობის ნაკლებობას, ამიტომ სთხოვს კ.-ს, მოითმინოს. არც ერთი სიტყვით, არც ერთი ქარაგმული, გადაკვრით ნათქვამით თუ ჟესტით არ უჩვენებია, რომ გულის სიღრმეში ოდნავ მაინც ამტყუნებს კ.-ს, მიუხედავად იმისა, რომ კაცმა, საკუთარი აღიარებით, იგი ჯერ საბატონე სასტუმროდან წამოიყვანა, მერე კი ფუნდუკიდანაც, ამიტომ კ. ცდილობდა, ყველაფერს შერიგებოდა, რაც, სხვათა შორის, მისთვის სულაც არ იყო ძნელი იმიტომ, რომ გულში იგი ბარნაბას მიჰყვებოდა კვალდაკვალ და სიტყვა-სიტყვით იმეორებდა თავის დანაბარებს, მაგრამ ისე კი არა, როგორც ამ სიტყვებს ბარნაბას უჩიჩინებდა, არამედ ისე, როგორც, მისი აზრით, აღიქვამს მათ კლამი. ამასთან, გულწრფელად გაიხარა, როცა ფრიდამ ყავა მოუდუღა სპირტქურაზე, ჯერაც თბილ, ბოლომდე გაუცივებელ ღუმელს მიეყრდნო და ყურადღებით ადევნებდა თვალს, რა მარჯვე, სწრაფი მოძრაობით გადააფარა ქალმა სამასწავლებლო კათედრას აუცილებელი თეთრი სუფრა, როგორ დაუდგა ყვავილებიანი ფინჯანი და გვერდით – პური, ღორის ქონი და ქილა სარდინაც კი, ყველაფერი მზად იყო – ჯერ ფრიდას თვითონაც არ ეჭამა - კ.-ს ელოდებოდა. მოიძებნა ორი სკამიც. კ. და ფრიდა სუფრას მიუსხდნენ, ხოლო თანაშემწეები – მათს ფერხთით მოეწყვნენ კათედრის ძირას, მაგრამ ერთ ადგილზე ვერ ისვენებდნენ და ერთმანეთს ჭამას არ აცლიდნენ, თუმცა, მათ ყველაფერი სავსებით საკმარისად უწილადეს და თავიანთი ულუფა ჯერ არ მოეთავებინათ, წამდაუწუმ წამოწევდნენ ხოლმე თავს და მშიერი თვალით უყურებდნენ სუფრას – კიდევ ბევრი საჭმელი დარჩა და თუ მისცემენ კიდევ რაიმეს? კ. მათ საერთოდ ვერ ამჩნევდა და მხოლოდ ფრიდას სიცილზე მიაბრუნა მათკენ თავი. მან ალერსიანად დაადო ქალს ხელზე ხელი და ხმადაბლა ჰკითხა რატომ პატიობს ყველაფერს და რატომ უთმენს უზრდელ გამოხდომებს? ასე ვერასოდეს მოიშორებს თავიდან. აი, მათ უსაქციელობას ჯეროვნად რომ მოეკიდოს ან შეაკავოს, ანდა – და ეს უფრო მოსალოდნელი და უკეთესი იქნებოდა – ისე შეაჯავრო თავიანთი სამუშაო, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაიქცნენ. ეტყობოდა, რომ, სკოლაში ცხოვრება მათ სასიამოვნოს არაფერს უქადის, თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელდება, მაგრამ მთელ ამ მანკიერებებს კიდევ აიტანდა კაცი, თანაშემწენი რომ არ ეჩხირებოდნენ თვალში, და ფრიდასთან ერთად მარტოდ-მარტონი რომ დარჩენილიყვნენ მყუდრო სახლში. ნუთუ, ვერ ამჩნევს, რომ ისინი დღითი დღე სულ უფრო მეტად გადიან თავს, გამოდის, თითქოს ფრიდას ყოფნა ამხნევებთო, ეტყობა, იმედი აქვთ, რომ ქალის თანდასწრებით კ. არ მოექცევა ისე მკაცრად, როგორც ისინი იმსახურებენ. ალბათ, მაინც არსებობს რაღაც სულ სხვა, მარტივი საშუალებები, რომ მოიშორო ისინი თავიდან იმავ წამს, როგორც საჭიროდ ჩათვლი, ნებისმიერ ვითარებაში. იქნებ, ფრიდამაც კი იცის, როგორ გააკეთოს ეს, – ის ხომ კარგად იცნობს აქაურ წესებს. და თვით თანაშემწეებისთვისაც უკეთესი იქნება, თუ მათ გაყრიან: ფრიდასთან და კ.-სთან ცხოვრება არასდროს ექნებათ მაინცდამაინც დალხენილი, ხოლო მცონარობას, რასაც დაჩვეული არიან, ყოველ შემთხვევაში, აქ არავინ დაანებებს, აქ უნდა იმუშაონ, იმიტომ, რომ ფრიდამ წინა დღეებში გადატანილი განსაცდელის შემდეგ უნდა მიხედოს თავს, ხოლო ის, კ., დაკავებული იქნება ამ ცუდი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნით. და მაინც, თუ თანაშემწენი წავლენ, მას გულზე ტვირთი მოეხსნება, შვებას იგრძნობს და შეძლებს ძალდაუტანებლად შეასრულოს ნებისმიერი სამუშაო სკოლაში, სხვა საქმეების თანაბრად.

ფრიდამ დიდი გულისყურით მოისმინა ყველაფერი, ნაზად მიეფერა ხელზე და თქვა, რომ ისიც ამავე აზრის არის, მაგრამ, ეტყობა, კ. მეტისმეტად სერიოზულად ეკიდება თანაშემწეთა გამოხდომებს: ჯერ კიდევ ყმაწვილები არიან, მხიარულნი და

უბრალონი, პირველად მოხვდნენ ჩამოსულ კაცთან სამსახურში, პირველად დააღწიეს თავი გოდლის მკაცრ დისციპლინას, ამიტომ არიან აგზნებულნი და ცოტა დაბნეულნი, და ამ მდგომარეობაში ბევრ სისულელეს სჩადიან, და თუმცა სავსებით გასაგებია, რომ ისინი გაღიზიანებას იწვევენ, მაგრამ უმჯობესია, უბრალოდ გაიცინო მათზე. მე თვითონ, თანაშემწეების შემყურე, ზოგჯერ სიცილს ვერ ვიკავებო, მაგრამ იგი სავსებით ეთანხმება კ.-ს, რომ ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა მათი თავიდან მოშორება და მარტოდ მარტო, უმოწმეოდ დარჩენა. ქალი ახლოს მიიწია კ.-სთან და სახე მის მხარში ჩარგო, ამასთან, რაღაც ისეთ გაუგებარს ეჩურჩულებოდა, რომ კ. იძულებული გახდა, მისკენ დაეხარა თავი და მხოლოდ მაშინ გაიგონა: სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ ვერავითარ საშუალებას, რომელიც თავიდან მოგვაშორებინებს თანაშემწეებს და ვშიშობ, რომ შენი ყველა წინადადება უსარგებლო იქნება. რამდენადაც ვიცი, შენ თვითონ ითხოვე თანაშემწენი, გამოგიგზავნეს და ახლა უნდა ითმინოო. უმჯობესია, ისინი მიიღო არა სერიოზულად, არამედ ისე, როგორებიც არიან, – თავქარიან ყმაწვილებად, ასე უფრო იოლად აიტანო.

კ. უკმაყოფილო იყო ასეთი პასუხისა: ხუმრობანარევი სერიოზულობით თქვა, რომ ფრიდამ, როგორც ჩანს, მათთან შეკრა პირი ან, ყოველ შეთხვევაში, მათზე ამოსდის მზე და მთვარე. რა თქმა უნდა, ასეთი წარმოსადეგნი არიან, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, რომელიც გინდა თავიდან მოიცილო და ვერ შეძლო, ამას კი დაუმტკიცებს სწორედ თანაშემწეების მაგალითით.

ფრიდამ თქვა, რომ ძალზე მადლიერი იქნება მისი, თუ ამას მოახერხებს. სხვათა შორის, ახლა იგი აღარ გაიცინებს მათ გამოხდომებზე და სიტყვასაც არ ეტყვის ზედმეტს. სასაცილოც არაფერია და მართლაც მომაბეზრებელია, მეტი თუ არა, როდესაც სულ მუდამ გითვალთვალებს ორი მამაკაცი. ახლა იგი ყველაფერს მიხვდა და მათ კ.-ს თვალით უყურებს. ქალი მართლაც შეკრთა, როდესაც ერთ-ერთმა თანაშემწემ თავი ამოჰყო მაგიდიდან, ნაწილობრივ – იმის შესამოწმებლად, თუ დარჩა რაიმე საჭმელი, და ნაწილობრივ იმის გასაგებად, თუ რაზე ჩურჩულებენ ერთთავად ისინი.

კ.-მ ისარგებლა ამით, რათა თანაშემწეებისაგან საკუთარ თავზე გადმოეტანა ფრიდას ყურადღება. მიიკრა ქალი, და, ვახშამი ჩახუტებულებმა დაამთავრეს. ახლა დასაძინებლად უნდა დაწოლილიყვნენ, ყველა ძალიან დაღლილი იყო და ერთ თანაშემწეს უკვე ლუკმით ხელში ჩასძინებოდა, რითაც ძალზე აცინებდა მეორეს, ეს უკანასკნელი სულ ცდილობდა, დაენახვებინა თავისი ბატონებისათვის მძინარის ბრიყვული სიფათი, მაგრამ ვერ ახერხებდა: კ. და ფრიდა ზედაც არ უყურებდნენ. დაწოლას ვერ ბედავდნენ – ოთახში სიცივე სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. ბოლოს კ.-მ განაცხადა, ღუმელი უნდა დავანთოთ, თორემ დაძინება შეუძლებელიაო. იკითხა, ცული ხომ არ არისო, თანაშემწეებმა იცოდნენ, სად იდო, მაშინვე მოიტანეს ცული და შემდეგ ყველანი ერთად ფარდულისაკენ გაეშურნენ. ცოტა ხნის შემდეგ ფარღალალა კარი შეამტვრიეს, და თანაშემწეებმა ისე გაიხარეს, თითქოს ამაზე უკეთესი ცხოვრებაში არასოდეს ენახათ არაფერი, მუჯლუგუნის კვრითა და დაჭერობანას თამაშით მიარბენინებდნენ შეშას ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ შეშის მთელი გროვა წამოიმართა, ღუმელი ააგიზგიზეს, ირგვლივ მიუსხდნენ, შემდეგ თანაშემწეებს საბანი მისცეს. ერთი საბანი სავსებით საკმარისი იყო, რომ ერთი კაცი გახვეულიყო, რადგან მორიგებისამებრ, ერთს უნდა ემორიგევა ღუმელთან, ცეცხლი რომ არ ჩამქრალიყო, და შეშა შეეკეთებინა. სულ მალე ღუმელთან ისე დაცხა, რომ საბნის

დახურვა არც იყო საჭირო, ლამფა ჩააქრეს, და სითბოთი და სიჩუმით ნასიამოვნებ ფრიდას და კ.-ს ჩაეძინათ.

მაგრამ როცა კ.-ს ღამით რაღაც ხმაურისაგან გამოეღვიძა, და ნამძინარევმა გაუბედავად გადაიწია ფრიდასაკენ, იგრძნო, რომ ქალის მაგივრად გვერდით ერთ-ერთი თანაშემწე ეწვა. ალბათ, აღელვებისაგან, რომელიც კაცს მაშინ ეუფლება ხოლმე, როდესაც უეცრად გააღვიძებენ, კ.-ს ისეთი თავზარი დაეცა, როგორიც არასოდეს განუცდია სოფელში ჩამოსვლის დღიდან. ყვირილით წამოიწია და დაუფიქრებლად ისე უთავაზა მუშტი თანაშემწეს, რომ აატირა, მაგრამ ყველაფერი მალევე გაირკვა. თურმე ფრიდა გაუღვიძებია შეგრძნებას – ან იქნებ მოეჩვენა, რომ რაღაც ცხოველი, ალბათ, კატა გულზე დაახტა. ქალი ლოგინიდან ადგა და იმ ცროველის მოსაძებნად სანთლით ხელში დაიარა მთელი ოთახი. ამით ისარგებლა ერთ-ერთმა თანაშემწემ, რათა ცოტა ხანს მაინც დაწოლილიყო მოსახერხებელ ნაალზე, რასაც ახლა მწარედ ნანობდა. ფრიდამ ვერავითარი ცხოველი ვერ იპოვა, შესაძლოა, მომეჩვენაო, იფიქრა, და კ.-სთან დაბრუნდა. გზად, თითქოს წუხანდელი საუბარი დაავიწყდაო, ალერსიანად გადაუსვა თავზე ხელი აზლუქუნებულ თანაშემწეს, რომელიც საცოდავად მოკუნტულიყო. კ.-ს ამაზე არაფერი უთქვამს, მან მხოლოდ უბრძანა თანაშემწეებს, მეტი აღარ შეეკეთებინათ ღუმელში – თითქმის მთელი შეშა დაეწვათ და ოთახში მეტისმეტად ცხელოდა.

დილას ყველას მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა, როცა პირველმა მოსწავლეებმა მოირბინეს და ცნობისმოყვარეობით დაადგნენ თავზე. ეს ძალზე უსიამოვნო იყო, რადგან დილისთვის ოთახში ისე დაცხა, რომ ყველას ყველაფერი გაეხადა საცვლების გარდა, და სწორედ იმ წუთს, როდესაც ჩაცმა დაიწყეს, კარებში გამოჩნდა გიზა, აღმზრდელი ქალი, ქერათმიანი, მაღალი და ლამაზი, მაგრამ ცოტათი – გაპრანჭული ქალი. ეტყობა, მან უკვე იცოდა სკოლის ახალი მსახურის ამბავი და, შესაძლოა, მასწავლებლისგანაც მიიღო მითითებანი, როგორ მოქცეულიყო მათთან, იმიტომ, რომ ზღურბლიდანვე მკაცრად თქვა: „ამას ვერ მოვითმენ, ერთი დამიხედეთ ამათ, რას სჩადიან?! თქვენ ნება დაგრთეს, კლასში ათიოთ ღამე, მაგრამ მე ვინ მაიძულებს, გაკვეთილები თქვენს საძინებელ ოთახში ჩავატარო. ფუ, რა უმსგავსობაა – სკოლის ფარეშის ჯალაბობა შუადღემდე ლოგინში ყრიაო.“ რა თქმა უნდა, შეეძლოთ, შეპასუხებოდნენ, განსაკუთრებით ჯალაბობისა და ლოგინის გამო, იფიქრა კ.-მ, და ვინაიდან თანაშემწეებისაგან არავითარი ხეირი არ იყო – ისინი იატაკზე დარჩნენ და ცნობისმოყვარეობით მიშტერებოდნენ აღმზრდელ ქალსა და ბავშვებს, – კ.-მ ფრიდასთან ერთად სასწრაფოდ მისწია ორძელი ტაიჭთან, მათ საბნები გადააფარა და შეღობა კუთხე, სადაც შეიძლებოდა, დამალვოდნენ მოსწავლეთა მზერას და, ყოველ შემთხვევაში, ჩაეცვათ მაინც. მაგრამ ახლა წუთითაც არ ჰქონდათ მოსვენება; თავდაპირველად, მასწავლებელი ქალი ბუზღუნებდა, რატომ არ არის პირსაბანში ახალი წყალიო. კ.-მ ახლა-ღა დააპირა, მოეტანა წყალი თავისთვის და ფრიდასთვის, მაგრამ გადაწყვიტა, ცოტა ხანს დაეცადა, რათა ძალიან არ გაეღიზიანებინა მასწავლებელი. თუმცა, ამანაც არ უშველა: მოულოდნელად გაისმა საშინელი გრუხუნი. საუბედუროდ, მათ დავიწყებოდათ, აელაგებინათ კათედრიდან ვახშმის ნარჩენები. აღმზრდელმა ქალმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოიქნია სახაზავი და ყველაფერი იატაკზე გადაცვივდა. მას სულაც არ ანაღვლებდა, რომ სარდინის ზეთი და ნარჩენი ყავა იატაკზე დაიღვარა და გუბეები დააყენა. ხოლო ყავადანი დაიმსხვრა, – ამისთვის ხომ მსახური ჰყავდათ, და დალაგება მას ეხებოდა, კ. და

ფრიდა, ჯერ ისევ სახელდახელოდ ჩაცმულები, ტაიჭს მიჰყრდნობოდნენ და უყურებდნენ, როგორ იღუპებოდა მათი ქონება. თანაშემწენი, რომლებიც აშკარად არც აპირებდნენ ჩაცმას, საბნის ქვეშიდან იჭყიტებოდნენ, რითაც დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდნენ ბავშვებს. ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ფრიდა ყავადანის გამო სწუხდა და მხოლოდ როდესაც კ.-მ ანუგეშა და უთხრა, ახლავე წავალ მამასახლისთან და ახალ ყავადანს მოვთხოვო, რასაკვირველია, უარს არ მეტყვისო, ქალმა ძალა მოიკრიბა, დამშვიდდა, და პერანგისა და ბოლოკაბის საცვლის ამარა გამოვარდა ტიხარიდან, რათა საბანი მაინც აეღო იატაკიდან, რომ არ დასვრილიყო. ეს მოახერხა, თუმცა, აღმზრდელი ქალი ფრიდას შესაშინებლად გაუთავებლად და გულისგამაწვრილებლად უტყაპუნებდა სახაზავს კათედრას და კლასში ყურთასმენის წამღები ხმაური იყო. ფრიდამ და კ.-მ ტანთ ჩაიცვეს და თანაშემწეებს შეუძახეს – ისინი აურზაურისაგან მთლად გამოშტერებულიყვნენ, მაგრამ მხოლოდ შეძახილები, მუქარა და მუჯლუგუნები არ გამოდგა საკმარისი. იძულებული გახდნენ, თვითონაც დახმარებოდნენ ჩაცმაში; როდესაც ყველანი მზად იყვნენ, კ.-მ გაანაწილა მოვალეობანი. უპირველეს ყოვლისა, თანაშემწეებს დაავალა, მოეტანათ შეშა და დაენთოთ ღუმელი, ოღონდ, ჯერ მეზობელ კლასში. იქიდან მომდინარეობდა მთავარი საფრთხე, იმიტომ, რომ იქ, ალბათ უკვე მოსულიყო თვით მასწავლებელი. ფრიდას იატაკი უნდა მოერეცხა, ხოლო კ.-ს – წყალი მოეტანა, დაეგავა და დაესუფთავებინა სკოლა. საუზმეზე ჯერ ფიქრიც არ შეიძლებოდა. აღმზრდელი ქალის გუნება-უგუნებობა რომ შეემოწმებინა, კ.-მ გადაწყვიტა, პირველი გასულიყო, დანარჩენები კი მას უნდა მიჰყოლოდნენ, როგორც კი მოუხმობდა. გადაწყვიტა, ასე მოქცეულიყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არ სურდა, გაეუარესებინა მდგომარეობა თანაშემწეთა სიბრიყვის გამო, და, მეორე, უნდოდა, რაც შეიძლება მეტად მოფრთხილებოდა ფრიდას. იგი ფრიად თავმოყვარე ქალი იყო, კ. – არა, ქალს პატარა რაღაც სწყინდა, კაცს – არა. ქალი მხოლოდ იმ წვრილმან საძაგლობებზე ფიქრობდა, რომლებიც ახლა ხდებოდა, კაცის აზრები კი ბარნაბასა და მომავლის გარშემო ტრიალებდა. ფრიდამ ზუსტად შეასრულა კ.-ს ყველა მითითება, თან, თვალს არ აშორებდა მას, მაგრამ როგორც კი კ. ტიხარიდან გამოვიდა, აღმზრდელმა ქალმა ბავშვების ჟრიამულში, რომლებიც, არ წყვეტდნენ სიცილ-კისკისს, დაუძახა: „რა ჰქენით, ყველამ გამოიძინეთ?“ – და როცა კ.-მ არაფერი არ უპასუხა – არსებითად, კითხვა არ ყოფილა, – და პირსაბანისაკენ წავიდა, აღმზრდელმა ქალმა ჰკითხა: „ჩემს ფისოს რა უყავითო?“ ვეებერთელა ბებერი მსუქანი კატა ზანტად გაწოლილიყო მაგიდაზე, და მასწავლებელი ქალი ნატკენ თათს უსინჯავდა. მაშასადამე, ფრიდა სწორი ყოფილა, და თუმცა, კატა მას არ დახტომია, სად ჰქონდა ხტუნაობის თავი! – მაგრამ, ეტყობა, ღამით ჩვეულებრივ ცარიელ სახლში ხალხი რომ დაინახა, – დაფეთებულმა თათი დაიზიანა. კ. შეეცადა, მშვიდად აეხსნა ეს ყველაფერი აღმზრდელისთვის. მაგრამ ქალს მხოლოდ შედეგი აინტერესებდა. და თქვა: „რასაკვირველია, კატა თქვენ დამიმახინჯეთ, აი, რით დაიწყეთ სკოლაში მოღვაწეობა. შეხედეთ!“ კ. კათედრაზე მიიხმო, თათი დაანახა, და დაბნეული კ. აზრზეც ვერ მოსულიყო, რომ მასწავლებელმა კატის თათი დაუსვა ხელზე, და თუმცა კატას ბლაგვი ბრჭყალები ჰქონდა, აღმზრდელმა ამჯერად არ დაინდო კატა და ისე ღონივრად დააჭირა თათზე, რომ კ.-ს სისხლიანი ნაკაწრი დააჩნია ხელზე. „ახლა წადით და იმუშავეთ!“ უყვირა გაკაპასებულმა, და კვლავ კატისაკენ დაიხარა. ფრიდამ, რომელიც თანაშემწეებთან ერთად ტიხარიდან იყურებოდა, სისხლის დანახვაზე შეჰკივლა. კ.-მ თავისი ხელი ბავშვებს დაანახა და თქვა: „ნახეთ, რა მიყო ბოროტმა ვერაგმა კატამო!“ თქვა მან, – რა თქმა უნდა, არა ბავშვებისათვის, ისინი ისედაც

ყვიროდნენ, იცინოდნენ და, სულ ერთია, არავის არ უსმენდნენ, არავითარ სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდნენ და ის მათზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა, მაგრამ ვინაიდან მასწავლებელმა ქალმა შეურაცხყოფის პასუხად მხოლოდ ალმაცერად შეხედა კ.-ს, და შემდეგ კვლავ კატას მიუბრუნდა, ეტყობოდა, რომ უკვე დაეოკებინა თავისი მრისხანება სისხლიანი სასჯელით, კ.-მ ფრიდას და თანაშემწეებს დაუძახა, და მუშაობა დაიწყო.

კ.-ს უკვე გაეტანა ნარეცხი წყლის სათლი, სუფთა წყალი მოეტანა და იატაკს გვიდა. აქ მოულოდნელად მერხიდან წამოდგა და მასთან მივიდა ათი-თორმეტი წლის ბიჭუნა, შეეხო სახელოზე და რაღაც უთხრა, რაც კ.-მ საშინელი ხმაურის გამო ვერ გაიგონა. მოულოდნელად ხმაური შეწყდა, და კ. მიბრუნდა. ის, რისაც მთელი დილა ეშინოდა, ბოლოს და ბოლოს მოხდა. სკოლის კართან იდგა მასწავლებელი, და ამ ჩია ტანის კაცს ორი ხელი ეტაცა ქეჩოში ორი თანაშემწისათვის, როგორც ჩანს, ისინი შეშის ფარდულთან დაეჭირა, იმიტომ, რომ ძალუმი ხმით მარცვალ-მარცვალ წარმოთქვა: „ვინ გაბედა ფარდულის შემტვრევა? ახლავე აქ მომგვარეთ ის ნაძირალა, რომ ჭიასავით გავსრისოო!“ აქ ფრიდა მუხლებიდან წამოდგა – იგი გულმოდგინედ რეცხდა იატაკს აღმზრდელი ქალის ფერხთით, – კ.-ს გახედა, თითქოს მხარდაჭერას ეძებსო, და ხმასა და თავდაჭერაში გამოკვესილი ჩვეული სიმტკიცით თქვა: „ეს მე გავაკეთე, ბატონო მასწავლებელო. სხვა გზა არ მქონდა. რახან დილიდან უნდა გაგვეთბო კლასები, იძულებული გავხდით, ფარდული გაგვეღო; წუხელ თქვენი შეწუხება ვერ გავბედე, გასაღები რომ გამომერთმია, ჩემი საქმრო ამ დროს სასტუმროში იყო, შეეძლო იქაც გაეთია ღამე, აი, მე კი თვითონ უნდა მიმეღო გადაწყვეტილება. თუ წინდაუხედავად მოვიქეცი, მხოლოდ – გამოუცდელობის გამო. ამიტომ გთხოვთ, მაპატიოთ. ჩემმა საქმრომ უკვე დამტუქსა დილით, როცა ნახა, რა ვქენი. მან ამიკრძალა დილიდან ღუმელის დანთება, რადგან იფიქრა: რახან თქვენ დაკეტეთ ფარდული, მაშასადამე, გინდოდათ, გეჩვენებინათ, რომ გათბობა არ არის საჭირო, სანამ თქვენ არ მობრძანდებით, გამოდის, მისი ბრალია, რომ შენობა გამთბარია, ხოლო ის, რომ ფარდული შევამტვრიეთ, ჩემი ბრალია“. „ვინ გატეხა კარი?“ ჰკითხა მასწავლებელმა თანაშემწეებს, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ, თავი დაეღწიათ მისი მარწუხებიდან. „ამ ბატონმა“, თქვა ორივემ და თითი გაიშვირა კ.-საკენ, რომ არავითარი ეჭვი არ ყოფილიყო. ფრიდას გაეცინა, ეს სიცილი მეტს ამბობდა, ვიდრე მთელი მისი ახსნა-განმარტება, და იქვე შეუდგა იატაკის ტილოს წურვას – სათლის თავზე, თითქოს, უკვე გადაწყვიტა ყველა გაუგებრობა და თანაშემწეებმა მხოლოდ ხუმრობით დაუმატესო რაღაც. ისევ ჩაიმუხლა, რომ გაეგრძელებინა იატაკის რეცხვა, და თქვა: „ჩვენი თანაშემწეები უბრალოდ ბალღები არიან. ესენი, თავიანთი ასაკის მიუხედავად, მერხებს უნდა უსხდნენ. მე ხომ საღამოს ნაჯახით გავაღე კარი, ეს უბრალო საქმეა, თანაშემწეები არც კი დამჭირვებიან, ისინი მხოლოდ ხელს შემიშლიდნენ. ხოლო შემდეგ, ღამით, როდესაც ჩემი საქმრო დაბრუნდა, გავიდა იმის სანახავად, რაც მე ჩავიდინე, და კარის შესაკეთებლად, თანაშემწენი უკან გაჰყვნენ, ეტყობა, მარტოდ დარჩენის შიშით, და რომ დაინახეს, როგორ უტრიალებდა ჩემი საქმრო გაღებულ კარს, ახლა მას აბრალებენ ყველაფერს, ისინი ხომ მთლად ბავშვები არიან...“

თუმცა, ფრიდას ახსნა-განმარტების დროს თანაშემწენი თავს იქნევდნენ, თითს კ.-სკენ იშვერდნენ, და ყოველნაირად ცდილობდნენ, უხმო მიმიკით გადაეთქმევინებინათ ფრიდასთვის თავისი აზრი. მაგრამ, რახან ამას ვერ ახერხებდნენ, ბოლოს და ბოლოს,

დანებდნენ, ფრიდას სიტყვები ბრძანებად აღიქვეს და მასწავლებლის არც ერთ კითხვაზე უკვე პასუხს არ სცემდნენ. ,,გასაგებია", თქვა მასწავლებელმა, ,,მაშასადამე, თქვენ მატყუებდით? თუ ფარეშს ქარაფშუტობით სდებდით ბრალს?" თანაშემწეებს ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ მათი შეშინებული მზერისა და იმის შემხედვარე, როგორ აკანკალდნენ ისინი, მასწავლებელმა გადაწყვიტა, რომ ისინი მართლაც დამნაშავენი არიან. ,,ახლავე გაგწკეპლავთ ორივეს!" თქვა მან და ერთ-ერთი ბიჭი გაგზავნა მეზობელ ოთახში წკეპლის მოსატანად. ხოლო როდესაც მასწავლებელმა წკეპლა ჰაერში ასწია, ფრიდამ მოულოდნელად დაიძახა: ,,მაგრამ ისინი ხომ მართალს გეუბნებოდნენ!" და სასოწარკვეთილებით მოისროლა ტილო სათლში ისე, რომ ჭუჭყიანი წყალი გადმოისხა; შემდეგ ორძელის მიღმა გაიქცა და კუთხეში შეიყუჟა. ,,ურცხვი ცრუპენტელები!" თქვა აღმზრდელმა ქალმა. მას უკვე დაემთავრებინა კატისთვის თათის გადახვევა და ცხოველი კალთაში ჩაეწვინა. ვეებერთელა კატა ძლივს ეტეოდა ქალის მუხლებში.

,,მაშასადამე, რჩება უფალი ფარეში", თქვა მასწავლებელმა, ხელი გაუშვა თანაშემწეებს და კ.-ს მიმართა. კ. ცოცხის ტარს ჩამოყრდნობოდა და მდუმარედ ისმენდა. ,,სწორედ ის ფარეში, რომელიც სიმხდალის გამო მშვიდად ისმენს, რომ მისი ჩადენილი სისაძაგლისათვის უსამართლოდ სდებენ ბრალს სხვებს." ,,არა", თქვა კ.-მ, რომელმაც შეამჩნია, რომ ფრიდას ჩარევის წყალობით მასწავლებლის დაუოკებელი მრისხანება ცოტა ჩამცხრალიყო, ,,ჩემს თანაშემწეებს არ აწყენდათ მცირეოდენი გაწკეპლვა, მე სულაც არ შემეცოდებოდნენ ისინი. ბარე ათჯერ ვაპატიე, როდესაც ისინი ამის ღირსნი არ იყვნენ, სამართლიანობის გამო. ხოლო ამჯერად, თუმცა, უსამართლოდ, მიიღონ კუთვნილი, ახი იქნება და გარდა ამისა, ბატონო მასწავლებელო, მოხარული ვიქნებოდი, თავიდან რომ ამეცილებინა უშუალო შეტაკება თქვენსა და ჩემს შორის, მე მგონი, ეს თქვენც გაძლევთ ხელს, ხოლო ვინაიდან ახლა ფრიდამ თანაშემწეების გულისათვის მე გამწირა", აქ კ. წამით დადუმდა და ყველამ გაიგონა, როგორ ქვითინებდა საბნებს ამოფარებული ფრიდა, ,,მაშინ, რა თქმა უნდა, ყველა უნდა გამოიყვანოთ სააშკარაოზე." ,,გაუგონარია!" თქვა აღმზრდელმა ქალმა. ,,სავსებით გეთანხმებით, ფროილაინ გიზა", თქვა მასწავლებელმა. ,,თქვენ, ფარეშო, რაღა თქმა უნდა, გითხოვთ სამუშაოდან სამსახურებრივ მოვალეობათა აღმაშფოთებელი დარღვევისათვის, თქვენ სასჯელი კიდევ წინ გიძევთ, ახლა კი გაეცალეთ აქაურობას თქვენი ბარგი-ბარხანიანა. ჩვენთვის დიდი შვება იქნება, თქვენგან რომ გავთავისუფლდეთ და, ბოლოს და ბოლოს, შევუდგეთ მეცადინეობას. აქედან მოშორდით, და – სასწრაფოდ." ,,ფეხს არსადაც არ მოვიცვლი!" თქვა კ.-მ. ,,თქვენ ჩემი უფროსი ხართ, მაგრამ ეს ადგილი თქვენ კი არ მომეცით, არამედ ბატონმა მამასახლისმა, და განთავისუფლებას მხოლოდ მისგან მივიღებ, მაგრამ ეს ადგილი ჩემთვის იმიტომ კი არ მოუციათ, რომ მე და ჩემი ხალხი აქ გავიყინოთ, არამედ იმისათვის, რომ მე, როგორც თავად ბრძანეთ, სასოწარკვეთილმა, არ ჩავიდინო ისეთი რამ, რაც სანანებლად გაუხდება სოფელს, და ჩემი დათხოვნა ასე, უეცრად და ტყუილუბრალოდ, სულაც არ შედის მის განზრახვებში. ამიტომ, არავის არ დავუჯერებ, სანამ მისგან საწინააღმდეგოს არ გავიგონებ. თუმცა, ალბათ, თქვენ ხეირს ნახავთ იმაში, რომ მე ურჩობას გაგიწევთ და არ შევასრულებ თქვენს ხუშტურა განკარგულებებს." ,,მაშასადამე, ურჩობას გამიწევთ?" ჰკითხა მასწავლებელმა, და კ.-მ მხოლოდ დაუქნია თავი. ,,კარგად დაფიქროდით", განაგრძო მასწავლებელმა, ,,თქვენ ხომ ყოველთვის როდი ახერხებთ მარჯვე გადაწყვეტილებათა მიღებას. გაიხსენეთ თუნდაც ის, თუ როგორ თქვით

გუშინ საღამოს უარი დაკითხვაზე.“ „რატომ ახსენეთ სწორედ ახლა ეს ამბავი?“ იკითხა კ.-მ. „იმიტომ, რომ მე ასე მსურს!“ თქვა მასწავლებელმა. „ახლა კი უკანასკნელად ვიმეორებ: გაეთრიეთ აქედან!“ მაგრამ, ვინაიდან ამ სიტყვებმაც არ გაჭრა, მასწავლებელი კათედრასთან მივიდა და ხმადაბლა ჰკითხა რჩევა აღმზრდელ ქალს, რაზეც მან რაღაც თქვა პოლიციის შესახებ, მაგრამ მასწავლებელს ეს რჩევა-დარიგება ჭკუაში არ დაუჯდა. ბოლოს და ბოლოს, ისინი შეთანხმდნენ, მასწავლებელმა გაიყვანა ბავშვები ოთახიდან მეორე კლასში ერთობლივ მეცადინეობაზე თავის მოსწავლეებთან. ბავშვებს გაეხარდათ, დასვენება რომ გამოსდიოდათ. სიცილით და ჟრიამულით დაცალეს ოთახი, ხოლო მასწავლებელი და აღმზრდელი მათ კვალდაკვალ გავიდნენ. ქალს მიჰქონდა საკლასო ჟურნალი, რომელზეც მთელი ტანით გაწოლილიყო უზარმაზარი აპათიური კატა. მასწავლებელი სიამოვნებით დატოვებდა მას აქ, მაგრამ როდესაც ეს გადაკვრით უთხრა აღმზრდელ ქალს, მან ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. საბაბად კი კ.-ს სისასტიკე მოიმიზეზა, და ისე გამოუვიდა, რომ კ.-ს გამო მასწავლებელს ზედაც კატა უნდა ეთმინა. ეტყობა, ამის გავლენით მასწავლებელმა დამშვიდობებისას თქვა: „ქალბატონი იძულებულია, ეს კლასი დატოვოს მოსწავლეებთან ერთად, ვინაიდან თქვენ უტიფრად არ დაემორჩილეთ ჩემს ბრძანებას სამუშაოდან დათხოვნის შესახებ, და რადგან არავის შეუძლია, მოითხოვოს, რომ ყმაწვილი ქალი მეცადინეობას ატარებდეს თქვენს ჭუჭყიან ოჯახურ გარემოში, თქვენ მარტოდმარტო რჩებით აქ, და შეგიძლიათ, ისე მოიქცეთ, როგორც გნებავთ. არც ერთი წესიერი კაცი არ შეგიშლით ხელს, მაგრამ გპირდებით, რომ ეს პარპაში დიდხანს არ გაგრძელდება“, თქვა და კარი გაიჯახუნა.

12. თანაშემწენი

როგორც კი ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, კ.-მ თანაშემწეებს უთხრა: „აქედან გაეცალეთო!“ ამ მოულოდნელი ბრძანებით განცვიფრებულმა თანაშემწეებმა შეასრულეს განკარგულება, მაგრამ როგორც კი კ.-მ მათი გასვლისთანავე კარი ჩაკეტა, ისევ მოინდომეს შებრუნება, ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს და კარზე ბრახუნს მოჰყვნენ. ისევ უკან დაბრუნება მოინდომეს. „თქვენ სამუშაოდან დათხოვნილი ხართ!“ დაუძახა კ.-მ. „მეტს აღარ აგიყვანთ ჩემს სამსახურში.“ მაგრამ თანაშემწენი არ ცხრებოდნენ და კარს ხელებს და ფეხებს უბრაგუნებდნენ. „შემოგვიშვი, ბატონო!“ ყვიროდნენ ისინი, თითქოს კ. აღთქმული ნაპირი ყოფილიყო, ხოლო ისინი - წყალწაღებულნი, და ზვირთებში იხრჩობოდნენ, მაგრამ კ. დაუნდობელი იყო, იგი მოუთმენლად ელოდა, როდის აიძულებს აუტანელი ბრახაბრუხი მასწავლებელს ჩაერიოს. ცოტა ხანში ასეც მოხდა. „შემოუშვით თქვენი წყეული თანაშემწენი!“ დაუყვირა მასწავლებელმა. „მე ისინი სამსახურიდან დავითხოვე!“ დაუძახა პასუხად კ.-მ. მას სურდა, ყველაფერთან ერთად მასწავლებლისთვის ეჩვენებინა თანამდევი ეფექტი, როგორ უნდოდა მოქცევა, როდესაც კაცს შესწევს ქადილის ძალი – არა მარტო გამოაცხადოს სამუშაოდან დათხოვნა, არამედ ბოლომდეც გაიტანოს თავისი. მასწავლებელი შეეცადა, დაყვავებით დაეშოშმინებინა თანაშემწენი – ცოტა ხანს მოითმინეთ, ბოლოს და ბოლოს, კ. ვალდებული იქნება, შემოგიშვათო. ამის შემდეგ წავიდა, და იქნებ ყველაფერი მშვიდობით დამთავრებულიყო, კ.-ს ისევ რომ არ დაეწყო მათთვის ყვირილი, რომ საბოლოოდ არიან დათხოვნილი და წუთითაც ნუ ექნებათ

ნურავითარი იმედი, რომ მის სამსახურში დაბრუნდებიან. აქ ყმაწვილებმა ისევ ატეხეს ვაი-უშველებელი და ისევ მოვიდა მასწავლებელი, მაგრამ ამჯერად დაყვავება კი არ დაუწყო, უბრალოდ, გააძევა ისინი სახლიდან, როგორც ჩანს, თავისი საშინელი ხელჯოხის მეშვეობით.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი ტანვარჯიშის კლასის ფანჯრის ქვეშ გამოჩნდნენ, მინაზე აკაკუნებდნენ და მოთქვამდნენ, ყვიროდნენ, თუმცა, გოდების სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ იქაც არ დარჩენილან დიდხანს – ღრმა თოვლში ისე ვერ დახტოდნენ, მთელი თავისი მღელვარება გამოეხატათ, ამიტომ სკოლის ეზოს მესრისაკენ გაიქცნენ, ქვის საძირკველზე დადგნენ, საიდანაც შეეძლოთ, თუნდაც შორიდან, დაენახათ მთელი ოთახი. ისინი მესრის გაყოლებით მოჰყვნენ სირბილს, შემდეგ გაჩერდნენ და ვედრებით გაიშვირეს ხელი კ.-საკენ. დიდხანს იდგნენ ასე და ვერ ამჩნევდნენ, რომ მათ ხვეწნა-მუდარას აზრი არა აქვს. თითქოს დაბრმავდნენო, და, ალბათ, ვერც კი დაინახეს, როგორ ჩამოუშვა კ.-მ ფარდა, რომ მათთვის არ ეცქირა.

ჩაბნელებულ ოთახში კ. ორძელთან მივიდა და ფრიდას შეხედა. ფრიდა წამოდგა, თმა გაისწორა, თვალები შეიმშრალა და უხმოდ დაიწყო ყავის მოდუღება, თუმცა ქალმა ყველაფერი გაიგონა, კ.-მ საჭიროდ ჩათვალა, მისთვის ეცნობებინა, რომ დაითხოვა თანაშემწეები, ქალმა მხოლოდ დაუქნია თავი. კ. მერხს მიუჯდა და თვალს ადევნებდა ქალის დაღლილ მოძრაობას. ამ გაძვალტყავებულ სხეულს, მხოლოდ სილაღე და ძალდაუტანებელი სიმსუბუქე შვენოდა, ახლა კი მთელი მისი სიტურფე გამქრალიყო. ის რამდენიმე დღე, რომლებიც კ.-სთან ერთად გაატარა, ამისთვის საკმარისი აღმოჩნდა. სასტუმროს ბუფეტში მუშაობა, რა თქმა უნდა, არ იყო იოლი, მაგრამ ის ყოფა უფრო უხდებოდა, ან, იქნებ, კლამთან განშორება იყო ქალის თვალსა და ხელს შუა ჩამოდნობის ჭეშმარიტი მიზეზი? კლამის სიახლოვე მას საოცარ ხიბლს ჰმატებდა და კ.-ც ამ ცდუნებას აჰყვა, როცა დაიახლოვა ქალი, ახლა კი იგი თვალწინ უჭკნებოდა.

„ფრიდა!“ დაუძახა კ.-მ. ქალმა მაშინვე გადმოდგა ყავის სახარში და გვერდით ჩამოუჯდა მერხზე. „ხომ არ გამიბრაზდი?“ ჰკითხა კაცს. „არა“, თქვა კ.-მ. „ალბათ, შენ სხვაგვარად არ შეგიძლია. შენ კმაყოფილი იყავი სასტუმროში ცხოვრებისა. იქ უნდა დამეტოვებინე.“ „მართალი ხარ“, ნაღვლიანად თქვა ფრიდამ, და, ამისთანავე სევდიანად გაუშტერდა თვალი „იქ უნდა დაგეტოვებინე. მე შენთან ცხოვრების ღირსი არა ვარ. ჩემგან თავისუფალი რომ ყოფილიყავი, შენ, ალბათ, არ გაგიჭირდებოდა ყოველივე იმის მიღწევა, რაც გინდა. ჩემს გამო დაემორჩილე ამ ტირანს – მასწავლებელს, დათანხმდი ასეთ უბადრუკ თანამდებობას და ყოველნაირად ცდილობ, კლამთან შეხვედრას მიაღწიო. ყველაფერი ჩემი ბრალია. მე კი რით გადაგიხადე?“ „არა“, თქვა კ.-მ და, თითქოს ანუგეშებსო, წელზე მოხვია ხელი. „ყოველივე ეს წვრილმანია, მათ ვერც კი ვამჩნევ, და კლამის ნახვა მხოლოდ შენს გამო როდი მინდა. შენ კი, შენ რამდენი რამ გააკეთე ჩემთვის. სანამ გაგიცნობდი, აქ ხელის ცეცებით დავეხეტებოდი, როგორც სიბნელეში. კაციშვილი ახლოს არ მიკარებდა. ხოლო თუ ვინმეს ძალიან გავუწყალებდი გულს, მაშინვე თავიდან მიშორებდნენ. და თუ სადმე ვპოვე თავშესაფარი, ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მე თვითონ გამოვექეცი, როგორც ბარნაბას ოჯახს.“ „შენ მათ გამოექეცი? ეს მართალია? ჩემო კარგო!“ მსწრაფლ გააწყვეტინა ფრიდამ, მაგრამ როდესაც კ.-მ ყოყმანით თქვა: „ჰოო“, კვლავ უღონოდ ჩაქინდრა თავი, მაგრამ არც კ.-ს აღარ ჰყოფნიდა სიმტკიცე, აეხსნა, რით შეცვალა უკეთესობისაკენ, სახელდობრ, ფრიდას სიახლოვემ ყველაფერი მის

ცხოვრებაში. კ.-მ ნელნელა გამოითავისუფლა ხელი, ერთხანს ჩუმად იჯდა და აქ ფრიდა ისე ალაპარაკდა, თითქოს მისი ხელი აძლევდაო სითბოს, ურომლისოდაც იგი ახლა ვეღარ ძლებდა: ,,მე ასეთ ცხოვრებას ვერ ავიტან, თუ გინდა, ჩემთან დარჩე, ემიგრაციაში უნდა წავიდეთ სადმე, სამხრეთ საფრანგეთში, ესპანეთში", ,,ვერსად ვერ წამოვალ", თქვა კ.-მ. ,,მე ჩამოვედი, აქ რომ ვიცხოვრო. აქ ვიცხოვრებ და დავრჩები." და თავისი ნათქვამის საპირისპიროდ, ისე, რომ არც ცდილა განემარტა ეს წინააღმდეგობა, დასძინა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო: ,,სხვა რას შეიძლებოდა შემოვეტყუებინე აქ, ამ უღიმღამო ადგილებში, თუ არა აქ დარჩენის სურვილს?" ერთხანს იყუჩა, მერე კი თქვა: ,,აკი შენც გინდა აქ დარჩენა, ეს ხომ შენი სამშობლოა ოღონდ, კლამი გაკლია, იმიტომაც შემოგაწვა ასეთი ბნელი ფიქრები." ,,შენ გგონია, კლამი მაკლია", თქვა ფრიდამ. ,,აქ კლამი ყველას ყელში აქვს ამოსული, იმიტომაც მინდა აქედან გავიქცე, რომ თავი დავაღწიო მას. არა, კლამი კი არა, შენ მჭირდები, შენს გამო მინდა წავიდე აქედან. ვერაფრის დიდებით ვერ გავძღები შენით აქ, სადაც ყველა მგლეჯს ნაწილებად. აჰ, რომ შემეძლოს თავიდან მოვიშორო მთელი სილამაზე. ჩემი სხეული უშნო, შეუხედავი რომ გახდეს, ეგებ, მაშინ შევძლო შენთან მშვიდად ცხოვრება." მაგრამ კ.-მ მხოლოდ ერთი რამ გაიგონა. ,,განა შენ აქამდე რაღაცნაირად დაკავშირებული ხარ კლამთან?" ანაზდად იკითხა მან, ,,თავისთან გეძახის?" ,,არაფერი არ ვიცი კლამისა", თქვა ფრიდამ, ,,ახლა სხვებზე გელაპარაკები, მაგალითად, თანაშემწეებზე." ,,თანაშემწეებზე?" გაკვირვებით იკითხა კ.-მ. ,,განა ისინი გეკიდებოდნენ?" ,,შენ კი ვერაფერს ვერ ამჩნევდი?" იკითხა ფრიდამ. ,,ვერა", თქვა კ.-მ, თან გაჭირვებით იხსენებდა რაღაც წვრილმანებს. ,,მართალია, წუწკი ყმაწვილები არიან, მსუნაგები და ცრუპენტელები, მაგრამ რომ გაებედათ და შენთვის ეძუძგურათ – არა, ეს არ შემიმჩნევია." ,,არ შეგიმჩნევია?" თქვა ფრიდამ. ,,შენ არ შეგიმჩნევია, რომ მათი გაყრა ჩვენი ოთახიდან შეუძლებელი იყო ,,ხიდისპირა" ფუნდუკში, რომ ისინი ხარბად ადევნებდნენ თვალს ჩვენს ურთიერთობას, ბოლოს და ბოლოს, როგორ დაიკავა ერთმა მათგანმა ჩემი ადგილი ნაალზე, როგორ გამოდიოდნენ მოწმედ შენს წინააღმდეგ ახლა, რათა ჩაეშალათ საქმე შენთვის, გაეგდებინებინათ შენი თავი, და მარტონი დარჩენილიყვნენ ჩემთან? და შენ ვერ ამჩნევდი ყოველივე ამას?" კ. ფრიდას უყურებდა და ხმას არ იღებდა. შესაძლოა, ეს ბრალდებები თანაშემწეთა წინააღმდეგ სამართლიანიც იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლებოდა ყველაფერი აგეხსნა უფრო მარტივად, ისე სასაცილოდ, ბალღურად, ქარაფშუტულად და თავშეუკავებლად იქცეოდა ეს ორი ყმაწვილი და ხომ არ ბათილდებოდა ეს ბრალდება, თუ გაიხსენებდა იმას, რომ ისინი სულ მუდამ ისწრაფოდნენ კუდში გამოსდევნებოდნენ კ.-ს და არა - მარტოდ მარტო დარჩენილიყვნენ ფრიდასთან? კ.-მ რაღაც ამდაგვარი შენიშნა, ,,თვალთმაქცობაა", უპასუხა ფრიდამ: ,,ნუთუ ვერ აუღე მათ ალღო? მაშ რატომ გაყარე? განა ამის გამო – არა?" თქვა და სარკმელთან მივიდა, ოდნავ გადაწია ფარდა, ქუჩაში გაიხედა, მერე კი კ.-ს დაუძახა, თანაშემწენი ისევ ისე იდგნენ მესერთან, და მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაღლილები იყვნენ, ძალას იკრებდნენ და დროდადრო ვედრებით იწვდიდნენ ხელს სკოლისაკენ. ერთი მათგანი, რომ არ გადმოვარდნილიყო, ქურთუკით მესრის წვერს იყო გამოდებული.

,,ეს საწყლები, ესენი!" თქვა ფრიდამ. ,,მეკითხები, რატომ არ გაყარეო?" თქვა კ.-მ. ,,რა თქმა უნდა, უშუალო საბაბი შენ თვითონ იყავი." ,,მეე?" ჰკითხა ფრიდამ, თან თვალს არ აშორებდა თანაშემწეებს. ,,ჯერ შენ მეტისმეტად უყვავებდი მათ", თქვა კ.-მ, ,,პატიობდი ყველა გამოხდომას, იცინოდი მათზე, თავზე ხელს უსვამდი, სულ მუდამ

გეცოდებოდნენ და აი, ახლაც თქვი: „ეს საწყლები, ესენიო!“ და ბოლოს, უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც მზად იყავი, მე გაგეწირე, ოღონდ თავიდან აგეცილებინა თანაშემწეებისათვის გაწკეპვლა.“ „სწორედ ეს არის მთავარი!“ თქვა ფრიდამ. „სწორედ ამას გეუბნები, – ამიტომ ვარ ასეთი უბედური, სწორედ ეს მართმევს შენს თავს, თუმცა ჩემთვის არ არსებობს იმაზე უფრო მეტი ბედნიერება, ვიდრე შენთან ვიყო მუდამ, დაუსრულებლად, გაუთავებლად, როცა მხოლოდ იმას ვნატრობ, რომ რახან აქ, დედამიწაზე არ მოიძებნა მყუდრო ადგილი ჩვენი სიყვარულისათვის, არც სოფელში, არც სადმე სხვაგან, უმჯობესი იქნებოდა, გვეპოვა სამარე, ღრმა და ვიწრო, სადაც მე და შენ ერთმანეთს ჩავეხუტებოდით, სადაც ისე ვიქნებოდით, როგორც მარწუხებში და სახეს ჩავრგავდი შენს მკერდში, შენ კი ჩემსაში და ვეღარავინ დაგვინახავდა. აქ კი, ერთი გახედე თანაშემწეებს! შენკენ კი არა, ჩემკენ იშვერენ ხელს!“ „მე კი არ ვუყურებ მათ“, თქვა კ.-მ, „შენ უყურებ!“ „რა თქმა უნდა, მე ვუყურებ“, თქვა ფრიდამ თითქმის გაბრაზებულმა, „ამას არ გიჩიჩინებ მთელი ეს დროა, თორემ სულ ერთი არ არის – მეკიდებიან ისინი, თუ არ მეკიდებიან, მაშინაც კი, თუ კლამის მოგზავნილები არიან.“ „კლამის მოგზავნილები“, გაიმეორა კ.-მ და გაუკვირდა ეს სიტყვები. თუმც ისინი დამაჯერებელი ეჩვენა. „რა თქმა უნდა, კლამის მოგზავნილები“, თქვა ფრიდამ, „იყვნენ, რა! ისინი მაინც თავქარიანი ყმაწვილები არიან, მათ წკეპლით უნდა ასწავლო ჭკუა, მაინც რა წუწკები და ჭუჭყიანები არიან, შეგეზიზღება, როცა მათ ბრიყვულ ანცობას უყურებ, ისეთი სახეები აქვთ, სტუდენტები გეგონება! ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ყოველივე ამას ვერ ვხედავ? მე მცხვენია მათ გამო! სწორედ ეს არის მთავარი, ისინი კი არ მეჯავრებიან, უბრალოდ. მცხვენია მათ მაგივრად. სულ მინდა, მათ ვუყურო. უნდა გავუბრაზდე, მაგრამ მე ვიცინი, როდესაც გასაწკეპლები არიან. თავზე ხელს ვუსვამ. და როცა შენს გვერდით ვწევარ, ვერ დამიძინია. სულ მუდამ შენს თავს ზემოთ ვიყურები, რა მაგრა ძინავს ერთს, საბანში გახვეულს, ხოლო მეორე, როგორ დგას. მუხლზე დაჩოქილი ღუმელთან და უკეთებს შეშას. მე კინაღამ გაგაღვიძე. რომ გადავიწიე. კატის კი არ შემშინებია – კატის მეტი რა მინახავს, თანაც მივეჩვიე ფეხზე თვლემას ბუფეტში, სადაც სულ მუდამ მიშლიდნენ ხელს. კატამ კი არ შემაშინა, საკუთარი თავის მეშინია. სულაც არ იყო საჭირო არავითარი კატა – ეს საზიზღრობა! – მე ისედაც ვკრთებოდი ყოველ გაფაჩუნებაზე, ხან მეშინია, რომ შენ უცბად გაგეღვიძება და მაშინ დამთავრდება ყველაფერი. ხან ზეზე წამოვხტები ხოლმე და სანთელს ვანთებ, რომ შენ რაც შეიძლება მალე გამოიღვიძო და დამიცვა.“ „მე ეს არ ვიცოდი“, თქვა კ.-მ, „მხოლოდ რაღაც ეჭვი მქონდა, იმიტომაც გავყარე ისინი, ახლა კი, როცა წავიდნენ, ეგებ ყველაფერი მოგვიგვარდეს.“ „მართალია, ბოლოს და ბოლოს ისინი წავიდნენ“, თქვა ფრიდამ, მაგრამ მისი სახე გამოხატავდა არა სიხარულს, არამედ ტანჯვას, „ჩვენ კი აქამდე არ ვიცით, ვინ არიან. მე ხომ მხოლოდ ხუმრობით, მხოლოდ გულში ვამბობ, რომ ისინი კლამის მოგზავნილები არიან, მაგრამ იქნებ ეს სიმართლეც იყოს, მათი თვალები – ასეთი ბრიყვული, მაგრამ მოელვარენი, ძალიან მომაგონებენ კლამის თვალებს, მათი თვალებიდან ზოგჯერ კლამის მზერა გამოსჭვივის და შიგ გულში მხვდება. და, ალბათ, არ არის სწორი, როდესაც ვამბობ, რომ მათი მეთაკილება. ნეტავ, მართლაც ასე იყოს. მართალია, მე ვიცი, რომ ასეთ ადგილას სხვათა ასეთი საქციელი მე უხეში და საზიზღარი მომეჩვენებოდა, აი, მათი კი არა. მე მათ სიბრიყვესაც პატივისცემით და აღფრთოვანებით ვუყურებ. მაგრამ თუ ისინი მართლაც კლამის მოგზავნილები არიან, ვის შეუძლია მათგან გვიხსნას? და საერთოდ, გონივრული იქნება ჩვენთვის, ვეცადოთ მათ თავიდან მოშორებას? იქნებ, უმჯობესი იყოს, დავუძახოთ მათ და გავიხაროთ, როდესაც ისინი დაბრუნდებიან?“ „შენ გინდა, რომ

მე კვლავ შემოვუშვა ისინი?“ ჰკითხა კ.-მ. „არა არა“, თქვა ფრიდამ, „ეს სულაც არ მინდა, და კვლავ რომ შემოცვივდნენ აქ და გაიხარონ, რომ მე მხედავენ, მოჰყვნენ ბავშვებივით ხტუნვა-ხტუნვას, და ხელი გამოიწვდინონ ჩემკენ, როგორც მოზრდილმა მამაკაცებმა, – არა, ამას ვერ ავიტანდი! მაგრამ საკმარისია, თავში გამიელვოს აზრმა, რომ შენ თვითონ, როდესაც ხელს კრავ მათ, იჭრი კლამისაკენ მიმავალ გზას, მთელი არსებით მინდა, რადაც უნდა დამიჯდეს, დაგიცვა ასეთი შედეგებისაგან. აქაც მინდა, რომ შენ ისევ შემოუშვა ისინი, აბა, კ., გასძახე, დაბრუნდნენ რაც შეიძლება მალე! მე კი ნუ მომაქცევ ნურავითარ ყურადღებას, ვინ ვარ მე! მე თვითონ დავიცავ მათგან თავს, სანამ შემეძლება, ხოლო თუ დავმარცხდები, რას იზამ, დავმარცხდები, სამაგიეროდ მეცოდინება, რომ ყველაფერს ვაკეთებ შენი გულისათვის.“ „მაგრამ შენ მხოლოდ განამტკიცებ ჩემს გადაწყვეტილებას თანაშემწეების თაობაზე“, თქვა კ.-მ.- „ჩემდათავად, ჩემი ნებით არასოდეს შემოვადგმევინებ აქ ფეხს, ხოლო ის, რომ შევძელი აქედან გამეყარა ისინი, მხოლოდ ამტკიცებს, რომ ზოგ ვითარებაში მათ სავსებით შეიძლება მოერიო, და, ამას გარდა, ეს ნიშნავს, რომ მათ, არსებითად არაფერი აკავშირებს კლამთან. მხოლოდ გუშინ მივიღე კლამის წერილი, საიდანაც ჩანს, რომ კლამს სრულიად არასწორი ინფორმაცია აქვს თანაშემწეებზე, საიდანაც ისევ და ისევ შემიძლია გამოვიტანო დასკვნა, რომ მათ მიმართ კლამი აბსოლუტურად გულგრილია. ასე რომ არ იყოს, იგი შეძლებდა უფრო ზუსტი ცნობები მოეპოვებინა მათ შესახებ, ხოლო ის ამბავი, რომ შენ მათში კლამს ხედავ, ასევე არაფერს არ ამტკიცებს, სამწუხაროდ, შენ ჯერ კიდევ განიცდი დიასახლისის გავლენას, და ყოველი ფეხის ნაბიჯზე კლამი გელანდება. შენც ისევე, ჯერ კიდევ ხარ კლამის საყვარელი და არა – ჩემი ცოლი. ზოგჯერ ამის გამო სასოწარკვეთილება მეუფლება, მეჩვენება, რომ ყველაფერი დავკარგე და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ეს-ეს არის ჩამოვედი სოფელში, მაგრამ არა იმედით, როგორც იყო სინამდვილეში, არამედ წინათგრძნობით, რომ აქ იმედგაცრუება მელოდება და ბოლომდე უნდა შევსვა ეს მწარე ფიალა. მართალია, ასე იშვიათად ხდება ხოლმე.“ დასძინა კ.-მ და ფრიდას გაუღიმა, როცა დაინახა, როგორ დაამწუხრეს იგი მისმა სიტყვებმა, „და, არსებითად, ეს მხოლოდ ამტკიცებს ერთ კარგ ამბავს, სახელდობრ, იმას, თუ რაოდენ ბევრს ნიშნავს შენი თავი ჩემთვის. და თუ ახლა მთავაზობ არჩევანს შენსა და თანაშემწეებს შორის, მაშინ თანაშემწეებს უკვე წაუგიათ და, საერთოდ, საიდან მოიგონე ეს ამბავი – მოვახდინო არჩევანი შენსა და მათ შორის? არა, ახლა მინდა საბოლოოდ გავთავისუფლდე მათგან, არც ვიფიქრო, და არც ვილაპარაკო მათზე. ვინ იცის, ეგებ ჩვენ ამ წუთიერ სისუსტეს ავყევით უბრალოდ იმიტომ, რომ ჯერ არ გვისაუზმია?“ „შესაძლებელია“, თქვა ფრიდამ დაქანცული ღიმილით და მუშაობას შეუდგა. კ.-მ ასევე, კვლავ აიღო ხელში ცოცხი.

13. ჰანსი

ცოტა ხნის შემდეგ კი კარზე მორიდებული კაკუნი გაისმა. „ბარნაბაა!“ წამოიძახა კ.-მ, ცოცხი დააგდო და ორი ნახტომით კართან გაჩნდა. ფრიდა დაძაბული უყურებდა. ამ სახელის გაგონებამ ისე შეაკრთო, როგორც არასდროს. კ.-ს კი ისე უკანკალებდა ხელი, რომ ერთბაშად ვერაფერი მოუხერხა ძველ ურდულს. „ახლავე გავაღებ“, ლუღლუღებდა იგი იმის მაგივრად, რომ ეკითხა, ვინ აკაკუნებსო. და როცა კარი გააღო, სახტად დარჩა, რომ ზღურბლს გადმოაბიჯა არა ბარნაბამ, არამედ იმ ბიჭმა, რომელიც აქამდე უკვე შეეცადა, გამოლაპარაკებოდა კ.-ს. მაგრამ კ.-ს არ ჰქონდა

არავითარი სურვილი, გაეხსენებინა ეს. „რა გინდა აქ?“ ჰკითხა ბიჭს. „გაკვეთილი გვერდზე ოთახშია.“ „ვიცი, იქიდან მოვდივარ“, უთხრა ბიჭუნამ, თან მშვიდად უცქერდა კ.-ს დიდი თაფლისფერი თვალებით და სმენაზე იდგა. „მაინც, რა გინდა? მითხარი!“ თქვა კ.-მ და ცოტა წინ გადაიხარა იმიტომ, რომ ბიჭუნა ძალიან ხმადაბლა ლაპარაკობდა. „რით შემიძლია დაგეხმარო?“ ჰკითხა ბიჭუნამ. „მას სურს, ჩვენ დაგვეხმაროს!“ უთხრა კ.-მ ფრიდას, და ბიჭუნას ჰკითხა: „რა გქვია შენ?“ „ ჰანს ბრუნსვიკი“, უპასუხა ბიჭმა, „მეოთხე კლასის მოწაფე, ოტო ბრუნსვიკის, მადლენ-გასელი ხარაზის ვაჟი.“ „აი, თურმე, ვინ ყოფილხარ, მაშასადამე, შენ ბრუნსვიკი ხარ“, თქვა კ.-მ გაცილებით უფრო დაყვავებით. გამოირკვა, რომ ჰანსი ძალიან შეწუხებულა, როდესაც დაინახა, რომ მასწავლებელმა ქალმა სისხლამდე გაუჩხაპნა ხელი კ.-ს, და სწორედ მაშინ გადაწყვიტა გამოსარჩლებოდა. ახლა კი, მკაცრი სასჯელის შიშის მიუხედავად, იგი თვითნებურად, როგორც დეზერტირი, გამოიპარა აქ მეზობელი კლასიდან. ეტყობა, მთავარი როლი ბიჭის ფანტაზიამ შეასრულა, სწორედ ამიტომ იქცეოდა იგი ასე სერიოზულად. თავდაპირველად ერიდებოდა, მაგრამ მერე თანდათან შეეჩვია ფრიდას და კ.-ს, ხოლო როდესაც გემრიელი ცხელი ყავა დაალევინეს, გამოცოცხლდა. სურდა, რაც შეიძლება მალე გაეგო ყველაზე მთავარი, რათა შემდეგ თავად მიეღო გადაწყვეტილება, კ.-ს გამოც და ფრიდას გამოც. ამ ბიჭში იყო რაღაც მბრძანებლური, მაგრამ ამასთანავე მასში იმდენი ბავშვური მიამიტობა გამოსჭვიოდა, რომ ისინი ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად დაემორჩილნენ მას. ყოველ შემთხვევაში, ბიჭუნამ მთელი მათი ყურადღება მიიპყრო. სამუშაოს თავი დაანებეს, საუზმე გაუჭიანურდათ და თუმცა ბიჭი მერხთან იჯდა, კ. – ზევით, კათედრაზე, ხოლო ფრიდა – გვერდით, სავარძელში, გეგონებოდა, ჰანსი მასწავლებელივით ამოწმებს და აფასებსო მათ პასუხებს, ხოლო მსუბუქი ღიმილი, რომელიც ბავშვურ ბაგეზე დასთამაშებდა, თითქოს მოწმობსო, რომ მას ესმის: ყველაფერი ეს მხოლოდ თამაშია, მაგრამ მით უფრო სერიოზულად ეჭირა თავი, და, იქნებ თამაშის გამო კი არ იღიმებოდა, – უბრალოდ, ბალღური სიხარულით ებადრებოდა სახე.დიდხანს არ ამბობდა, მაგრამ მოგვიანებით გამოტყდა, რომ უკვე ნანახი ჰყავდა კ., როდესაც მან ერთხელ ლაზემანს შეუარა. კ.-ს ძალიან გაეხარდა. „შენ მაშინ იმ ქალის ფერხთით თამაშობდი?“ ჰკითხა ბიჭუნას. „დიახ“, თქვა ჰანსმა, „ეს დედაჩემი იყო.“ მას მაშინვე დაუწყეს გამოკითხვა დედის თაობაზე, მაგრამ ბიჭუნა უხალისოდ პასუხობდა, ისიც, რამდენჯერმე თუ გაუმეორებდნენ კითხვას. ეტყობოდა, რომ ჯერ მთლად ბავშვი იყო, თუმცა, ზოგჯერ, განსაკუთრებით მისი დაძაბული, შეშფოთებული კითხვების გამგონეთ ეჩვენებოდათ, რომ მათ ენერგიული, ჭკვიანი, გამჭრიახი კაცი ესაუბრება. იქნებ გული უგრძნობდათ, რომ ასეთი დადგება იგი მომავალში, მაგრამ ჰანსი აქვე, ყოველგვარი გადასვლის გარეშე ისევ იქცეოდა ნორჩ მოსწავლედ, რომელსაც საერთოდ არ ესმოდა ბევრი კითხვა, ბევრსაც არასწორად იგებდა და თანაც მოსაუბრეებისადმი ბალღური უყურადღებობის გამო, მეტისამეტად ჩუმად ლაპარაკობდა, თუმცა რამდენჯერმე უთხრეს, ხმამაღლაო, და მაშინ იგი თითქოს სიჯიუტის გამო, საერთოდ უარს ამბობდა, გაეცა პასუხი ბევრ დაჟინებულ კითხვაზე. ყოველგვარი მორიდების გარეშე დუმდებოდა, რასაც მოზრდილი კაცი არ იზამდა. ისე გამოდიოდა, თითქოს, მისი აზრით, კითხვების დასმის ნება მხოლოდ მას ჰქონდა და სხვების კითხვები მხოლოდ არღვევდა რაღაც წესებს, აკარგვინებდა მას ძვირფას დროს. მაშინ იგი დიდი ხნით დუმდებოდა და წელში გამართული, თავჩაქინდრული და დრუნჩგამოწეული იჯდა. ფრიდას ეს ძალიან მოსწონდა, და ხშირად აძლევდა ისეთ კითხვებს, რომლებიც, მისი აზრით, აიძულებდნენ დადუმებულიყო. ზოგჯერ ამას ახერხებდა კიდეც, რაზეც კ. ბრაზობდა.

საერთოდ, მათ ბევრი არაფერი გაუგიათ ბიჭისაგან. დედა თურმე ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ რა სჭირდა, გაურკვეველი დარჩა. ბავშვი, რომელიც ქალბატონ ბრუნსვიკს ეჯდა კალთაში, ყოფილა ჰანსის და, სახელად ფრიდა (ჰანსს, ეტყობა, არ მოსწონდა, რომ მას ისევე ერქვა, როგორც ქალს, რომელიც კითხვებს უსვამდა). ისინი ყველანი სოფელში ცხოვრობდნენ, მაგრამ არა – ლაზემანთან, იქ მხოლოდ სტუმრად მივიდნენ, ტანის დასაბანად, იმიტომ, რომ ლაზემანს ჰქონდა დიდი საბანაო როფი და პატარებს, რომელთაც ჰანსი თავს არ უყადრებდა, განსაკუთრებით მოსწონდათ ამ როფში ჭყუმპალაობა. თავის მამაზე ჰანსი ლაპარაკობდა პატივისცემით ან შიშით და მხოლოდ მაშინ, როდესაც დედაზე არ ეკითხებოდნენ. დედასთან შედარებით მამა, როგორც ჩანს, ნაკლებს ნიშნავდა მისთვის, მაგრამ საერთოდ ოჯახის შესახებ ყველა კითხვაზე კ.-ს და ფრიდას პასუხი არ მიუღიათ. თუმცა კი ბევრს ცდილობდნენ. მამის ხელობის შესახებ მათ შეიტყვეს, რომ იგი საუკეთესო ხარაზი იყო მთელ სოფელში, და ვერავინ შეედრებოდა. ჰანსი იმეორებდა ამას, როდესაც სხვა კითხვებს პასუხობდა – მამა სხვა მეწაღეებსაც კი აძლევდა სამუშაოს. მაგალითად, ბარნაბას მამას, თუმცა ამ შემთხვევაში, ბრუნსვიკი ამას განსაკუთრებული გულმოწყალების გამო აკეთებდa, რაც ჰანსმა საგანგებოდ და ისეთი სიამაყით აღნიშნა, რომ ფრიდას გულმა არ მოუთმინა, წამოხტა და გადაკოცნა ბიჭუნა. კითხვაზე, იყო თუ არა გოდოლში ნამყოფი, ბიჭუნამ მხოლოდ რამდენჯერმე გამეორების შემდეგ უპასუხა, თანაც, უარყოფითად, ხოლო იგივე კითხვაზე დედასთან დაკავშირებით, საერთოდ არ გაუცია პასუხი. ბოლოს კ. დაიღალა, ეს გამოკითხვა უმაქნისი ეჩვენა, ამ მხრივ ბიჭუნა სწორი იყო, მართლაც დაჰკრავდა რაღაც სამარცხვინო ელფერი იმას, რომ მიკიბულ-მოკიბული კითხვებით დაეცინცლათ უმანკო ბავშვისათვის ოჯახური საიდუმლოებანი, და ერთიორად უფრო სამარცხვინო იყო ამდენი მცდელობის შემდეგ ვერაფერი გაეგოთ. და როდესაც კ.-მ, ბოლოს და ბოლოს, ჰკითხა ბიჭუნას, მაინც რით შეგიძლია, დაგვეხმაროო, მას არ გაჰკვირვებია, რომ ჰანსი დახმარებას სთავაზობს აქვე, სამუშაოთი, რათა მასწავლებლებმა მეტი აღარ ლანძღონ. კ.-მ აუხსნა, რომ ასეთი დახმარება მათ არ სჭირდებათ, მასწავლებელი და აღმზრდელი ქალი თავიანთი უხასიათობის გამო გაუთავებლად ჯუჯღუნებენ, და წელზე ფეხებიც რომ დაიდგა, მაინც ვერ ასცდები ძაგებას. თავისთავად, სამუშაო არ არის ძნელი, დღეს კი, სრულიად შემთხვევით, იგი ბოლომდე არ არის მიყვანილი, თუმცა კ.-ზე ეს ლანძღვა არ მოქმედებს, მოსწავლეებისაგან განსხვავებით, იგი ძაგებას ვერც კი ამჩნევს, იმდენად უმნიშვნელოა ეს მისთვის, ხოლო გარდა ამისა, იმედი აქვს, რომ მასწავლებელს საერთოდ მოიცილებს თავიდან, ხოლო რახან ჰანსს სურს მხოლოდ მასწავლებლის წინააღმდეგ დაეხმაროს მათ, ამისათვის – დიდი მადლობა, მაგრამ აჯობებს, ახლა მშვიდად დაბრუნდეს კლასში, ხოლო მათ ისღა დარჩენიათ, იქონიონ იმედი, რომ ბიჭუნას არ დასჯიან. და თუმცა კ.-ს საგანგებოდ არ აღუნიშნავს, არამედ უფრო ქვეშეცნეულად აგრძნობინებდა, რომ მხოლოდ ასეთი დახმარება არ სჭირდებოდა, ჰანსმა საუცხოოდ გაიგო ეს და პირდაპირ ჰკითხა, ხომ არ გნებავთ სხვა მხრივ დაგეხმაროთო, ხოლო თუ თავად დახმარებას ვერ შეძლებს, მაშინ თავის დედას სთხოვს. ის კი უეჭველად მოახერხებსო. როდესაც მამა უსიამოვნებას გადაეყრება ხოლმე, ყოველთვის სთხოვს დახმარებას დედას. დედამ კი უკვე ჰკითხა კ.-ს თაობაზე, საერთოდ, თითქმის არ გამოდის შინიდან, და ის, რომ ლაზემანებთან იყო, – გამონაკლისს წარმოადგენდა. მაგრამ თვით ჰანსი ხშირად დადის ლაზემანებთან და მათ შვილებს ეთამაშება. ერთხელ დედამ ჰკითხა კიდეც, ხომ არ მისულა იქ კვლავ ეს მიწისმზომელი, მაგრამ დედის აღელვება არ შეიძლება – იგი ისეთი სუსტია და

დაქანცული, – ამიტომ მან უბრალოდ უთხრა, რომ მიწისმზომელი აღარ უნახავს და კ.-ზე მეტი ლაპარაკი არ ყოფილა. მაგრამ როდესაც ჰანსმა იგი აქ, სკოლაში დაინახა, გადაწყვიტა, გამოლაპარაკებოდა, რათა შემდეგ დედისთვის გადაეცა კ.-ს ამბავი, იმიტომ, რომ დედას ყველაზე მეტად უყვარს, როდესაც სურვილებს უთხოვნელად უსრულებენ. ამაზე კ.-მ მცირეოდენი ფიქრის შემდეგ უპასუხა, რომ არავითარი დახმარება არ სჭირდება, მას აქვს ყველაფერი, რაც ესაჭიროება, თუმცა ჰანსის მხრივ დასაფასაბელია, რომ სურს, დაეხმაროს, და კ. მადლობას უხდის კეთილი სურვილებისათვის. რა თქმა უნდა, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მომავალში რაღაც გაუჭირდეს, და მაშინ მიმართავს ჰანსს, მისამართი მას აქვს. ხოლო ახლა მას, კ.-ს თავად შეუძლია რითიმე დაეხმაროს ვინმეს, ძალიან სწყინს, რომ ჰანსის დედა ავადმყოფობს, აქ, როგორც ჩანს, არავის არ ესმის მისი ავადმყოფობისა და ასეთ ხელმიშვებულ შემთხვევებში ხშირად შეუძლოდ ყოფნასაც კი შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, მაგრამ ის, კ., მეტნაკლებად ერკვევა მედიცინაში და – რაც უფრო მნიშვნელოვანია, იცის ავადმყოფის მოვლა. ყოფილა, რომ იქ, სადაც ექიმები გაწბილებულან, მას შესძლებია დახმარების აღმოჩენა. შინ ასეთი სამკურნალო ზემოქმედებისათვის, მას „პირშუშხა ბალახსაც“ კი ეძახიან. ყოველ შემთხვევაში, იგი სიამოვნებით მოინახულებს ჰანსის დედიკოს და ესაუბრება. ვინ იცის, ეგებ შეძლოს, გამოადგეს მას და სასარგებლო რჩევა-დარიგება მისცეს. ამას სიამოვნებით გააკეთებს, თუნდაც, ჰანსის გულისათვის. თავდაპირველად ამ სიტყვების გაგონებაზე ჰანსს თვალები გაუბრწყინდა, რის გამოც კ. უფრო დაჟინებული გახდა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია; ჰანსი ყველა კითხვას საკმაოდ მშვიდად პასუხობდა. თქვა, რომ დედასთან უცხოების სტუმრობა არ შეიძლება, შეწუხდებაო, და თუმცა იმჯერად კ.-ს თითქმის სიტყვა არ უთქვამს, ქალი რამდენიმე დღეს წოლილა ლოგინში, მართალია, ასეთი რამ საკმაოდ ხშირად ემართებაო. ხოლო მამას მაშინ გულიც კი მოსვლია კ.-ზე და ის, რა თქმა უნდა, არასდროს დაუშვებს, რომ კ. დედას სანახავად მოვიდეს. მას მაშინვე ნდომებია მოეძებნა კ. და დაესაჯა ასეთი საქციელისათვის, მაგრამ დედამ გადააფიქრებინა. მთავარი კი ის არის, რომ თვითონ დედას არ სურს არავისთან ლაპარაკი და კ. აქ სულაც არ არის გამონაკლისი, პირიქით, დედას ხომ შეეძლო, რაკი ახსენა, გამოეთქვა სურვილი, მოენახულებინა კ., მაგრამ არაფერი არ უთქვამს და ამით თავისი ნება დაადასტურა. მას სურდა, მხოლოდ გაეგო კ.-ს ამბავი, მაგრამ მასთან შეხვედრა არ ნდომებია, გარდა ამისა, არავითარი ავადმყოფობა, მას არსებითად, არა აქვს. თვითონ საუცხოოდ იცის თავისი მდგომარეობის მიზეზი, ზოგჯერ ლაპარაკობს კიდეც ამის შესახებ: უბრალოდ, იგი ვერ იტანს აქაურ ჰავას, აქედან წასვლა კი არ სურს ქმარ-შვილის გულისათვის. თუმცა, იგი ახლა გაცილებით უფრო უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე ადრე. აი, დაახლოებით ყველაფერი, რაც კ.-მ შეიტყო. თანაც, ჰანსმა გვარიანი ოსტატობა გამოიჩინა, დედა რომ დაეცვა კ.-საგან, სწორედ იმ კ.-საგან რომელსაც, მისივე თქმით, სურდა დახმარებოდა. უფრო მეტიც, ესოდენ კეთილი სურვილის გულისათვის – დაეცვა დედა კ.-საგან – ჰანსი ეწინააღმდეგებოდა საკუთარ ნათქვამს – მაგალითად, იმას, რაც აქამდე ილაპარაკა დედის ავადმყოფობაზე. და მაინც, კ. ახლაც ხედავდა, რომ ჰანსი კარგად ეკიდება მას, მაგრამ მზად არის, დაივიწყოს ეს დედის გულისათვის: დედასთან ყველანი ტყუოდნენ, ეს კ.-ს შეეხო, მაგრამ ალბათ მის ადგილზე შეიძლებოდა, სიტყვაზე, ჰანსის მამაც აღმოჩენილიყო. კ.-მ მოინდომა, შეემოწმებინა ეს, და თქვა რომ, რასაკვირველია, მამა ძალზე გონივრულად იქცევა, დედას რომ იცავს ყოველგვარი ხელისშემშლელი ვიზიტებისაგან, და კ.-ს რომ სცოდნოდა ეს, არაფრის დიდებით არ დაუწყებდა მაშინ დედას ლაპარაკს, და სთხოვს ჰანსს, გადასცეს ოჯახს მისი ბოდიში,

მაგრამ, ამასთანავე, ვერ გაუგია, რატომ არის, რომ მამას, რომელმაც ჰანსის თქმით, ზუსტად იცის ავადმყოფობის მიზეზი, არ გაჰყავს დედა სხვაგან ჰაერის გამოსაცვლელად და დასასვენებლად, რატომ არ ანებებს, სწორედ რომ არ ანებებს, მაშინ, როდესაც დედა მხოლოდ მისი და ბავშვების გულისათვის არ მიდის, მაგრამ ხომ შეიძლება, ბავშვები თან წაიყვანოს, მას არც დასჭირდებოდა დიდი ხნით წასულიყო სადმე. უკვე იქ, გოდლისგორაზე, ჰაერი სულ სხვაა, ხოლო ასეთი მოგზაურობის ხარჯები მას არც უნდა აბრკოლებდეს, რაკი იგი საუკეთესო ხარაზია მთელ სოფელში. ალბათ, მას ან დედას ჰყავთ ახლობლები ან ნაცნობები გოდოლში, რომლებიც სიამოვნებით უმასპინძლებენ დედას. რატომ არ უშვებს მამა? ნამდვილად არ ღირს, ასე უგულებელყოს მისი ჯანმრთელობა. კ.-ს მხოლოდ გაკვრით ჰყავდა ნანახი დედა, მაგრამ სწორედ მისმა სისუსტემ, მისმა შემზარავმა სიფერმკრთალემ მოანდომა, გამოლაპარაკებოდა ქალს. მას მაშინაც გაუკვირდა, როგორ შეეძლო მამას დაეტოვებინა სნეული ქალი ასეთ ცუდ ჰაერში, საერთო აბანოში და სამრეცხაოში, თვითონ კი ასე ეყვირა და თავშეუკავებლად ელაპარაკა. მამას, ალბათ, არ ესმის, რაშია აქ საქმე. მაგრამ თუ ბოლო დროს რაღაც გაუმჯობესება დაიწყო კიდეც, ავადმყოფობას ხომ ათასგვარი გართულებები აქვს. ბოლოს და ბოლოს, თუ მას არ ებრძოლე, შეიძლება ახალი ძალით იფეთქოს და მაშინ უკვე ვერაფერს გააწყობ. თუ კ.-სათვის არ შეიძლება დედას ელაპარაკოს, ეგებ, ღირდეს, დაელაპარაკოს მამას და მისი ყურადღება მიაპყროს ამ გარემოებებს.

ჰანსი ძალიან დიდი გულისყურით უსმენდა, თითქმის ყველაფერი ესმოდა, მაგრამ იმაში, რაც არ ესმოდა, ფარული საფრთხე იგრძნო. და მაინც, თქვა, რომ კ. მამას ვერ დაელაპარაკება, მამამ იგი აითვალწუნა და, ალბათ, ისევე მოეპყრობა, როგორც მასწავლებელი. კ.-ზე რომ ლაპარაკობდა, იგი გაუბედავად იღიმოდა, მაგრამ მამაზე რაღაც გულისტკივილით და სევდით თქვა, თუმცა, დასძინა მან, ეგებ კ.-მ შეძლოს დედასთან დალაპარაკება, ოღონდ ისე, რომ მამამ არ იცოდესო. აქ ჰანსი დაფიქრდა და ერთ წერტილს მიაჩერდა, როგორც ქალი, რომელიც რაიმე აკრძალვის დარღვევას აპირებს და ეძებს შესაძლებლობას, დაუსჯელად ჩაიდინოს ასეთი საქციელი, ბოლოს კი თქვა, რომ, ალბათ, ზეგ შეიძლება მოახერხოს ეს, როდესაც მამა სასტუმროში წავა, იქ რაღაც შეხვედრა აქვს, და მაშინ ჰანსი საღამოს გამოუვლის კ.-ს, მერე კი დედასთან წაიყვანს, რა თქმა უნდა, თუ დედა ამას დათანხმდა, რაც კიდევ ძალზე საეჭვოა. მთავარია, რომ იგი არაფერს არ აკეთებს მამის ნების წინააღმდეგ და ყველაფერში ემორჩილება, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ჰანსიც კი ხვდება, რომ ეს არ არის გონივრული. ახლა ჰანსი ნამდვილად ეძებდა დახმარებას კ.-სთან მამის საწინააღმდეგოდ. გამოდიოდა, რომ იგი თავს იტყუებდა, როდესაც ფიქრობდა, რომ სურდა, კ.-ს დახმარებოდა, მაშინ, როდესაც სინამდვილეში უნდოდა, გაეგო, ხომ არ შეუძლია ამ ცხრა მთას იქიდან მოსულ კაცს, რომელსაც დედამაც მიაპყრო ყურადღება, დაეხმაროს მათ ახლა, როდესაც ძველი ნაცნობებიდან ამის გაკეთება არავის არ ძალუძს. მაინც, რა ჩუმჩუმელა და ქვეცნობიერად ეშმაკი გამოდგა ეს ბიჭი! ამას ვერ იტყოდი ვერც მისი გარეგნობით, ვერც მისი ნალაპარაკევით, და მხოლოდ მომდევნო უცაბედი აღიარებით, რომელიც განზრახ გამოსტყუა კ.-მ ან შემთხვევით წამოსცდა, შეიძლებოდა ამის გაგება. ახლა კი კ.-სთან ხანგრძლივი საუბრისას იგი მსჯელობდა, თუ რა სიძნელეების დაძლევა მოუწევს. ჰანსის მთელი მცდელობის მიუხედავად, ისინი თითქმის დაუძლევლად გამოიყურებოდა. ბავშვი თავის გასაჭირზე ფიქრობდა და ამასთანავე, თითქოს დახმარებას ეძებსო, აწრიალებული, თვალის ხამხამით მისჩერებოდა კ.-ს, მამის წასვლამდე დედას ვერაფერს ეტყოდა,

თორემ მამა გაიგებდა და ჩაუშლიდა საქმეს, მაშასადამე, მოგვიანებით უნდა უთხრას, მაგრამ აქაც უნდა გაითვალისწინოს დედის ავადმყოფობა და შეატყობინოს არა ერთბაშად, უეცრად, არამედ თანდათან, როცა შესაფერის დროს იხელთებს. მხოლოდ მაშინ შეძლებს, დაიყოლიოს დედა, მერე კი მიიყვანოს მასთან კ. მაგრამ ვაითუ, ეს გვიან მოხდეს, ვაითუ, მამა დაბრუნდეს იმ დროს? არა, ეს შეუძლებელია. მაგრამ კ.-მ დაუწყო მტკიცება, რომ ეს სავსებით შესაძლებელია. არ უნდა გეშინოდეს, რომ არ გვეყოფა დრო სასაუბროდ, – ხანმოკლე შეხვედრა, ხანმოკლე საუბარი სავსებით საკმარისია და ამისათვის სულაც არ არის აუცილებელი, ჰანსმა კ.-ს გამოუაროს. იგი სადმე სახლის ახლომახლო დაიმალება და მისცემს თუ არა ნიშანს ჰანსი, მაშინვე მივა. არა, თქვა ჰანსმა. სახლთან დგომა არ გამოვა. აქ კვლავ იჩინა თავი ჰანსის სათუთმა დამოკიდებულებამ დედისადმი, იმიტომ, რომ დედის დაუკითხავად კ. იქ ვერ მივა. ხომ ვერ შეკრავს ჰანსი კ.-სთან პირს, ისე, რომ დედას არ გააგებინოს არაფერი: ჰანსმა უნდა გაუაროს კ.-ს სკოლაში, მაგრამ იმაზე უფრო ადრე კი არა, ვიდრე დედა ყველაფერს გაიგებს და ნებას დართავს. კეთილი, თქვა კ.-მ, მაგრამ გამოდის, რომ ეს მართლაც საშიშია, შესაძლოა, მამამ სახლში წაასწროს, და ესეც რომ არ იყოს, დედას ისედაც შეეშინდება, რომ არ დართავს კ.-ს მოსვლის ნებას. მაშასადამე, აქ ყველაფრის თავი და თავი მამა ყოფილა. ჰანსმა იუარა, კ. რაღაცას უმტკიცებდა, და ასე კამათობდნენ გაუთავებლად. კარგა ხანს იდგა ჰანსი კათედრაზე კ.-სთან, რომელსაც ბავშვი მუხლებშუა ჩაეყენებინა და დრო და დრო ალერსიანად უსვამდა თავზე ხელს. და თუმცა, ჰანსი ზოგჯერ ჯიუტობდა, ეს სიახლოვე მაინც რაღაცნაირად ხელს უწყობდა მათს ურთიერთგაგებას. ბოლოს და ბოლოს, ასე მორიგდნენ: ჰანსი, პირველ ყოვლისა, ეტყვის დედას სრულ სიმართლეს, მაგრამ იმისათვის, რომ უფრო იოლად დაიყოლიოს კ.-სთან შეხვედრაზე, ეტყვის, ასევე, რომ ის დაელაპარაკება თვით ბრუნსვიკს, მართალია, არა დედაზე, არამედ თავის საქმეებზე. და ეს სწორიც იყო: საუბრის დროს კ. მიხვდა, რომ ბრუნსვიკი, რაოდენ ბოროტი და საშიში ადამიანიც უნდა ყოფილიყო, კაცმა რომ თქვას, ვერ იქნებოდა მისი მოწინააღმდეგე, იმიტომ, რომ მამასახლისის თქმით, სწორედ ბრუნსვიკი იყო იმათი წინამძღოლი, ვინც, თუმცა პოლიტიკური მოსაზრებებით, მაგრამ მაინც მოითხოვდა მიწისმზომლის მოწვევას, და კ.-ს ჩამოსვლა სოფელში ბრუნსვიკისათვის სასურველი იყო. ამასთანავე, მაშინ ვერ არის მთლად გასაგები, რატომ შეხვდა იგი კ.-ს ასე გაბრაზებული პირველ დღეს, და რატომ ეკიდებოდა ასე ცუდად, ჰანსის თქმით, კ.-ს, მაგრამ, შეიძლება, ბრუნსვიკი ნაწყენი დარჩა სწორედ იმიტომ, რომ კ.-მ თავიდანვე არ მიმართა დახმარებისათვის მას, და, შეიძლება, აქ მოხდა კიდეც რაღაც გაუგებრობა, რომელიც იოლად გამოსწორდება ორი-სამი სიტყვით. ხოლო თუ ასე მოხდა, მაშინ კ., უდავოდ იპოვის ბრუნსვიკში დამცველს მასწავლებლის წინააღმდეგ, და შეიძლება, თვითონ მამასახლისის წინააღმდეგაც, აი, მაშინ კი სააშკარაოზე გამოვა მთელი ეს ადმინისტრაციული თაღლითობანი – მაშ, სხვა რა შეიძლება ეწოდოს ამ ოინებს? – რომელთა მეშვეობითაც არც მამასახლისი და არც მასწავლებელი არ უშვებენ მას უფროსობასთან გოდოლში და აიძულებენ, იმსახუროს სკოლაში. ხოლო თუ ვინიცობაა, კ.-ს გამო ხელახლა დაიწყება ბრუნსვიკის ბრძოლა მამასახლისთან, მაშინ ბრუნსვიკი, რასაკვირველია, კ.-ს თავის მხარეს გადაიბირებს. კ. გახდება ბრუნსვიკების ოჯახის სტუმარი, და მთელი ძალები, რომლებიც ბრუნსვიკს უმაგრებს ზურგს, მამასახლისის ჯინზე კ.-ს განკარგულებაში აღმოჩნდება, და ვინ იცის, რას შეიძლება მიაღწიოს ამის შედეგად, ყოველ შემთხვევაში, როდესაც იგი ხშირად იქნება ხოლმე იმ ქალის გვერდით. ასეთი ოცნებები ელაციცებოდა კ.-ს, ისიც ელაციცებოდა ოცნებებს. ამასობაში ჰანსი, რომელსაც მხოლოდ დედის ამბავი აფიქრებდა,

შეწუხებული უცქერდა მდუმარე კ.-ს – ასე უცქერიან ექიმს, რომელიც ფიქრობს, რა წამალი გამოუწეროს მძიმე ავადმყოფს. ჰანსი თანახმა იყო, რომ კ. დალაპარაკებოდა ბრუნსვიკს მიწისმზომლის თანამდებობასთან დაკავშირებით, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ დედა დაცული ეყოლებოდა მამის თავდასხმებისაგან, და საერთოდ საქმე ეხებოდა უკიდურეს საჭიროებას, რომელიც, ღვთის მადლით არ უნდა წამოჭრილიყო. ჰანსმა მხოლოდ ის იკითხა, როგორ აუხსნიდა კ. მამას თავის გვიან მისვლას, და, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა, თუმცა, რამდენადმე შეჭმუხვნილი, რომ კ.-მ თქვას, სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანა სკოლაში მუშაობის აუტანელმა პირობებმა, მასწავლებლის დამამცირებელმა მოპყრობამ და ამიტომ ყოველგვარი სიფრთხილე დავივიწყეო.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი მოიფიქრეს და გამოკრთა წარმატების იმედის ნაპერწკალი, ჰანსმა მოიშორა მძიმე ფიქრები, გამხიარულდა და მოჰყვა ბავშვურად ლაპარაკს, ჯერ კ.-სთან, შემდეგ ფრიდასთან – ქალი მთელი ამ დროის მანძილზე რაღაც თავის ფიქრებში იყო ჩაძირული და ახლა-ღა ჩაერთო საერთო საუბარში. სხვათა შორის, ჰკითხა ჰანსს, ვინ გინდა გამოხვიდეო. ბიჭუნას ბევრი არ უფიქრია და უპასუხა მინდა, ისეთი კაცი დავდგე, როგორიც კ.-აო. მაგრამ როდესაც წვრილად დაუწყეს გამოკითხვა, ვერაფერი უპასუხა. ხოლო კითხვაზე, ნუთუ ასე გულით გინდა სკოლის ფარეში გახდეო, ბიჭუნამ გადაჭრით თქვა უარი. მხოლოდ შემდგომი გამოკითხვებიდან გახდა ნათელი, რა შემოვლითი გზებით მივიდა იგი ამ სურვილამდე. კ.-ს ახლანდელი მდგომარეობა – სავალალო და გლახაკური – ვერ იყო სახარბიელო, ეს ჰანსს კარგად ესმოდა. ამას რომ მიმხვდარიყო, არ სჭირდებოდა, სხვა ადამიანებს დაჰკვირვებოდა. სწორედ ამიტომ სურდა დედისთვის თავიდან აეცილებინა კ.-სთან შეხვედრა და საუბარი. მაგრამ იგი კ.-სთან მოვიდა, თვითონ სთხოვა მას დახმარება და ბედნიერი იყო, როდესაც კ. დათანხმდა. მას ეჩვენებოდა, რომ სხვა ადამიანებიც ასევე მოეკიდებოდნენ კ.-ს – აკი დედამ ჰანსს თვითონ დაუწყო გამოკითხვა კ.-ს შესახებ. ამ წინააღმდეგობამ ჰანსი რატომღაც დაარწმუნა იმაში, რომ თუმცა კ. ისე დაბლა დაეცა, რომ ყველას აფრთხობს, მაგრამ რაღაც, მართალია, ძალზე ბუნდოვან, შორეულ მომავალში იგი ყველას აჯობებს. სწორედ, თავისი უაზრობით ეს შორეული მომავალი და იქ მიმავალი საამაყო გზა აცდუნებდნენ ჰანსს, ასეთი ჯილდოს გულისათვის მზად იყო მიეღო კ. თავისი ახლანდელი მდგომარეობით. ყველაზე ბავშვური და, ამასთანავე, ნაადრევად კაცური ჰანსისა და კ.-ს ურთიერთობაში იყო ის, რომ ახლა იგი კ.-ს უყურებდა ზემოდან ქვემოთ, როგორც უმცროსს, რომლის მომავალიც კიდევ უფრო შორეულია, ვიდრე ისეთი ბიჭუნას მერმისი, როგორიც თვითონ არის. ლამის რაღაც სევდიანი სერიოზულობით ლაპარაკობდა ამის შესახებ, როდესაც იძულებული იყო პასუხი გაეცა ფრიდას დაჟინებულ შეკითხვებზე. და მხოლოდ კ.-მ გაამხიარულა იგი, როდესაც თქვა, რომ ესმის, რატომ შურს ჰანსს მისი, – იგი ნატრობს იმ საოცრად ლამაზ ნაჩუქურთმევ ჯოხს, რომელიც მაგიდაზე იდო, – ჰანსი სულ ერთთავად ხელში ათამაშებდა მას და ამასთანავე თითქოს ყურადღებასაც არ აქცევდა, ხოლო კ.-ს ეხერხება ასეთი ჯოხების გამოჭრა, და, თუ მათი გეგმა წარმატებით დასრულდა, იგი კიდევ უფრო ლამაზ ჯოხს გამოუთლის ჰანსს. ბიჭუნას ისე გაეხარდა კ.-ს დაპირება, რომ უნებლიედ იფიქრებდი, ჯოხის გამო ხომ არ აკეთებდა იგი ყველაფერს, და ასევე მხიარულად დაემშვიდობა კ.-ს, მაგრა ჩამოართვა ხელი და თქვა: „ესე იგი, ზეგამდეო!“

14. ფრიდას საყვედური

ის იყო, ჰანსი წავიდა, რომ მასწავლებელმა შემოაღო კარი და, როდესაც დაინახა კ., რომელიც მშვიდად უჯდა მაგიდას ფრიდასთან ერთად, იყვირა: „უკაცრავად, თუ ხელი შეგიშალეთ! ერთი მითხარით, როდის წაეთრევით აქედან? ჩვენ იქითა ოთახში ლამის ერთმანეთს ვასხედვართ თავზე, ხეირიანად გაკვეთილი ვერ ჩაგვიტარებია, თქვენ კი აქ, ტანვარჯიშის დარბაზში ნებივრობთ, თანაც, თანაშემწეები გაყარეთ, რომ უფრო ლაღად იგრძნოთ თავი! აბა, მარდად წამოხტით ახლა ფეხზე და გაინძერით!“ შემდეგ ხაზგასმით მიმართა კ.-ს: „შენ კი მომირბენინე საუზმე ხიდისპირა სამიკიტნოდან!“ მართალია, იგი ხაფი ხმით ყვიროდა, მაგრამ სიტყვები შედარებით მშვიდობიანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ შენობით ლაპარაკი უხეშად სჭრიდა ყურს, კ. უკვე მზად იყო შეესრულებინა ბრძანება და, მხოლოდ იმისთვის, რომ ბოლომდე ეთქმევინებინა სათქმელი, ჰკითხა: „კი მაგრამ, მე ხომ, მგონი სამუშაოდან დამითხოვეთ?“ „დაგითხოვე თუ არ დაგითხოვე, მომიტანე ჩემი საუზმე“, თქვა მასწავლებელმა. „დამითხოვეთ, თუ არ დამითხოვეთ – აი, რა მინდა ვიცოდე“, თქვა კ.-მ. „ რას ფიქრობ?“ თქვა მასწავლებელმა. „შენ ხომ არ დათანხმდი დათხოვნას?“ „ესე იგი, ეს საკმარისია იმისათვის, რომ ვერ დამითხოვოთ?“ ჰკითხა კ.-მ. „ჩემთვის – არ არის საკმარისი, შეგიძლია მენდო“, თქვა მასწავლებელმა, „აი მამასახლისათვის კი, ვერ გამიგია – რატომ, საკმარისია. ახლა კი მარდად, გაიქეცი, თორემ მართლაც გავარდები აქედან.“ კ. ძალზე კმაყოფილი იყო: მაშასადამე, მასწავლებელს უკვე ულაპარაკია მამასახლისთანაც, ან შეიძლება, არც ულაპარაკია, უბრალოდ, წარმოიდგინა, როგორი აზრისა იქნება იგი და ეს აზრი კ.-ს სასიკეთო აღმოჩნდა. ის იყო, უკვე საუზმის მოსატანად წასვლა დააპირა და წინკარში გავიდა, მასწავლებელმა უკან მიიხმო. კაცმა არ იცის, სურდა მოესინჯა, დაუჯერებდა თუ არა კ. მის ბრძანებას, თუ მოეხუშტურა, კიდევ ეპამპულავებინა კ., და სიამოვნებით უყურებდა, რა ჩქარა მირბოდა მისკენ კ., მერე კი მის ბრძანებაზე, თითქოს ლაქია ყოფილიყო, ასევე ჩქარ-ჩქარა მოუსვა უკან. თავის მხრივ, კ.-ს ესმოდა, რომ მეტისმეტად დიდი დამყოლობა მონად და ხელის ბიჭად აქცევდა, მაგრამ გადაწყვიტა, გარკვეულ ზღვარამდე უდრტვინველად ეთმინა მასწავლებლის შარიანობა იმიტომ, რომ თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მასწავლებელს არც ჰქონდა უფლება, სამუშაოდან დაეთხოვა იგი, მაგრამ ეს სამუშაო რომ აუტანელ სატანჯველად გაეხადა, ეს, რა თქმა უნდა, შეეძლო, არადა, სწორედ ამ სამუშაოს იყო კ. ჩაჭიდებული ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. ჰანსთან საუბარმა გაუღვივა ახალი, როგორც ჩანს, სრულიად წარმოუდგენელი, უსაფუძვლო, მაგრამ უკვე დაუძლეველი იმედები. ისინი ბარნაბაზე დამყარებულ იმედებსაც კი აჭარბებდნენ, და თუ ეწადა აესრულებინა ისინი – სხვაგვარად კი არ შეეძლო, – მაშინ უნდა მოეკრიბა მთელი ძალები, არ ეზრუნა სხვა არაფერზე – არც საჭმელ-სასმელზე, არც საცხოვრისზე, არც ადგილობრივ უფროსობაზე, ფრიდაზეც კი, თუმცა ყველაფრის თავი და თავი სწორედ ფრიდა იყო, და მას აინტერესებდა ყოველივე, რაც ფრიდასთან იყო დაკავშირებული. მისი გულისთვის უნდა ცდილიყო შეენარჩუნებინა ეს თანამდებობა, იმიტომ, რომ ეს ხელს აძლევდა ფრიდას, და რახან ასეა, მაშასადამე, არ უნდა ენანა, რომ იძულებულია მასწავლებელს მოუთმინოს მეტი, ვიდრე სხვა ვითარებაში მოითმენდა. და მაინც, ეს არ იყო ისეთი საშიში, ყოველივე ეს იყო სადაგი და წვრილმანი ცხოვრებისეული უსიამოვნებანი – სრულიად უმნიშვნელო რამ იმასთან შედარებით, რასაც კ. ესწრაფოდა, იგი კი აქ სულაც არ ჩამოსულა იმისათვის, რომ პატივსა და განცხრომაში ყოფილიყო.

ამიტომ ისეთივე აჩქარებით, როგორითაც სამიკიტნოში დააპირა გაქცევა, ახალი ბრძანების მიღებისთანავე, ისეთივე მზადყოფნით გადაწყვიტა შესდგომოდა ოთახის დაგვა-დასუფთავებას, რათა აღმზრდელი ქალი თავის კლასთან ერთად თავისუფლად დაბრუნებულიყო აქ, მაგრამ კლასი რაც შეიძლება მალე უნდა დაელაგებინა იმიტომ, რომ კ.-ს მაინც მოსატანი ჰქონდა საუზმე მასწავლებლისათვის – იგი უკვე შეეწუხებინა შიმშილს. კ.-მ აღუთქვა, რასაც ინებებთ, ყველაფერს გავაკეთებო. მასწავლებელი ერთხანს თვალს ადევნებდა, რა ჩქარ-ჩქარა აალაგა კ.-მ ლოგინი, დადგა ადგილზე ტანვარჯიშის იარაღები და თვალის დახამხამებაში მოხვეტა იატაკი, სანამ ფრიდა კათედრას რეცხდა და ხეხავდა. მასწავლებელი თითქოს კმაყოფილი დარჩა მათი სიბეჯითით და კიდევ ერთხელ გაახსენა კ.-ს, კარს უკან შეშა აწყვიაო – როგორც ჩანს, გადაწყვიტა, ახლოს არ მიეშვა შეშის ფარდულთან, – მერე კი დაიმუქრა, მალე მოვბრუნდები და ყველაფერს შევამოწმებო, და თავის მოსწავლეებთან გავიდა.

ფრიდა ერთხანს მდუმარედ მუშაობდა, მერე ჰკითხა კ.-ს, რატომ არის, რომ ახლა მასწავლებელს ყველაფერში უჯერებ და თვალში შესციცინებო. ჰკითხა აშკარად თანაგრძნობის გამო, იმიტომ, რომ გული შესტკიოდა, მაგრამ კ.-მ, რომელიც ფიქრობდა, რომ ფრიდამ დაპირების მიუხედავად ვერ აციცა მას თავიდან მასწავლებლის თვითნებობა და ბრძანებები, მოკლედ უპასუხა, რომ რახან ხელი მოჰკიდა ამ სამუშაოს, მაშასადამე უნდა აკეთოს კიდეც ბოლომდე ისე, როგორც წესი და რიგია. კვლავ დუმილი ჩამოვარდა, მაგრამ შემდეგ კ.-მ, რომელსაც სწორედ ამ ხანმოკლე ლაპარაკის შემდეგ გაახსენდა, რომ ფრიდა უკვე კარგა ხანია, წაეღო რაღაც ნაღვლიანი ფიქრების მორევს, განსაკუთრებით, ჰანსთან საუბრის დროს, ოთახში შეშა რომ შემოიტანა, პირდაპირ ჰკითხა, ასე მწარედ რაზე დაფიქრებულხარო. ქალმა ნელა ასწია თვალები, შეხედა და თქვა, რომ რაღაც გარკვეული არაფერი ჰქონდა საფიქრალი, მხოლოდ ახსენდება დიასახლისი და მისი ზოგიერთი სამართლიანი სიტყვა, ხოლო როდესაც კ. შეუჩნდა და არ მოეშვა, ქალი თავდაპირველად უარობდა, მერე კი წვრილად დაუწყო მოყოლა ისე, რომ თავს არ იღებდა სამუშაოსაგან, მართალია, არა, მეტისმეტი გულმოდგინების გამო, იმიტომ, რომ სამუშაო ადგილიდან არ იძროდა, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ თვალი არ გაესწორებინა კ.-სათვის. და ქალმა უამბო კ.-ს, რომ თავდაპირველად მშვიდად ისმენდა მის საუბარს ჰანსთან, მაგრამ კ.-ს ზოგიერთმა ფრაზამ ააფორიაქა და აიძულა ღრმად ჩასწვდომოდა მისი ნათქვამის აზრს და რომ ამის შემდეგ ყოველივე, რასაც კ. ამბობდა, მუდამ ადასტურებდა დიასახლისის გაფრთხილებისა და სიტყვების სამართლიანობას, თუმცა, თავად მას სულაც არ სურდა, დაეჯერებინა, რომ მეფუნდუკის ცოლი მართალს ამბობდა. კ.-ს გული მოუვიდა ამ ზოგადი არაფრისმთქმელი ფრაზებისა და მისი წუწუნა ხმის გამო, რომელიც უფრო აღიზიანებდა, ვიდრე გულს უჩუყებდა, ყველაზე მეტად კი იმაზე გაბრაზდა, რომ ფუნდუკის დიასახლისი კვლავ ერეოდა მის ცხოვრებაში – უკვე ფრიდას მოგონებების მეშვეობით, ვინაიდან, პირადად აქამდე ვერ ახერხებდა ამას, კ.-მ იატაკზე დაახეთქა შეშის შეკვრა, ზემოდან გადააჯდა და უკვე სერიოზულად მოითხოვა სრული სიცხადე. ,,ძალზე ხშირად", დაიწყო ფრიდამ, ,,სულ თავიდანვე, დიასახლისი ცდილობდა, უნდობლად განვეწყე შენდამი, თუმცა იგი სულაც არ ამტკიცებდა, რომ შენ სტყუი, პირიქით, ამბობდა რომ შენ ბავშვივით მიამიტი ხარ და იმდენად განვსხვავდები ყოველი ჩვენგანისაგან, რომ მაშინაც კი, როდესაც გულწრფელად ლაპარაკობ, ჩვენ გაჭირვებით ვაიძულებთ თავს, დაგიჯეროთ ხოლმე, მაგრამ თუ ჩვენ დროზე არ დაგვმოძღვრავს კეთილი მეგობარი,

მაშინ მწარე გამოცდილება ბოლოს და ბოლოს გამოგვიმუშავებს ჩვევას, ბოლომდე მოგენდოთ. დიასახლისი თავადაც აჰყვა ამ ცდუნებას, თუმცა ერთი შეხედვით ცნობს ადამიანებს. მაგრამ როდესაც სულ ბოლოს გელაპარაკა, მაშინ, ხიდისპირა სამიკიტნოში, იგი ბოლოს და ბოლოს – აქ მე მხოლოდ ვიმეორებ მის მწარე სიტყვებს – მიგიხვდა ეშმაკობას, და ახლა შენ უკვე ვეღარ მოატყუებ, როგორც არ უნდა ეცადო, დამალო შენი ზრახვები, თუმცა, შენ არაფერს მალავ, ეს დიასახლისს დაეჩემებინა მთელი ამ ხნის მანძილზე, მერე კი მეც მითხრა: შეეცადე, ყოველთვის უსმინო მის ლაპარაკს ყურადღებით, – არა ზერელედ, არა ისე, ცალ ყურში რომ შეუშვა, არა, სერიოზულად, მთელი გულისყურით უსმინე, სწორედ ასე მოიქცა თავად და აი, რა დაგცინცლა ჩემთან დაკავშირებით: შენ ფეხაკრეფით მომეპარე – დიასახლისმა სწორედ ეს საზიზღარი სიტყვები იხმარა – მხოლოდ იმიტომ, რომ მე შემთხვევით გადაგეყარე გზაზე, საერთოდ, მოგეწონე, და, ამას გარდა, შენ გეგონა, რომ ნებისმიერი მებუფეტე ქალი ნებისმიერი სტუმრის ლუკმაა, საკმარისია ამ სტუმარმა მხოლოდ ხელი გაიწვდინოსო. ამას გარდა, როგორც ჩემმა დიასახლისმა გაიგო მეფუნდუკისაგან, შენ გსურდა, ღამე გაგეთია იქ, კაცმა არ იცის, რატომ, რაც მოგიხერხდებოდა მხოლოდ ჩემი წყალობით, ხოლო ეს უკვე საკმარისი იყო შენთვის, რომ იმავე ღამეს გამხდარიყავი ჩემი საყვარელი, მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენს ურთიერთობას შენთვის მეტი სარგებლობა მოეტანა, საჭირო იყო რაღაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, და ეს მნიშვნელოვანი რამ იყო კლამი. დიასახლისი ამტკიცებს, რომ მისთვის უცნობია, რა გწადია შენ კლამისაგან, იგი მხოლოდ ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ იქამდე, სანამ მე გამიცნობდი, შენ ისევე ჯიქურ მიისწრაფოდი კლამისაკენ, როგორც ახლა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ აქამდე იმედი არ გქონდა, ახლა კი გადაწყვიტე, რომ ჩემში იპოვე კლამთან მოხვედრის უებარი საშუალება, თანაც, მალე, ძალზე მალე მოხვედრისა. და როგორ შევშინდი – მართალია, მხოლოდ წუთით და ყოვლად უსაფუძვლოდ, – როცა შენ დღეს თქვი, ჩვენი შეხვედრა რომ არა, აქ თავგზა ამერეოდაო. თითქმის იგივე სიტყვები მითხრა ამის შესახებ დიასახლისმაც. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მე გამიცანი, შენ გაგიჩნდა გარკვეული მიზანი. ეს იმიტომ გამოვიდა, რომ შენ გადაწყვიტე, თითქოს ჩემში კლამის საყვარელი მოიპოვე, და ამის შედეგად ხელში ჩაიგდე უძვირფასესი გირაო, რომლითაც შეგიძლია უზარმაზარი გამოსასყიდი აიღო. შენ გეწადა მხოლოდ ერთი რამ, დაგედო კლამთან გარიგება ამ გამოსასყიდის თაობაზე და ვინაიდან მე თვითონ შენთვის არაფერი ვარ, ხოლო ეს გამოსასყიდი – ყველაფერია, ჩემს მიმართ შენ მზად ხარ დათმო ნებისმიერი რამ, მაგრამ გამოსასყიდის მიმართ ივაჭრებ და არაფერს დათმობ. ამიტომ შენ ფეხებზე გკიდია, რომ მე დავკარგავ ადგილს სასტუმროში, იძულებული შევიქნები, წავიდე ხიდისპირა ფუნდუკიდან, ფეხებზე გკიდია, რომ მე მომიწევს ვაკეთო მთელი შავი სამუშაო, როგორც სკოლის მოსამსახურემ. შენ ჩემთვის არა გაქვს არც ხალისი, რომ მომეფერო, არც თავისუფალი წუთი, რომ ჩემთვის მოიცალო, შენ მე მტოვებ თანაშემწეების ამარა. ეჭვიანობის გრძნობა შენ არ გაგაჩნია, ერთადერთი, რასაც შენ აფასებ ჩემში, – ეს ის არის, რომ მე კლამის საყვარელი ვიყავი. ამიტომ, არ მაფასებ და ცდილობ, რომ მე არ დავივიწყო კლამი და მეტისმეტად არ გავუძალიანდე საკუთარ თავს, როდესაც გადამწყვეტი მომენტი დადგება. მაგრამ შენ დიასახლისსაც ებრძვი, რადგან გგონია, რომ მხოლოდ მას შეუძლია წაგართვას ჩემი თავი, ამიტომაც გაამწვავე ჩვენი კინკლაობა უკიდურესობამდე და მიიყვანე იქამდე, რომ ჩვენთვის ეთხოვათ, დაგვეტოვებინა ფუნდუკი, ხოლო იმაში, რომ მე, რამდენადაც ეს ჩემზეა დამოკიდებული, ნებისმიერ ვითარებაში შენს საკუთრებად დავრჩები, ამაში შენ ოდნავაც არ გეპარება ეჭვი. კლამთან მოლაპარაკება შენ გესახება როგორც ორმხრივ

სასარგებლო კომერციული გარიგება. შენ ითვალისწინებ ყველაფერს, ოღონდ შენი გაიტანო. მოინდომებს კლამი ჩემს დაბრუნებას – შენ დამთმობ მე. მოინდომებს, რომ შენ დარჩე ჩემთან, – დარჩები. მოინდომებს, რომ შენ გამაგდო მე, – გამაგდებ კიდეც. მაგრამ შენ მზად ხარ, კომედიაც ითამაშო. თუ ხელსაყრელი იქნება შენთვის – თავს მოიკატუნებ, რომ გიყვარვარ, შეეცდები, დასძლიო მისი გულგრილობა ჩემდამი იმით, რომ მოჰყვები საკუთარი თავის დამცირებას, რათა ნამუსზე შეაგდო იგი: აი, ასეთმა კაცმა დაიკავა მისი ადგილი, ანდა იმით, რომ მას გადასცე ყოველივე ის, რაც მე მითქვამს მის სიყვარულზე – მე ხომ მართლაც გიამბობდი მის შესახებ, – და სთხოვ, კვლავ დამიბრუნოს, ამასთან, რასაკვირველია, თავიდან გამოსასყიდს გამოართმევ. ხოლო თუ არაფერი არ გამოგივიდა, შენ უბრალოდ დაიწყებ მათხოვრობას ცოლ-ქმარი კ.-ების სახელით. ხოლო თუ შემდეგ დაინახავ, მითხრა დასასრულ დიასახლისმა, რომ შეცდი ყველაფერში – შენს ვარაუდებში, შენს იმედებში, და იმაში, როგორც შენ წარმოგედგინა თვით კლამიც, და მისი დამოკიდებულებაც ჩემდამი, – მაშინ მე ყველაზე შავი დღე დამადგება, იმიტომ, რომ მაშინ მე მართლაც გავხდები შენი საკუთრება, რომელიც არც იცი, რა ჯანდაბად გინდა, თანაც ყოვლად გაუფასურებული საკუთრება, და ნივთივით დამიწყებ მოპყრობას, იმიტომ, რომ არავითარი გრძნობა, მესაკუთრის გრძნობის გარდა შენ ჩემდამი არ გქონია და არა გაქვს.“

კ. დაძაბული უსმენდა ფრიდას, მჭიდროდ მოეკუმა ტუჩები. შეშის შეკვრა, რომელზეც იჯდა, დაიშალა და ლამის იატაკზე აღმოჩნდა, მაგრამ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. მხოლოდ ახლა ადგა, კათედრის საფეხურზე ჩამოჯდა და ფრიდას ხელი აიღო თავისაში, თუმცა ქალი უღონოდ შეეცადა, წაერთმია ხელი, და თქვა: „შენს სიტყვებში ვერასდროს ვერ ვარჩევდი, რომელია შენი აზრი, და რომელი – დიასახლისისა.“ „არა, ეს მხოლოდ დიასახლისის აზრია“, თქვა ფრიდამ. „ყოველივე, რაც მან მითხრა, ყურადღებით მოვისმინე, იმიტომ, რომ პატივს ვცემ, მაგრამ ჩემ დღეში პირველად, არაფერში არ დავეთანხმე. ყოველივე, რაც მან თქვა, უბადრუკი და შორეული მომეჩვენა ჩემი და შენი ურთიერთობისაგან, როგორც ჩვენ გვესმის. უფრო მეტიც, მე მგონია, რომ სინამდვილეში ყველაფერი იმის საპირისპიროდ არის, რასაც დიასახლისი მეუბნებოდა. მე გავიხსენე ის სევდიანი დილა ჩვენი პირველი ღამის შემდეგ როდესაც შენ დაჩოქილი იდექი ჩემს გვერდით ისეთი სახით, თითქოს ყველაფერი დაკარგულიაო და შემდეგ მართლაც ასე მოხდა: რამდენი ვეცადე, რამდენს გეხმარებოდი, და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გიშლიდი ხელს. ჩემს გამო დიასახლისი მტრად გადაგეკიდა, თანაც, ძლიერ მტრად, რასაც შენ დღემდე ვერ აფასებ ჩემს გამო, შენი მუდმივი საზრუნავის გამო, შენ იძულებული ხარ, იბრძოლო შენი ადგილისათვის, შენ მარცხი განიცადე მამასახლისთან, უნდა დამორჩილებოდი მასწავლებელს, აგეტანა თანაშემწეები, და – რაც ყველაზე უარესია, – შენ იქნებ, მოიმდურე კლამი ჩემს გამო. აკი ის, რომ შენ ჯიუტად გწადია კლამთან მოხვედრა, – არის მხოლოდ უძლური მცდელობა, რამენაირად დააშოშმინო იგი. და მე ჩემ თავს ვუთხარი: ალბათ, დიასახლისს, რომელმაც, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ჩემზე უკეთ იცის, უბრალოდ სურდა, დავეფარე ყველაზე საშინელი სინდისის ქენჯნისაგან, ეს რა თქმა უნდა, კეთილი განზრახვაა, მაგრამ სრულიად ზედმეტი. შენდამი სიყვარული დამეხმარებოდა, მომეთმინა და ამეტანა ყველაფერი; იგი ბოლოს და ბოლოს შენც დაგეხმარებოდა, გამოგეჩინა თავი თუ არა აქ, სოფელში, მაშინ სადმე სხვაგან. ჩემმა სიყვარულმა უკვე დაგიმტკიცა თავისი ძალა – მან ბარნაბას ოჯახისაგან გადაგარჩინა.“ „მაშასადამე, მაშინ შენ ასე ფიქრობდი, დიასახლისის საპირისპიროდ“,

თქვა კ.-მ, „მაგრამ რამ შეგცვალა მას შემდეგ?“ „არ ვიცი“, თქვა ფრიდამ და დახედა კ.-ს ხელს, მას რომ ედო ხელზე, „იქნებ, არც შევცვლილვარ: როდესაც შენ ასე ახლოს ხარ და ასე მშვიდად მეკითხები, მე მჯერა, რომ არაფერი არ შეცვლილა. მაგრამ სინამდვილეში...“ აქ ქალმა ხელი წაართვა კ.-ს, წელში გასწორდა და ატირდა. არ დაუმალავს, და მისკენ მიაბრუნა სახე, რომელზეც ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. ისე უყურებდა, თითქოს საკუთარ თავს კი არ სტირის და იმიტომ არა აქვს დასამალი არაფერი, არამედ კ.-ს ღალატის გამო ტირის, და სწორედ ამიტომ, კ.-მ უნდა ნახოსო მისი მწარე ცრემლი. „სინამდვილეში“, განაგრძო ქალმა, „ყველაფერი შეიცვალა იმ წუთიდან, რაც მე გავიგონე შენი და ბიჭის საუბარი. რა უწყინარად დაიწყე შენ ეს ლაპარაკი, როგორ ეკითხებოდი მის შინაურებზე, ათას რაღაცაზე, გეგონებოდა, შენ ისევ შემოხვედიო ჩემთან ბუფეტში, ასეთი გულღია, წრფელი და ასევე ბავშვური დაჟინებით ეძებო ჩემს მზერას. ყველაფერი ისე იყო, როგორც წინათ – არავითარი განსხვავება, – და მე მხოლოდ მინდოდა, რომ დიასახლისიც აქ ყოფილიყო, შენთვის ესმინა და მაინც ცდილიყო, თავის აზრზე დარჩენილიყო, მაგრამ შემდეგ უეცრად, თვითონაც არ ვიცი, როგორ, მოხდა ეს, მე მივხვდი, რატომ გაუბი ლაპარაკი ბიჭუნას. შენ მისი ნდობა მოიხვეჭე – ეს არ იყო იოლი საქმე – შენი თანამგრძნობი სიტყვებით, რომ შემდეგ დაუბრკოლებლად გევლო შენი მიზნისაკენ, ხოლო ჩემთვის ეს სულ უფრო ცხადი ხდებოდა, შენი მიზანი იყო ის ქალი. ერთი შეხედვით, შენ თითქოს გაწუხებდა მისი ბედი, მაგრამ ამ სიტყვების მიღმა იმალებოდა ერთი საზრუნავი – შენი საკუთარი საქმეების გამო. შენ მოატყუე ეს ქალი ჯერ კიდევ იქამდე, სანამ მის ნდობას მოიხვეჭდი. არა მარტო ჩემი წარსული, არამედ ჩემი მომავალიც შევიგრძენი შენს სიტყვებში. მეჩვენებოდა, თითქოს გვერდით მიზისო დიასახლისი და ყველაფერს მიხსნის, და თუმცა, მე რაც ძალი და ღონე მაქვს, ვცდილობ, თავიდან მოვიშორო იგი, მაგრამ თავად ნათლად ვხედავ ჩემი ძალისხმევის ამაოებას, როცა ამ შემთხვევაში უკვე მარტო მე კი არ მატყუებდნენ – ჩემი მოტყუება ახლა არც ღირდა! – არამედ ატყუებდნენ იმ უცხო ქალს, მაშინ მე ძალა მოვიკრიბე და ვკითხე ჰანსს, ვინ გინდა-მეთქი გამოხვიდე, ხოლო ბავშვმა მიპასუხა, სურს გამოვიდეს ისეთი, როგორიც შენა ხარ, ანუ უკვე მთლიანად მოექცა შენი გავლენის ქვეშ, განა მაშინ უკვე იყო რაღაც განსხვავება ჩვენს შორის – რით განვსხვავდებოდით ერთმანეთისაგან ჩვენ ორნი – გულკეთილი ბიჭუნა, რომელსაც აქ ატყუებდნენ, და მე, რომელიც მაშინ, სასტუმროში მომატყუეს?“

„ყველაფერი, რაც შენ თქვი“, დაიწყო კ.-მ, რომელსაც ამასობაში უკვე დაეოკებინა თავი და აუღელვებლად ისმენდა ჩვეულ საყვედურებს, „ყველაფერი, რაც შენ თქვი, გარკვეული თვალსაზრისით სწორია. თუმც არც არის ლოგიკური, და ძალზე მტრულია ჩემდამი. ეს ხომ დიასახლისის, ჩემი მტრის აზრებია და ამით შემიძლია ვინუგეშო თავი. თუმცა შენ გგონია, რომ ეს შენი საკუთარი აზრია. ეს ყურადსაღები სიტყვებია, დიასახლისისაგან ბევრი რამ შეგეძლო გესწავლა. ჩემთვის პირში არასდროს უთქვამს ეს, თუმცა, სხვა მხრივ, მაინც და მაინც არ მწყალობდა. ეტყობა, მან შენ გადმოგილოცა ეს იარაღი იმ იმედით, რომ შენ იხმარ მას ჩემთვის განსაკუთრებით მძიმე ან განსაკუთრებით გადამწყვეტ წუთს. და თუ მე ბოროტად ვიყენებ შენდამი ურთიერთობას, ის ქალიც ამგვარად დანამდვილებით ბოროტად გიყენებს შენ. ახლა კი, ფრიდა, თავად დაფიქრდი: ყველაფერი ისეც რომ ყოფილიყო, როგორც დიასახლისი ამბობს, მაშინ ყველაფერი ძალზე ცუდი იქნებოდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში – თუ მე შენ არ შეგიყვარდებოდი. მაშინ, მხოლოდ მაშინ, მართლაც აღმოჩნდებოდა, რომ მე ეშმაკობით, ანგარებით შეგაყვარე თავი, რათა შემდეგ მევაჭრა

ჩემი შეყვარებულით. იქნებ, მე წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით განზრახ დაგენახვე შენ, ოლღასთან ერთად, რათა შენში სიბრალული გამომეწვია, ხოლო დიასახლისს, ეტყობა, დაავიწყდა ესეც შეეტანა ჩემი ბრალეულობის ნუსხაში, მაგრამ თუ ასეთი ბილწი საქციელი არ ყოფილა, თუ ვერაგმა მტაცებელმა კი არ ჩაგიგდო მაშინ თავის კლანჭებში, არამედ შენ თვითონ წამოხვედი ჩემს შესახვედრად, როგორც მე – შენკენ, და ჩვენ, ყველასგან დავიწყებულებმა, ვიპოვეთ ერთმანეთი, – მაშინ? და თუ ეს ასეა, ფრიდა, მაშინ რა? მაშინ, გამოდის, რომ მე ვაკეთებ არა მარტო ჩემს, არამედ შენს საქმესაც, აქ არავითარი განსხვავება არ არის, და მხოლოდ მტერს შეუძლია დაგვაცალკევოს ჩვენ. ასეა ყველაფერში, ასეა ჰანსის მიმართაც საქმე. მაგრამ შენ მეტად აზვიადებ ჰანსთან საუბრის აზრს, შენი მეტისმეტი ბუტიაობის გამო. აკი, მაშინაც კი, თუ მთლად არ ემთხვევა ერთმანეთს ჩვენი განზრახვები, განსაკუთრებული წინააღმდეგობანი ჩვენს შორის არ არის, ამას გარდა, ჩვენი უთანხმოებანი ჰანსს უყურადღებოდ არ დარჩენია და თუ შენ ასე ფიქრობ, მაშინ ვერ დაგიფასებია ეს პატარა ფრთხილი კაცი, მაგრამ მაშინაც კი, თუ მან ვერაფერი ვერ გაიგო, ვიმედოვნებ, ეს არ არის დიდი უბედურება.“

„ძალიან ძნელია, გავერკვე ყოველივე ამაში, კ.“, თქვა ფრიდამ და ამოიოხრა, „არავითარი უნდობლობა შენს მიმართ, რა თქმა უნდა, არა მაქვს. ხოლო თუ რაღაცაში ავყევი კიდეც დიასახლისს, სიამოვნებით ვიტყვი ამაზე უარს და მუხლმოდრეკილი შეგევედრები პატიებას – მე ხომ სულ მუდამ ასე ვაკეთებ, თუმცა მწარე სიტყვებს ვამბობ, სიმართლე მხოლოდ ერთია: შენ ბევრ რამეს მიმალავ მე, შენ მიდიხარ და მოდიხარ, კაცმა არ იცის, სად და კაცმა არ იცის, საიდან. გახსოვს, როდესაც ჰანსმა დაგვიკაკუნა, შენ აღმოგხდა კიდეც: „ბარნაბაო!“ ო, შენ ერთხელ მაინც რომ დაგეძახა ჩემთვის ასეთივე სიყვარულით, როგორითაც შენ, კაცმა არ იცის რატომ, აღმოგხდა ეს საძულველი სახელი! თუ შენ მე არ მენდობი, როგორ არ გამიჩნდება ეჭვები? ასე ხომ შეიძლება მთლად ავყვე დიასახლისის გავლენას, შენ თითქოს ადასტურებო მის ნათქვამ ყოველ სიტყვას მთელი შენი საქციელით, არა ყველაფერში, რა თქმა უნდა. მე სულაც არ მინდა, ვამტკიცო, რომ შენ ყველაფერში ადასტურებ მის სიტყვებს: ხომ გაყარე ჩემი გულისათვის შენი საკუთარი თანაშემწენი. აჰ, რომ იცოდე, რა მოწადინებული ვეძებ კარგს ყველაფერში, რასაც შენ ამბობ და აკეთებ, როგორც არ უნდა მტკენდე გულს.“ „უწინარეს ყოვლისა, ფრიდა“, თქვა კ.-მ, „მე შენ აბსოლუტურად არაფერს არ გიმალავ, მაგრამ, მაინც, როგორ ვძულვარ დიასახლისს, როგორ ცდილობს, წამართვას შენი თავი, რა საზიზღარი ხერხებით ისწრაფვის ამის კეთებას, და როგორ გიყოლიებს შენ?! ერთი მითხარი, რა გიჩუმჩუმელე? რომ მინდა კლამთან მოვხდე, შენ იცი. რომ შენ ამაში ვერაფრით ვერ დამეხმარები და რომ იძულებული ვიქნები ამის მიღწევას საკუთარი ძალებით ვეცადო, შენ ესეც იცი. ხოლო იმას, რომ აქამდე ვერაფერი მოვახერხე გამეკეთებინა, შენ თვითონ ხედავ. ნუთუ საჭიროა გიამბო მთელი ჩემი ფუჭი ცდების შესახებ, რომლებიც უამისოდაც ძალზე დამამცირებელია ჩემთვის, და ამით კიდევ უფრო დავიმცირო თავი? ნუთუ საჭიროა ვიტრაბახო იმით, როგორ ვიყინებოდი კლამის მარხილის საფეხურზე, როდესაც ამაოდ ველოდებოდი მას მთელი დღის განმავლობაში? მე შენკენ მოვიჩქარი და ვხარობ, რომ აღარ მომიწევს ფიქრი ასეთ რამეებზეზე, შენ კი კვლავ მახსენებ მათ. ბარნაბა რაღა შუაშია? რა თქმა უნდა, მე ველოდები ბარნაბას. ის კლამის შიკრიკია და, სხვათა შორის, მე არ დამინიშნავს ამ თანამდებობაზე.“ „ისევ ბარნაბა?“ აღმოხდა ფრიდას. „ვერასდროს ვერ დავიჯერებ, რომ ის კარგი შიკრიკია.“ „შეიძლება სწორიც იყო“, თქვა კ.-მ, „მაგრამ სხვა შიკრიკი ჩემთვის არ მოუციათ. იგი ერთადერთია.“ „მით

უარესი“, თქვა ფრიდამ, „მით უფრო მეტად უნდა უფრთხილდე მას.“ „სამწუხაროდ, დღემდე ამის საბაბი არ მოუცია ჩემთვის“, ღიმილით თქვა კ.-მ. „იშვიათად მოდის ხოლმე. ყველაფერი, რაც მოაქვს, – არაფერს არ ნიშნავს, ფასეულია მხოლოდ ის, რომ ეს უშუალოდ თვით კლამისაგან მომდინარეობს.“ „მაგრამ, მისმინე“, თქვა ფრიდამ, „გამოდის, რომ თვით კლამიც უკვე აღარ არის შენთვის მიზანი, ეგებ, ეს მაწუხებს ყველაზე მეტად. ცუდი იყო, როდესაც შენ, თავზე მახტებოდი, და სულ მუდამ კლამისაკენ მიისწრაფოდი, მაგრამ გაცილებით უარესია, თუ შენ ახლა თითქოს ხელს იღებ კლამზე, ეს თვით დიასახლისმაც კი ვერ გაითვალისწინა. მეფუნდუკის ცოლის თქმით, ჩემს ბედნიერებას, რომელიც ერთობ საეჭვოა, მაგრამ მაინც, – ნამდვილი, იმ დღეს გამოუვა წირვა, როდესაც შენ მიხვდები, რომ კლამზე ტყუილად ამყარებდი იმედებს. ახლა კი ამ დღესაც აღარ ელოდები, უეცრად ჩნდება პატარა ბიჭი და შენ იწყებ ბრძოლას ბიჭუნასთან მისი დედისათვის არა სასიცოცხლოდ, არამედ სამკვდროდ.“ „შენ სწორად აღიქვი ჩემი და ჰანსის საუბარი“, თქვა კ.-მ. „ასეც იყო. ნუთუ შენ იმდენად დაგავიწყდა მთელი შენი წინანდელი ცხოვრება (რა თქმა უნდა, დიასახლისის გარდა, მას ვერსად გაექცევი), რომ აღარ გახსოვს, როგორ გიხდება ბრძოლა ყოველი წინ წადგმული ნაბიჯისათვის, მეტადრე, როდესაც სულ ქვედა ფენებიდან მოდიხარ? როგორ უნდა გამოიყენო ყველაფერი, რაშიც თუნდაც უმცირესი იმედი იმალება? ხოლო იმ ქალმა – გოდლიდან, მან თვითონ თქვა ასე, პირველ დღეს, როდესაც გზა ამებნა და ლაზემანთან მოვხვდი. რა უნდა ყოფილიყო იმაზე უფრო ბუნებრივი, ვიდრე ის, რომ მისი რჩევა ან დახმარებაც კი მეთხოვა; და თუ დიასახლისი ასე ცხადად ხედავს ყველა დაბრკოლებას, რომლებიც ხელს უშლის კლამთან მოხვედრას, მაშინ ამ ქალმა ალბათ, იცის იქ მიმავალი გზა, თავად მან გამოიარა ეს გზა.“ „კლამისაკენ მიმავალი გზა?“ იკითხა ფრიდამ. „რა თქმა უნდა, კლამისაკენ, მაშ სხვა ვისკენ მიმავალი?“ თქვა კ.-მ და ადგილიდან წამოხტა. „ახლა კი კარგა ხანია, დადგა დრო, საუზმე მოვიტანო.“ მოულოდნელად, ისეთი სიმტკიცით, რომელიც სულაც არ შეეფერებოდა ასეთ უმნიშვნელო საბაბს, ფრიდამ დაუწყო ხვეწნა-მუდარა, დარჩენილიყო, თითქოს მას მხოლოდ თავისი იქ ყოფნით შეეძლო დაედასტურებინა ქალისთვის ნათქვამი ყველა სანუგეშო სიტყვა. მაგრამ კ.-მ გაახსენა მასწავლებელი, თვალით ანიშნა კარზე, რომელიც ყოველ წუთს შეიძლებოდა ხმაურით გაღებულიყო, და შეპირდა, რომ რაც შეიძლება მალე დაბრუნდებოდა, ღუმელის დანთებაც არ გინდა, მოვალ და შეშას მე შევუკეთებო. ბოლოს და ბოლოს, ფრიდა უსიტყვოდ დანებდა. ეზოში, წელამდე თოვლში – ბილიკი დიდი ხნის გასაწმენდი იყო. საკვირველია, რა ზოზინით სრულდებოდა სამუშაო! – კ.-მ დაინახა, რომ დაღლილობისაგან მისავათებული ერთი თანაშემწეთაგანი ჯერ კიდევ იდგა ფეხზე და მესერს ჩასჭიდებოდა. მხოლოდ ერთი, მეორე სადღაა? იქნებ, ბოლოს და ბოლოს, თუნდაც ერთი მათგანი გამოიყვანა მოთმინებიდან? მართალია, ამას კიდევ საკმარისად მოსდგამდა ქადილის ძალა, ეს ერთბაშად გამოჩნდა, როცა კ.-ს დანახვაზე უწინდებურზე მეტად დაიწყო ხელების ქნევა და თვალების კარკვლა. „აი, სანიმუშო სიმტკიცე!“ უთხრა საკუთარ თავს კ.-მ და იქვე დასძინა: „მაგრამ ასე ხომ შეიძლება ღობესთან გაიყინოს!“ თუმცა კ.-მ არაფერი არ შეიმჩნია და თანაშემწეს მუშტი მოუღერა: არც კი იფიქრო, არ მომეკაროო, ისიც, შეშინებული გახტა განზე. მაგრამ აქ ფრიდამ ფანჯარა გამოაღო, რათა ღუმელის ანთებამდე ოთახი გაენიავებინა, როგორც კ.-ს მოელაპარაკა. თანაშემწემ მთელი თავისი ყურადღება დაუყოვნებლივ გადაიტანა ქალზე და ფეხაკრეფით იწყო ფანჯარასთან მიპარვა, თითქოს რაღაც უჩინარი ძალა დაუოკებლად ეწევაო. დაბნეული სახით, აშკარად, თანაშემწის მიმართ სიბრალულით აღსავსე ფრიდამ, რომელიც უმწეო ვედრებით მისჩერებოდა კ.-ს,

გაიწვდინა ხელი ფანჯრიდან, მაგრამ ძნელი გასარჩევი იყო, იხმობდა თუ აგდებდა თანაშემწეს, რათა იგი არ აჰყოლოდა ცდუნებას და უფრო ახლოს არ მისულიყო. აქ ფრიდამ სასწრაფოდ მიიჯახუნა გარეთა დარაბა, მაგრამ ფანჯარასთან დარჩა საკეტზე ხელჩამოდებული, და ბაგეზე ღიმილშეყინული, გვერდზე თავგადახრილი, თვალს არ აცილებდა გათოშილ მსახურს. ესმოდა კი ქალს, რომ ამით უფრო იზიდავდა, ვიდრე განიზიდავდა თანაშემწეს? მაგრამ კ.-ს მეტი აღარ მოუბრუნებია თავი, ერჩივნა, ყველაფერი რაც შეიძლება მალე მოეთავებინა და სასწრაფოდ დაბრუნებულიყო შინ.

15. ამალიასთან

საღამოხანს, როცა უკვე ბინდი ჩამოწვა, – კ.-მ, როგორც იქნა, გაწმინდა ბილიკი და მაგრა დატკეპნა თოვლის ნაყარი გზის ორსავე მხარეს – ამ დღის სამუშაო უკვე მოთავებული ჰქონდა. კ. ფანჯარასთან იდგა მარტოდ მარტო, ირგვლივ ძეხორციელი არ ჩანდა. თანაშემწე უკვე რამდენიმე საათის გაძევებული ჰყავდა მოუსავლეთში, იგი სადღაც ბაღებსა და ქოხმახებს მიღმა, გადაკარგულიყო, და მას შემდეგ აღარც გამოჩენილა. ფრიდა შინ დარჩა. ან ჯერ რეცხდა სარეცხს, ან უკვე გიზას კატა აბანავებდა: გიზას მხრივ ეს დიდი ნდობის ნიშანი იყო – ფრიდასთვის დაეკისრებინა ასეთი სამუშაო, მართალია, ერთობ უსიამო და შეუფერებელი. და კ., ალბათ, არასდროს დაანებებდა ფრიდას, ხელი მოეკიდა ამ საქმისთვის, მაგრამ რა გაეწყობოდა, მათი სამსახურებრივი იაღლიშების შემდეგ იძულებული იყვნენ, აღედგინათ კეთილი ურთიერთობა გიზასთან. მასწავლებელი ქალი მოწონებით ადევნებდა თვალს, როგორ ჩამოიტანა კ.-მ სხვენიდან საბავშვო აბაზანა, როგორ გააცხელეს წყალი და, ბოლოს, რა ფრთხილად ჩასვეს კატა აბაზანაში. შემდეგ გიზამ კატა ფრიდასამარა დატოვა იმიტომ, რომ მოუვიდა შვარცერი, ის კაცი, რომელიც კ.-მ პირველ საღამოს გაიცნო. სტუმარი მიესალმა კ.-ს, ნაწილობრივ – დაბნეული იმ საღამოს მომხდარი ამბების გამო, და ნაწილობრივ – ერთობ ქედმაღლურად, როგორც უნდა მისალმებოდა სკოლის ფარეშს, ამის შემდეგ გიზასთან ერთად მეზობელ ოთახში გავიდა. აქამდე იქ ისხდნენ. ხიდისპირა სამიკიტნოში კ.-მ გაიგო, რომ შვარცერი, თუმც მოურავის ვაჟია, კარგა ხანია, სოფელში ცხოვრობს, რადგან გიზას ეტრფისო. დიდი პროტექციით, თემისაგან მასწავლებლის თანაშემწის ადგილს მიაღწია, მაგრამ თავის მოვალეობებს ასრულებდა, უმთავრესად, იმ გზით, რომ გიზას ყველა გაკვეთილს ესწრებოდა, თანაც, ან მერხთან იჯდა მოსწავლეებს შორის, ან გიზას ფერხთით კათედრაზე. არავის არ უშლიდა ხელს, ბავშვები დიდი ხანია, მიეჩვივნენ, რაც სავსებით გასაგები იყო, ვინაიდან შვარცერს ბავშვები არ უყვარდა და არ ესმოდა მათი, თითქმის ხმას არ სცემდა, და გიზას მაგიერობას სწევდა მხოლოდ ტანვარჯიშის გაკვეთილებზე, სხვა მხრივ კი იმას სჯერდებოდა, რომ სუნთქავდა იმ ჰაერს, რომელსაც – გიზა, მისი სიახლოვით, მისი სითბოთი სულდგმულობდა. შვარცერისათვის ყველაზე დიდი ტკბობა იყო გიზას გვერდით ჯდომა და მოსწავლეთა რვეულების სწორება. დღესაც ამავე საქმეს აკეთებდნენ. შვარცერმა მოიტანა რვეულების დიდი დასტა – მასწავლებელი მას თავის რვეულებსაც აძლევდა, – და, სანამ არ ჩამობნელდა, კ. ხედავდა, როგორ მუშაობდნენ ისინი ფანჯრის რაფაზე მიმდგარ მაგიდასთან და როგორ ისხდნენ გუგულებივით, გარინდული და თავზე თავმიდებულნი. ახლა მოჩანდა მხოლოდ ორი მინის მიღმა მბჟუტავი სანთელი. სერიოზული, მდუმარე სიყვარული აკავშირებდა ამ ორს. ტონის მიმცემი გიზა იყო. თუმცა თავისი უჟმური ხასიათის გამო შეეძლო, ზოგჯერ

მოთმინებიდან გამოსულიყო და საზღვარს გასცილებოდა, სხვებისაგან კი არასდროს მოითმენდა მსგავსს არაფერს, და შვარცერი, ცოცხალი და მკვირცხლი, უნდა დამორჩილებოდა ქალს – ნელა ევლო, ნელა ელაპარაკა, დიდხანს არ დაერღვია სიჩუმე. მაგრამ ეტყობოდა, რომ ამას ასკეც უნაზღაურებდა გიზას გვერდით ყოფნა, მისი მშვიდი სისადავე, თანაც, გიზას შეიძლება სულაც არ უყვარდა იგი, ყოველ შემთხვევაში, ამ კითხვაზე პასუხს ვერ ამოიკითხავდი ქალის მრგვალ ნაცრისფერ თვალებში, რომლებსაც საერთოდ არ ახამხამებდა და რომლებშიც, გეგონებოდა, მხოლოდ გუგები მოძრაობენო. ეტყობოდა, რომ იგი უპროტესტოდ ითმენდა შვარცერს, მაგრამ პატივს, რომელიც მოურავის ვაჟის სიყვარულით გამოიხატებოდა, არ სცნობდა, და მშვიდად დაატარებდა თავის სრულ, ფუმფულა სხეულს იმისდა მიუხედავად, უყურებდა მას შვარცერი, თუ არა. შვარცერი კი, პირიქით, მზად იყო, მსხვერპლად შეეწირა თავი მისი გულისათვის და სოფელში ცხოვრობდა. მამამისის შიკრიკებს, რომლებიც მის წასაყვანად მოდიოდნენ, იგი ისეთი აღშფოთებით აძევებდა გარეთ, თითქოს მათი მოსვლით გამოწვეულმა სახელდახელო შეხსენებამ გოდლისა და ვაჟიშვილის მოვალეობის შესახებ უკვე მიაყენაო მგრძნობიარე და გამოუსწორებელი ზიანი მის ბედნიერებას. არადა, თავისუფალი დრო შვარცერს, არსებითად, თავზე საყრელი ჰქონდა, იმიტომ, რომ გიზა, კაცმა რომ თქვას, მას ენახვებოდა მხოლოდ გაკვეთილებზე და რვეულების სწორების დროს, თანაც, არა რაიმე ანგარებით, არამედ იმიტომ, რომ უყვარდა თავისი კომფორტი და ამჯობინებდა სიმარტოვეს, რადგან თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობდა მაშინ, როდესაც შეეძლო, შინ თავისუფლად წამოგორებულიყო ტახტზე და გვერდით დაეწვინა კატა, რომელიც ხელს არ უშლიდა იმიტომ, რომ თითქმის ვერ მოძრაობდა. შვარცერიც დღის უმეტეს ნაწილს უსაქმო ყიალში ატარებდა, მაგრამ ესეც მოსწონდა, ვინაიდან ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობა – და ამ შესაძლებლობას ფართოდ იყენებდა – წასულიყო ლოევენგასეზე, სადაც გიზა ცხოვრობდა, აერბინა მის მანსარდამდე, ცოტა ხანს მდგარიყო ნიადაგ ჩაკეტილ კართან, მიეყურადებინა, მერე კი სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას მას შემდეგ, რაც დაადგენდა, რომ ოთახში მუდამ აუხსნელი და სრული სიჩუმე სუფევს და მაინც, ზოგჯერ – მაგრამ მხოლოდ არა გიზას თანდასწრებით – ამ უცნაური ცხოვრების წესის შედეგები თავს იჩენდა მასში უეცრად გამოღვიძებული, ჩინოვნიკური ქედმაღლობის უაზრო აფეთქებებით, რომლებიც სულაც არ იყო მოსატანი მის ახლანდელ მდგომარეობასთან. თან ეს, ჩვეულებრივ, არცთუ კარგად მთავრდებოდა ხოლმე, რისი მოწმეც გახდა თვით კ.

საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ ბევრნი, ყოველ შემთხვევაში, ხიდისპირა ფუნდუკში შვარცერზე ერთგვარი პატივისცემით ლაპარაკობდნენ, მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხებოდა უფრო სასაცილო, ვიდრე მნიშვნელოვან ამბებს, თანაც, ეს პატივისმცემლური დამოკიდებულება გიზაზეც ვრცელდებოდა. და მაინც, შვარცერის მხრივ არ იყო სწორი იმის ფიქრი, რომ როგორც მასწავლებლის თანაშემწე იგი გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე კ., – ასეთი უპირატესობა მას საერთოდ არ გააჩნდა: სკოლის მასწავლებლებისათვის, მეტადრე, შვარცერისთანებისათვის, სკოლის ფარეში ფრიად მნიშვნელოვანი პერსონაა და არ შეიძლებოდა, დაუსჯელად უგულებელგეყო იგი. ხოლო თუ ქედმაღლობის მიზეზი ვისიმე სამსახურებრივი მდგომარეობა იყო, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, მეორე მხარისთვისაც უნდა მიგეცა შესაძლებლობა, თავისუფლად გამოევლინა თავისი დამოკიდებულება. შვარცერი აპირებდა, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, მოეფიქრებინა ეს, და, ამას გარდა, შვარცერი ჯერ კიდევ პირველი საღამოდანვე მტყუანი იყო მის წინაშე, და ამ

მტყუანობას ოდნავადაც ვერ ანელებდა ის გარემოება, რომ მომდევნო დღეების ამბებმა, არსებითად დაადადასტურეს შვარცერის სისწორე იმაში, როგორც მიიღო მან კ.. როგორ შეიძლებოდა იმის დავიწყება, რომ აღნიშნულმა მიღებამ, შეიძლება, ტონიც კი მისცა მომდევნო ამბებს, შვარცერის გამო ხელისუფალთა მთელი ყურადღება პირველივე წუთებიდან კ.-სადმი იყო მიპყრობილი, როდესაც იგი, სოფელში და სოფლელებში ხამი კაცი, რომელსაც ერთი ნაცნობიც არ ჰყავდა და თავის მისადები ადგილი არ ჰქონდა, მგზავრობით დაღლილ-დაქანცული და გალახული იწვა იქ თივის ნაალზე, უმწეო და დაუცველი - ნებისმიერი ჩინოვნიკის თავდასხმების წინაშე. არადა, იმ ღამეს მშვიდად რომ ჩაევლო, საქმე შეიძლებოდა, არც გახმაურებულიყო. ყოველ შემთხვევაში, კ.-ს შესახებ არავის არაფერი არ ეცოდინებოდა, არავითარ მითქმა-მოთქმას არ გამოიწვევდა და ნებისმიერი სოფლელი უყოყმანოდ გაათევინებდა ღამეს როგორც ნებისმიერ სხვა სტუმარს. ყველანი ნახავდნენ, რომ იგი სასარგებლო და სანდო კაცია, ამის შესახებ მოჰყვებოდნენ ლაპარაკს მთელ არემარეში, და, ალბათ, ცოტა ხნის შემდეგ იგი სადმე მოეწყობოდა, სხვა თუ არაფერი, მოჯამაგირედ მაინც. რასაკვირველია, ხელისუფალნი შეიტყობდნენ ამის შესახებ. მაგრამ აქ ერთი არსებითი განსხვავება იყო: ერთი საქმეა, როდესაც მის გამო შუაღამისას ააწრიალეს ცენტრალური კანცელარია, ააფორიაქეს ის კაცი, ვინც იქ ტელეფონთან აღმოჩნდა, მოითხოვეს დაუყოვნებლივ გადაწყვეტა – მართალია, მაამებლური ქლესაობით, მაგრამ – საკმაო დაჟინებით, და თან, ვისი-ვისი, და – შვარცერის მეშვეობით, რომელიც არ სარგებლობდა ზემდგომთა განსაკუთრებული კეთილგანწყობით, და სულ სხვა საქმე იქნებოდა, თუ მთელი ამ ალიაქოთის ნაცვლად კ. მეორე დღეს მიღების საათებში მიაკითხავდა მამასახლისს, კარზე დაუკაკუნებდა, როგორც წესი და რიგია, წარუდგებოდა როგორც მგზავრი, რომელმაც უკვე იპოვა თავშესაფარი ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებთან, და, შესაძლოა, ხვალ დილიდან გზასაც გასდგომოდა. ერთი ამბავი – ნაკლებად სარწმუნო – რომ არა, თუ არ იპოვიდა აქ სამუშაოს – რა თქმა უნდა, სულ ორი-სამი დღით, მეტხანს დარჩენას იგი არამც და არამც არც აპირებს. დაახლოებით, ასე მოხდებოდა ყველაფერი, შვარცერი რომ არ გამომტყვრალიყო. ადმინისტრაცია მაშინ მის საქმეს მოჰკიდებდა ხელს, ოღონდ – მშვიდად, საქმიანად, არ დაუშვებდა, რომ დაინტერესებულ პირს მოუთმენლობა გამოეჩინა, რაც განსაკუთრებით სძაგს ადმინისტრაციას. მართალია, კ. აქ არაფერ შუაში იქნებოდა, მთელი ბრალი შვარცერს დაეკისრებოდა, მაგრამ შვარცერი მოურავის ვაჟი იყო და გარეგნულად სრულიად კორექტულად ეჭირა თავი, მაშასადამე, მტყუანი მაინც კ. გამოდიოდა. და რა სასაცილო საბაბმა გამოიწვია ყოველივე ეს? შეიძლება, გიზას მწყრალად ყოფნამ, რის გამოც შვარცერს ძილი არ ეკარებოდა და იმ ღამეს აქეთ-იქეთ დაბორიალობდა, მერე კი ჯინი იყარა კ.-ზე? მაგრამ, მეორე მხრივ, იმის თქმაც შეიძლებოდა, რომ კ. ძალიან ბევრს უნდა უმადლოდეს შვარცერის ასეთ საქციელს, მხოლოდ ამის წყალობით გახდა შესაძლებელი ის, რასაც კ. დამოუკიდებლად ვერაფრის დიდებით ვერ მიაღწევდა და რასაც, თავის მხრივ, არ დაუშვებდა უფროსობა, – სახელდობრ, იმას, რომ კ.-მ თავიდანვე, აუტკივარი თავის აუტკივებლად, პირისპირ, დაამყარა უშუალო კონტაქტი ადმინისტრაციასთან, რამდენადაც ეს საერთოდ იყო შესაძლებელი, მაგრამ ამით ბევრი არაფერი მოუგია. მართალია, კ.-ს არ დასჭირვებია ეშველიებინა ათასგვარი ტყუილ-მართალი და მალულად ემოქმედა, მაგრამ იგი თითქმის უმწეო რჩებოდა და, ყოველ შემთხვევაში, კარგავდა ყოველგვარ უპირატესობას ბრძოლაში, ასე რომ, შეიძლებოდა, საბოლოოდ წარკვეთოდა სასო, საკუთარ თავს რომ არ გამოსტყდომოდა: ძლიერებაში სხვაობა მასა და ხელისუფლებას შორის იმდენად

შემზარავია, რომ რაც უნდა ემტვრია თავი, ვერავითარი ტყუილი და ეშმაკობა ვერ უშველიდა, სულ ერთია, მაინც ვერასოდეს ვერ შეცვლიდა ამ სხვაობას არსებითად თავის სასარგებლოდ. თუმცა, ამ აზრებით კ. მხოლოდ ინუგეშებდა თავს. შვარცერი კვლავინდებურად ვალში რჩებოდა მის წინაშე და შესაძლოა, მაშინ მიყენებული ვნების გამოსასწორებლად, ახლა დახმარებოდა მას. ასეთი დახმარება კი კ.-ს დასჭირდება ნებისმიერ წვრილმანში, პირველივე ნაბიჯებიდან, აი, ახლაც, როცა ბარნაბამ ჩვეულებისამებრ კვლავ უგანა. ფრიდას გამო კ. მთელი დღე ვერ ბედავდა ეკითხა ამბავი ბარნაბას სახლში. იმისათვის, რომ არ მიეღო ხოლმე იგი ფრიდას თანდასწრებით ოთახში, სულ მუდამ მუშაობდა გარეთ, მუშაობის შემდეგაც რჩებოდა, ფეხს ითრევდა, ეგებ, ბარნაბა მოვიდესო, მაგრამ ბარნაბა არ ჩანდა. ახლა ისღა დარჩენოდა, თუნდაც წუთით შეერბინა მის დებთან, თუნდაც ზღურბლიდან ეკითხა ამბავი და მაშინვე მობრუნებულიყო უკან. ასეც იზამს! კ.-მ თოვლში ჩაარჭო ნიჩაბი და სირბილით გაეცალა იქაურობას. აქოშინებულმა მიირბინა ბარნაბას სახლთან, მოკლედ დაუკაკუნა, კარი გამოსწია, არც შეუხედავს, რა ხდებოდა ოთახში, და იკითხა: „ბარნაბა ჯერ არ დაბრუნებულაო?“ მერე-ღა შენიშნა, რომ ოლღა შინ არ არის, ხოლო მოხუცები ისევე სხედან მაგიდის მეორე ბოლოში, გაშეშებულნი, და არ ესმით, რა ხდება კართან. მათ მხოლოდ ნელა მოაბრუნეს თავი. ამალია, რომელიც ღუმელთან იწვა საბნების ქვეშ, კ.-ს გამოჩენაზე შეშინებული წამოხტა და შუბლზე იტაცა ხელი, თითქოს ცდილობს, გონს მოვიდესო. ოლღა რომ შინ ყოფილიყო, მაშინვე უპასუხებდა კითხვაზე და კ. შეძლებდა მყისვე წამოსულიყო, აქ კი იძულებული შეიქნა, ამალიას ხლებოდა და გაეწოდებინა მისთვის ხელი, რომელზეც ქალმა მდუმარედ მოუჭირა მარჯვენა, და ეთხოვა მისთვის, დაემშვიდებინა და დაეოკებინა აწრიალებული მშობლები, რაც ქალმა მოახერხა კიდეც რამდენიმე სიტყვის თქმით. კ.-მ გაიგო, რომ ოლღა შეშას აპობს ეზოში, ამალია ძალიან დაიღალა – არ უთქვამს, რა მიზეზით, – და ამიტომ წამოწვა, ხოლო ბარნაბა თუმცა ჯერ არ მოსულა, მაგრამ მალე უნდა დაბრუნდეს, იგი არასდროს არ რჩებაო ღამის გასათევად გოდოლში. კ.-მ მადლობა გადაიხადა ცნობებისათვის. ახლა შეუძლია წავიდეს. მაგრამ ამალიამ ჰკითხა, ხომ არ სურს, ოლღას დაელოდოს, სამწუხაროდ, მას ამდენი დრო არ ჰქონდა, მაშინ ამალიამ ჰკითხა, დღეს ოლღასთან ხომ არ გილაპარაკიათო, რაზეც კ.-მ გაკვირვებით უპასუხა „არაო“, და, თავის მხრივ, ჰკითხა, ხომ არ სურს ოლღას, რაღაც ახალი ამბავი მაცნობოსო. ამალიამ ერთგვარი გაღიზიანებით მოკუმა ტუჩები, მდუმარედ დაუკრა თავი კ.-ს, აშკარად აგრძნობინა, კარგად იყავითო, და კვლავ დაწვა. მწოლიარემ კიდევ ერთხელ გამოხედა სტუმარს, თითქოს უკვირს, რომ ჯერ არ წასულაო. მზერა ცივი ჰქონდა, გამჭოლი და უძრავი, როგორც ყოველთვის, და ეს მზერა მიმართული იყო არა უშუალოდ იმაზე, რასაც უყურებდა, არამედ, თითქმის შეუმჩნევლად, მაგრამ საკმაოდ გარკვევით, ოდნავ იმის ზევით ან გვერდით, რასაც უცქერდა. ეს კ.-ს ძალიან უშლიდა ხელს და გაიფიქრა, რომ ამის მიზეზი იყო არა სისუსტე, არა მორცხვობა, არა მეტიჩრული თავის მოჩვენება, არამედ მუდმივი წადილი მარტოდ ყოფნისა, რომელსაც ქალი არ მალავდა და რომელსაც ყველა სხვა გრძნობა დაეჩრდილა. კ.-ს გაახსენდა, თითქოს როგორ გააკვირვაო მისმა მზერამ პირველ საღამოსვე, უფრო მეტიც, მთელი ის არასახარბიელო შთაბეჭდილება, მასზე რომ მოახდინა მაშინ ამ ოჯახმა, ამალიას მზერაზე იყო დამოკიდებული, თუმცა, თავისთავად ამ მზერაში ცუდი არაფერი იყო კ.-სთვის იგი გამოხატავდა მხოლოდ სიამაყეს და თავისი სიწრფელით დაუფარავ გაუცხოებას. „შენ ყოველთვის ასეთი ნაღვლიანი ხარ, ამალია“, თქვა კ.-მ. „რა გაწუხებს, შეგიძლია მიამბო? მე ჯერ არსად არ მინახავს შენისთანა სოფლელი

ქალიშვილი. მხოლოდ დღეს, მხოლოდ ახლა მომივიდა ეს თავში. შენ ხომ წარმოშობით სოფლიდან ხარ? შენ აქ დაიბადე?“ „ჰო, აქ დავიბადეო“, უპასუხა ამალიამ, თითქოს კ.-ს მხოლოდ ბოლო კითხვა დაესვას, შემდეგ კი თქვა: „ესე იგი შენ მაინც დაელოდები ოლღას?“ „არ ვიცი, რატომ მეკითხები სულ ერთსა და იგივეს“, თქვა კ.-მ, „დარჩენით კი ვერ დავრჩები, შინ საცოლე მელოდებაო.“ ამალია ცალ იდაყვზე წამოიწია, – საცოლის ამბავი არ სმენოდა. კ.-მ სახელი უთხრა, ამალიას არ გაეგონა, მერე ჰკითხა, ოლღამ შენი ნიშნობის ამბავი თუ იცისო, კ. ფიქრობდა, რომ იცის, ოლღამ ხომ იგი ფრიდასთან ერთად ნახა, და, ამას გარდა, ასეთი ამბები სწრაფად ვრცელდება სოფელში. მაგრამ ამალიამ დაარწმუნა, არა, ოლღამ არაფერი არ იცის და გული მოუკვდება, იმიტომ, რომ, მგონი, შენ უყვარხარ და ღიად ამის შესახებ არ ლაპარაკობს, იმიტომ, რომ ძალიან თავშეკავებულია, მაგრამ, ხომ იცი, სიყვარული სრულიად მოულოდნელად გამოკრთება და გამოაჩენსო თავს. კ. დარწმუნებული იყო, რომ ამალია ცდება, ამალიას გაეღიმა და ამ ღიმილმა, თუმც კი სევდიანმა, გააცისკროვნა მისი მოღუშული შეჭმუხვნილი სახე, გადააქცია დუმილი სიტყვად, გაუცხოება სიწრფელედ, თითქოს რაღაც საიდუმლოს გაუღოო კარი და გამოაჩინა რაღაც დამალული განძი, რომელსაც, თუ მოინდომა, შეუძლია, კვლავ დაგემალოს, მაგრამ უკვე მთლად არა. ამალიამ თქვა, რომ არ ცდება, უფრო მეტიც, კარგად იცის, რომ კ.-ც თვისებით არის ოლღას მიმართ, და აქ რომ მოდის, ბარნაბასაგან რაღაც ამბების შეტყობის საბაბით, სინამდვილეში მხოლოდ ოლღას გულისთვის მოდის. მაგრამ ახლა, როდესაც ამალიამ ყველაფერი იცის, მან აღარ უნდა შეიზღუდოს თავი და შეუძლია, უფრო ხშირად იაროს, მხოლოდ ამის თქმა უნდოდა მისთვის. კ.-მ თავი გააქნია და შეახსენა, რომ იგი დანიშნულია. მაგრამ ამალიას სულაც არ სურდა ჩასწვდომოდა ნიშნობის ამბავს. აქ გადამწყვეტი იყო უშუალოდ მისი აღქმა – კ. ხომ მათთან მარტო მოვიდა. მან მხოლოდ ის იკითხა, სად გაიცნო კ.-მ ის ქალი – იგი ხომ სულ რამდენიმე დღეა, სოფელში ცხოვრობს. კ.-მ უამბო სასტუმროში გატარებული საღამოს შესახებ, რაზეც ამალიამ მოკლედ შენიშნა, მე წინააღმდეგი ვიყავი, რომ ოლღას შენ იქ წაეყვანეო, მოწმედ კი თვით ოლღა მოიყვანა – ის იმ წამს შემოსულიყო შეშის შეკვრით, ყინვაში, სუფთა ჰაერზე მუშაობით გახალისებული და ღაწვებშეფაკლებული, ისეთი მხნე და ძლიერი, თითქოს სამუშაომ იგი ჩახუთულ ოთახში ჩვეული დიდი ხნის ჯდომის შემდეგ ააღორძინაო. შეკვრა იატაკზე დააგდო, ლაღად დაუკრა თავი კ.-ს და მაშინვე ჰკითხა ფრიდას ამბავი. კ.-მ გაკვირვებული მზერა ესროლა ამალიას, მაგრამ მას თითქოს არ უნდოდა გამომტყდარიყო, რომ რაღაც შეეშალა. ასეთი დამოკიდებულებით ცოტა არ იყოს განაწყენებულმა კ.-მ გაცილებით უფრო წვრილად დაიწყო ფრიდაზე საუბარი, ვიდრე აპირებდა. უამბო, რაოდენ ძნელ პირობებში უხდება ქალს მეუნეობის გაძღოლა სკოლაში. ერთი სული ჰქონდა, როდის ეტყოდა ყველაფერს, და დაავიწყდა, რომ სურდა, რაც შეიძლებოდა მალე დაბრუნებულიყო შინ, – დაიბნა და დამშვიდობებისას ორივე და სტუმრად მიიპატიჟა. რა თქმა უნდა, დაპატიჟებისთანავე დაბნეულობისაგან ენა ჩაუვარდა მუცელში. მაშინ, როდესაც ამალიამ სიტყვა აღარ ათქმევინა და განაცხადა, სიამოვნებით ვიღებ მოწვევასო. აქ დას უნებლიედ ოლღაც შეუერთდა, მაგრამ ის აზრი, რომ სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა აქაურობა, კ.-ს ტვინს უბურღავდა, ამალიას გამჭოლი მზერის შემყურე, ვერ ისვენებდა და ამიტომ გადაწყვიტა, მიუკიბ-მოუკიბავად გამომტყდარიყო, რომ ისინი დაუფიქრებლად, პირადი სიმპათიის გამო დაპატიჟა, მაგრამ სამწუხაროდ, იძულებულია მიწვევა უკან წაიღოს, რადგან ბარნაბასა და ფრიდას ოჯახს შორის რაღაც გაუგებარი, მაგრამ ძლიერი მტრობა არსებობს. „სულაც არ არის მტრობა“, თქვა ამალიამ, საბანი გვერდზე გადაიგდო და

მერხიდან ადგა, ,,და ეს არცთუ ისე სერიოზულია, შენ რომ გგონია, უბრალოდ, ფრიდა ყოველთვის ცდილობს, საერთო აზრს მოერგოსო. ახლა კი წადი შენს საცოლესთან, არ დაგაგვიანდეს, ხომ ვხედავ, როგორ გეჩქარებაო. და ნუ გეშინია, რომ ჩვენ მართლა მოვალთ სტუმრად, თავიდანვე ხუმრობით გელაპარაკებოდი ამის შესახებ, რომ გამებრაზებინე, მაგრამ შენ შეგიძლია უფრო ხშირად გამოგვიარო ხოლმე, ხელს არავინ შეგიშლის, საბაბს კი იპოვი – იტყვი, რომ ბარნაბამ ამბავი უნდა მოგიტანოს. მე კიდევ უფრო გაგიადვილებ ამოცანას, ყველას ავუხსნი, რომ ბარნაბა, თუ მოგიტანს კიდეც რაიმე ახალ ამბავს გოდლიდან, სულ ერთია, ვერ მოვა სკოლაში, რათა ეს ამბავი გადმოგცეს. ხომ არ შეუძლია საბრალოს, ამდენი ირბინოს აღმა-დაღმა. მოგიწევს შენი ფეხით მოხვიდე და აქ შეიტყო ყველაფერი.“ კ.-ს ჯერ არასდროს სმენოდა, რომ ამალიას ამდენი ელაპარაკა, თან, მისი სიტყვები სხვაგვარად ჟღერდა. მათში გამოსჭვიოდა რაღაც ქედმაღლური, და ეს იგრძნო არა მარტო კ.-მ, არამედ ოლღამაც, თუმცა დას საუცხოოდ იცნობდა. ოლღა განზე იდგა, კვლავინდებურად მოუხერხებლად გაეფარჩხა ფეხები და ბეჭებში ოდნავ მოხრილიყო. იგი თვალს არ აცილებდა ამალიას, რომელიც მხოლოდ კ.-ს უყურებდა. ,,მაგრამ შენ ცდები“, თქვა კ.-მ, ,,შენ ძლიერ ცდები, როცა გგონია, რომ ჩემთვის ბარნაბას ლოდინი მხოლოდ საბაბია. ხელისუფლებთან ურთიერთობის მოგვარება ჩემი უმთავრესი და, არსებითად, ერთადერთი სურვილია. ამაში ბარნაბა უნდა დამეხმაროს. ლამის მთელ იმედს მასზე ვამყარებ. მართალია, ერთხელ ძალიან დამაღალატა, მაგრამ ეს უფრო ჩემი ბრალია, ვიდრე ბარნაბასი, იმიტომ, რომ თავდაპირველად მე იმდენად ვიყავი დაბნეული, რომ გადავწყვიტე, თითქოს შემეძლო ერთი მცირეოდენი გასეირნებით მომეგვარებინა ყველაფერი, ხოლო როდესაც გამოირკვა, რომ შეუძლებელს ვერ შევძლებდი, ყველაფერი თქვენ ძმას დავაბრალე. ამან გავლენა მოახდინა ჩემს აზრზეც თქვენი ოჯახის, თქვენს შესახებ. ყოველივე ამან გამიარა, მე მგონია, რომ ახლა უკეთ მესმის თქვენი და თქვენ...“ აქ კ.-მ წაიბორძიკა, რადგან შესაფერის სიტყვას ვერ იხსენებდა და ამიტომ თქვა ის, რაც პირველი მოადგა ენაზე: ,,თქვენ თითქოს გაცილებით უფრო კეთილმოსურნენი ხართ, ვიდრე სოფლის სხვა მცხოვრებნი, რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო მათთან შეხვედრებითო. მაგრამ შენ, ამალია, კვლავ მიბნევ გზაკვალს, თუმცა შენთვის ძმის სამსახური რაღაცას ნიშნავს, მაგრამ აკნინებ მის მნიშვნელობას ჩემთვის. იქნებ, ბარნაბა შენ არ გახედებს თავის საქმეებში, მაშინ ეს კარგია, მაგრამ თუ გახედებს, და მე სწორედ ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, – მაშინ ეს ვერ არის კარგი, იმიტომ, რომ მაშინ ეს ნიშნავს, რომ შენი ძმა მე მატყუებს.“ ,,დამშვიდდი“, თქვა ამალიამ. ,,არაფერში არა ვარ ჩახედული, იმიტომ, რომ არაფრის დიდებით არ დავთანხმდები, ჩამახედონ ამ საქმეებში, არაფრის დიდებით არ დავთანხმდები შენი გულისთვისაც კი, თუმცა მზად ვარ, ბევრი რამ გავაკეთო შენთვის, ჩვენ ხომ, როგორც თავად ბრძანე, კეთილმოსურნე ადამიანები ვართ, მაგრამ ჩემი ძმის საქმეები მხოლოდ მას ეხება და სხვას არავის, და მე მათ შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რასაც სადმე შემთხვევით, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ მოვკრავ ხოლმე ყურს. სამაგიეროდ, ოლღას შეუძლია სრული ანგარიში ჩაგაბაროს, ბარნაბა მას ყოველთვის ახედებს საქმეში.“ თქვა და მშობლებთან მივიდა; ცოტა ხანს ეჩურჩულა რაღაც და შემდეგ სამზარეულოში გადაინაცვლა. კ.-ს არც კი დამშვიდობებია, თითქოს იცოდა, რომ ის დიდხანს უნდა დარჩეს და მასთან დამშვიდობება არ არის საჭირო.

კ., ცოტა არ იყოს, დაიბნა და დარჩა. ოლღამ სიცილ-სიცილით მიიყვანა იგი სკამთან, რომელიც ღუმელის გვერდით იდგა – თურმე ოლღას მართლაც უხაროდა, რომ შეეძლო მასთან ერთად დამჯდარიყო, მაგრამ ეს სიხარული იყო წყნარი, ნათელი და, რაღა თქმა უნდა, მას ოდნავადაც არ აყენებდა ჩრდილს უადგილო ეჭვიანობა. სწორედ ასეთი ეჭვიანობის და მაშასადამე ყოველგვარი დაძაბულობის არარსებობის წყალობით კ.-მ შვება იგრძნო. წყნარად იყურებოდა ამ ცისფერ თვალებში, რომლებიც კი არ იზიდავდა ან თრგუნავდა კაცს მტკიცე გამჭოლი მზერით, არამედ აღსავსე იყო მორიდებული სიმშვიდითა და გაუბედავი მოლოდინით. გეგონებოდა, ფრიდას და დიასახლისის გაფრთხილებებმა არათუ არ დააფიქრეს იგი ბარნაბას ოჯახზე, არამედ აიძულეს უფრო ყურადღებიანი ყოფილიყო იმის მიმართ, რაც ახლა ხდებოდა და უკეთ გარკვეულიყო ყველაფერში. მერე კი ოლღასთან ერთად გაიცინა, როცა მან ჰკითხა, რატომ უწოდეთ სწორედ ამალიას კეთილმოსურნე, ამალიას ბევრი კარგი თვისება აქვს, მაგრამ კეთილმოსურნეობას მათ შორის ვერ იპოვიო. ამაში კ. არ დაეთანხმა და უთხრა, რომ ქება, რა თქმა უნდა, ეხება მას, ოლღას, მაგრამ ამალია ისეთი მტკიცე ქალია, რომ არა მარტო ითვისებს ყოველივე კარგს, რასაც მისი თანდასწრებით ამბობენ, არამედ მის გარშემო მყოფნი, ყველა, კაცი თუ ქალი, მზად არის, თავისი ნებით დაუთმოს მას პირველობის პალმაო. „ეს მართალია“, თქვა ოლღამ უფრო სერიოზული ტონით, „აქ მეტი სიმართლეა, ვიდრე შენ გგონია, ამალია ჩემზე უმცროსიც არის და – ბარნაბაზეც, მაგრამ ოჯახში ყველაფერს წყვეტს ამალია – კარგშიც და ავშიც. მართალია, მას უხდება ატაროს კარგიც და ავიც უფრო მეტი, ვიდრე სხვებმა.“ კ.-მ თქვა, რომ ეს გაზვიადებაა, აკი ამალიამ აქ სულ ორიოდ წუთის წინ თავისი პირით თქვა, რომ მას, მაგალითად სრულიად არ აინტერესებს ძმის საქმეები, სამაგიეროდ, ოლღამ მათ შესახებ ყველაფერი იცისო. „როგორ აგიხსნა შენ?“ თქვა ოლღამ. „ამალიას არ აინტერესებს არც ბარნაბა, არც მე, და, არსებითად, არ აინტერესებს არაფერი და არავინ, მშობლების გარდა, მშობლებს დღე და ღამ თავზე ადგას, უვლის, აი, ახლაც ჰკითხა, რა გსურთო, და სამზარეულოში გავიდა, რათა მოუმზადოს კერძი. მათი გულისთვის აიძულა თავს, ამდგარიყო, არადა, შუადღის აქეთ უქეიფოდ გრძნობს თავს. სულ აქ, მერხზე იწვა, მაგრამ, თუმცა მას ჩვენ არ ვაინტერესებთ, ყველანი დამოკიდებული ვართ მასზე. თითქოს ის იყოს ოჯახში უფროსი და რომ მოენდომებინა, რჩევა მოეცა ჩვენს საქმეებთან დაკავშირებით, აუცილებლად დავუჯერებდით, მაგრამ იგი არ გვერევა, ჩვენ მისთვის უცხოები ვართ. აი, შენ, გეტყობა, რომ ერკვევი ადამიანებში, თან უცხო მხარიდან მოსული კაცი ხარ. განა ვერ შეამჩნიე, რა ჭკვიანია ამალია?“ „მე შევამჩნიე, რა უბედურია“, თქვა კ.-მ, „მაგრამ როგორ შევუსატყვისო ერთმანეთს პატივისცემა ამალიასადმი, მაგალითად, ბარნაბას სირბილს დავალებებზე, მაშინ, როდესაც ამალია ამას არ იწონებს? უფრო მეტიც, არ იწონებს კი არა, კიცხავს.“ „რომ იცოდეს, რის გაკეთება შეუძლია კიდევ, დიდი ხანია, თავს დაანებებდა შიკრიკის სამუშაოს, ძალიან არ მოსწონს.“ „განა ხარაზის ხელობა არ იცის?“ ჰკითხა კ.-მ. „რა თქმა უნდა, იცის“, თქვა ოლღამ, „შიგადაშიგ მუშაობს კიდეც ბრუნსვიკთან, და, რომ მოინდომოს, სამუშაოც თავზე საყრელი ექნება და შემოსავალიც – გვარიანი.“ „ხომ ხედავ“, თქვა კ.-მ, „მაშასადამე, ეს თავისუფლად გაუწევდა შიკრიკის სამსახურის მაგიერობას.“ „შიკრიკის სამსახურის მაგიერობასო?“ გაუკვირდა ოლღას. „როგორ გგონია, ბარნაბამ შიკრიკად მუშაობა ხელფასის გამო დაიწყო?“ „შესაძლებელია“, თქვა კ.-მ, „მაგრამ შენ ხომ ახლა ახსენე, რომ ეს სამსახური არ აკმაყოფილებს?“ „დიახ, არ აკმაყოფილებს, და საამისოდ ძალზე ბევრი მიზეზია“, თქვა ოლღამ, „მაგრამ მაინც, ეს არის სამსახური გოდლის კარზე, ყოველ შემთხვევაში, ასე შეგვიძლია ვივარაუდოთ.“ „ანუ, როგორ არის?“ თქვა კ.-მ.

„თქვენ ამაშიც ეჭვი გეპარებათ?“ „როგორ გითხრა“, ჩაილაპარაკა ოლღამ, „არსებითად, არა. ბარნაბა დადის კანცელარიებში, ხვდება მსახურებს, როგორც თანასწორი, ხედავს ხოლმე შორიდან ზოგიერთ მოხელეს. მას ანდობენ შედარებით მნიშვნელოვან წერილებს, აძლევენ ათასგვარ სიტყვიერ დავალებას. ყველაფერი ეს საკმაოდ აქვს, და ჩვენ შეგვიძლია, ვიამაყოთ იმით, რასაც მან მიაღწია ყმაწვილკაცობის წლებში.“ კ.-მ დასტურის ნიშნად თავი დაუკრა. შინ დაბრუნებაზე უკვე აღარ ფიქრობდა. „მას ლივრეაც განსაკუთრებული აქვს?“ იკითხა კ.-მ. „შენ ქურთუკს გულისხმობ?“ თქვა ოლღამ. „არა, ქურთუკი ამალიამ შეუკერა ჯერ კიდევ იქამდე, სანამ შიკრიკი გახდებოდა, მაგრამ ჩვენ ახლა მტკივან ადგილს შევეხეთ. მას უკვე დიდი ხანია ერგება არა ლივრეა – ლივრეებს გოდოლში არ ატარებენ, – მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ტანსაცმელს კანცელარიიდან მას კარგა ხანია, პირდებიან, თუმცა, ასეთ საქმეებში გოდოლი ყოველთვის აჭიანურებს საქმეს, და ყველაზე უარესი ის არის, რომ არც იცი, რატომ უჯანჯლებენ. შეიძლება ეს ნიშნავს, რომ საქმე ფორმდება, ხოლო შეიძლება, ეს ნიშნავდეს, რომ გაფორმება ჯერ არც დაწყებულა, რომ ვთქვათ, ბარნაბა ჯერ კიდევ გამოსაცდელ ვადას გადის, ან შეიძლება, ისიც გავიგოთ, რომ გაფორმება დიდი ხნის დამთავრებულია, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო, უარი ეთქვა და ბარნაბამ არასდროს არ მიიღოს არავითარი ტანსაცმელი, ხოლო რაიმეს ზუსტად გაგება შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, იგებ არა ერთბაშად, არამედ დიდი ხნის შემდეგ. აქ უყვართ გამოთქმა, ეგებ, შენც გაგიგონია: „ადმინისტრაციული გადაწყვეტილებანი გაუბედავია, როგორც ყმაწვილი გოგონა.“ „ეს კარგად არის შემჩნეული“, თქვა კ.-მ, - რომელმაც მეტი სერიოზულობით აღიქვა ეს სიტყვები, ვიდრე ოლღამ. „ზუსტია. ამ გადაწყვეტილებებს, ალბათ, გოგონებთან შეიძლება სხვა მსგავსებაც ექნეთ.“ „შესაძლებელია“, თქვა ოლღამ. „მართალია, მე არ მესმის, რაზე ლაპარაკობ. ეგებ, შენ ეს მოწონების კილოთიც კი თქვი, მაგრამ ბარნაბა ძალიან წუხს ამ ფორმის გამო. და ვინაიდან ჩვენ ყველა საზრუნავს ვინაწილებთ მასთან ერთად, ვწუხვარ მეც. რატომ არ აძლევენ მას სამსახურში ფორმას? – ამაოდ ვეკითხებით ჩვენს თავს. მაგრამ ყოველივე ეს არ არის ისე მარტივად. მაგალითად, მოხელეებს თითქოს საერთოდ არა აქვთ არავითარი სამსახურებრივი ფორმა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია და ბარნაბას ნაამბობით ვიცით, მოხელეები დადიან ჩვეულებრივი, მართალია, ძალიან ლამაზი კოსტიუმებით. თუმცა, შენ თავადაც ნახე კლამი. რა თქმა უნდა, ბარნაბა მოხელე არ არის. იგი უმდაბლესი კატეგორიის ჩინოვნიკიც კი არ არის. არც კი ოცნებობს ამაზე, მაგრამ უფროსი მსახურებიც კი, რომლებსაც ჩვენ, მართალია, აქ, სოფელში, თითქმის ვერ ვხედავთ, ბარნაბას თქმით, ფორმებს არ ატარებენ. შეიძლებოდა გეთქვა, რომ ესეც ერთგვარი ნუგეშია, მაგრამ ნუგეშიც ხომ თავის მოტყუებაა, განა ბარნაბა უმაღლესი მსახურების თანრიგში გადის? არა, როგორც არ უნდა მოგწონდეს ბარნაბა, მასზე ამას ვერ იტყვი. იგი სულაც არ არის უფროსი მსახური. უკვე მხოლოდ ის, რომ იგი სოფელში ბრუნდება ხოლმე და აქ ცხოვრობს კიდეც, ამტკიცებს საპირისპიროს, უფროსი მსახურები კიდევ უფრო ცალკე დგანან და უფრო მაღლა წევენ ცხვირს, ვიდრე მოხელეები. შეიძლება, ეს სწორიც იყოს, შეიძლება ისინი უფრო საჭირონიც კი არიან, ვიდრე ზოგიერთი მოხელე და ამის დასტურიც არსებობს: ისინი უფრო ნაკლებს მუშაობენ, მაგრამ, ბარნაბას თქმით, გესიამოვნება, როცა ხედავ, რა დარბაისლური ნაბიჯით დადიან დერეფნებში ეს რჩეული ახოვანი და ძლიერი მამაკაცები. ბარნაბა სულ მათ ეტმასნება ხოლმე, ერთი სიტყვით, რა სალაპარაკოა, ბარნაბა არ გადის უფროს მსახურებში. მართალია, იგი შეიძლება ერთ-ერთ უმდაბლეს მსახურად ჩაითვალოს, მაგრამ ისინი სამსახურებრივ ფორმას ატარებენ, ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც სოფელში ჩამოდიან, ისიც, ამ

დროსაც კი არ აცვიათ ნამდვილი ლივრეა. თანაც, ტანსაცმელში მათ ბევრი ნაირგვარი განსხვავება აქვთ, მაგრამ მაინც სამოსის მიხედვით ერთბაშად მიხვდები, რომ ეს გოდოლის მსახურია. სხვათა შორის, შენ საკუთარი თვალით გინახავს ისინი სასტუმროში. ყველაზე თვალშისაცემი მათს ტანსაცმელში ის არის, რომ ტანზე მჭიდროდ აქვთ შემოჭერილი. არც გლეხს და არც ხელოსანს არ შეუძლია ატაროს ასეთი ტანსაცმელი. ხოლო ბარნაბას ასეთი სამოსი არა აქვს და ეს, ის კი არა, რომ სათაკილო ან დამამცირებელი იყოს, არა, ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ჩვენ, განსაკუთრებით, კაეშანი რომ შემოგვაწვება, – მე და ბარნაბა კი ხშირად ვართ სევდიან გუნებაზე, – ჩვენ ეს გვაიძულებს, ეჭვი შევიტანოთ ყველაფერში. მსახურობს თუ არა ნამდვილად ბარნაბა სასახლეში? ვეკითხებით ჩვენს თავს. დიახ, რა თქმა უნდა, იგი დადის კანცელარიებში, მაგრამ შეადგენენ თუ არა კანცელარიები გოდლის ნაწილს? და თუ კანცელარიები გოდოლს ეკუთვნიან კიდეც, თუ არის ეს ის კანცელარიები, სადაც ბარნაბას ნებადართული აქვს შესვლა? იგი კანცელარიებში დადის, მაგრამ ისინი მხოლოდ ნაწილია კანცელარიებისა, შემდეგ მოდის ბარიერები, ხოლო მათ შემდეგ – სხვა კანცელარიები, და ის კი არა, რომ მას პირდაპირ უკრძალავდნენ სხვა კანცელარიებში შესვლას, მაგრამ როგორ შეუძლია, შევიდეს, რაკი უკვე ნახა თავისი უფროსები, ისინი გამოელაპარაკნენ ბარნაბას და შინ გამოუშვეს. გარდა ამისა, იქ ხალხს გამუდმებით ადევნებენ თვალს, ყოველ შემთხვევაში, ასე ჰგონია ყველას. და მაშინაც კი, თუ სხვაგან შევიდა, რა ხეირია, თუ მას იქ არავითარი სამსახურებრივი საქმე არა აქვს და იქ ის ზედმეტი იქნება? მაგრამ შენ არ უნდა წარმოიდგინო ეს ბარიერები როგორც გარკვეული საზღვრები. ბარნაბა სულ ამას მეჩიჩინება, ბარიერები არის იმ კანცელარიებშიც, სადაც ის დადის, მაგრამ არის ბარიერები, რომლებსაც გვერდს უვლის და, ერთი შეხედვით, მათ ვერ გაარჩევ იმათგან, რომლის მიღმაც ბარნაბა ჯერ არასდროს ყოფილა, იმიტომ, რომ სულაც არ არის სავალდებულო, წინასწარ ივარაუდო, რომ იმ ბარიერების მიღმა განლაგებული კანცელარიები არსებითად განსხვავდება კანცელარიებისაგან, სადაც უკვე ნამყოფია ბარნაბა. მაგრამ უგუნებობის ჟამს სწორედ ამას ფიქრობ. და როცა ეჭვები გიღრღნის გულს, საშველი არ არის. დიახ, ბარნაბა მოხელეებს ელაპარაკება, ბარნაბას დავალებებს აძლევენ, მაგრამ ვინ არიან ეს მოხელეები, რა დავალებებს აძლევენ ბარნაბას? ახლა იგი, მისი თქმით, კლამზეა მიმაგრებული და პირადად მისგან იღებს დავალებებს. არადა, ეს ძალზე ბევრია, უფროსი მსახურებიც კი ამ სიმაღლეზე ვერ ადიან. იქნებ ეს მეტისმეტად ბევრიც კი არის, აი, რა გვაშინებს. შენ მხოლოდ წარმოიდგინე – საქმე გაქვს უშუალოდ თვით კლამთან. შეგიძლია, პირადად მას ელაპარაკო! სინამდვილეში ხომ ასეც არის. რასაკვირველია, ასეა, მაგრამ მაშინ რატომ ეპარება ბარნაბას ეჭვი, რომ მოხელე, რომელსაც კლამს უწოდებენ, ნამდვილად არის კლამი?“ „მისმინე, ოლღა“, თქვა კ.-მ, „ეტყობა, გეხუმრება. აბა, როგორ შეიძლება, შეგეპაროს ეჭვი, თუ როგორ გამოიყურება კლამი. მისი გარეგნობა ყველასთვის ნაცნობია. მე თვითონ მინახავს იგი.“ „არა, რა თქმა უნდა, კ.“, თქვა ოლღამ, „სულაც არ მეხუმრება. ეს ამბავი სერიოზულად მაწუხებს, მაგრამ შენ გიამბობ ამის შესახებ არა იმიტომ, რომ გულზე მოვიხსნა ტვირთი, და გადმოგაკისრო სიმძიმე, არამედ იმიტომ, რომ შენ მეკითხებოდი ბარნაბაზე, და ამალიამ დამავალა, ყველაფერი გიამბო. თავად მეც ვთვლი, რომ ეს შენთვის სასარგებლო იქნება. და კიდევ, ამას ვაკეთებ ბარნაბას გულისათვის, რათა შენ არ დაუკავშირო მას მეტისმეტად დიდი იმედები, და შემდეგ გული აიცრუო მასზე, თორემ ეს დასტანჯავდა ბარნაბას. იგი ისეთი მგრძნობიარეა და თავმოყვარე: მაგალითად, წუხელ მთელ ღამეს არ მოუხუჭავს თვალი, იმიტომ, რომ შენ გუშინ საღამოს უკმაყოფილო იყავი მისი.

თითქოს გითქვამს, რომ შენთვის ძალზე ცუდია, გყავდეს მხოლოდ ბარნაბასთანა შიკრიკი. ამ სიტყვებმა მას ძილი დააკარგვინა. შენ თვითონ, ალბათ ვერ შენიშნე, რა აღელვებული იყო იგი, გოდლის შიკრიკები ვალდებული არიან, ფლობდნენ საკუთარ თავს, მაგრამ მას უჭირს, შენთანაც კი უძნელდება. შენ, რა თქმა უნდა, მიგაჩნია, რომ ბევრს არ მოითხოვ მისგან, რადგან ჩვენთან რომ მოხვედი, უკვე ჩამოყალიბებული გქონდა წარმოდგენა და ცნებები შიკრიკის სამსახურზე და მათი მიხედვით უყენებ ბარნაბას მოთხოვნებს. მაგრამ გოდოლში სულ სხვა ცნებებია შიკრიკთა სამსახურის შესახებ. ისინი არანაირად არ ესატყვისება შენსას, მაშინაც კი, ბარნაბა მთლიანად რომ იხარჯებოდეს სამსახურში, არადა, სამწუხაროდ, ზოგჯერ მართლაც ამას აკეთებს. რასაკვირველია, უნდა გემორჩილებოდეს. ვინ იტყვის, არაო, მაგრამ ჩვენ რომ არ გვეპარებოდეს ეჭვი, ნამდვილად მსახურობს იგი შიკრიკად თუ არა, რა თქმა უნდა, შენი თანდასწრებით, ის ვერაფრის დიდებით ვერ გამოთქვამს ეჭვს. მისთვის ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ძირი გამოუთხაროს თავის საკუთარ არსებობას, უხეშად დაარღვიოს კანონები, რომლებსაც, მისი აზრით, ჯერ კიდევ ემორჩილება, და ჩემთანაც კი ვერ ლაპარაკობს თავისუფლად. ჰოდა, მე ხან მოფერებით, ხან კოცნით ვცინცლავ მოსაზრებებს, ისიც, ყოველთვის ვერ ვახერხებ, ხშირად მეწინააღმდეგება ხოლმე, არ უნდა, გამომიტყდეს, რომ მართლაც ეპარება ეჭვი. რაღაცით იგი წვეთი წყალივით გავს ამალიას. არაფრის დიდებით არ მეტყვის ყველაფერს, თუმცა მხოლოდ მე ვარ მისი გულის მესაიდუმლე. კლამზეც ვლაპარაკობთ ხოლმე ზოგჯერ. მე კლამი ჯერ თვალით არ მინახავს. თვითონ იცი, ფრიდას ათვალწუნებული ვყავარ და არასდროს დამანებებდა, ცალი თვალით მაინც შემეხედა მისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, სოფელში ბევრს უნახავს იგი სახეზე, ზოგი იცნობს კიდეც. ყველას სმენია მის შესახებ, მაგრამ ამ შეხვედრებიდან, მოარული ჭორებიდან, და აგრეთვე ათასგვარი შეუმოწმებელი არაპირდაპირი მოწმეობიდან შეიქმნა წარმოდგენა კლამზე. ძირითადად, იგი ალბათ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ მხოლოდ – ძირითადად. ეს წარმოდგენა განუწყვეტლივ იცვლება, ალბათ, უფრო მეტადაც, ვიდრე იცვლება თვით კლამის გარეგნობა. იგი სულ სხვაგვარად გამოიყურება, როცა სოფელში გამოჩნდება ხოლმე და სულ სხვანაირად – როდესაც მიდის. სხვანაირად – იქამდე, სანამ ლუდს დალევდეს, და სულ სხვანაირად – მერე. როცა არ ძინავს – სულ სხვანაირია, ვიდრე მაშინ, როცა ძინავს. სხვანაირია მარტოდ ყოფნისას, ვიდრე საუბრისას და, რაც, რასაკვირველია სავსებით გასაგებია, სულ სხვანაირად გამოიყურება იქ, ზევით, გოდოლში, მაგრამ სოფელშიც კი მას სხვადასხვაგვარად აღწერენ: სხვადასხვას ამბობენ მისი სიმაღლის, მისი თავდაჭერის მანერის, მისი წვერ-ულვაშის სიხშირის შესახებ, აი, მხოლოდ მის ტანსაცმელს, საბედნიეროდ, ყველანი ერთნაირად აღწერენ – იგი ყოველთვის ატარებს ერთსა და იგივე შავ გრძელკალთებიან სერთუკს. მაგრამ ამ სხვადასხვაობაში, რა თქმა უნდა, იდუმალი არაფერია. გასაგებია, რომ ნაირგვარი შთაბეჭდილება იქმნება იმის კვალობაზე, თუ რა გუნებაზეა კლამი შეხვედრის მომენტში. იქმნება იმისდა მიხედვით, თუ როგორ ღელავს, იმედის ან სასოების ურიცხვ ხარისხთაგან, რომელი სჭარბობს იმ კაცის პიროვნებაში, რომელიც, მართალია, მხოლოდ წუთით, მაგრამ მაინც ახერხებს თვალი შეავლოს კლამს. მე შენ გიამბობ მხოლოდ იმას, რასაც ასე ხშირად მიხსნის ბარნაბა, და საერთოდ, თუ კაცი პირადად და უშუალოდ არ არის დაინტერესებული, შეუძლია ამას დასჯერდეს. მაგრამ ჩვენ ვერ დავჯერდებით და ვერ დავმშვიდდებით – ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობის საკითხია: ელაპარაკა თუ არა ბარნაბა თვით კლამს.“ „ჩემთვის ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენთვის“, თქვა კ.-მ, და ამ სიტყვებზე ისინი კიდევ უფრო ახლოს მიიჩოჩნენ ერთმანეთთან ღუმელის

გვერდით მდგომ მერხზე. თუმცა ოლღას ნაღვლიანმა ნაამბობმა ძარღვები აუშალა კ.-ს, მაგრამ არ ნანობდა, გახარებულიც კი იყო, რომ აქ შეხვდა ადამიანებს, რომელთა ბედი, თუნდაც გარეგნულად, ძალიან ჰგავდა მისას, ამიტომ შეეძლო, მიმხრობოდა მათ, შეეძლო, ეპოვა საერთო ენა მათთან ბევრ რამეში, და არა მხოლოდ ზოგიერთ საკითხში, როგორც ფრიდასთან. და თუმცა თანდათან ეწურებოდა ბარნაბას მისიის წარმატებული შედეგის ყოველგვარი იმედი, მაგრამ რაც უფრო მძიმე დღე ადგა ბარნაბას იქ, ზევით, მით უფრო ახლობელი ხდებოდა იგი მისთვის აქ, ქვევით. კ. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ თვით სოფელში ადამიანებს შეიძლება აწუხებდეთ ისეთი სევდა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, როგორც ბარნაბას და მის დებს. მართალია, ყველაფერი არ იყო მთლად გარკვეული და, ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა, სულ სხვაგვარად გამომდგარიყო, არ შეიძლებოდა, ერთბაშად აჰყოლოდი ოლღას გარეგნულ გულუბრყვილობას, ან გერწმუნა ბარნაბას გულწრფელობა. „ბარნაბამ კარგად იცის ყველაფერი, რასაც ლაპარაკობენ კლამის გარეგნობაზე“, განაგრძობდა ოლღა, „მან შედარებისათვის შეაგროვა ბევრი, კაცმა რომ თქვას, მეტისმეტად ბევრი, ნაირგვარი გამონათქვამი კლამის გარეგნობის შესახებ. ერთხელ თავადაც ნახა კლამი სოფელში, ეტლის სარკმლის მიღმა და მაინც – რით ახსნი ამას? – როცა გოდლის ერთ-ერთ კანცელარიაში მივიდა და მას მრავალ მოხელეთაგან დაანახვეს ერთი, თან უთხრეს, ეს კლამიაო, ბარნაბამ ვერ იცნო იგი. შემდეგ კი დიდხანს ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ სწორედ ეს იყო კლამი. მაგრამ თუ ბარნაბას ჰკითხავ, რით განსხვავდებაო ის კაცი კლამზე ჩამოყალიბებული ჩვეული წარმოდგენისაგან, ბარნაბა ვერაფერს გიპასუხებს, უფრო სწორად, გიპასუხებს, აღგიწერს კიდეც იმ მოხელეს, გოდოლში რომ ანახეს, მაგრამ მისი აღწერილობა ყველაფერში ემთხვევა იმას, როგორც ჩვენ აღგვიწერენ ჩვეულებრივ კლამს. „კი მაგრამ, მისმინე, ბარნაბა“, ვეუბნები ძმას, „რატომ გეპარება ეჭვი, რატომ იტანჯები?“ და მაშინ იგი, აშკარად შეცბუნებული, ჩამომითვლის იმ გოდლელი მოხელის ყველა განსაკუთრებულ ნიშანს, მაგრამ, მე მგონი, იგი უფრო იგონებს, ვიდრე აღწერს, დიახ, გარდა იმისა, რომ ყოველივე ეს ისეთი წვრილმანია – მაგალითად, ეს ეხება თავის კანტურის განსაკუთრებულ მანერას ან ჟილეტზე შეხსნილ ღილს, - რომ შეუძლებელია სერიოზულად ირწმუნო ეს წვრილმანები. ჩემი აზრით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, თუ როგორ ურთიერთობს კლამი ბარნაბასთან. ბარნაბას ეს ძალზე ხშირად მოუყოლია და დაუხატავს. ჩვეულებრივ, ბარნაბა შეჰყავთ უზარმაზარ კანცელარიაში, მაგრამ ეს არის არა კლამის კანცელარია, საერთოდ, ეს არ არის ვისიმე პირადი კანცელარია, ეს არის ოთახი, რომელიც სიგრძეზე კედლიდან კედლამდე გაყოფილია ერთადერთი საერთო საკანცელარიო ბიუროთი, თანაც, ოთახის ერთი ნაწილი ისეთი ვიწროა, რომ ორი კაცი გაჭირვებით თუ აუქცევს გვერდს ერთმანეთს, – და იქ სხედან მოხელეები, ხოლო მეორე ნაწილში, განიერში, იმყოფებიან მთხოვნელები, მაყურებლები, მსახურები და შიკრიკები, საკანცელარიო ბიუროზე აწყვია დიდი გადაშლილი დავთრები, მათთან დგანან მოხელეები და კითხულობენ. ამასთან, ისინი ერთსა და იმავე დავთარს კი არ კითხულობენ, არამედ ერთმანეთს უცვლიან, მაგრამ არა დავთრებს, არამედ ადგილებს, და ბარნაბას ყველაზე მეტად აოცებს, როგორ ახერხებენ ასეთი გაცვლა-გამოცვლის დროს ერთმანეთთან გაძრომას ოთახის სივიწროვეში. წინ, საკანცელარიო ბიუროზე მიჯრით არის მიდგმული დაბალ-დაბალი მაგიდები, მათ უსხედან მწერლები, რომლებიც მოხელეთა სურვილისამებრ, მათი კარნახით წერენ. ბარნაბას ყოველთვის უკვირს ხოლმე, როგორ ხდება ეს? მოხელე არავითარ ზუსტ ბრძანებას არ გასცემს, თან ხმადაბლა კარნახობს, ისე ხმადაბლა, რომ გვერდიდან შეუძლებელია

გაიგონო, რას ეხება კარნახი, უფრო გეჩვენება, რომ მოხელე კვლავინდებურად კითხულობს, ოღონდ, ამასთან ერთად, რაღაცას ჩურჩულებს, ხოლო მწერალი უსმენსო. ხშირად მოხელენი ისე ჩუმად კარნახობენ, რომ მწერალს ადგილზე არ შეუძლია გაიგონოს, იძულებულია, წამდაუწუმ წამოხტეს ხოლმე ადგილიდან, მოისმინოს ნაკარნახევი, მალევე დაჯდეს და ჩაიწეროს, მერე კი ისევ წამოხტეს, და ასე - გაუთავებლად. რა საკვირველია ყოველივე ეს! გასაგებადაც კი ძნელია! მართალია, დაკვირვებისათვის დრო ბარნაბას, იცოცხლე, ბევრი აქვს, ის ხომ ზოგჯერ საათობით, დღეობითაც კი დგას იქ მაყურებელთა ნახევარში, და ელოდება, ვიდრე კლამი შეამჩნევდეს. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც კლამი დაინახავს და ბარნაბა სმენაზე დაუდგება, ეს ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს, იმიტომ, რომ კლამმა შეიძლება, კვლავ ზურგი შეაქციოს, მიუბრუნდეს თავის დავთარს და დაივიწყოს მისი არსებობა. მეტწილად სწორედ ასეც ხდება ხოლმე, მაგრამ რისი მაქნისია შიკრიკის თანამდებობა, თუ მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს? ზოგჯერ სევდისაგან გული მეკუმშება, როდესაც ბარნაბა დილიდან გვიცხადებს, რომ გოდოლში მიდის და ეს ლაშქრობა, ალბათ, არავის არ სჭირდება. ალბათ, ტყუილად დაკარგავს დღეს, და მთელი იმედებიც, ეტყობა, ამაოა. რა საჭიროა ყოველივე ეს? ხოლო ამასობაში აქ გროვდება მეწაღის სამუშაო, მას არავინ ასრულებს, ბრუნსვიკს კი ეჩქარება.“ „კეთილი“, თქვა კ.-მ, „მერედა რა, რომ ბარნაბას დიდხანს უხდება ლოდინი, სანამ დავალებას მიიღებდეს. ეს გასაგებია. იქ, როგორც ჩანს, მოსამსახურენი ბლომად არიან. ყოველი კაცისთვის ვერ ხერხდება დავალების ყოველდღიურად მიცემა, ამაზე წუწუნი არ ღირს, შეიძლება, ყოველ კაცს მოუვიდეს ასე. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ბარნაბას ხომ აძლევენ დავალებას. აი, მე უკვე ორი წერილი მომიტანა.“ „ეგებ, არც ჩვენა ვართ სწორი“, თქვა ოლღამ, „და ტყუილად ვწუწუნებთ, განსაკუთრებით მე. მთელი ეს ამბები მე ხომ მხოლოდ ყურმოკვრით ვიცი და ჩემთვის, ასეთ საქმეებში გამოუცდელი ქალიშვილისათვის, როდია გასაგები ყველაფერი, რაც ბარნაბას ესმის, თანაც ის ბევრს, ძალზე ბევრს გვიმალავს, მაგრამ მომისმინე ერთი, რას უშვრებიან ამ წერილებს, მაგალითად, შენთვის გამოსაგზავნებს. ამ წერილებს ბარნაბა იღებს არა უშუალოდ თვით კლამისაგან, არამედ მწერლებისაგან ნებისმიერ საათს, ნებისმიერ დღეს – იმიტომ, რომ ეს სამსახური თუმც იოლად გეჩვენება, სინამდვილეში ძალზე დამღლელია. მწერალს ახსენდება ის და თავისთან იხმობს. გეგონება, კლამი აქ არაფერ შუაშიაო, იგი მშვიდად კითხულობს თავის დავთარს. მართალია, ზოგჯერ იმ წუთში, როცა ბარნაბა შედის, კლამი პენსნეს იწმენდს – ალბათ, ამას ისედაც საკმაოდ ხშირად შვრება – და, შეიძლება ბარნაბას უყურებს, თუ საერთოდ რაიმეს ხედავს უპენსნეოდ, რაშიც ბარნაბას ძალიან ეპარება ეჭვი. ჩვეულებრივ, ამ დროს კლამი თვალს ხუჭავს, გეგონება, ჩაეძინაო, და ძილში წმენდს სათვალის მინებს. ამასობაში მწერალი თავისი მაგიდის ქვეშ წერილებისა და საბუთების გროვაში ეძებს შენთვის გამოსაგზავნ წერილს, ასე რომ, წერილები სულაც არ არის დაწერილი ამ წუთს, პირიქით, თუ კონვერტის მდგომარეობით ვიმსჯელებთ, წერილი ძალზე ძველია და უკვე დიდი ხანია, ჩაიკარგა იქ. მაგრამ თუ წერილი ძველია, რატომ აიძულებენ ისინი ბარნაბას ელოდოს ასე დიდხანს? და გალოდინონ შენც? წერილიც დიდხანს ელოდებოდა გამოგზავნას და, ალბათ, უკვე მოძველებულია, არადა, ამის გამო ბარნაბას სახელი უტყდება – ცუდი, ზოზინა შიკრიკიაო. მწერლისაგან, რა თქმა უნდა, რა მიდის? იგი უბრალოდ აძლევს ბარნაბას წერილს, ეუბნება „კლამისაგან კ.-სათვის“ – და უშვებს ბარნაბას. ხოლო როცა თავქუდმოგლეჯილი, ქოშინით მორბის შინ და დიდი ხნის ნანატრი წერილი პერანგის ქვეშ, სხეულთან ახლოს აქვს დამალული, და ჩვენ ბარნაბასთან ერთად ვსხდებით აი აქ, ამ მერხზე, როგორც ახლა,

და იგი ყველაფერს მიამბობს, ჩვენ კი განვიხილავთ ყოველ წვრილმანს, ვაფასებთ, რას მიაღწია მან, და, ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მან ბევრს ვერაფერს მიაღწია, თან, ეს ბევრი ვერაფერიც საეჭვოა, მას უქრება სურვილი დანიშნულებისამებრ ჩააბაროს წერილი, მაგრამ არც ეძინება, მაშინ იგი იწყებს ხარაზობას და მთელ ღამეს უზის თავის დაზგას. აი, როგორ არის საქმე, კ., აი, რა არის ჩემი საიდუმლო, და ახლა უკვე შენ აღარ გაიკვირვებ, რომ ამალიას არ სურს, იცოდეს რაიმე ამის შესახებ.“ „წერილს რაღა მოსდის?“ იკითხა კ.-მ. „წერილს?“ ხელახლა ჰკითხა ოლღამ. „გადის გარკვეული დრო, თუ მე ძალიან შევუჩუჩხუნებ ბარნაბას – არადა, ყოფილა, დღეებიც გასულა და კვირებიც, – ბოლოს და ბოლოს, იგი იღებს წერილს და მიდის მის დანიშნულებისამებრ გადასაცემად. ასეთ საგარეო საქმეებში იგი ძალიან არის ჩემზე დამოკიდებული. ჩემთვის ხომ გაცილებით უფრო იოლია, ხელში ავიყვანო ჩემი თავი მას შემდეგ, რაც გამიქრება მისი ნაამბობით მიღებული პირველი შთაბეჭდილება. იგი კი ვერ ივიწყებს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემზე მეტი იცის. მაშინ შემიძლია, ვუთხრა: „კაცმა რომ თქვას, არსებითად რა გინდა, ბარნაბა? რა კარიერაზე, რა მიზანზე ოცნებობ შენ? ნუთუ იქამდე მიხვალ, რომ შენ ჩვენ – და, რაც მთვარია, მე – უნდა დაგვტოვო სამუდამოდ? ამას ხომ არ ესწრაფვი, შემთხვევით? ტყუილად ხომ არ მომდის ასეთი აზრები თავში, მაგრამ სხვაგვარად ვერ გამიგია, რატომ ხარ ასე უკმაყოფილო იმით, რასაც უკვე მიაღწიე? მიმოიხედე ირგვლივ, ნახე: განა რომელიმე ჩვენი მეზობელი ავიდა ამ სიმაღლეზე? მართალია, მათ სხვაგვარი მდგომარეობა აქვთ, ვიდრე ჩვენ, და არ გააჩნიათ არავითარი საფუძველი, ლამობდნენ თავისი მეურნეობის ფარგლებს გარეთ გასვლას, მაგრამ ყოველგვარი შედარების გარეშეც უნდა ვაღიაროთ, რომ შენ საუცხოოდ მიგიდის საქმე. დაბრკოლება, რა თქმა უნდა, ბევრი გაქვს, ბევრია ეჭვი, იმედგაცრუება, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ იმას ნიშნავს – და ჩვენ დიდი ხანია, ვიცით ეს, – რომ შენ არაფერი გრგებია მუქთად, რომ შენ ყოველი წვრილმანი ბრძოლით უნდა მოიპოვო, მაგრამ მით უფრო მეტი საფუძველი გექნება, იამაყო, და არ წარიკვეთო სასო. გარდა ამისა, შენ ხომ ჩვენთვისაც იბრძვი! განა ეს შენთვის სულ ერთია? განა ეს არ განიჭებს ახალ ძალებს? და მე რომ უფრო ბედნიერი, არა, უფრო ცოტა ქედმაღალიც გავხდი, იმიტომ, რომ ასეთი ძმა მყავხარ, განა არ გმატებს ეს სიმტკიცეს და რწმენას? ღმერთმანი, მიცრუებ იმედს, მაგრამ არა იმით, რასაც გოდოლში მიაღწიე, არამედ იმით, რასაც მე მივაღწიე შენს მიმართ! შენ გაქვს უფლება, იარო გოდოლში. შენ მუდმივი მიმსვლელი ხარ კანცელარიებში, მთელ დღეებს ატარებ ერთ ოთახში კლამთან ერთად, შენ ოფიციალურად გთვლიან შიკრიკად, შენ ფორმის ტანსაცმლის მიღების იმედი გვაქვს, შენ გავალებენ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების გადაცემას, – აი, ვინა ხარ შენ, აი, რა უფლებები გაქვს მონიჭებული, შენ კი შინ მოდიხარ და, ნაცვლად იმისა, რომ გადავეხვიოთ ერთმანეთს და ბედნიერების ცრემლი მოგვადგეს თვალზე, მე რომ დამინახავ, თითქოს პირკატა გეცაო, მუხლები გეკეცება, ყველაფერში ეჭვი გეპარება, ერთი სული გაქვს, როდის მიუჯდები ხარაზის დაზგას, ხოლო წერილს, ჩვენი მომავლის ამ საწინდარს, განზე გადადებ ხოლმე.“ ყოველივე ამას ვეუბნები ბარნაბას, და ზოგჯერ, ყოველდღიური ჩიჩინის შემდეგ ოხვრით იღებს წერილს და მიდის. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი სიტყვები აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ, მას კვლავ მიუწევს გული გოდოლში, არადა, თუ დავალება არ შეუსრულებია, ვერ ბედავს იქ მისვლას.“ „მაგრამ, შენ ხომ ყველაფერში მართალი ხარ, შენ ბარნაბას ყველაფერს სწორს ეუბნები“, თქვა კ.-მ. „შენ საოცრად სწორად ჩასწვდი ყველაფერს. გასაოცარია, რა ნათლად აზროვნებ.“ „არა“, თქვა ოლღამ, „შენ თავს იტყუებ და, ალბათ, მეც ასევე ვატყუებ მას. რას მიაღწია მან არსებითად? მერედა რა, რომ დართეს ნება, იაროს

კანცელარიაში, შეიძლება, ეს არც არის კანცელარია, უფრო, კანცელარიის წინკარია, ან ეგებ, წინკარიც კი არ არის, არამედ, უბრალოდ, მოსაცდელი ოთახია, სადაც ნაბრძანები აქვთ, გააჩერონ ყველა, ვისაც არ გააჩნია უფლება, შევიდეს ნამდვილ კანცელარიებში. ჰო, იგი კლამს ელაპარაკება, მაგრამ მართლა კლამია ეს კაცი? იქნებ, ვიღაც სხვა კაცია, რომელიც კლამს ჰგავს? იქნებ, რაღაი ასეა, ეს რომელიმე მდივანია, რომელიც კლამს ჩამოჰგავს და ცდილობს, კიდევ უფრო მეტად დაემგვანოს მას, მედიდურად იჭერს თავს, ლამობს კლამის ნამძინარევი, ჩაფიქრებული გამომეტყველება მიიღოს. მისი ხასიათის ამ ნიშან-თვისებებისათვის მიბაძვა ყველაზე იოლია, და ბევრნიც ბაძავენ. მართალია, მეორე მხრივ, ხვდებიან, რომ აჯობებს თავი შეიკავონ წამბაძველობისაგან, ხოლო კაცი, რომლის ნახვასაც ასე ხშირად ნატრობენ და რომელიც ათასში ერთხელ გამოჩნდება ხოლმე, ადამიანთა წარმოდგენაში სულ სხვადასხვა სახეს იღებს. მაგალითად, კლამს აქ, სოფელში, ჰყავს მდივანი, რომელსაც სახელად მომი ჰქვია. ჰო? შენ მომს იცნობ? მასაც ყოველთვის გაუცხოებულად უჭირავს თავი, მაგრამ მე მაინც მინახავს არაერთგზის. ახალგაზრდა, ჩასკვნილი ბატონია, არა განა? ალბათ, სულაც არა გავს კლამს. და მაინც, შენ სოფელში შეიძლება ნახო ადამიანები, რომლებიც დაგიწყებენ ფიცილს, რომ სწორედ მომია კლამი, და სხვა არავინ. ასე ირევენ თვითონ ადამიანები თავგზას. რატომ უნდა იყოს გოდოლში ყველაფერი სხვაგვარად? ვიღაცამ უთხრა ბარნაბას, აი, ის მოხელე კლამიაო, და მართლაც, მათ შორის შეიძლება გამონახო რაღაც მსგავსება. მაგრამ ბარნაბას სულ მუდამ ეჭვები ღრღნის: არის კია ეს მსგავსება? და ყველაფერი მის ეჭვებს ადასტურებს: რა უნდა კლამს აქ, საერთო ოთახში, რიგითი მოხელე ხომ არ არის, ფანქარი გაირჭოს ყურში და სხვა ჩინოვნიკებს შეერიოს? ეს ხომ წარმოუდგენელია?! ზოგჯერ ბარნაბა – რა თქმა უნდა, როცა გუნებაზეა – რაღაც ბავშვურად ლაპარაკობს: დიახ, ეს კაცი ძალიან ჰგავს კლამს, და თავის კაბინეტში რომ იჯდეს და კარზე მისი სახელი ეწეროს, მე სულაც არ შემეპარებოდა ეჭვი, რომ მართლა ის არისო. რა თქმა უნდა, ეს ბალღობაა, მაგრამ მას შეიძლება, გაუგო. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გასაგები იქნებოდა, ბარნაბას იქ, ზევით ასვლისას მრავალი ადამიანისთვის რომ ეკითხა, როგორ არის სინამდვილეში საქმე, მისი თქმით ხომ, იქ, ოთახში, საკმარისად არის ხალხი და თუ მათ ცნობებსაც კი ვერ ენდობი, ისევე, როგორც იმ კაცის სიტყვებს, ვინც უთხოვნელად მიუთითა კლამზე, ყოველ შემთხვევაში, ამ მრავალ ცნობას შორის შეიძლება იპოვო რაღაც ხელმოსაჭიდი, შეიძლება, რაღაცნაირად შეადარო ისინი ერთმანეთს. ეს მე კი არ მომიგონია, ეს თვით ბარნაბამ მოიგონა, მაგრამ აქამდე ვერ გაუბედავს შეასრულოს ეს გეგმა: ვაითუ უნებლიედ დაარღვიოს რაღაც მისთვის უცნობი ინსტრუქციები და ამის გამო დაკარგოს ადგილი. ვერ გაუბედავს ვერც ის, რომ ვინმეს გამოელაპარაკოს, იმდენად შებოჭილად გრძნობს თავს, და ეს, არსებითად, უბადრუკი გაუბედაობა ჩემთვის გაცილებით მეტ შუქს ჰფენს მის სამსახურებრივ მდგომარეობას, ვიდრე მთელი მისი ნაამბობი. რაოდენ საშიშად, რაოდენ შემზარავად უნდა ეჩვენებოდეს მას იქ ყველაფერი, თუ ყველაზე უწყინარი კითხვის დასასმელადაც კი ვერ ბედავს ხმის ამოღებას. საკმარისია გავიფიქრო ეს, და მყისვე ვამტყუნებ ჩემს თავს, რომ მარტოს ვუშვებ ამ, ჩემთვის უცნობ სადგომებში, სადაც ისეთი რამ ხდება, რომლის გამოც ამ კაცს, რომელსაც უფრო გულადი ეთქმის, ვიდრე მხდალი, შიშისაგან აკანკალებს.“

„აი, აქ შენ, მე მგონი, შეეხე ყველაზე მთავარს“, თქვა კ.-მ, „სწორედ ეს არის საქმე. შენი ნაამბობი რომ მოვისმინე, მე მგონი, ნათლად გავიგე ყველაფერი. ბარნაბა მეტისმეტად ახალგაზრდაა ასეთი თანამდებობისათვის და მთელი მისი ნაამბობიდან არაფერი არ

შეიძლება მიიღო სარწმუნოდ და უკრიტიკოდ. იმიტომ, რომ იქ, ზემოთ, მას სული ელევა შიშისაგან, ისე ებნიდება გონება, რომ ხეირიანად ვერაფერს ხედავს, ხოლო როდესაც აქ მაინც აიძულებენ მოჰყვეს, რა ნახა, არეულ-დარეული ზღაპრების გარდა, ვერაფერს ისმენენ, და ეს სულაც არ მიკვირს. თქვენ აქ თანდაყოლილი ძრწოლა გაქვთ ადმინისტრაციის წინაშე. მთელი დღე და მოსწრება ამ ძრწოლას ყოველი მხრიდან ყოველნაირად გინერგავენ და თქვენ, რაც ძალი და ღონე გაქვთ, თავადაც უწყობთ ამას ხელს. მაგრამ არსებითად აქ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს: თუ ადმინისტრაცია ვარგა, რატომ არ უნდა ეკიდებოდე მას ძრწოლითა და მოწიწებით? ოღონდ, არ შეიძლება ისეთი უსწავლელი ჭაბუკი, როგორიც ბარნაბაა, რომელიც არასოდეს არ გასულა თავისი სოფლის ფარგლებს გარეთ, ერთბაშად გაგზავნო გოდოლში, მერე კი მოსთხოვო უტყუარი ცნობები და ყოველი მისი სიტყვა აღიქვა მოვლენად, თანაც ასეთ განმარტებას დაუქვემდებარო მთელი შენი ბედ-იღბალი. ეს ყველაზე მცდარი მიდგომაა. მართალია, მეც შენსავით ავყევი მას და შევცდი. არა მარტო იმედი მქონდა მისი, არამედ იმედგაცრუებასაც ვითმენდი მისგან, არადა, ყველაფერი მხოლოდ მის ნათქვამს ეფუძნებოდა, არსებითად, და არცთუ უსაფუძვლოდ.“ ოლღას ხმა არ ამოუღია. „მე გამიჭირდება“, თქვა კ.-მ, „წყალი შევუყენო შენს ნდობას ძმისადმი, მე ხომ ვხედავ, როგორ გიყვარს, რას მოელი მისგან. მაგრამ იძულებული ვარ, ასე ვილაპარაკო თუნდაც შენი სიყვარულისა და შენი მოლოდინის გულისათვის. გამიგე: შენ ხომ სულ მუდამ რაღაც გიშლის ხელს – თუმცა, მე არც ვიცი, რა, – სწორედ რომ გიშლის, დაინახო, როგორც წესი და რიგია, თუ არა მიღწევები, რომლებიც ბარნაბამ მოიპოვა, ყოველ შემთხვევაში, ისინი, რაც ბედმა არგუნა. მას ნებადართული აქვს იაროს კანცელარიაში ან, თუ გინდა, მოსაცდელში. დაე, ეს იყოს მოსაცდელი, მაგრამ იქ ხომ არის კარი და მათ სხვა ოთახებში შეჰყავხარ, არის ტიხარები, რომლებიც შეგიძლია გაიარო, თუ სიმარჯვემ არ გიღალატა. აი, ჩემთვის, მაგალითად, ეს მოსაცდელიც, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, სრულიად მიუწვდომელია. ვის ელაპარაკება იქ ბარნაბა, მე არ ვიცი. ეგებ იმ მწერალს და ყველაზე ხელწამოსაკრავს მოსამსახურეთაგან, მაგრამ მაშინაც კი, თუ იგი ყველაზე ხელწამოსაკრავია, შეუძლია გაატაროს მთხოვნელი ზემდგომთან, ხოლო თუ არ შეუძლია გაატაროს, მაშინ თუნდაც უთხრას, რა ჰქვია, თუ სახელის თქმაც არ შეუძლია, მაშინ თუნდაც მიანიშნოს ვინმეზე, ვინც ეს სახელი იცის. ცრუკლამს, როგორც ჩანს, არაფერი აქვს საერთო ნამდვილ კლამთან და მხოლოდ აღელვებით დაბრმავებული ბარნაბა პოულობს რაღაც მსგავსებას. შესაძლოა, ეს იყოს ყველაზე წვრილფეხა მოხელე, ან უფრო სწორად, მოხელეც კი არ იყოს, მაგრამ თავისი კანტორის რაღაც დავალებას მაინც ხომ ასრულებს, რაღაცას მაინც კითხულობს თავისი დიდი დავთრიდან, რაღაცას უჩურჩულებს მწერალს, რაღაცას ფიქრობს, როდესაც, თუნდაც ათასში ერთხელ ეს მზერა ჩერდება ბარნაბაზე, და მაშინაც კი, თუ ყოველივე ეს თავიდან ბოლომდე მოჩვენებითია და თვით მოხელესაც და მის საქმიანობასაც არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ, მაგრამ მაინც, ვიღაცამ ხომ დააყენა ის იქ, და დააყენა გარკვეული მიზნით. საერთოდ, მინდა ვთქვა: რაღაც აქ ნამდვილად არის, რაღაც ბარნაბას მინიჭებული აქვს, ყოველ შემთხვევაში, რაღაც მაინც მისცეს, და მხოლოდ ბარნაბას ბრალია, თუ ყოველივე ამაში ვერაფერი იპოვა ეჭვების, შიშის და სასწორკვეთილების გარდა. არადა, მე აქ ვხელმძღვანელობ ყველაზე არასახრბიელო მდგომარეობით, რომელიც ასევე ნაკლებად სარწმუნოა. ჩვენ ხომ ხელთ გვაქვს წერილები – მართალია, მათ ნაკლებად ვენდობი, მაგრამ მაინც – უფრო მეტად, ვიდრე – ბარნაბას სიტყვებს. მერედა რა, რომ ეს ძველი, უმაქნისი წერილებია, არავითარი ფასი არა აქვთ, და ალალბედზეა ამოღებული ასეთივე ძველი წერილების

გროვიდან, სწორედ ალალბედზე, ისევე გაუცნობიერებლად, როგორც ბაზრობაზე ნანახი იადონი იღებს ნებისმიერი კაცისათვის ალალბედზე „ბედ-იღბლის“ ბილეთს, მაგრამ თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ წერილებს გარკვეული კავშირი აქვთ ჩემს სამუშაოსთან, ისინი აშკარად ჩემთვის არის გამოგზავნილი, როგორც დამიდასტურეს მამასახლისმა და მისმა ცოლმა. ეს წერილები საკუთარი ხელით აქვს დაწერილი კლამს, თუმცა შეიძლება, არა ჩემს სასიკეთოდ. მერე რა, იყოს ეს წერილები კერძო და ნაკლებად გასაგები, ასე ბრძანა მამასახლისმა, მაგრამ მათ მაინც აქვთ სერიოზული მნიშვნელობა.“ „ეს მამასახლისმა გითხრა?“ ჰკითხა ოლღამ. „დიახ, ასე თქვა მან.“ უპასუხა კ.-მ. „აუცილებლად ვუამბობ ბარნაბას“, ჩქარ-ჩქარა ჩაილაპარაკა ოლღამ, „ეს ძალზე გაამხნევებს.“ „მაგრამ მას სულაც არ სჭირდება არავითარი გამხნევება“, თქვა კ.-მ. „გაამხნევო იგი – ნიშნავს, უთხრა, რომ იგი სწორია, რომ განაგრძოს ყველაფერი ძველებურად, მაგრამ ასე ხომ იგი ვერაფერს ვერ მიაღწევს. შეგიძლია, რამდენიც გსურს, ამხნევო თვალახვეული კაცი – იყუროს ხილაბანდში, სულ ერთია, იგი ვერაფერს დაინახავს, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ხილაბანდს მოხსნიან, იგი ყველაფერს დაინახავს. დახმარება – აი, რა სჭირდება ბარნაბას, და სულაც არა – გამხნევება. შენ მხოლოდ იფიქრე: ყველა ეს დაწესებულება იქ, ზევით, მთელი თავიანთი უკარება სიდიადით, – მე კი აქ ჩამოსვლამდე მეგონა, რომ თუნდაც მიახლოებითი წარმოდგენა მქონდა მათზე, რა მიამიტობაა, – მაშასადამე, იქ ეს დაწესებულებებია, და მათ აწყდება ბარნაბა. არავინ, მის გარდა, მხოლოდ ის, ეული, თავისი მარტოობით საბრალო, და მისთვის კიდევ დიდი პატივია, თუ ასევე ჩაინავლება იქ, მთელი ცხოვრება კანცელარიის ბნელ კუთხეში დაყენებული.“ „შენ ოღონდ ნუ გგონია, კ.“, თქვა ოლღამ, „რომ ჩვენ ჯეროვნად არ ვაფასებთ იმ ამოცანის მთელ სიძნელეს, რომელიც ბარნაბამ იტვირთა. ხელისუფლებისადმი პატივისცემა ჩვენ საკმარისად გვაქვს, შენ თვითონ თქვი ეს.“ „დიახ, მაგრამ ეს უკვე აღარ არის პატივისცემა“, თქვა კ.-მ, „თქვენი პატივისცემა იქით არ არის მიმართული, სადაც ჯერ არს, ხოლო ეკიდებოდე ასე – ნიშნავს, ამცირებდე იმას, ვისაც პატივს სცემ. რაღა პატივისცემაა ეს, თუ ბარნაბა ფუჭად ხარჯავს მისთვის ბოძებულ უფლებას, იაროს იმ ოთახში, და უსაქმურად ატარებს იქ მთელ დღეებს, ან ქვემოთ რომ ჩამოვა, სახელს უტეხს და აკნინებს იმათ, ვის წინაშეც სულ ცოტა ხნის წინ ძრწოდა, ან თუ, – დაღლილობის გამო თუ იმედგაცრუების გამო, – არ მიაქვს იმავ წამს ეს წერილები დანიშნულებისამებრ და არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ დავალებას დაუყოვნებლად. არა, აქ არავითარი პატივისცემა არ არის, მაგრამ არ კმარა, უსაყვედურო ბარნაბას, მე შენთანაც მაქვს სასაყვედურო, ოლღა. ძაან კი არ მინდა. შენ თვითონ, მიუხედავად მთელი შენი ძრწოლის და მოწიწებისა ადმინისტრაციის წინაშე, მაინც გაგზავნე გოდოლში ბარნაბა – ასეთი ახალაზრდა, ასეთი სუსტი და მარტოსული, ყოველ შემთხვევაში შენ არ გააჩერე იგი.“

„შენს საყვედურებს“, თქვა ოლღამ, „მე უკვე დიდი ხანია ჩავჩიჩინებ ჩემ თავს. რა თქმა უნდა, იმიტომ კი არ ვსაყვედურობ საკუთარ თავს, რომ ბარნაბა იქ გავგზავნე, მე ის არ გამიგზავნია, თვითონ წავიდა, მაგრამ მე, ალბათ, უნდა მეხმარა ყოველი ღონე – ძალა, ეშმაკობა, დაყვავება, რჩევა-დარიგება, – და უარი მეთქმევინებინა ამაზე. დიახ, მე უნდა მეთქმევინებინა მისთვის უარი, მაგრამ ახლა კვლავ რომ დადგეს ის დღე, ის გადამწყვეტი დღე, და მე რომ ვგრძნობდე ბარნაბას უბედურებას, ჩვენი ოჯახის უბედურებას, როგორც მაშინ და როგორც ახლა ვგრძნობ, და ბარნაბას, რომელსაც ნათლად წარმოუდგენია ჩვენი პასუხისმგებლობა და საშიშროება, კვლავ, ალერსიანი ღიმილით ფრთხილად რომ აეღებინებინა ჩემი ხელი მხრიდან და წასულიყო, მე

დღესაც ვერ შევძლებდი გამეჩერებინა იგი, მეთქმევინებინა უარი, მიუხედავად ყველაფრისა, რაც მას შემდეგ მოხდა. და შენც, ჩემი რომ იყო, ზუსტად ასევე მოიქცეოდი. შენ არ იცი ჩვენი უბედურება, ამიტომ ხარ ესოდენ უსამართლო ჩვენდამი, განსაკუთრებით ბარნაბასადმი. მაშინ ჩვენ მეტი იმედი გვქონდა, ვიდრე ახლა, მაგრამ მაშინაც არ გვქონია დიდი იმედები, მხოლოდ უბედურება იყო დიდი და ასეთად დარჩა დღესაც. განა ფრიდამ არაფერი არ გითხრა ჩვენზე?“ „მხოლოდ გადაკვრით“, თქვა კ.-მ, „გარკვეული არაფერი უთქვამს, მაგრამ როცა თქვენს სახელს ვახსენებ, ღელავს.“ „არც დიასახლისს უამბია შენთვის არაფერი?“ „არა, არ უამბია.“ „არც სხვამ არ გითხრა არაფერი?“ „არც სხვამ.“ „გასაგებია, რასაკვირველია, რა პირით უნდა ეთქვათ თუნდაც რაღაც. თითოეულმა მცხოვრებმა ჩვენზე რაღაც იცის – ან სიმართლე, რამდენადაც იგი ხელმისაწვდომია ადამიანებისათვის, ანდა, რაღაც დაყრილი ჭორები, ადამიანები ჩვენზე გაცილებით მეტს ფიქრობენ, ვიდრე უნდა ეფიქრათ, მაგრამ პირდაპირ რომ გიამბონ, ვერავინ ბედავს, ადამიანებს პირის გაღებისა ეშინიათ, ასეთი რამ რომ თქვან, და აქ ვერც გაამტყუნებ. ძნელია, ყოველივე ამის თქმა შენს წინაშეც კი, კ., ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ მომისმინო, მერე წახვიდე და ზედაც აღარ შემოგვბედო?!, თუმცა შენ ეს არც უნდა გეხებოდეს. მაშინ დაგკარგავთ, არადა შენ, უნდა გამოგიტყდე, ახლა ლამის გაცილებით მეტს ნიშნავ ჩემთვის, ვიდრე ბარნაბას გოდლის სამსახური. და მაინც მე მთელი საღამოა, მიღრღნის გულს ეჭვის ჭია, რომ შენ მაინც უნდა იცოდე. სხვაგვარად ვერ გაიგებ ჩვენს მდგომარეობას და კვლავინდებურად – რაც ჩემთვის ყველაზე მეტად არის გულსატკენი – უსამართლო იქნები ბარნაბას მიმართ, და მე და შენ არ გვექნება სრული გაგება, ეს კი აუცილებელია, თორემ შენ ვერ შეძლებ ჩვენს დახმარებას და ვერც შენ მიიღებ ჩვენგან ძალზე მნიშვნელოვან დახმარებას. რჩება ერთი კითხვა: „გინდა კია საერთოდ, იცოდე ყველაფერი?“ „რატომ მეკითხები?“ თქვა კ.-მ. „თუკი ეს აუცილებელია, მაშინ მინდა, ვიცოდე ყველაფერი, მაგრამ რატომ მეკითხები ასე?“ „ცრუმორწმუნეობა მალაპარაკებს“, თქვა ოლღამ, „შენ თავიან-ფეხებიანა აღმოჩდები ჩათრეული ჩვენს საქმეებში, თუმცა არავითარი ბრალი არ მიგიძღვის, ისევე, როგორც არ მიუძღვის ბრალი არც ბარნაბას.“ „მიდი, წვრილად მიამბე ყველაფერი!“ თქვა კ.-მ. „არაფრის არ მეშინია. შენი ქალური შიშებისაგან ყველაფერი უფრო უარესად მეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია.“

17. ამალიას საიდუმლო

„თავად განსაჯე“, თქვა ოლღამ. „თუმცა ყველაფერი თითქოს ძალიან მარტივად არის, ერთბაშად ვერც კი მიხვდები, როგორ შეიძლება ამას ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდეს. გოდოლში არის ერთი არცთუ ხელწამოსაკრავი მოხელე, მას სორტინის ეძახიან.“ „მსმენია მის შესახებ“, თქვა კ.-მ. „მას რაღაც დამოკიდებულება ჰქონდა ჩემს გამოძახებასთან.“ „არა მგონია“, თქვა ოლღამ. „სორტინი თითქმის არასოდეს არ გამოდის ოფიციალურად. ხომ არ გეშლება შენ სორდინიში, „დ“-თი, დონით იწერება?!“ „მართალი ხარ“, თქვა კ.-მ, „ეს სორდინი იყო.“ „დიახ“, თქვა ოლღამ. „სორდინის ყველა იცნობს. იგი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოხელეა. მასზე ბევრს ლაპარაკობენ. სორტინის კი, პირიქით, ჩრდილში უყვარს დგომა, მას არავინ არ იცნობს. სამი წლის, თუ უფრო მეტი ხნის წინ პირველად და უკანასკნელად ვნახე. ეს იყო სამ ივლისს, სახაძრო რაზმის დღესასწაულზე, რომელშიც გოდოლმაც მიიღო მონაწილეობა, გოდლიდან საჩუქრად ახალი ტუმბო გამოგზავნეს. სორტინი, როგორც

ამბობენ, ნაწილობრივ უძღვება სახანძრო საქმეებს (თუმცა, ეგებ ვიღაცის ნაცვლად იყო, ჩვეულებრივ, მოხელეები ეწევიან ხოლმე ერთმანეთის მაგიერობას, ამიტომ ჭირს ასე, განსაზღვრო ამა თუ იმ ჩინოვნიკის თანამდებობა). ჰოდა, ეს სორტინი მონაწილეობდა ტუმბოს გადმოცემაში, ბუნებრივია, გოდლიდან ბევრი ხალხი მოვიდა – მოხელეებიც და მსახურებიც, – და სორტინის, როგორც უნდა მოელოდო ასეთი ხასიათის კაცისაგან, ამაყად ეჭირა თავი და განზე გადგა. იგი ჩია ტანისაა, ერთი კაფანდარა, უჟმური კაცია, მაგრამ რაც განსაკუთრებით გეცემა თვალში, თუ საერთოდ მიაქციე მას ყურადღება, ეს არის ნაოჭები, რომლებითაც დაღარული აქვს სახე, თუმცა, იგი ალბათ მაშინ ორმოცზე მეტისა არ იქნებოდა, და მთელი ეს ნაოჭები შუბლიდან ცხვირისაკენ მარაოდ ეშვებოდა, მსგავსი რამ სიცოცხლეში არ მენახა. და აი, იმას გიყვებოდი, რომ დადგა ეს დღესასწაული. მე და ამალია უკვე რამდენიმე კვირით ადრე ვხარობდით, ახლებურად გადავიკეთეთ ძველი სადღესასწაულო კაბები. განსაკუთრებით ლამაზი კაბა ჰქონდა ამალიას: თეთრი ბლუზი, წინიდან მთლად ფუშფუშა, რამდენიმე რიგად მაქმანით გაწყობილი, დედამ მთელი თავისი მაქმანი მისცა. მე ძალიან მშურდა მისი და ნახევარი ღამე ვიტირე, მაშინ მხოლოდ „ხიდისპირა“ ფუნდუკის დიასახლისი მოვიდა ჩვენს სანახავად...“ „ხიდისპირა“ ფუნდუკის დიასახლისი?“ ჰკითხა კ.-მ. „დიახ“, თქვა ოლღამ, „იმ დროს იგი ახლოს მეგობრობდა ჩვენთან, ჰოდა, მოვიდა, აღიარა, რომ ამალია ჩემზე გაცილებით უკეთ იყო ჩაცმული, და, რომ ვენუგეშებინე, მათხოვა თავისი ბოჰემური ძოწის მძივები. ხოლო როდესაც ჩვენ უკვე მზად ვიყავით და ამალია ჩემს წინ იდგა და ყველა მას შენატროდა, მამამ თქვა: „დაიხსომეთ ჩემი სიტყვები, ამალია დღეს საბედოს იპოვისო!“ – მოულოდნელად მე, თვითონაც არ ვიცი, რატომ, მოვიხსენი მძივები, ჩემი სიამაყე, და წრფელი გულით შევაბი ამალიას, უკვე ყოველგვარმა შურმა გამიარა. მე თაყვანს ვცემდი მის გამარჯვებას და მიმაჩნდა, რომ ყველას ასევე უნდა ეცა თაყვანი. შეიძლება, ჩვენ ყველანი გაგვაოცა იმან, რომ იგი ისე არ გამოიყურებოდა, როგორც ყოველთვის, არსებითად, ამალიას ლამაზს ხომ ვერ უწოდებ, მაგრამ მიბნედილი მზერა, რომელიც დღემდე შემორჩა, სადღაც მაღლა, თავსზევით დაგვფარფატებდა, თან უნებლიედ გვაიძულებდა ლამის მართლაც გვეცა თაყვანი მისთვის. ეს ყველამ შეამჩნია, ლაზემანმაც კი ცოლთან ერთად, რომლებმაც ჩვენ გამოგვიარეს“. „ლაზემანმა?“ ჩაიკითხა კ.-მ. „დიახ, ლაზემანმა“, თქვა ოლღამ. „ჩვენ ხომ პატივსცემით ვიყავით გარემოსილნი, და დღესასწაული, მაგალითად, უჩვენოდ ვერანაირად ვერ დაიწყებოდა იმიტომ, რომ მამა სახანძრო რაზმის მესამე ინსტრუქტორი იყო.“ „ნუთუ მამა მაშინ ჯერ კიდევ ასე ყოჩაღად გამოიყურებოდა?“ ჰკითხა კ.-მ. „მამა?“ გაიმეორა ოლღამ, თითქოს ვერ გაიგოო. „სამი წლის წინ ის ხომ შედარებით ახალგაზრდა კაცი იყო – მაგალითად, სასტუმროს ხანძრის დროს სირბილით გამოიყვანა ზურგზე მოკიდებული მოხელე, გალატერი, ერთობ მძიმე კაცი. მე თვითონ შევესწარი ამ ამბავს, მართალია, ნამდვილი ხანძარი არ ყოფილა, მხოლოდ ღუმელთან დაყრილ ხმელ შეშას მოედო ცეცხლი და ავარდა კვამლი, მაგრამ გალატერი დაფრთხა და ფანჯრიდან იყვირა: „მიშველეთო!“, მაშინვე მოცვივდნენ მეხანძრეები, და მამა იძულებული გახდა, ზურგზე მოეკიდებინა იგი, თუმცა ცეცხლი უკვე ჩაექროთ, მაგრამ გალატერი ერთობ უმოძრაო კაცია და ასეთ შემთხვევებში ფრთხილობს ხოლმე. ყოველივე ეს მხოლოდ მამაჩემის გამო გიამბე, მაგრამ მას შემდეგ სამ წელიწადზე მეტი არ იქნება გასული, ახლა კი შეხედე, რას დაემსგავსა.“ კ.-მ მხოლოდ ახლა დაინახა, რომ ამალია უკვე დაბრუნებულიყო ოთახში, მაგრამ იგი შორს იყო, მშობლების მაგიდასთან, და იქ დედას კოვზით აჭმევდა. მოხუცი სახსრების ანთების გამო ხელს ვერ ამოძრავებდა – ამასთან,

დაყვავებით ურჩევდა მამას, ცოტა კიდევ მოეთმინა, ახლავე მოვიცლი და შენც გაჭმევო, მაგრამ მამა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა შვილის შეგონებას და ხარბად ცდილობდა შესდგომოდა წვნიანის ჭამას; დასძლია სისუსტე და ხან კოვზით სინჯა წვენის აღება, ხან პირდაპირ თეფშიდან მოხვრიპა, გაბრაზებული ჯუჯღუნებდა, რადგან არც ერთი არ გამოსდიოდა: სანამ კოვზს პირთან მიიტანდა, სუფი ეღვრებოდა, წვნიანში კი მხოლოდ მისი ჩამოშვებული ულვაში ხვდებოდა და შხეფები ცვიოდა ყველა მხარეს, მაგრამ არა-პირში. „როგორ მივიდა აქამდე სულ სამ წელიწადში?“ იკითხა კ.-მ., რომელიც ჯერ კიდევ განიცდიდა მოხუცი ცოლ-ქმრისა და ყველაფრისადმი, რაც სუფრის კუთხეში ხდებოდა, არა სიბრალულს, არამედ ზიზღს. „სამ წელიწადში კი არა“, თქვა ოლღამ, „უფრო სწორად, იმ რამდენიმე საათში, რაც დღესასწაული გრძელდებოდა. ზეიმი მოეწყო მდელოზე სოფლის მახლობლად, ნაკადულის პირას. როცა ჩვენ მივედით, ნამდვილი ზედახორა იყო, უამრავი ხალხი ჩამოვიდა მეზობელი სოფლებიდან, ისეთი ხმაური იდგა, ყველას თავბრუ გვეხვეოდა. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, მამამ ახალ ტუმბოსთან მიგვიყვანა და მის დანახვაზე სიხარულის სიცილი ვერ შეიკავა, ისე ბედნიერი იყო, რომ ახალი ტუმბო გამოუგზავნეს. ნაზად უსვამდა ხელს, და გვიხსნიდა, როგორ არის ტუმბო მოწყობილი. ბრაზობდა, როდესაც სხვები ერეოდნენ და სიტყვას აწყვეტინებდნენ, ხოლო როდესაც უნდოდა ჩვენთვის ეჩვენებინა რაღაც ტუმბოს ქვეშ, გვაიძულებდა, დავხრილიყავით და ლამის შიგ შევმძვრალიყავით. მაშინ კი მოსცხო ბარნაბას, რომელსაც არ სურდა დაკუზულიყო. მხოლოდ ამალია არ აქცევდა არავითარ ყურადღებას ამ ტუმბოს, იდგა თავისი ლამაზი კაბით და არ ინძრეოდა, ვერავინ ბედავდა, მისთვის რაიმე შენიშვნა მიეცა, ზოგჯერ მე მივიდოდი ხოლმე, და ხელს ვკიდებდი, მაგრამ ამალია სდუმდა. დღემდე ვერანაირად ვერ გამიგია, რატომ მოხდა ასე, რომ ჩვენ ამდენ ხანს ვიდექით ტუმბოსთან. და მხოლოდ როდესაც მამა, ბოლოს და ბოლოს, მოცილდა ტუმბოს, დავინახეთ სორტინი, რომელიც, ეტყობა მთელი ამ ხნის მანძილზე ტუმბოს უკან იდგა, სახელურს მიყრდნობილი. მართალია, ირგვლივ საშინელი ხმაურია იყო და არა უბრალოდ ისეთი, როგორიც ჩვეულებრივ არის ხოლმე დღესასწაულებზე. საქმე ის არის, რომ გოდლიდან მეხანძრეებს საჩუქრად გამოუგზავნეს კიდევ რამდენიმე საყვირი, რაღაც განსაკუთრებული, ასეთი საყვირებით ბავშვსაც კი უმცირესი ჩაბერვით შეეძლო თავისუფლად გამოეცა გამყინავი, ველური ხმები. ისეთი ყურთასმენისწამღები ყიჟინა იდგა, გეგონებოდა, ოსმალები შემოგვესივნენო და ამ მუსიკის მიჩვევა წარმოუდგენელი საქმე იყო. ყოველ ბგერაზე ვკრთებოდით. და იმიტომ, რომ საყვირები პრიალა და ცინცხალი იყო, ყველას სურდა, ჩაებერა, ხოლო რახან სახალხო დღესასწაული გვქონდა, არავის არ უშლიდნენ. ირგვლივ რამდენიმე ასეთი მებუკე გვედგა, შეიძლება ისინი ამალიამ მოიზიდა. აზრის მოკრება უბრალოდ შეუძლებელი იყო, აქ კი მამა გვიბრძანებებდა, ყურადღებით დაგვეთვალიერებინა ტუმბო. სწორედ ამიტომ სორტინიც, რომელიც აქამდე თვალით არ გვენახა, ასე დიდხანს გვრჩებოდა შეუმჩნეველი. „აი, სორტინი, იქა დგას“, გადაუჩურჩულა მამას ლაზემანმა. მე გვერდით ვიდექი და გავიგონე. მამამ მდაბლად დაუკრა თავი მოხელეს და ჩვენც გვანიშნა – თავი დაუკარითო. მამას თუმცა არ ენახა იგი აქამდე, მაგრამ დიდ პატივს სცემდა, როგორც სახანძრო საქმის მცოდნეს და ხშირად ლაპარაკობდა ამის შესახებ შინ, ამიტომაც ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა და დიდი ამბავი იყო ცოცხალი სორტინის ხილვა, მაგრამ სორტინი ყურადღებას არ გვაქცევდა არა პირადი ახირებით, არამედ როგორც ყველა მოხელე, ისიც სრულ გულგრილობას იჩენდა ადამიანების მიმართ. გარდა ამისა, იგი ძალიან დაღლილი ჩანდა და მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობა აჩერებდა აქ, ქვემოთ.

ზოგისთვის წარმომადგენლობა ნამდვილი ჭირია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი ყველაზე ცუდი მოხელენი არიან. სხვა მოხელენი და მსახურები, რახან აქ მოვიდნენ, მოზეიმე ხალხს შეერივნენ, მაგრამ სორტინი ტუმბოსთან იდგა და ყოველ კაცს, რომელიც ცდილობდა, მასთან მისულიყო რაიმე სათხოვრით თუ პირფერობით, თავისი დუმილით აფრთხობდა, ჩვენ უფრო გვიან შეგვნიშნა, ვიდრე დავინახავდით და მხოლოდ როცა ჩვენ პატივისცემით დავუკარით თავი და მამამ ჩვენს მაგივრად ბოდიშების მოხდა დაუწყო. მან გადმოგვხედა, და დაღლილი თვალებით ყველანი რიგრიგობით აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა. გეგონებოდა, ოხრავსო, რომ ჩვენ ერთმანეთს მივყვებოდით, სანამ არ შეაჩერა მზერა ამალიაზე. რომლისთვისაც იძულებული იყო ქვემოდან ზემოთ ეცქირა, იმიტომ, რომ ამალია მასზე გაცილებით უფრო მაღალი იყო. აქ კი დაიბნა, გადმოახტა ტუმბოს სახელურს, რათა ამალიასთან უფრო ახლოს ყოფილიყო, ჩვენ ვერ გავიგეთ, რაში იყო საქმე და ყველანი მამის წინამძღოლობით მისკენ დავიძარით; აქ სორტინიმ ხელი ზევით ასწია და გაგვაჩერა. მერე კი აგვიქნია, წადითო, ეს იყო და ეს. ჩვენ ამალიას შევუჩნდით, ვაბრაზებდით, როგორც იქნა, საბედო იპოვეო, და მთელი დღე ვმხიარულობდით. არც კი ვიცოდით, რა ხდებოდა, მაგრამ ამალია ჩვეულებრივზე უფრო სიტყვაძუნწი გახდა. „ეტყობა, გაგიჟებით შეუყვარდა სორტინი“, თქვა ბრუნსვიკმა. ის ხომ უხეში კაცია და ისეთი ადამიანებისა, როგორიც ამალიაა, არ ესმის. მაგრამ ამჯერად ჩვენ მოგვეჩვენა, რომ იგი თითქმის სწორი იყო, საერთოდ კი ყველანი მთელი დღე ვერთობოდით და ვმხიარულობდით, ჩვენთან ერთად – ამალიაც, რომელიც ჩვენსავით თითქოს გაბრუებული იყო გოდლიდან მოტანილი ტკბილი ღვინით, როდესაც ნაშუაღამევს შინ დავბრუნდით.“ „სორტინი რაღა იქნა?“ ჰკითხა კ.-მ. „ჰო, სორტინი“, თქვა ოლღამ. „რამდენჯერმე გაკვრით დავინახე სორტინი, დღესასწაულის დროს, ტუმბოს სახელურზე იჯდა, მკერდზე გადაეჯვარედინებინა ხელები და ასე გაშეშებული იყო, სანამ მის წასაყვანად გოდლის მანქანა მოვიდოდა. მეხანძრეთა მანევრებზეც კი არ ისურვა დასწრება, ხოლო მამაჩვენმა, იმ იმედით, რომ სორტინი უყურებდა, თავისი ასაკის ყველა მამაკაცს აჯობა.“ „თქვენც არ გსმენიათ მის შესახებ აღარაფერი?“ ჰკითხა კ.-მ. „შენ ხომ, მგონი, დიდი მოწიწებით ეკიდები მას?“ „ჰო, მოწიწებით“, თქვა ოლღამ. „და სულ მალე გავიგეთ მის შესახებ. მეორე დილას, ნაქეიფარზე გამოგვაღვიძა ამალიას ყვირილმა. ყველამ ისევ ხელახლა დავიძინეთ, მხოლოდ მე გამოვფხიზლდი საბოლოოდ და ამალიასთან მივირბინე. იგი ფანჯარასთან იდგა და ხელში ეკავა წერილი – იგი სარკმლიდან მიაწოდა ვიღაც კაცმა და პასუხს ელოდებოდა. ამალიას წაეკითხა ბარათი – სულ პატარა იყო – და ჩამოშვებულ ხელში ეკავა. მე ყოველთვის განსაკუთრებით მიყვარდა იგი, როდესაც ასეთ დაღლილს ვხედავდი! მის ხელთან ჩავიცუცქე და წავიკითხე წერილი. ძლივს მოვასწარი ბოლომდე ჩაკითხვა, რომ ამალიამ ერთი გადმომხედა, ასწია წერილიანი ხელი, მაგრამ ვერ აიძულა თავის თავს, გადაეკითხა იგი. ნაკუწებად აქცია და სახეში შეაყარა მამაკაცს, რომელიც ფანჯრის მიღმა იდგა, მერე კი სარკმელიც მიუკეტა. ეს დილა გადამწყვეტი აღმოჩნდა. მე მას გადამწყვეტს ვუწოდებ, თუმცა მთელი წინანდელი დღე, მისი ყოველი წუთი არანაკლებ გადამწყვეტი იყო.“ „მაინც, რა ეწერა ბარათში?“ ჰკითხა კ.-მ. „ჰო, ამის შესახებ ჯერ არაფერი მითქვამს“, უპასუხა ოლღამ, „სორტინის მოეწერა ძოწისმძივებიანი ქალიშვილისათვის. შინაარსს ვერ გადმოგცემ. ეს იყო მოთხოვნა, ამალია ხლებოდა სასტუმროში, თანაც, დაუყოვნებლივ უნდა წასულიყო, ვინაიდან ნახევარი საათის შემდეგ სორტინი მიდიოდა. ბარათი დაწერილი იყო უბილწესი გამოთქმებით, ასეთი რამ ჩემ დღეში არ მსმენოდა, და მხოლოდ ნახევარი გავიგე, ისიც – გუმანით, ვინც ამალიას არ იცნობდა, ის, ალბათ, სახელგატეხილად

ჩათვლიდა ქალიშვილს, რომელსაც ასე სწერდნენ, მაშინაც კი, თუ არავის დაეკარებინა მისთვის თითი. და წერილი იყო არა სამიჯნურო, შიგ ერთი ალერსიანი სიტყვაც არ ეწერა, პირიქით, სორტინი აშკარად ბრაზობდა, რომ ამალიას ნახვამ ასე იმოქმედა მასზე და მოსწყვიტა მის მოვალეობებს. ჩვენ მერე-ღა მივხვდით, რომ სორტინის, ალბათ, იმ საღამოსვე უნდოდა გოდოლში გაბრუნება და მხოლოდ ამალიას გამო დარჩა სოფელში, ხოლო დილით გული მოუვიდა, რომ ღამით ვერ შეძლო ამალიას დავიწყება და წერილი მოსწერა. ასეთი წერილი აღაშფოთებდა ნებისმიერ ქალიშვილს, თუნდაც ყველაზე აუღელვებელს, მაგრამ შემდეგ შეიძლება სხვა გოგონას, რომელიც ამალიას არ გავდა, შიშით თავზარი დასცემოდა წერილის მუქარით აღსავსე, მრისხანე ტონის გამო, აი ამალიაში კი მხოლოდ გულისწყრომა გამოიწვია. მან არ იცის შიში – არც საკუთარი თავის და არც სხვების გამო. და როცა მე კვლავ შევძვერი საბნის ქვეშ, და გულში ვიმეორებდი ფრაზის ნაწყვეტს, რომლითაც მთავრდებოდა წერილი: „...და დაუყოვნებლივ მეახლო, თორემ...“ ამალია ისევ ფანჯარასთან იდგა და ეზოში იყურებოდა, თითქოს სხვა შიკრიკებს ელოდება და მზად არის, ყველას ისე მოექცეს, როგორც პირველსო.“ „აი როგორები არიან ეს მოხელენი“, მორიდებით თქვა კ.-მ, „მაშასადამე, მათ შორის ასეთი ეგზემპლარებიც გვხვდებიან ხოლმე. მამაშენმა რაღა ქნა, როგორ მოიქცა? იმედი მაქვს, უჩივლა სორტინის შესაბამის ინსტანციებში, თუ ამჯობინა უფრო მოკლე და უტყუარი გზა – პირდაპირ წასულიყო სასტუმროში. მაგრამ მთელ ამ ამბავში ყველაზე საზიზღარი არის არა წყენა, რომელიც ქალიშვილს მიაყენეს, წყენა იოლი გამოსასწორებელია, არ მესმის, რატომ ანიჭებ შენ სახელდობრ ამას ასეთ გაზვიადებულ მნიშვნელობას. იმიტომ, რომ სორტინიმ სამუდამოდ მოსჭრა თავი ამალიას თავისი წერილით? არადა, ასე შეიძლება გაიგო შენი ნაამბობის მიხედვით მაგრამ ეს ხომ სრული უაზრობაა და სულაც არ იქნებოდა ძნელი ამალიასთვის სრული დაკმაყოფილების მიღწევა, ორი-სამი დღის შემდეგ კი ეს ამბავი დავიწყებას მიეცემოდა. სორტინიმ ამალიას კი არ მოსჭრა თავი, საკუთარი თავი მოიჭრა და მე მაშინებს სწორედ სორტინი, მაშინებს ძალაუფლების ასეთ ბოროტებად გამოყენების თვით შესაძლებლობა. ის, რაც ვერ მოხერხდა ამ შემთხვევაში იმიტომ, რომ მეტისმეტად ცხადად და ნათლად იყო გამოთქმული, რასაც საკადრისი პასუხი გასცა ამალიამ, ათასობით სხვა შემთხვევაში, ნაკლებად ხელშემწყობ ვითარებაში, შეიძლებოდა სავსებით გამოსულიყო, თანაც ისე, რომ ბევრი ვერავინ შეამჩნევდა, თვით დაზარალებულიც კი.“ „ჩუმად“, თქვა ოლღამ, „ამალია აქეთ იყურება.“ ამალიას უკვე დაეპურებინა მშობლები და ახლა ტანთ ხდიდა დედას. ის იყო გაუხსნა ბოლოკაბა, დედის ხელები მხრებზე დაიწყო, ოდნავ ასწია, გახადა ბოლოკაბა და ფრთხილად დასვა ადგილზე. მამა, რომელიც არ მალავდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ დედას მასზე უფრო ადრე ემსახურებოდნენ, – რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ დედა მასთან შედარებით გაცილებით უმწეო იყო, – შეეცადა, თვითონ გაეხადა, ეტყობა იმ განზრახვით, რომ დაემუნათებინა ქალიშვილი მისი ვითომდა ზოზინისათვის, მაგრამ, თუმცა ყველაზე იოლითა და მეორეხარისხოვანით დაიწყო, ვერაფრის დიდებით ვერ შეძლო გაეძრო უზარმაზარი ღამის ფეხსაცმელი, რომელშიც მისი ქუსლი მიდი-მოდიოდა; აქოშინებულმა და სუნთქვაშეკრულმა, ხიხინ-ხროტინით, ბოლოს და ბოლოს უარი თქვა საკუთარი ძალებით გახდის ყოველგვარ მცდელობაზე და, ღონემიხდილი, ისევ თავის სავარძელში გაშეშდა. „შენ ყველაზე მთავარი არ გესმის“, თქვა ოლღამ, „შეიძლება, სხვა მხრივ სწორიც იყო, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ამალია სასტუმროში არ წასულა. ის, რომ ასე მოექცა შიკრიკს, კიდევ შერჩებოდა, ამის მიფუჩეჩება შეიძლებოდა, მაგრამ იმით, რომ არ წავიდა, წყევლა-კრულვა დაატეხა

თავს ჩვენს ოჯახს. ხოლო ამასთან მისი საქციელიც, თავზე რომ გადაახია ბარათი შიკრიკს, უპატიებლად მიიჩნიეს, უფრო მეტიც, ოფიციალურად ეს ბრალდება წინა პლანზე დააყენეს.“ „როგორ!“ იყვირა კ.-მ და მაშინვე დაუწია ხმას, როდესაც ოლღამ ვედრებით გაასავსავა ხელი. „ხომ არა გსურს შენ, მისმა დამ, თქვა, რომ ამალიას სორტინისთვის უნდა დაეჯერებინა და მასთან სასტუმროში გაქცეულიყო?“ „არა“, თქვა ოლღამ, „ღმერთმა დამიფაროს ასეთი ეჭვისაგან, ან კი, თავში როგორ გაივლე ასეთი აზრი? მე არ მეგულება ირგვლივ არავინ, მთელი თავისი სათნოებით ამალიაზე უფრო მაღლა რომ იდგეს. თუმცა, ამალია სასტუმროში რომ წასულიყო, აქაც გავამართლებდი, მაგრამ ის, რომ იქ არ წავიდა, ნამდვილ გმირობად მიმაჩნია. ჩემზე კი გეტყვი გულახდილად: მე რომ მიმეღო ასეთი წერილი, უეჭველად წავიდოდი. მე ვერ გავუძლებდი იმის შიშს, თუ რა მოჰყვებოდა ჩემს უარს, ეს მხოლოდ ამალიას შეეძლო, მაგრამ, იყო სხვა გამოსავალიც, თან, არა ერთი: შეეძლო, მორთულ-მოკაზმულიყო და ამაზე გარკვეული დრო დაეხარჯა, მერე კი წასულიყო სასტუმროში, სადაც შეიტყობდა, რომ სორტინი უკვე გაემგზავრა, – ხომ შეიძლებოდა, ისეც მომხდარიყო, რომ, გამოგზავნა რა წერილი, მაშინვე გაემგზავრა, ეს სავსებით შესაძლებელია, ბატონების გუნება-განწყობილებისას რას გაიგებ? მაგრამ ამალია სხვაგვარად მოიქცა: ისე არა, არ უეშმაკია, მეტისმეტად დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს, სწორედ ამიტომ გასცა პასუხი უყოყმანოდ, მაგრამ თვალის ასახვევად რომ დაეჯერებინა და მაშინ სასტუმროში წასულიყო, შეიძლებოდა, თავიდან აგვეცილებინა ყველა ბრალდება, ჩვენთან აქ არიან უჭკვიანესი ადვოკატები, მათ შეუძლიათ ნებისმიერი წვრილმანი გამოიყენონ დაცვის ქვეშ მყოფის სასარგებლოდ, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ ასეთი სასიკეთო წვრილმანი არ იყო. პირიქით, აქ იყო სორტინის წერილის უპატივცემულობაც და შიკრიკის შეურაცხყოფაც.“ „მაგრამ რა შუაშია აქ რაღაც ბრალდებები, რა შუაში არიან აქ ვექილები? ნუთუ სორტინის დანაშაულებრივი საქციელის გამო შეიძლებოდა რამეში ბრალი დაედოთ ამალიასათვის?“ „რა თქმა უნდა, შეიძლებოდა“, თქვა ოლღამ, „რასაკვირველია, არა სასამართლოში. დასჯითაც, უშუალოდ იგი არ დაუსჯიათ, მაგრამ მაინც ამალიაც და მთელი ჩვენი ოჯახი დასაჯეს სხვაგვარად, ხოლო რამდენად მკაცრია ეს სასჯელი, შენ, ალბათ, უკვე ხვდები. შენ ეს შემზარავი და უსამართლო გეჩვენება, მაგრამ მთელ სოფელში შენ ხარ ერთადერთი კაცი, ვინც ასე თვლის, და ჩვენთვის ასეთი აზრი ძალზე სასიამოვნოა. იგი ჩვენ ძალიან გვანუგეშებდა, აშკარა უცოდინარობას რომ არ ემყარებოდეს. ეს შემიძლია, იოლად დაგიმტკიცო. მაპატიე, თუ ამ საუბარში ფრიდას შევეხები, მაგრამ ფრიდასა და კლამს ასევე – თუ არ ჩავთვლით საბოლოო შედეგს, ასეთივე ისტორია ჰქონდათ, ზუსტად იმის მსგავსი, რაც ამალიასა და სორტინის, მაგრამ შენ თუმცა თავიდან დაფეთდი, ახლა თვლი, რომ ყველაფერი სწორია და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შენ ყველაფერს მიეჩვიე, არ შეიძლება, ისე გამოშტერდე კაცი, რომ ყველაფერს მიეჩვიო. როდესაც აფასებ, შენ უბრალოდ უარს ამბობ წინანდელ შეცდომებზე.“ „არა, ოლღა“, თქვა კ.-მ. „არ მესმის, რატომ მოატმასნე ფრიდა ამ საქმეს, იქ სულ სხვა შემთხვევაა, ნუღარ აურევ ერთმანეთში ასეთ ნაირგვარ ამბებს და განაგრძე მოყოლა.“ „ძალიან გთხოვ“, თქვა ოლღამ, „ნუ გეწყინება, თუ შედარებას არ მოვეშვები და განვაგრძობ; შენ ისევ ცდები ფრიდასთან დაკავშირებითაც, როდესაც ფიქრობ, რომ უნდა დაიცვა იგი და არ დაუშვა არავითარი შედარება. რა სჭირს ჩემი დასაცავი, პირიქით, უნდა აქო. და თუ მე ამ ორ შემთხვევას ვადარებ ერთმანეთს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი მსგავსია. სულ ერთია, ეს იგივეა, რაც თეთრი და შავი, თეთრი კი აქ ფრიდაა, უარეს შემთხვევაში, ფრიდაზე შეიძლება გაიცინო – მაშინ ლუდის დარბაზში მე თვითონ ისე უზრდელად ვიქცეოდი, რომ მერე ვინანე, თუმცა

აქ, ჩვენთან, თუ ვინმე იცინის, მაშასადამე, იცინის ნიშნისმოგების ან შურის გრძნობით. მაგრამ მაინც ფრიდაზე შეიძლება გაიცინო, რაც შეეხება ამალიას, – თუ მხოლოდ შენი სისხლი და ხორცი არ არის, შეიძლება მხოლოდ ზიზღით უყურო. იმიტომ, რომ ორივე შემთხვევა, თუმც განსხვავებულია, როგორც შენ ამბობ, მაგრამ ამასთანავე ერთმანეთს ჰგავს კიდევაც.“ „არა, არ ჰგავს“, თქვა კ.-მ და უკმაყოფილოდ გააქნია თავი. „ფრიდას არ მიუღია ისეთი სამიჯნურო ბარათები, როგორიც ამალიამ მიიღო სორტინისაგან, და ფრიდას ნამდვილად უყვარდა კლამი. ხოლო ვისაც არ სჯერა, თვითონ ფრიდას ჰკითხოს. მას ახლაც უყვარს იგი. ასე რომ, ფრიდას დაანებე თავი.“ „განა რა განსხვავებაა?“ ჰკითხა ოლღამ. „ნუთუ, შენი აზრით, კლამს არ შეეძლო ფრიდასთვის ასეთივე წერილი მიეწერა? როცა ეს ვაჟბატონები თავიანთი საწერი მაგიდიდან სწევენ თავს, ყველანი ისეთები ხდებიან, რომ ვერანაირად ვერ ერგებიან ჩვეულებრივ ცხოვრებას, დაბნეულებმა შეიძლება უხეშობაც გამოიჩინონ, მართალია, არა ყველამ, მაგრამ ბევრმა. შეიძლება, ამალიას ბარათსაც დაბნეული კაცი სწერდა. სულ არ ფიქრობდა იმაზე, თუ რა გამოსდიოდა ქაღალდზე. საიდან გვეცოდინება, რას ფიქრობენ ბატონები? განა შენ თვითონ არ გსმენია, ან შენთვის არ უამბიათ, რა ტონით ელაპარაკება კლამი ფრიდას? ყველამ იცის, რა უხეშია კლამი, ამბობენ, იგი საათობით სდუმს, მერე კი ისეთ უხეშობას წამოროშავს, რომ ჟრუანტელი დაგივლისო. სორტინიზე ასეთი არაფერი არ არის ცნობილი, იმიტომ, რომ მას არავინ არ იცნობს. არსებითად, სორტინიზე მხოლოდ ის იციან, რომ მისი სახელი სორდინისას ჰგავს, და სახელთა ეს მსგავსება რომ არა, საერთოდ კაციშვილს არ ეცოდინებოდა სახანძრო საქმის სპეციალისტი. იგი, ალბათ, ხშირად ეშლებათ სორდინიში, რომელიც ნამდვილი სპეციალისტია და თვითონ სარგებლობს სახელთა მსგავსებით, რათა სორტინის აჰკიდოს წარმომადგენლის მოვალეობანი, ამასობაში კი მშვიდად იმუშაოს, ხოლო როდესაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ისეთ ხამ კაცს, როგორიც სორტინია, უცებ შემოენთება სოფლელი გოგონას სიყვარულის ალი, გრძნობა, რა თქმა უნდა, სხვაგვარ ფორმას იღებს, ვიდრე როდესაც მიჯნურდება რომელიმე დურგლის შეგირდი. და, გარდა ამისა, უნდა გახსოვდეს, რომ მოხელესა და მეწაღის ქალიშვილს შორის უძირო უფსკრულია და მასზე რამენაირად უნდა გადო ხიდი, აი, სორტინი ამის გაკეთებას თავისებურად შეეცადა. სხვა შესაძლოა, სხვაგვარად მოქცეულიყო. მართალია, ითვლება, რომ ჩვენ ყველანი გოდოლს ვეკუთვნით, და არავითარი უფსკრული არ არსებობს, არავითარი ხიდების გადება არ არის საჭირო. შეიძლება, ჩვეულებრივ პირობებში ეს ასეც იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა დავრწმუნებულიყავით, რომ როდესაც ამას უშუალოდ წააწყდები, ყველაფერი სულ სხვაგვარად არის ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ახლა შენთვის სორტინის საქციელი უფრო გასაგები უნდა გახდეს და არ მოგეჩვენოს ასე შემზარავად. თუმცა, ეს სინამდვილეშიც ასეა. კლამის საქციელთან დაკავშირებით ყველაფერი გაცილებით უფრო მარტივი და გასაგებია, ხოლო დაინტერესებული პირი ამას გაცილებით უფრო იოლად მოინელებს. თუ კლამი დაწერს უნაზეს ბარათს, იგი უფრო უსიამო იქნება, ვიდრე სორტინის ყველაზე უხამსი წერილი. სწორად გამიგე: მე ხომ კლამს არ განვსჯი, მე მხოლოდ ვადარებ მათ იმიტომ, რომ შენ ეწინააღმდეგები ყოველგვარ შედარებას. კლამი ხომ – ქალთა მბრძანებელია, იგი უბრძანებს ხოლმე ხან ერთს, ხან მეორეს, მასთან გამოცხადდნენ, დიდხანს ვერავის ვერ გუობს და ქალს როგორც უბრძანა, ხლებოდა, ისე უბრძანებს, წავიდეს. ჰო, კლამი თავსაც არ შეიწუხებს ბარათის დასაწერად. ნუთუ ამასთან შედარებითაც არ გეჩვენება შემზარავი, როდესაც ისეთი სრულ მარტოობაში მცხოვრები კაცი, როგორიც სორტინია, რომლის დამოკიდებულებაც ქალების მიმართ საერთოდ არავინ იცის,

მოულოდნელად ჯდება და თავისი ლამაზი პეწენიკა ჩინოვნიკური ხელწერით წერს ბარათს, თუმც – საზიზღარს. ხოლო თუ დამტკიცებულია, რომ კლამი არაფრით არ არის სორტინიზე უკეთესი, უფრო – პირიქით, განა შეუძლია ფრიდას სიყვარულს რაიმე შეცვალოს კლამის სასარგებლოდ? დამიჯერე, მოხელეებისადმი ქალების დამოკიდებულება ძალზე ძნელია ან, უფრო სწორად, ყოველთვის ძალზე იოლია, განსაზღვრო. სიყვარულის ნაკლებობაზე აქ ვერავინ დაიჩივლებს. უბედური სიყვარული მოხელეებში არც არსებობს. ამიტომ ვერაფერი საქებარია, თუ ქალიშვილზე იტყვიან, - მე მარტოოდენ ფრიდაზე როდი ვლაპარაკობ, – რომ იგი მოხელის საყვარელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უყვარდაო. დიახ, უყვარდა და მისი საყვარელი გახდა, სწორედ ასე ხდება ხოლმე, და ამისათვის ქება არ არის საჭირო, მაგრამ ამალიას ხომ არ უყვარდა სორტინი, იტყვი შენ. ჰო, ამალიას არ უყვარდა, ან იქნებ, უყვარდა კიდეც, რას გაიგებ, თვითონაც ვერ გაიგებს, უყვარდა, თუ არ უყვარდა. როგორ შეუძლია, გადაწყვიტოს, უყვარდა თუ არა, როდესაც თავიდანვე ისე ჰკრა გულზე ხელი, როგორც ჯერ არავის არ უკრავს არც ერთი მოხელისათვის? ბარნაბა ამბობს, ამალიას ახლაც ზოგჯერ ჟრუანტელი უვლის, როცა გაახსენდება, როგორ მიუჯახუნა შიკრიკს სარკმელი მაშინ, სამი წლის წინათ, და ეს მართალია. აი, რატომ არ შეიძლება მას ჰკითხო რაიმე. მან თავიდან მოიშორა სორტინი და მეტი არაფერი იცის. ხოლო უყვარდა თუ არა იგი – ეს მისთვის უცნობია. მაგრამ ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, რომ ქალებს არ შეიძლება, არ უყვარდეთ მოხელეები, როდესაც ისინი უეცრად წყალობის თვალით შეხედავენ. უფრო მეტიც, სანამ შეხედავდნენ, წინასწარ უყვართ მოხელეები, თუმც ძაან კი უარობენ, არადა, სორტინიმ არა მარტო ყურადღება მიაპყრო ამალიას – იგი გადაახტა კიდეც ტუმბოს სახელურს, საწერ მაგიდასთან ჯდომით დაბუჟებული ფეხებით სახელურს გადაახტა! მაგრამ, როგორც შენ თქვი, ამალია გამონაკლისია, დიახ, მან ეს დაადასტურა, როდესაც უარი თქვა, წასულიყო სორტინისთან. განა ეს არ არის გამონაკლისი? მაგრამ მას რომ, გარდა ამისა, სორტინი არ ყვარებოდა, აქ გამონაკლისი მართლაც განსაკუთრებული იქნებოდა და ამის გაგებას ვერავინ შეძლებდა. რა თქმა უნდა, იმ დღეს ჩვენ ყველას დაგვებინდა გონება, მაგრამ მაშინაც, თითქოს ნისლშიო, დავინახეთ ამალიაში რაღაც შეყვარების გრძნობა, ეს კი მოწმობს, რომ ჩვენ თუნდაც ცოტა, მაგრამ მაინც – ვანძრევთ ტვინს, და თუ ახლა ყველაფერს შევადარებთ ერთმანეთს, რაღა განსხვავება იქნება ამალიასა და ფრიდას შორის? მხოლოდ ის, რომ ფრიდამ გააკეთა ის, რაზეც ამალიამ უარი თქვა.“ „შესაძლებელია“, თქვა კ.-მ. „მაგრამ ჩემთვის მთავარი განსხვავება ის არის, რომ ფრიდა ჩემი საცოლეა, ამალია კი ძირითადად მხოლოდ იმიტომ მაინტერესებს, რომ დად ეკუთვნის ბარნაბას, გოდლის შიკრიკს, და მისი ბედი შეიძლება, დაკავშირებული იყოს ბარნაბას სამსახურთან. რომელიმე მოხელეს ასეთი აღმაშფოთებელი წყენა რომ მიეყენებინა მისთვის, როგორც მე თავიდან მომეჩვენა შენი ნაამბობის მიხედვით, ეს გულის სიღრმემდე შემძრავდა, მაგრამ ისიც – მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი მოვლენა და არა ამალიას პირადი წყენა. მაგრამ ახლა შენივე ნაამბობის მიხედვით სურათი ძირფესვიანად შეიცვალა, მართალია, ჩემთვის გაუგებარია – რატომ. შენ, როგორც ამბის მთქმელს, გენდობი და ამიტომ სიამოვნებით მზად ვარ, საერთოდ უგულებელვყო ეს ისტორია, მით უმეტეს, რომ, მეხანძრე არა ვარ და მე არანაირად არ მეხება სორტინი. ხოლო ფრიდა მე მეხება. ამიტომ მეჩვენება უცნაურად, რომ შენ, ქალიშვილი, რომელსაც მე ასე ვენდობოდი, და მზად ვარ კვლავაც ვენდო, სულ მუდამ რაღაც მიკიბულ-მოკიბული გზებით, ამალიას მაგალითის მოშველიებით, ცდილობ, კბილი გაჰკრა ფრიდას და გამოიწვიო ჩემში ეჭვები. არ მინდა, ვიფიქრო,

რომ შენ ამას აკეთებ განზრახ, მით უმეტეს, ბოროტი განზრახვით, თორემ აქამდე ათჯერ ავდგებოდი და წავიდოდი. არა, შენ აქ არავითარი განზრახვა არა გაქვს. უბრალოდ, გარემოებანი გაიძულებენ ამას: ამალიას სიყვარულით გინდა, აამაღლო იგი, დააყენო ყველა ქალზე უფრო მაღლა, ხოლო რამდენადაც ამისათვის შენ თვით ამალიაში ვერ გიპოვია ვერაფერი განსაკუთრებით საქებარი, შენ თავს შველი იმით, რომ ცდილობ, დაამცირო სხვა ქალები. ამალია ყველასდა გასაოცრად მოიქცა, მაგრამ რაც უფრო მეტს მიამბობ შენი დის ამ საქციელის შესახებ, მით უფრო მიჭირს, გადავწყვიტო, მნიშვნელოვანია იგი, თუ ყოვლად უმნიშვნელო, გონივრულია, თუ ბრიყვული, გმირულია, თუ ლაჩრული, იმიტომ, რომ ამალიამ თავის სულის სიღრმეში ჩამალა თავისი საქციელის მიზეზი, ჩამალა ისე ღრმად, რომ ახლა ვერაფერს გაიგებ მისგან. ფრიდას კი, პირიქით, არაფერი საოცარი არ გაუკეთებია. იგი მხოლოდ საკუთარი გულისთქმით მოქმედებდა, რაც ცხადია ყოველი კაცისათვის, ვინც მის საქციელს პირუთვნელად მოეკიდება. ყოველ კაცს შეუძლია, ეს შეამოწმოს, ჭორი და მითქმა-მოთქმა აქ არ არის. მაგრამ ჩემდათავად არ მსურს, არც დავამცირო ამალია, არც დავიცვა ფრიდა, მინდა, მხოლოდ აგიხსნა შენ, როგორი ურთიერთობა გვაქვს მე და ფრიდას, და რატომ არის, რომ ყოველი თავდასხმა ფრიდაზე, ყოველი მუქარა ფრიდას მიმართ ემუქრება ჩემს არსებობასაც. მე აქ კეთილი ნებით ჩამოვედი და კეთილი ნებითვე დავრჩი. მაგრამ ყველაფერს, რაც ამ დროის მანძილზე მოხდა, და მოხდება, განსაკუთრებით კი ჩემს სამერმისო გეგმებს – თუმცა ისინი ბუნდოვანია, მაგრამ მაინც მაქვს, – ყოველივე ამას უნდა ვუმადლოდე ფრიდას, რასაც მტკიცება არ სჭირდება. მე მართალია, მიწისმზომლად მიმიღეს, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მოჩვენებითი სურათია. მე თამაშებში ჩამითრიეს, მე ყველა სახლის კარს მიკეტავენ. ჩემთან დღესაც განაგრძობენ თამაშს, მაგრამ რამდენადაც ეს ახლა უფრო საფუძვლიანად კეთდება, ეტყობა, მათ გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად მიმიჩნიეს, და ეს რაღაცას ნიშნავს, ახლა მე მაქვს თუმც – დიდი ვერაფერი, მაგრამ მაინც – სახლი, სამსახური, ნამდვილი სამუშაო, მყავს საცოლე, რომელიც კისრად იღებს ჩემი მოვალეობების ნაწილს – მიწევს ნამდვილ მეუღლეობას. მე გადაწყვეტილი მაქვს, ცოლად შევირთო იგი, გავხდე თემის წევრი, მე სამსახურებრივ ურთიერთობათა გარდა, მაქვს პირადიც. მართალია, დღემდე გამოუყენებელი – კლამთან კავშირი. განა ეს ცოტაა? ხოლო როდესაც მე მოვდივარ თქვენთან, ვის ეგებებით? ვის უამბობთ თქვენი ოჯახის ისტორიას? ვისგან ელოდები შენ შესაძლებლობას, თუნდაც მისხლისოდენას, თუნდაც ნაკლებად სარწმუნოს, რაიმე დახმარების მიღების შესაძლებლობას? რაღა თქმა უნდა, არა ჩემგან, არა იმ მიწისმზომლისაგან, რომელსაც, მაგალითად, სულ ერთი კვირის წინათ კინწისკვრით დაატოვებინეს მათი სახლი ლაზემანმა და ბრუნსვიკმა, არა, შენ იმედოვნებ იმ კაცის დახმარებას, რომელსაც უკვე შესწევს უნარი, რაღაც იღონოს, და ამას მე ფრიდას უნდა ვუმადლოდე. ფრიდა იმდენად თავმდაბალია, ახლა რომ ჰკითხო, მართლა ასეა ეს, თუ არაო, ნაღდად გეტყვის, რომ თვითონაც არ იცის არაფერი. და მაინც, გამოდის, რომ თავისი არცოდნით ფრიდამ მეტი გააკეთა, ვიდრე ამალიამ მთელი თავისი სიამაყით: იცი რა, მე მგონია, რომ შენ ეძებ დახმარებას ამალიასათვის. მაგრამ – ვისთან? დიახ, არსებითად განა არა იგივე ფრიდასთან?“ „ნუთუ მე ასე ცუდად ვილაპარაკე ფრიდას შესახებ?“ თქვა ოლღამ. „ეს სულაც არ მინდოდა, ვფიქრობ, რომ არც მილაპარაკია. თუმცა, გამორიცხული არაფერია, ჩვენ ხომ ახლა ისეთ დღეში ვართ, რომ მთელი სოფელი გადავიმტერეთ, ხოლო ჩივილს მოვყვები, და შენ ათას ცოდვას მაბრალებ, რა თქმა უნდა, შენ ამაშიც სწორი ხარ, ახლა ჩვენსა და ფრიდას შორის უზარმაზარი განსხვავებაა და ეს შენ კიდევ ერთხელ სწორად აღნიშნე. სამი წლის წინათ ჩვენ

ბიურგერის ქალიშვილები ვიყავით, ხოლო ფრიდა - ობოლი გოგო, სამიკიტნოს მოახლე, ისე ჩავუვლიდით ხოლმე გვერდით, რომ ზედაც არ შევხედავდით. რა თქმა უნდა, ჩვენ მეტისმეტად ქედმაღლურად ვიქცეოდით, მაგრამ ასე გაგვზარდეს, თუმცა, იმ საღამოს, სასტუმროში, შენ ხომ შეგეძლო, შეგემჩნია, რა ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ახლა: ფრიდა – მათრახით ხელში, მე კი მსახურთა ჯგროში, მაგრამ საქმე გაცილებით უფრო უარესად არის. ფრიდას შეუძლია, ჩვენ ზემოდან გვიყუროს, ეს შეესაბამება მის მდგომარეობას, ეს ახლანდელი გარემოებებით არის გამოწვეული. მაგრამ დღეს ვინ არ გვიყურებს ზემოდან? ის, ვინც გადაწყვეტს, აბუჩად აგვიგდოს, მაშინვე უმაღლეს საზოგადოებაში ხვდება. იცნობ შენ ფრიდას მემკვიდრეს? მას პეპი ჰქვია. გუშინწინ საღამოს გავიცანი, აქამდე სასტუმროს მოახლედ მუშაობდა. ჰოდა, ჩემდამი ზიზღით მან აჯობა ფრიდას. ფანჯარაში დაინახა, რომ მე ლუდზე მივდივარ, კართან გამოიქცა და გასაღებით ჩაიკეტა, დიდხანს მაყურყუტა გარეთ და მახვეწნინა, მაიძულა, შევპირებოდი ნაწნავის გადასაკრავ ლენტს, ბოლოს, კეთილინება და გამიღო კარი. ხოლო როცა ეს ლენტი მივეცი, კუთხეში მოისროლა. რა გაეწყობა, მიყუროს ზემოდან. მე მაინც რაღაცნაირად დამოკიდებული ვარ მის კეთილ განწყობაზე, ის კი სასტუმროს ბუფეტში მუშაობს, მართალია, მხოლოდ დროებით. არა აქვს მას ის თვისებები, რომლებიც მუდმივი სამსახურისთვის არის საჭირო. ერთი მოგასმენინა, როგორ ელაპარაკება სასტუმროს პატრონი ამ პეპის, და შეადარე, როგორ ელაპარაკებოდა იგი ფრიდას. მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს პეპის, ზიზღით უყურებდეს ამალიას, იმ ამალიას, რომლის ერთ შეხედვაზე ეს გომბიო მთელი თავისი ნაწნავებითა და ბაფთებით ოთახიდან ასჯერ უფრო სწრაფად გავარდებოდა, ვიდრე მისი სქელი ფეხები გააქცუნებდნენ. ხოლო გუშინ საღამოს იძულებული ვიყავი, კვლავ მესმინა აღმაშფოთებელი ყბედობა ამალიაზე, სანამ ლუდისმოყვარულნი არ გამომექომაგნენ. თანაც, გამომექომაგნენ ისე, როგორც შენ საკუთარი თვალით დაინახე გუშინ.“ „მაინც, რა შეშინებული ხარ“, თქვა კ.-მ. „მე ხომ მხოლოდ ეს-ეს არის, დავაყენე ფრიდა მისთვის შესაფერის ადგილზე, მაგრამ სულაც არ ვაპირებ თქვენს დამცირებას, როგორც შენ წარმოგიდგენია. რა თქმა უნდა, მეც ვგრძნობ თქვენს ოჯახში რაღაც უჩვეულოს, მაგრამ რატომ უნდა გახდეს ეს ზიზღის საბაბი – ვერ გამიგია.“ „აჰ, კ.“ თქვა ოლღამ, „ვშიშობ, რომ შენ კიდევ მიხვდები, რატომ. ნუთუ შენ ჯერაც ვერ გაგიგია, რომ ამალიას საქციელი გახდა იმის მიზეზი, რომ ყველამ ზიზღით დაგვიწყო ყურება?“ „ეს მეტისმეტად უცნაური იქნებოდა“, თქვა კ.-მ. „შეიძლება, აღფრთოვანება გამოთქვა ამალიას გამო, ან გაკიცხო იგი, მაგრამ – შეიზიზღო? და თუ ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო ამალია მართლაც ეზიზღებათ, რატომ ვრცელდება ეს ზიზღი ყველა თქვენგანზე, თქვენს ყოვლად უდანაშაულო ოჯახზე? ის, რომ შენ, სიტყვაზე, პეპის ეზიზღები, – ნამდვილი უმსგავსობაა, და თუ ოდესმე მოვხვდი იმ სასტუმროში, ვასწავლი ჭკუას!“ „ძნელი სამუშაო მოგელის, კ.-ს“, თქვა ოლღამ, „შენ რომ განიზრახო, ჭკუა ასწავლო ყველას, ვისაც ჩვენ ვეზიზღებით: ყველაფერის თავი და თავი ხომ გოდოლია. მე კარგად მახსოვს ნადღესასწაულევის მეორე დილა. ბრუნსვიკი – იგი მაშინ შეგირდად იყო ჩვენთან – მოვიდა, როგორც ყოველთვის, მამამ სამუშაო მისცა და შინ გაუშვა, და ყველანი დავსხედით სასაუზმოდ, მე და ამალიაც. ჩვენ კარგ გუნებაზე ვიყავით, მამა გაუთავებლად ლაპარაკობდა დღესასწაულზე, მას ათასგვარი გეგმები ჰქონდა მეხანძრეთა რაზმეულთან დაკავშირებით, გოდოლში ხომ თავისი სახანძრო რაზმეული ჰყავთ. მათ ამ დღესასწაულზე თავისი გუნდიც გამოგზავნეს. მათთან წარმოებდა რაღაც მოლაპარაკება, ხოლო იქ მყოფმა ბატონებმა ნახეს ჩვენი გუნდის წვრთნა და ქებით მოიხსენიეს იგი, შეადარეს გოდლის გუნდის გამოსვლას. შედარება

ჩვენს სასარგებლოდ იყო, შემდეგ დაიწყო ლაპარაკი გოდლის გუნდის რეორგანიზაციის შესახებ, მათ ინსტრუქტორები დასჭირდებოდათ სოფლიდან, აქ კი სიტყვა ჩამოვარდა რამდენიმე კაცზე. მამას იმედი ჰქონდა, რომ არჩევანს მასზე შეაჩერებდნენ. სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობდა იგი, თან ჩვეულებისამებრ, მოხერხებულად ჯდებოდა სუფრასთან – ფართოდ გაშალა ხელი, მოჰკიდა მაგიდას მთელს სიგანეზე, როცა თვალებს სარკმლისაკენ სწევდა, და ცაში იყურებოდა, ისეთი ახალგაზრდა, სიხარულითა და იმედებით გაბადრული სახე ჰქონდა, როგორიც მას შემდეგ აღარ მინახავს და აქ ამალიამ მისთვის უჩეულო სერიოზულობით თქვა, რომ ბატონების სიტყვებს მაინც და მაინც არ უნდა ენდოთ, ასეთ ვითარებაში ბატონებს უყვართო სიტყვით გასიამოვნონ რაღაც, მაგრამ ყოველივე ამას მცირე მნიშვნელობა ან, საერთოდ, ჩალის ფასი აქვს, არაფერს არ ნიშნავს, ისინი მხოლოდ იტყვიან თავიანთ სათქმელს და მაშინვე სამუდამოდ დაივიწყებენ, მართალია, შემდგომ ჯერზე შეიძლება, წამოეგო კიდეცო ამ სატყუარას. დედამ აუკრძალა ასეთი ლაპარაკი, მამამ გაიცინა მის ნაჩქარევ დასკვნებზე, მაგრამ, მოულოდნელად ენა მუცელში ჩაუვარდა, გეგონებოდა, რაღაცას ეძებს, თითქოს ახლა გაახსენდაო. მერე იქვე მოაგონდა: ბრუნსვიკმა უამბო ვიღაც შიკრიკის შესახებ რაღაც დახეულ წერილთან დაკავშირებით, და მამამ გვკითხა, ხომ არ იცით ეს ამბავი, ვის ეხება და რა მოხდაო. ჩვენ ვდუმდით. ბარნაბამ, ის მაშინ ჭედილასავით ანცი იყო, რაღაც სისულელე თუ სიბრიყვე წამოროშა, ყველანი სხვა რამეზე ავლაპარაკდით, და ეს ამბავი დავიწყებას მიეცა.“

18. ამალიას სასჯელი

,,გავიდა სულ ცოტა ხანი და ჩვენ ყოველი მხრიდან დაგვაყარეს კითხვები წერილის თაობაზე, მოდიოდნენ და მოდიოდნენ – მეგობრები და მტრები, მოკეთეები და მოშურნეები, ნაცნობები და უცნობები, მაგრამ არც ერთი სტუმარი არ რჩებოდა დიდხანს, ყველაზე მეტად კი დამშვიდობებას მეგობრები ჩქარობდნენ. ლაზემანი, ჩვეულებრივ, ასეთი ზოზინა და მედიდური, ისე შემოვიდა, თითქოს სურს, შეამოწმოსო, რა ზომისაა ჩვენი ოთახი, მოავლო მას მზერა, და ყველაფერი გულის გასახეთქ ბავშვურ თამაშს ჰგავდა, როდესაც ლაზემანი წასასვლელად გაემზადა, მამამ მოიშორა გარშემორტყმული ხალხი და ზღურბლამდე გაეკიდა, მერე კი გაჩერდა. მოვიდა ბრუნსვიკი და სამუშაოზე უარი თქვა, თქვა პატიოსნად, რომ სურს დამოუკიდებლად იმუშაოს. თავიანი კაცია, დრო იხელთა. მოდიოდნენ შემკვეთები, ეძებდნენ მამასთან საკუჭნაოში თავიანთ ფეხსაცმელს, რომელიც შესაკეთებლად დაეტოვებინათ. თავდაპირველად მამამ სინჯა, უარი ეთქმევინებინა შემკვეთებისათვის – ჩვენც მხარს ვუჭერდით, როგორც შეგვეძლო, – მაგრამ შემდეგ უკან დაიხია და უხმოდ ეხმარებოდა ფეხსაცმლის ძებნაში, დავთარში სტრიქონ-სტრიქონ იშლებოდა შეკვეთები, უკან მიჰქონდათ ჩვენთვის ჩაბარებული ტყავის მარაგი, ვალებს აბრუნებდა. ყველაფერი უსიტყვოდ მიმდინარეობდა, ყველა კმაყოფილი იყო, რომ შეძლეს ასე სწრაფად და სამუდამოდ გაეწყვიტათ ურთიერთობა ჩვენთან, და თუ ვინმე ზარალობდა კიდეც, ამას არად აგდებდა. ბოლოს, არცთუ მოულოდნელად მოგვადგა ზეემანი, სახანძრო რაზმეულის უფროსი, გუშინდელივით მახსოვს ეს სცენა: ზეემანი, უზარმაზარი, ძლიერი, მაგრამ ოდნავ წელში მოხრილი, ფილტვების ავადმყოფობის გამო, მუდამ სერიოზული, მან საერთოდ არ იცოდა სიცილი, – წინ უდგას მამაჩემს, ყოველთვის აქებდა და

მეგობრულ საუბარში სახანძრო რაზმეულის უფროსის მოადგილეობასაც კი დაპირდა, ხოლო ახლა მოვიდა, რათა გამოეცხადებინა, რომ რაზმეული ათავისუფლებს თანამდებობიდან და სთხოვს, დააბრუნოს მეხანძრის დიპლომი. ყველამ, ვინც იყო ჩვენს სახლში, მიატოვა თავისი საქმე და ამ ორი მამაკაცის ირგვლივ შეჯგუფდა. ზეემანი სიტყვას ვერ ამბობდა, მხოლოდ წარამარა უტყაპუნებდა მამას ხელს მხარზე, თითქოს სურდა, გამოებერტყა მისგან ის სიტყვები, რომლებიც თავად უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ პოულობდა. ამასთან, გაუთავებლად იცინოდა – ეტყობა, უნდოდა, ამ სიცილით თავისი თავიც დაემშვიდებინა და ყველა იქ მყოფიც, მაგრამ ვინაიდან სიცილი არ იცოდა, და ხალხს არასოდეს სმენია მისი სიცილის ხმა, არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს სიცილი იყო, ხოლო მამაჩვენი ამ დღეს ისე დაიღალა, ისე მოეშალა ძარღვები, რომ არაფრის თავი აღარ ჰქონდა, გეგონებოდა, ისეა დაქანცული, რომ თავიც აღარ უმუშავებსო და ვერ ხვდება, რა ამბავია მის თავს. ჩვენ ყველანი მამაზე ნაკლებად როდი ვიყავით გულნატკენნი, მაგრამ სიყმაწვილის გამო, ვერაფრის დიდებით ვერ ვიჯერებდით სრულ კრახს, სულ გვეგონა, რომ მომსვლელთა შორის ბოლოს და ბოლოს გამოიძებნება კაცი, რომელიც ყველას უბრძანებს, გაჩერდნენ, და ყველაფერს უკან დააბრუნებსო. ჩვენი გამოუცდელობით ვფიქრობდით, რომ ამ როლზე ზეემანი ზედგამოჭრილია, და დაძაბული მოველოდით, რომ ამ გაუთავებელ სიცილს ზეემანის ბაგეთაგან მოჰყვება გონიერი სიტყვა, სხვა რაზე შეიძლებოდა გვეცინა, თუ არა ყოვლად ბრიყვულ უსამართლობაზე ჩვენს მიმართ. უფალო უფროსო, უფალო უფროსო, ვფიქრობდით ჩვენ, ბოლოს და ბოლოს ამოშაქრეთ, უთხარით ამ ადამიანებს ყველაფერი, და ამ ფიქრით უფრო ახლოს მივდიოდით მასთან მაგრამ იგი მხოლოდ უაზროდ ტკეპნიდა ერთ ადგილს. ბოლოს, მაინც ალაპარაკდა, თუმცა, სულაც არა ჩვენი სანუკვარი სურვილების შესასრულებლად, არამედ იმიტომ, რომ დაემორჩილა ირგვლივ მყოფთა გამამხნევებელ თუ უკმაყოფილო შეძახილებს. ჩვენ ჯერ კიდევ არ გადაგვწურვოდა მისი იმედი. დაიწყო იმით, რომ აქო და ადიდა მამა. რაღა არ უწოდა – რაზმეულის მშვენება, მიუწვდომელი მაგალითი შთამომავლობისათვის, საზოგადოების სწორუპოვარი წევრი, რომლის გადადგომა დამღუპველ გავლენას მოახდენს რაზმეულზე. ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, ამით რომ დაემთავრებინა! მაგრამ იგი განაგრძობდა ლაპარაკს. თუ ახლა რაზმეულის წევრებმა მაინც გადაწყვიტესო ეთხოვათ მამისათვის, რა თქმა უნდა, დროებით, გადამდგარიყო, მან უნდა გაიცნობიეროს იმ მიზეზების სერიოზულობა, რომლებმაც აიძულეს ისინი გაეკეთებინათ ეს. გუშინდელ დღესასწაულზე მამას ბრწყინვალე მიღწევები რომ არა, ასე შორს არ შეტოპავდნენ, მაგრამ სწორედ მისმა ბრწყინვალე მიღწევებმა გამოიწვიეს ხელისუფალთა განსაკუთრებული ყურადღება მისდამი. ახლა ყველას მზერა რაზმეულისადმი არის მიპყრობილი და იგი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა გაუფრთხილდეს თავის უმწიკვლო რეპუტაციას. მაგრამ მოხდა ისე, რომ აწყენინეს დარბაზის შიკრიკს, და ახლა რაზმეულმა ვერ იპოვა სხვა გამოსავალი, ხოლო მან, ზეემანმა იკისრა უმადური მოვალეობა, გამოაცხადებინა ეს მამასათვის. დაე, მამა ნუ გაუძნელებს ისედაც მძიმე მოვალეობის შესრულებას. და უნდა გენახა, რა გახარებული იყო ზეემანი, რომ, ბოლოს და ბოლოს, თქვა სათქმელი; დარწმუნებულმა, რომ ყველაფერი იღონა, რაც საჭირო იყო, მან ფეხებზე დაიკიდა ზედმეტი თავაზიანობა და, მიანიშნა რა დიპლომზე, რომელიც ოთახის კედელს ამშვენებდა, თითით მიიხმო იგი თავისთან, მამამ თავი დაუქნია და წავიდა დიპლომის ჩამოსახსნელად, მაგრამ ხელები ისე უკანკალებდა, რომ ლურსმნიდან ვერ ჩამოიღო, მაშინ მე ავძვერი მაგიდაზე და მივეხმარე ჩამოხსნაში. ამ წუთიდან ყველაფერი დამთავრებული იყო. მამას არც კი

ამოუღია დიპლომი ჩარჩოდან, როგორც იყო, ჩარჩოიანა გადასცა ზეემანს, მერე კუთხეში დაჯდა და აღარ განძრეულა, არავის არ დალაპარაკებია, ასე რომ, ჩვენ თვითონ, როგორც შეგვეძლო, გავუსწორეთ ანგარიში ყველა კლიენტს.“ „მაგრამ რაში ხედავ შენ აქ გოდლის გავლენას?“ ჰკითხა კ.-მ. „ჯერჯერობით იქიდან არავითარი ჩარევის კვალი არ ჩანს, ჯერჯერობით შენი ნაამბობიდან მე დავინახე მხოლოდ ადამიანთა უგუნური შიში, მათი ბოროტი ნიშნის მოგება მოყვასის მარცხის გამო, მათი მოჩვენებითი მეგობრობის ფასი, ამას კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით. მამაშენმა, როგორც მე მგონია, ერთგვარი წვრილმანობა გამოიჩინა: კაცმა რომ თქვას, რა გახდა ეს დიპლომი? იგი მხოლოდ ადასტურებდა მის ნიჭსა და უნარს, მაგრამ ისინი მამას ხომ არ დაუკარგავს?! თუ ამ ნიჭმა და უნარმა იგი სწორუპოვარი გახადა, მით უკეთესი, და ეს უფროსი ჩავარდებოდა ერთობ უხერხულ მდგომარეობაში, მამაშენს მის პირველ სიტყვებზევე უბრალოდ რომ მიეშავებინა მისთვის ეს დიპლომი, მაგრამ ყველაზე არსებითი, მე მგონია ის, რომ შენ ერთხელაც არ ახსენე ამალია, ხოლო თვით ამალია, რომელმაც გამოიწვია მთელი ეს დავიდარაბა, ალბათ, მშვიდად იდგა გვერდზე და ყოველივე ამას უგრძნობლად უყურებდა?“ „არა“, თქვა ოლღამ, „ვერავის ვერ გაამტყუნებ, არავის შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო, აქ უკვე გოდლის გავლენა მოქმედებდა.“ „გოდლის გავლენა“, გაიმეორა ამალიამ, რომელიც შეუმჩნევლად შემოსულიყო ეზოდან. მშობლები კარგა ხნის წინ დაწოლილიყვნენ დასაძინებლად. „ათას ზღაპარს გიამბობს გოდოლზე? ამდენი ხანია, ერთად სხედხართ? აკი, შენ, კ., გინდოდა, მაშინვე დაგვმშვიდობებოდი, ახლა უკვე ათი დაიწყო, განა შენ საერთოდ გაღელვებს მთელი ეს ამბები? აქ არიან ადამიანები, რომლებიც ასეთი ამბებით მართლაც რომ საზრდოობენ, დასხდებიან ხოლმე გვერდით, აი, როგორც თქვენ სხედხართ ახლა, – გუგულებივით, და ჭუკჭუკებენ, ერთმანეთს უზიარებენ მოგონებებს. მაგრამ შენ, ჩემი აზრით, ასეთ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნი.“ „სწორედ რომ ვეკუთვნი“, თქვა კ.-მ, „ხოლო ადამიანები, რომლებსაც ასეთი ამბები არ აღელვებთ და ამჯობინებენ სხვებმა იღელვონ, მე აბსოლუტურად არ მაინტერესებს.“ „დიახ, რა თქმა უნდა“, თქვა ამალიამ, „მაგრამ დაინტერესებაც არის და – დაინტერესებაც. მე მსმენია ერთი ახალგაზრდის შესახებ, რომელიც დღედაღამ მხოლოდ გოდოლზე ფიქრობდა, სხვა ყველაფერს დაანება თავი, შეშინდნენ, ვაითუ, ჭკუას გადასცდესო, იმიტომ, რომ მთელი მისი ფიქრები იქ იყო, ზევით, გოდოლში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ იგი სულაც არ ფიქრობდა მთელ გოდოლზე. არამედ მხოლოდ კანცელარიების რომელიღაც დამლაგებლის ქალიშვილზე, ბოლოს ცოლად შეირთო და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.“ „მე მგონი, ეს კაცი ნამდვილად მომეწონებოდა“, თქვა კ.-მ. „ეჭვი მეპარება, რომ ეს კაცი შენ მოგეწონოს“, თქვა ამალიამ, „აი, მისი ცოლი – სავსებით შესაძლებელია! კეთილი, თავს აღარ შეგაწყენთ, წავალ, დავწვები, დავიძინებ, ცეცხლი კი უნდა ჩავაქრო, მშობლების გამო: ჩვეულებრივ, ისინი დაწოლისთანავე იძინებენ, ძალიან მაგრად, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ნამდვილი ძილი უკვე მთავრდება და მაშინ მათ სინათლის გამოკრთომაც კი უშლის ხელს. ძილი ნებისა.“ და მართლაც, მაშინვე დაბნელდა. ამალიამ, ეტყობა, სადღაც იატაკზე მშობლების საწოლის გვერდით დაიგო ლოგინი. „ვინ არის ის ახალგაზრდა, რომელზეც ამალია ლაპარაკობდა?“ იკითხა კ.-მ. „არ ვიცი“, თქვა ოლღამ, „ეგებ, ბრუნსვიკი. თუმცა, ეს მთლად მას არ ჰგავს, შეიძლება, ვიღაც სხვაც იყოს. ამალიას გაგება არ არის იოლი, იმიტომ, რომ ხშირად არც კი იცი, დაცინვით ლაპარაკობს თუ სერიოზულად, მეტწილად - სერიოზულად, ხოლო ისმის, როგორც დაცინვა.“ „მოეშვი მაგ ტონს“, თქვა კ.-მ. „როგორ დაგიმორჩილა ასე? ნუთუ ასე იყო უკვე ყველა უბედურების დაწყებამდეც? თუ მერე დაიწყო, განა შენ არასოდეს

არ გიჩნდება სურვილი, დამოუკიდებელი იყო მისგან? და, ბოლოს, აქვს თუ არა მორჩილებას რაღაც გონივრული საფუძველი? იგი ხომ უმცროსია, თავად უნდა დაეკითხოს რჩევას უფროსებს, მტყუანია იგი თუ მართალი, მაგრამ ყველა ეს უბედურება ოჯახს სწორედ მან დაატეხა თავს. და იმის მაგივრად, რომ ყოველ ცისმარე დღეს პატიება სთხოვოს ყოველ თქვენგანს, მას ყველაზე მაღლა აუწევია თავი, არაფერზე არ სწუხს. ერთადერთი – მშობლებს სწყალობს, არ სურს, როგორც თვითონ ამბობს, რომ მას მოუყვნენ მთელი ამ ამბების შესახებ, ხოლო როდესაც იგი ბოლოს და ბოლოს ლაპარაკს გაღირსებთ, თუმცა სერიოზულად ლაპარაკობს, მე მისი სიტყვები დაცინვად ჩამესმის ყურში. შეიძლება, მან ბატონობა თავისი სილამაზის წყალობით მოიპოვა, სილამაზისა, რომელზეც შენ ასე ხშირად ლაპარაკობ?! თქვენ კი სამივენი, ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს, მაგრამ ის, რომ ამალია თქვენგან ორივესაგან გამოირჩევა, ყოველ შემთხვევაში, მის სასარგებლოდ არ მეტყველებს: უკვე პირველივე ჯერზე, როგორც კი დავინახე, მე დამაფრთხო მისმა უსიცოცხლო, სითბოს მოკლებულმა მზერამ, ხოლო შემდეგ, თუმცა იგი უმცროსია, მაგრამ გარეგნობაზე ამას ვერ იტყვი, მას უფრო უასაკო შესახედაობა აქვს, რაც სჩვევიათ ქალებს, რომლებიც, თუმცა, თითქმის არც ბერდებიან, მაგრამ არსებითად, არც არასდროს გამოიყურებიან ახალგაზრდებად. შენ მას ყოველ დღე ხედავ და ალბათ, ვერ ამჩნევ, როგორი კუშტი გამომეტყველება აქვს. სწორედ ამიტომ, თუ კარგად დაფიქრდები, ვერ დამიჯერებია, როგორ შეიძლებოდა ნამდვილად შეყვარებოდა სორტინის, ეგებ, ამ წერილით მას უნდოდა მხოლოდ ეწყენინებინა მისთვის და სულაც არ აპირებდა თავისთან დაძახებას?“ „სორტინიზე მე არ მსურს ვილაპარაკო“, თქვა ოლღამ, „ამ გოდლელი ბატონებისაგან ყველაფერს შეიძლება მოელოდოს ყველაზე ლამაზი გოგონაც და ყველაზე მახინჯიც. მაგრამ, სხვა მხრივ, რაც შეეხება ამალიას, შენ ყველაფერში ცდები. გამიგე, მე არა მაქვს არავითარი საფუძველი განგაწყო შენ ამალიას სასარგებლოდ, და თუ ვცდილობ ამის გაკეთებას, მხოლოდ შენივე გულისათვის. ამალია რაღაცნაირად გახდა ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი, ეს მართალია, მაგრამ მამაჩემსაც კი, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა ამ ამბისაგან, კაცს, რომელიც გაცილებით უფრო უარეს დროშიც კი არასოდეს ირჩევდა სიტყვებს და არ სჩვეოდა თავშეკავება, ერთხელაც არ უსაყვედურია ამალიასათვის, და არა მარტო იმიტომ, რომ იწონებდა მის საქციელს, – როგორ შეეძლო მას, სორტინის ასეთ თაყვანისმცემელს, მოეწონებინა ეს? მას ოდნავადაც არ შეეძლო, გაეგო ამალიასი: სიამოვნებით გაწირავდა სორტინის გულისათვის საკუთარ თავსაც და ყველაფერსაც, რაც მას გააჩნდა, ოღონდ, ასე კი არა, როგორც სინამდვილეში მოხდა, როცა სორტინი, ალბათ, ძალიან განრისხდა. ვამბობ, „ალბათო“, იმიტომ, რომ ჩვენ სორტინიზე აღარაფერი გვსმენია მას შემდეგ, და თუ აქამდე კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, ახლა თითქოს საერთოდ აღარც წერიაო ცოცხლებში, მაგრამ უნდა გენახა ამალია იმ დროს, ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ არავითარი გარკვეული სასჯელი არ გვექნება, უბრალოდ, ჩვენ ყველამ შეგვაქცია ზურგი. აქაურმა ხალხმაც და მთელმა გოდოლმაც. მაგრამ თუ აქაური ხალხის გაუცხოება ჩვენთვის, რასაკვირველია, თვალში საცემი იყო, გოდლისა ჩვენ არაფერი ვიცოდით. გოდოლი ხომ არ გვიქმნიდა წინათ არავითარ საზრუნავს. მაშ, როგორ შეგვეძლო დაგვენახა ცვლილება? მაგრამ ეს მდუმარება ყველაზე უარესი იყო. ეს სულ არა ჰგავს აქაური ხალხის გაუცხოებას. ისინი ხომ რაღაც რწმენის გამო არ ჩამოგვცილებიან. პირი რომ იბრუნეს, შეიძლება, ჩვენი საწინააღმდეგო სერიოზული არც არაფერი ჰქონდათ, მაშინ ასეთ ზიზღს, როგორც ახლა, ჯერ არავინ იჩენდა, მათ თუ პირი იბრუნეს და ზურგი შეგვაქციეს, ეს მხოლოდ შიშით ქნეს, მერე კი ელოდებოდნენ, როგორ

წარიმართებოდა შემდეგ ყველაფერი, და ჯერჯერობით არაფრისა უნდა გვშინებოდა, ყველა მოვალემ გაგვისტუმრა ვალი. ანგარიშსწორება ჩვენს სასარგებლოდ იყო. თუ სურსათ-სანოვაგე გვაკლდა, ჩვენ მალულად გვეხმარებოდნენ ნათესავები, ეს არ იყო ძნელი. ახალი აღებული ჰქონდათ მოსავალი, მართალია, ჩვენ საკუთარი მინდვრები არ გვქონია, ხოლო მუშაობაში დასახმარებლად არავინ გვეძახდა, და სიცოცხლეში პირველად იძულებული გავხდით, ლამის უსაქმურად ვყოფილიყავით. ასე გავატარეთ მთელმა ოჯახმა, კარდარაბაგამოკეტილებმა, თითქმის მთელი ივლისისა და აგვისტოს ხვატი, და არაფერი არ მომხდარა. არავითარი გამოძახება, არავითარი უწყება, არავითარი ახალი ამბავი, არავითარი სტუმრობა, – არაფერი.“ „იცი რა“, თქვა კ.-მ, „რახან არაფერი არ მომხდარა და არავითარი სასჯელი არ გემუქრებოდათ, მაშინ რიღასი გეშინოდათ? რა ხალხი ხართ თქვენ!“ „როგორ აგიხსნა ეს?“ თქვა ოლღამ. „ჩვენ ხომ იმისი კი არ გვეშინოდა, რაც მოხდებოდა, ჩვენ უკვე ვიტანჯებოდით იმისაგან, რაც იყო, და ახლა სასჯელის პირობებში ვცხოვრობდით. სოფლის ყველა მცხოვრებს ხომ ერთი სული ჰქონდა, როდის დავუბრუნდებოდით მათ, როდის გახსნიდა მამა კვლავ სახელოსნოს, როდის აიღებდა ამალია, რომელიც საუცხოოდ კერავდა კაბებს, კვლავ შეკვეთებს, რა თქმა უნდა, ყველაზე წარჩინებული ქალბატონებისაგან. ყოველი კაცი ნანობდა იმას, რაც გაგვიკეთეს: როდესაც ასეთ პატივსაცემ ოჯახს სრულიად მოულოდნელად ამოაგდებენ სოფლის ცხოვრებიდან, ამით თითოეული რაღაცას ჰკარგავს, მაგრამ მათ მიაჩნდათ, რომ, შეგვაქცევდნენ რა ზურგს, ამით მხოლოდ შეასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. მათი რომ ვყოფილიყავით, ჩვენც ასევე მოვიქცეოდით. მათ ზუსტად არც კი იცოდნენ, რა მოხდა, მხოლოდ ის შიკრიკი დაბრუნდა სასტუმროში, ქაღალდის ნაგლეჯებით მუჭში. ფრიდას დაუნახავს, როგორ მიდიოდა იგი, შემდეგ – როგორ დაბრუნდა, ორიოდ სიტყვა უთხრა, პასუხიც მოისმინა და მაშინვე ამცნო ყველა დანარჩენს ის, რაც შეიტყო, მაგრამ ისევ და ისევ არა ჩვენდამი მტრული დამოკიდებულების გამო, არამედ უბრალოდ მოვალეობის გრძნობისა გამო. მისი რომ ყოფილიყო, თითოეული ჩვენგანი ამას თავის მოვალეობად ჩათვლიდა. მაგრამ როგორც უკვე გითხარი, ხალხს ყველაზე მეტად ეფონებოდა გულს მთელი ამბის ბედნიერი დასასრული. უეცრად, ჩვენ რომ მოვსულიყავით და გამოგვეცხადებინა, უკვე ყველაფერი რიგზეაო, მაგალითად, აქ გაუგებრობა მოხდა და იგი უკვე მთლიანად არის მოგვარებული, ან რომ თუმცა აქ შევცდით, მაგრამ შეცდომა უკვე გამოვასწორეთო, უფრო მეტიც: ხალხისთვის საკმარისი იქნებოდა გაეგონა, რომ გოდოლში ჩვენი ნაცნობობის წყალობით შევძელით მიგვეფუჩეჩებინა ეს ისტორია, – მაშინ ნამდვილად გულში ჩაგვიკრავდნენ, მოგვეხვეოდნენ, გადაგვკოცნიდნენ, ნამდვილ დღესასწაულს მოგვიწყობდნენ, ასე, რაც თავი მახსოვს, უკვე არაერთგზის მოსვლიათ სხვებს. მაგრამ ასეთი ცნობებიც კი არ იყო საჭირო: ჩვენ რომ თვითონ გავსულიყავით ხალხთან, მარტო ეს აღგვადგენინებდა ძველ კავშირებსა და ნაცნობობას, სიტყვაც რომ არ გვეთქვა წერილის ამბავზე, ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა. ყველა სიამოვნებით იტყოდა უარს ყოველგვარ მითქმა-მოთქმასა და ჭორაობაზე, აქ ხომ შიშის გარდა, იყო საყოველთაო და საშინელი უხერხულობის გრძნობა, იმიტომ რომ ჩვენგან ისედაც იბრუნეს პირი, რომ არაფერი გაეგონათ ამ საქმის შესახებ, არაფერი არ ელაპარაკათ, არაფერი არ ეფიქრათ, რომ არ ჰქონოდათ არავითარი შეხება მასთან. როდესაც ფრიდამ ეს ყველას დაუფქვა, ეს გააკეთა არა ნიშნისმოგებით, არამედ იმისათვის, რომ საკუთარი თავიც და სხვებიც დაეცვა ამისაგან, მიეპყრო მთელი თემის ყურადღება, აქ რაღაც ისეთი მოხდა, რისგანაც უნდა ეცადო, შორს დაიჭიროო თავი. არა ჩვენ, როგორც ოჯახს, გვქონდა აქ მნიშვნელობა, არამედ ჩვენს წილნაყარობას მთელ ამ

სამარცხვინო ისტორიასთან. და თუ ჩვენ კვლავ გავერეოდით მარაქაში, თავს დავანებებდით წარსულს და ვაჩვენებდით მთელი ჩვენი ყოფაქცევით, რომ ეს საქმე მივაფუჩეჩეთ – არა აქვს მნიშვნელობა, სახელდობრ, რა ხერხით, – და დავარწმუნებდით საზოგადოებრივ აზრს, რომ მთელი ამ ამბის შესახებ, რაც უნდა მომხდარიყო, მეტს აღარასდროს ვიტყოდით არაფერს, მაშინ ყველაფერი მოგვარდებოდა. ადამიანები გაგვიგებდნენ, უწინდელი მზადყოფნით დაგვიდგებოდნენ გვერდით და მაშინაც კი, ეს ისტორია რომ არ ყოფილიყო საბოლოოდ დავიწყებული, ადამიანები ამასაც გაგვიგებდნენ, დაგვეხმარებოდნენ, დაგვევიწყებინა იგი. ამის მაგივრად კი ჩვენ ყველანი შინ გამოვიკეტეთ. არ ვიცი, რას ველოდებოდით! ალბათ, ამალიას რაღაც გადაწყვეტილებას. იმ დილიდან მან ხელში ჩაიგდო ოჯახის უფროსობა და ყოველგვარი განსაკუთრებული განხილვის, ბრძანებების, ხვეწნა-მუდარის გარეშე, მარტოოდენ დუმილით მტკიცედ ეპყრა იგი ხელთ. მართალია, ჩვენ, დანარჩენები, ყველაფერზე მას უნდა მოვთათბირებოდით, ჩვენ დილიდან საღამომდე ვჩურჩულებდით, და ზოგჯერ მამა, უეცრად შეშინებული, თავისთან მიმიხმობდა და ნახევარ ღამეს მისი საწოლის კიდეზე ვიჯექი, ხოლო ზოგჯერ კუთხეში შევიყუჟებოდი ხოლმე ბარნაბასთან ერთად, რომელსაც თავიდან ძალზე ცოტა რამ ესმოდა და, სულ მუდამ გაბრაზებული, მოითხოვდა ახსნა-განმარტებას, ყოველთვის ერთსა და იგივეს. ეტყობა, მან უკვე იცოდა, რომ უზრუნველ ცხოვრებას, მის თანატოლებს რომ მოელოდა, იგი უკვე ვეღარ ნახავდა, და ჩვენ ორნი ვისხედით – ზუსტად ისევე, როგორც ახლა მე და შენ, კ., ვერ ვგრძნობდით, როგორ გადიოდა ღამე და დგებოდა დილა. დედა ჩვენში ყველაზე სუსტი იყო, ალბათ, იმიტომ, რომ არა მარტო ინაწილებდა საერთო მწუხარებას, არამედ იტანჯებოდა კიდეც ცალ-ცალკე თითოეული ჩვენგანისათვის, და ჩვენ შიშით ვადევნებდით თვალს მასში იმ ცვლილებებს, რომლებიც, როგორც გული გვიგრძნობდა, მოელოდა მთელ ჩვენს ოჯახს. მისი უსაყვარლესი ადგილი იყო ტახტის კუთხე – ახლა უკვე ეს ტახტი დიდი ხანია, აღარ გვაქვს, იგი ბრუნსვიკის დიდ სასტუმრო ოთახში დგას, – დედა იქ იჯდა ხოლმე და ჩვენ ხეირიანად არც კი ვიცოდით, ეძინა მას, თუ როგორც ტუჩების მოძრაობაზე ეტყობოდა, გაუთავებლად ელაპარაკებოდა საკუთარ თავს. სავსებით ბუნებრივი იყო, რომ ჩვენ დაუსრულებლად განვიხილავდით წერილის ამბავს, თავიდან ბოლომდე, მთელი სიგრძე-სიგანით, ჩვენთვის ცნობილი მთელი დეტალებითა და უცნობი შედეგებითურთ და დაუღალავად ვეჯიბრებოდით ერთმანეთს – ვიგონებდით, რა გზით აჯობებს ყველაფრის სასიკეთოდ მოგვარება, ეს იყო ბუნებრივი და გარდაუვალი, მაგრამ, ამასთანავე – მავნებელიც, იმიტომ, რომ ჩვენ დაუსრულებლად ვუკირკიტებდით და ძირისძირამდე ვწვდებოდით იმას, რისი დავიწყებაც გვინდოდა. არადა, რისი მაქნისი იყო ჩვენი თუნდაც ბრწყინვალე გეგმები? ვერც ერთ მათგანს ვერ შევასრულებდით უამალიოდ, ყოველივე ეს იყო მხოლოდ სამზადისი, უაზრო – თუნდაც იმიტომ, რომ ამალიამდე ჩვენი მოსაზრებები ვერ აღწევდა, ხოლო რომც მიეღწია, არ შეხვდებოდა არაფერს, დუმილის გარდა. საბედნიეროდ, მე ახლა ამალიასი უკეთ მესმის, ვიდრე მაშინ. იგი მეტს ითმენდა, ვიდრე ჩვენ ყველანი ერთად... ვერ გამიგია, როგორ გაუძლო ყოველივეს და დღემდე როგორ დარჩა ცოცხალი. იქნებ, დედა იტანჯებოდა თითოეული ჩვენგანის გამო, იმდენი უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ ამ ტანჯვა-წამებამ დიდხანს არ გასტანა. ახლა უკვე ვერანაირად ვეღარ იტყვი, რომ იგი იტანჯება, თუმცა აზრი მაშინაც ერეოდა. ხოლო ამალია არა მარტო იტევდა მთელ უბედურებას, არამედ ჰყოფნიდა ჭკუაც, ყველაფერს მიხვედრილიყო, ჩვენ ვხედავდით მხოლოდ შედეგებს, ის კი ჭვრეტდა

საქმის არსს, ჩვენ რაღაც წვრილმანი შეღავათების იმედად ვიყავით, ამალიას კი ისღა დარჩენოდა, მხოლოდ მდუმარედ ყოფილიყო, პირისპირ დარჩენილიყო სიმართლესთან და ეთმინა ასეთი ცხოვრება მაშინაც და ახლაც. ჩვენ, მთელი თავსდატეხილი უბედურების მიუხედავად, ისეთ შავ დღეში მაინც არ ვიყავით, როგორც ამალია. მართალია, იძულებული გავხდით, დაგვეტოვებინა ჩვენი სახლი, სადაც ბრუნსვიკი გადავიდა, ჩვენ კი ეს ქოხი გამოგვიყვეს, და ხელის ურიკით რამდენიმე ჯერზე გადმოვიტანეთ აქ მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანა. მე და ბარნაბა ურიკას მოვათრევდით, მამა და ამალია უკანიდან აწვებოდნენ. დედა სულ პირველი გადავიყვანეთ, და იგი, ყუთზე მჯდომი, ჩუმი კვნესით შეგვხვდა, მაგრამ მე მახსოვს, ამ დამღლელი გადასვლის დროსაც კი, რომელიც ძალზე დამამცირებელი იყო, როგორ გვხვდებოდნენ მინდვრებიდან მომავალი ურმები, რომელთა პატრონებიც ჩვენს დანახვაზე პირს იბრუნებდნენ და თვალს გვარიდებდნენ, – მახსოვს, მე და ბარნაბას ურიკის წინ და უკან ტარების დროსაც კი არ შეგვეძლო, არ გველაპარაკა ჩვენს საზრუნავსა და გეგმებზე, ზოგჯერ გავჩერდებოდით ხოლმე შუა გზაში და მხოლოდ მამის შეძახება გვახსენებდა ჩვენს მოვალეობებს. მაგრამ გადაბარგების შემდეგაც ვერავითარი საუბრები ვერ შეცვლიდა ჩვენს ცხოვრებას, და ჩვენ მხოლოდ თანდათან სულ უფრო მეტად და სულ უფრო ნათლად ვგრძნობდით სიღატაკეს. ნათესავებმა შეგვიწყვიტეს დახმარება, ჩვენი სახსრები ილეოდა, და სწორედ ამ დროს გაძლიერდა ის ზიზღი ჩვენდამი, რომელიც შენ უკვე შეამჩნიე. ყველა მიხვდა, რომ ჩვენ აღარა გვაქვს ძალა, თავი დავაღწიოთ წერილთან დაკავშირებულ ფათერაკებს. ამის გამო გული მოსდიოდათ ჩვენზე. ისინი სწორად აფასებდნენ ჩვენს მძიმე ბედს, თუმცა ზუსტად არაფერი არ იცოდნენ. მათ ესმოდათ, რომ თვითონაც ვერ გაუძლებდნენ ასეთ განსაცდელს ჩვენზე უკეთ, მაგრამ მით უფრო აუცილებლად ეჩვენებოდათ, საბოლოოდ გაგვმიჯნვოდნენ. ჩვენ რომ ყველაფერი დაგვეძლია, ბუნებრივია, აღვიდგენდით პატივისცემას, მაგრამ რაკი ეს ვერ მოვახერხეთ, ადამიანებმა, ბოლოს და ბოლოს, გააკეთეს ის, რასაც აქამდე მხოლოდ აპირებდნენ: ჩვენ საბოლოოდ გამოგვრიყეს საზოგადოების ყველა წრიდან. ახლა ჩვენზე უკვე აღარ ლაპარაკობდნენ როგორც ადამიანებზე, ჩვენს გვარს აღარსად აღარ ახსენებდნენ, ხოლო თუ სიტყვას ჩამოაგდებდნენ, მაშინ ჩვენგან ყველაზე უმანკოს, მხოლოდ ბარნაბას ახსენებდნენ. ჩვენს ქოხსაც კი გაუვარდა ცუდი სახელი და, თუ საკუთარ თავს გამოსცდი, მაშინ გამოუტყდები, რომ შენც, პირველად რომ შემოხვედი აქ, იფიქრე, რომ ეს ზიზღი ერთგვარად გამართლებულია. მოგვიანებით, როდესაც ჩვენ ათასში ერთხელ მეზობლები შემოგვივლიდნენ ხოლმე, ისინი იჭყანებოდნენ, მაგალითად, იმის გამო, რომ ჩვენი ნავთის ლამფა მაგიდის თავზე ჰკიდია. სად უნდა კიდებულიყო კიდევ, თუ არა მაგიდის თავზე, მაგრამ ეს მათ აუტანელი ეჩვენებოდათ. ხოლო თუ სხვაგან გადავკიდებდით ხოლმე ლამფას, მათი ზიზღი, სულ ერთია, უცვლელი იყო. ყველაფერი, რაც ჩვენ გვქონდა და რანიც ვიყავით ჩვენ თვითონ, თანაბარ ზიზღს იწვევდა.“

19. პატიების ძიებაში

„ალბათ, იკითხავ, რას ვშვრებოდით მთელი ამ დროის მანძილზე? ყველაზე უარესს, რაც მხოლოდ შეიძლებოდა გვექნა, იმას, რისთვისაც სამართლიანად შეიძლებოდა შეგვეჯავრებინა თავი ყველასათვის, ყველა სხვა ცოდვასთან შედარებით. ჩვენ ვუღალატეთ ამალიას, ჩვენ დავარღვიეთ მისი უხმო ბრძანება, ჩვენ უკვე აღარ

შეგვეძლო ასე ყოფნა, ყოველგვარ იმედს მოკლებული ცხოვრება აუტანელი გახდა, და ჩვენ დავიწყეთ, თითოეულმა ჩვენებურად, ღვწა, რომ გოდოლში ეპატიებინათ ჩვენთვის, დავიწყეთ პატიების ვედრება. მართალია, ჩვენ ვიცოდით, რომ ვერაფერს გამოვასწორებდით, ვიცოდით, რომ ერთადერთი დამაიმედებელი კავშირი, რომელიც გოდოლთან გვქონდა, – კავშირი სორტინისთან, მოხელესთან, რომელიც წყალობის თვალით უყურებდა მამას, – ჩვენთვის მიუწვდომელი გახდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მოვეჭიდეთ ხავსს. პირველი მამა იყო, დაიწყო მისი უაზრო სირბილი მამასახლისთან, მდივნებთან, ვექილებთან, მწერლებთან. ჩვეულებრივ, მას არსად არ იღებდნენ და თუ ეშმაკობით ან შემთხვევით შეძლებდა კიდეც შესვლას – როგორ ვხარობდით ყოველი ასეთი ამბის გაგებაზე, რა სიამოვნებით ვიფშვნეტდით ხელს, – მას მყისვე მოუჯახუნებდნენ ხოლმე კარს და მეტს აღარ იღებდნენ, თანაც მამასთვის პასუხის გაცემა მათთვის იოლი საქმე იყო. გოდლისათვის ეს ყოველთვის იოლი საქმეა. რის სათხოვნელად მოვიდა, არსებითად, რა უნდა? რა დაემართა? რისთვის ითხოვს პატიებას? როდის და ვინ გაბედა გოდოლში თუნდაც თითი დაექნია მისთვის? გასაგებია, იგი გაღატაკდა, შემოეფანტა მუშტარი და ასე შემდეგ, მაგრამ ყოველივე ეს ხომ ყოველდღიური ცხოვრების მოვლენაა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ბაზრის მდგომარეობა, რა მოთხოვნაა სამუშაოზე, ნუთუ გოდოლი ვალდებულია, ყოველივე ამას უკირკიტოს? რა თქმა უნდა, იქ ყველაფერს უკირკიტებენ, მაგრამ ხომ არ შეიძლება, უხეშად ჩაერიო ცხოვრების მდინარებაში ერთადერთი მიზნით – ერთი კაცის ინტერესების დასაცავად. რაო, გვიბრძანებთ, აქედან ვაფრინოთ მოხელენი, ვარბენინოთ ისინი მამათქვენისათვის მუშტრის მოსაყვანად და ძალით დავაბრუნოთ მასთან? არა, ბატონო, არა. აწყვეტინებდა მათ მაშინ მამა. შინ ჩვენ ყველაფერი წინასწარ განვიხილეთ მასთან ერთად, სათხოვნელად მის წასვლამდეც, და დაბრუნების შემდეგაც განვიხილავდით კუთხეში, თითქოს ამალიას ვემალებოდით და თუმცა იგი ყველაფერს ამჩნევდა, მაგრამ არ გვერეოდა. არა, ბატონო არა, ეუბნებოდა მამა. იგი ხომ არ ჩივის, რომ ჩვენ გავღატაკდით. ყველაფერს, რაც მან დაჰკარგა, იოლად აინაზღაურებს. ეს ყოველივე არ არის არსებითი, მთავარია, მხოლოდ აპატიონ მას. მაგრამ რა უნდა გაპატიოთ? – უპასუხებდნენ მოხელენი. აქამდე მამაზე არავითარი ბეზღის ბარათი არ შესულა, ყოველ შემთხვევაში, ოქმებში მსგავსი არაფერია. ყოველ შემთხვევაში, იმ ოქმებში, რომლებიც გახსნილია საზოგადოებრიობისათვის. მაშასადამე, რამდენადაც შეიძლება დავადგინოთ, არავითარი საქმე მის წინააღმდეგ არავის აღუძრავს. ასეთი განზრახვაც არ არის ჯერჯერობით. იქნებ, მან თქვას, მიღებულ იქნა, თუ არა, მის წინააღმდეგ რაიმე ოფიციალური ღონისძიებები? ან, იქნებ ადგილი ჰქონდა ოფიციალური ორგანოების ჩარევას? ამაზე მამამ არაფერი იცოდა. „აი, ხომ ხედავთ, რაკი თქვენ არაფერი არ იცით და რაკი არაფერი არ მომხდარა, მაშინ რა გინდათ ჩვენგან? სახელდობრ, რა შეიძლებოდა გვეპატიებინა თქვენთვის? უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ ის, რომ თქვენ ტყუილად აწუხებთ ხელისუფალთ, მაგრამ სწორედ ეს არის უპატიებელი.“ მაგრამ მამა არ ნებდებოდა, მაშინ ჯერ კიდევ მოსდგამდა ჯანი, და ნაიძულევი უსაქმურობა ბევრ თავისუფალ დროს უტოვებდა. „მე აღვუდგენ ამალიას პატიოსან სახელს უახლოეს ხანებში“, – გვეუბნებოდა იგი ბარნაბას და მე დღეში რამდენჯერმე, ჩუმჩუმად, იმიტომ, რომ ამალიას ეს არ უნდა გაეგონა, თუმცა, ამას ლაპარაკობდა მხოლოდ ამალიას გულისათვის, იმიტომ, რომ სინამდვილეში არავითარი პატიოსანი სახელის აღდგენაზე არც ფიქრობდა, არამედ ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, რომ როგორმე მიეღო პატიება. მაგრამ ამისათვის მართებდა თავდაპირველად დაედგინა თავისი ბრალი,

ხოლო ამაზე ხელისუფალნი უარს ეუბნებოდნენ და მას თავში მოუვიდა აზრი, რომელიც ამტკიცებდა, როგორ დაუსუსტდა იმდროისათვის ჭკუა-გონება, რომ მას არ უმხელენ ჩადენილ ბრალს, იმიტომ, რომ ცოტა ბეგარას იხდის, – საქმე ის არის, რომ ჩვენ აქამდე ვიხდიდით მხოლოდ კუთვნილ ბეგარას, საკმაოდ დიდს ჩვენი მაშინდელი მდგომარეობის კვალობაზე. ახლა კი მან გადაწყვიტა, რომ უნდა იხადოს მეტი, რაც, რა თქმა უნდა, შეცდომა იყო: თუმცა ჩვენი ხელისუფალნი – თავიდან რომ აიცილონ ზედმეტი ლაპარაკი, სიმარტივისათვის – ხანდახან იღებენ კიდეც რაღაც ქრთამს, მაგრამ ამით ვერაფერს მიაღწევ, მაგრამ რაკი მამას ამის იმედი ჰქონდა, ჩვენ არ გვინდოდა, ხელი შეგვეშალა მისთვის. გავყიდეთ ყველაფერი, რაც კიდევ გვქონდა დარჩენილი – მეტწილად ყველაზე აუცილებელი, – რათა უზრუნველგვეყო მამა სახსრებით მისი შუამდგომლობისათვის და დიდხანს ვგრძნობდით დილაობით კმაყოფილებას, როდესაც სისხამზე, გზას რომ დაადგებოდა, შეეძლო ცოტაოდენი ვერცხლისა და ოქროს ფული ეჟღარუნებინა ჯიბეში. მართალია, ამის გამო ჩვენ ხშირად დილიდან საღამომდე ვშიმშილობოდით. ერთადერთი, რასაც ნამდვილად ვაღწევდით ამ ფულის გამოისობით, ის იყო, რომ მამას ვუღვივებდით რაღაც შემორჩენილ ნათელ იმედებს, მაგრამ ამანაც ვერაფერი ხეირი დააყარა. ამდენი წანწალით გაწამდა და ის, რაც ფულის უქონლობის გამო სულ მალე თავისთავად მიუახლოვდებოდა დასასრულს, დიდი ხნით გაიწელა. ფულით, რასაკვირველია, არავის ისეთი არაჩვეულებრივის გაკეთება მაინც არ შეეძლო, ზოგჯერ რომელიმე მწერალი ცდილობდა დაეხატა მოჩვენებითი სურათი, თითქოს სადღაც რაღაც კეთდება, აღუთქვამდა, ზოგ რამეს გავიგებო, გადაუკრავდა სიტყვას, თითქოს რაღაც კვალი იპოვა და ამ კვალის მიხედვით ჩაჰყვება საქმეს ძირისძირამდე უკვე არა მოვალეობის გამო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მამაჩვენის სიყვარულის გამო, და მამაც, იმის მაგივრად, რომ დაეჭვებულიყო, სულ უფრო მეტად იჯერებდა დაუჯერებელს. იგი შინ ბრუნდებოდა ამდენი აშკარად უაზრო და უსინდისო დაპირების შემდეგ, თითქოს ჩვენს სახლში სვესვიანობა მოჰქონდა, და გულის მომკვლელი იყო იმის დანახვა, თუ როგორ გვანიშნებდა თავით ამალიაზე, გაწამებული ღიმილით და ფართოდ გახელილი თვალებით, – სურდა, ეგრძნობინა ჩვენვთის, რა ახლოს იყო ამალიას ხსნა – რაც ყველაზე მეტად მას განაცვიფრებდა! – მაგრამ ახლა ეს ჯერ კიდევ საიდუმლოა, და ჩვენ მკაცრად უნდა დავიცვათ დუმილი. ასე გაგრძელდებოდა კიდევ უსაშველოდ დიდხანს, ბოლოს და ბოლოს, რომ არ დაგვეკარგა მამისათვის ფულის შოვნის ყოველგვარი შესაძლებლობა. მართალია, ამასობაში, ხანგრძლივი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ბრუნსვიკმა შეგირდად აიყვანა ბარნაბა, ოღონდ, იმ პირობით, რომ შეკვეთებისათვის ევლო საღამობით, სიბნელეში, და ნამუშევარიც ასევე ღამე მიეტანა, – უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბრუნსვიკი ჩვენს გამო ერთგვარ საფრთხეში აგდებდა თავის საქმეს, მაგრამ ბარნაბას კაპიკებს უხდიდა, თუმცა, ბარნაბა უზადოდ მუშაობდა, და ეს გასამრჯელო ძლივს გვყოფნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ შიმშილით არ დავხოცილიყავით. ძალზე ფრთხილად, დიდი ხნის შემზადების შემდეგ ჩვენ გამოვუცხადეთ მამას, რომ ჩვენი ფულადი დახმარება წყდება, მაგრამ ამ ამბავს ძალზე მშვიდად შეხვდა, გონებით მას უკვე აღარ შესწევდა უნარი, მიმხვდარიყო თავისი წინ და უკან სიარულის უპერსპექტივობას, მაგრამ გამუდმებულმა იმედგაცრუებამ მაინც დაქანცა და სიქა გააცალა. ზოგჯერ მამა ლაპარაკობდა – მაგრამ მის სიტყვებს უკვე აღარ ეტყობოდა ძველებური მკაფიოება, წინათ იგი მეტისმეტად მკაფიოდაც კი ლაპარაკობდა, – ამბობდა, რომ მას კიდევ სულ ცოტაოდენი ფული დასჭირდებოდა, ხვალ ან დღესაც კი ყველაფერს გავიგებდიო, ხოლო ახლა, ყველაფერი წყალში ჩაეყარა, ყველაფერი დაიღუპა მხოლოდ ფულის

გამო და ასე შემდეგ, მაგრამ ლაპარაკის კილოზე ეტყობოდა, რომ უკვე თვითონ აღარ სჯეროდა არაფრისა. თანაც მან აქვე, შეუჩერებლივ, ჩაიფიქრა ახალი გეგმები. რახან ვერ მოახერხა დაედგინა თავისი ბრალი და ამიტომ შემდგომშიც ვერაფერს მიაღწევდა ოფიციალური გზით, ახლა გადაწყვიტა, მოხელეებისათვის პირადად მიემართა თხოვნით. ამ მოხელეებს შორის ნამდვილად არიან კეთილი, გულისხმიერი ადამიანები, და თუმცა სამსახურში მათ არა აქვთ უფლება, ყური მიუგდონ თავიანთ გულისთქმას, მაგრამ უეცრად რომ დაადგე თავს, შესაფერის დროს, აი მაშინ საქმე სხვაგვარად შემობრუნდებაო.“

აქ კ.-მ, რომელიც აქამდე მთელი გულისყურით უსმენდა ოლღას, და ცდილობდა, არ გამორჩენოდა მისი ნაამბობიდან არც ერთი სიტყვა, გააწყვეტინა თხრობა კითხვით: „და შენ მიგაჩნდა, რომ ეს არ არის სწორი?“ და თუმცა პასუხს შემდგომი ნაამბობიდან მიიღებდა, ამის გაგება დაუყოვნებლივ სურდა.

„არა“, თქვა ოლღამ, „არავითარ თანაგრძნობაზე აქ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მთელი ჩვენი სიყმაწვილისა და გამოუცდელობის მიუხედავად, ჩვენ ეს ვიცოდით, რა თქმა უნდა, მამამაც იცოდა, ოღონდ დაავიწყდა, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ. მან თავისთვის შეადგინა გეგმა: დამდგარიყო გოდლის შორიახლოს გზასთან, სადაც მოხელეთა ეტლები დადიან, და, თუ მოახერხებდა, გადაეცა მათთვის თხოვნა პატიების შესახებ. გულახდილად რომ ვთქვათ, გეგმას არ ეთქმოდა მთლად დალაგებული, შეუძლებელიც რომ მომხდარიყო და თხოვნა რომელიმე მოხელის ყურამდე მისულიყო. განა ერთ მოხელეს შეუძლია აპატიოს ვინმეს? უკიდურეს შემთხვევაში, ეს არის მთელი ხელმძღვანელობის საქმე. მაგრამ მასაც კი არ ხელეწიფება პატიება, შეუძლია მხოლოდ დაგმოს. საერთოდაც, შეუძლია თუ არა მოხელეს, ეტლიდან რომც გადმოვიდეს კიდეც, შეიქმნას სრული წარმოდგენა საქმეზე იმ სიტყვების მიხედვით, რომლებსაც ლუღლუღებს უბედური, გაწამებული, უდროოდ დაბერებული კაცი, მამაჩვენი? მოხელეები – ძალზე განათლებული, მაგრამ ცალმხრივი ხალხია. თავის სპეციალობაში თითოეულს ერთი სიტყვიდან შეუძლია მთელი რიგი დასკვნები გამოიტანოს, მაგრამ მას საათობით უნდა უხსნა ის, რაც სხვა განყოფილებას შეეხება, დაგიწყებს მხოლოდ თავაზიან თავის კანტურს, მაგრამ სიტყვასაც ვერ გაიგებს. და ეს სავსებით გასაგებია: აბა, სინჯე და მხოლოდ შენ თვითონ გაერკვიე რომელიმე სამსახურებრივ წვრილანში, რომელიც უშუალოდ შენ გეხება, რაღაც უმნიშვნელო ამბავში, რომელიც ნებისმიერ მოხელეს შეუძლია გადაწყვიტოს ერთი ხელის აქნევით, – სინჯე მხოლოდ მათში ზედმიწევნით გარკვევა, და შენ უკვე მთელ ცხოვრებას შეალევ ამ საქმეს, არსს კი მაინც ვერ ჩასწვდები. მაგრამ მაშინაც კი, თუ მამა რომელიმე საჭირო მოხელეს გადააწყდება, სულ ერთია, მას არაფრის გაკეთება არ შეეძლება, წინასწარი დოკუმენტაცია თუ არ ექნა, ხოლო შარაგზაზე იგი ვერაფრის დიდებით ვერ შეძლებს მამის პატიებას, ყველაფერში უნდა გაერკვეს მხოლოდ სამსახურში, ამიტომ იგი კვლავ ურჩევს იაროს ჩვეულებრივი გზით, ინსტანციიდან ინსტანციაში. მაგრამ სწორედ ამ გზაზე მამას უკვე მოეცარა ხელი. სადამდე მივიდა მამა, თუ გადაწყვიტა როგორმე ასეთი ხერხით მიეღწია მიზნისათვის?! რომ არსებობდეს ამ გზით რაიმეს მიღწევის თუნდაც უმცირესი შესაძლებლობა, მაშინ გზაზე მთხოვნელთა ტევა არ იქნებოდა, მაგრამ უმცროსკლასელებმაც კი იციან, რომ ასეთი რამ შეუძლებელია და, რა თქმა უნდა, ამიტომაც არის შარაგზა უკაცრიელი, თუმცა, იქნებ მამას ეს კიდევ უფრო მეტად განუმტკიცებდა იმედს და ისიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ებღაუჭებოდა ამ ნუგეშს.

მისთვის ეს აუცილებელი იყო, მაგრამ ამისათვის კაცს არ სჭირდება რთული მსჯელობის მოშველიება – პირველივე ცდამ ნათლად უნდა დაარწმუნოს იგი, რომ ეს უიმედო საქმეა. აკი, როდესაც მოხელენი სოფელში მოდიან ან გოდოლში ბრუნდებიან, ისინი გასართობ გასეირნებაში კი არ მონაწილეობენ: სოფელშიც და გოდოლშიც მათ სამუშაო ელოდება, ამიტომაც დააქროლებენ ეტლებს ასეთი სიჩქარით. მათ თავში აზრადაც არ მოუვათ, გამოიხედონ ეტლის სარკმლიდან და იყურონ, ხომ არ არის გზაზე მთხოვნელები. ეტლში ბლომად აქვთ ქაღალდები და საბუთები, და მოხელენი მათ გზაში სწავლობენ.“

„მე კი“, თქვა კ.-მ, „მოხელის მარხილში შევიხედე და იქ არავითარი საბუთები არ მინახავს.“ ოლღას ნაამბობმა მას თვალწინ გადაუშალა ისეთი უზარმაზარი, ლამის წარმოსახვითი სამყარო, რომ ვერ შეიკავა თავი, რათა როგორმე არ შეხებოდა მას, თუნდაც გაეხსენებინა თავისი უმნიშვნელო განცდები, რომ დარწმუნებულიყო არა მარტო ამ სამყაროს არსებობაში, არამედ უფრო ნათლადაც შეეგრძნო, მეც ვარსებობო.

„ყველაფერი შესაძლებელია, იყოს“, თქვა ოლღამ, „მაგრამ ეს კიდევ უფრო უარესია: მაშასადამე, მოხელეს იმდენად მნიშვნელოვანი საქმეები აქვს, ხოლო საბუთები იმდენად ძვირფასი ან სქელტანიანია, რომ მათი თან წაღება არ შეიძლება და მაშინ მოხელეებმა საერთოდ ჭენებით უნდა იარონ. ყოველ შემთხვევაში, ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებდა, გამოენახა დრო მამასათვის. უფრო მეტიც: გოდლისაკენ ბევრი გზა მიდის. ხან ერთია მოდაში, და მაშინ უმრავლესობა ამ გზით დადის, ხან მეორე – და იმ გზას ადგებიან ყველანი. თუ რა წესების მიხედვით ხდება ეს ცვლილებები, ამის დადგენა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. ერთხელ დილის რვა საათზე ყველანი მიდიან ერთი გზით, ათი წუთის შემდეგ – მეორით, მერე – მესამით, და შეიძლება, ნახევარ საათში ისევ პირველ გზას დაადგნენ, და უკვე მთელ დღეს იარონ ამ გზით, მაგრამ ნებისმიერ წუთს არის შესაძლებელი ცვლილებები. მართალია, სოფლის შემოსასვლელში ყველა გზა ერთვის ერთმანეთს, მაგრამ იქ ეტლები თავბრუდამხვევი სისწრაფით მოჰქრიან, მაშინ, როდესაც გოდოლთან ისინი კიდევ უფრო ანელებენ სვლას და თუ შარაგზაზე სიარულის წესი არ არის დადგენილი, და მასში გარკვევა ჭირს, მაშინ ეს ეხება ეტლების რაოდენობასაც. არის დღეები, როდესაც ერთ ეტლსაც ვერ მოჰკრავ თვალს, შემდეგ კი – უამრავი მოაწყდება. ახლა წარმოიდგინე მამაჩვენი ამ ორომტრიალში თავისი საუკეთესო კოსტიუმით – ცოტა ხანში მას სხვა არაფერი აღარ დარჩება – გადის ყოველ დილას შინიდან ჩვენგან დალოცვილი. თან მიაქვს მეხანძრის პატარა სამკერდე ნიშანი – არსებითად, მას უკვე აღარ აქვს უფლება ატაროს ეს ნიშანი – და სოფლიდან გასვლისას იბნევს მას მკერდზე: თვით სოფელში ეშინია მისი ჩვენება, თუმცა სამკერდე ნიშანი ისეთი პაწიაა, რომ მას ორ ნაბიჯზეც ძლივს გაარჩევ, მაგრამ მამას აზრით, სწორედ ამ სამკერდე ნიშანმა შეიძლება მიიპყროს მოხელეების ყურადღება. გოდლის შესასვლელის შორიახლოს არის განლაგებული მებაღეობის მეურნეობა, იგი ვინმე ბერტუხს ეკუთვნის. ეს კაცი ბოსტნეულით ამარაგებს გოდოლს, და იქ ღობის ძირას, მცირე შვერილზე მამამ თავისთვის ადგილი ამოირჩია. ბერტუხს არაფერი ჰქონია საწინააღმდეგო იმიტომ, რომ წინათ ის და მამა ამხანაგობდნენ, და, ამას გარდა, ბერტუხი იყო მამას ერთ-ერთი ყველაზე მუდმივი შემკვეთი. ცალი ფეხი ცოტა გაფუჭებული აქვს, და მიაჩნია, რომ მხოლოდ მამას შეუძლია შეუკეროს შესაფერისი ფეხსაცმელი. აი, სწორედ იქ იჯდა მამა დღიდან დღემდე, შემოდგომა ცივი და წვიმიანი იყო, მაგრამ უამინდობას იგი არც აქცევდა ყურადღებას. დილას ერთსა და იმავე დროს იგი კარს აღებდა და თავს

გვიკრავდა გამომშვიდობების ნიშნად, საღამოს უკან ბრუნდებოდა თავით ფეხამდე გაწუწული, – მისი შემხედვარე იფიქრებდი, დღითი დღე სულ უფრო მეტად იხრებაო წელში – და კუთხეში შეიყუჟებოდა. თავდაპირველად გვიამბობდა მთელ თავის წვრილმან თავგადასავალს – ხან ბერტუხი სიბრალულით, ძველი მეგობრობის ნიშნად, გადაუგდებდა ხოლმე გისოსიდან საბანს, ხან მოეჩვენებოდა, რომ გზაზე მიმავალ ეტლში ეს თუ ის მოხელე დაინახა, ხან უეცრად რომელიღაც მეეტლე სცნობდა და ხუმრობით მათრახს გადაუჭერდა, შემდეგ საერთოდ შეეშვა მოყოლას. ეტყობა, უკვე აღარ ჰქონდა რაიმეს მიღწევის იმედი და მხოლოდ თავის მოვალეობად, თავის უღიმღამო უმაქნის ვალდებულებად მიაჩნდა, იქ ევლო და მთელ დღეს ეყურყუტა. სწორედ მაშინ დაეწყო სახსრების ტკივილი: ზამთრისპირი იყო, ადრე მოთოვა, ჩვენში ზამთარი ერთბაშად დგება ხოლმე, მამა კი სულ ერთთავად იქ იჯდა, სველ ქვებზე, – ხან წვიმის ქვეშ, ხან თოვლში, ღამღამობით ტკივილისაგან კვნესოდა, დილით ზოგჯერ ფეხს ითრევდა წასვლაზე, მაგრამ მერე გადასძლევდა ხოლმე თავს და მაინც მიდიოდა. დედა უღონო ხელებით ებღაუჭებოდა, არ უნდოდა, გაეშვა. ის კი, აშკარად, უკვე შეშინებული იმით, რომ ფეხები არ ემორჩილებოდა, ანებებდა, მასთან ერთად წასულიყო, და მაშინ დედასაც დაეწყო ტკივილები. ჩვენ ხშირად დავდიოდით მათთან იქ, მიგვქონდა საჭმელი ან უბრალოდ დავხედავდით ხოლმე, ვთხოვდით, დაბრუნებულიყვნენ. რა ხშირად გვინახავს ისინი, წელში მოკაკულები ერთმანეთს რომ ეკვროდნენ ვიწრო შვერილზე, თხელი საბანი მოეხურათ, რომელიც ძლივს სწვდებოდა ორივეს, ირგვლივ კი არაფერი იყო ნაცრისფერი თოვლისა და ნისლის გარდა, არავინ და არაფერი, ძეხორციელის ჭაჭანება არ ჩანდა. მთელი დღე ისე გავიდოდა, რომ არც ეკიპაჟი გამოჩნდებოდა, არც ფეხით მოსიარულე, რა სანახაობაა, კ., რა სანახაობა! ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ერთ დილას მამა ლოგინიდან ვეღარ ადგა – ფეხები არ ემორჩილებოდა, მუხლი ეკეცებოდა, როგორ გინდოდა, გენუგეშებინა? რაღაც ძილ-ღვიძილში დაინახა, რომ სწორედ ახლა გაჩერდა ეტლი ბერტუხის ღობესთან. იქიდან გადმოდის მოხელე, რომელიც თვალებით მამას ეძებს, ვერ პოულობს, იმედგაცრუებით გააქნევს თავს და ისევ თავის ეტლში ჯდება. ამ დროს მამა ისე ყვიროდა, თითქოს სურდა, აქედან გაეგონებინა თავისი ხმა მოხელისათვის იქ, ზემოთ, და აეხსნა, ჩემი ბრალი არ არის, რომ ადგილზე ვერ დაგხვდიო, ვერ დახვდა კი ვერც მაშინ და ვერც მერე – მეტი იქ აღარ დაბრუნებულა, მრავალი კვირის მანძილზე სარეცელს იყო მიჯაჭვული. ამალიამ ყველაფერი თავის თავზე აიღო – მომსახურება, მოვლა, მკურნალობა, არსებითად დღემდე მცირეოდენი ხანგამოშვებით ადგას თავზე. მან იცის ტკივილის გამაყუჩებელი სამკურნალწამლო ბალახები, მას თითქმის არ სჭირდება ძილი, არაფერს არ უფრთხის, არაფრის არ ეშინია, არასოდეს არ ჰკარგავს მოთმინებას, – ერთი სიტყვით, მთელ სამუშაოს მშობლებისათვის ამალია ასრულებს. იმ დროს, როდესაც ჩვენ ვერაფრით ვერ ვეხმარებოდით და მხოლოდ ხელს ვუშლიდით ჩვენი ფაცაფუცით, ამალია ინარჩუნებდა სიმშვიდეს და ხმას არ იღებდა, მაგრამ როდესაც ყველაზე უარესი დამთავრდა, და მამას უკვე შეეძლო ფრთხილად, ორი მხრიდან ჩვენი დახმარებით ჩამოეშვა ფეხები საწოლიდან, ამალია მაშინვე გადგა გვერდზე და იგი ჩვენ გადმოგვაბარა.

20. ოლღას გეგმები

„ახლა საჭირო იყო მამასთვის გამოგვენახა რაღაც საქმე, რომელსაც აუვიდოდა, რაღაც ისეთი, რაც თუნდაც შეუნარჩუნებდა რწმენას, თითქოს იგი ხელს უწყობს ოჯახის გამამტყუნებელი ბრალის გაუქმებას. რაღაც ამდაგვარის პოვნა არ იყო ძნელი საქმე. არსებითად, ამ მიზნისთვის ყველაფერი გამოდგებოდა, არა ნაკლებ, ვიდრე ბერტუხის მესერთან ჯდომა, მაგრამ მე ვიპოვე ის, რამაც ერთგვარი იმედიც კი ჩამისახა. ჩვეულებრივ, თუ მოხელეებს, მწერლებს შორის ან სადმე სხვაგან სიტყვა ჩამოვარდებოდა ჩვენი ბრალის შესახებ, ლაპარაკი იმით მთავრდებოდა, რომ სორტინის შიკრიკს აწყენინეს, და უფრო შორს არავინ მიდიოდა. მაშასადამე, თუ მთელი საზოგადოებრივი აზრი, თუნდაც მხოლოდ თვალის ასახვევად, ტრიალებს მარტო შიკრიკისათვის მიყენებული წყენის გარშემო, შესაძლებელია, ისევ, და ისევ, თუნდაც თვალის ასახვევად, ყველაფერი მოგვარდეს, თუ შიკრიკს შევირიგებთ. აკი, როგორც ჩვენ გვეუბნებოდნენ, არავითარი განცხადება არსაიდან არ შესულა, მაშასადამე, არც ერთი კანცელარია არ მუშაობს ამ საქმეზე და ამიტომ შიკრიკს შეუძლია პირადად თავისი სახელით – მეტი არაფერზე არ ყოფილა ლაპარაკი – გვაპატიოს წყენა. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, არ ექნებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ყოველივე მხოლოდ თვალში ნაცრის შეყრა იქნებოდა და ვერავითარი შედეგი ვერ მოჰყვებოდა, მაგრამ მამას ეს სიხარულს მიანიჭებდა, ხოლო ყველა შუამავალი, რომლებიც ასე ტანჯავდნენ, შეიძლებოდა, მისდა გასახარად, ჩიხში მოგვემწყვდია. რა თქმა უნდა, საჭირო იყო, უწინარეს ყოვლისა, გვეპოვა შიკრიკი. როდესაც ჩემი გეგმის შესახებ მამას ვუამბე, თავდაპირველად ძალიან გაბრაზდა, იგი უჩვეულოდ ჯიუტი გახდა. თანაც დარწმუნებული იყო – და ავადმყოფობის დროს ეს რწმენა ძალიან გაუმწვავდა, – რომ ჩვენ სულ მუდამ ხელს ვუშლიდით, წარმატებით დაესრულებინა საქმე, თავდაპირველად იმით, რომ შევუწყვიტეთ ფულადი დახმარება, ახლა იმით, რომ ლოგინში ვამყოფებდით, გარდა ამისა, მან საერთოდ დაჰკარგა უნარი, სრულად აღექვა სხვისი აზრი. ბოლომდე არც კი მქონდა ნათქვამი ყველაფერი, რომ მამამ გეგმა დამიწუნა. მისი აზრით, იგი კვლავაც უნდა მჯდარიყო ბერტუხის ბაღთან, და ვინაიდან მას, ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, არ შეუძლია ყოველდღე იაროს იქ, ჩვენ უნდა გვეტარებინა მამა ურიკით, მაგრამ მე არ ვუთმობდი და თანდათან იგი შეეგუა ამ აზრს, ხელს უშლიდა მხოლოდ ის, რომ აქ მთლიანად ჩემზე იყო დამოკიდებული, იმიტომ, რომ მხოლოდ მე დავინახე იმ დილას შიკრიკი, მამა კი მას არ იცნობდა. მართალია, ერთი მსახური გავს მეორეს, და მე ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ვიცნობდი იმ შიკრიკს. ჩვენ დავიწყეთ სასტუმროში სიარული და მისი ძებნა სხვა მსახურებს შორის. თუმცა იგი სორტინის მსახური იყო, ხოლო სორტინი სოფელში მეტი აღარ გამოჩენილა, მაგრამ ბატონები ხშირად იცვლიან ხოლმე მსახურებს და სავსებით შეიძლებოდა, გვეპოვა იგი სხვა ბატონების მსახურთა შორის, ხოლო თუ მაინც ვერ შევძლებდით მის პოვნას, ეგებ მოგვეხერხებინა ცნობების შეგროვება სორტინის შიკრიკისა და სხვა მსახურების შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ყოველ საღამოს გვევლო სასტუმროში, ჩვენ კი ყველგან უხალისოდ გვიღებდნენ, განსაკუთრებით ასეთ ადგილას. გვევლო კიდევაც და ფულიც გვეხადა, ამას, რა თქმა უნდა ვერ შევძლებდით. მაგრამ გამოირკვა, რომ იქაც შეიძლება გამოვმდგარიყავით. შენ იცი, როგორ უშრობდნენ სისხლს ფრიდას ეს მსახურები და ლაქიები. არსებითად ეს არის მშვიდი, იოლი სამსახურით განებივრებული, გაზარმაცებული ხალხი. „ისე იცხოვრე, როგორც მსახურმაო“, ეტყვიან ხოლმე, ჩვეულებრივ მოხელეები ერთმანეთს, და, მართლაც, ამბობენ, რომ მსახურები არხეინად ცხოვრობენ გოდოლში, იქ ისინი სრული ბატონ-პატრონები არიან და აფასებენ ამას. თანაც, გოდოლში იქაური წესების მიხედვით

უჭირავთ თავი, – კაცმა რომ თქვას, ზოგჯერ აქაც შეამჩნევ მსახურებს ასეთი მანერების ნაშთებს, სწორედ რომ ნაშთებს. საერთოდ კი, იმის წყალობით, რომ გოდლის კანონები სოფელში ვერ გამოდგება, აქ ჩამოსვლისას გეგონება, მსახურებმა აიწყვიტესო – იქცევიან ხოლმე ველური და თავზეხელაღებული ადამიანების ჯგროდ, რომლისთვისაც კანონები არ არსებობს და მხოლოდ თავიანთ გაუმაძღარ ჟინს არიან აყოლილნი. არა აქვს საზღვარი მათ უნამუსობას. სოფლის ბედი, რომ მათ ეკრძალებათ სასტუმროს დატოვება საგანგებო ნებართვის გარეშე, მაგრამ შიგ სასტუმროში ბევრი უსიამოვნება მოაქვთ. ფრიდას ძალიან უჭირდა მათთან და გაეხარდა, როდესაც შეძლო ესარგებლა ჩემი სამსახურით, რათა თავს გასული მსახურები დაეშოშმინებინა; აი, უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც მე სულ ცოტა კვირაში ორჯერ ღამეს ვათევ მსახურებთან ერთად საჯინიბოში. ადრე, როდესაც მამას ჯერ კიდევ შეეძლო ჩემთან ერთად სასტუმროში სიარული, იგი ღამეს ათევდა ბუფეტში და ელოდებოდა ამბებს, რომლებსაც მე დილით ვუყვებოდი, მაგრამ რა აზრი ჰქონდა? ის შიკრიკი დღემდე ვერ ვიპოვეთ. ამბობენ, ჯერაც სორტინისთან მსახურობს და მას გაჰყვაო, როცა სორტინი უფრო შორეულ კანცელარიებში გადავიდა. მას შემდეგ თითქმის არც ერთ მსახურს თვალიც არ მოეკრა მისთვის, ისევე როგორც ჩვენ, ხოლო თუ ვინმეს ეგონა კიდეც, რომ ნახა იგი, ალბათ, ცდებოდა და თუმცა, არსებითად ჩემი გეგმა მთლად წარმატებული ვერ გამოდგა, ყოველივე ეს მაინც არ არის ზედმეტი: მართალია, შიკრიკი ვერ ვიპოვეთ, ხოლო მამა სულ მთლად გააწამა სასტუმროში სიარულმა და ღამისთევამ, ან იქნებ, ჩემმა სიბრალულმა, ვინაიდან ეს გრძნობა კიდევ შერჩენოდა, და აგერ უკვე ორი წელიწადია, იმ მდგომარეობაშია, რომელშიც შენ ნახე, თანაც, ჯერ არ არის ისე ცუდად, როგორც დედაა, – აქ ჩვენ გული გვისკდება, წუთი-წუთზე ველოდებით აღსასრულს, მხოლოდ ამალიას არაადამიანური ძალისხმევა გვაშორებს მას. მაგრამ მე მაინც შევძელი დამემყარებინა სასტუმროში ერთგვარი კავშირები გოდოლთან. ნუ შემიზიზღებ, თუ გეტყვი, რომ ოდნავადაც არ ვნანობ იმას, რაც გავაკეთე. ძალიან მეეჭვება, რომ შესძელი რამდენადმე მნიშვნელოვანი კავშირების დამყარება გოდოლთან, იფიქრებ შენ, ალბათ, და ცამდე მართალიც იქნები. ეს კავშირები სულ მთლად უმნიშვნელოა. მართალია, მე ახლა ვიცი იმ ბატონების თითქმის ყველა მსახური, ვინც ბოლო დროს ყოფილა ჩვენთან სოფელში, და თუ ახლა ოდესმე მოვხვდები გოდოლში, არ ვიქნები იქ მთლად უცხო. რა თქმა უნდა, მსახურებს მხოლოდ სოფლიდან ვიცნობ, გოდოლში ისინი სულ სხვანაირები არიან და, შეიძლება, ვერც კი ვიცნო ვერც ერთი, ხოლო იმათ, ვისაც სოფელში შევხვედრივარ, საერთოდ ვერ ვიცნობ, თუმცა, საჯინიბოში მათ ბარე ასჯერ დამიფიცეს, რომ ბედნიერნი იქნებიან, შემხვედროდნენ გოდოლში. სიტყვამ მოიტანა და, მე უკვე გავიგე, რაოდენ იაფი ღირს ეს დაპირებები. მაგრამ არც ეს არის ყველაზე მთავარი, მარტო მსახურთა მეშვეობით კი არ დავამყარე რაღაც კავშირი გოდოლთან, მაგრამ შესაძლოა, და ამის იმედი უნდა ვიქონიო, რომ ვიღაცამ, რომელიც თვალს მადევნებს მე და ჩემს ყოფაქცევას, ხოლო ამ მრავალრიცხოვანი მსახურების მართვას უძღვება ფრიად მნიშვნელოვანი და გავლენიანი სამსახურებრივი მუშაობის განყოფილება, – ეგებ, იმას, ვინც თვალს მადევნებს, შეექმნა ჩემზე უფრო სასიკეთო შთაბეჭდილება, ვიდრე სხვებს, ეგებ მან აღიაროს, რომ მეც, თუნდაც ყველაზე უღირსი ხერხით, ვიბრძვი ჩვენი ოჯახისათვის და განვაგრძობ მამის ძალისხმევას. თუ ამას ასე შემოხედავენ, იქნებ მაპატიონ კიდეც ის, რომ მსახურებისაგან ფულს ვიღებ და ჩვენს ოჯახს ვახარჯავ. და კიდევ მივაღწიე რაღაცას, თუმცა, შენ, ალბათ, ამაშიც გამამტყუნებ. მსახურთაგან გავიგე ბევრი რამ იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდე შემოვლითი გზებით, ძნელი, ზოგჯერ წლობით გაჯანჯლებული

ოფიციალური გაფორმების გაუვლელად, გოდლის მოსამსახურეთა შორის, მართალია, აქ კიდევ ჯერ არა ხარ ოფიციალური მოსამსახურე, შენ ფარულად გიშვებენ, არავითარი უფლება-მოვალეობანი შენ არ გაგაჩნია, ყველაზე უარესი კი ის არის, რომ არ გაკისრია მოვალეობები, სამაგიეროდ, არის ერთი რამ: რაც უნდა იყოს, შენ მაინც დაკავებული ხარ რაღაც საქმით. შეგიძლია, ხელიდან არ გაუშვა ხელსაყრელი შემთხვევა და ისარგებლო მისით, და თუმცა შენ მოსამსახურე არა ხარ, მაგრამ შემთხვევით შეიძლება გამოჩნდეს რაღაც სამუშაო, მოსამსახურენი კი გვერდით არ აღმოჩნდნენ, და შენ დაგიძახებენ. შენც მიირბენ და ერთბაშად იქცევი იმად, ვინც აქამდე წუთით ადრე ჯერ არ იყავი, – ნამდვილ მოსამსახურედ. რა თქმა უნდა, კაცმა არ იცის, როდის გამოჩნდება ასეთი შემთხვევა. ხდება ხოლმე, რომ ერთბაშად – ვერ მოასწრებ მიიხედ-მოიხედო, რომ შემთხვევა უკვე გეძლევა ხელში და აქ, ყოველ ახალბედას როდი ეყოფა სულის სიმტკიცე, დაუყოვნებლივ მოეჭიდოს ამ შესაძლებლობას, თორემ იძულებული გახდები, წლობით ელოდო, უფრო დიდხანს, ვიდრე სამუშაოზე ოფიციალური გაფორმების დროს, მაგრამ ყველა წესის დაცვით გაგაფორმონ სამუშაოზე – საერთოდ შეუძლებელია ასეთი არაოფიციალურად დაშვებული ადამიანისათვის. მაშასადამე, აქ ჩნდება მრავალი ეჭვი, მაგრამ ყველას მოხსნის ის არგუმენტი, რომ სამუშაოზე ოფიციალური მიღების დროს შერჩევა ძალზე მკაცრია, რაც შეეხება იმ ოჯახის წევრს, რომელსაც გატეხილი აქვს სახელი, წინასწარვე უარყოფენ. იგი შეიძლება წლობით გადიოდეს გაფორმების პროცედურას, იკანკალოს პასუხის მოლოდინში, ყველანი გაოცებულნი ეკითხებიან, როგორ გაბედეო ასეთი უიმედო საქმის წამოწყება. ის კი იმედოვნებს, აბა, სხვაგვარად როგორ იცხოვროს. მაგრამ მრავალი წლის შემდეგ, შეიძლება, უკვე სიბერეში, იგი შეიტყობს, რომ უარი ეთქვა, შეიტყობს, რომ ყველაფერი დაკარგულია და ცხოვრებამ უმიზნოდ ჩაიარა. მაგრამ, მართალია, აქაც არის ხოლმე გამონაკლისი, სწორედ ამიტომ, ასე იოლია აჰყვე ცდუნებას. ხდება ხოლმე, რომ სწორედ სახელგატეხილ ადამიანებს იღებენ, ბოლოს და ბოლოს, არიან მოხელენი, რომლებსაც თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ ანდამატივით იზიდავს ასეთი ნანადირევის სუნი და მისაღები გამოცდების დროს ისინი ყველანი ხვნეშიან, პრუწავენ ტუჩებს, ფართოდ ახელენ თვალებს. ასეთი კაცი, როგორც ჩანს, მათს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, იშტაზე მოდიან და იძულებულნი ხდებიან, მაგრა ჩააფრინდნენ კანონთა კრებულებს, რათა წინააღუდგნენ მისი სამუშაოზე მიღების სურვილს, მაგრამ ზოგჯერ ეს სულაც არ შველის კაცს იმისათვის, რომ სამსახურში მიიღონ და მხოლოდ უსასრულოდ აჭიანურებს ჩარიცხვის პროცედურას – ასეთი პროცედურა კი შეიძლება, უსაშველოდ გაგრძელდეს, და კი არ დამთავრდეს, არამედ შეწყდეს, მხოლოდ მისაღები კაცის სიკვდილის შემდეგ. ასე რომ, კანონიერ მიღებას სამსახურში, ისევე როგორც უკანონოს, შეიძლება მოჰყვეს აშკარა თუ ფარული სიძნელენი და, სანამ ასეთ შარიან საქმეში გაჰყოფდე თავს, ძალზე სასარგებლოა, ყველაფერი წინასწარ აწონ-დაწონო. ამ მხრივ კი მე და ბარნაბას არაფერი არ გამოგვპარვია ყურადღებიდან. ყოველ ჯერზე, როდესაც მე სასტუმროდან ვბრუნდებოდი, ჩვენ გვერდიგვერდ ვსხდებოდით და მე ვაცნობდი ყველა ახალ ამბავს, რომელიც გავიგე, შემდეგ მათ დღეობით განვიხილავდი, და ყოფილა, რომ ბარნაბას სამუშაო არ მიდიოდა იმას იქეთ, ვიდრე საჭირო იყო. აქ, შეიძლება მეც მიმიძღოდა ბრალი, როგორც შენ, ალბათ, თვლი. მე ხომ ვიცოდი, რომ მსახურთა ნაამბობი ხშირად ძალიან შორს არის სიმართლისაგან. მე ვიცოდი, რომ მათ არასდროს არ სურთ მიამბონ გოდოლზე, სულ მუდამ ცდილობენ, სიტყვა ბანზე ამიგდონ და ლაპარაკი სხვა თემაზე გადაიტანონ. ყოველი სიტყვის გამოგლეჯა ძალით მიხდება, მაგრამ უნდა გითხრა, როცა ლაპარაკის საღერღელი

ეშლებოდათ, სისულელეების კორიანტელს აყენებდნენ, ყოყლოჩინობდნენ, ტრაბახობდნენ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზღაპრების და მონაჩმახის მოგონებაში, თან ისე, რომ იქ, ბნელ თავლაში ამ გაუთავებელი ყაყანიდან და ღრიანცელიდან, როდესაც ერთი არ აცლიდა მეორეს ლაპარაკს, შეიძლებოდა, უკეთეს შემთხვევაში, ორი-სამი სიტყვა გაგეგონა, რომელიც სიმართლეს ჰგავდა, მაგრამ ყველაფერს, რასაც ვიხსომებდი, ვუამბობდი ბარნაბას. მას კი ვერაფრით ვერ გაურჩევია სიმართლე მონაჩმახისაგან და ჩვენი ოჯახის მდგომარეობის გამო მიუწვდომელ ცხოვრებაზე ოცნებობს, ვუამბობდი და ხარბად იჭერდა ყოველ სიტყვას, აგზნებული მთხოვდა, განაგრძეო. ხოლო ჩემი ახალი გეგმა ნამდვილად ეყრდნობოდა ბარნაბას. მსახურებისაგან უკვე მეტს ვერაფერს მივაღწევდი. სორტინის შიკრიკი ვერ მოვეძებნე, მისი პოვნა შეუძლებელი იყო, ეტყობა, სორტინიც და მისი შიკრიკიც სულ უფრო შორს იკარგებოდნენ იდუმალებაში. სხვებს ხშირად მათი სახელიც კი, მათი გარეგნობა ავიწყდებოდათ, და მე იძულებული ვიყავი, არაერთგზის დაწვრილებით აღმეწერა ისინი, მაგრამ ვერაფერს ვერ მივაღწიე, გარდა იმისა, რომ მათ გაჭირვებით იხსენებდნენ. მეტი არაფრის თქმა არ შეეძლოთ. ხოლო რაც შეეხება ჩემს ცხოვრებას მსახურთა შორის, მე, რა თქმა უნდა, არ შემწევდა ძალა, პირი ამეკრა ხალხისათვის, თავიდან ამეცილებინა ჭორები და შემეძლო მხოლოდ მეოცნება, რომ ყველაფერს ისე აღიქვამენ, როგორც სინამდვილეში იყო. და რომ ეს თუნდაც ნაწილობრივ მოხსნის ბრალს ჩვენს ოჯახს, მაგრამ ასეთი დამოკიდებულების არავითარი გარეგნული ნიშანი არ ჩანდა. ჰოდა, ასე განვაგრძობდი ცხოვრებას. ვერ ვხედავდი ჩემთვის სხვა ვერავითარ შესაძლებლობას, მიმეღწია თუნდაც რაიმე საჩვენოსათვის გოდოლში. ასეთი შესაძლებლობა დავინახე მხოლოდ ბარნაბასათვის. მსახურთა ნაამბობიდან შემეძლო სურვილისამებრ, სურვილი კი დიდი მქონდა, – გამომეტანა დასკვნა, რომ ყოველ კაცს, ვისაც სამუშაოზე მიიღებენ გოდოლში, შეუძლია ძალზე ბევრი რამ გააკეთოს თავისი ოჯახისათვის. მაგრამ რა იყო მსახურთა ნაამბობში უტყუარი? თითქოს, ამის დადგენა შეუძლებელია, ცხადი იყო მხოლოდ, რომ უტყუარი მასში ძალიან ცოტა იყო, მაგალიად, როდესაც რომელიმე მსახური, რომელსაც შემდეგ თვალით ვერ ვნახავ, ან, თუ ვნახე კიდეც, ვერ ვიცნობ, დიდის ამბით მპირდება, რომ ძმას მომიწყობს სამუშაოდ გოდოლში, ან კი თუ ბარნაბა რაღაც მანქანებით მოხვდება გოდოლში, იგი, ყოველ შემთხვევაში, გაამხნევებს და მხარში ედგება მას, იმიტომ, რომ თუ მსახურთა ნაამბობით ვიმსჯელებთ, ხდება ხოლმე, რომ სამუშაოს მაძიებელს იმდენ ხანს უხდება ლოდინი, რომ ხშირად გული მისდის, აზრი ერევა და შეიძლება დაიღუპოს კიდეც, თუ მეგობრებმა არ იზრუნეს მისთვის, – მსახურებმა ესეც მითხრეს და ათასი სხვა რამეც, მაშინ, როგორც ჩანს, მათი გაფრთხილებები არ იყო საფუძველს მოკლებული, მაგრამ მათი დაპირებები – ფუჭზე ფუჭი გამოდგა. თუმცა ბარნაბა მათ ასე არ აღიქვამდა, მიუხედავად იმისა, რომ სულ ვაფრთხილებდი, არ შეიძლება-მეთქი ენდო ამ ტყუილ დაპირებებს, მაგრამ მხოლოდ ის, რაც მე ვუამბე, საკმარისი გამოდგა მისთვის, რომ ჩემი გეგმები აეტაცა. მთელი ჩემი არგუმენტები მასზე თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენდა, მხოლოდ მსახურთა ნაამბობისა სჯეროდა. ამრიგად, მე, არსებითად, საკუთარი თავის ანაბარა ვიყავი დატოვებული, მშობლებთან ლაპარაკი, ამალიას გარდა, საერთოდ არავის არ შეეძლო, და რაც უფრო მეტს ვცდილობდი, ჩემებურად შემესრულებინა მამის წინანდელი გეგმები, მით უფრო მიუცხოვდებოდა ამალია – შენი ან სხვისი თანდასწრებით იგი კიდევ მელაპარაკება, ხოლო მარტო რომ ვართ – არასდროს. სასტუმროში მყოფი მსახურებისათვის მე ვიყავი მხოლოდ სათამაშო, რომლის გატეხვასაც ისინი გააფთრებით ცდილობდნენ. არც ერთი მათგანისაგან ორი წლის მანძილზე არც ერთი

გულითადი სიტყვა არ გამიგია, ისინი მხოლოდ ვირეშმაკობდნენ, ცრუობდნენ ან სისულელეებს როშავდნენ, მაშასადამე, მე მრჩებოდა მხოლოდ ბარნაბა, მაგრამ ბარნაბა ჯერ მთლად ყმაწვილი იყო. როდესაც ვხედავდი, როგორ უბრწყინდება თვალები ჩემს ნაამბობზე, ისინი ახლაც უბრწყინავს, – შიში მეუფლებოდა და მაინც განვაგრძობდი მოყოლას. მეტისმეტად დიდი იყო ფსონი. თუმცა, დიდ, მამაჩემისნაირ უნაყოფო გეგმებს მე არ ვისახავდი, არ მქონდა არც მამაკაცური სიმტკიცე, მე მხოლოდ იმას ვფიქრობდი, როგორ გამომესწორებინა შიკრიკისათვის მიყენებული წყენა, და მსურდა, რომ ეს მოკრძალებული სურვილი დამფასებოდა, მაგრამ იმის მიღწევას, რაც მე თავად ვერ შევძელი, ახლა ვცდილობდი ბარნაბას მეშვეობით, სხვა და უფრო სანდო ხერხით: ჩვენ ვაწყენინეთ შიკრიკს, გავაქციეთ იგი ახლო კანცელარიებიდან. რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმაზე უფრო მარტივი, ვიდრე ბარნაბას სახით შეგვეთავაზებინა ახალი შიკრიკი, დაგვევალებინა ბარნაბასათვის შეესრულებინა ნაწყენი კაცის სამუშაო, და ამის შედეგად მიგვეცა ნაწყენი შიკრიკისათვის შესაძლებლობა, მშვიდად ეცხოვრა შორეთში იმდენ ხანს, რამდენსაც მოისურვებდა, რამდენიც დასჭირდება იმისათვის, რომ დაივიწყოს წყენა. მაგრამ მე საუცხოოდ მესმოდა, რომ ჩემი მოკრძალებული გეგმის მთელი სისადავის მიუხედავად, მასში იყო რაღაც უხამსი. შეიძლებოდა, შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ გვსურს ვუკარნახოთ უფროსობას, როგორ გადაწყვიტოს მოსამსახურეთა მიღების საკითხები, თითქოს ჩვენ ეჭვი გვეპარება იმაში, თუ რამდენად ხელეწიფება თვით უფროსობას გამონახოს საუკეთესო გადაწყვეტა, იქნებ, გამონახა კიდეც დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ჩვენ გაგვიჩნდებოდა აზრი, რომ შეგვიძლია, რაღაცნაირად ჩავერიოთ, მაგრამ შემდეგ ვიფიქრე: არა, შეუძლებელია, რომ უფროსობამ ასე არასწორად ჩამომართვას განზრახვა ან, თუ ასე მოხდა, ძალით გააკეთოს ეს, – სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუძლებელია, რომ ყველაფერი, რასაც მე ვაკეთებდი, წინასწარვე, აუცილებლად ყოფილიყო მარცხისათვის განწირული. ამიტომ, ბედს არ ვნებდებოდი, ხოლო ბარნაბას პატივმოყვარეობამ თავისი ქნა. მთელი ამ სამზადისის დროს ბარნაბამ ისე აიპრიხა ცხვირი, რომ თავისთვის, კანცელარიის მომავალი მოსამსახურისათვის ხარაზის სამუშაოსაც კი მეტისმეტად სათაკილოდ თვლიდა. უფრო მეტიც, ისე გაკადნიერდა, რომ არ ეპუებოდა ამალიას და ხშირად ეპასუხებოდა, როდესაც იგი ათასში ერთხელ მიმართავდა. მე არ მინდოდა, ხელი შემეშალა მისი ამ ხანმოკლე სიხარულისათვის, რადგან პირველსავე დღეს, როდესაც იგი გოდოლში წავიდა, როგორც მოსალოდნელი იყო, სიხარულისა და ქედმაღლობის ნიშანწყალიც არ დარჩენია, უკვალოდ გაუქრა ორივე. და დაიწყო ის ვითომ სამსახური, რომელზეც შენ უკვე გიამბე. საოცარი იყო მხოლოდ ის, რომ ბარნაბა ყოველგვარი გართულების გარეშე, თავიდანვე მოხვდა გოდოლში, უფრო სწორად, იმ კანცელარიაში, რომელიც მისი სამუშაო ადგილი გახდა. ასეთმა წარმატებამ ლამის ჭკუიდან შემშალა, და როცა ბარნაბამ ყურში ჩამჩურჩულა ეს ამბავი, ვეცი ამალიას, კუთხეში მოვიმწყვდიე, მივეკარი და გაშმაგებით დავუწყე კოცნა, თან რამდენჯერმე ისე ვუკბინე, რომ შიშისა და ტკივილისაგან ატირდა, ისე ვიყავი აღელვებული, სიტყვას ვერ ვამბობდი. მე და ამალია ხომ დიდი ხანია, არ ველაპარაკებოდით ერთმანეთს და მე ახსნა-განმარტება მეორე დილისთვის გადავდე. მაგრამ უახლოეს დღეებში საამბობი უკვე აღარაფერი იყო. რასაც მივაღწიე, იმაზე გაიყინა და გაჩერდა ყველაფერი. ორ წელიწადს ეწეოდა ბარნაბა ამ ერთგვაროვან, დამთრგუნველ ცხოვრებას. მსახურებს თითიც არ გაუნძრევიათ. მე მივეცი ბარნაბას ბარათი, რომელშიც მსახურებს ვაბარებდი მის თავს და შევახსენებდი მოცემულ დაპირებებს; ბარნაბაც, საკმარისი იყო რომელიმე მსახური დაენახა, იღებდა უბიდან

ბარათს და მას გადასცემდა, თანაც, ზოგჯერ აჩეჩებდა იმათ, ვისაც თვალით არ ვენახე, სხვებს აღიზიანებდა მისი მანერა – უხმოდ რომ უწვდიდა ბარათს, არადა, ხმის ამოღებას იქ, ზევით, ვერ ბედავდა. გულს მტკენდა ის ამბავი, რომ არავის არ სურდა მისი დახმარება, და ჩვენთვის ნამდვილი ხსნა იყო – მართალია, თვითონაც შეგვეძლო ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ ასეთი ხერხით მიგვეღწია ხსნისათვის, – როდესაც ერთ-ერთმა მსახურმა, რომელსაც შესაძლოა, გაუწყალა გული ბარნაბამ ამ ბარათით, დაჭმუჭნა იგი და ქაღალდების კალათაში მოისროლა. მე მგონი, მას შეეძლო, ამასთან, ეთქვა: „თქვენ თვითონაც ხომ ასე ექცევითო წერილებს.“ მაგრამ რა უნაყოფოდაც უნდა გასულიყო ეს დრო, ბარნაბასთვის მას სარგებლობა მოჰქონდა, თუ შეიძლება სარგებლობა უწოდო იმას, რომ იგი ნაადრევად დაკაცდა, ნაადრევად დავაჟკაცდა. დიახ, მრავალმხრივ, იგი უფრო წინდახედული გახდა, არც იტყოდი, ყმაწვილი კაციაო. ზოგჯერ სევდა შემომაწვება ხოლმე, როცა მას ვუყურებ და ვადარებ იმ ბიჭს, როგორიც იყო სულ ორი წლის წინ, ამასთანავე, ვერ ვხედავ მისგან ვერც ნუგეშს, ვერც ყურადღებას, რომელსაც შეიძლება მოელოდო მოზრდილი კაცისაგან. უჩემოდ იგი, საეჭვოა, მოხვედრილიყო გოდოლში, მაგრამ მას შემდეგ, რაც იქ არის, უკვე აღარ გრძნობს თავს ჩემზე დამოკიდებულად. მე ვარ მისი ერთადერთი გულის მესაიდუმლე, მაგრამ ვიცი, რომ, მიამბობს იმის მხოლოდ მცირედ ნაწილს, რაც გულზე აწევს. იგი ხშირად ლაპარაკობს გოდოლზე, მაგრამ მისი ნაამბობიდან, ამ უმნიშვნელო შემთხვევებიდან, რომლებსაც მიყვება, შეუძლებელია მიხვდე, რარიგად გამოიწვია ამ ვითარებამ მასში ასეთი ცვლილება. განსაკუთრებით ძნელი გასაგებია, რატომ მოხდა, რომ დაკაცების შემდეგ მან მთლიანად დაჰკარგა ის გამბედაობა, რომელიც ბიჭობაში ჰქონდა და რომელიც ასე გვიხეთქავდა გულს. მართალია, ეს უმაქნისი დგომა და დაუსრულებელი ლოდინი დღიდან დღემდე, ცვლილების ყოველგვარი იმედის გარეშე, თრგუნავს კაცს, გადააქცევს მას გაუბედავად, და, ბოლოს და ბოლოს უკარგავს ყველაფრის უნარს, გარდა ერთისა, – ფეხმოუცვლელი სასოწარკვეთილი დგომისა, მაგრამ რატომ არ წინააღუდგა ამას თავიდანვე? იგი ხომ სულ მალე მიხვდა, რამდენად სწორი ვიყავი მე და რომ იქ ვერ პოვებდა თავისი პატივმოყვარეობის ვერავითარი დაკმაყოფილების ასპარეზს, თუმცა, ეგებ, შეძლოს კიდეც სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ოჯახს. იქ ხომ ყველაფერში – მსახურებისა და ხელის ბიჭების თავის აგდების გარდა – დიდი თავმდაბლობა სუფევს, იქ პატივმოყვარე კაცი მხოლოდ სამუშაოში ეძებს დაკმაყოფილებას, და ვინაიდან ასეთ შემთხვევაში თვითონ სამუშაო დგება ყველაზე მაღლა, მაშინ ყოველგვარი პატივმოყვარეობა ქრება – და იქ ადგილი აღარ აქვს ბავშვურ მეოცნებეობას, მაგრამ ბარნაბას, როგორც მე მიამბობდა, ეჩვენებოდა, რომ იქ ნათლად დაინახა, რაოდენ დიდია თუნდაც იმ, კაცმა რომ თქვას, მეორეხარისხოვანი მოხელეების ძალაუფლება და სიბრძნე, რომელთა ოთახებშიც არ ეკრძალებოდა მას შესვლა. როგორ უკარნახებდნენ ისინი სხაპასხუპით – თვალმოჭუტულნი, ხელის მკვეთრი მოძრაობებით, როგორ გზავნიდნენ დავალების შესასრულებლად თითის ერთი აქნევით, უსიტყვოდ ჯუჯღუნა მსახურებს. ისინი კი, ასეთ წუთებში, მძიმედ რომ ქშინავდნენ, მაინც გახარებულნი იკრიჭებოდნენ, ან როცა რომელიმე მოხელე, იპოვიდა რა საჭირო ადგილს დავთრებში, ხელისგულს დაუტყაპუნებდა ფურცლებს, და ყველა დანარჩენი მაშინვე, რამდენადაც ოთახის სივიწროვე იძლეოდა შესაძლებლობას, შემოცვივდებოდა და კისერგაწვრილებული აჭყეტდა თვალებს. ესეც და ბევრი სხვა რამეც ბარნაბას უნერგავდა ყველაზე მაღალ აზრს ამ ადამიანებზე, გულში კი სულ იმას ფიქრობდა, ახლა უეცრად რომც შემამჩნიონ და შევძლო ვიღაცას ორიოდ სიტყვით გამოველაპარაკო – უკვე არა როგორც უცხო, არამედ როგორც მათი,

კანცელარიელი თანამშრომელი, თუნდაც ყველაზე დაბალი ჩინისა, – მაშინ შევძლებ ჩვენი ოჯახისთვის არნახულ სიკეთეს მივაღწიოო. მაგრამ სანამ აქამდე ჯერ არ მისულა საქმე, ხოლო ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რომელიც მოხელეებს მიაახლოებდა, ბარნაბა ვერ ბედავს, თუმც მისთვის უკვე სრულიად ცხადია, რომ თავისი სიყმაწვილის მიუხედავად, მან ჩვენი უბედურების გამო დაიკავა სახლში ოჯახის მამის უაღრესად პასუხსაგები ადგილი. ახლა კი მინდა, კიდევ ერთ რამეში გამოგიტყდე: შენ ერთი კვირის წინ ჩამოხვედი, მე გავიგონე, როგორ თქვა ვიღაცამ ამის შესახებ სასტუმროში, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მივაქციე, დიდი რამე, ჩამოვიდა ვიღაც მიწისმზომელი, მე კი ხეირიანად არც ვიცოდი, რა არის ეს. მაგრამ მეორე საღამოს ბარნაბა ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა შინ – ჩვეულებრივ, მე გავდივარ ხოლმე მის შესახვედრად გარკვეულ დროს, – დაინახა ოთახში ამალია და მაშინვე გამიყვანა ქუჩაში, იქ კი მოულოდნელად სახით მომეკრა მხარზე და გული ამოუჯდა. რამდენიმე წუთი ტიროდა, ისევ ის, უწინდელი ბიჭი გამხდარიყო. მას რაღაც ისეთი შეემთხვა, რისთვისაც არ იყო მზად. თითქოს მის წინაშე სრულიად ახალი სამყარო გადაიშალაო და არ იცის, რა უყოს, როგორ დაიოკოს ეს სასიხარულო საზრუნავი, რომელსაც ეს უცნობი სამყარო განუმზადებს. მოხდა კი მხოლოდ ის, რომ მას მისცეს წერილი შენთვის გადმოსაცემად. მაგრამ ეს ხომ პირველი წერილი იყო და, საერთოდ, – პირველი სამუშაო, რომელიც მან მიიღო.“

ოლღა დადუმდა. ირგვლივ სიჩუმე იყო, ისმოდა მხოლოდ მშობლების მძიმე სუნთქვა, რომელიც ზოგჯერ ხრიალს წააგავდა; და კ.-მ, თითქოს ოლღას ნაამბობს აჯამებსო, დაუდევრად თქვა: „სამივენი ნაცარს მაყრით თვალში. ბარნაბამ წერილი მომიტანა გამოცდილი და ძალზე მოუცლელი შიკრიკის სახით. შენ და ამალიამ – ამჯერად მან პირი შეკრა თქვენთან, – ორივეს ისე გეჭირათ თავი, თითქოს შიკრიკის მოვალეობასაც, წერილების გადაცემასაც – ყოველივე ამას ბარნაბა ისე, სხვათა შორის, ასრულებს.“ „შენ ოღონდ ნუ აგვირევ ერთმანეთში ყველას“, თქვა ოლღამ. „ბარნაბა ამ ორმა წერილმა ისევ გადააქცია ბედნიერ ბალღად მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ეპარება ეჭვი თავის სამუშაოში, მაგრამ ამ ეჭვებს მხოლოდ მე მანდობს ხოლმე. შენს წინაშე კი მას ღირსების საქმედ მიაჩნია, ისე დაიჭიროს თავი, როგორც ნამდვილმა შიკრიკმა, როგორიც უნდა იყოს იგი, მისი წარმოდგენით. და თუმცა ახლა მას ნამდვილად ჩაესახა იმედი, რომ მიიღებს ფორმას, მე იძულებული გავხდი, ორ საათში ისე დამევიწროებინა მისთვის შარვალი, რომ ცოტათი მაინც დამემსგავსებინა შემოჭერილი ფორმის შარვლისათვის. უნდოდა, ფორმით მოეწონებინა თავი შენს წინაშე. ამ მხრივ შენი მოტყუება არ იყო ძნელი. ეს – რაც შეეხება ბარნაბას. ამალიაზე კი გეტყვი, რომ იგი მართლა არარად აგდებს შიკრიკის სამსახურს, და ახლა, როდესაც ბარნაბამ რაღაც წარმატებას მიაღწია – მას იოლად შეეძლო მიმხვდარიყო ამას როგორც ჩემი, ისე ბარნაბას გამომეტყველების მიხედვით და ჩვენი განცდების საფუძველზე, კუთხეში რომ ვიყავით შეყუჟულები, – ახლა იგი კიდევ უფრო დამცინავად უყურებს ბარნაბას და არაფრად აგდებს. მაშასადამე, ამალია სიმართლეს გეუბნება და შენ ნუ აჰყვები ცდუნებას. აქ საეჭვო არაფერია, და თუ ზოგჯერ, კ., შენი თანადასწრებით მე აგდებით ვლაპარაკობდი შიკრიკის სამსახურზე, იმიტომ კი არა, რომ, შენ მომეტყუებინე, არამედ მხოლოდ შიშით. ის ორი წერილი ხომ, ბარნაბას ხელში რომ გაიარა, პირველი იყო ამ სამი წლის მანძილზე, თუმცა ძალზე საეჭვოდ მეჩვენება, რომ ჩვენს ოჯახს წყალობის თვალით გადმოხედეს და ეს ამ წყალობის ნიშანი იყოს. ეს ცვლილება – თუ მართლაც ცვლილება ეთქმის ამ ამბავს, და არა შეცდომა, იმიტომ, რომ შეცდომები უფრო ხშირია, ვიდრე ცვლილებები, – შენს აქ

გამოჩენასთან არის დაკავშირებული, ჩვენი ბედი რამდენადმე დამოკიდებული ხდება შენზე, შესაძლოა, ეს ორი წერილი მხოლოდ დასაწყისია, და ბარნაბას სამუშაო შორს გასცდება იმ შიკრიკის თანამდებობის ფარგლებს, რომელიც მხოლოდ შენ გემსახურება. სანამ შეგვეძლება, ამის იმედი ვიქონიოთ, მაგრამ ახლა ყველაფერი მხოლოდ შენზე იყრის თავს იქ, ზევით, ჩვენ უნდა ვიკმაროთ ის, რასაც გვაძლევენ, მაგრამ აქ, ქვევით, ჩვენ, ეგებ, თავადაც შეგვიძლია რაღაც გავაკეთოთ, სახელდობრ: მოვიპოვოთ შენი კეთილი დამოკიდებულება ან თუნდაც დავიცვათ თავი შენი არაკეთილმოსურნეობისაგან; ანდა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაგიფრთხილდეთ შენ, რამდენადაც გვეყოფა ძალები და შესაძლებლობები, რომ შენი კავშირი გოდოლთან, რომელმაც იქნებ ჩვენც გვაქნევინოს პირი სიცოცხლისაკენ, არ გაქრეს ფუჭად. მაგრამ როგორ შევასრულოთ ყოველივე ეს უკეთ? მთავარია, ეჭვის თვალით არ გვიყურო, როდესაც შენ გიახლოვდებით, შენ ხომ აქ უცხო ხარ და ამიტომ, რა თქმა უნდა, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებ, სავსებით გამართლებული ეჭვისა, ამას გარდა, ჩვენ ყველას ვეზიზღებით, შენზე კი გავლენას ახდენს სხვათა აზრი, განსაკუთრებით, შენი საცოლის აზრი, – მოგიახლოვდეთ ისე, რომ, მაგალითად, არ წავიდეთ, თუნდაც, უნებლიედ შენი საცოლის ნების წინააღმდეგ, და ამით არ გატკინოთ გული, ხოლო ეს წერილები, რომლებიც მე იქამდე წავიკითხე, ვიდრე შენ მიიღებდი, – ბარნაბას ისინი არ წაუკითხავს, იგი როგორც შიკრიკი ვერ მისცემს თავს ამის ნებას, – ეს წერილები, ერთი შეხედვით, სრულიად უმნიშვნელო და მოძველებული მომეჩვენა. ისინი, კაცმა რომ თქვას, საკუთარ თავს უარყოფდნენ იმით, რომ მამასახლისთან გგზავნიდნენ. როგორ უნდა დაგვეჭირა თავი შენთან ასეთ ვითარებაში? თუ ხაზს გავუსვამდით ამ წერილების მნიშვნელობას, ეჭვს გამოვიწვევდით – რატომ ვაზვიადებთ ასეთ უმნიშვნელო რაღაცეებს და რომ, გიქებთ რა წერილებს, ჩვენ, მათი გადმომცემნი, ხელს კი არ გიწყობთ შენი მიზნის მიღწევაში, საკუთარ მიზანს ვისახავთ, უფრო მეტიც, ჩვენ ამით შეგვეძლო სრულიად უნებლიედ გაგვეუფასურებინა წერილები შენს თვალში და გული გაგვეტეხა შენთვის; ხოლო ჩვენ რომ არავითარი მნიშვნელობა არ მიგვენიჭებინა წერილებისათვის, ამით ასევე შენს ეჭვს გამოვიწვევდით – მაშინ რატომ ვიწუხებთ თავს, შენთვის ამ უმაქნისი უსტარის გადმოცემით, რატომ ეწინააღმდეგება ჩვენი საქმენი ჩვენს სიტყვებს, რატომ გატყუებთ ასე მწარედ არა მარტო შენ, წერილის ადრესატს, არამედ იმათაც, ვინც ეს დავალება მოგვცა. არადა, იმისთვის ხომ არ დაგვავალეს, გადმოგვეცა წერილები, რომ ამასთან გაგვეუფასურებინა ისინი ადრესატის თვალში?! იპოვო ოქროს შუაგული ამ უკიდურესობებს შორის, ანუ სწორად შეაფასო წერილები, საერთოდ შეუძლებელია, ისინი ხომ ნიადაგ იცვლიან მნიშვნელობას, ისინი იძლევიან საბაბს დაუსრულებელი განსჯისათვის და არც კი იცი, რაზე გაჩერდე, ყველაფერი შემთხვევაზეა დამოკიდებული, მაშასადამე, მათ შესახებ აზრიც შემთხვევით ყალიბდება. ხოლო თუ აქ კიდევ შენს გამო შიში დაგვემატა, ყველაფერი საბოლოოდ ჩაიხლართება. ოღონდ, ნუ განმსჯი მეტისმეტად მკაცრად ამ საუბრისათვის, როგორც, მაგალითად, ეს უკვე მოხდა ერთხელ: ბარნაბა მოდის და გვეუბნება, რომ შენ ემდური მას, როგორც შიკრიკს და იგი შეშინებული და, სამწუხაროდ, ღირსებაშელახული, გვთავაზობს, დავატოვებინოთ ეს თანამდებობა, აქ მე, რა თქმა უნდა, შემიძლია, დაგაბნიო კიდეც, მოვიტყუო კიდეც, ვიცრუო კიდეც, გავაზვიადო კიდეც, ერთი სიტყვით, ძალიან ცუდად მოვიქცე, ოღონდ, არაფერი დაგვიშავდეს. მაგრამ მაშინ ასე მოვიქცევი არა მარტო ჩვენი გულისათვის, არამედ, ჩემი ღრმა რწმენით, შენი გულისთვისაც.“

ქუჩიდან მოაკაკუნეს. ოლღა კართან მივიდა და გააღო. სიბნელეში ჯიბის ფარნის სინათლის ზოლი გამოჩნდა. ნაგვიანევი სტუმარი რაღაცას ჩურჩულით კითხულობდა, და მას ჩურჩულითვე პასუხობდნენ, მაგრამ ამას არ სჯერდებოდა და ცდილობდა, ოთახში ძალით შემოსულიყო. ეტყობა, ოლღა ვეღარ უმკლავდებოდა და ამალიას დაუძახა, ალბათ, იმ იმედით, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს, მშობლების მყუდროება რომ არ დაირღვეს, და უკუაგდებს დაუპატიჟებელ სტუმარს. ამალია უამისოდაც მიიჩქაროდა კარისაკენ, გვერდზე გაწია ოლღა, ქუჩაში გავიდა და კარი მიიკეტა. ყოველივე ეს ერთ წამს გრძელდებოდა. შემდეგ მაშინვე დაბრუნდა უკან, ისე სწრაფად მოახერხა იმის მიღწევა, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა ოლღასთვის.

აქ კ.-მ ოლღასგან შეიტყო, რომ სტუმარი მას ეძებდა, ეს იყო მისი ერთ-ერთი თანაშემწე, რომელიც ფრიდას დავალებით ეძებდა. ოლღას სურდა, თანაშემწისათვის დაემალა, რომ კ. მათთან არის: თუ კ. მოინდომებს, შემდეგ გამოუტყდეს ფრიდას, რომ აქ იყო, მისი ნებაა, მაგრამ არ არის საჭირო თანაშემწემ აქ ნახოს. კ.-მ მოუწონა საქციელი. მაგრამ უარი თქვა ოლღას წინადადებაზე, დარჩენილიყო მათთან ღამის გასათევად და დალოდებოდა ბარნაბას. საერთოდ, სიამოვნებით მიიღებდა ამ წინადადებას, რადგან უკვე გვიანი ღამე იყო და მას ეჩვენებოდა, რომ ახლა ნებსით თუ უნებლიეთ იმდენად არის დაკავშირებული ამ ოჯახთან, რომ აქ ღამის გათევა მრავალი თვალსაზრისით თუმც არ არის სასურველი, მაგრამ ასეთი მჭიდრო კავშირის პირობებში ბარნაბას ოჯახი მთელ სოფელში ყველაზე შესაფერისი იქნებოდა მისთვის, თუმცა-ღა უარი თქვა, იგი დააფრთხო თანაშემწის მოსვლამ. მისთვის გაუგებარი იყო, როგორ მოხდა, რომ ფრიდამ, რომელმაც იცოდა, რა სურს კ.-ს, და თანაშემწეებმა, რომლებსაც ცეცხლივით ეშინოდათ მისი, ახლა კვლავ ისე შეკრეს პირი, რომ ფრიდა არ მოერიდა მის მოსაყვანად ერთ-ერთი თანაშემწის გამოგზავნას, და, ეტყობა, მეორესთან ერთად დარჩა. კ.- მ ჰკითხა ოლღას, მათრახი ხომ არა გაქვთო, მაგრამ მათრახი არ აღმოაჩნდა, სამაგიეროდ გამოუტანა კარგი სახრე, კ.-მ გამოართვა და ჰკითხა, ხომ არ არისო მეორე გასასვლელი სახლიდან. სახლში აღმოჩნდა მეორე კარი ეზოს მხრიდან, ოღონდ შემდეგ კ. მეზობელი ბაღის ღობეზე უნდა გადამძვრალიყო და ამ ბაღიდან გასულიყო ქუჩაში. კ.-მ გადაწყვიტა, ასეც მოქცეულიყო. და სანამ ოლღა ეზოს გავლით მესრამდე აცილებდა, იგი ჩქარ-ჩქარა ცდილობდა, დაემშვიდებინა ქალი, უხსნიდა, სულაც არა ვარ შენზე გაბრაზებული ამ უმნიშვნელო თავის მოჩვენებისათვის, და ძალიან კარგად მესმისო შენი. მერე მადლობა გადაუხადა გამოჩენილი ნდობისათვის, – ქალმა ეს თავისი ნაამბობით დაამტკიცა, დააბარა ოლღას, როგორც კი დაბრუნდება ბარნაბა, თუნდაც გვიანი ღამე იყოს, მაშინვე გამომიგზავნეო სკოლაში, და თუმცა, ბარნაბას გადმოცემული ცნობები არ იყო მისი ერთადერთი იმედი – სხვანაირად გვარიანად გაუჭირდებოდა, – არამც და არამც არ სურს უარი თქვას მათზე, თან იქონიებს და არც ოლღა დაავიწყდება, იმიტომ, რომ მისთვის ყველა ცნობაზე უფრო მნიშვნელოვანია თვით ოლღა, მისი გამბედაობა და წინდახედულება, მისი ჭკუა, ოჯახის გულისათვის საკუთარი თავის მსხვერპლად გაღების მზადყოფნა. და რომ დამდგარიყო არჩევანის წინაშე – ოლღა თუ ამალია, წამითაც არ დაფიქრდებოდა. კ.-მ ერთხელ კიდევ გულითადად ჩამოართვა ხელი, სანამ მეზობლის ღობეს გადაახტებოდა.

ბოლოს, ქუჩაში რომ აღმოჩნდა, დაინახა, რამდენადაც შეეძლო დაენახა კუნაპეტ ღამეში, რომ ბარნაბას სახლის შორიახლოს თანაშემწე ჯერ კიდევ დადიოდა წინ და უკან, ზოგჯერ ჩერდებოდა და ცდილობდა, ფარნით გაენათებინა ოთახი, რომლის

ფანჯარაც ფარდით იყო დაფარული. კ.-მ დაუძახა. თანაშემწე, როგორც ჩანს, არ შეშინებულა, მოეშვა თვალთვალს და კ.-სთან მივიდა. ,,ვის ეძებ?“ ჰკითხა კ.-მ და სახრე ფეხზე გადაიჭირა, მოსინჯა, რამდენად მოქნილი იყო. ,,შენ გეძებ“, უპასუხა თანაშემწემ, როცა ახლოს მოვიდა. ,,შენ ვინა ხარ?“ უეცრად ჰკითხა კ.-მ, რადგან მოეჩვენა, რომ ეს სულაც არ იყო მისი თანაშემწე. ეს კაცი უფრო ხნიერად გამოიყურებოდა, უფრო დაღლილი იყო, სახეც – დანაოჭებული, მაგრამ - უფრო მსუქანი, თან, სულაც არ დადიოდა ისე, როგორც თანაშემწეები, ჩქარ-ჩქარა, დაელექტროებულივით რომ დგამდნენ ფეხს. ამას კი თითქოს უფრო ნელი ნაბიჯი ჰქონდა და ოდნავ კოჭლობდა კეთილშობილურ-მოშვებული გამომეტყველებით. ,,განა ვერ მიცანი?“ უთხრა ამ კაცმა. ,,მე იერემია ვარ, შენი უფროსი თანაშემწე.“ ,,რას ამბობ?“ თქვა კ.-მ და გამოაყოფინა წვერი სახრეს, რომელიც თავიდან ზურგს უკან ჰქონდა დამალული. ,,რომ არ გავხარ? შენ სულ სხვანაირად გამოიყურები.“ ,,ეს იმიტომ, რომ მარტო დავრჩი“, თქვა იერემიამ. ,,როცა მარტო ვარ, მაშინ - მშვიდობით მსჯელობავ და სიხარულო.“ ,,არტური სადღაა?“ ჰკითხა კ.-მ. ,,არტური?“ გაიმეორა იერემიამ. ,,ჩვენი ნებიერა? არტურმა დატოვა სამუშაო, შენ ხომ საკმაოდ უხეშად და სასტიკად გვექცეოდი. მისმა ნაზმა სულმა ვერ აიტანა ეს. გოდოლში დაბრუნდა და შენზე საჩივარი შეიტანა.“ ,,შენ არ შეიტანე?“ ჰკითხა კ.-მ. ,,მე შევძელი, დავრჩენილიყავ“, თქვა იერემიამ. ,,არტურმა ჩემს მაგივრადაც შეიტანა საჩივარი.“ ,,მერედა, რას უჩივით?“ ჰკითხა კ.-მ. ,,იმას“, თქვა იერემიამ, ,,რომ შენ ხუმრობა არ გესმის. ღა დავაშავეთ? ცოტა ვხუმრობდით, ცოტა ვიცინოდით, ცოტა შენს საცოლეს ვაჯავრებდით. საერთოდ კი ყველაფერს ისე ვაკეთებდით, როგორც ნაბრძანები გვქონდა. როცა გალატერმა შენთან გამოგვგზავნა...“ ,,გალატერმაო?“ ჩაიკითხა კ.-მ. ,,დიახ, გალატერმა“, თქვა იერემიამ. ,,მაშინ იგი სწორედ კლამს ცვლიდა. როცა შენთან გვგზავნიდა, მან – და ეს კარგად დავიხსომე, იმიტომ, რომ სწორედ ამით ვხელმძღვანელობთ, – თქვა: ,,თქვენ იქ მიეშურებით, როგორც მიწისმზომლის თანაშემწენი.“ ჩვენ ვუთხარით: ,,მაგრამ ჩვენ არაფერი გაგვეგება ამ სამუშაოსი.“ მან პასუხად მოგვიგო: ,,ეს არ არის მთავარი, თუ საჭირო გახდა, ის თვითონ გაგწვრთნით. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ თქვენ ცოტათი გაამხიარულოთ, როგორც მითხრეს, მას ყველაფერი ძალიან ახლოს მიაქვს გულთან. იგი სულ ახლახანს მოხვდა სოფელში და ერთბაშად გადაწყვიტა, რომ ეს დიდი მოვლენაა. თუმცა სინამდვილეში ყოველივე ეს არაფერს არ ნიშნავს. აი, რა უნდა ჩააგონოთ მას.“ ,,მერე, რას იტყვი?“ თქვა კ.-მ. ,,სწორია გალატერი და შეასრულეთ მისი დავალება?“ ,,ეს მე არ ვიცი“, თქვა იერემიამ. ,,ასეთი მოკლე დროის მანძილზე როგორ უნდა მოგვესწრო?! ვიცი მხოლოდ ის, რომ შენ ძალზე უხეში იყავი და სწორედ ამის გამო გიჩივლეთ. ვერ გამიგია, შენ, მოსამსახურე კაცმა, თანაც, არა გოდლისამ, რით ვერ გაიიგე, რომ ისეთი სამსახური, როგორიც ჩვენია, ძნელი სამუშაოა და არ გეკადრება ასეთი თავნებობით, ფეხებზემკიდია დამოკიდებულებით გაუძნელო ადამიანებს სამუშაო, როგორც შენ გვიძნელებდი. რა უმოწყალოდ გაგვყინე ღობესთან, ანდა, გახსოვს, რა უქენი არტურს, კაცს, რომელსაც, შენი ავი სიტყვის გამო მთელი დღეა, ტკივა გული, კინაღამ მუშტით მოკალი, იქ, ნაალზე. ან მე რომ მარბენინე სიბნელეში თოვლზე წინ და უკან. თან ისე, რომ მერე მთელ საათს ვერ მოვითქვი სული. არადა, უკვე არც ისე ახალგაზრდა ვარ.“ ,,ძვირფასო იერემია“, თქვა კ.-მ, ,,შენ ყველაფერში სწორი ხარ, და ყოველივე ეს მე კი არ უნდა მელაპარაკო, გალატერს უნდა მოახსენოო. მან გამოგგზავნათ თავისი ნებით, მე თქვენი თავი მისთვის არ მითხოვია. ხოლო რახან თქვენი თავი არ მითხოვია, მაშასადამე, შემიძლია, უკან დაგაბრუნოთ და ამას დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი უფრო

მშვიდობიანი გზით, ვიდრე ძალით, მაგრამ თქვენ აშკარად არ გსურდათ ეს. სხვათა შორის, რატომ არ მელაპარაკეთ ასევე გულახდილად, როგორც ახლა, სულ თავიდანვე, როდესაც ჩემთან მოხვედით?“ „იმიტომ, რომ გალატერის სამსახურში ვიყავით“, თქვა იერემიამ. „ეს ხომ თავისთავად ცხადია.“ „ახლა უკვე აღარა ხარ სამსახურში?“ „ახლა აღარა ვარ“, თქვა იერემიამ. „არტურმა გოდოლში გააფორმა ჩვენი სამსახურიდან წამოსვლა ან, უკიდურეს შემთხვევაში, იქ ახლა აფორმებენ ქაღალდებს, რომ ჩვენ ამ თანამდებობიდან გაგვათავისუფლონ.“ „მაგრამ შენ მაინც მეძებ, თითქოს კიდევ მუშაობდე ჩემთან?“ თქვა კ.-მ. „არა“, თქვა იერემიამ. „გეძებ მხოლოდ იმიტომ, რომ ფრიდა დავამშვიდო. მან ხომ, შენ რომ მიატოვე ბარნაბას დების გულისათვის, თავი ძალზე უბედურად იგრძნო, არა იმდენად შენი დაკარგვის გამო, რამდენადაც შენი ღალატის გამო. მართალია, იგი დიდი ხანია, ხვდებოდა, რომ ასე მოხდება და ძალიან განიცდიდა ამას. მე კი სწორედ იმიტომ მოვედი სკოლის ფანჯარასთან, რომ დამენახა, ბოლოს და ბოლოს, მოეგე შენ ჭკუას, თუ არა, მაგრამ შენ იქ აღარ იყავი, მხოლოდ ფრიდა იჯდა მერხზე და ტიროდა. მაშინ მე შევედი მასთან და მოვილაპარაკეთ. უკვე ყველაფერი გაკეთდა, მე ახლა დერეფნის მორიგედ ვმუშაობ სასტუმროში, ხოლო ფრიდა – ისევ იქ, ბუფეტში. ფრიდასთვის ასე ჯობია. რა აზრი ჰქონდა, შენ გამოგყოლოდა? გარდა ამისა, შენ ვერ დააფასე მსხვერპლი, რომელიც მან გაიღო შენი გულისათვის. ახლაც კი, ამ კეთილ არსებას ზოგჯერ კიდევ ეპარება ეჭვი, სამართლიანად მოგექეცით თუ არა შენ. შეიძლება, შენ სულაც არ იჯექი ბარნაბას ოჯახის წევრებთან ერთად და თუმცა, იმის თაობაზე, თუ სად იქნებოდით, არავითარი ეჭვი არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მე მაინც აქეთ გამოვეშურე, რათა დამედასტურებინა ეს ერთხელ და სამუდამოდ. იმიტომ, რომ ამდენი მღელვარების შემდეგ ფრიდამ დაიმსახურა უფლება, ბოლოს და ბოლოს, მშვიდად დაიძინოს, მეც ასევე. ჰოდა, მეც ამიტომ წამოვედი და არა მარტო გიპოვე აქ, არამედ დავინახე კიდეც რომ ეს გოგოები კუდში დაგდევენ, როგორც კისერში საბელჩაბმულნი, განსაკუთრებით კი ის, შავშავი, ნამდვილი გარეული კატა, მაინც, როგორ გადაგეფოფრა! რას იზამ, ყველას თავისი გემოვნება აქვს. სხვათა შორის, სულ ტყუილად გადაძვერი მეზობლის ბაღის ღობეზე, შემოსავლელად, მე ხომ აქ ყველა გზა კარგად ვიცი.“

21.

მაშასადამე, მაინც მოხდა ის, რისი განჭვრეტაც შეიძლებოდა, მაგრამ თავიდან აცილება – არა. ფრიდამ მიატოვა ის. ეგებ, ეს არ არის საბოლოო გადაწყვეტილება, შეიძლება, არც მთლად ასე უსაშველოდ იყო საქმე. ფრიდას გული ისევ უნდა მოენადირებინა, მართალია, მასზე იოლად ახდენდნენ გავლენას უცხოები, განსაკუთრებით, ეს თანაშემწეები, რიმლებიც თვლიდნენ, რომ ფრიდაც მათ დღეშია და ახლა, როდესაც მათ უარი თქვეს სამსახურზე, ფრიდაც შეაგულიანეს, წასულიყო. მაგრამ საკმარისია კ. მხოლოდ მიუახლოვდეს ფრიდას, გაახსენოს ყველაფერი, რაც მის სასარგებლოდ მეტყველებს, და ქალი კვლავ მონანიებით დაუბრუნდება, განსაკუთრებით, თუ იგი შეძლებს გაამართლოს გოგონებთან ყოფნა იმით, რომ ისინი დაეხმარნენ, მიეღწია რაღაც წარმატებისთვის. მაგრამ მიუხედავად მთელი ამ მოსაზრებებისა, ფრიდას რომ ეხებოდა, რომლებითაც ასე ცდილობდა დაემშვიდებინა თავი, იგი ვერ მშვიდდებოდა. ახლახანს ოლღასთან თავს იქებდა ფრიდას დამოკიდებულებით და მას თავის ერთადერთ დასაყრდენს უწოდებდა, –

აღმოჩნდა, რომ ამ დასაყრდენს არ ეთქმოდა მაინც და მაინც სანდო, არ იყო საჭირო უზენაესი ძალების ჩარევა, რომ კ.-სთვის ფრიდა წაერთმიათ. ამისათვის საკმარისი აღმოჩნდა საკმაოდ უნდილი თანაშემწე, ეს ფეშხო, რომელიც ზოგჯერ ცოცხალ ლეშს ჰგავდა.

იერემია უმალვე დაშორდა კ.-ს, მაგრამ მან უკან მიიხმო. ,,იერემია", თქვა მან, ,,მე შენთან სრულიად გულახდილი ვიქნები, თუ შენც პატიოსნად მიპასუხებ ერთ კითხვაზე. ახლა მე და შენ უკვე ბატონი და მსახური აღარა ვართ, და ამით კმაყოფილი ხარ არა მარტო შენ, არამედ მეც, მაშასადამე, არ გვაქვს არავითარი საფუძველი, ვატყუოთ ერთმანეთს. აი, მე შენს თვალწინ გადავამტვრევ სახრეს, რომელიც შენთვის მოვამზადე და ბაღის ღობიდან მოგიჭერი გზა არა იმიტომ, რომ შენი მეშინოდა, არამედ იმისათვის, რომ უეცრად წამოგდგომოდი თავს და გემრიელად გადამეჭირა შენთვის, მაგრამ ნუ ჩაიდებ წყენას გულში, ახლა ეს დამთავრებულია, და ხელისუფლებს რომ არ შემოეტენათ შენი თავი ჩემს მსახურად, მე და შენ ნაღდად მოვრიგდებოდით, თუმცა, ცოტა არ იყოს, მაღიზიანებს შენი გარეგნობა. ახლა კი მე და შენ უკვე შეგვიძლია, ავინაზღაუროთ ყველაფერი, რაც ხელიდან გავუშვით." ,,შენ ასე გგონია?" თქვა თანაშემწემ, ფართოდ დააბჩინა პირი და დაამთქნარა, ისე, რომ დაღლილი თვალები აღარ უჩანდა. ,,შემეძლო, უფრო დაწვრილებით ამეხსნა შენთვის, რა მოხდა, მაგრამ ამდენი დრო არა მაქვს. ფრიდასთან უნდა წავიდე. ჩემი პაწია მელოდება. ჯერ არ შესდგომია მუშაობას, მე შევიპირე უფროსი, რომ ცოტა ხნით დავასვენებდი, როგორც ჩანს, მას უნდოდა, ერთბაშად დაეწყო მუშაობა, რომ დაევიწყებინა შენი თავი, და ახლა ჩვენ გვინდა თუნდაც ცოტა ხანს ვიყოთ ერთად. რაც შეეხება შენს წინადადებას, მე, რასაკვირველია, არა მაქვს არავითარი საფუძველი, მოგატყუო, მაგრამ კიდევ უფრო ნაკლები საფუძველი მაქვს, გენდო. სანამ შენთან სამსახურებრივი ურთიერთობა მქონდა, შენ, რა თქმა უნდა, ჩემთვის დიდი კაცი იყავი არა შენი ღირსებების გამო, არამედ სამსახურებრივი მოვალეობის თვალსაზრისით, და მე სიამოვნებით გავაკეთებდი შენთვის ყველაფერს, რასაც შენ მოინდომებდი, მაგრამ ახლა ჩემთვის არავინ არა ხარ, და იმ ამბავმა, რომ შენ სახრე გადატეხე, სულაც არ ამიჩუყა გული, მხოლოდ შემახსენა, რა აჯამი კაცი დამიყენეს უფროსად, ესაა და ეს. შენს ასეთ საქციელს არ შეუძლია მომილბოს გული." ,,შენ ისე მელაპარაკები, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ აღარასოდეს მოგიწევს, გეშინოდეს ჩემი. არადა, არსებითად ეს არ არის ასე. მაშასადამე, შენ ჯერ არა ხარ გათავისუფლებული სამუშაოდან, რადგან აქ ასე მალე გადაწყვეტილებებს არ იღებენ." ,,უფრო მალეც იღებენ", თქვა იერემიამ. ,,ხდება ხოლმე", თქვა კ.-მ, ,,მაგრამ სანამ არავითარი მითითება არ მიმიღია, რომ ახლაც ასე იქნება, ყოველ შემთხვევაში, არც შენ და არც მე საბუთები ხელზე არ მოგვცეს, მაშასადამე, საქმის გარჩევა ეს-ეს არის დაიწყო და მე ჯერ არ გამომიყენებია ჩემი ნაცნობობა და არ ჩავრეულვარ საქმეში, მაშასადამე, შენ მაინც და მაინც არ ცდილობდი, განგეწყო უფროსი ჩემს სასარგებლოდ, და ვინ იცის, ეგებ, მე სულ ტყუილად გადავტეხე სახრე. ფრიდა, მართალია წამგვარე, ამიტომაც ხარ ასე გაყოყოჩებული და გაფხორილი, მაგრამ შენი პერსონისადმი მთელი პატივისცემის მიუხედავად – მე კი პატივს გცემ, თუმცა შენ მე - არა, საკმარისია, ორი-სამი სიტყვა ვუთხრა ფრიდას, და ეს საუცხოოდ ვიცი, რომ გავაქარწყლო მთელი ის სიცრუე, რომლის ბადეშიც გახვიე ქალი." ,,ამ მუქარისა სულ არ მეშინია", თქვა იერემიამ, ,,შენ ხომ არ გინდა, რომ მე ვიყო შენი თანაშემწე, ჩემი გეშინია, ჩემი როგორც თანაშემწისა და, საერთოდ, შენ გეშინია საკუთარი თანაშემწეებისა,

მხოლოდ შიშის გამო სცემე კეთილ კაცს არტურს.“ „შესაძლებელია“, თქვა კ.-მ. „განა ამის გამო ისე არ ტკენია? შეიძლება, მე ჩემი შიში შენს წინაშე ასევე გამოვხატო, და არა – ერთგზის! ერთი დავინახო, რომ შენ თანაშემწის თანამდებობა არ გეპიტნავება და ვერავითარი შიში ვერ ჩამიშხამებს სიამოვნებას, ძალით გაიძულო, მემსახურო, უფრო მეტიც, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ დაგიტოვო მხოლოდ შენ, უარტუროდ, მაშინ შევძლებ, მეტი ყურადღება დაგითმო.“ „ნუთუ შენ ფიქრობ“, თქვა იერემიამ, „რომ ოდნავ მაინც მეშინია შენი?“ „ჰო, ვფიქრობ, რო გეშინია, თუმცა ცოტათი, მაგრამ გეშინია. ხოლო თუ ჭკვიანი კაცი ხარ, მაშინ ძალიან გეშინია, თორემ, რატომ არ წახვედი ერთბაშად ფრიდასთან? მითხარი, შენ გიყვარს ის?“ „მიყვარს?“ გაიმეორა კითხვა იერემიამ. „ფრიდა კეთილი, ჭკვიანი გოგონაა, კლამის ყოფილი სატრფო, მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში, პატივისცემას იმსახურებს და თუ მე გაუთავებლად მევედრება, მოვაშორო მას შენი თავი, რატომ არ გავუწიო ეს სამსახური, მით უმეტეს, რომ არავითარ ვნებას შენ არ გაყენებ. შენ ხომ უკვე იჯერე გული ამ წყეულ გომბიოებთან, ბარნაბას დებთან.“ „ახლა ჩემთვის ნათელია შენი ლაჩრობა“, თქვა კ.-მ, „შენი უბადრუკი ლაჩრობა. აი, ასეთი სიცრუით ცდილობ ამიბნიო თავგზა! ფრიდა მხოლოდ ერთსა მთხოვდა, მომაშორეო ეს ცოფმორეული თანაშემწეები, ეს ამძუვნებული ხვადაგები, მე კი, სამწუხაროდ, ვერ მოვიცალე მისი თხოვნის შესასრულებლად, და აი, რა გამოვიდა ჩემი დაუდევრობის გამო!“

„უფალო მიწისმზომელო! უფალო მიწისმზომელო!“ დაიძახა ვიღაცამ შესახვევში. ეს ბარნაბა იყო. მან აქოშინებულმა მოირბინა, მაგრამ არ დავიწყებია, დაბლა დაეკრა თავი კ.-სათვის. „ყველაფერი მოვახერხე!“ „რა მოახერხე“, იკითხა კ.-მ. „შენ გადაეცი ჩემი თხოვნა კლამს?“ „სწორედ ეს არ გამომივიდა“, თქვა ბარნაბამ. „ძალიან ვცდილობდი, მაგრამ არავითარი ჩარა არ იყო, თუმცა წინ კი გავძვერი, მთელი დღე ისე ახლოს ვიდექი მაგიდასთან, რომ ერთმა მწერალმა, რომელსაც შუქზე ვეფარებოდი, ხელი მკრა კიდეც მერე, თუმცა ეს აკრძალულია, გამოვაცხადე, ბარნაბა ვარ-მეთქი, და, როდესაც კლამმა ჩემკენ გამოიხედა, მაღლა ავწიე ხელი. შემდეგ კანცელარიაში ყველაზე დიდხანს დავრჩი, ვიდექი იქ მარტოდმარტო, მსახურებთან ერთად, მქონდა ბედნიერება, მენახა, როგორ დაბრუნდა კლამი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემს გამო არ დაბრუნებულა, მას მხოლოდ სურდა, ცალი თვალით ჩაეხედა დავთარში, და მაშინვე წავიდა. ბოლოს და ბოლოს, ვინაიდან ადგილიდან არ ვიძროდი, ერთმა მსახურმა კინაღამ გამომხვეტა ოთახიდან თავისი ცოცხით. ყოველივე ამას იმიტომ გიამბობ, რომ დარწმუნდე, რამდენს ვეცადე, და არ გამოთქვა უკმაყოფილება.“ „რა თავში ვიხალო შენი მცდელობა, ბარნაბა“, თქვა კ.-მ, „თუ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიე.“ „მაგრამ მე ხომ მივაღწიე წარმატებას!“ თქვა ბარნაბამ. „გამოვდივარ ჩემი კანცელარიიდან – უკვე ჩემს კანცელარიას ვეძახი – და უეცრად ვხედავ, რომ დერეფნის სიღრმიდან ნელა გამოდის ერთი ბატონი, ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ არის, გვიანია. გადავწყვიტე, დავლოდებოდი, მე საერთოდ მერჩივნა იქ დავრჩენილიყავი, ოღონდ არ მომეტანა ცუდი ამბავი შენთვის. ისედაც ღირდა, ამ ბატონს დავლოდებოდი, ეს ხომ ერლანგერი იყო. როგორ, შენ არ იცნობ მას? ეს კლამის ერთ-ერთი პირველი მდივანია, ერთი კაფანდარა, ჩია ტანის კაცია, ცოტას კოჭლობს. მაშინვე მიცნო, ერლანგერი განთქმულია თავისი მეხსიერებითა და ადამიანთა ცოდნით, საკმარისია, მხოლოდ შუბლი შეიჭმუხნოს – და მაშინვე იცნობს ნებისმიერ კაცს, ხშირად, იმათაც კი, ვინც აქამდე თვალით არ უნახავს, მხოლოდ გაუგია ან წაუკითხავს მათ შესახებ, მაგალითად, მე არა მგონია, ოდესმე ვენახე, მაგრამ თუმცა იგი თავიდანვე ცნობს ნებისმიერ კაცს, ყოველთვის ეკითხება, თითქოს

არ არისო მთლად დარწმუნებული. „შენ, მგონი, ბარნაბა ხარ?“ მითხრა მე. და მაშინვე მკითხა: „შენ ხომ იცნობ მიწისმზომელს?“ მერე კი დასძინა: „რა ბედნიერი დამთხვევაა, მე ახლა სასტუმროში მივდივარ, და მიწისმზომელმა იქ შემომიაროს. მე მეთხუთმეტე ნომერში ვცხოვრობ. მაგრამ უთხარი, ახლავე გამოცხადდეს. იქ რაღაც მოლაპარაკება მაქვს, ხოლო დილის ხუთ საათზე უკან უნდა გამოვბრუნდე. გადაეცი, რომ ძალიან მჭირდება, უნდა ველაპარაკო.“

აქ იერემია უცბად თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ბარნაბა ისე იყო აღელვებული, არც კი მიაქცია მას არავითარი ყურადღება, მაგრამ ახლა იკითხა: „რა უნდა?“ „უნდა, ერლანგერთან დამასწროს“, თქვა კ.-მ და იერემიას გამოეკიდა, დაეწია, ხელი სტაცა და უთხრა: „რაო, მოიწყინე, ფრიდა რომ არ გინახავს? მეც მომენატრა, შენზე ნაკლებად არა, მაშასადამე, ერთად წავალთ!“

ჩაბნელებულ სასტუმროსთან ცოტაოდენი ხალხი შეჯგუფულიყო, მათგან ორ თუ სამ კაცს ფარნები ეკავა, ასე რომ, სახეების გარჩევა შეიძლებოდა. კ.-მ ერთი ნაცნობი დაინახა – მეეტლე გერშტეკერი. გერშტეკერი კითხვით შეეგება: „ვხედავ, შენ კიდევ სოფელში ხარ?“ „ჰო“, თქვა კ.-მ, „მე დიდი ხნით ჩამოვედი.“ „რა ჩემი საქმეა“, თქვა გერშტეკერმა და, ძლიერი ხველებით, დანარჩენებისაკენ შებრუნდა.

გამოირკვა, რომ ყველა ერლანგერს ელოდებოდა. ერლანგერი უკვე ჩამოსულიყო, მაგრამ, სანამ მიღებას დაიწყებდა, მომს ეთათბირებოდა. მთელი საუბრები იმის ირგვლივ ტრიალებდა, რომ სახლში ლოდინი აკრძალული იყო და იძულებული იყვნენ გარეთ მდგარიყვნენ, თოვლში. მართალია, ძალიან არ ციოდა, მაგრამ მაინც, რა წესია საათობით აყურყუტო ხალხი შუაღამისას თოვლში. თუმცა ეს სულაც არ იყო ერლანგერის ბრალი, ის უფრო თავაზიანი, ყურადღებიანი კაცი იყო. ამაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა და ნამდვილად გული მოუვიდოდა, ეს რომ გაეგო. ყველაფერი სასტუმროს დიასახლისის ბრალი იყო: წესის და რიგის დაცვის ავადმყოფური მისწრაფებით შეპყრობილს, არ სურდა, რომ ამდენი მთხოვნელი ერთბაშად მოსდებოდა მისი სახლის დერეფნებს. „თუ მაინც და მაინც აუცილებელია მათი მიღება“, იტყოდა ხოლმე იგი, „დაე, ისინი, ღვთის გულისათვის, რიგრიგობით შემოვიდნენ ხოლმე.“ და მიაღწია იმას, რომ მთხოვნელები, რომლებიც თავდაპირველად უბრალოდ დერეფანში იდგნენ, მერე კი კიბესთან და, დასასრულ, ბუფეტში, ბოლოს და ბოლოს ქუჩაში აღმოჩნდნენ, მაგრამ დიასახლისი ამითაც უკმაყოფილო იყო. ვერ მოეთმინა, რომ მის საკუთარ სახლში იგი ნიადაგ, როგორც ამბობდა, „ალყაში ჰყავდათ მოქცეული.“ ვერ გაეგო, რა საჭირო იყო საერთოდ მთხოვნელთა მიღება. „იმისათვის, რომ კიბე დაგისვარონო“, – როგორღაც გულმოსულმა უპასუხა ამ კითხვაზე ერთხელ ერთ-ერთმა მოხელემ, მაგრამ დიასახლისს ეს პასუხი სარწმუნოდ მოეჩვენა, და შემდეგ ხშირად იმეორებდა. მან მიაღწია, რომ სასტუმროს მოპირდაპირე მხარეს ააშენეს ნაგებობა, სადაც მთხოვნელებს შეეძლოთ მოეცადათ, რაც სავსებით შეესაბამებოდა მათს სურვილებსაც. ყველაზე მეტად დიასახლისს ეწადა, რომ მიღება და დაკითხვები სადმე სასტუმროს ფარგლებს გარეთ მოწყობილიყო, მაგრამ ამაზე არ იყვნენ თანახმანი მოხელენი, ხოლო რაკი მოხელეები წინააღმდეგი იყვნენ, მაშინ დიასახლისი, რა თქმა უნდა, ვერაფერს გააწყობდა, თუმცა უმნიშვნელო საქმეებში დაუღალავი და მაინც ქალური შემპარავი ჯიუტობით თანდათან ყველასათვის რაღაც შინაურ ტირანად გადაიქცა. მაგრამ ჯერჯერობით დიასახლისი იძულებული იყო, ეთმინა, რომ მიღებაც და დაკითხვებიც მის სასტუმროში მიმდინარეობდა, იმიტომ,

რომ გოდლიდან მოსული ბატონები უარს ამბობდნენ დაეტოვებინათ სასტუმრო და სამსახურებრივ საქმეებზე სოფელში ჩასულიყვნენ. ისინი ერთთავად ჩქარობდნენ, სოფელში ძალზე უხალისოდ მიდიოდნენ, და არ ჰქონდათ არავითარი სურვილი, გაეხანგრძლივებინათ თავიანთი აქ ყოფნა საჭიროზე მეტად, ამიტომ ვერ მოსთხოვდი, რომ სასტუმროში მყუდროების გულისათვის დაეკარგათ ამდენი დრო, და თავიანთი ქაღალდებით გადასულიყვნენ ქუჩის მეორე მხარეს რაღაც სხვა სახლში მისასვლელად. მოხელეები გაცილებით უფრო ხალისიანად უძღვებოდნენ საქმეებს ან ბუფეტში, ან თავიანთ ნომრებში, შეძლებისდაგვარად, ჭამის დროს, ხოლო ზოგჯერ – ლოგინშიც კი, ძილის წინ, ან დილაადრიან, გამოეღვიძებოდათ თუ არა, მაშინ როდესაც დაღლილობისაგან ადგომის თავი არ ჰქონდათ და უნდოდათ, კიდევ ცოტა ხანს ენებივრათ საწოლში. ამავე დროს, მთხოვნელთათვის მოსაცდელი შენობის აგების საკითხი სასიკეთო გადაწყეტას უახლოვდებოდა, თუმცა – ამაზე ბევრს ეცინებოდა – დიასახლისისათვის ეს საქმე გაუთავებელ სასჯელად გადაქცეულიყო, ვინაიდან, სწორედ ასეთი შენობის აგების საკითხის დაყენებამ გამოიწვია მთხოვნელთა არნახული მოზღვავება და სასტუმროს დერეფნები თითქმის არასოდეს არ ცარიელდებოდა.

ყოველივე ამის შესახებ ხმადაბლა საუბრობდნენ მიღებაზე მოსულნი. კ.-მ ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მნიშვნელოვანი უკმაყოფილების მიუხედავად, არავინ არ გამოთქვამდა პროტესტს იმის გამო, რომ ერლანგერმა შუაღამისას გამოიძახა ხალხი. მან იკითხა, რატომო, და მაშინვე აუხსნეს, რომ ამის გამო უკმაყოფილონი კი არა, ერლანგერის მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ. მხოლოდ და მხოლოდ მისმა კეთილმა ნებამ და სამსახურებრივი მოვალეობის ღრმა წვდომამ განაპირობეს მისი ჩამოსვლა სოფელში. ხომ შეეძლო მას, რომ მოენდომებინა – და შესაძლებელია, ეს უფრო მეტად შეესაბამებოდა ნაირ-ნაირ ინსტრუქციებს, – გამოეგზავნა თავისი რომელიმე მეორეხარისხოვანი მდივანი, რათა მას ოქმები ეწერა. მაგრამ ერლანგერი მეტწილად უარს ამბობდა ამაზე, მას სურდა, საკუთარი ყურით გაეგონა და საკუთარი თვალით დაენახა ყველაფერი, რისთვისაც მსხვერპლად მოჰქონდა თავისი ღამის დასვენების დრო იმიტომ, რომ მისი სამსახურებრივი განრიგით არ იყო გათვალისწინებული სოფელში სიარული. კ. შეეპასუხა, რომ კლამიც კი სოფელში დღისით ჩამოდის და აქ რამდენიმე დღეს რჩება. ნუთუ ერლანგერი, რომელიც მხოლოდ მდივანია, უფრო შეუცვლელია იქ, ზევით, ვიდრე კლამი? ვიღაცამ ამის გაგონებაზე ჩაიქირქილა. სხვები დაბნეულნი სდუმდნენ, ასეთები კი უმრავლესობას შეადგენდნენ, და ამიტომ, კ.-ს ძლივს აღირსეს პასუხი – მხოლოდ ერთმა მთხოვნელმა თქვა გაუბედავად, რომ, რა თქმა უნდა, კლამი შეუცვლელია, როგორც გოდოლში, ისე სოფელშიო.

ამ დროს გაიღო კარი, და ორ მსახურს შორის, რომელთაც ფარნები ეკავათ ხელში, გამოჩნდა მომი. „პირველებს უფალ მდივანთან ერლაგნერთან გავატარებ გერშტეკერს და კ.-ს. ორივენი აქ არიან?“ აქა ვართო, გამოეხმაურნენ ორივენი, მაგრამ ყველას დაასწრო იერემიამ, რომელმაც თქვა, მე აქაური მსახური ვარო, და პირველი გაძვრა, რაზეც მომს გაეღიმა და მხარზე ხელი მოუთათუნა. „ამ იერემიასთან მეტი სიფრთხილე მმართებს“, გაიფიქრა კ.-მ. ამასთან, თავში გაუელვა, რომ ალბათ იერემიაზე გაცილებით უფრო საშიში არის არტური, რომელიც ძირს უთხრის მას გოდოლში. შესაძლოა, რომ უფრო გონივრულიც კი იქნებოდა ეთმინა მათგან უსიამოვნებანი, როგორც თანაშემწეებისაგან, ვიდრე შეუფერხებლად ეპარპაშათ და

წყალი შეეყენებინათ მისთვის, რადგან ორივეს ჰქონდა ინტრიგანობის აშკარა მიდრეკილება.

როდესაც კ. მომთან მივიდა, მან ისეთი სახე მიიღო, თითქოს ახლა-ღა იცნოო მიწისმზომელი. „ამას ვის ვხედავ, უფალი მიწისმზომელი!“ თქვა მან. „ის კაცი, ვისაც ასე სძაგს დაკითხვები, თავად კი დაკითხვაზე მოუწევს გული. ჩემთან არ გერჩივნათ მაშინ? მაგრამ, რა თქმა უნდა, ძნელი ასარჩევია, რომელი დაკითხვა სჯობს.“ და როდესაც კ., მისი სიტყვების გამგონე, შედგა, მომმა თქვა: „მიბრძანდით, მიბრძანდით! მე მაშინ მჭირდებოდა თქვენი პასუხი, ახლა კი არაო.“ და მაინც, კ.-მ, მომის ქცევით აღელვებულმა, თქვა: „თქვენ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობთ, მეტი არაფერზე. მხოლოდ იმის გამო, რომ კაცს რაღაც სამსახურებრივი მდგომარეობა უკავია, მე მის კითხვებზე პასუხის გაცემას არ ვაპირებდიო.“ ამაზე მომმა უპასუხა: „აბა ვისზე უნდა ვიფიქროთ? სხვა ვინ არის კიდევ? გამოადგით ფეხი!“ წინკარში მათ შეხვდა მსახური, რომელიც გაუძღვა კ.-ს მისთვის უკვე ნაცნობი გზით, ეზოს გავლით, მერე ჭიშკარში, ხოლო იქიდან დაბალ, ოდნავ დაქანებულ დერეფანში. ეტყობა, ზედა სართულებზე მხოლოდ უმაღლესი მოხელეები ცხოვრობდნენ, მდივნები კი ბინადრობდენ ამ დერეფანში, და ერლანგერიც აქვე იყო დაბინავებული, თუმცა ერთ-ერთ მთავარ მდივანს წარმოადგენდა. მსახურმა ფარანი ჩააქრო – კაშკაშა ელექტრული განათება ჩაერთოთ. აქ ყველაფერი პატარა იყო, მაგრამ დახვეწილად ნაგები, შეზღუდული სივრცეც შეძლებისდაგვარად სრულად გამოეყენებინათ. დერეფანში გაჭირვებით გაიმართებოდი სრული სიმაღლით. ორივე მხარეს კარები იყო, თითქმის ერთმანეთს მიტყუპებული. გვერდითი ტიხარები ზედ ჭერამდე არ ადიოდა, ღიობი ჰქონდა დატოვებული, ეტყობა, ვენტილაციის თვალსაზრისით, იმიტომ, რომ აქ, სარდაფში განლაგებული პაწაწკინტელა ოთახები, ეტყობა, უფანჯრო იყო. ამ არასრული ტიხარების მთავარი ნაკლი ის გახლდათ, რომ დერეფანში, ხოლო ამის შედეგად ოთახებშიც - ხმაური არ წყდებოდა. ბევრი ოთახი თითქოს დაკავებული იყო, იქ მეტწილად ჯერ არ დაწოლილიყვნენ, ისმოდა ხმები, ჩაქუჩის კაკუნი, ჭიქების წკრიალი, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული მხიარულების შთაბეჭდილებას ეს არ ტოვებდა. ხმები ყრუდ ისმოდა, იშვიათად თუ გაარჩევდი რამდენიმე სიტყვას, მაგრამ იქაც, როგორც ჩანს, არ საუბრობდნენ, ალბათ, ვიღაც უკარნახებდა ან ხმამაღლა კითხულობდა, და სწორედ იმ ოთახებიდან, საიდანაც ჭიქების და თეფშების წკრიალის ხმა გამოდიოდა, ერთი სიტყვაც არ მოისმოდა, ხოლო ჩაქუჩის კაკუნმა კ.-ს გაახსენა, როგორ უამბობდა ვიღაც მოხელეებზე, თითქოს ზოგი მათგანი, გამუდმებული გონებრივი დაძაბულობისაგან რომ დაესვენა, მოცალეობის ჟამს დურგლობდა, რაღაც მექანიზმებს უკირკიტებდა, და, საერთოდ, ჩხირკედელაობდა. დერეფანი ცარიელი იყო, მხოლოდ ერთ კართან იჯდა ფერმკრთალი ვიწრომხრებიანი მაღალი კაცი, რომელსაც ღამის პერანგზე ქურქი მოეგდო. ეტყობა, ოთახში სული ეხუთებოდა, გარეთ გამოსულიყო და გაზეთს კითხულობდა, მაგრამ – ერთობ უყურადღებოდ, მთქნარება-მთქნარებით, დრო და დრო გაზეთს დაუშვებდა ხოლმე და, სკამიდან წინ გადმოწეული, დერეფნის სიღრმეში გახედავდა: შეიძლება, მასთან გამოძახებულ დაგვიანებულ მთხოვნელს ელოდებოდა. გვერდით რომ გაუარეს, მსახურმა გერშტეკერს ამ ბატონზე მიანიშნა: „აი, პინცჰაუერიო“. გერშტეკერმა თავი დაუკრა. „დიდი ხანია აქ, ქვემოთ არ ჩამოსულა“, თქვა მან. „ჰო, ძალიან დიდი ხანიაო“, კვერი დაუკრა მსახურმა.

ბოლოს, მიადგნენ კარს, რომელიც არაფრით არ გამოირჩეოდა ყველა დანარჩენისაგან, მაგრამ რომლის მიღმაც, როგორც მსახურმა თქვა, თვით ერლანგერი ცხოვრობდა. მსახურმა სთხოვა კ.-ს, იგი მხრებზე შეეყენებინა და ტიხარსა და ჭერს შორის დატოვებული ღიობიდან შეიხედა ოთახში. „წევს“, თქვა იატაკზე ჩამოსვლისას მსახურმა. „ზემოდან წევს ლოგინზე. მართალია, ჩაცმულია, მაგრამ მგონი, თვლემს. აქ, სოფელში ვითარების შეცვლის გამო ზოგჯერ რული მოერევა ხოლმე. უნდა დავიცადოთ, როცა გამოეღვიძება, თვითონ დაგვირეკავს. რა თქმა უნდა, ისეც ხდება ხოლმე, რომ სოფელში ყოფნის მთელი ხნის მანძილზე სძინავს, ხოლო გამოეღვიძება თუ არა, მაშინვე უნდა გაბრუნდეს გოდოლში. იგი ხომ კეთილი ნებით ჩამოდის აქ სამუშაოდ.“ „ნეტავ ახლაც წასვლამდე იძინოს“, თქვა გერშტეკერმა, „თორემ, თუ ძილის შემდეგ ცოტა დრო რჩება სამუშაოდ, ძალზე უკმაყოფილოა, რომ დროზე ვერ გაიღვიძა და ისე ცდილობს, ყველაფერი რაც შეიძლება მალე მოათავოს, რომ მისთვის სიტყვის თქმასაც ვეღარ ასწრებ.“ „თქვენ აქ მშენებლობისათვის საჭირო გადაზიდვების საკითხზე ხართ მოსული?“ ჰკითხა მსახურმა. გერშტეკერმა კვერი დაუკრა, განზე გაიყვანა მსახური და რაღაცას ხმადაბლა ელაპარაკებოდა, მაგრამ მსახურს თითქმის არაფერი ესმოდა, გერშტეკერის თავს ზემოთ იყურებოდა – იგი მთელი თავით იყო მეეტლეზე მაღალი – და ნელა ისვამდა ხელს თმაზე.

22.

კ.-მ, რომელიც უმიზნოდ იყურებოდა აქეთ-იქეთ, უეცრად დაინახა დერეფნის მოსახვევში ფრიდა. ქალმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს ვერ ცნობსო და გულგრილად მიაშტერდა სახეზე: ხელში ლანგარი ეკავა, რომელზეც ცარიელი ჭურჭელი ეწყო. კ.-მ მსახურს მიმართა, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას – რაც მეტს ელაპარაკებოდა, მით უფრო გონებადაფანტული ჩანდა, – ახლავე მოვალო და ფრიდასკენ გაიქცა. რომ მიირბინა, მხრებში სტაცა ხელი, თითქოს, ქალზე თავის ძალაუფლებას ამტკიცებსო, და რაღაც უაზრო კითხვები დაუსვა, თან დაჟინებით ჩახედა თვალებში, თითქოს პასუხს ეძებსო, მაგრამ ქალი ისევ ისეთი უსიცოცხლო იყო, მხოლოდ დაბნეულმა გადადგა ჭურჭელი ლანგარზე,და თქვა: „რა გინდა ჩემგან? წადი იმათთან, იმეებთან – შენ თვითონ იცი, რა ჰქვიათ, შენ ხომ ეს-ეს არის, მათგან მოდიხარ, გატყობ.“ კ.-მ მაშინვე გადაიტანა საუბარი სხვაზე, არ სურდა ასე, ერთბაშად დაეწყო ახსნა-განმარტება, და საუბარს შესდგომოდა მისთვის ყველაზე უსიამო, ყველაზე არახელსაყრელი თემით. „მე კი მეგონა, ბუფეტში იქნებოდი“, თქვა მან. ფრიდამ გაოცებით შეხედა და ალერსიანად ჩამოუსვა თავისუფალი ხელი შუბლსა და ლოყაზე. გეგონებოდა, დაავიწყდა, როგორ გამოიყურება კ., და სურს კვლავ იგრძნოსო მისი აქ ყოფნა. თან, მის დაბინდულ მზერაში იგრძნობოდა შეფარული სურვილი, გაეხსენებინა კ... „მე კვლავ მიმიღეს სამუშაოდ ბუფეტში“, ნელა, სხვათა შორის უთხრა ქალმა, თითქოს იმას, რასაც ამბობდა, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ხოლო ამ სიტყვებს მიღმა რაღაც სხვა საუბარს ეწევა კ.-სთან, მათთვის უფრო მთავარზეო. „აქ მუშაობა ჩემთვის შეუფერებელია, მას ნებისმიერი სხვაც შეასრულებს: ყველას, ვისაც შეუძლია გაასწოროს ლოგინი და თავაზიანი გამომეტყველება მიიღოს, არ იწყინოს სტუმართა არშიყობა, პირიქით, განაწყოს საამისოდ, ყველა ასეთ ქალს შეუძლია მოახლედ დადგეს. ხოლო ბუფეტში მუშაობა – სულ სხვა საქმეა. მე ახლაც სიამოვნებით მიმიღეს ბუფეტში სამუშაოდ, თუმცა მაშინ არცთუ ღირსეულად წამოვედი იქიდან, მართალია, ჩემზე თხოვეს. მაგრამ სასტუმროს პატრონს გაეხარდა,

რომ ჩემზე თხოვეს, და არ გაუჭირდა ჩემი კვლავ დაბრუნება. ის კი არა, ისე გამოვიდა, რომ იძულებული გახდა, დავეყოლიებინე, დაბრუნებულიყავი, და თუ გაიხსენებ, რას მაგონებს ბუფეტი, ყველაფერს მიხვდები. ბოლოს და ბოლოს, მე დავთანხმდი ამ ადგილს. აქ ჯერჯერობით მხოლოდ ვეხმარები სხვას. პეპიმ მთხოვა, თავი არ მომჭრა, ასე უცბად ნუ მაიძულებ, ბუფეტიდან წავიდეო, და რახან იგი ბეჯითად მუშაობდა, და აკეთებდა ყველაფერს, რასაც სწვდებოდა მისი უნარი, ჩვენ კიდევ ოცდაოთხი საათით გავუგრძელეთ ვადა.“ „კარგად კი მოგიწყვიათ ყველაფერი“, თქვა კ.-მ. „თავდაპირველად ჩემი გულისთვის წამოხვედი ბუფეტიდან, ახლა კი, ზედ ჩვენი ქორწილის წინ, ისევ იქ ბრუნდები.“ „ქორწილი აღარ იქნება“, თქვა ფრიდამ. „იმიტომ, რომ მე გიღალატე?“ ჰკითხა კ.-მ, და ფრიდამ კვერი დაუკრა. „მისმინე, ფრიდა“, თქვა კ.-მ, „ამ სავარაუდო ღალატზე ჩვენ უკვე არაერთგზის გვილაპარაკია, და შენ ყოველ ჯერზე იძულებული გამხდარხარ, ბოლოს და ბოლოს, დამთანხმებოდი, რომ ეს უსამართლო ეჭვია, მაგრამ ჩემი მხრივ ხომ დღემდე არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ისევ ისე უწყინრად დარჩა, როგორც იყო და არასოდეს არ შეიძლება შეიცვალოს. მაშასადამე, რაღაც შეიცვალა შენი მხრიდან. ან ვიღაცამ ჩემზე ჩაგაწვეთა ყურში რაღაც, ან კიდევ სხვა რამ მოხდა. ყოველ შემთხვევაში, შენ არა ხარ სამართლიანი ჩემს მიმართ. თავად განსაჯე: როგორ არის საქმე ამ ორ გოგონასთან დაკავშირებით? ის, შავტუხა, – მართალი გითხრა, მცხვენია კიდეც, რომ ასე, სათითაოდ მიხდება მათი ქომაგობა, – ჰოდა, ეს შავგვრემანი მეც, ალბათ, ისევე არ მსიამოვნებს, როგორც შენ. მე ვცდილობ მასთან უფრო შორს დავიჭირო თავი. ამ საქმეში თავადაც მეხმარება, ძნელია, იყო უფრო თავშეკავებული, ვიდრე ის არის.“ „როგორ არა!“ აღმოხდა ფრიდას, გეგონებოდა, ეს სიტყვები უნებლიედ წამოსცდაო, და კ.-ს გაეხარდა, რომ ფრიდას დაუფანტა ყურადღება, თავს ვერ იკავებდა და იქცეოდა არა ისე, როგორც სურდა. „შეგიძლია თავშეკავებულად მიიჩნიო იგი, უწოდო კდემამოსილი ყველაზე ურცხვსა და უსინდისოს, შენ კი მართლაც ასე ფიქრობ, მე ვიცი, თავს არ იკატუნებ. ხიდისპირა ფუნდუკის დიასახლისმა შენზე მითხრა: „ამ კაცს დასანახად ვერ ვიტან, მაგრამ ვერც ბედის ანაბარა ვტოვებ, ხომ იცი, როცა ხედავ ბავშვს, რომელსაც ჯერ ხეირიანად არ აუდგამს ფეხი, თვითონ კი ცდილობს, წინ გავარდეს და უეჭველად დაეცემა, აუცილებლად ჩაერევი და დაიჭერ!“ „ამჯერად დაუჯერე მას“, თქვა კ.-მ – და გაიღიმა, „რაც შეეხება იმ გოგონას – კდემამოსილია, იგი თუ ურცხვი, – მოდი, დავივიწყოთ, ნუ ვიფიქრებთ, მე გაგონებაც არ მინდა მისი.“ „მაგრამ რატომ უწოდებ შენ ამ ქალს თავმდაბალს?“ ჯიუტად იკითხა ფრიდამ, და კ.-მ ეს ინტერესი თავისდა სასაიკეთოდ მიიჩნია. „შენ საკუთარ თავზე გამოსცადე ეს, თუ გსურს, ამით სხვა დაამცირო?“ „არც ერთი, არც მეორე“, თქვა კ.-მ, – მე ასე ვუწოდებ მას მადლიერების გამო, იმიტომ, რომ იგი მიადვილებს ამოცანას, არ ვამჩნევდე მას, და კიდევ, აი, რატომ: ეს ქალი რომც მეარშიყებოდეს, ჩემთვის ძნელი იქნებოდა, მეიძულებინა საკუთარი თავისათვის, კიდევ ერთხელ წავიდე მათთან, არმისვლა კი ჩემთვის დიდი დანაკარგი იქნებოდა, იმიტომ, რომ იქ ყოფნა მე მჭირდება შენი და ჩემი მომავლის გულისათვის, და შენ თავად იცი ეს. ამიტომ მიხდება ლაპარაკი მეორე დასთანაც, და თუმცა დიდ პატივს ვცემ მის სიბეჯითეს, გულისხმიერებას და უანგარობას, მაგრამ ვერავინ ვერ იტყვის, რომ იგი მიმზიდველია.“ „აი, მსახურები კი სხვა აზრის არიან,“ თქვა ფრიდამ. „ამაშიც და ალბათ ბევრ სხვა ამბავშიც“, თქვა კ.-მ. „ნუთუ ამ მსახურთა მრუშობა გაფიქრებინებს ჩემს ღალატს?“ ფრიდა გაყუჩდა და დაანება კ.-ს, მისთვის ხელიდან გამოერთმია ფინჯანი, იატაკზე დაედგა, მკლავში გაეყარა ხელი და ნელა მოჰყოლოდა მასთან ერთად ბოლთის ცემას ვიწრო დერეფანში. „შენ არ იცი, რა არის ერთგულება“, თქვა ქალმა, და თან ოდნავ გაიწია განზე - თავს იცავდა მისი სიახლოვისგან, „შენი

დამოკიდებულება ამ გოგონების მიმართ სულაც არ არის მთავარი, მაგრამ ის, რომ შენ საერთოდ დადიხარ ამ ოჯახში და იქიდან ბრუნდები მათი საცხოვრისის სუნით გაჟღენთილი, – აი, რა არის ჩემთვის აუტანელი სირცხვილი, თან კიდევ, შენ ისე გარბიხარ სკოლიდან, სიტყვასაც არ ამბობ, და ნახევარი ღამე რჩები მათთან, ხოლო როცა შენ წასაყვანად მოდიან, შენ ნებას აძლევ ამ გომბიოებს, უარყონ, რომ მათთან დადიხარ, თან, ასე ჯიუტად უარყონ! განსაკუთრებით კი ეს შენი კდემამოსილი ტურფა. მოიძურწები მათი სახლიდან ფარული გასასვლელიდან, შეიძლება იმიტომაც, რომ არ გაუტეხო მათ სახელი, გომბიოების სახელი! არა, მოდი, ნუ ვილაპარაკებთ ამაზე!“ „ამაზე არ გვინდა“, თქვა კ.-მ, „მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, ფრიდა. ამაზე სათქმელიც არაფერია. რატომ დავდივარ იქ, თვითონაც იცი, ჩემთვის ეს არ არის იოლი, მაგრამ ვცდილობ, ვაიძულო ჩემ თავს, შენ კი არ უნდა გამიძნელო ეს კიდევ უფრო მეტად. დღეს ვაპირებდი მხოლოდ წუთით შემერბინა – მეკითხა, ხომ არ დაბრუნებულა-მეთქი ბარნაბა. ის ხომ უკვე დიდი ხანია, უნდა მობრუნებულიყო და ჩამოეტანა ჩემთვის მნიშვნელოვანი ამბავი. ჯერაც არ იყო მოსული, მაგრამ მითხრეს, წუთი წუთზე აქ იქნებაო. არ მინდოდა, სკოლაში დამდგომოდა თავზე, მეშინოდა, ვაითუ მისმა ყოფნამ შეგაწუხოსო. საათები გადიოდა, ის კი, სამწუხაროდ, არა და არ ჩანდა. სამაგიეროდ, მოვიდა მეორე, ჩემთვის საძულველი კაცი. დამენებებინა მისთვის, ეჯაშუშა ჩემზე, არავითარი სურვილი არ მქონდა, ამიტომ გადავიპარე მეზობელი ბაღის ღობეზე, არც მისგან დამალვას არ ვაპირებდი, ავყევი ქუჩას მის შესახვედრად არათუ დაუფარავად, არამედ, უნდა გამოგიტყდე, საკმაოდ მაგარი სახრით ხელში. ესაა და ეს. სალაპარაკოც არაფერია, სამაგიეროდ, სხვა რამეზე უნდა ვილაპარაკოთ. მოდი, ვილაპარაკოთ ჩემს თანაშემწეებზე, რომელთა სახელის ხსენებაც კი ისევე მძაგს, როგორც შენ იმ ოჯახისა. შეადარე შენი დამოკიდებულება მათდამი ჩემსას, როგორ ვიქცევი მე ამ ოჯახში. მე მესმის შენი ზიზღი ამ ოჯახისადმი და შემიძლია, იგი გავიზიარო. მაგრამ მათთან მე დავდივარ მხოლოდ საქმეზე, ზოგჯერ მეჩვენება კიდეც, რომ უწესოდ ვიქცევი, ვიყენებ მათ. ამ დროს კი შენ და ეს შენი თანაშემწეები!.. შენ არც უარყოფდი, რომ ისინი კუდში დაგდევენ, შენ გამოტყდი, რომ გინდება მათთან ყოფნა. მე შენზე არ გავბრაზებულვარ, მივხვდი, რომ აქ მოქმედებენ ისეთი ძალები, რომლებთანაც შენ ვერაფერს გააწყობ, და მიხაროდა, რომ თუნდაც უძალიანდები მათ, გეხმარებოდი, დაგეცვა თავი და მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე საათს შევასუსტე ყურადღება, ვენდე შენს ერთგულებას და, რა თქმა უნდა, იმის იმედით, რომ სახლი საიმედოდ არის ჩარაზული, თანაშემწენი კი საბოლოოდ გაძევებულნი, – ვშიშობ, რომ ახლაც ჯეროვნად ვერ ვაფასებ მათ! – მარტო იმიტომ, რომ ერთი-ორი საათით მოვადუნე ყურადღება, ხოლო ამ იერემიამ, რომელიც ახლოს ნახვისას არცთუ ისეთი ჯანმრთელი და ხანდაზმული კაცი აღმოჩნდა, გაბედა, ჩვენს ფანჯარას აჰკვროდა, – ახლა მხოლოდ ამის გულისათვის უნდა დაგკარგო შენ, ფრიდა, და სალმის მაგივრად შენგან გავიგონო: „ქორწილი არ იქნებაო“! იქეთ მაქვს სასაყვედურო. მე კი არ მისაყვედურია და არ გსაყვედურობ!“ აქ კ.-ს კვლავ მოეჩვენა, რომ ისევ უნდა გაუფანტოს ფრიდას ყურადღება, და სთხოვა მას, ვახშამი მოეტანა, შუადღის მერე ლუკმა არ ჩამსვლიაო ყელში. ამ თხოვნით აშკარად გახარებულმა ფრიდამ თავი დაუქნია და გაიქცა, რაღაც რომ მოეტანა, მაგრამ არა დერეფანში, სადაც კ.-ს სამზარეულო ეგულებოდა, არამედ გვერდზე, რამდენიმე საფეხურით ქვემოთ, ცოტა ხანში მობრუნდა და მოუტანა ერთი თეფში დაჭრილი ძეხვი და ბოთლი ღვინო, აშკარად – ვიღაცის ვახშმის ნასუფრალი: ეს რომ დაემალა, ნაჭრები სახელდახელოდ დაელაგებინა თეფშზე, მაგრამ ძეხვის ნაფცქვენების გადაყრა დავიწყებოდა, ხოლო ბოთლში მეოთხედი-ღა იყო დარჩენილი. თუმცა კ.-ს არაფერი უთქვამს, და მადიანად

შეუდგა ჭამას. „სამზარეულოში იყავი?“ ჰკითხა ქალს. „არა, ჩემს ოთახში“, უპასუხა ფრიდამ, „აქ, ქვემოთ ოთახი მაქვს.“ „მაშინ, წაგეყვანე თან“, თქვა კ.-მ. „ჩამოვალ, დავჯდები და ისე შევჭამ.“ „ახლავე სკამს მოგიტან“, თქვა ფრიდამ და წასვლა დააპირა. „მადლობთ“, თქვა კ.-მ და ხელით დაიჭირა ქალი, „არც ქვემოთ ჩამოვალ და არც სკამი არ მინდა.“ ფრიდა უხალისოდ დაემორჩილა, როცა კ.-მ დაიჭირა. თავი დაბლა დახარა და ტუჩზე იკბინა. „ჰო, ის ქვემოთ არის“, თქვა მან, „სხვას რას ელოდებოდი? ჩემს ლოგინში წევს, ქუჩაში ქარმა დაჰკრა, გაცივდა, თითქმის არაფერი უჭამია. არსებითად, შენი ბრალია ყველაფერი: შენ რომ არ გაგეყარა თანაშემწენი და იმ ოჯახში არ გაქცეულიყავი, ჩვენ ახლა მშვიდობიანად ვისხდებოდით სკოლაში. ნუთუ შენ გგონია, რომ იერემია გაბედავდა ჩემს წაყვანას, სანამ შენს სამსახურში იყო? მაშასადამე, სულ არ გცოდნია აქაური წესები, მას ჩემთან უნდოდა ყოფნა, წვალობდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მისაფრდებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ თამაში იყო, ასე ეთამაშება ხოლმე პატრონს მშიერი ძაღლი, მაგრამ სუფრაზე ახტომას ვერ ბედავს. ჩემთანაც იგივე ამბავი იყო, მეც მიზიდავდა იერემია, ის ხომ ჩემი სიყრმის მეგობარია, ჩვენ ერთად ვთამაშობდით გოდლისგორის ფერდობზე, საოცარი დრო იყო, შენ ხომ ჩემთვის არასდროს გიკითხავს ჩემი წარსულის შესახებ. მაგრამ ყოველივე ეს არაფერს არ ნიშნავდა, სანამ იერემია სამსახურით იყო შებორკილი, მე კი ვიცოდი ჩემი მოვალეობანი როგორც შენმა მომავალმა ცოლმა. მერე შენ თანაშემწენი გაყარე ქუჩაში, თან ამაყობდი კიდეც ამით, თითქოს რაღაც გააკეთეო ჩემი გულისათვის. თან, რაღაც თვალსაზრისით, ეს სწორიც არის. არტურთან შენ რაღაცას მიაღწიე, მაგრამ სულ ცოტა ხნით. იგი ისეთი დელიკატურია, არ არის მასში ვნება, რომ არ იცოდეს დაბრკოლება, როგორც – იერემიაში, თანაც, შენ კინაღამ მოჰკალი იგი იმ ღამეს მუშტის დარტყმით, მაგრამ ამით დარტყმა მიაყენე ჩემს და შენს ბედნიერებასაც, თითქმის შემუსრე იგი! არტური გოდოლში გაიქცა საჩივლელად, და, თუმცა მალე დაბრუნდება, ახლა იგი აქ არ არის. მაგრამ იერემია დარჩა, სამსახურში უფროსმა წარბიც რომ აუწიოს, ელეთ-მელეთი მოსდის, ხოლო სამსახურის გარეთ არავის შიში არა აქვს. მოვიდა და წამიყვანა. შენ მიმატოვე, ის კი, ჩემი ძველი მეგობარი, დამეპატრონა, და მე ვეღარ გავუწიე წინააღმდეგობა. მე არ გამიღია სკოლის კარი, თვითონ შემოამტვრია ფანჯარა და იქიდან გამიყვანა. ჩვენ აქ გამოვიქეცით, სასტუმროს პატრონი მას პატივს სცემს, თანაც სტუმრებისათვის ასეთი დერეფნის მორიგე მისწრებაა, ჰოდა, მე და იერემია მიგვიღეს, ის ჩემთან არ ცხოვრობს, უბრალოდ, ოთახი გვაქვს საერთო.“ „და მაინც“, თქვა კ.-მ, „სულაც არ ვნანობ, თანაშემწენი რომ გავყარე. თუ ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება მართლაც ისეთი იყო, როგორც შენ აღწერ, და შენს ერთგულებას განსაზღვრავდა მხოლოდ თანაშემწეთა სამსახურებრივი მორჩილება, – მადლობა ღმერთს, რომ ყოველივე ეს დამთავრდა. არც ისეთი ბედნიერი იქნებოდა ქორწინება ორი აფთრის ძუძგურის პირობებში, რომელთაც მხოლოდ სახრის შიში აოკებდა. მაშინ მე მადლობელი უნდა ვიყო იმ ოჯახისაც, რომელიც უნებლიედ დაგვეხმარა, დავშორებოდით ერთმანეთს.“ ისინი დადუმდნენ და კვლავ მოჰყვნენ ერთად ბოლთის ცემას დერეფანში, ძნელი სათქმელი იყო, ვინ გადადგა პირველი ნაბიჯი, ფრიდა კ.-სთან ახლოს მოდიოდა და აშკარად უკმაყოფილო იყო, რომ იგი ხელს არ ჰკიდებდა. „მაშასადამე, თითქოს ყველაფერი რიგზეა“, განაგრძო კ.-მ, – და ჩვენ, კაცმა რომ თქვას, შეგვეძლო, დავმშვიდობებოდით ერთმანეთს, შენ წახვიდოდი შენს პატრონთან, იერემიასთან, ის, ეტყობა, ჯერ კიდევ მაშინ გაცივდა, სკოლის ბაღში რომ ვარბენინე, თორემ შენ ისედაც მეტისმეტად დიდი ხნით დატოვე მარტოდმარტო, მე კი შემიძლია მარტო წავიდე სკოლაში ან, ვინაიდან მე იქ უშენოდ არაფერი მესაქმება, კიდევ

სხვაგან სადმე, სადაც მიმიღებენ და თუ მე, ყველაფრის მიუხედავად მაინც ორვჭოფობ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მე, ჯერ კიდევ ცოტაოდენი ეჭვი მეპარება იმაში, რაც შენ აქ მელაპარაკე. ჩემზე იერემიამ სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა. სანამ ჩემთან მსახურობდა, სულ შენზე იყო მოწებებული, და არა მგონია, რომ სამსახურს შეეძლო იგი დიდხანს ეიძულებინა, ხელი აეღო შენთან არშიყზე. მაგრამ ახლა, როდესაც მას სამსახური დასრულებულად მიაჩნია, ყველაფერი სხვაგვარად შებრუნდა. მაპატიე, თუ მე ასე გიხსნი საქმეს: მას შემდეგ, რაც შენ მისი ბატონის საცოლე აღარა ხარ, შენ უკვე ისეთი მაცდუნებელი ვერ იქნები მისთვის, როგორც ადრე. შეიძლება თქვენ იყოთ კიდეც სიყრმის მეგობრები, მაგრამ მას – თუმც მხოლოდ დღევანდელი მოკლე საუბრით ვიცნობ, – მას არად უღირს მთელი ეს ნაზი გრძნობები. ვერ გამიგია, რატომ გეჩვენება იგი ვნებაშემონთებულ მიჯნურად. პირიქით, მე ის განსაკუთრებით გულგრილი მეჩვენა. ეტყობა, გალატერისაგან მიიღო რაღაც, შეიძლება, ჩემთვის არც მთლად სახარბიელო, დავალება და ახლა ცდილობს, შეასრულოს ეს მითითება ბეჯითად და გულმოდგინედ, ეს უნდა ვაღიარო. აქ ასეთი გულმოდგინება არცთუ იშვიათად გვხვდება, თანაც, მას, ეტყობა, დავალებული ჰქონდა, მე და შენ დავეცილებინეთ ერთმანეთს. როგორც ჩანს, იგი ამის მიღწევას ცდილობდა სხვადასხვა ხერხით, და ერთი მათგანი იყო – ეცდუნებინე შენ თავისი ავხორცა მანჭვა-გრეხით, მეორე, აქ მას მხარში ამოუდგა მეფუნდუკის ცოლი – ყურები გამოგიჭედა ჩემს ღალატზე ლაპარაკით, და ეს მცდელობა გამოუვიდა. შეიძლება, აქ ისიც დაეხმარა, რომ მასთან იყო დაკავშირებული რაღაც ისეთით, რაც კლამს მოაგონებდა. მართალია, თანამდებობა მან დაჰკარგა, მაგრამ სწორედ იმ მომენტში, როდესაც, შესაძლოა, თანამდებობა უკვე აღარც სჭირდებოდა, ახლა თავისი გულმოდგინების ნაყოფს იმკის და შენ სკოლის ფანჯრიდან გადაჰყავხარ, მაგრამ ამით სრულდება მთელი მისი საქმიანობა. სამსახურებრივი თავგამოდება აღარ მოეთხოვება, დაღლილ-დაქანცულია, ახლა ერთი სული აქვს, როდის აღმოჩნდება არტურის ადგილზე – ის ხომ საჩივლელად კი არ წავიდა, არამედ საქებარი სიტყვებისა და ახალი დავალებების მოსაპოვებად, მაგრამ აქაც ხომ უნდა დარჩენილიყო ვიღაც, რათა თვალი გაედევნებინა მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის. ერთი ის არის, რომ მას ცოტა არ იყოს, თრგუნავს შენზე ზრუნვის საჭიროება. შენდამი სიყვარულის ნასახიც არ არის აქ, ამაში გულახდილად გამომიტყდა. როგორც კლამის სატრფო, შენ რა თქმა უნდა, მას პატივისცემას შთაუნერგავ და მისთვის, რასაკვირველია, ძალზე სასიამოვნოა, შენს ოთახში მოიკალათოს, თუნდაც ცოტა ხნით იგრძნოს თავი რაღაც პატარა კლამის მსგავსად, მაგრამ ესაა და ეს. შენ კი მისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავ და ის, რომ შენ აქ მოგაწყო, – მხოლოდ დამატებაა მისი მთავარი დავალებისა. ხოლო შენ რომ არ იღელვო, ის თავადაც დარჩა აქ, მაგრამ მხოლოდ დროებით, სანამ არ მიიღებს ახალ მითითებებს გოდლიდან და სანამ შენ არ გამოაჯანმრთელებ.“ „შენ ცილს სწამებ იერემიას!“ თქვა ფრიდამ. და ერთმანეთს მიარტყა თავისი პატარა მუშტები. „ცილს ვწამებ?“ თქვა კ.-მ. „არა, სულაც არ მინდა, ცილი დავწამო. გეთანხმები, შეიძლება, უსამართლო ვიყო მის მიმართ, ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, და მაინც, ყველაფერი, რაც მე ვთქვი იერემიაზე, რასაკვირველია, არცთუ თვალში საცემია ერთი შეხედვით, და შეიძლება სხვადასხვაგვარად განმარტო, მაგრამ – ცილი დავწამო? ცილის დაწამება შეიძლებოდა ერთადერთი მიზნით – მებრძოლა შენს სიყვარულთან მისდამი. ეს რომ საჭირო ყოფილიყო, და ცილისწამება შესაფერისი საშუალება გამომდგარიყო, მე წამითაც არ ვიყოყმანებდი და ცილს დავწამებდი, ამისათვის ვერავინ დამძრახავდა იმიტომ, რომ თავისი ბატონების წყალობით იმდენი

უპირატესობა აქვს ჩემთან შედარებით ჩემ წინაშე, რომ მე, მთლიანად საკუთარ თავს მინდობილს, მექნებოდა უფლება, რაღაც დამებრალებინა მისთვის. ეს იქნებოდა შედარებით უწყინარი და, საბოლოო ანგარიშით, უძლური საშუალება მოგერიებისა. ასე რომ, გაშალე შენი მჯიღები!“ აქ კ.-მ გამოართვა ფრიდას ხელი და თავის ხელში დაიჭირა. ფრიდას უნდოდა, გამოეგლიჯა, მაგრამ გაიღიმა და მაინც და მაინც არ გასძალიანებია. „არა, ცილისწამება არ მომიწევს“, თქვა კ.-მ, „იმიტომ, რომ შენ სულაც არ გიყვარს იგი. მხოლოდ რაღაც ჩაიჭედე თავში და, მხოლოდ მადლიერი იქნები ჩემი, თუ გაგათავისუფლებ ასეთი ცდომილებისაგან. გაიგე ერთი რამ: თუ ვიღაცას სჭირდებოდა შენი განშორება ჩემთან, და არა ძალდატანებით, არამედ გეგმაზომიერად და ეშმაკურად, უნდა ცდილიყო ამის გაკეთებას ჩემი თანაშემწეების მეშვეობით. ისინი ხომ, ერთი შეხედვით, ასეთი გულკეთილები, ბავშვურები, ჭკუამხიარულები, უპასუხისმგებლონი არიან, თანაც, შენ მათთან ბავშვობის მოგონებები გაკავშირებს. ყოველივე ეს ისე გულისამაჩუყებელია, მეტადრე, როდესაც მე მათი სრული წინააღმდეგობა ვარ – სულ მუდამ დავრბივარ საქმეებზე, რომლებიც არ არის შენთვის მთლად გასაგები და გაღიზიანებს, მე მახვედრებენ ადამიანებს, როლებსაც შენ ვერ იტან და გძულს, და ჩემი მთელი უდანაშაულობის მიუხედავად, ამ სიძულვილიდან რაღაც ნაწილი ჩემზეც გადმოდის, ამის შედეგად გამოდის, რომ ბოროტად და საკმაოდ მზაკვრულად იყენებენ ჩემი და შენი ურთიერთობის ხარვეზებს. ყოველგვარ ურთიერთდამოკიდებულებას თავისი მანკიერებანი აქვს, ჩვენსას კი განსაკუთრებით, მე და შენ ხომ, თითოეული ჩვენგანი, მოსული ვართ ჩვენ-ჩვენი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სამყაროდან და, მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიცანით ერთმანეთი, თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრება სულ სხვა კალაპოტით წარიმართა, ჩვენ ჯერ კიდევ გაუბედავად ვგრძნობთ თავს. მეტისმეტად ახალი ხილია ჩვენთვის ყველაფერი. ჩემზე არაფერს გეუბნები – ეს არ არის მნიშვნელოვანი, ძირითადად, მას შემდეგ, რაც ჩემზე შეაჩერე შენი მზერა, სულ მწყალობ და მასაჩუქრებ, ხოლო წყალობას და საჩუქრებს იოლად ეჩვევი კაცი. შენ კლამს მოგწყვიტეს – სხვა რაღაცეებს თავი რომ დავანებოთ, – ჩემთვის ძნელია, შევაფასო, რას ნიშნავს ეს შენთვის, მაგრამ რაღაც წარმოდგენა მაინც შევიქმენი თანდათან ყველაფერზე. შენ ბორძიკობ ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ვერ გიპოვია შენი ადგილი, და თუმცა ყოველთვის მინდა, მხარში გედგე, ყოველთვის როდი ვარ ხოლმე შენს გვერდით, და მაშინაც კი, როდესაც აქ ვარ, შენ ტყვეობაში ჰყავხარ შენს ფანტაზიებს. ზოგჯერ კი ვიღაც ცოცხალ არსებასაც, მაგალითად, მეფუნდუკის ცოლს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იყო წუთები, როდესაც შენ მე კი არ მიყურებდი, სადღაც განზე იცქირებოდი. საბრალო პატარას, ანდამატივით გიზიდავდა რაღაც გაურკვეველი, ბუნდოვანი, და საკმარისი იყო, ასეთ წუთებში შესაფერისი ადამიანები დაეყენებინათ იქ, საითკენაც შენი მზერა იყო მიმართული, და შენ მათ ემორჩილებოდი. ვერ უძლებდი ცდუნებას, თითქოს ეს წარმავალი წამები, ლანდები და მოჩვენებები, ძველი მოგონებანი – ერთი სიტყვით, სამუდამოდ გასული და სულ უფრო შორს მიმავალი წარსული ცხოვრება ჯერ კიდევ არისო შენი ნამდვილი, ახლანდელი ცხოვრება. არა, ფრიდა, ეს იყო შეცდომა, ეს უკანასკნელი და, თუ სწორად განვსჯით, იოტისოდენა დაბრკოლება ჩვენი საბოლოო შეერთების გზაზე. დაუბრუნდი საკუთარ თავს, მოიკრიბე ძალა, მაშინაც კი, თუ ფიქრობდი, რომ თანაშემწენი კლამმა მოგვიგზავნა – თუმცა, ეს არ არის მართალი, ისინი გალატერმა შემოგვიჩინა, – და მაშინაც კი, თუ ისინი ცდილობდნენ, იმდენად მოეჯადოვებინე ასეთი ტყუილით, რომ შენ მათს სიბინძურეში და სისაძაგლეშიც კი კლამი გეჩვენება, როგორც ზოგჯერ კაცს ელანდება, რომ ნაკელის გროვაში დაკარგულ ბრილიანტს ხედავს, მაშინ

როდესაც იგი მას ვერასდროს იპოვიდა, პატიოსანი თვალი რომც ყოფილიყო იქ, – მაგრამ ისინი ხომ უბრალო, ტლუ ბიჭები არიან საჯინიბოს მსახურთა მსგავსად, მხოლოდ მეჯინიბეებისნაირი ჯანი არ მოსდგამთ, სუფთა ჰაერი მაშინვე ავად უბრუნდებათ და ასნეულებს, ლოგინებში ყრის, ხოლო შესაფერის ლოგინს ლაქიური გაიძვერობით თავისთვის დაუყოვნებლივ პოულობენ, – ეს ყოველივე ლაქიური გაიძვერობაა!“ ფრიდამ თავი მიაყრდნო მხარზე კ.-ს, და ასე ჩახუტებულნი კვლავ მოჰყვნენ მდუმარედ სიარულს დერეფანში. „აი, მე და შენ რომ“, თქვა ფრიდამ ნელა, თითქმის დამშვიდებულმა, თითქოს იცისო, რომ მას დიდი ხნით არ რგებია კ.-ს მხარზე ნებივრობის ეს წუთი, მაგრამ სურს ამ წუთით სრულად დატკბესო, „აი, მე და შენ რომ ერთბაშად, იმავე ღამეს წავსულიყავით, ჩვენ შევძლებდით, სადმე უსაფრთხოდ დაგვეწყო ცხოვრება, და შენი ხელი მუდამ აქ ყოფილიყო, მე კი ყოველთვის შემძლებოდა მისი აღება. ო, როგორ მჭირდება შენი სიახლოვე, რა მარტოსულად ვგრძნობ თავს მას შემდეგ, რაც შენ გაგიცანი, როცა შენს სიახლოვეს ვკარგავ; შენი სიახლოვეა ის ერთადერთი, რაზეც ვოცნებობ, რასაც ვნატრობ, დამიჯერე, ერთადერთი.“

მოულოდნელად გვერდითა დერეფანში ხმა გაისმა, ეს იერემია იყო, რომელიც პერანგისამარა იდგა ქვედა საფეხურზე და მხრებზე ფრიდას თავშალი მოეხვია. გაჩეჩილი, გალუმპული, თითქოს წვიმაში მოყოლილი წვერით, ხვეწნა-მუდარითა და საყვედურით სავსე გადმოკარკლული თვალებით, მუქი წითელი, ხრწნაშეპარული ხორცივით ფაშარი ლოყებითა და შიშველი ფეხებით, რომლებიც სიცივისაგან ისე უკანკალებდა, რომ თავშალის ფოჩები ცახცახს აეტანა, იგი ჰგავდა საავადმყოფოდან გამოქცეულ სნეულს და აქ სხვა ვერაფერზე ვერ იფიქრებდი გარდა იმისა, რომ სასწრაფოდ ჩაგეწვინა იგი ლოგინში. სწორედ ასე აღიქვა ეს ფრიდამაც. გაითავისუფლა თავი კ.-ს ხელიდან და მყისვე გაჩნდა ქვევით, იერემიას გვერდით. ფრიდას სიახლოვის, მზრუნველობის და სითბოს წყალობით, რომელმაც მჭიდროდ შემოხვია თავშალი და ცდილობდა სასწრაფოდ დაებრუნებინა ოთახში, იერემიას ერთბაშად მოემატა ძალები. გეგონებოდა, ახლა-ღა იცნოო კ. „ბატონ მიწისმზომელს ვახლავართ!“ – თქვა მან და დაყვავებით მოუთათუნა ლოყაზე ხელი ფრიდას, რომელსაც აშკარად არ სურდა ლაპარაკის გაგრძელება. „უკაცრავად, თუ ხელი შეგიშალეთ. მაგრამ მე ძალიან ავად ვარ, ასე რომ, მეპატიება. მგონი, სიცხე მაქვს და არ მაწყენდა ცხელი ჩაი, რომ ოფლი მოვიდინო. სკოლის ბაღის ის წყეული გისოსი არასდროს დამავიწყდება, ხოლო შემდეგ უკვე გაცივებულმა ღამით ვირბინე, მსხვერპლად სწირავ შენს ჯანმრთელობას და თავადაც ვერ ამჩნევ, რას, რა საქმეს, ღირდეს მაინც?! მაგრამ თქვენ, უფალო მიწისმზომელო, ნუ გერიდებათ ჩემი, წამობრძანდით ჩვენს ოთახში, სასთუმალთან დაუჯექით ავადმყოფს და უთხარით ფრიდას ყველაფერი, რაც კიდევ დაგრჩათ სათქმელი. როდესაც ერთმანეთს შორდება ორი ახლობელი და ერთმანეთს მიჩვეული ადამიანი, მათ უკანასკნელ წუთებში იმდენი რამ აქვთ სათქმელი ერთურთისათვის, რომ მესამე, განსაკუთრებით, თუ ის ლოგინში წევს და დიდი ხნის შეპირებულ ჩაის ელოდება, ვერც კი გაიგებს ვერაფერს. შემობრძანდით, მე ჩუმად ვიწვები.“ „გეყო, გეყო“, თქვა ფრიდამ და ხელზე მოქაჩა. „ალმური სწვავს, თავად არ ესმის, რას ლაპარაკობს, მაგრამ შენ, კ., ნუ წამოგვყვები, ძალიან გთხოვ, ეს ოთახი ჩემი და იერემიასია, უფრო სწორად მხოლოდ ჩემი, და მე გიკრძალავ იქ ჩვენთან ერთად შემოსვლას. მაინც არ მეშვები, კ., რატომ არ მეშვები? აღარასოდეს, აღარასოდეს დაგიბრუნდები. ცახცახი მიტანს, როგორც კი გავიფიქრებ, რომ ეს შესაძლებელია. წადი შენს გომბიოებთან, ისინი შენს გვერდით სხედან,

პერანგისამარა, როგორც მიამბეს, ხოლო როცა შენს წასაყვანად მოდიან, ისინი სისინს იწყებენ. ეტყობა, შენ მათთან სახლში შინაურულად გრძნობ თავს, რადგან ასე მიგიწევს გული, მე კი ყოველთვის გიჭერდი, არ განებებდი მათთან ურთიერთობას, თუმცა – ამაოდ, მაგრამ მაინც გიჭერდი, ახლა ყველაფერი დამთავრებულია, შენ თავისუფალი კაცი ხარ, იქ საოცარი ცხოვრება მოგელის; შეიძლება, ერთი მათგანის გულისთვის მოგიწიოს მცირე უსიამოვნებამ მსახურებთან, მაგრამ რაც შეეხება მეორეს, არც დედამიწაზე და არც ზეცაში არ მეგულება ვინმე, რომ შეგეცილოს მას. თქვენი კავშირი წინასწარ არის კურთხეული და დალოცვილი, ნუ უარყოფ ნურაფერს, მე ვიცი, შენ შეგიძლია ყველაფერი გააქარწყლო, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, არაფერი იქნება გაქარწყლებული. ხედავ, იერემია, როგორ უარყოფს ყველაფერს?!“ მათ გაგებით დაუკრეს თავი და გაუღიმეს ერთმანეთს. „მაგრამ“, განაგრძო ფრიდამ, „მაშინაც კი, ყველაფერი რომ გაექარწყლებინა, რასაც ამის წყალობით მიაღწია, მე რა მესაქმება? იქ, იმათთან სულ რაღაც ხდება, ეს მათი და მისი საქმეა, არა ჩემი. ჩემი საქმეა – შენ მოგიარო და დაგაყენო ფეხზე. გახდები ისეთივე ჯანმრთელი როგორიც იყავი, სანამ კ. ჩემი გულისთვის დაგიწყებდა სულის ამოხდას.“ „მაშასადამე, თქვენ მართლაც არ წამოხვალთ ჩვენთან ერთად, უფალო მიწისმზომელო?“ ჰკითხა იერემიამ, მაგრამ აქ ფრიდამ, რომელიც კ.-ს უკვე ზედაც არ უყურებდა, საბოლოოდ წაიყვანა ავადმყოფი. ქვემოთ მოჩანდა პატარა კარი, კიდევ უფრო დაბალი, ვიდრე დერეფნის კარები, – არა მარტო იერემია, არამედ ფრიდაც იძულებული გახდნენ შესვლისას თავი დაეხარათ, – შიგნით, როგორც ჩანს, თბილოდა და შუქი ენთო. მოისმა ჩურჩული, ალბათ, ქალი ალერსიანად, დაყვავებით ეუბნებოდა იერემიას, ლოგინში დაწოლილიყო, შემდეგ კარი მიიკეტა.

23.

ახლა-ღა შეამჩნია კ.-მ, რა სიჩუმე ჩამოვარდა დერეფანში, და არა მარტო იმ ნაწილში, სადაც იგი ფრიდასთან ერთად იყო, – ეს ნაწილი, როგორც ჩანს, სამეურნეო სათავსებს განეკუთვნებოდა, – მაგრამ იმ გრძელ დერეფანშიც კი, სადაც ოთახები იყო განლაგებული, რომლებშიც აქამდე ასე ხმაურობდნენ. მაშასადამე, ბატონებმა ბოლოს და ბოლოს დაიძინეს. კ.-ც ძალზე დაღლილი იყო, და შესაძლოა, დაღლილობის გამო არ მოსვა იერემია თავის ადგილზე, რისი ღირსიც იყო. შეიძლება, უფრო გონივრული ყოფილიყო, მიებაძა იერემიასთვის, რომელიც აშკარად აზვიადებდა თავის გაცივებას – არადა, მისი საცოდაობა გაციებისგან კი არ მოდიოდა, არამედ თავისი დღე და მოსწრება ასეთი იყო და ვერავითარი სამკურნალწამლო ნაყენი ვერ უშველიდა, – დიახ, იერემიასთვის უნდა მიებაძა და ყველასთვის ეჩვენებინა, რა საშინლად იყო დაღლილი, აქვე, დერეფანში მიწოლილიყო, რაც თავისთავადაც სასიამოვნო იქნებოდა, ცოტა წაეთვლიმა და მაშინ, ეგებ მიეხედა და ეზრუნა მისთვის ვინმეს, ოღონდ საეჭვოა, ისე იღბლიანად გამოსვლოდა ყოველივე, როგორც იერემიას, ის, ალბათ, სამართლიანად გაიმარჯვებდა თანაგრძნობისათვის ბრძოლაში ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ბრძოლაში. კ. ისე დაიღალა, რომ ერთი პირობა იფიქრა კიდეც: ხომ არ მესინჯა, შევპარულიყავი ერთ-ერთ ოთახში – ბევრი მათგანი ნაღდად ცარიელია – და იქ გამომეძინა, როგორც წესი და რიგია, კარგ საწოლში. ეს ჯილდო იქნებოდა ბევრი რამისათვის, იფიქრა მან. თან ძილის წინ დასალევიც ჰქონდა. ლანგარზე რომელიც ფრიდას დარჩა იატაკზე, ჭურჭლის გარდ,ა რომის პატარა

გრაფინიც იდგა. კ.-ს ბევრი არ უფიქრია, აქედან როგორ დავბრუნდებიო, და გრაფინი ბოლომდე გამოცალა.

ახლა, ყოველ შემთხვევაში, იმდენ ძალას მაინც გრძნობდა, რომ ერლანგერის წინაშე წარმდგარიყო. დაიწყო ერლანგერის ოთახის კარის ძებნა, მაგრამ ვინაიდან არც მსახური და არც გერშტეკერი არსად ჩანდნენ, ხოლო ყველა კარი გაჭრილი ვაშლივით გავდა ერთმანეთს, საჭირო კარის პოვნა ვერ შეძლო. მაგრამ ეგონა, რომ დაიხსომა, დერეფნის რა ადგილას იყო ის კარი, და გადაწყვიტა, გაეღო ერთ-ერთი ოთახის კარი, რომელიც, მისი აზრით, სწორედ ის გამოდგებოდა, რომელსაც ეძებდა. ეს ცდა არავითარ საფრთხეს არ უქადდა. თუ ერლანგერი ოთახში აღმოჩნდა, მიიღებს, თუ სხვა ოთახი გამოდგებოდა, შეიძლებოდა, ბოდიში მოეხადა და გამოსულიყო, ხოლო თუ პატრონს ეძინებოდა, რაც ყველაზე უფრო იყო მოსალოდნელი, ვერც კი შეამჩნევდა კარის შეღებას. ყველაზე უარესი ის იქნებოდა, თუ ოთახი ცარიელი აღმოჩნდებოდა, იმიტომ, რომ მაშინ კ. ვერ გაუძლებდა ცდუნებას – ჩაწვებოდა ლოგინში და ერთი კარგად გამოიძინებდა. გაიხედა მარჯვნივ და მარცხნივ დერეფანში, ხომ არ მოდიოდა ვინმე, ვისთვისაც შეიძლებოდა ეკითხა, რომ ტყუილად არ გაერისკა, მაგრამ ცარიელ გრძელ დერეფანში სიჩუმეს დაესადგურებინა. კ.-მ ყური მიადო კარს: ოთახში არავინ იყო. მერე ისე ჩუმად დააკაკუნა, რომ მძინარე კაცს კაკუნის ხმაზე არ გამოეღვიძებოდა, ხოლო როდესაც ვერავითარი პასუხი ვერ გაიგონა, ძალზე ფრთხილად შეაღო კარი და აქ უეცრად ვიღაცამ ჩუმად შეჰყვირა. ოთახი პატარა იყო, ისეთი პატარა, რომ ნახევარზე მეტი ეკავა ვეებერთელა საწოლს. ღამის მაგიდაზე ელექტრული ნათურა ენთო, გვერდით საგზაო ჩანთა იდო, საწოლში ვიღაც, ვისაც თავზე წაეხურა საბანი, გადმობრუნდა და ჩურჩულით წარმოთქვა: „ვინ არის?“ ახლა კ. უკვე ასე უბრალოდ ვერ გავიდოდა აქედან, უკმაყოფილოდ შეხედა ფუმფულა, მაგრამ, სამწუხაროდ, დაკავებულ ლოგინს, გაიხსენა კითხვა, და თქვა, ვინც იყო. ამან სასიკეთო ნაყოფი გამოიღო. ლოგინში მწოლიარე კაცმა ცოტათი გადაიწია საბანი სახიდან, თან ეტყობოდა, რომ შეშინებული აპირებდა კვლავ საბნის ქვეშ ჩაერგო თავი, თუ რაღაც საეჭვო მოხდებოდა, მაგრამ მაშინვე, ანგარიშმიუცემლად გადაიგდო საბანი და წამოჯდა. რა თქმა უნდა, ეს ერლანგერი არ იყო. საწოლში იჯდა პატარა, სანდომიანი სახის ბატონი, რომლის სანდომიანობაში იყო რაღაც წინააღმდეგობრივი: ლოყები ბავშვურად ჰქონდა ჩაპუტკუნებული, თვალები – ბავშვურად მხიარული, მაგრამ სამაგიეროდ, მაღალი შუბლი, წვეტიანი ცხვირი და ვიწრო პირი თხელი ტუჩებით, რომელიც ძლივს მოჩანდა, და თითქმის ჩამოჭრილი ნიკაპი სულ არ გამოიყურებოდა ბავშვურად და აზრის დაძაბულ მოქმედებაზე მეტყველებდა. ეტყობა, საკუთარი თავით კმაყოფილება ანიჭებდა რაღაც ბალღურ ელფერს. „თქვენ იცნობთ ფრიდრიხს?“ ჰკითხა მან. მაგრამ კ.-მ უარყოფითად უპასუხა. „ის კი თქვენ გიცნობთ“, თქვა ბატონმა და, გაეცინა. კ.-მ თავი დაუკრა. ადამიანები, რომლებიც მას იცნობდნენ საკმარისზე მეტნი იყვნენ, და ეს მთავარი დაბრკოლებაც კი იყო მის გზაზე. „მე მისი მდივანი ვარ“, თქვა ბატონმა. „ჩემი გვარია ბიურგელი.“ „უკაცრავად, ბატონო“, თქვა კ.-მ და კარის სახელურს მოჰკიდა ხელი. „მაპატიეთ, თქვენი კარი სხვაში შემეშალა. მე ერლანგერის მდივანმა გამომიძახა.“ „რაოდენ სამწუხაროა“, თქვა ბიურგელმა, „სამწუხარო ის კი არ არის, რომ თქვენ სხვასთან გამოგიძახეს, დასანანია, რომ კარი შეგეშალათ. საქმე ის არის, რომ მე ვერაფრის დიდებით ვერ ვიძინებ, თუ ერთხელ გამომაღვიძეს. თუმცა, ეს თქვენ დიდად არ გტკენთ გულს, ეს ჩემი პირადი უბედურებაა. იცით, რატომ არ იკეტება აქ კარები? ამას თავისი მიზეზები აქვს. იმიტომ, რომ ძველი ანდაზის

თანახმად, მდივნის კარი მუდამ ღია უნდა იყოს. მაგრამ სულაც არ არის საჭირო ეს სიტყვა-სიტყვით გაიგო, არა განა?“ ბიურგელმა კითხვის თვალით შეხედა კ.-ს და მხიარულად გაუღიმა. ჩივილის მიუხედავად, ეტყობოდა, უკვე საუცხოოდ დაესვენა, ხოლო ისე, როგორც ახლა კ. იყო დაღლილი, ეს ბიურგელი, ალბათ, არასდროს დაღლილა. „სად წახვალთ ახლა?“ ჰკითხა ბიურგელმა. „უკვე ოთხი საათია, თქვენ იძულებული იქნებით, გააღვიძოთ ყოველი კაცი, ვისთანაც შეაღებთ კარს, მაგრამ ყველა როდია ჩემებრ ბუნჩულა. შეიძლება არც მოგითმინონ, მდივნები ნერვიული ხალხია. იჯექით აქ ცოტა ხანს, საათის ხუთზე ყველანი წამოიშლებიან, მაშინ თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იქნება, წახვიდეთ იმასთან, ვინც გამოგიძახათ. ასე რომ, გთხოვთ, გაუშვით ხელი, ბოლოს და ბოლოს კარის სახელურს და ჩამოჯექით სადმე, მართალია, აქ, ცოტა არ იყოს, სივიწროვეა, უმჯობესია საწოლის კიდეზე ჩამოჯდეთ. თქვენ გიკვირთ, რომ მე არც მაგიდა მაქვს, არც სკამები? იცით, ჩემს წინაშე იდგა არჩევანი, ან ამეღო ავეჯით გაწყობილი ოთახი, მაგრამ - ვიწრო სასტუმრო საწოლით, ან ეს უავეჯო – და დიდი საწოლით და ერთი პირსაბანით. მე დიდი საწოლი ვარჩიე, საძინებელში საწოლი ხომ ყველაზე მთავარია! ეჰ, რა დიდებული რამ არის ეს საწოლი კაცისათვის, რომელსაც შეუძლია მამაპაპურად გაჭიმოს ფეხი და დაიძინოს, იმისათვის, ვინც მაგარი ძილი იცის, მაგრამ მეც კი, თუმცა ყოველთვის ვგრძნობ დაღლილობას, არ მეძინება, მეც კი მსიამოვნებს აქ, თითქმის მთელი დღეს ვატარებ საწოლში. აქ ვუძღვები კორესპონდენციას, აქ ვისმენ მთხოვნელებს და ეს ძალზე მოსახერხებელია. მართალია, მთხოვნელებს ვერსად ვსვამ, მაგრამ ამას საწყენად არ იღებენ, მათთვის უკეთესიც კია, თუ ფეხზე დგანან, ხოლო ოქმის შემდგენელი უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, ვიდრე ისინი მოხერხებულად რომ დამსხდარიყვნენ და საყვედურებისა და ცაცხანისათვის ესმინათ. მერე კიდევ, მე ხომ შემიძლია, ვიღაც ჩამოვსვა საწოლის კიდეზე, მაგრამ ეს ადგილი არ არის სამსახურებრივი საქმეებისათვის განკუთვნილი, აქ მხოლოდ ღამის მოლაპარაკება წარმოებს. რას გაჩუმებულხართ, უფალო მიწისმზომელო?“ „ძალიან დავიღალე“, თქვა კ.-მ, რომელმაც დაჯდომის შეთავაზებისთანავე უბოდიშოდ მოიკალათა საწოლზე და მის ზურგს მიეყრდნო. „გასაგებია“, თქვა ბიურგელმა, რომელსაც ულვაშებში ჩაეცინა, „აქ ყველა დაღლილია. ავიღოთ თუნდაც ჩემი მაგალითი, მე გუშინაც და წუხელიც გვარიანი მუშაობა გავწიე. ამასთან, სრულიად გამორიცხულია, რომ ახლა დავიძინო. მაგრამ თუ მოხდა კიდეც ასეთი წარმოუდგენელი რამ, გთხოვთ, წყნარად იჯექით და ნუ გააღებთ კარს. ისე კი, ნუ გეშინიათ, მე ალბათ ვერ დავიძინებ, უკეთეს შემთხვევაში, წუთით მოვატყუებ თვალს, თუმცა, იმდენად მივეჩვიე მთხოვნელთა მიღებას, რომ ყველაზე უკეთ მეძინება, როცა აქ, ჩემთან სხედან.“ „რამდენიც გენებოთ, იძინეთ, ბატონო მდივანო!“ თქვა ამ განცხადებით გახარებულმა კ.-მ. „და თუ ნებას დამრთავთ, მეც ცოტას წავუძინებ.“ „არა, არა“, გაეცინა ბიერგელს, „სამწუხაროდ, მე ვერ დავიძინებ უბრალოდ თქვენი შემოთავაზებით, მხოლოდ საუბრის დროს შეიძლება უეცრად მომეცეს ასეთი შესაძლებლობა, მე ყველაზე უკეთ მაძინებს საუბარი. დიახ, ჩვენს საქმეში ნერვები გვარიანად ზარალდება. მე, მაგალითად, კავშირის მდივანი ვარ. თქვენ, ალბათ, არც კი იცით, რა არის ეს? ჰოდა, მე ვარ ყველაზე მტკიცე კავშირი“, აქ მან კმაყოფილებისაგან უნებლიედ მოიფშვნიტა ხელი, „ფრიდრიხსა და სოფელს შორის, მე ვახორციელებ კავშირს გოდოლში და სოფელში მის მდივნებს შორის, მეტწილად სოფლად ვიმყოფები, მაგრამ არა სულ მუდამ, ყოველ წამს მზად უნდა ვიყო, რომ გოდოლში დავბრუნდე. აი, ხედავთ, იმ ჩემს საგზაო ჩანთას, რა მოუსვენარი ცხოვრება მაქვს, ყველა როდი გაუძლებდა. მეორე მხრივ, ისიც

მართალია, რომ უამსამუშაოდ ვერ გავძლებდი, ყოველგვარი სხვა სამუშაო უმნიშვნელო მომეჩვენებოდა, თქვენი გეოდეზიური სამუშაოების საქმე როგორღაა?“ „მე არ ვეწევი ამ სამუშაოებს, აქ მიწისმზომლად არ მიყენებენ“, თქვა კ.-მ, მაგრამ მისი აზრები ახლა საქმეებისაგან შორს იყო. ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაეძინებოდა ბიურგელს, მაგრამ ესეც ეწადა მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე რაღაც მოვალეობის გრძნობის გამო, გულში გრძნობდა, რომ მომენტი, როდესაც ბიურგელს ჩაეძინება, განუზომლად შორს არის. „უცნაურია“, თქვა ბიურგელმა, მსწრაფლ ასწია თავი და საბანსქვემოდან ამოიღო უბის წიგნაკი რაღაც ჩანანიშნებისათვის. „თქვენ მიწისმზომელი ბრძანდებით, ხოლო გეოდეზიურ სამუშაოებს არ აწარმოებთ.“ კ.-მ ანგარიშმიუცემლად დაუკრა თავი: მან საწოლის ზურგის მთელ სიგრძეზე გაშალა მარცხენა ხელი, მას თავი ჩამოაყრდნო, განუწყვეტლივ ეძებდა, როგორ დამჯდარიყო მოხერხებულად და ეს მდგომარეობა ყველაზე შესაფერისი მოეჩვენა, ახლა შეეძლო, ყურადღებით ეგდო ყური ბიურგელის სიტყვებისათვის. „მე მზად ვარ“, განაგრძო ბიურგელმა, „გავერკვე ამ საქმეში, ჩვენში ნამდვილად არ არის ისეთი წესები, რომ სპეციალისტი დანიშნულებისამებრ არ გამოიყენო. ბუნებრივია, ეს თქვენთვისაც საწყენი იქნება. განა არ გაწუხებთ ეს?“ „დიახ, მაწუხებს“, წარმოთქვა კ.-მ ნელა, თან თავისთვის ეღიმებოდა, რომ სწორედ ახლა ოდნავადაც არ აწუხებდა. ამას გარდა, ბიურგელის წინადადებამაც არ მოახდინა მასზე არავითარი შთაბეჭდილება, ყოველივე ეს ნამდვილი დილეტანტობა იყო. ბიურგელმა არაფერი იცოდა იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც აქ მოიყვანა კ., სიძნელეებზე, რომლებსაც იგი სოფელში და გოდოლში გადააწყდა. მისი საქმეების არეულობაზე, რომელსაც კ.-ს სოფლად ყოფნის მანძილზე უკვე ეჩინა თავი ან შემდეგ იჩენს, – არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა ყოველივე ამის შესახებ, უფრო მეტიც, არც კი ცდილობდა, ისე დაეჭირა თავი, რომ მას ყოველ შემთხვევაში, როგორც მდივანს შეჰფერის, თუნდაც შორეული წარმოდგენა ჰქონოდა ამ საქმეზე, და სთავაზობს სახელდახელოდ, რაღაც პატარა უბის წიგნაკის მეშვეობით მოაგვაროს გაუგებრობა იქ, ზევით. „ეტყობა, თქვენ უკვე მრავლად გქონდათ იმედგაცრუება“, თქვა ბიურგელმა და ამ სიტყვებით დაამტკიცა, რომ იგი მაინც ერკვევა ადამიანებში. საერთოდ, კ. იმ წუთიდანვე, როგორც კი ამ ოთახში შემოვიდა, განუწყვეტლივ ცდილობდა, დაერწმუნებინა საკუთარი თავი, რომ არ ღირს, ჯეროვნად არ შეაფასო ბიურგელი, მაგრამ იმ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც ძნელია სწორად განსაჯო რაიმე სხვა რამ, საკუთარი დაღლილობის გარდა. „არა“, განაგრძო ბიურგელმა, თითქოს კ.-ს რაღაც აზრებს პასუხობს და სურს, თავაზიანად ააცილოსო თავიდან ზედმეტი ლაპარაკის საჭიროება. „თქვენ ნუ შეგაშინებთ იმედგაცრუება. ზოგჯერ გგონია, აქ ყველაფერი განზრახ ისეა მოწყობილი, რომ ხალხი დააშინონ, ხოლო ვინც აქ პირველად მოდის, იმას ეს დაბრკოლებები სრულიად დაუძლეველი ეჩვენება. არ მოვყვები გარჩევას, როგორ არის საქმე არსებითად, შეიძლება ასეც იყოს, მე ერთობ ახლოს ვარ ყველაფერთან, რომ გარკვეული აზრი შევიქმნა, მაგრამ დაუკვირდით, ზოგჯერ წარმოიშობა ისეთი გარემოებანი, რომლებიც არანაირად არ არის დაკავშირებული საქმის ზოგად მდგომარეობასთან. ასეთ გარემოებებში ერთი მზერით, ერთი სიტყვით, ნდობის ერთი ნიშნის გამოხატვით შეიძლება გაცილებით მეტს მიაღწიო, ვიდრე მრავალი წლის მცდელობით, რომელმაც შეიძლება მოინელოს კაცი. ეს უდავოდ ასეა. მართალია, ერთი მხრივ, ეს შემთხვევითობანი შეეფერება საქმის ზოგად მდგომარეობას – იმაში, რომ მათ არასდროს არ იყენებენ. მაგრამ რატომ არ იყენებენ მათ? ყოველთვის ვეკითხები საკუთარ თავს.“ ეს კ-მ. არ იცოდა. და თუმცა შენიშნა, რომ ბიურგელის სიტყვები უშუალოდ მას ეხება, მაინც გაუელვა რაღაც

ზიზღმა ყველაფრისადმი, რაც მას უშუალოდ ეხებოდა, და ცოტათი გვერდზე მიაბრუნა თავი, რათა ერთი ყურიდან მეორეში გაეშვა ბიურგელის კითხვები ისე, რომ ისინი მას აღარ შეხებოდნენ. „გამუდმებით“, განაგრძო ბიურგელმა, მერე გაიზმორა, ფართოდ დააბჩინა პირი და დაამთქნარა, რაც უცნაურად ეწინააღმდეგებოდა მისი ნათქვამის სერიოზულობას, „მდივნები გამუდმებით ჩივიან, რომ მათ აიძულებენ ღამღამობით დაჰკითხონ ხოლმე სოფლის მცხოვრებნი. მაგრამ რატომ ჩივიან ამის გამო? იმიტომ, რომ მათ ეს ძალიან ქანცავს? თუ იმიტომ, რომ ღამის ძილი ურჩევნიათ? არა, ამის გამო არ ჩივიან. რა თქმა უნდა, მდივანთა შორის არიან უფრო ბეჯითებიც, ნაკლებად ბეჯითებიც, მაგრამ მეტისმეტად დიდ დატვირთვას არც ერთი მათგანი, ყოველ შემთხვევაში, ღიად, არ უჩივის. უბრალოდ, ასეთი რამ ჩვენ არა გვაქვს წესად, ამ მხრივ, ჩვენ არ ვასხვავებთ ჩვეულებრივ დროსა და სამუშაო დროს. ასეთი განსხვავება უცხოა ჩვენთვის, მაშ რატომ ეწინააღმდეგებიან მდივნები ღამის დაკითხვებს? იქნებ, მთხოვნელთა დანდობის სურვილით? არა, არა, მთხოვნელებს მდივნები სულაც არ ინდობენ, ისევე როგორც, საკუთარ თავს, აქ მათ არავითარი დანდობა არ იციან. მაგრამ არსებითად ეს დაუნდობლობა სხვა არა არის რა, თუ არა რკინისებრი წესრიგი სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას. ხოლო მეტი რა უნდა ინატროს მთხოვნელმა? ძირითადად, თუმცა ზერელე მაყურებლისათვის შეუმჩნევლად – ამას უკლებლივ ყველა აღიარებს, – სწორედ თვით მთხოვნელები მიესალმებიან ღამის დაკითხვებს, არავითარი არსებითი საწინააღმდეგო აზრი ღამის დაკითხვების წინაშე მათ არ გააჩნიათ. მაშ რატომ არიან მდივნები მთხოვნელების უკმაყოფილონი?“ კ.-მ არც ეს იცოდა, საერთოდ, ძალზე ცოტა რამ იცოდა. იგი ვერც კი არჩევდა, სერიოზულად ეკითხება ბიურგელი, თუ ყასიდად. „ნეტავ, მოეშვებოდე ამ ლაპარაკს და დამაძინებდე შენს საწოლზე“, ფიქრობდა კ., „მე ხვალ დღისით, ან უმჯობესია, საღამოჟამს გიპასუხებდი ყველა კითხვაზე.“ მაგრამ ბიურგელი თითქოს არ აქცევდა მას არავითარ ყურადღებას, მეტისმეტად იყო გატაცებული იმით, რასაც თვითონ ეკითხებოდა საკუთარ თავს. „რამდენადაც მე მესმის, და რამდენადაც მე გამოვცადე საკუთარი თავი, ძირითადად, მდივნები ღამის დაკითხვების წინააღმდეგი არიან შემდეგ მოსაზრებათა გამო: ღამე ყველაზე ნაკლებად შეეფერება მთხოვნელთა მიღებას, რომ ღამით ძნელია ან შეუძლებელიც კია მთლიანად შეინარჩუნო პროცედურის სამსახურებრივი ხასიათი. და ეს დამოკიდებულია არა გარეშე ფორმალობებზე, სურვილისამებრ, ისინი შეიძლება განუხრელი სიმკაცრით ღამითაც ისევე დაიცვა, როგორც დღისით. ასე რომ, საქმის თავი და თავი ეს არ არის, აქ ზიანი ადგება სწორედ სამსახურებრივ მიდგომას საქმისადმი. უნებლიედ ამჯობინებ, ღამ-ღამობით ყველაფერი განსაჯო უფრო პირადული თვალსაზრისით, მთხოვნელის სიტყვას მეტი წონა უჩნდება, ვიდრე ჯერ არს. სამსახურებრივ მსჯელობას ერევა სრულიად ზედმეტი მოსაზრებანი ადამიანების ცხოვრებისეულ გარემოებათა თაობაზე, მათს გაჭირვებასთან და თანჯვა-ვაებასთან დაკავშირებით. აუცილებელი საზღვარი მოხელისა და დასაკითხი პირის ურთიერთობაში იშლება, რაოდენ უზადოდაც უნდა დაიცვა იგი გარეგნულად, და იქ, სადაც, როგორც წესი და რიგია, უნდა შემოიფარგლო, ერთი მხრივ, კითხვებით, და, მეორე მხრივ, პასუხებით, ზოგჯერ, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს ეს, ხდება სრულიად უადგილო როლების გაცვლა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებენ მდივნები, რომელთაც თავიანთი პროფესიის გამო, გამოუმუშავდებათ განსაკუთრებით ფაქიზი ალღო ასეთ რაღაცეებზე, მაგრამ ისინიც კი, და ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ ჩვენს წრეებში – ნაკლებად ამჩნევენ ამ უმნიშვნელო გადახრებს ღამის დაკითხვების დროს. პირიქით, ისინი წინასწარ ძაბავენ მთელ თავიანთ ძალებს, რათა წინააღუდგნენ მსგავს

მოვლენებს, გაუძალიანდნენ და გაუმკლავდნენ მათ, და მიაჩნიათ, რომ საბოლოო ანგარიშით ახერხებენ განსაკუთრებით საგულისხმო შედეგების მიღწევას. მაგრამ როდესაც შემდეგ მათ ოქმებს კითხულობ, გიკვირს ის აშკარა იაღლიშები, რომლებიც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. და ეს ისეთი შეცდომებია, ჩვეულებრივ, ყოვლად გაუმართლებელი შეცდომები დაკითხულთა სასარგებლოდ, რომლებსაც, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ინსტრუქციებით ერთბაშად ჩვეულებრივი გზით უკვე ვერანაირად ვერ გამოასწორებ. რა თქმა უნდა, ოდესმე ამ შეცდომებს უეჭველად გამოასწორებს კონტროლის სამსახური, მაგრამ ეს მხოლოდ სამართლებრივ დარღვევათა გამოსწორების ხაზით მოხდება, და კაცს ვეღარაფრით ვეღარ ავნებს. განა ყველა გარემოებათა პირობებში მდივანთა ჩივილი არ არის დასაბუთებული?“ კ. უკვე დიდი ხანია ერთგვარ ძილ-ღვიძილში იმყოფებოდა, მაგრამ კიხთვამ იგი კვლავ გააღვიძა. „რა საჭიროა ყოველივე ეს? რისთვის მეუბნება ყოველივე ამას?“ ჰკითხა თავის თავს და ბიურგელს ნახევრად დახუჭული ქუთოთებიდან შეხედა, არა როგორც მოხელეს, რომელიც მასთან ერთად განიხილავს რთულ საკითხებს, არამედ როგორც მხოლოდ ვიღაც კაცს, რომელიც ხელს უშლის, დაიძინოს, რაღაც ისეთს, რაშიც იგი ვერავითარ სხვა აზრს ვერ ხედავდა, მაგრამ ბიურგელს, რომელიც მთელი არსებით გაეტაცა თავის აზრებს, ულვაშებში ეცინებოდა, თითქოს თავგზა აუბნია კ.-ს. ამავე დროს, იგი მზად იყო, კვლავ გაეყვანა მოსაუბრე სწორ გზაზე. „და მაინც“, თქვა მან, „ამ საჩივრებს სრულიად კანონიერსაც ვერ უწოდებ. რა თქმა უნდა, ღამის დაკითხვები არავითარი ინსტრუქციით არ არის უშუალოდ ნაბრძანები, ასე რომ, თუკი ცდილობენ მათ გვერდი აუარონ, ამით არავითარ მიწერილობას არ არღვევენ. მაგრამ ყველა გარემოებამ: სამუშაოთი გადატვირთვამ, გოდოლში მოხელეთა საქმიანობის ხასიათმა, სოფლად ჩამოსვლასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა, წესმა, რომლის შესაბამისად, დაკითხვა ინიშნება მხოლოდ საგულდაგულო გამოძიების შემდეგ, მაგრამ უკვე მაშინ, დაუყოვნებლივ, – ყოველივე ამან და ბევრმა სხვა რამემ ღამის დაკითხვები გარდაუვალ საჭიროებად აქციეს. მაგრამ რახან ისინი საჭიროებად იქცა, მაშინ უნდა გითხრათ: ეს, თუმცა არაპირდაპირ, ნიშნავს, რომ ისინი ინსტრუქციებიდან გამომდინარეობს, და დაიჩივლო ღამის დაკითხვებზე, ნიშნავს – აქ უკვე რამდენადმე ვაზვიადებ, მე ვკადნიერდები, ეს გამოვთქვა როგორც სწორედ გაზვიადება, – ეს ნიშნავს, რომ არსებითად ინსტრუქციაზე დაიჩივლო. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მიწერილობათა ფარგლებში მოქმედი მდივნები ცდილობენ, თავიდან აირიდონ ღამის დაკითხვები და მათთან დაკავშირებული უხერხულობანი, თუმცა, შესაძლოა, მოჩვენებითიც. რამდენადაც ეს შესაძლებელია, ისინი ამას ფართო მასშტაბით მიმართავენ. ხელს ჰკიდებენ იმ საქმეებს, რომლებიც ყველაზე ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ, საგულდაგულოდ ამოწმებენ თავიანთ თავს შეხვედრის წინ, და თუ შემოწმების შედეგი იმას მოითხოვს, უარს ეუბნებიან მთხოვნელს მიღებაზე, ზოგჯერ სულ უკანასკნელ წუთს, ზოგჯერ მთხოვნელს ბარე ათჯერ გამოიძახებენ, სანამ მის საქმეს მოჰკიდებდნენ ხელს, ხალისით გზავნიან თავის ნაცვლად კოლეგებს, რომლებიც მთლად ვერ ერკვევიან მოცემულ საკითხში და ამიტომ შეუძლიათ გადაწყვიტონ იგი უჩვეულო სიიოლით, ანდა, ნიშნავენ მიღებას თუნდაც ღამის დამდეგს ან დასასრულს, და თავისთვის ინახავენ შუაგულს, – ერთი სიტყვით, არსებობს უამრავი ასეთი ღონისძიება და არც ისე იოლი საქმეა, ჩაავლო ამ მდივნებს, და რამდენადაც თავმოყვარენი არიან ისინი, იმდენად შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა.“ კ.-ს ეძინა, მაგრამ ძილი არ იყო ნამდვილი, მას ესმოდა ბიურგელის სიტყვები, შეიძლება, უფრო უკეთაც, ვიდრე მაშინ, რომ ფხიზლობდა და წვალობდა. სიტყვები ზედიზედ ხვდებოდა ყურში, მაგრამ გაუქრა სიმძიმის შეგრძნება, თავს გრძნობდა

ლაღად, თავისუფლად, და ბიურგელს კი არ ჰყავდა ხელში აყვანილი, თვითონ კ. დრო და დრო ხელის ცეცებით მიიწევდა ბიურგელისაკენ, იგი ჯერ არ წაეღო ძილის მორევს, მაგრამ უკვე თანდათან ითრევდა. ახლა უკვე ვეღარავინ ამოიყვანდა ამ მორევიდან, და მას გაუჩნდა შეგრძნება, თითქოს გამარჯვება უკვე მოპოვებულია, აი, შეიკრიბა კომპანია ამ გამარჯვების სამაღარიჩოდ და ვიღაცამ ზუსტად არც იცოდა, თვითონ თუ სხვამ ასწია ჭიქა შამპანური მისი გამარჯვების დასალოცად და იმისათვის, რომ ყველას სცოდნოდა, რას ეხება საქმე, ბრძოლაც და გამარჯვებაც კვლავ გამეორდა, ან იქნებ არც გამეორდა და მხოლოდ ახლა მიმდინარეობს, ხოლო გამარჯვებას წინასწარ ზეიმობენ და განაგრძობენ ზეიმობას, იმიტომ, რომ შედეგი, საბედნიეროდ, უკვე გადაწყვეტილია. ერთ-ერთი მდივანი, გაშიშვლებული, ძალიან რომ ჰგავდა ბერძნული ღვთაების ქანდაკებას, კ.-მ ბრძოლაში დაჯაბნა. ეს ძალიან სასაცილო იყო და კ.-ს ძილში ეცინებოდა იმაზე, თუ როგორ კარგავდა მდივანი კ.-ს შეტევების დროს ამაყ პოზას, როგორ ჩქარობდა ქვემოთ ჩამოეშვა ზეაწეული ხელი და შეკრული მუშტი, რათა თავისი სიშიშვლე დაეფარა, მაგრამ სულ მუდამ აგვიანებდა. ბრძოლამ ცოტა ხანს გასტანა. ნაბიჯ-ნაბიჯ – ნაბიჯები კი ფართო იყო – კ. წინ მიიწევდა და, საერთოდ, იყო კია აქ ბრძოლა? არავითარი სერიოზული დაბრკოლების დაძლევა არ უხდებოდა, მხოლოდ დრო და დრო მდივანი შეჰკივლებდა ხოლმე. დიახ, ბერძნული ღვთაება წიოდა როგორც დედაკაცი, რომელსაც უღიტინებენ და, ბოლოს, საერთოდ გაქრა. კ. ვეებერთელა ოთახში მარტოდმარტო დარჩა, თამამად ავლებდა ირგვლივ მზერას, საბრძოლოდ შემართული მოწინააღმდეგის გამოსავლენად, მაგრამ არავინ იყო. კომპანია უკვე დაშლილიყო და მხოლოდ შამპანურის დამსხვრეული ჭიქის ნამტვრევები ეყარა იატაკზე. კ.-მ ფეხით გასრისა ისინი. მაგრამ ნამსხვრევები იჩხვლიტებოდა. იგი შეკრთა და გამოეღვიძა. გულს ეზიდებოდა, როგორც უეცრად გამოღვიძებულ ჩვილს, მაგრამ მაშინვე, როგორც კი მოშიშვლებულ მკერდზე შეხედა ბიურგელს, სიზმრიდან გამოცურდა აზრი: „აი, ეს არის შენი ბერძნული ღვთაება! გამოათრიე იგი ბუმბულის საწოლიდან!“ „მაგრამ ხდება ხოლმე...“ თქვა ბიურგელმა და ჭერს მიაშტერდა თითქოს სურს, გააცოცხლოს თავის მეხსიერებაში რაღაც მაგალითები და ვერ უპოვიაო ისინი. „მაგრამ ხდება ხოლმე, რომ მთელი სიფრთხილის მიუხედავად, მთხოვნელები პოულობენ შესაძლებლობას, სათავისოდ გამოიყენონ მდივანთა მთელი ეს სისუსტეები ღამის დროს, რა თქმა უნდა, თუ ჩავთვლით, რომ ასეთი სისუსტენი ნამდვილად არსებობს, მართალია, ეს შესაძლებლობა უაღრესად იშვიათად ჩნდება, უფრო სწორად, თითქმის არასდროს არ ჩნდება, ხოლო ასეთი შესაძლებლობა ის არის, რომ მთხოვნელი შუაღამისას მოდის გაუფრთხილებლად. შეიძლება, თქვენ გაგიკვირდეთ, რომ ამ, თითქოსდა ცხადზე უცხადეს შესაძლებლობას იშვიათად იყენებენ. თუმცა, თქვენ ხომ სულ არა ხართ ჩახედული თქვენს გარემოებებში, მაგრამ თქვენც უნდა გეცეთ თვალში ჩვენი სამსახურებრივი პროცედურის უწყვეტობა. ამ უწყვეტობიდან კი გამომდინარეობს, რომ ყოველი კაცი, ვისაც აქვს რაიმე საქმე ან უნდა დაიკითხოს რაღაც მიზეზების გამო ერთბაშად, დაუყოვნებლივ, ხშირად იქამდეც კი, სანამ თავად მიხვდებოდეს, რაში მდგომარეობს მისი საქმე, უფრო მეტიც, – იმაზე ადრეც კი, ვიდრე გაიგებდეს საქმის არსებობის ამბავს, უკვე იღებს გამოძახებას. პირველ ჯერზე მას არც ეკითხებიან, ჩვეულებრივ, მისი საქმე ჯერ კიდევ არ არის საკმარისად მომწიფებული, მაგრამ გამოძახება უკვე გადაეცა, მაშასადამე, გამოუძახებლად მოსვლა აღარ შეუძლია, უკიდურეს შემთხვევაში, შეუძლია გამოცხადდეს არა დანიშნულ დროს. რა გაეწყობა, მაშინ მის ყურადღებას მიაპყრობენ გამოძახების თარიღს და საათს, ხოლო როდესაც იგი დანიშნულ დროს მოვა, მას, როგორც წესი, უკან აბრუნებენ, ეს არ

აწყდება არავითარ სიძნელეებს: გამოძახება მთხოვნელს ხელზე აქვს და საქმეებში შეტანილი აღნიშვნა გამოცხადების შესახებ უკვე ევლინება მდივნებს, თუმცა არა ყოველთვის სრულფასოვან, მაგრამ მაინც ძლიერ დაცვის იარაღად. გასაგებია, ეს ეხება მხოლოდ მდივანს, რომელიც კომპეტენტურია ამ საქმეში, მაგრამ ყოველ კაცს შეუძლია ღამით უეცრად დაადგეს თავს ნებისმიერ სხვა მდივანს, ოღონდ, საეჭვოა, ვინმემ გაბედოს ეს. აზრი არა აქვს. უწინარეს ყოვლისა, ეს გააბრაზებს კომპეტენტურ მდივანს, მართალია, ჩვენ, მდივნები, მუშაობისას არავითარ შუღლს არ ვგრძნობთ ერთურთის მიმართ, თითოეულ ჩვენგანს ხომ მეტისმეტად დიდი, ჭეშმარიტად შეუზღუდველი დატვირთვა აქვს, მაგრამ მთხოვნელთა მიმართ ჩვენ არ უნდა დავუშვათ კომპეტენტურობის არავითარი დარღვევა. ბევრს წაუგია საქმე უკვე იმის გამო, რომ როდესაც ვერ შეძლო მოხვედრილიყო კომპეტენტურ კაცთან, შეეცადა, არაკომპეტენტურთან შეეღწია. მაგრამ ეს ცდები, როგორც წესი, მარცხისთვის არის განწირული, კიდევ იმიტომ, რომ არაკომპეტენტურ მდივანს, რამდენიც გინდა შეეჭერი და დაადექი თავზე ღამით, უდიდესი სურვილი რომც ჰქონდეს, მაინც ვერ დაეხმარება კაცს სწორედ იმის გამო, რომ საქმესთან არა აქვს შეხება და ჩარევა შეუძლია არა უმეტეს პირველივე შემხვედრი ადვოკატისა, კაცმა რომ თქვას, უფრო ნაკლებადაც კი, იმიტომ, რომ მას უბრალოდ არ ჰყოფნის დრო და, რომ შეეძლოს რაიმეს გაკეთება, რადგან ყველა უფალ ადვოკატზე უკეთ იცის მართლმსაჯულების იდუმალი თავდასაძვრენი გზები, იგი ვერ მოიცლის იმ საქმეებისათვის, რომლებშიც არ არის კომპეტენტური, წუთსაც ვერ მოახმარს მათ. ვინ დაიწყებს თავისი ღამის დროის ფუჭად ხარჯვას იმისათვის, რომ რამენაირად შეაღწიოს არაკომპეტენტურ მდივნებთან? თავად მთხოვნელებიც ხომ ერთთავად არიან დაკავებულნი, ვინაიდან თავიანთი ჩვეულებრივი მოვალეობების შესრულების გარდა, მათ უხდებათ დაიცვან პასუხსაგები ინსტანციების ყველა მიწვევა და გამოძახება, მართალია, ისინი ,,ერთთავად არიან დაკავებულნი“ მხოლოდ როგორც მთხოვნელები, რაც, რა თქმა უნდა, არანაირად არ შეესაბამება თვით მდივნების ,,სრულ დასაქმებას.“ კ. ღიმილით უკანტურებდა თავს, ეჩვენებოდა, რომ ახლა ყველაფერს მიხვდა, არა იმიტომ, რომ ეს მას ეხებოდა, არამედ იმ მტკიცე რწმენის გამო, რომ ერთი წუთის შემდეგ სულ მთლად ჩაეძინებოდა, ამჯერად უსიზმროდ და დაუბრკოლებლად: ერთი მხრივ, კომპეტენტურ და, მეორე მხრივ, არაკომპეტენტურ მდივნებს შორის, და ერთთავად დაკავებული მთხოვნელების ჯგროს წინაშე ახლა მას წაიღებს ძილის ღრმა მორევი და იქ თავიდან მოიშორებს ყველას, ხოლო ბიურგელის ხმადაბალ, თვითკმაყოფილ ხმას, რომლითაც საკუთარ თავს უნანავებდა, იგი ისე მიეჩვია, რომ ეს ხმა უფრო მეტად გვრიდა ძილს, ვიდრე უშლიდა ხელს. ,,ვინც რა უნდა თქვასო“, ფიქრობდა იგი, ,,წისქვილმა კი ფქვასო. ფქვი, ფქვი, საჩემოდ ფქვავ.“ ,,მაშ სადღა არის“, თქვა ბიურგელმა, – თან თითებს დიპლიპიტოსავით ირტყამდა ქვედა ტუჩზე, ფართოდ გაეხილა თვალები და გაეწვრილებინა წინ წამოწეული კისერი, თითქოს დამქანცველი გზის შემდეგ თვალწარმტაც პეიზაჟს უახლოვდებოდა, ,,სად არის მაშინ ის ზემოთ ხსენებული და იშვიათი შესაძლებლობა, რომელიც თითქმის არასდროს არ გეძლევა ხელში? მთელი საიდუმლო იმალება კომპეტენტურობის მიწერილობებში. აკი საქმე სულაც არ არის ისე, და ვერც შეიძლება იყოს დიდ, სიცოცხლისუნარიან ორგანიზაციაში, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური იყოს მხოლოდ ერთი გარკვეული მდივანი. დადგენილია, რომ ვიღაც ერთი პირი ახორციელებს მთავარ კომპეტენტურობას, ხოლო მრავალი სხვა – კომპეტენტურია დეტალებში, თუნდაც, ნაკლებად, ან, შეძლებდა კია ვინმე, უბეჯითესი მუშაკიც რომ იყოს, მარტოდ მარტო შეაგროვოს საწერ მაგიდაზე მთელი მასალა თვით ყველაზე

მცირე საქმის გამო? ისიც, რაც გითხარით მთავარ კომპეტენტურობაზე, მეტისმეტად ძლიერად არის ნათქვამი. განა ყველაზე მცირე კომპეტენტურობაში არ იმალება მთელი კომპეტენტურობა? განა აქ არ ხდება გადამწყვეტი ის სიბეჯითე, რომლითაც კაცი ჰკიდებს ხელს საქმეს? და განა ამ სიბეჯითეს ყოველთვის ეთქმის ერთნაირი, განა ყოველთვის ვლინდება იგი სრული ძალით? მდივნები შეიძლება ყველაფრით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ასეთი განსხვავება მრავალია, მაგრამ სამსახურებრივ სიბეჯითეში მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის. ყველა თავგამოდებული იღვწის და იღვაწებს, თუ მოულოდნელად შესთავაზებენ იმ საქმეზე მუშაობას, რომელშიც მინიმალურად მაინც ერკვევა. რა თქმა უნდა, გარეგნულად უნდა არსებობდეს საქმის წარმოების გარკვეული წესი და ამის მეოხებით წინა პლანზე გადმოდის გარკვეული მდივანი, რომელთანაც მათ სამსახურებრივი ურთიერთობა აქვთ. მაგრამ ეს არ არის მაინც და მაინც ის მდივანი, რომელიც სხვებზე უკეთ ერკვევა საქმეში, აქ ყველაფერს წყვეტს ორგანიზაცია და მისი საარსებო მოთხოვნილებანი მოცემულ წუთში. აი, ასეთი გახლავთ საქმეთა ვითარება. ახლა აწონ-დაწონეთ, უფალო მიწისმზომელო, შესაძლებლობა, როდესაც მთხოვნელი, რაღაც გარემოებების გამოისობით, მიუხედავად უკვე თქვენთვის აღწერილი და, კაცმა რომ თქვას, სავსებით სერიოზული დაბრკოლებებისა, იგი მაინც იხელთებს დროს და შუაღამისას თავს დაადგება რომელიმე მდივანს, რომელსაც ერთგვარი დამოკიდებულება აქვს მოცემულ საქმესთან. ასეთ შესაძლებლობაზე თქვენ, ალბათ, არც გიფიქრიათ? მჯერა, მერწმუნეთ, მჯერა თქვენი. მასზე არც ღირს ფიქრი, ვინაიდან იგი თითქმის არასდროს მოგეცემათ და მაშინ, რა პაწაწკინტელა და მოუსვენარი მარცვალი უნდა იყოს ეს მთხოვნელი, რომ ასეთ წმინდა საცერში გაიპაროს? გგონიათ, ასე არ შეიძლება მოხდეს? მართალი ბრძანდებით, დიახ, ასე არ შეიძლება მოხდეს, მაგრამ ოდესმე – ვის შეუძლია, წინასწარ განსაჯოს? – ოდესმე ღამით ეს მაინც მოხდება. რა თქმა უნდა, ჩემს ნაცნობებს შორის მე არ მეგულება კაცი, ვისაც რაღაც ამდაგვარი შემთხვეოდეს, მართალია, ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ჩემი ნაცნობობა აღნიშნულ ადამიანთა რიცხოვნობასთან შედარებით შეზღუდულია, და, გარდა ამისა, მაინც და მაინც არ მეჯერება, რომ ის მდივანი, ვისაც ასეთი რამ შეემთხვა, გამოტყდება ამაში, ყოველივე ეს ხომ უაღრესად პირადული საქმეა და გარკვეულწილად სერიოზულად ეხება პროფესიულ ეთიკას. და მაინც, მე, ალბათ, გამოცდილებით ვიცი, რომ საქმე ეხება უაღრესად იშვიათ შემთხვევას, რომლისთვისაც მხოლოდ მომიკრავს ყური და რომელიც არაფერს არ ამტკიცებს, იმიტომ, რომ გეშინოდეს ასეთი შემთხვევისა – ნიშნავს ძლიერ აზვიადებდე ვითარებას. ასეთი შემთხვევა რომც მომხდარიყო, შეიძლებოდა, მერწმუნეთ, იგი სრულიად უგულებელგვეყო, დაგვემტკიცებინა – ესეც ძალზე იოლი საქმეა, – რომ ასეთი რამ ქვეყანაზე არ ხდება. და საერთოდ, ეს ავადმყოფური მოვლენაა – იმალებოდე ასეთი შემთხვევის შიშით საბნის ქვეშ, და არ შეგეძლოს თუნდაც გამოაჭყიტო თვალი მაშინაც კი, თუ ამ წმინდა წყლის შეუძლებლობამ უეცრად შეისხა რეალობის ხორცი, ნუთუ მაშინ ყველაფერი დაკარგულია? არა და არა, პირიქით! დაკარგო ყველაფერი – ეს კიდევ უფრო წარმოუდგენელია, ვიდრე ყველაზე დიდი შეუძლებლობა, მართალია, თუ მთხოვნელი უკვე ოთახში შემოიპარა, ცუდად არის საქმე. აქ გული გეკუმშება, კიდევ დიდხანს შეძლებ წინააღმდეგობას? – ეკითხები საკუთარ თავს. მაგრამ არავითარი წინააღმდეგობა არ გამოვა და ეს ზუსტად იცი, ოღონდ, თქვენ სწორად წარმოიდგინეთ ეს მდგომარეობა. ის, ვინც შენ ერთხელაც არ გინახავს, მაგრამ ვისაც შენ გამუდმებით ელოდებოდი, ელოდებოდი მოუთმენელი სიხარბით, ის, ვინც შენ სრულიად გონივრულად მიგაჩნდა არარსებულად, ის, ეს

მთხოვნელი, შენს წინაშე ზის და უკვე თავისი უტყვი აქ ყოფნით, მოგიწოდებს ჩასწვდე მის უბადრუკ ცხოვრებას, უფათურო იქ ხელი და დაამყარო წესრიგი, როგორც შენს საკუთარ სამფლობელოში, და იტანჯო მასთან ერთად მისი ამაო პრეტენზიების გამო. ეს მოწოდება, რომელიც ღამის სიჩუმეში მოგესმის, გულის სიღრმეში გწვდება. აჰყვები მას – და, არსებითად უკვე აღარ გრძნობ თავს ოფიციალურ პირად. ხოლო ასეთ ვითარებაში შეუძლებელი ხდება, დიდხანს იუარო ნებისმიერი თხოვნა. ზუსტად რომ ვთქვათ, შენ სასოწარკვეთილი ხარ, მაგრამ კიდევ უფრო ზუსტად – შენ უაღრესად ბედნიერი ხარ. შენი უმწეობით სასოწარკვეთილი – ზიხარ და ელოდები მთხოვნელის სათხოვარს, იცი, რომ, მოისმენ რა თხოვნას, იძულებული შეიქნები, შეასრულო იგი მაშინაც კი, თუ ეს სათხოვარი, რამდენადაც შენ თვითონ შეგიძლია განსაჯო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პირწმინდად ანგრევს მთელ ადმინისტრაციულ წესსა და რიგს, ეს კი ყველაზე ცუდია, რასაც შეიძლება გადააწყდე პრაქტიკაში და, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ – თუ არ ჩავთვლით ყოველივე დანარჩენს, – რომ გამოდის ნამდვილი, წრესგადასული ძალაუფლების გადამეტება, ძალაუფლებისა, რომელსაც შენ თვითნებურად კისრულობ. ასეთ მომენტში ჩვენი მდგომარეობის მიხედვით ჩვენ სულაც არა ვართ უფლებამოსილნი, დავაკმაყოფილოთ ასეთი სათხოვრები, მაგრამ ამ ღამის მთხოვნელის სიახლოვის გამო როგორღაც გვეზრდება ჩვენი სამსახურებრივი შესაძლებლობანი, და აქ ვკისრულობთ ისეთ უფლებამოსილებებს, რომლებიც ჩვენ არა გვაქვს მონიჭებული, უფრო მეტიც, ვიყენებთ მათ. როგორც ტყეში თავს დაცემული ყაჩაღი, ეს ღამის მთხოვნელი გვძალავს მსხვერპლს, რომელსაც ჩვეულებრივ ვითარებაში არ გავიღებდით; კეთილი, ყოველივე ეს ასეა იმ მომენტში, როდესაც მთხოვნელი ჯერ კიდევ აქ არის, როცა იგი გაიძულებს, გახალისებს, გამხნევებს შენ, ყველაფერი მიმდინარეობს თავისი კანონზომიერებით, თითქოს, შენი ნების მიუხედავად, ხოლო, რა მოხდება შემდეგ, როდესაც დამშვიდებული და ნასიამოვნები მთხოვნელი დაგტოვებს და დარჩები მარტოდ მარტო, დაუცველი შენს მიერ ახლახანს ჩადენილი სამსახურებრივი დანაშაულის წინაშე, – არა, ამის თავში გავლებაც კი წარმოუდგენელია! და მაინც, შენ ბედნიერი ხარ. ეს ის ბედნიერებაა, რომელიც თვითმკვლელობის ტოლფასია! რა თქმა უნდა, იოლია თავს აიძულო, რომ მთხოვნელს დაუმალო საქმის ჭეშმარიტი ვითარება. ის ხომ თავისთავად თითქმის ვერაფერს ამჩნევს. მისი აზრით, ის დაღლილია, იმედგაცრუებულია და მთელი ამ დაღლის, ამ იმედგაცრუების გამო უყურადღებო და გულგრილია ყველაფრისადმი, შემთხვევით შეიპარა არა იმ ოთახში, რომელშიც სურდა, და ახლა ზის, არაფერი არ ესმის და ფიქრობს, თუ კიდევ აქვს ფიქრის თავი, თავის შეცდომასა ან იმაზე, თუ როგორ დაიღალა. შეიძლება, მიატოვო იგი ასეთ მდგომარეობაში? არა, არ შეიძლება. ბედნიერი კაცის მთელი ენაწყლიანობით უნდა აუხსნა მას ყველაფერი, ოდნავადაც არ უნდა დაზოგო შენი თავი, და დაწვრილებით განუმარტო ყოველივე, რაც მოხდა და რატომ მოხდა, უნდა აუხსნა, როგორია ეს წარმოუდგენლად იშვიათი, ერთადერთი და განუმეორებელი გარემოებანი, უნდა უჩვენო, როგორ მოხვდა მთხოვნელი, იმ უმწეობით, - რომელიც არც ერთ სულდგმულს არა აქვს, მთხოვნელის გარდა, ამ გარემოებებში, - და როგორ გახდეს, უფალო მიწისმზომელო, მდგომარეობის ბატონ-პატრონი, ახლა მას შეუძლია გახდეს, თუ მოისურვა, – ამისათვის არაფრის გაკეთება არ მოუწევს, საჭიროა მხოლოდ რამენაირად გამოთქვას თავისი სათხოვარი, რომლის შესრულება უკვე შემზადებულია, უფრო მეტიც, ყველაფერი უკვე მიმდინარეობს მთხოვნელის სასიკეთოდ; მას უნდა აუხსნა ეს, და მოხელისათვის ეს გახლავთ ძნელი მომენტი. მაგრამ როდესაც ესეც გაკეთებულია,

უფალო მიწისმზომელო, გაკეთებულია ყველაზე მთავარი, ახლა მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ ბედს მიენდოს და ელოდოს.“

მაგრამ ყველაფრისაგან გამოთიშულ კ.-ს უკვე ეძინა. მისი თავი ჯერ საწოლის ზურგზე ჩამოდებულ მარცხენა მკლავს ეყრდნობოდა, შემდეგ ქვემოთ ჩამოუცურდა და გადმოეკიდა, ცალ ხელს უკვე აღარ ჰქონდა საყრდენი, მაგრამ მან უნებლიედ იპოვა მეორე – და მარჯვენა ხელით დაეყრდნო საბანს, თანაც შემთხვევით ჩაავლო თითები ფეხს, რომელიც ბიურგელს საბნიდან გამოეყო. ბიურგელმა ერთი შეხედა, მაგრამ შეწუხების მიუხედავად, ფეხი არ წაურთმევია.

მოულოდნელად გვერდითა კედელში რამდენჯერმე ხმამაღლა დააკაკუნეს. კ. შეკრთა და კედელს შეხედა. „ხომ არ არის აქ უფალი მიწისმზომელი?“ გაისმა კითხვა. „აქ არის“, თქვა ბიურგელმა, გამოაძრო თავისი ფეხი კ.-ს ქვემოდან და უეცრად გაიზმორა, მკვირცხლად და ხალისიანად, როგორც პატარა ბიჭი. „ჰოდა, აღირსოს, მოვიდეს აქ!“ დაიძახეს კედლის იქიდან. ბიურგელსა და იმას, რომ კ. შეიძლებოდა მას კიდევ დასჭირვებოდა, არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. „ეს ერლანგერია“, თქვა ბიურგელმა ჩურჩულით; იმან, რომ ერლანგერი მეზობელ ოთახში აღმოჩნდა, მას თითქოს სულ არ გაჰკვირვებია. „წადით მასთან ახლავე, იგი უკვე ბრაზობს, შეეცადეთ, მოთაფლოთ. მან მაგარი ძილი იცის, მაგრამ ჩვენ მაინც მეტისმეტად ხმამაღლა ვლაპარაკობდით: ვერაფერს ვერ უზამ შენ თავს, შენს ხმას, როდესაც ზოგიერთ რამეზე ლაპარაკობ. წადით, წადით, თქვენ თითქოს ახლაც ბურანში ხართ, დროზე, დროზე წადით, აქ რა უნდა აკეთოთ? ნუ, ნუ იმართლებთ თავს იმით, რომ თქვენ გეძინებათ. რა საჭიროა ეს? ადამიანის ძალებს გარკვეული ზღვარი აქვს. ვისი რა ბრალია, რომ სწორედ ეს ზღვარი ასრულებს გადამწყვეტ როლს? არა, ამას ვერავის დააბრალებ. თვითონ ცხოვრებაც იცვლება და მოჰყავს თავი წესრიგში, მდინარების დროს ასე ხერხდება წონასწრობის შენარჩუნება. და ეს საუცხოოა. უბრალოდ, ძნელი წარმოსადგენია, რაოდენ საუცხოოდ არის ყველაფერი მოწყობილი, თუმცა, მეორე მხრივ, ვერაფერი სანუგეშო ამბავია. დააყენეთ საშველი, წადით, ვერ გამიგია, რატომ მომჩერებიხართ ასე? თუ ზოზინს განაგრძობთ, ერლანგერი მე დამაბრალებს ყველაფერს, მე კი ეს სულაც არ მინდა. გზა მშვიდობისა, წადით, ვინ იცის, რა მოგელით თქვენ იქ, აქ ყველაფერია შესაძლებელი. მართალია, არის შესაძლებლობანი, რომლებიც მეტისმეტად ფართოა იმისათვის, რომ გამოიყენო, არის ისეთი საქმეები, რომლებიც იშლება თავისით და არა ვისიმე ზემოქმედების შედეგად. დიახ, ყოველივე ეს ერთობ საკვირველია. თუმცა, მე კიდევ მაქვს იმედი, ცოტა ხანს წავუძინო. მართალია, უკვე ხუთი საათია, მალე მთელი სასტუმრო ახმაურდება. ნეტავ, დროზე დააყენებდეთ საშველს!“

კ. ისე იყო გაბრუებული ღრმა ძილიდან უეცარი გამოღვიძებით, ისე მტანჯველად უნდოდა, კიდევ ცოტა ხანს დაეძინა, და ისე ტკიოდა მთელი ტანი, უხერხულ მდგომარეობაში ძილის გამო, რომ ვერ გაებედა ადგომა; თავზე წაევლო ხელი და თავის მუხლებს მიშტერებოდა. იმანაც კი, რომ ბიურგელი რამდენჯერმე დაემშვიდობა, ვერ აიძულა წასულიყო და მხოლოდ ამ ოთახში ყოფნის სრული უაზრობის შეგნება დაეხმარა, ნელ-ნელა წამომდგარიყო. უაღრესად უბადრუკად ეჩენებოდა მთელი ეს ოთახი. ასეთი იყო თავიდანვე, თუ შემდეგ გასაცოდავდა, ვერ გაეგო. აქ მაინც ვერასდროს ვერ დაიძინებს, როგორც წესი და რიგია. ეს აზრი გადამწყვეტი აღმოჩნდა: გულში გაეღიმა, წამოდგა და ხელის ცეცებით – ეყრდნობოდა ყველაფერს, რაც გზაში შეხვდებოდა – საწოლს, კედელს, კარს, – გავიდა,

გავიდა ისე, რომ თავიც კი არ დაუკრავს ბიურგელისათვის, თითქოს უკვე დიდი ხნის წინ დაემშვიდობა მას.

24.

შეიძლება, ასეთივე გულგრილობით აექცია გვერდი ერლანგერის ოთახისთვისაც, თავად ერლანგერი რომ არ მდგარიყო ღია კარში და არ მიეხმო იგი თავისთან. მიიხმო საჩვენებელი თითის მოკლე, ერთი მოძრაობით. ერლანგერი უკვე წასასვლელად ემზადებოდა. ეცვა შავი ქურქი, რომელიც მჭიდროდ შეეკრა შემოჭერილი საყელოთი. მსახურს გამზადებული ეკავა ქუდი და ხელთათმანს აწვდიდა. ,,თქვენ დიდი ხანია, უნდა გამოცხადებულიყავით ჩემთან", თქვა ერლანგერმა. კ.-ს უნდოდა ბოდიში მოეხადა, მაგრამ ერლანგერმა, დაღლილმა, დახუჭა თვალი და ანიშნა, ეს ზედმეტიაო. ,,საქმე შემდეგში გახლავთ", თქვა მან. ,,ბუფეტში სულ ცოტა ხნის წინ კლიენტებს ემსახურებოდა ვინმე ფრიდა, მე მისი მხოლოდ სახელი ვიცი, პირადად არ ვიცნობ, და, მართალი გითხრათ, არც მაინტერესებს. ამ ფრიდას ზოგჯერ ლუდი შეჰქონდა კლამთან. ახლა იქ, მგონი ვიღაც სხვა ქალი მსახურობს. რა თქმა უნდა, ამ შეცვლას, ალბათ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არავისათვის, მით უმეტეს, კლამისათვის. მაგრამ რაც უფრო პასუხსაგებია სამუშაო – კლამს კი, რასაკვირველია, ყველაზე პასუხსაგები სამუშაო აქვს, – მით უფრო ნაკლები ძალები გრჩება იმისათვის, რომ წინააღუდგე გარეშე გარემოებებს, და ამის შედეგად ყველაზე უმნიშვნელო ჩვეულებების ყველაზე უმნიშვნელო დარღვევამაც კი შეიძლება სერიოზულად დააბრკოლოს საქმე: საწერ მაგიდაზე რომელიმე დიდი ხნის წინათ დასმული ლაქის მოშორებამ, – ყოველივე ამან შეიძლება ძალზე შეგიშალოს ხელი, მით უმეტეს, ახალმა მოსამსახურე ქალმა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შეიძლება დაბრკოლებად ექცეს ვინმე სხვას, მაგრამ არა კლამს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ, ისე დავიცვათ კლამის სიმყუდროვე, რომ ის უმცირესი ხელისშემშლელი გარემოებებიც კი, რომლებიც მისთვის სულაც არ არის ხელისშემშლელი – და საერთოდ მისთვის, ალბათ არ არსებობს რაიმე ხელისშემშლელი დაბრკოლება, – ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ, თუ მოგვეჩვენება, რომ მათ შეიძლება შეუშალონ ხელი. არა მისი გულისთვის, არა მისი სამუშაოს გულისთვის აღმოვფხვრით ამ დაბრკოლებებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გულისთვის, ჩვენი ნამუსის მოსაწმენდად, გული რომ საგულეს გვქონდეს. სწორედ ამიტომ, ეს ფრიდა დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს ბუფეტში, თუმცა სრულიად შესაძლებელია, რომ სწორედ მისი დაბრუნება შექმნის დაბრკოლებებს, რა გაეწყობა, მაშინ ჩვენ კვლავ მოვაშორებთ ფრიდას აქაურობას, მაგრამ ჯერჯერობით იგი უნდა დაბრუნდეს. თქვენ, როგორც მე მითხრეს, ფრიდასთან ცხოვრობთ, ასე რომ, დაუყოვნებლივ უზრუნველყავით მისი იქ დაბრუნება. თავისთავად ცხადია, რომ თქვნი პირადი გრძნობების გამო არავითარი შეღავათი არ შეიძლება მოგეცეთ, ამიტომ აღარ მოვყვები არავითარ შემდგომ მსჯელობას. მე უკვე ისედაც მეტი გავაკეთე თქვენთვის, ვიდრე საჭირო იყო. თუ ვიტყვი, რომ როცა შემთხვევა მოგვეცემა, თქვენი კარიერისათვის შემდგომში ერთობ სასარგებლო იქნება, თუ თქვენ გაგვიმართლებთ ნდობას ამ უმნიშვნელო საქმეში. ეს არის ყველაფერი, რაც მინდოდა თქვენთვის მეთქვა." გამომშვიდობების ნიშნად მან თავი დაუკრა კ.-ს, დაიხურა მსახურისაგან მირთმეული ბეწვის ქუდი და მსახურისავე თანხლებით სწრაფი ნაბიჯით, მაგრამ ოდნავი კოჭლობით ჩაუყვა დერეფანს.

ზოგჯერ აქაურ ხელისუფალთა განკარგულებები ძალზე იოლია შესასრულებელია, მაგრამ ახლა ეს სიიოლე როდი ახარებდა კ.-ს. და არა მარტო იმიტომ, რომ განკარგულება, რომელიც ფრიდას ეხებოდა, ძალიან ჰგავდა ბრძანებას და ამასთანავე ჟღერდა როგორც კ.-ს აბუჩად აგდება, უმთავრესად კი იმიტომ, რომ კ.-მ მასში დაინახა მთელი თავისი მცდელობის სრული უმაქნისობა. მისი გვერდის ავლით გამოიცემოდა განკარგულებები, სასიკეთოც და არახელსაყრელიც, და ყველაზე სასიკეთოშიც ზოგჯერ გულდაჭიანებული გამოერეოდა, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი მისი გვერდის ავლით კეთდებოდა, ხოლო თავად კ. მეტისმეტად დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა, რომ ჩარეულიყო საქმეში, ეიძულებინა სხვები, გაჩუმებულიყვნენ და მისთვის ესმინათ. რა უნდა ქნა, როცა ერლანგერი ძაღლადაც არ გაგდებს, ხოლო თუ ჩაგაგდო – რას ეტყვი? მართალია, კ. ხვდებოდა, რომ დღეს დაღლილობამ უფრო მეტად გაუფუჭა საქმე, ვიდრე ყველა სხვა არახელსაყრელმა გარემოებამ, მაგრამ მაშინ რატომ არ შეუძლია მას, რომელსაც ასე სწამდა, რომ შეუძლია ენდოს თავის ფიზიკურ ძალას, ამ რწმენის გარეშე ხომ საერთოდ არ დაადგებოდა გზას, – რატომ არ შეუძლია, უმტკივნეულოდ გადაიტანოს რამდენიმე ცუდი და ერთი უძილო ღამე, რატომ არის, რომ ასე უსაშველოდ ეპარება დაღლილობა სწორედ აქ, სადაც, არავინ, უფრო ზუსტად, სადაც ყველა ნიადაგ გრძნობს დაღლილობას, რომელიც არათუ ხელს არ უშლიდა მუშაობაში, არამედ, პირიქით, ხელს უწყობდა მას? მაშასადამე, ყოველივე აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მათი დაღლილობა სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე კ.-სა. ეტყობა, აქ დაღლილობა დგებოდა სასიხარულო მუშაობის შემდეგ, და ის, რაც გარეგნულად დაღლილობად გეჩვენებოდა, არსებითად იყო დაურღვეველი მყუდროება, დაურღვეველი თანხმობა, როდესაც შუადღისას ცოტას იღლები, ეს გარდაუვალია, ეს დილის ბუნებრივი შედეგია. „ეტყობა, აქაურ ბატონებს ყოველთვის შუადღე აქვთ“, თქვა გულში კ.-მ.

და ეს სავსებით ემთხვეოდა იმას, რომ ახლა, დილის ხუთ საათზე, ყველგან, დერეფნის ორსავე მხარეს, დიდი გამოცოცხლება დაიწყო. ხმაურიანი ხმები ოთახებში რაღაც განსაკუთრებით სასიხარულოდ ჟღერდა. ხან ქალაქგარეთ გასეირნებისთვის შეკრებილი ბავშვების აღტაცებულ ყვირილის ჰგავდა, ხან კი ქანდარაზე შემომსხდარი ქათმების გამოღვიძებას და აკრიახებას, დამდგარ დილასთან შერწყმის სიხარულს. ზოგმა ბატონმა მამალს მიბაძა და ყიყლიყო დაიძახა. და თუმცა დერეფანი ჯერ ისევ ცარიელი იყო, მაგრამ კარები უკვე გამოცოცხლდა. ხან ერთს აღებდნენ, ხან მეორეს და შემდეგ აჯახუნებდნენ, მთელ დერეფანს ზუზუნი გაუდიოდა კარების ამ გაღება-გაჯახუნების გამო. კ. დროდადრო ხედავდა, როგორ ამოტივტივდებოდა ხოლმე კედელსა და ჭერს შორის დატოვებულ ღიობში ნამძინარევი და თმაგაჩეჩილი სახეები, რომლებიც მაშინვე ქრებოდა. შორიდან გამოჩნდა მსახური, რომელიც საბუთებით დატვირთულ ურიკას მოაგორებდა. მეორე მსახური გვერდზე მოჰყვებოდა სიით ხელში და, როგორც ჩანს, ოთახის ნომერს ადარებდა სიის ნომრებს. ბევრ კართან ურიკა ჩერდებოდა. კარი ჩვეულებრივ იღებოდა, და შესაბამის საბუთებს ოთახში გადასცემდნენ – ზოგჯერ ეს იყო მხოლოდ ერთი ფურცელი და მაშინ კამათი იწყებოდა ოთახსა და დერეფანს შორის: ალბათ, მსახურს თუ საყვედურობდნენ. ხოლო თუ კარი დახურული რჩებოდა, მაშინ კოხტა დასტად დაწყობილ საბუთებს იატაკზე ტოვებდნენ. მაგრამ კ.-ს მოეჩვენა, რომ ამასთან სხვა კარების გაღება-დახურვა არათუ არ შეწყვეტილა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა, იქაც კი, სადაც მთელი საბუთები უკვე მიიტანეს. შეიძლება, იქიდან ხარბად უყურებდნენ კართან

დაწყობილ საბუთებს, რომლებსაც კაცმა არ იცის, რატომ არ იღებდნენ, და მათ შემდეგ გადაუნაწილებდნენ სხვა ბატონებს, იმათ კი, ვინც წარამარა იყურებოდა თავისი კარიდან, უბრალოდ სურდათ, დარწმუნებულიყვნენ, კიდევ ეწყო თუ არა ქაღალდები იატაკზე და არის თუ არა იმედი, ხელში ჩაეგდოთ ისინი. ამასთან, იატაკზე დატოვებული საბუთები, ჩვეულებრივ, წარმოადგენდა განსაკუთრებით სქელტანიან შეკვრებს, და კ.-მ იფიქრა, რომ მდივნები მათ კართან დროებით ტოვებდნენ ერთგვარი ტრაბახით ან ნიშნისმოგებით. ან იქნებ, სავსებით გამართლებული, კანონიერი სიამაყის გრძნობით, რომ შეეგულიანებინათ თავიანთი კოლეგები. მის ამ ვარაუდს ადასტურებდა ის, რომ სწორედ იმ წუთს, როდესაც იგი უკან შებრუნდებოდა, რომელიმე ტომარას, უკვე საკმაოდ დიდხანს რომ იდო იატაკზე ყველას დასანახად, უეცრად სტაცებდნენ ხოლმე ხელს და სასწრაფოდ შეათრევდნენ ოთახში, ხოლო კარი მჭიდროდ იკეტებოდა, თანაც, მეზობელი კარიც თითქოს მშვიდდებოდა, გეგონებოდა, იმედგაცრუებული ან კმაყოფილი იმით, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოაცილეს საგანი, რომელიც დაუცხრომელ ინტერესს იწვევდა, თუმცა შემდეგ კარები ისევ ამოძრავდებოდა და აჯახუნდებოდა ხოლმე.

კ. უცქერდა ყოველივე ამას არა მარტო ცნობისმოყვარეობით, არამედ თანაგრძნობითაც. მან ერთგვარ სიმყუდროვეშიც კი იგრძნო თავი ამ აურზაურსა და ფაცაფუცში, აქეთ-იქეთ იყურებოდა და მიდიოდა – მართალია, გვარიანი დაშორებით მოსამსახურეებისაგან, და, თუმცა ისინი სულ უფრო ხშირად ბრუნდებოდნენ მისკენ და ტუჩმოკუმულნი კუშტად ახედ-დახედავდნენ ხოლმე, მაინც კვლავინდებურად ადევნებდა თვალს საბუთების განაწილებას, ხოლო საქმე რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო დახლართული ხდებოდა, ხან სიები სულ არ ემთხვეოდა ერთმანეთს, ხან მსახური ერთბაშად ვერ გარკვეულიყო საბუთებში, ხან ბატონი მოხელენი იწყებდნენ კამათს რაღაც საბაბით. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი საბუთის გადანაწილება ხელახლა უწევდათ, მაშინ ურიკა უკან ბრუნდებოდა და ოდნავ შეღებული კარიდან იწყებოდა მოლაპარაკება საბუთების დაბრუნების თაობაზე. ეს მოლაპარაკება თავისთავად დიდ სიძნელეებს ქმნიდა, მაგრამ ხშირად ხდებოდა ისე, რომ, როცა საქმე დაბრუნებას შეეხებოდა, სწორედ ის კარები, რომლებსაც აქამდე წამდაუწუმ აჯახუნებდნენ, ახლა მაგრა იყო გამოკეტილი, თითქოს იქ არაფრის გაგონება არ სურდათ. სწორედ აქ იწყებოდა მთავარი სიძნელენი. ის, ვინც საბუთებზე აცხადებდა პრეტენზიას, უკიდურეს მოუთმენლობას გამოხატავდა, საშინელ ხმაურს ტეხდა თავის ოთახში, ტაშს შემოკრავდა და ფეხებს აბაკუნებდა, კარის ღიობიდან დერეფანში გასძახებდა ხოლმე საჭირო საბუთის ნომერს. ამ დროს ურიკა უმეთვალყურეოდ რჩებოდა, ერთი მსახური იმით იყო დაკავებული, რომ მოუთმენელ მოხელეს აშოშმინებდა, მეორე დახურულ კართან იდგა და საბუთის უკან დაბრუნებას ითხოვდა. ორივეს დიდი ჯაფა ადგა. სულსწრაფი მოხელე დამამშვიდებელი დაყვავებისაგან კიდევ უფრო მოუთმენელი ხდებოდა, მას უბრალოდ აღარ შეეძლო ეთმინა მსახურის ყბედობა, მას არ სჭირდებოდა დაყვავება, მას საბუთები სჭირდებოდა. ერთ-ერთმა ასეთმა ბატონმა კარის ღიობიდან მსახურს მთელი ტაშტი წყალი გადაასხა, მაგრამ მეორე მსახურს, უფრო მაღალი რანგისას, კიდევ უფრო მეტად გაუჭირდა. თუ მოხელე მოწყალებას მოიღებდა და მას დაელაპარაკებოდა, მიმდინარეობდა საქმიანი აზრთა გაზიარება, რომლის დროსაც მსახური იმოწმებდა თავის სიას, ხოლო მოხელე – თავის შენიშვნებს, თანაც, ის დოკუმენტები, რომლებიც უკან უნდა დაებრუნებინა, ჯერ კიდევ ხელში ეკავა, ასე რომ, მსახურის ხარბი მზერა ვერ სწვდებოდა მას, რადგან ქაღალდის კუთხეც კი არ

მოჩანდა, გარდა ამისა, მსახური იძულებული ხდებოდა ან ახალი დამამტკიცებელი საბუთებისათვის მიერბინა ურიკასთან, რომელიც წარამარა გორდებოდა დერეფნის დაქანებულ იატაკზე, ან – მიემართა მოხელისათვის, რომელიც საბუთებზე აცხადებდა პრეტენზიას, მოეხსენებინა მისთვის, ქაღალდების ახლანდელი მფლობელის არგუმენტები და პასუხად მოესმინა მისი კონტრარგუმენტები. ასეთი მოლაპარაკება დიდხანს გრძელდებოდა, და ზოგჯერ მთავრდებოდა კონსენსუსით, მოხელე იძლეოდა საბუთების რაღაც ნაწილს ან კომპენსაციად იღებდა სხვა ქაღალდებს, როცა გამოირკვეოდა, რომ ისინი შემთხვევით გადაუცვლიათ; მაგრამ ხდებოდა ისეც, რომ ვიღაცას უწევდა საერთოდ უარი ეთქვა მიღებულ საბუთებზე იმის გამო, რომ მსახურის არგუმენტები ჩიხში ამწყვდევდა ან იმის გამო, რომ სიქა გააცალა გაუთავებელმა კინკლაობამ, მაგრამ მაშინაც კი, უბრალოდ კი არ გადასცემდა მსახურს საბუთებს, არამედ უეცრად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გადაუგდებდა ხოლმე დერეფანში, თან ისე, რომ ზონრები წყდებოდა, ფურცლები აქეთ-იქეთ ცვიოდა და მსახურები გაჭირვებით ახერხებდნენ მათს ხელახალ დაწყობას, მაგრამ ეს შემთხვევები გაცილებით უფრო მარტივი იყო, ვიდრე ის, როდესაც მსახური საბუთების უკან დაბრუნების თხოვნაზე საერთოდ არავითარ პასუხს არ იღებდა. მაშინ იგი ფეხმოუცვლელად იდგა მოკეტილ კართან, ხვეწნა-მუდარას უთვლიდა მოხელეს, ხმამაღლა უკითხავდა თავის სიებს, იმოწმებდა ინსტრუქციებს, მაგრამ ამაოდ ირჯებოდა – ოთახიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა, ხოლო დაუკითხავად შესვლის უფლება მსახურს, როგორც ჩანს, არ ჰქონდა, თუმცა ზოგჯერ ასეთი თვინიერი მსახურიც კი მოთმინებიდან გამოდიოდა, ბრუნდებოდა თავის ურიკასთან, ზემოდან გადააჯდებოდა საბუთების საქაღალდეებს, შუბლიდან ოფლს იწმენდა და ერთხანს არაფერს არ აკეთებდა, მხოლოდ უმწეოდ ასავსავებდა ფეხებს. მაშინ კი ირგვლივ ყველანი ცხოველ ინტერესს გამოიჩენდნენ ხოლმე, ყველგან ისმოდა ხმამაღალი ჩურჩული, არც ერთი კარი არ რჩებოდა დახურული, ხოლო ზემოდან, ჭერქვეშა ღიობიდან დრო და დრო გამოჩნდებოდა უცნაური შალშემოხვეული ფიზიონომიები, რომლებიც აწრიალებულნი ადევნებდნენ თვალს სეირს. კ.-მ ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ამ აურზაურში ბიურგელის კარი დახურული რჩებოდა და რომ თუმცა მსახურებმა უკვე გამოიარეს დერეფნის ეს ბოლო, ბიურგელისთვის არ გადაუციათ არავითარი საბუთი, შეიძლება, მას ჯერ კიდევ ეძინა ამ ყაყანში, მაშასადამე, ძილი სავსებით ჯანმრთელი ჰქონდა, მაგრამ რატომ არ მისცეს არავითარი საბუთი? მსახურებმა ხომ სულ რამდენიმე, ისიც აშკარად უკაცრიელი ოთახი გამოტოვეს. ერლანგერის ოთახში უკვე იმყოფებოდა ახალი და ერთობ მოუსვენარი მობინადრე. შეიძლება მან რაღაცნაირად აიძულა გამოსულიყო ერლანგერი იქიდან ჯერ კიდევ ღამით, და თუმცა ეს არანაირად არ ესადაგებოდა ერლანგერის დარბაისლურ და თავდაჯერებულ ქცევას, მაგრამ ის გარემოება, რომ იგი კ.-ს ოთახის ზღრუბლზე ელოდებოდა, აშკარად ამტკიცებდა ამ ვარაუდს.

ყველა ამ ზოგადი დაკვირვებიდან კ. თანდათან უბრუნდებოდა მსახურზე დაკვირვებას. ამ მსახურს არანაირად არ ეხებოდა ის, რაც კ.-ს საერთოდ სმენოდა მსახურთა შესახებ, კერძოდ, რომ ისინი უსაქმურები არიან, იოლ ცხოვრებას ეწევიან და ქედმაღლურად უჭირავთ თავი. როგორც ჩანს, მათ შორის იყო გამონაკლისი ან, რაც უფრო სარწმუნოა, ისინი სხვადასხვა კატეგორიებს განეკუთვნებოდნენ, და, როგორც კ.-მ შენიშნა, აქ მრავლად იყო ისეთი გამიჯვნები, რომლებსაც იგი აქამდე არ წასწყდომოდა. მას განსაკუთრებით მოსწონდა ამ მსახურის უშეღავათობა პატარა ჯიუტ ოთახებთან ბრძოლაში – კ.-სათვის კი ეს იყო ბრძოლა სწორედ ოთახებთან,

რადგან მათს მობინადრეებს იგი თითქმის ვერ ხედავდა, – ეს მსახური იოტისოდენადაც არ თმობდა თავის პოზიციებს. მართალია, იგი იღლებოდა ან კი ვინ არ დაიღლებოდა? – მაგრამ სულს რომ მოითქვამდა, ჩამოხტებოდა ურიკიდან და კვლავ წელგამართული, ტუჩმოკუმული უტევდა გაჯიქებულ კარს. ხდებოდა ხოლმე, რომ მის შეტევებს იგერიებდნენ, ორგზისაც და სამგზისაც, თანაც, სულ მარტივი ხერხით – მარტოოდენ სამარისებრი სიჩუმით, – მაგრამ იგი როდი ნებდებოდა. და რაკი ხედავდა, რომ ღია იერიშით ვერაფერს აღწევდა, ცდილობდა სხვაგვარად ემოქმედა: თუ კ.-მ სწორად გაიგო, ეშმაკობას მიმართავდა, სხვების დასანახად, იგი თავს ანებებდა კარს, აძლევდა შესაძლებლობას, ასე ვთქვათ, ჩუმად ყოფილიყო, სანამ არ მობეზრდებოდა, მერე მეორე კართან მიდიოდა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან ბრუნდებოდა, ხაზგასმით ხმამაღლა ეძახდა მეორე მსახურს და იწყებდა დაკეტილი კარის ზღურბლთან დასტა-დასტად შეკრული საბუთების დაყრას, თითქოს, განზრახვა შეიცვალა და აღარ აპირებსო დატოვოს მოცემული მოხელე უსაბუთებოდ, არამედ, პირიქით, მზად არის, ახალი საბუთებიც მისცესო. მერე სხვაგან მიდიოდა, მაგრამ თვალს არ აშორებდა იმ კარს, და როცა წუთის შემდეგ მოხელე ჩვეულებისამებრ ფრთხილად გამოაღებდა კარს, რათა საბუთები შეეტანა, მსახური ორი ნახტომით მიეჭრებოდა, ფეხს შეჰყოფდა კარის ღიობში და აიძულებდა მოხელეს, პირისპირ ელაპარაკა მასთან, რაც, ჩვეულებრივ, მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი კონსენსუსით მთავრდებოდა, ხოლო თუ ეს ხერხი არ ჭრიდა, ან არასწორად ეჩვენებოდა რომელიმე კარის მიმართ, სხვაგვარად იქცეოდა. მაგალითად, მთელი ყურადღება გადაჰქონდა საბუთების მოსურნე მოხელეზე, ამასთან, განზე გაწევდა ხოლმე მეორე მსახურს, არაფრის მაქნის თანაშემწეს, რომელიც ავტომატურად მუშაობდა, და მოხელეს თვითონ უწყებდა დაყვავებას იდუმალი ჩურჩულით, რისთვისაც ღრმად შეჰყოფდა ხოლმე თავს იმ ოთახში. ალბათ, მოხელე რაღაც დაპირებებს აძლევდა და არწმუნებდა, რომ შემდეგი განაწილებისას ის, მეორე მოხელე, საკადრისად დაისჯება, ყოველ შემთხვევაში, იგი ხშირად მიანიშნებდა მეტოქის კარზე, და იცინოდა კიდეც, რამდენადაც დაღლილობა ანებებდა. მაგრამ ხდებოდა ხოლმე ისეც – სულ ერთი თუ ორი ასეთი შემთხვევა იყო – როცა მსახური უარს ამბობდა ბრძოლის ყოველგვარ მცდელობაზე, თუმცა კ.-ს მიაჩნდა, რომ ეს მხოლოდ თვალის ახვევა იყო, რომელსაც, როგორც ჩანს, ჰქონდა თავისი საფუძველი, მსახური მშვიდად განაგრძობდა სვლას, თავს არ აბრუნებდა უკან, მოთმინებით იტანდა ხმაურს, რომელიც ნაწყენ მოხელეს აეტეხა და მხოლოდ მისი მანერა – დროდადრო დიდი ხნით დაეხუჭა თვალი – მოწმობდა, რაოდენ გაბეზრებული იყო იგი ხმაურისაგან. თანდათან, ნაწყენი მოხელე მშვიდდებოდა და როგორც გულამომჯდარი ბავშვის ზლუქუნი გადადის ხოლმე იშვიათ სლუკუნში, ისე მისი ყვირილიც სულ უფრო იშვიათად მოისმოდა, მაგრამ როცა სიჩუმე დაისადგურებდა, კვლავ გაისმებოდა ეული შეყვირება და უეცრად გაიჯახუნებდა კარი. ყოველ შემთხვევაში, ეს ხმები კ.-ს აფიქრებიდნებდა, რომ მსახური აქაც სრულიად სწორად მოიქცა. ბოლოს და ბოლოს, დარჩა მხოლოდ ერთი მოხელე, რომელსაც არაფრის დიდებით არ სურდა დამშვიდებულიყო, იგი ჩუმდებოდა ხოლმე, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ სული მოეთქვა, მერე კი კვლავ იწყებდა ღრიალს წინანდელზე უფრო უარესად. ვერ გაიგებდი, რატომ ყვირის ასე და ვის უჩივის, შეიძლება, მიზეზი სულაც არ იყო საბუთების განაწილება. ამასობაში, მსახურებს უკვე დაემთავრებინათ თავიანთი სამუშაო, და ურიკაზე თანაშემწის უყურადღებობით დარჩენილიყო ერთადერთი საბუთი, არსებითად, ფარატინა ქაღალდი, ბლოკნოტის ფურცელი, და ახლა აღარ იცოდნენ, ვისთვის მიეცათ იგი. „სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ჩემი

საბუთი იყოს“, გაუელვა თავში კ.-ს. აკი სოფლის მამასახლისი სულ იმას ამბობდა, რომ კ.-ს საქმე უმარტივესთა თანრიგს განეკუთვნებოდა. და თუმცა კ.-ს თავად ესმოდა, რაოდენ სასაცილო და უსაფუძვლო იყო მისი ვარაუდი, მაინც შეეცადა, ვითომ შემთხვევით, მისულიყო მსახურთან, რომელიც ღრმად დაფიქრებული უყურებდა ქაღალდს. ეს არ იყო ისე მარტივი, იმიტომ, რომ მსახური კ.-ს კეთილგანწყობას არ პასუხობდა თანაგრძნობით და თავისი სამუშაოს მთელი სიძნელის მიუხედავად, მაინც პოულობდა დროს, მოუთმენლად მიებრუნებინა გაბრაზებული სახე კ.-საკენ, თან ნერვიულად აქნევდა თავს. და მხოლოდ ახლა, საბუთების დარიგების დამთავრების შემდეგ, მას თითქოს გადაავიწყდა კიდეც კ.-ს არსებობა, და საერთოდ, რაღაც გულგრილობასაც კი იჩენდა მის მიმართ, რაც სავსებით გასაგები იყო ასეთი ძლიერი დაღლის დროს. ასე რომ, ამ ქაღალდს ზედ არ გადაჰყოლია, შეიძლება, არც კი წაიკითხა თავიდან ბოლომდე, მხოლოდ ისე იჭერდა თავს, და თუმცა აქ, დერეფანში, ალბათ თითოეული ოთახის მობინადრეს კმაყოფილებას მოჰგვრიდა, ეს ქაღალდი რომ გადაეცა, თავისებურად გადაწყვიტა: ეტყობა, ყელში ჰქონდა ამოსული საბუთებს დარიგება, თითი ტუჩზე მიიდო და თანაშემწეს ანიშნა – „შენც სუ, მეც სუო!“ – მერე კი ისე, რომ კ.-მ მასთან მისვლაც ვერ მოასწრო, დახია ქაღალდი, წვრილ ნაკუწებად აქცია და ჯიბეში ჩაიდო. კაცმა რომ თქვას, ეს პირველი დარღვევა იყო, რომელიც კ.-მ შენიშნა სამსახურებრივ საქმეებში, თუმცა, შესაძლოა, ესეც არასწორად გაიგო. თუ იყო ნამდვილად დარღვევა, მას არ ეთქმოდა აღმაშფოთებელი: აქ დამკვიდრებული წესების პირობებში მსახურს არ შეეძლო უზადოდ ემუშავა და მთელ დაგროვილ გაღიზიანებას, ნერვულ დაღლილობას ერთხელ უნდა ამოეხეთქა, და თუ ეს მხოლოდ ფარატინა ქაღალდის განადგურებით გამოიხატა, მაშინ სავსებით უწყინარი გამოხდომა ეთქმოდა: დერეფანში ხომ კიდევ ისმოდა იმ ბატონის ჭიჭყინა ხმა, რომელიც ვერა და ვერ დამშვიდებულიყო, ხოლო მისი კოლეგები, რომლებიც აქამდე არ იჩენდნენ მაინც და მაინც დიდ სოლიდარობას, ახლა ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს მის ყვირილს; თანდათან ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ამ ბატონმა მიზნად დაისახა ყველას მაგივრად ეხმაურა, ხოლო დანარჩენები ამხნევებდნენ მას შემახილებით, და თავით ანიშნებდნენ, მიდი, მიდი, ნუ გაჩერდებიო. მსახური კი აღარავითარ ყურადღებას არ აქცევდა მათ, თავისი სამუშაო უკვე დაემთავრებინა, თვალით ანიშნა მეორეს, ურიკის სახელურს მოჰკიდეო ხელი, და ორივენი წავიდნენ, ისე, როგორც მოვიდნენ, მხოლოდ უფრო მხიარულად და მკვირცხლად, - ურიკა სულ ხტუნვა-ხტუნვით მიგორავდა, მხოლოდ ერთხელ შეკრთნენ ისინი და უკან მოიხედეს, როდესაც ღრიალა ბატონმა, რომლის კართანაც კ. იყო ატუზული – ძალიან უნდოდა, გაეგო არსებითად, რა ეწადა ამ მოხელეს, – უეცრად ყვირილით რომ ვერ მიაღწია ვერაფერს, ეტყობა, ხელის ცეცებით იპოვა ელექტრული ზარის ღილაკი, და ასეთი მაშველი ძალით აღტაცებულმა, შეწყვიტა ღრიალი და დაუყოვნებლივ რეკა დაიწყო. აქ დანარჩენ ოთახებშიც აყაყანდნენ, აშკარად გამოთქვამდნენ მოწონებას, ეტყობა, ამ ბატონმა რაღაც ისეთი გააკეთა, რაც დანარჩენებს დიდი ხანია, ეწადათ გაეკეთებინათ, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით თავს იკავებდნენ. იქნებ, ეს ბატონი მსახურებს იძახებდა, ვინ იცის, შეიძლება ფრიდასაც იხმობდა? მაშინ დიდხანს მოუწევს ზარის რეკა. ახლა ფრიდა იმით იყო დაკავებული, რომ საფენებს უცვლიდა იერემიას, ხოლო თუ გამოჯანმრთელდა, ქალს მაინც არ ეცალა იმიტომ, რომ მასთან ერთად იწვა ლოგინში, მაგრამ ზარის ხმამ ერთბაშად გასჭრა, შორიდან დერეფანში უკვე მოიჩქაროდა სასტუმროს პატრონი, როგორც ყოველთვის, შავი, მჭიდროდ შეკრული კოსტიუმით, მაგრამ გეგონებოდა, მთელი თავისი ღირსება დაივიწყაო, ისე მარდად

გამორბოდა, თან ხელი გაეშალა, თითქოს დიდი უბედურება ეწია და ასე იმიტომ მორბის, რომ ხელი სტაცოს ამ უბედურებას და თავის მკერდზე დაახრჩოსო. და როგორც კი ზარის ხმა წამით წყდებოდა, სასტუმროს პატრონი მაღლა შეხტებოდა ხოლმე და კიდევ უფრო სწრაფად გამორბოდა. შორს გამოჩნდა მისი ცოლი, ქალიც ასევე ხელგაშლილი გამორბოდა, ოღონდ, პატარა მეტიჩრული ნაბიჯებით, და კ.-მ იფიქრა, ქალი დააგვიანებს და სასტუმროს პატრონი თვითონ მოასწრებს გააკეთოს ყველაფერი, რაც საჭიროაო. კ. კედელს აეკრა, რათა გაეტარებინა სასტუმროს პატრონი, მაგრამ ეს უკანასკნელი სწორედ მასთან შეჩერდა, თითქოს მისი გულისთვის მოირბინაო, აქვე მოვიდა დიასახლისიც. ორივენი კ.-ს ეცნენ, და აღშფოთებულნი, საყვედურებით ავსებდნენ, კ.-ს მოულოდნელობისა და გაოცებისაგან ვერაფერი გაეგო, მით უმეტეს, რომ მათ ხმას წარამარა ახშობდა იმ ბატონის ზარის წკრიალი, რომელსაც სხვა ზარებიც აჰყოლოდნენ, რადგან დანარჩენი მოხელეებიც არ წყვეტდნენ რეკას, უკვე არა საჭიროების გამო, არამედ უბრალოდ თავის შესაქცევად, მოჭარბებული მხიარულების გამო. და ვინაიდან კ.-სთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ზუსტად გაეგო, რა დააშავა, არ გასძალიანებია, როცა სასტუმროს პატრონმა ხელი გაუყარა და ყაყანსა და ხმაურს მოარიდა: ახლა მათ ზურგსუკან – კ.-ს არც კი მიუბრუნებია თავი – ყველა კარი ფართოდ გაიღო, დერეფანი გამოცოცხლდა, დაიწყო მოძრაობა, როგორც ხალხით გაჭედილ ვიწრო ქუჩაბანდში. წინა კარები კი აშკარად მოუთმენლად ელოდებოდნენ, როდის გაივლიდა კ., რომ მაშინვე გამოეშვათ ოთახებიდან მობინადრენი, ხოლო სტუმარ-მასპინძლის თავს ზემოთ, თითქოს გამარჯვებას ზეიმობენო, მოისმოდა გაბმული ზარების ხმა, რომლებსაც მოხელეები რაც ძალი და ღონე ჰქონდათ აჭერდნენ თითს. და მხოლოდ მაშინ, როდესაც მყუდრო დათოვლილ ეზოში გავიდნენ, სადაც რამდენიმე მარხილი ჩამომდგარიყო, კ.-მ ბოლოს და ბოლოს გაარკვია, რაში იყო საქმე. ვერც სასტუმროს პატრონს, და ვერც მის ცოლს ვერ გაეგოთ, როგორ გაბედა კ.-მ ასეთი საქციელი. რა დააშავა ასეთი? – განუწყვეტლივ ეკითხებოდა ცოლ-ქმარს, მაგრამ პასუხი ვერ მიეღო – მათ ორივეს კ.-ს ბრალი იმდენად აშკარად ეჩვენებოდათ, რომ ვერაფრის დიდებით ვერ დაეჯერებინათ მისი გულწრფელობა, და მხოლოდ თანდათან მიხვდა კ. ყველაფერს. თურმე მას არ ჰქონდა უფლება, მდგარიყო დერეფანში, უკეთეს შემთხვევაში, განსაკუთრებული წყალობის ნიშნად, აკრძალვამდე ნებას რთავდნენ, ბუფეტში ყოფილიყო. რა თქმა უნდა, თუ იგი რომელიმე უფალმა მოხელემ გამოიძახა, უნდა გამოცხადებულიყო დანიშნულ ადგილას, მაგრამ ამასთან ნიადაგ უნდა ხსომებოდა – ნუთუ ამდენად მოკლებულია საღ აზროვნებას? – რომ იგი იმყოფება იქ, სადაც ყოფნის უფლება არა აქვს, სადაც იგი უაღრესად უხალისოდ, ისიც უკიდურესი საჭიროების გამო, სამსახურებრივი მოვალეობით გამოიძახა ერთ-ერთმა უფალმა მოხელემ. ამიტომ იქ დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადებულიყო, გაევლო დაკითხვის პროცედურა და შემდეგ რაც შეიძლება მალე წამოსულიყო. ნუთუ იქ, დერეფანში არ გრძნობდა იგი თავისი საქციელის მთელ უკადრისობას? ხოლო თუ გრძნობდა, როგორ შეეძლო ესეირნა იქ, როგორც საბალახოდ გაშვებულ პირუტყვს? განა ის არ გამოიძახეს ღამის დაკითხვაზე და განა არ იცის, ვისთვის არის დაწესებული ეს ღამის გამოძახებები? ღამის გამოძახების მიზანი – და აქ კ.-მ მათი აზრის ახლებური განმარტება მოისმინა – ის არის, რომ რაც შეიძლება მალე მოუსმინონ მთხოვნელებს, რომელთა გარეგნული სახის დანახვა უფალი მოხელეებისათვის აუტანელია, მოუსმინონ მათ ღამით, ხელოვნურ შუქზე, რათა დაკითხვის შემდეგ ისარგებლონ შესაძლებლობით, და დაივიწყონ ძილში მთელი ეს სისაძაგლე. მაგრამ კ.-მ თავისი უსაქციელობით უხეშად დაარღვია სიფრთხილის მთელი წესები; მოჩვენებებიც კი

ქრებიან დილაობით, მაგრამ კ. იქ დარჩა ჯიბეში ხელჩაწყობილი, თითქოს ელოდებოდა, რომ ის თუ არ გაქრება, გაქრება მთელი დერეფანი, ყველა ოთახიან – ბატონიანა და ნამდვილად ასეც მოხდა – შეუძლია, ამაში ეჭვი არ შეიტანოს, – ასეთი შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, იმიტომ, რომ ეს ბატონები უსაზღვრო დელიკატურობით გამოირჩევიან, არც ერთი მათგანი არაფრის დიდებით არ გამოაგდებდა კ.-ს, არაფრის დიდებით არ იტყოდა, თუმცა, ესეც შეიძლება გაიგო, – რომ კ., ბოლოს და ბოლოს, წასულიყო, არავინ არ მოიქცეოდა ასე, თუმცა კ.-ს დანახვაზე მათ, ალბათ, ჟრუანტელი უვლიდათ და მთელი დილა – მათი საყვარელი დრო მოწამლული აღმოჩნდა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ კ.-ს წინააღმდეგ ემოქმედათ, მათ ამჯობინეს დატანჯულიყვნენ, თანაც აქ, რასაკვირველია, თავის როლს თამაშობდა იმედიც, რომ კ. ბოლოს და ბოლოს, დაინახავს იმას, რაც, ჩვეულებრივ თვალს სჭრის და თანდათან, ამ ბატონების ტანჯვა-ვაების შემხედვარე, თვითონაც დაეწყებოდა აუტანელი ტანჯვა იმიტომ, რომ ასე შემზარავად უადგილოდ, ყველას დასანახად დაეყუდო აქ, დერეფანში, თანაც, დღისით-მზისით. ფუჭი იმედებია. ამ ბატონებმა არ იციან, ან არ სურთ იცოდნენ, თავიანთი თავაზიანობისა და გულმოწყალების გამო, რომ არიან ასეთი უგრძნობელი სასტიკი ადამიანები, რომლებსაც ზედ რომ გადაჰყვე, ვერ მოულბობ გულს. აკი ღამის ფარვანაც კი, საცოდავი მწერი, დღის დადგომისას ეძებს მყუდრო კუთხეს და იქ აფარებს თავს, ყველაზე მეტად სურს, გაქრეს და იტანჯება იმის გამო, რომ ეს მიუღწეველია, ხოლო კ., პირიქით, იქ დადგა, ყველას დასანახად, და რომ შესძლებოდა, დღის დადგომისათვის შეეშალა ხელი, რა თქმა უნდა, ასეც იზამდა, მაგრამ ხელის შეშლა არანაირად არ შეუძლია. სამაგიეროდ, შეანელოს დღის ცხოვრება, გააძნელოს იგი – სამწუხაროდ, ხელეწიფება. განა ის არ გახდა საბუთების დარიგების მომსწრე? იმის მომსწრე, რისი ხილვაც მონაწილეთა გარდა, ყველას ეკრძალება, ხილვა იმისა, რის შეხედვასაც ვერ ბედავდნენ ვერც სასტუმროს პატრონი და ვერც დიასახლისი თავიანთ საკუთარ სახლში, იმისა, რაზეც მხოლოდ გადაკვრით - როგორც, მაგალითად, დღეს - მოისმინეს მსახურებისაგან, განა მას არ შეუმჩნევია, რა სიძნელეებით მიმდინარეობდა საბუთების განაწილება, რაც თავისთავად სრულიად გაუგებარია, ვინაიდან ამ ბატონთაგან თითოეული ერთგულად ემსახურება საქმეს, არასდროს არ ფიქრობს პირად გამორჩენაზე და ამიტომ, რაც ძალი და ღონე აქვს, უნდა შეუწყოს ხელი იმას, რომ საბუთების განაწილება – ეს უმნიშვნელოვანესი, ძირითადი სამუშაო სწრაფად, იოლად და უშეცდომოდ წარმოებდეს? და ნუთუ კ.-ს მიახლოებით მაინც არ შეეძლო, წარმოედგინა, რომ ყველა სიძნელის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ განაწილება თითქმის ყველა დახურული კარის პირობებში წარმოებდა, ეს კი ბატონებს ართმევდა უშუალო ურთიერთობის შესაძლებლობას, რომლის დროსაც მათ შეეძლებოდათ უშუალოდ მორიგებულიყვნენ ერთმანეთში, მაშინ, როდესაც მსახურთა შუამავლობა მრავალი საათით აჭიანურებდა საქმეს, იწვევდა უამრავ საჩივარს, ბოლოს და ბოლოს, გააწამა ბატონებიც და მსახურებიც და, ალბათ, კიდევ უფრო მეტად ავნებს შემდგომ მუშაობას, განა რატომ არ შეეძლოთ ბატონებს ერთმანეთთან ურთიერთობა? ნუთუ კ.-ს აქამდე ვერ გაუგია ეს? მსგავსი არაფერი – და სასტუმროს პატრონმა დაადასტურა, რომ მისი მეუღლეც იზიარებს ამ აზრს, – მსგავსი არაფერი არ შეხვედრიათ არც მას, არც მის მეუღლეს აქამდე, არადა, მათ, მრავალ ერთობ ჯიუტ და მიდეგა ადამიანთან ჰქონიათ საქმე. ახლა იძულებული არიან გულახდილად უთხრან კ.-ს ის, რის ხმამაღლა წარმოთქმასაც ვერასოდეს გაბედავდნენ, თორემ ის ვერ გაიგებს ყველაზე არსებითს. ჰოდა, რახან მას ყველაფერი უნდა დაუღეჭონ, მოისმინოს: მხოლოდ მის გამო, მხოლოდ და მხოლოდ მისი

გამოისობით ვერ გამოვიდნენ ბატონები თავიანთი ოთახებიდან, რადგან დილაობით გამოღვიძების შემდეგ ისინი მეტისმეტად მორიდებულნი, მეტისმეტად ფაქიზნი არიან, რომ დაენახვონ უცხოებს, ისინი, გაუზვიადებლად, ჩაცმულ-დახურულნიც კი, მეტისმეტად გაშიშვლებულად გრძნობენ თავს საიმისოდ, რომ უცხო კაცს ეჩვენონ. ძნელი სათქმელია, რისი სცხვენიათ მათ, შეიძლება ამ მუხლჩაუხრელ მაშვრალთ სცხვენიათ მხოლოდ იმისა, რომ ეძინათ? მაგრამ შეიძლება, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე სხვას დანახვებისა, მათ სცხვენიათ დაინახონ უცხო ადამიანები. მათ არ სურთ, რომ ის მთხოვნელები, რომელთა აუტანელი გარეგნობის დანახვა საბედნიეროდ აიცილეს თავიდან ღამით დაკითხვის გზით, უეცრად ახლა, დილაადრიან მოულოდნელად რომ გამოცხადებულიყვნენ მათ წინაშე, უშუალო სიახლოვეს ნატურალური სიდიდით, - მათთვის ძნელია გადაიტანონ ეს. და როგორი უნდა იყოს კაცი, რომელიც არ სცემს პატივს ასეთ გრძნობას? სწორედ ისეთი, როგორიც არის კ., კაცი, რომელიც საკუთარ თავს აყენებს ყველაზე და ყველაფერზე უფრო მაღლა, არა მარტო კანონზე მაღლა, არამედ სხვებისადმი ყურადღებაზე, ყველაზე ჩვეულებრივ ადამიანურ ყურადღებაზე უფრო მაღლაც, და თან ასეთი ბრიყვული გულგრილობითა და უგრძნობლობით. კ.-ს ფეხებზე ჰკიდია, რომ მის გამო საბუთების განაწილება ლამის ჩაიშალა და ჩრდილი ადგება სასტუმროს რეპუტაციას, და რაც ჯერ არასდროს არ მომხდარა, მას ეს ბატონები მიჰყავს ისეთ სასოწარკვეთილებამდე, რომ ისინი იწყებენ მის მოგერიებას და, აიძულებენ რა თავიანთ თავს, ჩვეულებრივი ადამიანისათვის წარმოუდგენელი ძალისხმევით იწყებენ ზარის რეკას და დასახმარებლად უხმობენ მშველელებს, რათა კინწისკვრით გააგდონ კ., კაცი, რომელზეც არავითარი დაყვავება არ სჭრის! ისინი ბატონები არიან და უეცრად შველას ითხოვენ! სასტუმროს პატრონი და დიასახლისი მთელი თავიანთი მსახურებით, დიდი ხნის წინ მოირბენდნენ აქ, რომ გაებედათ დილაადრიან მოუხმობლად გამოჩენილიყვნენ ბატონების წინაშე, თუნდაც, მხოლოდ იმისათვის, რომ დახმარებოდნენ მათ და მაშინვე გამქრალიყვნენ. კ.-ს გამო აღშფოთებით აკანკალებულნი, თავიანთი უძლურების გამო სასოწარკვეთილნი იდგნენ ისინი დერეფნის ბოლოში და ზარი, რომელსაც ისინი არანაირად არ მოელოდნენ, მათთვის ნამდვილი ხსნა გამოდგა. მადლობა ღმერთს, ახლა ყველაზე უარესი უკან დარჩათ! ნეტავ, ჰქონდეთ უფლება, წამით მაინც დაინახონ, რა გახარებულნი აფუსფუსდნენ ეს ბატონები, როდესაც, როგორც იქნა, თავიდან მოიშორეს კ.! მაგრამ რა თქმა უნდა, კ.-სთვის ჯერ არაფერს არ ჩაუვლია! მას უდავოდ აგებინებენ პასუხს იმისათვის, რაც ჩაიდინა.

ამასობაში ბუფეტს მიადგნენ. ცოტა გაუგებარი იყო, რატომ მოიყვანა სასტუმროს პატრონმა კ. აქ, მთელი თავისი გულისწყრომის მიუხედავად. ეტყობა, ის მაინც მოისაზრა, რომ დაღლილ-დაქანცული კ. ასეთ მდგომარეობაში, სულ ერთია ვერ შეძლებს მისი სახლის დატოვებას. კ.-ს არ დაუწყია ლოდინი, როდის შესთავაზებდნენ, დაბრძანდითო, და მოწყვეტით დაეშვა ერთ-ერთ კასრზე. აქ, დაბინდულ სათავსში გაცილებით უკეთ იგრძნო თავი. დიდ შენობაში ლუდის კასრების ონკანის თავზე მხოლოდ ერთი სუსტი ელექტრული ნათურა ბჟუტავდა. ეზოშიც ისეთი წყვდიადი იყო, თითქოს ქარაშოტს ჩაებნელებინა ზეცა; რა კარგია აქ, სითბოში, ახლა უნდა შეეცადოს, რომ აქედანაც არ გააგდონ. სასტუმროს პატრონი და დიასახლისი კვლავინდებურად კ.-ს წინაშე იდგნენ, თითქოს იგი ჯერ კიდევ უქადდა მათ რაღაც საფრთხეს და მისი ასეთი სრული არაკეთილსაიმედოობის გამო არამც და არამც არ გამორიცხავდნენ იმას, რომ კ. შეიძლება უეცრად წამოხტეს და კვლავ

შეეცადოს შეიპაროს იმ დერეფანში. ღამის აურზაურისა და ნაადრევი ადგომის გამო ორივენი ისე დაღლილიყვნენ, განსაკუთრებით, დიასახლისი – მას შრიალა აბრეშუმისმაგვარი ყავისფერი, განიერკიდეებიანი კაბა ეცვა, რომელიც ცოტა მოუწესრიგებლად შეეკრა და ნაუცბადევად შემოეჭირა ქამარი – იდგა, ვით გადატეხილი რტო, თავით ქმრის მხარს მიყრდნობილი, წარამარა იმშრალებდა თვალებს სიფრიფანა ცხვირსახოცით და ბავშვურად გულმოსულ მზერას ესროდა კ.-ს. ცოლ-ქმარი რომ დაემშვიდებინა, კ.-მ ჩაილაპარაკა, ყველაფერი, რაც თქვენ ახლა ბრძანეთ, ჩემთვის ახალი ამბავია, მაგრამ მთელი ჩემი საქციელის მიუხედავად, დიდი ხნით მაინც არასდროს გავეჩხირებოდიო იმ დერეფანში, სადაც მართლაც არაფერი მესაქმებოდა, და რომ, მას რა თქმა უნდა, აზრადაც არ ჰქონდა ვისიმე გაწვალება. ყველაფერი მხოლოდ მისი უკიდურესი დაღლილობის გამო მოხდა, შემდეგ მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ მათ გამოიყვანეს ამ უსიამო მდგომარეობიდან, მაგრამ თუ მას პასუხისგებაში მისცემენ, ძალზე მოხარული იქნება ამისა, იმიტომ, რომ მხოლოდ ასე შეძლებს აღკვეთოს ათასგვარი ჭორები მისი ქცევის შესახებ, მხოლოდ დაღლილობა, მხოლოდ ის არის ყველაფრის თავი და თავი. ხოლო დაღლილობა შედეგად მოჰყვება იმას, რომ იგი ჯერ ვერ მიეჩვია დაკითხვებს. აქ ხომ სულ ცოტა ხნის ჩამოსულია. როდესაც ერთგვარ გამოცდილებას შეიძენს, მსგავსი აღარაფერი განმეორდება. შეიძლება, იგი ამ დაკითხვებს მეტისმეტად სერიოზულად უდგება, მაგრამ ეს ხომ თავისთავად არ არის ხარვეზი. იგი იძულებული გახდა ორი დაკითხვისთვის გაეძლო, ზედიზედ: თავდაპირველად ბიურგელთან, მერე კი ერლანგერთან, და იგი განსაკუთრებით გააწამა პირველმა შეხვედრამ, მეორე, მართალია, დიდხანს არ გაგრძელებულა, ერლანგერმა მხოლოდ ერთი რამ სთხოვა, მაგრამ ყოველივე ეს, ერთად აღებული, უფრო მეტი იყო, ვიდრე შეიძლებოდა ერთ ჯერზე აეტანა, შესაძლოა, ასეთი დატვირთვა სხვა კაცისათვის, ვთქვათ, თვით სასტუმროს პატრონისათვის, ასევე მეტისმეტად მძიმე ყოფილიყო, მეორე შეხვედრის შემდეგ იგი, მართლაც რომ ძლივს იდგა ფეხზე, რაღაც ბინდ-ბუნდში იყო, ის ხომ პირველად შეხვდა ამ ბატონებს, პირველად გაიგონა მათი ხმა, არადა, რაღაცნაირად ხომ უნდა ეპასუხა მათთვის. რამდენადაც ვიცი, თქვა კ.-მ, ყველაფერმა საუცხოოდ ჩაიარა, მაგრამ მერე მოხდა ეს უბედურება, თუმცა არა მგონია, ყოველივე იმის შემდეგ, რაც თავს გადამხდა, ვინმეს სასაყვედუროდ მოუბრუნდესო ენა. სამწუხაროდ, მხოლოდ ერლანგერს და ბიურგელს შეეძლოთ გაეგოთ მისი მდგომარეობა, და, რაღა თქმა უნდა, ისინი გამოესარჩლებოდნენ, თავიდან აიცილებდნენ ყველაფერს, რაც შემდეგ მოხდა, მაგრამ ერლანგერი იძულებული გახდა, მათი შეხვედრის შემდეგ წასულიყო, ეტყობა, გოდოლში მიეშურებოდა, ხოლო ბიურგელს, ლაპარაკით ასევე დაქანცულს – კ.-ს როგორღა ეყოფოდა ძალები, გაეძლო ყველაფრისათვის? – ჩაეძინა და ძილში გამოეპარა საბუთების განაწილება. და კ.-ს რომ ჰქონოდა ასეთი შესაძლებლობა, დიდი სიხარულით ისარგებლებდა მისით და სიამოვნებით უგულებელყოფდა მინიჭებულ შესაძლებლობას, ჩაეხედა ქაღალდებში, რომელთა ნახვაც ეკრძალება, მით უმეტეს, რომ საერთოდ ვეღარ იყურებოდა თვალში და ამიტომ ყველაზე მორიდებულ ბატონებს შეეძლოთ სირცხვილის გრძნობის განუცდელად დანახვებოდნენ მას.

ორი დაკითხვის, განსაკუთრებით, ერლანგერთან შეხვედრის ხსენებამ, და იმ პატივისცემამ, რომლითაც კ. ლაპარაკობდა ამ ბატონებზე, გული მოუბრუნეს სასტუმროს პატრონს კ.-საკენ. იგი თითქმის უკვე იხრებოდა იქითკენ, რომ შეესრულებინა კ.-ს თხოვნა – გაედო ფიცარი ლუდის კასრებზე და ნება დაერთო

მისთვის, თუნდაც განთიადამდე სძინებოდა, – მაგრამ დიასახლისი აშკარად წინააღმდეგი იყო; წარამარა ისწორებდა კაბას, თითქოს ახლა-ღა მიხვდა, რომ რაღაც ვერა აქვს რიგზე, კვლავ და კვლავ აქნევდა თავს და ეტყობოდა, მზად იყო განეახლებინა ძველი კამათი სახლში სისუფთავის დაცვის აუცილებლობის შესახებ. კ.-სათვის, რომელსაც დაღლილობისაგან თვალი ეხუჭებოდა, ცოლ-ქმრის ლაპარაკს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა აქედან რომ გაეგდოთ, ეს მისთვის ისეთი უბედურება იქნებოდა, რომელსაც მთელი თავს გადამხდარი ფათერაკები ვერ შეედრებოდა. ამის დაშვება არამც და არამც არ შეიძლებოდა, მაშინაც კი, თუ სასტუმროს პატრონი და მისი ცოლი ერთად იმოქმედებდნენ მის წინააღმდეგ. კ. კასრზე მოიკუნტა და მოუთმენლად უყურებდა მათ, რომ უცბად დიასახლისმა იმ შეუძლებელი წყენიაობით, რომელიც უკვე შეამჩნია კ.-მ, განზე გადგა ფეხი და, თუმცა ქმარს სულ სხვა რაღაცაზე ელაპარაკებოდა, წამოიძახა: „ერთი ნახე, როგორ მიყურებს! გააგდე, შე ოჯახაშენებულო, რას ელოდებიო?!“ მაგრამ კ.-მ, რომელიც უკვე დარწმუნებული იყო, რომ აქ დარჩებოდა, დრო იხელთა და თქვა: „შენ კი არ გიყურებ, შენს კაბას ვუყურებ.“ „რატომ – ჩემს კაბას?“ ჰკითხა აღელვებულმა დიასახლისმა. კ.-მ მხოლოდ მხრები აიჩეჩა „წავიდეთ!“ უთხრა დიასახლისმა ქმარს. „ვერ ხედავ, ეს ოხერი და მუდრეგი მთვრალია! დარჩეს და გამოძინოს!“ თქვა და მაშინვე უბრძანა პეპის, რომელიც დაძახებისთანავე გამოვიდა სიბნელიდან თმაგაჩეჩილი და დაღლილი, ცოცხით ხელში, რომ კ.-სთვის რაიმე ბალიში მიეშავებინა.

25.

რომ გამოიღვიძა, კ.-მ თავიდან იფიქრა, თითქმის არც მძინებიაო. ოთახში კვლავინდებურად თბილოდა, არავინ იყო, კედლებთან სიბნელე ჩამოწოლილიყო, ერთადერთი ნათურა ლუდის ონკანების თავზე ჩამქრალიყო და ფანჯრის მიღმა ასევე ჯერ არ გათენებულიყო, გაიზმორა, ბალიში გადმოუვარდა, ხოლო მისი სარეცელი და კასრები აჭრიალდა. დარბაზში მაშინვე შემოვიდა პეპი, და მხოლოდ ახლა გაიგო, რომ მოსაღამოებულიყო და თორმეტ საათზე მეტხანს სძინებოდა. მისი ამბავი დღის განმავლობაში რამდენჯერმე ეკითხა დიასახლისს. გერშტეკერიც, რომელიც დილით დიასახლისთან კ.-ს საუბრის დროს აქ იჯდა, სიბნელეში, ლუდის კათხით ხელში, და ვერ ბედავდა, ხელი შეეშალა კ.-სთვის, ასევე შემოსულა აქ, დაუხედავს კ.-სთვის, მერე კი, ბოლოს, თითქოს ფრიდასაც შემოუვლია, წუთით თავზე დასდგომია კ.-ს, მაგრამ საეჭვოა, მოსულიყო კ.-ს გულისათვის, ალბათ, იმიტომ მოვიდა, რომ აქ რაღაც უნდა მოემზადებინა – საღამოს ხომ კვლავ უნდა შესდგომოდა თავის ძველ სამსახურს. „ეტყობა, ფრიდას აღარ უყვარხარ?“ ჰკითხა პეპიმ და ყავა და ნამცხვარი მიაწოდა, მაგრამ ეს ნიშნისმოგებით კი არ უკითხავს, როგორც აქამდე, არამედ, უფრო ნაღვლიანად, თითქოს მას შემდეგ, რაც შეიტყოო მსოფლიო გაბოროტება, რომლის წინაშეც საკუთარი ნიშნისმოგება არაფერს ნიშნავს და უკან იხევს. კ.-ს ელაპარაკებოდა, როგორც მის ბედქვეშ მყოფ ამხანაგს, და, როდესაც კ.-მ ყავა მოწრუპა და ქალს მოეჩვენა, უფრო ტკბილი ეყვარებაო, გაიქცა და სავსე საშაქრე მოუტანა. მართალია, სევდიან განწყობილებას სულაც არ შეუშლია მისთვის ხელი, წინანდელზე მეტად მორთულიყო, ნაწნავებში უამრავი ბაფთი და ლენტი ჩაეწნა, შუბლზე და საფეთქლებზე კულულები საგულდაგულოდ დაეხუჭუჭებინa, ყელზე კი ეკიდა ძეწკვი, რომელიც ღრმად ამოჭრილ ბლუზში ეშვებოდა, მაგრამ როდესაც კ.-მ, ფრიად კმაყოფილმა იმით, რომ ბოლოს და ბოლოს შეძლო გამოეძინა, და კარგი ყავა

დაელია, ჩუმად მოსწია ბაფთს, აბა, თუ გავხსნიო, პეპიმ დაღლილი ხმით უთხრა: „არ გინდაო“ და გვერდით ჩამოუჯდა კასრზე. კ.-ს არც კი დასჭირვებია კითხვა, რა დაგემართა, რა მოგივიდაო, ქალმა თვითონ დაუწყო მოყოლა, თან ყავადანს მისჩერებოდა, თითქოს საუბრისას სხვა რამეზე უნდა გადაერთოს, და არ შეუძლია, მაშინაც კი, როდესაც თავის გასაჭირზე ლაპარაკობს, მთელი ყურადღება დაუთმოს მას, თითქოს საამისოდ ძალა არ ეყოფაო. უწინარეს ყოვლისა, კ.-მ შეიტყო, რომ პეპის უბედურებებში მას მიუძღვის ბრალი, თუმცა ამის გამო პეპი არ არის მასზე ნაწყენი. ქალიშვილმა გადაჭრითაც კი გააქნია თავი, თითქოს არ უნდა კ.-ს შეპასუხება მოისმინოსო. ჯერ იყო, და მან ბუფეტიდან წაიყვანა ფრიდა, პეპი კი დააწინაურეს, შეუძლებელი იყო მოგეფიქრებინა რაღაც სხვა, რის გამოც ფრიდა დატოვებდა თავის ადგილს. იგი ხომ ბუფეტში ისე იჯდა, როგორც ობობა თავის ქსელში. მისგან ყველა მხარეს გადაჭიმული იყო უხილავი ძაფები, რომელთა ამბავი მის გარდა სხვამ არავინ იცოდა. ფრიდას ნების საწინააღმდეგოდ მას ვერავინ გამოიყვანდა იქიდან, და მხოლოდ უმდაბლესი არსების სიყვარულმა ანუ იმან, რაც არანაირად არ შეეფერებოდა მის მდგომარეობას, დაათმობინა ადგილი. ხოლო პეპი? განა ოდესმე უფიქრია, რომ თავისთვის ადგილს დაითრევდა? იგი სასტუმროს მოახლე იყო, ეკავა ყოვლად უმნიშვნელო ადგილი, რომელიც განსაკუთრებულს არაფერს უქადდა, მაგრამ, როგორც ყველა ქალიშვილი, უკეთეს მომავალზე ოცნებობდა, ოცნებას ვერავის ვერ აუკრძალავ, თუმცა სერიოზულად დაწინაურებაზე არ უფიქრია. კმაყოფილი იყო თავისი ბედისა და უცბად ფრიდა მოულოდნელად გაქრა, ისე მოულოდნელად, რომ სასტუმროს პატრონს ახლო-მახლო არ აღმოაჩნდა შესაფერისი შემცვლელი, დაიწყო ძებნა, და პეპიზე შეაჩერა მზერა. მართალია, თავად პეპიც შეეცადა, შესაფერის წუთს დანახვებოდა უფროსს. იმ დროს მას კ. უყვარდა ისე, როგორც აქამდე ჯერ არავინ ჰყვარებია. იქამდე თვეობით იჯდა ქვემოთ, თავის ბნელ სოროში, და მზად იყო იქ მჯდარიყო მრავალ წელს, ხოლო, თუ ბედი არ გაუღიმებდა, – მთელი ცხოვრება ასე, ყველასგან შეუმჩნეველი, და აი, უეცრად გამოჩნდა კ., გმირი, გოგონების გამათავისუფლებელი, და გაუხსნა ზევით მიმავალი გზა. რაღა თქმა უნდა, პეპის შესახებ მან არაფერი იცოდა და ეს მისი გულისთვის არ გაუკეთებია, მაგრამ პეპი მაინც არანაკლებ მადლიერია მისი, დაწინაურების წინა ღამეს – დაწინაურება კი ჯერ კიდევ გაურკვეველი, მაგრამ სავსებით მოსალოდნელი იყო – იგი გულში საათობით ელაპარაკებოდა კ.-ს, ყურში უჩურჩულებდა მადლიერების სიტყვებს. მის თვალში კ.-ს საქციელი კიდევ უფრო მეტად ამაღლდა იმით, რომ მან კისრად იღო ასეთი მძიმე ტვირთი, ანუ ფრიდა. რაღაც გაუგებარი თავგანწირვა იყო იმაში, რომ მან პეპის ამაღლების გულისათვის წაიყვანა საყვარლად ფრიდა – ულამაზო, მობეზრო უფერუხორცო ქალიშვილი, მოკლე, არცთუ ხშირი თმით, თანაც ორპირა: მას ყოველთვის აქვს რაღაც საიდუმლოებანი. ალბათ, ეს მის გარეგნობაზეა დამოკიდებული. თუ ნებისმიერი კაცი ერთი თვალის შევლებით ხედავს, რა ულამაზო პირისახე და ტანი აქვს, მაშასადამე, უნდა მოიგონოს საიდუმლო, რომელსაც ვერავინ ვერ შეამოწმებს, – მაგალითად, რომ იგი ვითომ კლამის საყვარელია. პეპის მაშინ თავშიც კი გაუელვა ასეთმა აზრმა: ნუთუ შესაძლებელია, რომ კ.-ს მართლაც უყვარდეს ფრიდა, ხომ არ ტყუვდება იგი ამ ამბავში ან, შეიძლება მხოლოდ ფრიდას ატყუებს, და ამას, შესაძლოა, მოჰყვეს მხოლოდ პეპის დაწინაურება, მაშინ კ. დაინახავს თავის შეცდომას, ანდა აღარ მოინდომებს მეტს, მალოს იგი და ყურადღებას მიაპყრობს უკვე არა ფრიდას, არამედ მხოლოდ პეპის, და ეს სულაც არ არის პეპის წრესგადასული ფანტაზია, იმიტომ, რომ როგორც ქალიშვილს მას სავსებით შეეძლო გასჯიბრებოდა ფრიდას, ამას ვერავინ ვერ

უარყოფს, და, არსებითად, კ.-ს ხომ თვალი მოსჭრა უწინარეს ყოვლისა ფრიდას სამსახურებრივმა მდგომარეობამ, რომელსაც იგი ოსტატურად ჰმატებდა ხიბლს. და პეპი თავის ოცნებებში უკვე ხედავდა, რომ როდესაც იგი ფრიდას ადგილს დაიკავებს, კ. მასთან მოვა მთხოვნელად და უკვე თვითონ ექნება არჩევანი: ან დადებითად უპასუხოს კ.-ს ხვეწნა-მუდარას და დაკარგოს ადგილი, ანდა, გულზე ხელი ჰკრას და კიდევ უფრო მაღლა აიწიოს, გულში კი გადაწყვიტა, უარი ეთქვა ყველა სიკეთეზე და თავის სიმაღლიდან დასულიყო კ.-მდე, ესწავლებინა მისთვის ნამდვილი სიყვარული, რასაც ვერასდროს ვერ შეიტყობს ფრიდასაგან, სიყვარული, რომელიც არ არის დამოკიდებული ამქვეყნად არსებულ არც ერთ საპატიო თანამდებობაზე, მაგრამ მერე ყველაფერი სხვაგვარად გამოვიდა, ვისი ბრალია ეს? უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, თვითონ კ.-სი, მერე კი ფრიდას ურცხვობისა, მაგრამ მთავარი არის თავად კ.. მაინც, რა უნდა, რა ახირებული კაცია. რას ესწრაფვის ასეთს, რა მნიშვნელოვან საქმეებს არის ასე გამოდევნებული, რომ ავიწყდება ყველაზე ახლობელი, ყველაზე საუკეთესო, ყველაზე მშვენიერი? პეპი მსხვერპლია, და ყველაფერი სულელურად მოუბრუნდა, ყველაფერი წყალში ჩაეყარა, და ვინმეს რომ ეყოს გამბედაობა, ცეცხლი წაუკიდოს და დაწვას მთელი სასტუმრო, თან ისე გადაბუგოს, რომ კვალიც აღარ დარჩეს, დაფერფლოს როგორც ღუმელში შეგდებული ქაღალდი, აი, ასეთ კაცს უწოდებდა პეპი თავის რჩეულს. მაშ ასე, პეპი აქ, ბუფეტში მოვიდა ოთხი დღის უკან სადილის წინ, სამუშაო აქ ძნელია, შეიძლება ითქვას, ისეთი, რომ მოინელებს კაცს, მაგრამ ის, რასაც შეგიძლია აქ მიაღწიო, არ არის ასევე ხელწამოსაკრავი, პეპი წინათაც ცხოვრობდა არა უბრალოდ დღიდან დღემდე, და თუ ყველაზე თამამ ოცნებებშიც კი ვერასდროს ბედავდა, ენატრა ეს ადგილი, დაკვირვებები საკმარისზე მეტი ჰქონდა. მან იცოდა ყველაფერი, რაც ამ ადგილთან არის დაკავშირებული, მოუმზადებლად ასეთ სამუშაოს არც მოჰკიდებდა ხელს. მოუმზადებლად აქ არ მოხვალ, თორემ სამსახური, დაწყებულიც არ გექნება, მაშინვე დაჰკარგავ. განსაკუთრებით, თუ ისე მოიქცევი აქ, როგორც სასტუმროს მოახლე! როცა მოახლედ მუშაობ, მაშინ, დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად გრძნობ თავს მიტოვებულად და ყველასგან დავიწყებულად, მუშაობ როგორც შახტში, ყოველ შემთხვევაში იმ დერეფანში, სადაც მდივნები არიან დაბინავებულნი; გარდა რამდენიმე კლიენტისა, დღისით რომ შემოეხეტებიან ხოლმე აქ, აქეთ-იქით დაძვრებიან და თვალის გასწორებისა ეშინიათ. იქ მთელი დღის განმავლობაში კაციშვილს ვერ ნახავ, თუ არ ჩავთვლით სხვა მოახლეებს. ისინი კი შენზე ნაკლებად როდი არიან გაბოროტებულნი. დილით ოთახიდან საერთოდ ვერ გამოყოფ ცხვირს, მდივნებს არ სურთ, ხედავდნენ უცხო პირებს. მათთვის საჭმელი მსახურებს მოაქვთ სამზარეულოდან, აქ მოახლეებს არაფერი ესაქმებათ, ვერც ჭამის დროს შეხვალ მათთან. აი, მხოლოდ როცა ბატონები მუშაობენ, მოახლეს შეუძლია დაალაგოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა საცხოვრებელი ოთახები, არამედ ისინი, რომლებიც ჯერჯერობით ცარიელია, თან უნდა დაალაგო ჩუმად, რომ ხელი არ შეუშალო ბატონების მუშაობას. მაგრამ რას დაალაგებ, როცა ბატონებს ოთახები მრავალი დღის მანძილზე უკავიათ, თან იქვე ფუთფუთებენ მსახურები, ეს ბინძური ჯგრო, და როცა ბოლოს და ბოლოს მოახლეს ნებას რთავენ, შევიდეს სადგომში, იგი ისეა ჩაბინძურებული, რომ მსოფლიო წარღვნაც ვერ გარეცხავს. რა თქმა უნდა, ისინი დიდი ბატონები არიან, მაგრამ დიდი თავშეკავება გმართებს, არ შეიმჩნიო ზიზღი, როცა მათ ჩანაგვებულ ოთახს ალაგებ. სასტუმროს მოახლეებს არა აქვთ მაინც და მაინც ბევრი სამუშაო, მაგრამ ეს მძიმე სამუშაოა. თან, კაციშვილი არ შეგაწევს კეთილ სიტყვას, საყვედურებით გავსებენ და ყველაზე ხშირი, ყველაზე მტანჯველი საყვედური ის არის, თითქოს ოთახის დალაგების დროს

დაიკარგა საბუთები, სინამდვილეში არაფერი არ იკარგება, ყოველ ქაღალდს აძლევ სასტუმროს პატრონს, ხოლო თუ საბუთები იკარგება, ეს, რა თქმა უნდა, გოგონების მიზეზით არა ხდება, მერე კი მოდის კომისია, გოგონები გამოჰყავთ თავიანთი ოთახიდან, და კომისია მათ ლოგინებს ქექავს, ხოლო გოგონებს არავითარი თავიანთი ნივთები არა აქვთ, ყველა მათი ნივთი ერთ ხელის კალათაში ეტევა, მაგრამ კომისია საათობით ჩხრეკს ყველაფერს. რა თქმა უნდა, ვერაფერს ვერ პოულობენ, ან საიდან შეიძლება იქ საბუთები მოხვდეს? რაში სჭირდებათ გოგონებს საბუთები? ყველაფერი კი იმით მთავრდება, რომ გაწბილებული კომისია ილანძღება და იმუქრება, ხოლო სასტუმროს პატრონი ყველაფერს უყვება გოგონებს. არავითარი მოსვენება არა გვაქვს, არც დღისით, არც ღამით, შუაღამემდე ხმაურია, და გათენდება თუ არა – ხმაური. ნეტავ შეიძლებოდეს, არ ცხოვრობდე სასტუმროში! მაგრამ იძულებული ხარ, აქ იცხოვრო, იმიტომ, რომ შუალედებში გვიწევს გამოძახებით მივიტანოთ სამზარეულოდან ათასი რამ. ესეც მოახლის მოვალეობაა, განსაკუთრებით ღამღამობით. უეცრად მოულოდნელად მუშტის ბრახუნს აუტეხენ მოახლის ოთახს, დაგიღრიალებენ, შეკვეთაააო, და კისრისტეხით გარბიხარ სამზარეულოში, ანჯღრევ მძინარე მზარეულის შეგირდს, ტოვებ ლანგარს შეკვეთილი კერძებით შენს კარებთან, საიდანაც მიაქვთ მსახურებს. წარმოგიდგენია, რაოდენ გულის გამაწყალებელია ეს? მაგრამ არც ეს არის ყველაზე უარესი. ყველაზე უარესია, თუ შეკვეთები არ არის, მაგრამ გვიან ღამით, როდესაც ყველას უნდა ეძინოს, და უმრავლესობას მართლაც სძინავს, მოახლეთა ოთახს ვიღაც ეპარება, აქ გოგონები ლოგინებიდან წამოიშლებიან ხოლმე – მათი საწოლები ერთი ერთმანეთის თავზეა განლაგებული, ოთახში ხომ ცოტა ადგილია, თანაც, არსებითად ეს ოთახი კი არა, ერთი დიდი კარადაა, სამი თაროთი, – გოგონები გულისფანცქალით ადებენ ყურს კარს, მუხლზე იჩოქებენ, შეშინებულნი ეკვრიან ერთმანეთს. და სულ მუდამ გესმის, როგორ მოიპარება ვიღაც კართან, ბარემ შემოვიდეს, ყველას გაეხარდებოდა, მაგრამ არავინ არ შემოდის, არაფერი არ ხდება. იძულებული ხარ, არწმუნო შენი თავი, რომ არავითარი საფრთხე არ გემუქრება. იქნებ, ვიღაც უბრალოდ ბოლთას სცემს კართან, ფიქრობს, ხომ არ შეუკვეთოს რაღაც, მერე კი გადაიფიქრებს. შეიძლება, ასეც იყოს, ხოლო შეიძლება – სულ სხვაგვარად. არსებითად, შენ ხომ სულ არ იცნობ ამ ბატონებს, მათ თითქმის ვერც ხედავ. ყოველ შემთხვევაში, გოგონებს თავიანთ ოთახში შიშით გული მისდით, ხოლო როდესაც გარეთ წყდება ყოველგვარი ხმაური და ფაჩუნი, ისინი იატაკზე წვებიან კედელთან, იმიტომ, რომ აღარა აქვთ იმის თავი, რომ საწოლზე აძვრნენ. და ასეთი ცხოვრება კვლავ მოელის პეპის. დღეს საღამოსვე უნდა დაბრუნდეს თავის ადგილზე, მოახლეთა ოთახში. მერედა, რის გამო? კ.-სა და ფრიდას გამო. ისევ უნდა დაუბრუნდეს იმ ცხოვრებას, რომლისგანაც ძლივს უშველა თავს, მართალია, უშველა კ.-ს წყალობით, მაგრამ თავადაც ხომ მოუხდა უდიდესი ძალისხმევა, არადა, იმ სამუშაოზე გოგონები საერთოდ აღარ აქცევენ ყურადღებას საკუთარ თავს, ყველაზე კოპწიებიც კი, ანდა, რისთვის უნდა მოირთონ და მოიკაზმონ? მათ ვერავინ ხედავს, უკეთეს შემთხვევაში – მზარეულები და მათი შეგირდები, მსახურები, ხოლო ვისთვისაც ეს საკმარისია, დაე, ისინი მოირთონ, თორემ მუდამდღე გამოკეტილი ხარ შენს ოთახში ან ბატონების ოთახებში, სადაც სუფთა კაბით უბრალო შესვლაც კი ბრიყვული ქარაფშუტობა და მფლანგველობა იქნებოდა. და დღიდან დღემდე ცხოვრობ ხელოვნური განათების პირობებში, ჩახუთულ ჰაერში, იქ გამუდმებით ანთია ღუმელი – დაღლილ-დაქანცულს სულიც ვერ მოგითქვამს. ერთადერთი თავისუფალი საღამო კვირაში, ყველას აჯობებს, გაატარო სადმე საკუჭნაოში, სამზარეულოსთან, და ერთი კარგად გამოიძინო, ყოველგვარი შიშების გარეშე. მაშ

რაღა საჭიროა გამოპრანჭვა? რაც ხელში მოგხვდება, იცვამ. მეტიც არ გინდა არაფერი. და უეცრად, პეპი ბუფეტში დანიშნეს, ხოლო, თუ გინდა, აქ მოიკიდო ფეხი, სულ სხვანაირი უნდა გახდე, აქ სულ მუდამ მოგჩერებიან ნებიერა და გაფაციცებული ბატონები, ამიტომ, რაც შეიძლება მიმზიდველად და საყვარლად უნდა გამოიყურებოდე. აქ კი ყველაფერი სხვაგვარად არის, და პეპის შეუძლია თქვას საკუთარ თავზე, რომ არ გაუშვია ხელიდან არავითარი შესაძლებლობა. მისთვის სულ ერთი იყო, როგორ წარიმართება საქმე შემდეგში. ის, რომ ასეთ ადგილზე გამოდგება, თავიდანვე იცოდა, იგი ამაში დარწმუნებული იყო, ვერავინ წაართმევს ამ რწმენას, დღესაც კი, საბოლოო მარცხის დღეს. ძნელი იყო, პირველივე დღეს აღმოჩენილიყავი ჯეროვან სიმაღლეზე, ის ხომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიუსაფარი მოახლეა, არ გააჩნია არც კაბები, არც სამკაულები, ხოლო ბატონებს არ ჰყოფნით მოთმინება, გელოდონ, სანამ შენ შეიცვლები, მათ სურთ, ერთბაშად, ყოველგვარი მომზადების გარეშე, მიიღონ მზამზარეული მებუფეტე ქალი, რომელიც ამ სამუშაოსთვის არის დაბადებული, თორემ ზურგს შეაქცევენ. შეიძლება იფიქრო, რომ მათ სულაც არ აქვთ ისეთი დიდი მოთხოვნები, რაკი ფრიდამ მოაწონა თავი. მაგრამ ეს არ არის სწორი. პეპი ხშირად ფიქრობდა ამაზე, თან ფრიდასაც ხშირად აკვირდებოდა, გარკვეული დროის მანძილზე მის გვერდით ეძინა. ფრიდას ერთბაშად ვერც აუღებ ალღოს, და ვინც არ არის მაინცდამაინც ყურადღებიანი – ხოლო ამ ბატონთაგან რომელი გყავს საკმაოდ ყურადღებიანი? – იმას მყისვე აურევს თავგზას. ფრიდაზე უკეთ არავინ იცის, რა საცოდავი გარეგნობა აქვს, თუ, მაგალითად, პირველად ხედავ, როგორ იშლის თმას, მხოლოდ სიბრალულით გაასავსავებ ხელებს. ასეთი გოგონა, კაცმა რომ თქვას, მოახლედაც კი არ შეიძლება ამუშაო. თავადაც ხომ გრძნობს ამას, რამდენჯერ უტირია, ჩახუტებია პეპის, მიუზომებია პეპის ნაწნავი თავისი თმებისათვის. მაგრამ საკმარისია, მხოლოდ დადგეს სამუშაო ადგილზე და ყველა ეჭვი მაშინვე გეხსნება, იგი თავს გრძნობს ირგვლივ მყოფთაგან ყველაზე ლამაზად, თანაც, შეუძლია ნებისმიერი კაცს ჩააგონოს ეს. ადამიანებისა კარგად ესმის და ეს არის მისი მთავარი ხელოვნება, თან, უღმერთოდ ცრუობს, თავიდანვე ატყუებს კაცს, რომ ვერ მოასწროს მისი ხეირიანად დანახვა. რა თქმა უნდა, ტყუილი დიდი ხნით არ შველის, ბოლოს და ბოლოს, ხალხი ბრმა ხომ არ არის?! გადის ცოტა ხანი და სიმართლეს ყველა დაინახავს, მაგრამ როგორც კი იგრძნობს ასეთ საფრთხეს, იმავ წამს მიმართავს ბრძოლის ახალ საშუალებას. უკანასკნელ ხანს, მაგალითად, – ეს არის მისი სიახლოვე კლამთან. კლამთან სიახლოვე! თუ ეჭვი გეპარება, შეგიძლია, თავად შეამოწმო: მიდი კლამთან და ჰკითხე. მაინც, რა ეშმაკია, მაინც, რა გაიძვერაა! მაგრამ იქნებ რატომღაც ვერ გაბედე ასეთი კითხვით მიხვიდე კლამთან, იქნებ შენ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი კითხვებით არ მიგიშვან მასთან. შეიძლება, შენთვის კლამი საერთოდ მიუწვდომელია – სწორედ რომ შენთვის და შენისთანებისათვის, იმიტომ, რომ ფრიდა, მაგალითად, როცა მოეხუშტურება, მაშინვე შეცქრიალდება ხოლმე მასთან, – ჰოდა, მაშინაც კი, თუ ეს მართლაც, ასეა, სულ ერთია, შეგიძლია ეს ამბავი შეამოწმო, ოღონდ მთავარია, მოითმინო! ხომ არ დაიწყებს კლამი ასეთი მტკნარი ჭორების დიდხანს თმენას, ალბათ, მასაც ერთი სული აქვს, გაიგოს, რას ლაპარაკობენ მასზე ბუფეტში და ნომრებში, მისთვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, და საკმარისია, ყური მოჰკრას მთელ ამ მონაჩმახს, რომ მაშინვე უარყოფს. მაგრამ საბოლოოდ არაფერსაც არ უარყოფს, ჰოდა, ასე გამოდის: უარსაყოფი არაფერია, ყველაფერი ჭეშმარიტი სიმართლეა, რა თქმა უნდა, ყველანი მხოლოდ იმას ხედავენ, რომ ფრიდას დააქვს ლუდი კლამის ოთახში და იქიდან ფულით გამოდის, ხოლო იმას, რასაც ვერ ხედავენ, თავად ფრიდა ჰყვება და, მეტი რა ჩარაა, უნდა დაუჯერო. მაგრამ ისეთს არაფერს

მოჰყვება, ხომ არ მოხსნის მართლაც გუდას პირს და ხომ იჭიკჭიკებს ყოველგვარ საიდუმლოებებზე, არა, ამ საიდუმლოებებს სხვები ჰყვებიან მის ირგვლივ, ხოლო რაკი ვიღაც უკვე მოჰყვა, არც მას ერიდება მათი ხსენება, მართალია, ძალზე თავშეკავებულად, არაფერს არ ამტკიცებს, იგი მხოლოდ იმოწმებს იმას, რაც უმისოდაც ყველასთვის ცნობილია. მაგრამ ყველაფერზე როდი ლაპარაკობს, მაგალითად იმაზე, რომ რაც თვითონ ბუფეტში გამოჩნდა, კლამმა მოუკლო ლუდის სმას. ამას საერთოდ არ ახსენებს. არადა, ამას შეიძლება ექნეს სულ სხვადასხვა მიზეზები, უბრალოდ, დრო მოუვიდა ისეთი, რომ კლამს ლუდი უგემური ეჩვენება, ანდა ივიწყებს კიდეც ლუდს ფრიდას გამო. ყოველ შემთხვევაში, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს ეს, ფრიდა მართლაც არის კლამის სატრფო, ხოლო თუ კლამს მოსწონს, რატომ არ უნდა შეუვარდეთ გული ფრიდაზე სხვებს? და გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ ფრიდა მზეთუნახავთა რიცხვში მოხვდა, ყველამ თქვა, მებუფეტის თანამდებობა ფრიდაზე ზედგამოჭრილიაო. უფრო მეტიც, იგი ახლა მეტისმეტად ლამაზია, მეტისმეტად მედიდურია ისეთი ადგილისათვის, როგორიც არის ჩვენი ბუფეტი, მას ახლა ეს ეცოტავება და მართლაც, ხალხს უკვე უცნაური ეჩვენება, რომ ფრიდა ჯერ კიდევ აქ ზის, ბუფეტში. რა თქმა უნდა, მებუფეტეობა ქალისთვის ცოტა არ არის, ასეთ დროს, კლამის ნაცნობობა უნებლიედ გეჯერება, მაგრამ თუ მებუფეტე კლამის საყვარელი გახდა, რატომ ანებებს ქალს, თან, ასე დიდხანს, ბუფეტში დარჩეს? რატომ არ დააწინაუროს უფრო მაღლა? ხალხს შეიძლება გაუთავებლად ეჩიჩინო, რომ აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, რომ კლამს აქვს გარკვეული მიზეზები, მოიქცეს ასე და რომ მოულოდნელად, შესაძლოა, ყველაზე ახლო მომავალში, ფრიდა დააწინაურონ კიდეც. მაგრამ ეს სიტყვები არავიზე არ მოახდენს არავითარ შთაბეჭდილებას. ადამიანებს ჩვეული წარმოდგენები აქვთ და მათ ვერანაირად ვერ მოაშლევინებ. ხომ უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ფრიდა კლამის საყვარელია, იმასაც კი, ვისაც ყველაფერი ესმოდა, იმასაც მობეზრდა, შეეტანა ეჭვი მის საყვარლობაში. ჯანდაბას შენი თავი და ტანი, იყავი კლამის სატრფო, ფიქრობენ ადამიანები. მაგრამ რახან ეს ასეა, დაე, ჩვენ გავხდეთ შენი ამაღლების მოწმენი, თუმცა, მათ არაფერი დაუნახავთ. ფრიდა კლავინდებურად იჯდა ბუფეტში და ძალიან ხარობდა გულის სიღრმეში, რომ ყველაფერი ძველებურად რჩებოდა, მაგრამ ხალხმა თანდათან დაკარგა მისდამი პატივისცემა, და რაღა თქმა უნდა, ფრიდას არ შეეძლო ეს არ შეემჩნია, იგი ხომ ყველაფერს ამჩნევს ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ეს მოხდებოდეს. აკი ნამდვილად გულღია გოგონას არ სჭირდება არავითარი ეშმაკობა, თუ უკვე დაიმკვიდრა ადგილი ბუფეტში. სანამ ლამაზია, მებუფეტედ დარჩება, თუ რაიმე უბედური შემთხვევა არ მოხდა, მაგრამ ისეთ გოგონას, როგორიც ფრიდაა, სულ ერთთავად უწევს ზრუნვა ადგილის შესანარჩუნებლად, რა თქმა უნდა, ამას არ იმჩნევს. შეიძლება წუწუნსაც კი მოჰყვეს და ლანძღოს ეს თანამდებობა. მაგრამ გულის სიღრმეში იგი გამუდმებით ადევნებს თვალს ირგვლივ მყოფთა განწყობილებას, და აი, ფრიდამ დაინახა, რომ ხალხმა თანდათან აიყარა მასზე გული, უკვე მისი გამოჩენისას ზედაც არ უყურებდნენ, მსახურებიც კი არ გამოხატავდნენ ინტერესს მისდამი, ისინი კი, გასაგებია, ყველაზე მეტად ეტმასნებოდნენ ოლღას და მისნაირ გოგონებს. სასტუმროს პატრონის ქცევითაც კი ჩანს, რომ ფრიდა სულ უფრო ნაკლებად ხდებოდა საჭირო, კლამის ახალი თავგადასავლების გამოგონება სულ უფრო ძნელდებოდა, ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, და აქ ჩვენმა ძვირფასმა ფრიდამ ახალი მზაკვრობა ჩაიფიქრა, ვინ მიუხვდებოდა თავიდანვე, რას აპირებდა? პეპი რაღაცას ეჭვობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ აუღო ალღო. ფრიდამ გადაწყვიტა, სკანდალი აეტეხა: იგი, კლამის საყვარელი, ლოგინში უგორდება

პირველივე შემხვედრს, შეძლებისდაგვარად, ყველაზე უბადრუკ ადამიანს. ეს ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, დაიწყება ჭორები, დიდი მითქმა-მოთქმა, და, ბოლოს და ბოლოს, ისევ გაიხსენებენ, თუ რას ნიშნავს კლამის საყვარლობა და რას ნიშნავს, ფეხებზე დაიკიდო ეს პატივი ახალი სიყვარულით გაბრუებულმა, ძნელი იყო, მხოლოდ ეპოვა შესაფერისი კაცი, რომელთანაც ამ ეშმაკურ თამაშს წამოიწყებდა. იგი არ უნდა ყოფილიყო ფრიდას რომელიმე ნაცნობი, ან თუნდაც რომელიმე მსახურთაგანი, იმიტომ, რომ ასეთი კაცი მხოლოდ გაკვირვებული შეხედავდა ფრიდას და განაგრძობდა გზას, და რაც მთავარია, არ უნდა მოჰკიდებოდა მას სერიოზულად. თანაც, ძალიან დიდი მჭევრმეტყველების წყალობითაც კი იგი ვერავის მოანდომებდა, ფრიდაზე შევარდნოდა გული და ისიც ვერ შეძლებდა, წინააღმდეგობა გაეწია და სიგიჟის რაღაც წამს დანებებოდა, – უნდა ეპოვა ისეთი კაცი, რომ ყველას დაეჯერებინა, თითქოს ეს უბადრუკი კაცი მთელი თავისი უტვინობისა და სიბრიყვის მიუხედავად, მაინც გაუმიჯნურდა ვინმეს, სახელდობრ, კი ფრიდას და არასოდეს ჰქონია იმაზე უფრო ძლიერი სურვილი, რომ – უფალო, შენ გვიშველე! – ცოლად შეერთო ფრიდა, მაგრამ სულ უანასკნელი კაციც რომ შეხვედროდა, ნებისმიერ ყურმოჭრილ ყმაზე უფრო ნაკლები, ის მაინც უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ მისი გულისთვის, სამასხარაოდ არ გაეხადა თავი, რომ ასევე სხვა გამგებიან ქალიშვილს შესძლებოდა მასში ეპოვა რაღაც მიმზიდველი, მაგრამ სად ნახავდი ასეთს? სხვა ქალიშვილი, უდავოდ, ტყუილად დაუწყებდა მას ძებნას, თავის დღეში ვერ იპოვიდა. მაგრამ, ფრიდას ბედად მის ბუფეტში მოხვდა მიწისმზომელი, და მოხვდა, შეიძლება, სწორედ იმ საღამოს, როცა ქალს პირველად მოუვიდა თავში ასეთი გეგმა. არსებითად, რაზე ფიქრობდა კ.? რა განსაკუთრებული აზრები ჰქონდა თავში? რა უმაგალითო წარმატებისათვის სურდა მიეღწია? კარგი ადგილისათვის, ჯილდოებისათვის? აი, რა ეწადა, არა? კეთილი, მაშინ თავიდანვე სხვაგვარად უნდა მოეკიდა საქმისთვის ხელი. მაგრამ ის ხომ არარაობაა, გებრალება, მისი მდგომარეობის შემხედვარეს. დიახ, ის მიწისმზომელია, ეს, შეიძლება რაღაცას ნიშნავდეს, გამოდის, რომ რაღაც უსწავლია, მაგრამ თუ ამ ცოდნას ვერ გამოიყენებ, მაშასადამე, ეს არაფერს არ ნიშნავს. მაგრამ იგი მოურიდებლად აყენებს მოთხოვნებს, და თუმცა ამ მოთხოვნებს ჯიქურ არ აყენებს, თავიდანვე ეტყობა, რომ მას რაღაც მოთხოვნები აქვს, ეს კი ყველას აღიზიანებს. იცის კია, რომ მოახლე ქალიც კი თავს იმცირებს, თუ მას უფრო მეტ ხანს ელაპარაკა, ვიდრე საჭიროა? და ყველა თავისი განსაკუთრებული მოთხოვნით იგი ყველაზე ტლანქ მახეში ხვდება. ნუთუ მას არ სცხვენია? რით მოისყიდა იგი ფრიდამ? ახლა მას უკვე შეუძლია გამოტყდეს. ნუთუ შეიძლებოდა ასე მოსწონებოდა ეს გაძვალტყავებული, ბიასავით ყვითელი უფერხორცო არსება? აჰა, აი თურმე რა ყოფილა... მას ქალისთვის თურმე ზედაც არ შეუხედავს, ქალმა მხოლოდ უთხრა, რომ ის კლამის მიჯნურია. იგი, ბუნებრივია, ამან გააოგნა, და აქ, თავიან-ფეხებიანა გაება მახეში! ქალი კი იძულებული გახდა, აქედან მოეცოცხა, ასეთებს სასტუმროში არა აქვთ ადგილი. პეპიმ ის იმ დილას ნახა, წასვლის წინ. მთელი მსახურები შეიყარნენ, ყველას უნდოდა, მისთვის შეეხედა და ფრიდას ჯერ კიდევ ისეთი ძალაუფლება ჰქონდა, რომ იგი ეცოდებოდათ. ყველას, მტრებსაც კი ებრალებოდათ იგი, აი, რა ზუსტი გამოდგა ფრიდას ვარაუდი, ვერავის ვერ გაეგო, რატომ იღუპავს თავს ასეთი კაცის გამო, ყველას ეგონა, ეს ბედის დარტყმააო. პატარა ჭურჭლის მრეცხავი გოგონები, რომლებსაც ყოველი მებუფეტე ქალი უმაღლეს არსებად ეჩვენებათ, გულამომჯდარი ქვითინებდნენ, პეპისაც კი აუჩუყდა გული. ისიც კი ვერ მოერია საკუთარ თავს, თუმცა მისი ყურადღება სულ სხვა მხარეს იყო მიმართული. მან მყისვე შეამჩნია, რომ ფრიდა სულაც არ გამოიყურებოდა უნუგეშოდ

და ნაღვლიანად. არსებითად, მას ხომ უზარმაზარი უბედურება დაატყდა თავს. ის კი ისე იჭერდა თავს, თითქოს ძალზე უბედურია, მაგრამ ეს ეცოტავა, განა ასეთი კომედია მოატყუებდა პეპის? მაშ რა ამხნევებდა მას? ნუთუ, ახალი სიყვარულის ბედნიერება? არა, ეს გამორიცხული იყო. მაგრამ, მაინც რა იყო მიზეზი? რა ჰმატებდა მას ძალას, ყოფილიყო კვლავინდებურად თავშეკავებულ-თავაზიანი, პეპისთანაც კი, რომელიც უკვე მაშინ უმიზნებდა მის მოადგილეობას? თუმცა, სად ეცალა პეპის, ძირისძირამდე ჩაჰყოლოდა ყოველივე ამას, მეტისმეტად დაკავებული იყო ახალი თანამდებობის თადარიგით. უკვე ორი-სამი საათის შემდეგ უნდა დაეწყო მუშაობა, მას კი ჯერაც არ ჰქონდა არც ლამაზი ვარცხნილობა, არც საგარეო კაბა, არც თხელი საცვლები და არც წესიერი ფეხსაცმელი. და ყოველივე ეს უნდა ეშოვა რამდენიმე საათში, ხოლო თუ ამ დროის მანძილზე ვერ მიხედავდა თავს, ერჩივნა, საერთოდ უარი ეთქვა ასეთ ადგილზე, სულ ერთია, დაკარგავდა მას პირველივე ნახევარ საათში. მაგრამ რაღაც მანქანებით მაინც შეძლო მოესწრო ყველაფერი. თმის კარგად დაყენება ყოველთვის ეხერხებოდა, ერთხელ დიასახლისმაც კი დაიბარა და სთხოვა, ვარცხნილობა გამიკეთეო, პეპის ეს საუცხოოდ გამოსდის, მართალია, თავადაც ხშირი, დამჯერე თმა აქვს, და შეუძლია როგორც უნდა, ისე დაიყენოს. კაბითაც დაეხმარნენ. მისი ორივე ერთგული დაქალი გაისარჯა. მართალია, მათთვის ეს პატივიც იყო, როდესაც მებუფეტე ხდება სწორედ მათ კომპანიაში შემავალი ქალიშვილი, თანაც პეპის, ძალამოსილებას რომ მოიპოვებდა, შეეძლო, მათთვის მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია. ერთ-ერთ გოგონას დიდი ხანია, ედო ძვირფასი ქსოვილის ნაჭერი, მისი განძი, ხშირად უჩვენებდა ხოლმე დაქალებს დასატკბობად და, ალბათ, ოცნებობდა, რა დიდებულ კაბას შეიკერავს თვითონ, მაგრამ ახლა – და ეს მისი მხრივ საქებარი საქციელი იყო – მან მსხვერპლად გაიღო საკაბე პეპისათვის. ორივე გოგონა დაუზარებლად ეხმარებოდა პეპის კერვაში და, რომ ვთქვათ, თავისთვის უფრო გულმოდგინედ და ხალისით შეიკერავდნენო, ტყუილი იქნება. მხიარულად მუშაობდნენ, კმაყოფილებით, თავიანთ საწოლებზე წამომსხდარიყვნენ, ერთურთის თავზე, კერავდნენ და მღეროდნენ, ერთმანეთს აწვდიდნენ ხან ქვევით, ხან ზევით მზა ნაწილებსა და მოჩითულობას. საკმარისია, ახლა მოაგონდეს ეს პეპის, რომ ბურთი ყელში ებჯინება, იმიტომ, რომ ყველაფერი ამაო გამოდგა და ახლა ხელცარიელი უნდა დაბრუნდეს თავის დაქალებთან. რა უბედურება და რა ქარაფშუტობაა ამის მიზეზი, განსაკუთრებით კ.-ს მხრიდან? როგორ შეჰხაროდნენ მაშინ კაბას, წარმატების საწინდარი ეგონათ, ხოლო როდესაც, დასასრულ კიდევ ერთგან გამოჩნდებოდა ადგილი რაღაც პაწაწკინტელა ბაფთის დასამატებლად, მათ უკანასკნელი ეჭვიც უქრებოდათ, და წარმატების რწმენით ევსებოდათ გული. და განა მართლა ტურფა რამ არ არის ეს კაბა? მართალია, ახლა იგი უკვე დაიჭმუჭნა და ცოტა დალაქავდა, სხვა კაბა პეპის არა აქვს, იძულებულია დღე და ღამ ერთი და იგივე სამოსი ატაროს, მაგრამ მაინც ეტყობა, რა ლამაზია ამაზე უკეთ ბარნაბაანთ წყეული გომბიოც კი ვერ შეკერავდა. და კაბას აქვს კიდევ ერთი განსაკუთრებული უპირატესობა: იგი შეგიძლია, შემოიჭირო ტანზე ან გაასრულო ქვემოდანაც და ზემოდანაც, ასე რომ, თუმცა კაბა ერთი და იგივეა, მაგრამ სხვადასხვაგვარად გამოიყურება, ეს თვითონ მოიგონა, თუმცა, მის ტანზე კერვაც ადვილია, მაგრამ პეპი ტრაბახს არ აპირებს. ყმაწვილ ფერხორციან ქალიშვილს ყველაფერი უხდება, უფრო ძნელი გამოდგა საცვლებისა და ფეხსაცმლის გახერხება, სწორედ აქ დაიწყო ფათერაკები. დაქალები ამაშიც დაეხმარნენ, რაც შეეძლოთ, შეეძლოთ კი ძალზე ცოტა, შეუგროვეს და დაუკემსეს მხოლოდ ყველაზე მოუხეშავი საცვალი, და მაღალქუსლიანი ჩექმის ნაცვლად იძულებული გახდნენ საშინაო ფეხსაცმელი

ეკმარათ, რომელიც აჯობებდა, საერთოდ არ გამოეჩინა. ყველა ცდილობდა, ენუგეშებინა პეპი, აკი ფრიდაც არ იცვამდა მაინც და მაინც კარგად, ხშირად ისე ფეთხუმად გამოიყურებოდა, რომ სტუმრებს ერჩივნათ, მის ნაცვლად, სარდაფის ლუდის ჩამომსხმელები მომსახურებოდნენ. ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ ფრიდას ბევრის უფლება ჰქონდა, მას უკვე ყველა ხედავდა, პატივში იყო, ხოლო თუ ნამდვილი ქალბატონი გაბედავს და სტუმრებს დაენახვება გაჩეჩილ-გაწეწილი და სახელდახელოდ ჩაცმული, ეს კიდევ უფრო მაცდუნებელიც კი არის, მაგრამ პეპისთანა ახალბედას ვინ შეარჩენდა ასეთ რამეს? გარდა იმისა, რომ ფრიდამ არც იცოდა კარგი ჩაცმა, გემოვნების ნასახიც არ ჰქონდა. თუ შენს კანს ბიისფერი დაჰკრავს, მას, რა თქმა უნდა, ვერ გამოიცვლი, მაგრამ არაფრის დიდებით არ ჩაიცვამს კრემისფერ ზედატანს ღრმად ამოღებული გულით, როგორც ფრიდა, იმიტომ, რომ ადამიანებს თვალში ყველაფერი აუყვითლდებათ. მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, სულ ერთია, იგი მეტისმეტად ძუნწი იყო საიმისოდ, რომ არ დანანებოდა ფული კარგ ჩაცმა-დახურვაში, ყველაფერს, რასაც შოულობდა, აგროვებდა და დაჰკანკალებდა, კაცმა არ იცოდა, რატომ. ამ სამუშაოზე ფული არ სჭირდებოდა – თავად შოულობდა ყველაფერს სიცრუითა და გაიძვერობით, მაგრამ პეპის არც შეუძლია და არც სურს, მიბაძოს ფრიდას, ამიტომ ცდილობდა მორთულ-მოკაზმულიყო, რათა ყველასთვის მოუწონებინა თავი, განსაკუთრებით – ბუფეტში გამოჩენისთანავე. რომ შეძლებოდა, უფრო ძლიერი საშუალებანი ეხმარა, მაშინ, ფრიდას მთელი გაიძვერობის და კ.-ს მთელი სიბრიყვის მიუხედავად, გამარჯვებული გამოვიდოდა. ისე, ყველაფერს ძალზე სასიკეთო პირი უჩანდა. აკი შესაფერისი ჩვევები და მთელი საჭირო უნარი წინასწარ შეიძინა, ბუფეტის დახლთან ერთბაშად იგრძნო თავი როგორც საკუთარ სახლში. ვერავინ ვერც კი შეამჩნია, რომ ფრიდა აღარ მუშაობს, მხოლოდ მეორე დღეს მოაგონდა ზოგიერთ კლიენტს: ფრიდა რა იქნაო? მაგრამ პეპის შეცდომები არ მოსდიოდა, სასტუმროს პატრონი კმაყოფილი იყო. პირველ დღეს იგი, მართალია, ცოტას წუხდა, ბუფეტიდან გარეთ ფეხი არ გაუდგამს, მერე და მერე მხოლოდ იშვიათად შეუვლიდა ხოლმე, და, ბოლოს, ვინაიდან სალარო წესრიგში იყო და ამონაგები საშუალოდ გაიზარდა კიდეც, ვიდრე ფრიდას ხელში, – მან მთელი სამუშაო პეპის მიანდო. გოგონამ კი რაღაც სიახლეები შემოიღო. ფრიდა, მეტისმეტი გულმოდგინების გამო კი არა, უფრო სიძუნწის, პატივმოყვარეობის გამო, იმის შიშით, ვაითუ ვიღაცას ჩემი უფლებების ნაწილი გადავაყოლოო, ყოველთვის თვითონ ისტუმრებდა მსახურებს, მეტადრე მაშინ, როცა ვერავინ ხედავდა, მაგრამ პეპიმ, პირიქით, მთლიანად გადააბარა ეს საქმე სარდაფელ ბიჭებს, ისინი ხომ გაცილებით უფრო გამოდგებოდნენ ასეთი სამუშაოსათვის. ამრიგად, იგი მეტ დროს იტოვებდა ბატონთა ოთახებისათვის, კლიენტებს უფრო სწრაფად ემსახურებოდნენ, გარდა ამისა, შეეძლო ორიოდ სიტყვა გადაელაპარაკა თითოეულისათვის, ფრიდას კი არ გავდა – ის, ეტყობა, თავს უფრთხილდებოდა მხოლოდ კლამისათვის, და ნებისმიერ სიტყვას, გაარშიყების ნებისმიერ ცდას აღიქვამდა როგორც კლამის პირად შეურაცხყოფად. კაცმა რომ თქვას, ეს არ იყო ჭკუას მოკლებული, იმიტომ, რომ როდესაც იგი შემდეგ ვინმეს უფრო ახლოს მიიშვებდა, ეს არნახულ წყალობად ითვლებოდა. მაგრამ პეპის სძაგს ასეთი ხრიკები, და არც ეკადრებოდა ხრიკებით დაწყება. პეპი ყველასთან თავაზიანი იყო, მასაც თავაზიანობით პასუხობდნენ. ეტყობა, ყველას ახარებდა ცვლილება, ხოლო როდესაც ეს ბატონები დიდი ჯაფის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, გამონახავენ წუთს და კათხა ლუდის დასალევად დასხდებიან, მათ ვეღარ იცნობ. საკმარისია, ერთი სიტყვა გადაუკრა, გაუღიმო ან აგრძნობინო რაღაც და ყველანი დასწრებაზე არიან – ისე

ხშირად უყოფდნენ თმაში ხელს და უწეწავდნენ კულულებს პეპის, რომ ბარე დღეში ათჯერ უხდებოდა, გაესწორებინა ვარცხნილობა. ხოლო ამ კულულებისა და პაწაწკინტელა ბაფთების მიმზიდველ ცდუნებას ვერავინ ვერ უძლებდა, თვით ისეთი დაბნეული კაცი, როგორიც თვით კ. იყო. ასე გადიოდა დღეები წვასა და დაგვაში, მუდმივ მუშაობაში, მაგრამ – დიდი წარმატებითაც. ნეტავ არ გასულიყო ასე მალე, ნეტავ ცოტა მეტი ყოფილიყო! ოთხი დღე – ეს ძალზე ცოტაა, მაშინაც კი, როდესაც ქანცგაწყვეტამდე მუშაობ. შეიძლება, მეხუთე დღეს მეტი მოეტანა, მაგრამ ოთხი დღე მეტისმეტად ცოტა იყო! მართალია, პეპიმ ოთხი დღის მანძილზეც მოასწრო შეეძინა ბევრი მფარველი და მეგობარი, ხოლო თუ დაუჯერებდა ყველა ამ მზერას, როდესაც დარბაზში ჩაიგოგმანებდა ხოლმე ლუდის კათხებით, ალერსსა და სითბოში ჭყუმპალაობდა, ერთი მწერალი, სახელად ბარტმაიერი კი, გაუმიჯნურდა კიდეც, და ეს პატარა მედალიონიანი ძეწკვი აჩუქა, ხოლო მედალიონში თავისი ფოტოსურათი ჩაესვა, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მეტისმეტი სითამამე იყო. ვერც კი გაიხსენებს ყველაფერს, რაც მოხდა, მაგრამ სულ ოთხი დღე გავიდა, მეტი არა, ოთხ დღეში პეპის, რომ მოენდომებინა, ყველას დაავიწყებდა ფრიდას, შეიძლება, სულ მთლად არა, მას უფრო ადრეც დაივიწყებდნენ, საჯაროდ რომ არ მოეწყო იქამდე იმდენად დიდი სკანდალი, რომ მისი სახელი ყველას პირზე ეკერა. ამიტომაც, კი არ მოაბეზრა, გაახსენა და მოანატრა ხალხს თავი, სიამოვნებით ნახავდნენ კიდევ ერთხელ, მაგრამ უკვე მხოლოდ წმიდა წყლის ცნობისმოყვარეობის გამო; ის, რაც კარგა ხნის მოყირჭებული ჰქონდათ, ახლა, კაცმა რომ თქვას, არაფრის მაქნისი ადამიანის გამოჩენის წყალობით კვლავ იზიდავდა მათ, მართალია, ამის გამო პეპიზე არ იტყოდნენ უარს, სანამ იგი თავისი იქ ყოფნით გავლენას ახდენდა მათზე, მაგრამ მეტწილად ეს იყვნენ ხნიერი, ჩვევების მიმდევარი ადამიანები, და გადის არა ერთი, ან ორი თუ მეტი დღე, არამედ გვარიანი დრო, სანამ ახალ მებუფეტეს შეეჩვევიან, მაშინაც კი, თუ ეს სასიკეთო ცვლილებაა, ეს ბატონები უნებლიედ ეჩვევიან მეტი ხნის, ვთქვათ, ხუთი დღის მანძილზე, ოთხი დღე კი ცოტაა, და პეპის ჯერ კიდევ აღიქვამენ ვიღაცის მოადგილედ. ხოლო შემდეგ მოხდა, კაცმა რომ თქვას, ყველაზე დიდი უბედურება: ამ ოთხი დღის მანძილზე კლამი ერთხელაც არ გამოსულა ბუფეტში, თუმცა პირველ ორ დღეს სოფელში იყო. ის რომ მოსულიყო, ეს მთავარი და გადამწყვეტი გამოცდა იქნებოდა პეპისათვის, რისაც მას სულაც არ ეშინოდა, პირიქით, სიხარულით ელოდებოდა, იგი – თუმცა ასეთ რამეებზე აჯობებს ხმამაღლა არ ილაპარაკო – არ გახდებოდა კლამის საყვარელი და არც ფლიდურად მიითვისებდა ასეთ მაღალ წოდებას, მაგრამ როდი შეეძლო ფრიდაზე ნაკლები სინაზით მიერთმია ძვირფასი კლიენტისათვის კათხა ლუდი, ალერსიანად მისალმებოდა – ფრიდასთვის დამახასიათებელი ჟინიანობის გარეშე – და გულთბილად დამშვიდობებოდა, ხოლო თუ კლამი საერთოდ რაღაცას დაეძებს ქალიშვილის მზერაში, მაშინ პეპის მზერაში ყველაფერს იპოვიდა, რაც უნდოდა, ამ მზერით ყელამდე გაძღებოდა, მაგრამ რატომ არ მოვიდა? ვითომ – შემთხვევით? მაშინ პეპი ასეც ფიქრობდა. ორი დღე გულისფანცქალით ელოდებოდა, ჰა და ჰა, წუთი-წუთზე შემოვაო, ღამითაც კი ელოდა, აი, ახლა მოვაო კლამი, განუწყვეტლივ ფიქრობდა და წინ და უკან დარბოდა, ყოვლად უმიზეზოდ, მხოლოდ მოლოდინით, კლამის პირველად, ერთბაშად, შემოსვლისთანავე დანახვის მისწრაფებით აწრიალებული. ქანცი გააცალა მუდმივმა იმედგაცრუებამ, შეიძლება ამის გამოც იყო, რომ თავის მოვალეობებს უარესად ასრულებდა, ვიდრე შეეძლო, ხოლო როცა თავისუფალი წუთი გამოუჩნდებოდა, მაშინვე აიპარებოდა ხოლმე ზედა დერეფანში, სადაც მომსახურე პერსონალს საერთოდ ეკრძალებოდა ასვლა, და იქ, კუთხეში

შეყუჟული, ელოდა, ნეტავ ახლა გამოვიდესო კლამი. მაშინ ამ ბატონს ხელში ავიტაცებდი და მისი ოთახიდან ციმციმ ჩავიყვანდიო ბუფეტში. ასეთი ტვირთით ხელში არც კი წავიბორძიკებდი, რაოდენ მძიმეც უნდა გამომდგარიყო. მაგრამ კლამი არ მოდიოდა. იმ დერეფანში, ზევით, ისეთი სიჩუმე იყო, ვერც კი წარმოიდგენდა კაცი, თუ იქ არა ხარ ნამყოფი, ასეთ სიჩუმეს დიდხანს ვერც აიტან, მდუმარება გაშინებს და გერეკება იქიდან. მაგრამ ყველაფერი თავიდან იწყებოდა: ათჯერ გამოაგდებდა პეპის სიჩუმე, და ათივეჯერ კვლავ და კვლავ ადიოდა იქ. ეს უგუნურება იყო. კლამს მოუნდება მოსვლა – ისედაც მოვა, არ მოუნდება, და პეპი მაინც ვერ გამოიტყუებს იქიდან, რამდენ ხანსაც უნდა იყურყუტოს თავის კუთხეში, ყელში რომც ამოუვიდეს აფრთხიალებული გული. ლოდინი უგუნურება იყო, მაგრამ ის თუ არ მოვა, მაშინ ყველაფერი, თითქმის ყველაფერი, დაკარგავს აზრს. მაინც ვერ ეღირსა კლამის მოსვლას. და ახლა იცის პეპიმ, რატომ არ მოვიდა. ფრიდა სიხარულით ცას ეწეოდა, რომ დაენახა, როგორ დგას პეპი ზევით დერეფანში, რა სასოებით დაუკრეფია ორივე ხელი გულზე. კლამი ქვემოთ არ ჩამოდიოდა, იმიტომ, რომ ფრიდა არ დაუშვებდა ამას. თან, ხვეწნა-მუდარით კი არ აღწევდა თავისას. მისი ვერავითარი ხვეწნა-მუდარა ვერ მიდიოდა კლამამდე, მაგრამ ფლიდ ქალს ფრიდას, ამ დედაობობას აქვს კავშირები, რომელთა შესახებ არავინ არაფერი იცის, როდესაც პეპი რამეს ეუბნება სტუმარს, ეუბნება ხმამაღლა, დაუფარავად და მეზობელ სუფრაზე ესმით, რას ლაპარაკობს, ხოლო ფრიდას სათქმელი არაფერი აქვს, დადგამს ლუდს სუფრაზე და წავა, მხოლოდ მისი ქვედა აბრეშუმის ბოლოკაბა – ერთადერთი, რაზეც არ ენანება ფულის დახარჯვა, – გაიშრიალებს და თანდათან მიჩუმდება, მაგრამ თუ რაღაცას იტყვის, არა ხმადაბლა, არამედ ჩურჩულით, ჩუმად ჩაუჩურჩულებს ყურში კლიენტს, თან ისე, რომ მეზობელ სუფრაზე ყველამ ყურები ცქვიტოს. ალბათ, იმას, რასაც ფრიდა ამბობს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა არა ყოველთვის, კავშირები მრავლად დაამყარა და, განუწყვეტლივ განამტკიცებს მათ, ერთს – მეორის დახმარებით, და თუ რაღაც არ გამოუდის, ვინ დაუწყებს ლოდინს ფრიდას, მაშინვე გაუქრებათ ინტერესი! – სწორედ ამ კავშირთაგან რომელიმეს მაინც მოეჭიდება ფრიდა და მისი ამ კავშირების გამოყენებას შეეცადა ახლა. კ.-მ საამისოდ სრული შესაძლებლობა მისცა: იმის მაგივრად, რომ მასთან მჯდარიყო და ეყარაულა მისთვის, თითქმის არ რჩება სახლში, კარდაკარ დაეხეტება სოფელში, ხან აქ, ხან იქ ეწევა მოლაპარაკებას, ყველას მიმართ ყურადღებიანია, მხოლოდ არა – ფრიდას მიმართ, და კიდევ უფრო მეტი თავისუფლება რომ მიანიჭოს, ხიდისპირა ფუნდუკიდან გადადის ცარიელ სკოლაში. კარგი დასაწყისი კია თაფლობის თვისათვის! რა თქმა უნდა, პეპის აზრადაც არ მოუვა, უსაყვედუროს კ.-ს იმის გამო, რომ ვერ გაძლო ფრიდასთან ერთად, ვერავინაც ვერ გაძლებდა. მაგრამ მაშინ რად არ მიატოვებს ფრიდას საბოლოოდ, რატომ ბრუნდება სულ მუდამ მასთან, რატომ შეუქმნა ყველას თავისი ფაცაფუცით შთაბეჭდილება, თითქოს ფრიდასათვის იბრძვის? ხომ ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს იგი მხოლოდ ფრიდასთან შეხვედრის შემდეგ მიმხვდარიყო თავის ახლანდელ უბადრუკობას და სურს, ფრიდას ღირსი გახდეს, სურს, სადღაც უფრო მაღლა აძვრეს, ამიტომაც არის, რომ ჯერჯერობით მთელ დროს მასთან ატარებს, რათა შემდეგ დაუბრკოლებლად აინაზღაუროს დანაკლისი, ჯერჯერობით კი ფრიდა დროს არ ჰკარგავს. სკოლაში რომ ზის, სადაც მან, როგორც ჩანს, შეიტყუა კ., და იქიდან ადევნებს თვალს სასტუმროს, იქიდან ადევნებს თვალს კ.-ს, მის განკარგულებაში არიან საუცხოო შიკრიკები, კ.-ს თანაშემწენი, და სრულიად გაუგებარია, რატომ. რომც იცნობდე კ.-ს, მაინც ვერ გაიგებ, – რატომ არის, რომ მთლიანად დაუთმო ისინი ფრიდას? იგი მათ თავის ძველ ნაცნობებთან გზავნის,

შეახსენებს საკუთარ თავს, ჩივის, რომ კ.-სთანა კაცს იგი გამომწყვდეული ჰყავს, ხალხს უსისიანებს პეპის, უთვლის, მალე დავბრუნდებიო, სთხოვს დახმარებას, აფიცებს, არ გადასცენ მისი ამბავი კლამს, თვალში ნაცარს აყრის ხალხს, ყველას კლამის მოფრთხილება გვმართებს და ამიტომ არამც და არამც არ უნდა გაუშვათო ბუფეტში. და იმას, რასაც ერთთა წინაშე ასაღებს კლამის მოფრთხილების სურვილად, სასტუმროს პატრონთან იგი იყენებს როგორც მიღწეულ წარმატებათა დამამატკიცებელ საბუთს, ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ კლამი აღარ დადის ბუფეტში ან კი, როგორ იაროს, თუ იქ კლიენტებს ემსახურება ვიღაც პეპი? მართალია, რა სასტუმროს პატრონის ბრალია, რაც უნდა იყოს, სწორედ ეს პეპი იყო საუკეთესო კანდიდატურა, რომელიც ახლა შეიძლებოდა გეპოვა, მაგრამ ეს შემცვლელი დროებითაც კი არ ვარგა. ფრიდას მთელი ამ საქმიანობის შესახებ კ.-მ არაფერი იცის. როდესაც იგი აღმა-დაღმა არ დაყიალობს, არაფრის აზრზე არ არის, ფრიდას ფერხთით წევს, თვითონ ფრიდა კი, ამასობაში ითვლის საათებს, რომლებიც აშორებს ბუფეტს. მაგრამ თანაშემწენი მარტოოდენ შიკრიკების მოვალეობებს კი არ ასრულებენ, ისინი ფრიდას იმისთვისაც სჭირდება, რომ გაუღვივოს კ.-ს ეჭვიანობის გრძნობა, გაუძლიეროს გზნება. ფრიდა ბავშვობიდანვე იცნობს ამ თანაშემწეებს. არაფერი აქვს მათგან დამალული. რა თქმა უნდა, ერთმანეთში დასამალიც არა აქვთ, მაგრამ კ.-ს ჯინზე ესიყვარულებიან ისინი ერთმანეთს და კ.-ს ექმნება საფრთხე, რომ აქ ნამდვილი სიყვარული გაჩნდეს. კ. კი ათასგვარ სისულელეს სჩადის ფრიდას გულისათვის. იგი ხედავს, რომ თანაშემწენი აიძულებენ, იეჭვიანოს, მაგრამ მაინც ითმენს, რათა ისინი, სამივენი ერთად იყვნენ, სანამ იგი თავის საქმეებზე დადის. გამოდის ისე, თითქოს თვითონ ის არის ფრიდას მესამე თანაშემწე და აქ ფრიდამ, რომელმაც მთელი თავისი დაკვირვებებიდან სათანადო დასკვნა გამოიტანა, გადაწყვიტა, რომ დადგა დიდი დარტყმის დრო: იგი ბრუნდება. ახლა მართლაც დადგა საამისო ჟამი, პირდაპირ გასაოცარია, როგორ გაიანგარიშა ყველაფერი ამ ფლიდმა ფრიდამ, ყველაფერი გათვალა და გამოიყენა, მაგრამ ალღოიანი დაკვირვების ნიჭი და სიმტკიცე ფრიდას სწორუპოვარი ტალანტია. ასეთი ნიჭი რომ მისცა პეპისაც, მისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართებოდა! არადა, ფრიდა კიდევ ორ დღეს რომ დარჩენილიყო სკოლაში, მაშინ პეპის ძვრას ვეღარ უზამდა, იგი საბოლოოდ დამკვიდრდებოდა მებუფეტის ადგილზე, ყველა სიყვარულით, პატივისცემით მოეკიდებოდა მას, ფულსაც საკმარისად იშოვიდა, რომ შეეცვალა თავისი ჩამობრანძული ტანსაცმელი გასაგიჟებელი კაბით. კიდევ ერთი-ორი დღე, და ვერავითარი ფლიდობით და გაიძვერობით ვეღარ აიძულებდნენ კლამს, არ მისულიყო ბუფეტში, მოვიდოდა, მშვიდად დალევდა, არხეინად იგრძნობდა თავს და სავსებით კმაყოფილი იქნებოდა ცვლილებისა, თუ საერთოდ შენიშნა ფრიდას არყოფნა, ხოლო კიდევ ერთი-ორი დღეც და ფრიდა მთელი თავისი სკანდალებით, თავისი კავშირებით, ამ თანაშემწეებითა და ყოველივე იმითურთ, რაც მას ეხებოდა, საბოლოოდ დაავიწყდებოდათ და მას აღარასდროს არავინ გაიხსენებდა. ეგებ, მაშინ უფრო მაგრა ჩაევლო ხელი კ.-სათვის, თუ შესწევს ნამდვილად ამის უნარი. ეგებ, მაშინ ნამდვილად შეყვარებოდა? არა, ეს ვერ მოხდებოდა. აკი, საკმარისი იქნებოდა მხოლოდ ერთი დღე, არა ორი ან მეტი, ერთი დღე, რომ თავი მოებეზრებინა კ.-სათვის, რომ კ. მიმხვდარიყო, რა საზიზღრად ატყუებს ფრიდა ყველაფერში – თავისი მოგონილი სილამაზით, თავისი მოგონილი ერთგულებით, და ყველაზე მეტად, თავისი მოგონილი კლამის სიყვარულით. ერთი დღე, არა ორი ან მეტი, ერთი დღეც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ კ.-ს გამოეძევებინა იგი შინიდან მთელ ამ ბინძურ კომპანიასთან ერთად, ამ თანაშემწეებითურთ. ალბათ, კ.-ს მეტი დრო არც

დასჭირდებოდა, მაგრამ ამ ორ საშიშროებას შორის, როცა ფრიდას წინაშე უკვე ავად დაუბჩენია ხახა სამარეს, კ. თავისი გულუბრყვილობით კიდევ უნახავს გასაქცევად ვიწრო ბილიკს, – იგი გარბის. ამას უკვე აღარავინ ელოდა, ეს არ არის ბუნებრივი, და ახლა ქალი უკვე თვითონ აძევებს კ.-ს, რომელსაც ჯერ კიდევ უყვარს იგი, ჯერ კიდევ კუდში დასდევს, და მისი მხარდაჭერით თანაშემწეებისა და ამფსონების გავლენით წარუდგება სასტუმროს პატრონს მხსნელად, რომელიც იმ სკანდალის შემდეგ კიდევ უფრო მიმზიდველი და მაცდუნებელი გახდა, ვიდრე წინათ, კიდევ უფრო სასურველი და სანატრელი, როგორც უმდაბლესებისათვის, ისე უმაღლესებისათვის, თუმცა ყველა მდაბიოთაგან უმდაბლესს იგი მხოლოდ წამით მინებდა, მაგრამ ცოტა ხანში გულზე ხელი ჰკრა, როგორც სჩვეოდა, და მიუდგომელი გახდა როგორც მისთვის, ისე ყველა სხვისათვის, როგორც წინათ, ოღონდ, წინათ ყოველივე ამას ეჭვის თვალით უყურებდა, ახლა კი დარწმუნდა, რომ მხოლოდ ასე უნდა მოიქცეს. და აი, იგი ბრუნდება. სასტუმროს პატრონი ალმაცერად უყურებს პეპის და ეჭვი ეპარება – ღირს კია გაწიროს ეს გოგონა, რომელიც არ იზოგავდა თავს? – მაგრამ მას იოლად არწმუნებენ, გაწირეო: მეტისმეტად ბევრი რამ მეტყველებს ფრიდას სასარგებლოდ და, რაც მთავარია, იგი დააბრუნებს კლამს სასტუმროში. აი, როგორ არის საქმე დღეს საღამოს, მაგრამ ახლა პეპი არ დაუწყებს ლოდინს, როდის გამოცხადდება ფრიდა და მოიწყობს ტრიუმფს თანამდებობის დაბრუნებისას. სალარო უკვე დიდი ხანია გადასცა დიასახლისს, ახლა შეუძლია წავიდეს. ქვედა საწოლი, გოგონების ოთახში, უკვე ელოდება. პეპი მივა,თვალცრემლიანი, დაქალები გადაეხვევიან, ის კი გაიხდის კაბას, ამოიგლეჯს პაწაწკინტელა ბაფთებს ნაწნავებიდან და კუთხეში მიყრის, თან ყველაფერს საგულდაგულოდ დამალავს, რომ აღარ გაახსენონ ის დრო, რომელიც უმჯობესია დაივიწყოს. ხოლო შემდეგ აიღებს მძიმე ვედროს და ჯაგრისს, კბილს კბილზე დააჭერს და შეუდგება მუშაობას. მაგრამ აქამდე ყველაფერი უნდა უამბოს კ.-ს, რომელსაც არაფერი ესმოდა დღემდე მის დაუხმარებლად. ახლა ნათლად დაინახოს, რა ულამაზოდ მოექცა იგი პეპის და რა უბედურია პეპი კ.-ს გამო. რა თქმა უნდა, ამ სიტუაციაში კ.-ც მხოლოდ გამოიყენეს.

პეპი დადუმდა,შემდეგ შეიმშრალა ცრემლი თვალსა და ლოყებზე, ამოიოხრა, თავი გააქნია და დაკვირვებით შეხედა კ.-ს, თითქოს სურდაო, ეთქვა, რომ არსებითად საქმე სულაც არ ეხება მის უბედურებას, იგი ყველაფერს გაუძლებს და არ ესაჭიროება არავითარი დახმარება, არავითარი ნუგეში არავისგან – ყველაზე ნაკლებად კი კ.-საგან. მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, იგი იცნობს ცხოვრებას და თავის უბედურებას, რომლებიც მისი ცოდნის დასტურია. მაგრამ ეს კ.-ს ეხება, მისთვის უნდოდა ეს სურათი თვალწინ აესახა, საჭიროდ ჩათვალა იმის მერე, რაც მას ყველა იმედი გაუქარწყლდა.

,,რა აწყვეტილი ფანტაზია გქონია, პეპი‘‘, თქვა კ.-მ. ,,არ არის მართალი, რომ შენ ახლა-ღა გაერკვიე მთელ ამ საქმეებში. ეს მხოლოდ მონაგონია, რომელიც იშვა თქვენს ვიწრო, ჩაბნელებულ საქალებო სოროში, იქ, ქვევით და მხოლოდ იქ არის მისი ადგილი, ხოლო აქ, ვრცელ ბუფეტში, ახირებად გეჩვენება. ასეთი აზრებით შენ აქ მაშინაც ვერ დაიმკვიდრებდი ადგილს. ეს თავისთავად გასაგებია, შენი კაბაც, შენი ვარცხნილობაც და საერთოდ ყველაფერი, რითაც ასე მოგქონდა თავი, – ყოველივე ეს იშვა თქვენი ოთახის, თქვენი საწოლების სიბნელესა და სივიწროეში, იქ შენი სამოსი, რა თქმა უნდა, ტურფა გეჩვენება, მაგრამ აქ მასზე ყველა იცინის, ზოგი ჩუმ-ჩუმად, ზოგი კი დაუფარავად. კიდევ რას ამბობდი? ჰო, მაშასადამე, გამოდის, რომ მე

მაწყენინეს, გამაცურეს? არა, საყვარელო პეპი, ჩემთვის არავის არ უწყენინებია და არ მოუტყუებია ისე, როგორც შენთვის, მართალია, ფრიდამ ამ მომენტში მიმატოვა, ან როგორც შენ თქვი, გაიქცა ერთ-ერთ თანაშემწესთან ერთად, აქ შენ სიმართლის რაღაც გამოკრთომა დალანდე და ახლა მართლაც შეიძლება დაეჭვდე, გახდება თუ არა ის ჩემი ცოლი, მაგრამ ის, რომ მე იგი მომბეზრდა და მეორე დღეს, სულ ერთია, გავაგდებდი ან რომ მან მიღალატა, როგორც ღალატობს ცოლი ქმარს, ყოველივე ეს სრულიად არ შეეფერება სიმართლეს. თქვენ, მოახლე ქალები, დაჩვეული ხართ კლიტის ჭუჭრუტანიდან თვალთვალს და ჯაშუშობას, ამიტომაც გაქვთ მიდრეკილება, გამოიტანოთ გრანდიოზული და სრულიად არასწორი დასკვნები რაღაც წვრილმანიდან, რომელიც ნამდვილად დაინახეთ, ამიტომაც გამოდის, რომ მე, მაგალითად, ამ შემთხვევაში გაცილებით ნაკლები ვიცი, ვიდრე შენ. მე ვერანაირად ვერ ავხსნი ისევე დამაჯერებლად, როგორც შენ, თუ რატომ დამტოვა ფრიდამ. ყველაზე სარწმუნო ახსნა-განმარტება – და შენ მასაც შეეხე გაკვრით, ოღონდ არ დაგიდასტურებია – ეს ის არის, რომ მე უყურადღებოდ ვტოვებდი მას. დიახ, მის მიმართ მე უყურადღებო ვიყავი, მაგრამ ამას მაიძულებდა განსაკუთრებული გარემოებანი, რომლებიც აქ მოსატანი არ არის. ახლა რომ დამიბრუნდეს, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა, მაგრამ ისევ დავტოვებდი ხოლმე უყურადღებოდ. დიახ, ეს ასეა. როდესაც ჩემთან იყო, მე ნიადაგ დავდიოდი საქმეებზე, რომლებსაც შენ მასხარად იგდებ, ახლა, როდესაც იგი წავიდა, არც კი ვიცი, რა ვაკეთო, ძალიან დავიღალე და ყველაზე მეტად მინდა მოვეშვა ამ საქმეებს. შეგიძლია, მირჩიო რამე, პეპი?“ „შემიძლია“, თქვა პეპიმ, უცბად გამოცოცხლდა და კ.-ს მხრებში სტაცა ხელი. „ჩვენ ორივენი მოტყუებული ვართ, მოდი, ერთად ვიყოთ, წამოდი ჩემთან ქვემოთ, გოგონებთან.“ „არა, სანამ შენ მოტყუებას უჩივი, ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგებთ. შენ სულ მუდამ გინდა მოტყუებულად ჩათვალო თავი იმიტომ, რომ ეს სახარბიელოა, ეს გულისამაჩუყებელია. მაგრამ სიმართლე ის არის, რომ შენ ამ თანამდებობისთვის არ გამოდგები. და ეს გამოუსადეგრობა ისეთი თვალშისაცემია, რომ მეც კი შევამჩნიე, არადა, შენ ყველაზე უმეცრად მთვლი, შენ კარგი გოგო ხარ, პეპი, მაგრამ იოლი როდია, გაგიგოს კაცმა, მე, მაგალითად, თავდაპირველად შენ ავი და ქედმაღალი მეგონე, მაგრამ შენ სულაც არა ხარ ასეთი, შენ უბრალოდ მებუფეტის თანამდებობამ აგირია გზაკვალი, იმიტომ, რომ შენ მისთვის არ ვარგიხარ. მე ის კი არ მინდა ვთქვა, რომ ეს მეტისმეტად მაღალი ადგილია შენთვის, ეს სულაც არ არის რაიმე განსაკუთრებული ადგილი, შეიძლება, თუ კარგად დააკვირდები, იგი რამდენადმე უფრო საპატიო იყოს შენს წინა სამუშაოსთან შედარებით, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არ არის დიდი სხვაობა, უფრო სწორი იქნება, ვთქვათ, რომ ეს თანამდებობები ორი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს. სხვათა შორის, ჩვენში რომ ვთქვათ, შეიძლება, მოახლის თანამდებობა ამჯობინო კიდეც მებუფეტისას, იმიტომ, რომ მოახლეს სულ მუდამ საქმე აქვს მხოლოდ მდივნებთან, ხოლო აქ, ბუფეტში, შენ თუმც ბატონთა ოთახებში ემსახურები უფროსობას, მდივნებს, მაგრამ ხვდები მხოლოდ ყველაზე უმნიშვნელო ადამიანებს, ჩემს მსგავსთ. არადა, მე ხომ მაქვს უფლება ვიყო მხოლოდ აქ, ბუფეტში, და არა სხვა ადგილებში. განა ჩემთან ურთიერთობა ისეთი დიდი პატივია? შენ, რა თქმა უნდა, ყველაფერი სხვაგვარად გეჩვენება და, ეგებ გქონდეს კიდეც რაღაც საამისო საფუძვლები. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ამ ადგილზე ვერ გამოდგები, ჩვეულებრივი ადგილია, დიდი ვერაფერი, შენთვის კი ნამდვილი სასუფეველია, სწორედ ამიტომ, ასეთი მხურვალებით და მონდომებით ჰკიდებ ხელს საქმეს, ირთვები და იკაზმები როგორც, შენი აზრით უნდა მოირთონ და მოიკაზმონ ანგელოზები – თუმცა, ისინი სულაც არ არიან ასეთები, კანკალებ შიშით, ვაითუ

სამუშაო დავკარგოო, სულ გგონია, რომ შენ გდევნიან. ყველას, ვისაც შენი აზრით, შეუძლია, მხარში ამოგიდგეს, ცდილობ, მოაწონო თავი მეტისმეტი მზრუნველობით და ყურადღებით, რითაც მხოლოდ აბრკოლებ და გულზე ხელს ჰკრავ, იმიტომ, რომ ისინი სასტუმროში მოსვენებას ეძებენ და სულაც არა სურთ მათს გარემომცველ ფაცაფუცს დაემატოს მებუფეტის ფაცაფუცი. შეიძლება, რომელიღაც მაღალმა სტუმარმა ვერც შენიშნა ცვლილება ფრიდას წასვლის შემდეგ, მაგრამ ახლა ხომ ყველამ იცის, რომ წავიდა და ნამდვილად მოენატრათ იგი, იმიტომ, რომ ფრიდა, ეტყობა, სხვაგვარად იქცეოდა, როგორიც უნდა იყოს დანარჩენ საქმეებში, როგორც უნდა ეკიდებოდეს თავის ადგილს, მაგრამ სამსახურში იგი გამოცდილი და თავშეკავებული იყო, შეეძლო თავდაჭერა, შენ ხომ ეს თავად აღნიშნე, თუმცა არ გამოიტანე არავითარი დასკვნა, ოდესმე გაგიდევნებია თვალი მისი მზერისათვის? ეს იყო არა მებუფეტის, არამედ თითქმის დიასახლისის მზერა... ყველაფერს სწვდებოდა იგი, ყველას და ყოველს ცალცალკე, და ყველასა და თითოეულისათვის განკუთვნილი მზერა იმდენად ძლიერი იყო, რომ მას ყველა ემორჩილებოდა. განა რა მოსატანია, რომ იგი, შესაძლოა, ცოტა გამხდარი იყოს, ცოტა მობებრო, თმაც ვერ ჰქონდეს მაინც და მაინც ხშირი, – ყოველივე ეს წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც აქვს ნამდვილი, და ისინი, ვისაც მისი ეს ნაკლოვანებანი უმლიდნენ ხელს, მხოლოდ ამტკიცებდნენ, რომ მათ არ ჰყოფნით უფრო მნიშვნელოვანი საგნების დანახვის უნარი, რა თქმა უნდა, კლამს ამას ვერ უსაყვედურებ, მხოლოდ ყმაწვილ, გამოუცდელ გოგონას თავისი მცდარი თვალსაზრისის გამო – არ შეუძლია დაიჯეროს კლამის სიყვარული ფრიდასადმი. კლამი შენ მიუწვდომელი გეჩვენება – გეჩვენება სამართლიანად, და ამიტომ მიგაჩნია, რომ ფრიდა ვერასდროს ვერ ამაღლდებოდა კლამის დონემდე. შენ ცდები. აქ მე დავუჯერებდი მხოლოდ ფრიდას სიტყვებს, მაშინაც კი, უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები რომ არ მქონოდა. რაოდენ წარმოუდგენელიც უნდა მოგეჩვენოს, როგორც უნდა განსხვავდებოდეს სხვათა წარმოდგენა შენეული წარმოდგენისაგან ცხოვრების შესახებ, მოხელეების შესახებ, კეთილშებილებისა და ქალის სილამაზის გავლენის შესახებ, შენ მაინც ვერ უარყოფ მათს ურთიერთობებს და როგორც უნდა ვჭუკჭუკებდეთ მე და შენ ერთმანეთთან, როგორც უნდა მეკავოს შენი ხელი, ალბათ ზუსტად ასევე ისხდნენ კლამი და ფრიდა, თითქოს, ეს ყველაზე ბუნებრივი რამ არის მთელ დუნიაზე, და კლამი თავისი ნებით ჩამოდიოდა აქ, ბუფეტში, იგი ჩქარობდა კიდეც აქ მოსვლას, და არავინ არ ყარაულობდა მას დერეფანში. არასდროს არავის მიუტოვებია მის გამო სამუშაო. კლამი თავად უნდა გარჯილიყო და ჩამოსულიყო ქვემოთ, ხოლო ფრიდას ჩაცმა-დახურვის ხარვეზები, რომლებიც შენ თავზარს დაგცემდა, მას ოდნავადაც არ აწუხებდა. შენ არ გსურს დაუჯერო მას და თვითონაც ვერ ხედავ, როგორ ამტკიცებ ამით შენს გამოუცდელობას! ისიც კი, ვინც არაფერი იცოდა, ფრიდასა და კლამის ურთიერთობაზე, მისი სახის გამომეტყველებით უნდა მიმხვდარიყო, რომ ეს სახე გამოიძერწა ვიღაცის გავლენით, ვინც უფრო მაღლა დგას, ვიდრე შენ, ვიდრე მე, ვიდრე ყველა ადამიანი სოფელში და რომ მათი საუბარი შორს სცილდება კლიენტებისა და ოფიციანტი ქალების ჩვეულებრივი შეხუმრებული დამოკიდებულების ფარგლებს, რაც თითქოს მთელი შენი ცხოვრების მიზანს შეადგენს, მაგრამ მე არ ვარ სამართლიანი შენს მიმართ, შენ უჩემოდაც საუცხოოდ ხედავ ფრიდას მთელ უპირატესობებს, შენ ამჩნევ მის ალღოიანი დაკვირვების უნარს, მის სიმტკიცეს, მის გავლენას ადამიანებზე, მაგრამ შენ ყველაფერს არასწორად განმარტავ და თვლი, რომ იგი ეგოიზმის გამო ცდილობს ყველაფერი თავისდა სასიკეთოდ შეაბრუნოს, ანდა შეაბრუნოს სხვათა სამტროდ, შენს საწინააღმდეგო

იარაღად. არა, პეპი, მას მართლაც რომ ჰქონოდა მომზადებული ასეთი ისრები, იგი ვერაფრის დიდებით ვერ გამოუშვებდა მათ ასეთი მცირე მანძილიდან. ის ეგოისტია? არა, უფრო შეიძლება, ითქვას, რომ მან მსხვერპლად გაიღო ის, რაც ჰქონდა და ის, რაც შეიძლება ჰქონოდა, რითაც მე და შენ მოგვცა შესაძლებლობა, გარკვეულწილად გამოგვევლინა თავი უფრო მაღალ პოზიციებზე, მაგრამ ჩვენ გავუცრუეთ მას იმედი და ვაიძულეთ აქ დაბრუნებულიყო. არ ვიცი, ასეა ეს, თუ არა, ჩემს საკუთარ ბრალშიც ვერ გავრკვეულვარ ბოლომდე, და მხოლოდ მაშინ, როდესაც შენ გაბარებ საკუთარ თავს, მეჩვენება, რომ ჩვენ ორივენი მეტისმეტად ჯიუტად, მეტისმეტად ხმაურიანად, მეტისმეტად ბალღურად და ტლანქად ვცდილობდით მიგვეღწია იმისათვის, რასაც, მაგალითად, ფრიდას სიმშვიდის, მისი გერგილიანი მიდგომის პირობებში სულ ადვილად მივაღწევდით, ჩვენ კი ვტიროდით, ვიჩხაპნებოდით და ვექაჩებოდით გადასაფარებლის კუთხეს – ასე ექაჩება ბავშვი სუფრას და არაფერი არ გამოუდის, მხოლოდ ყრის იატაკზე ყოველივე საუკეთესოს, რითაც უმასპინძლდებიან, და კარგავს მას სამუდამოდ. არ ვიცი, სწორს ვამბობ, თუ არა, მაგრამ, უფრო რომ სწორად ისეა ყველაფერი, როგორც გითხარი, და არა ისე, როგორც შენ მიამბობ. ეს მტკიცედ შემიძლია ვთქვა.“ „რაღა თქმა უნდა“, თქვა პეპიმ, „შენ შეყვარებული ხარ ფრიდაში, იმიტომ, რომ გაგექცა; ძნელი არ არის შეიყვარო, როდესაც ასე შორს არის. მაგრამ, დაე, იყოს შენებურად, შენ იყო მართალი ყველაფერში, იმაშიც კი, რომ მე მასხარად მიგდებ, მაგრამ რა უნდა ქნა ახლა? ფრიდამ მიგატოვა და, გინდ, შენებურად ახსენი, გინდ, ჩემებურად, – იმის იმედი, რომ დაბრუნდება, შენ არა გაქვს, მაშინაც კი, რომ დაბრუნდეს, შენ დროებით უნდა მოეწყო სადმე, გარეთ ცივა, სამუშაო შენ არა გაქვს და თავშესაფარი, წავიდეთ ჩვენთან, ჩემი დაქალები მოგეწონებიან, ჩვენთან მყუდროდ იგრძნობ თავს, დაგვეხმარები მუშაობაში, იგი მართლაც ძნელია გოგონებისათვის, ხოლო ჩვენ, გოგონები, აღარ დავრჩებით საკუთარი თავის ანაბარა და მთელი ღამეები აღარ ვიკანკალებთ შიშით, წავიდეთ ჩვენთან! ჩემი დაქალებიც იცნობენ ფრიდას, ჩვენ გიამბობთ ათასგვარ ისტორიებს მის შესახებ, სანამ არ მოგბეზრდება. დროზე, წავიდეთ! ჩვენ ფრიდას ფოტოსურათებიც მრავლად გვაქვს, ყველას გიჩვენებთ. მართალია, მაშინ ფრიდა უფრო მოკრძალებით იქცეოდა, ვიდრე ახლა, სურათზე ვერც კი იცნობ. ერთი ეგ არის, თვალები არ შეცვლია – თვალები მაშინაც ეშმაკური ჰქონდა. რას იზამ, წამოხვალ?“ „განა ეს ნებადართულია? გუშინ მთელი სკანდალი სწორედ იმიტომ ატყდა, რომ მე თქვენს დერეფანში ჩამავლეს.“ „აი, სწორედ იმიტომ, რომ შენ ჩაგავლეს, ხოლო თუ ჩვენთან იქნები, ვერასდროს ვერ ჩაგავლენებენ. ვერავინ ვერ გაიგებს შენს ამბავს, მხოლოდ ჩვენ სამს გვეცოდინება აჰ, რა მხიარულება გვექნება! ახლა იქ ცხოვრება უკვე გაცილებით უფრო ასატანად მეჩვენება, ვიდრე წინათ. შეიძლება, არცთუ ისე ბევრს ვკარგავ, იმიტომ, რომ აქედან მიწევს წასვლა. მისმინე, როდესაც სამნი ვიყავით, მაშინაც არ ვიწყენდით, რაღაცნაირად ხომ უნდა გავალამაზო ჩემი უღიმღამო, მწარე ცხოვრება. ჩვენ კი მას სიყმაწვილიდანვე გვიმწარებდნენ, ახლა ჩვენ სამნი ერთად ვართ, ვცდილობთ, ლამაზად ვიცხოვროთ, რამდენადაც ეს იქ არის შესაძლებელი, შენ განსაკუთრებით მოგეწონება ჰენრიეტა, თუმცა, ემილიაც მოგეწონება. მე მათ უკვე ვუამბე შენზე, იქ ყველა ამ ისტორიას უნდობლად ისმენენ, თითქოს ჩვენი ოთახის ფარგლებს გარეთ არაფერი შეიძლება მოხდეს, იქ სითბო და სივიწროვეა, და ჩვენ სულ უფრო მეტად ვეხუტებით ერთმანეთს, თუმცა მუდამ ერთად ვართ, არ ვაბეზრებთ ერთმანეთს თავს, პირიქით, როდესაც ჩემს დაქალებზე ვფიქრობ, მე თითქმის მსიამოვნებს, რომ აქედან მივდივარ, რატომ დავდგე მათზე უფრო მაღლა? ჩვენ ხომ ასე დაგვაახლოვა სწორედ იმან, რომ სამივეს თანაბრად გვქონდა ჩაკეტილი მომავალი, მაგრამ მე მაინც

გამოვაღწიე, და ამან დაგვაშორა. რა თქმა უნდა, მე არ დამვიწყებია ისინი, და ჩემი პირველი საზრუნავი იყო: შემიძლია თუ არა რაიმე ვიღონო მათთვის? ჩემი საკუთარი მდგომარეობა კი ჯერ არ განმტკიცებულა – თუმცა, არც ვიცოდი, რამდენად არასაიმედო იყო იგი, – და უკვე მოველაპარაკე სასტუმროს პატრონს ჰენრიეტასა და ემილიას თაობაზე, ჰენრიეტასთან დაკავშირებით უფროსის დაყოლიება კიდევ შეიძლებოდა, ხოლო რაც შეეხება ემილიას – იგი გაცილებით ხნოვანია ჩვენზე, დაახლოებით იმდენის არის, რამდენისაც ფრიდა, – მას არავითარი იმედი არ მოუცია. შენ მხოლოდ იფიქრე – არსად არ სურთ აქედან წასვლა, იციან, რომ აქ უბადრუკი ცხოვრება აქვთ, მაგრამ მას უკვე შეურიგდნენ. უაღრესად გულკეთილები არიან და, მე რომ მემშვიდობებოდნენ, ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ ცრემლი. მე მგონი, უმთავრესად იმის გამო, რომ მე საერთო ოთახიდან სიცივეში მივდიოდი – ჩვენ იქიდან ყველაფერი, რაც ჩვენი ოთახის ფარგლებსა გარეთ არის, ცივი გვეჩვენება – რომ მე მომიწევს ტანჯვა-წამება დიდ უცხო ოთახებში, უცხო ადამიანებთან, მხოლოდ იმიტომ, რომ ლუკმა პურის ფული ვიშოვო, ამას კი ჩვენი საერთო მეურნეობის პირობებში აქამდეც ვახერხებდი. ალბათ, მათ სულაც არ გაუკვირდებათ, თუ ახლა დავბრუნდები. ცოტას იტირებენ, გული რომ გამიკეთონ და შემიცოდებენ ჩემი ფათერაკების გამო, მაგრამ მერე შენ დაგინახავენ და მიხვდებიან, რა კარგად გამოვიდა მაინც ყველაფერი, მე რომ წამოვედი. მათ გაეხარდებათ, ახლა მამაკაცი გვეყოლება დამხმარედ და დამცველად, და სიხარულით ცას ეწევიან იმის გამო, რომ ყველაფერი საიდუმლოდ უნდა დაგვრჩეს, და რომ ეს საიდუმლო კიდევ უფრო მეტად შეგვაკავშირებს, ვიდრე აქამდე. წავიდეთ, დროზე, გთხოვ, წავიდეთ ჩვენთან. შენ არაფრით არ იქნები დავალებული, სამუდამოდ ხომ არ მოდიხარ, როგორც ჩვენ. აი, გაზაფხული დადგება და შენ სადმე სხვაგან იპოვი თავშესაფარს, თუ ჩვენთან არ მოგეწონება, შეგიძლია წახვიდე. რა თქმა უნდა, შენ მაშინაც ვალდებული ხარ, შეინახო საიდუმლო და არ გაგვცე, თორემ ჩვენთვის ეს სასტუმროში უკანასკნელი საათი იქნება. რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენთან იცხოვრებ, ძალიან ფრთხილად უნდა იყო – არავის დაენახვო, თუ ეს საშიშად მოგვეჩვენება, და, საერთოდ, ჩვენი რჩევები უნდა შეასრულო. აი, ერთადერთი, რაც შეგბორკავს, მაგრამ ამაში შენ ისევე დაინტერესებული ხარ, როგორც ჩვენ, ხოლო სხვა მხრივ სრულიად თავისუფალი ხარ, ძნელ სამუშაოს არ დაგავალებთ, ნუ გეშინია. რას იზამ, წამოხვალ?“ „გაზაფხულამდე ჯერ კიდევ შორია?“ იკითხა კ.-მ. „გაზაფხულამდე?“ გაიმეორა პეპიმ, ზამთარი ჩვენში გრძელი იცის, ძალიან გრძელი და ერთგვაროვანი, მაგრამ ჩვენ იქ, ქვემოთ, არ ვჩივით, ჩვენ კარგად ვართ დაცული სიცივისაგან, მერე მოვა გაზაფხული და ზაფხული, ყველაფერს თავისი დრო აქვს, მაგრამ როცა გაგახსენდება გაზაფხული და ზაფხული, ისეთი მოკლე გეჩვენება, თითქოს ორ დღეს გრძელდება, მეტს არაო, და ამ დღეებშიც, ყველაზე დარიან ამინდში, ზოგჯერ შეიძლება უეცრად თოვა დაიწყოს.

ამ დროს კარი გაიღო. პეპი შეკრთა, გონებით იგი უკვე აქედან შორს იყო, მაგრამ შემოვიდა არა ფრიდა, შემოვიდა დიასახლისი. მან გაოცებული სახე მიიღო, როგორ, კ. ჯერ კიდევ აქ არისო, კ.-მ ბოდიში მოიხადა, თქვა, თქვენ გელოდებოდითო, და მაშინვე მადლობა მოახსენა იმისათვის, რომ ნება დართო, აქ გაეთია ღამე. დიასახლისი ვერ მიხვდა, რატომ ელოდებოდა მას კ.. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თქვა კ.-მ, თითქოს დიასახლისს სურს, ერთხელ კიდევ დამელაპარაკოს, და პატიებას ვითხოვ, თუ რაღაც შემეშალა, გარდა ამისა, ახლა დაუყოვნებლივ უნდა წავიდე – მეტისმეტად დიდი ხნით დატოვა უყურადღებოდ სკოლა, სადაც ყარაულად მუშაობს, მაგრამ ყველაფერი წუხანდელი გამოძახების ბრალია. იგი ჯერ კიდევ ცუდად ერკვევა

ასეთ საქმეებში და მეტი აღარასდროს მიაყენებს ქალბატონ დიასახლისს იმდენ უსიამოვნებას, როგორც გუშინო. თქვა და, წასასვლელად გამზადებულმა, თავი დაუკრა. დიასახლისმა უცნაურად შეხედა, როგორც სიზმარში. ამ მზერით მეტხანს გააჩერა კ. ადგილზე, ვიდრე მას უნდოდა. თან კიდევ, სუსტად გაუღიმა. და, თითქოს მხოლოდ კ.-ს გაკვირვებულმა გამომეტყველებამ მოიყვანა იგი ცოტათი გონს. ეტყობა, ქალბატონი პასუხს ელოდა თავის ღიმილზე და, რომ ვერ მიიღო, მხოლოდ შემდეგ მოიკრიბა ძალა: ,,როგორც მახსოვს, გუშინ თქვენ რაღაც კადნიერად ახსენეთ ჩემი კაბა, არა?" არა, კ.-ს არაფერი არ ახსოვდა. ,,როგორ, შენ არ გახსოვს? მაშასადამე, კადნიერებას კიდევ ლაჩრობაც ემატება." კ.-მ ბოდიში მოიხადა, გუშინ ძალიან დაღლილი ვიყავი და სავსებით შესაძლებელია, რაღაც წამოვროშე, ყოველ შემთხვევაში, არაფერი არ მახსოვსო ან კი რა შეიძლებოდა ეთქვა ქალბატონი დიასახლისის კაბაზე? მხოლოდ ის, რომ ასეთი ლამაზი კაბები აქამდე თვალით არ ენახა. ყოველ შემთხვევაში, მას არასდროს უნახავს, სასტუმროს დიასახლისი ასეთი კაბით რომ ყოფილიყო სამუშაოზე. ,,გაჩუმდი", სწრაფად უთხრა დიასალისმა. ,,მე არ მსურს, შენგან ვისმინო რაიმე ჩემს კაბებზე. შენი საქმე არ არის ჩემი კაბები. გიკრძალავ ამას ერთხელ და სამუდამოდ." კ.-მ კვლავ დაუკრა თავი და კარისაკენ გაემართა. ,,ეს რაღას ნიშნავს?" მიაძახა უკან დიასახლისმა. ,,არასდროს მინახავს, სასტუმროს დიასახლისი სამუშაოზე ასეთი კაბით რომ ყოფილიყო? რა უაზრო სიტყვებია! ეს ხომ სრული უაზრობაა! რა გინდა, თქვა ამით?" კ. მობრუნდა და სთხოვა დიასახლისს, ნუ ღელავთო. რა თქმა უნდა, შენიშვნა უაზროა, მას ხომ არაფერი ესმის კაბებისა. მის დღეში მყოფი კაცისათვის ყოველგვარი დაუკერებელი და სუფთა კაბა ძვირფასად გამოიყურება. იგი მხოლოდ გაოცდა, როდესაც დიასახლისი დაინახა ღამით იქ, დერეფანში, მთელ ამ ნახევრად ჩაცმულ მამაკაცებს შორის, ასეთი ლამაზი საღამოს კაბით, ესაა და ეს. ,,მგონი", თქვა დიასახლისმა, ,,შენ ბოლოს და ბოლოს გაგახსენდა შენი გუშინდელი შენიშვნა, თან მას ახალი სისულელე დაუმატე, სწორია, რომ კაბებისა არაფერი გაგეგება, მაშინ, გეთაყვა, ნურც ნურაფერს ამბობ თავი შეიკავე, – და მე სერიოზულად გთხოვ ამას, ნუ განსჯი, ძვირფასია ეს კაბა თუ არა, შეუფერებელია იგი თუ საღამოსია, – ერთი სიტყვით, ასეთ რამეებზე, სხვა მისთანებზე, და საერთოდ..." აქ ისე გააქნია თავი, თითქოს ტანში გასცრაო, ,,ნუღარ დაინტერესდები ჩემი კაბებით, გესმის?" და როდესაც კ.-მ დააპირა, მდუმარედ გაბრუნებულიყო გასასვლელისაკენ, დიასახლისმა ჰკითხა: ,,საერთოდ გაგეგება კია რაიმე კაბებისა?" კ.-მ მხრები აიჩეჩა: ,,არა, კაბებისა არაფერი გამეგება." ,,აჰ, არ გაგეგება?" თქვა დიასახლისმა, ,,მაშინ ნუ იღებ შენს თავზე კადნიერებას, განსაჯო ამის შესახებ. წავიდეთ ჩემთან კანტორაში, იქ რაღაცას გიჩვენებ, მაშინ, იმედი მაქვს, შენ სამუდამოდ დაივიწყებ უტიფარ ქცევას." იგი პირველი გავიდა კარიდან. პეპიმ დრო იხელთა და მაშინვე აღმოჩნდა კ.-ს გვერდით, იმ საბაბით, რომ ფული გამოერთმია და მათ ჩქარ-ჩქარა მოილაპარაკეს; ეს არ იყო ძნელი: კ.-მ უკვე იცოდა ეზო, საიდანაც ჭიშკარი გასახვევში გადიოდა, ხოლო ჭიშკრის გვერდით პატარა კარი იყო და დაახლოებით ერთი საათის შემდეგ პეპი იმ კარს მიღმა დაელოდება და სამგზის კაკუნზე გაუღებს კ.-ს.

კანტორა ბუფეტის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა, საჭირო იყო მხოლოდ გადაგეკვეთა წინკარი, დიასახლისი უკვე განათებულ კანტორაში იდგა და მოუთმენლად ელოდა კ.-ს. მაგრამ აქ მათ ხელი შეუშალეს. გერშტეკერი თურმე, მოსაცდელში იყო ჩასაფრებული და სურდა, კ.-ს დალაპარაკებოდა. ამ კაცის თავიდან მოშორება არც ისე იოლი საქმე იყო, მაგრამ აქ მოულოდნელად დიასახლისი მოვიდა

მხსნელად – აუკრძალა გერშტეკერს კ.-ს შეწუხება. ,,კი მაგრამ, სად მიდიხარ? სად?“ უკვე ჩაკეტილ კარს მიღმა ყვიროდა გერშტეკერი განწირული ხმით, რომელიც უწყდებოდა ხველებისა და კვნესის გამო, საზიზღრად რომ ერეოდა ერთმანეთს.

პატარა კანტორაში გაღუღუნებული ღუმელის გამო მაგრა ცხელოდა. ვიწრო კედელთან იდგა ბიურო და რკინის კარადა, გრძელ კედლებს მიუყვებოდა გარდერობი და მუთაქებიანი ტახტი, გარდერობს ყველაზე მეტი ადგილი ეკავა, მაგრამ იგი არა მარტო ავსებდა კედელს მთელ სიგრძეზე, არამედ ავიწროებდა ოთახსაც - თავისი წინ წამოწეული სიგანით; და იმისათვის, რომ მთლიანად გაგეღო იგი, საჭირო იყო კარის სამივე საგდული გადაგეწია. დიასახლისმა კ.-ს ტახტზე მიანიშნა, თვითონ კი ბიუროს მაგიდასთან ბზრიალა ტაბურეტზე დაჯდა. ,,შენ არასდროს შეგისწავლია თერძობა?“ ჰკითხა დიასახლისმა. ,,არა, არასდროს“, უპასუხა კ.-მ. ,,მაინც, ვინა ხარ შენ, კაცმა რომ თქვას?“ ,,მიწისმზომელი.“ ,,და რას ნიშნავს ეს?“ კ.-მ ახსნას შეუდგა, მაგრამ ამ ახსნამ მთქნარება დააწყებინა ქალს: ,,შენ სიმართლეს არ მეუბნები. რატომ არ მეუბნები სიმართლეს?“ ,,მაგრამ შენც ხომ არ ამბობ სიმართლეს.“ ,,მე? ისევ კადნიერად იქცევი? რომც არ ვამბობდე სიმართლეს, ახლა თავი უნდა ვიმართლო შენთან? მაინც, რა არ გითხარი მართალი?“ ,,შენ არა ხარ უბრალო დიასახლისი, როგორადაც ყველას აჩვენებ თავს.“ ,,რა ბრძანებაა? სულ ცოტა ხანში ამდენი აღმოჩენა მეტისმეტი ხომ არ არის? აბა, ვინა ვარ? შენი უტიფრობა მართლაც ყველა საზღვარს სცილდება.“ ,,არ ვიცი, ვინა ხარ. მე ვხედავ, რომ დიასახლისი ხარ, მაგრამ ამასთანავე შენ ატარებ კაბებს, რომლებიც უბრალო დიასახლისს არ უხდება და ასეთებს, რამდენადაც მე მესმის, აქ, სოფელში, არავინ არ ატარებს.“ ,,ახლა ჩვენ ზედ საქმის არსს მივადექით. უბრალოდ, შენ არ შეგიძლია ჩუმად იყო, შესაძლოა, არც გინდა იუხეშო, მაგრამ შენ უბრალოდ იმ ბავშვს ჰგავხარ, რომელმაც რაღაც სისულელე გაიგონა და ერთი სული აქვს, როდის იტყვის. მაინც, რა ნახე განსაკუთრებული ჩემს კაბებში?“ ,,თუ გეტყვი, გაბრაზდები.“ ,,არ გავბრაზდები, მე გავიცინებ, ეს ხომ ბავშვური ტიტინია. აბა, როგორი კაბები მაქვს?“ ,,კარგი, რახან შენ გინდა, იცოდე. დიახ, ისინი კარგი ქსოვილისგან არის შეკერილი, ძალზე ძვირფასია, მაგრამ ძველმოდურია, გადაპრანჭული, მეტისმეტად ახირებული, ნახმარი, და საერთოდ არ გიხდება არც ასაკის გამო, არც ტანზე, არც თანამდებობაზე. ეს თვალში მეცა, როგორც კი პირველად დაგინახე ამ ერთი კვირის წინ აქ, წინკარში.“ ,,აი, თურმე რა ყოფილა! მაშასადამე, ისინი ძველმოდურია, ახირებული და კიდევ რა? შენ საიდან იცი ყოველივე ეს?“ ,,უბრალოდ, ვხედავ, ამას სწავლა არც სჭირდება.“ ,,მაშასადამე, ერთბაშად ხედავ? რა გჭირს სხვისი საკითხავი, ისედაც საუცხოოდ გესმის, რას მოითხოვს მოდა. ჩემთვის შეუცვლელი იქნებოდი, ლამაზი კაბები ხომ ჩემი სისუსტეა, შეხედე, გარდერობი კაბებით მაქვს სავსე – ამაზე რას იტყვი?“ ქალმა გასწია საგდულებიანი კარი, კარადის მთელ სიგანეზე მიჯრით ეკიდა კაბები, მეტწილად ეს იყო მუქი ტანსაცმელი – რუხი, ყავისფერი, შავი, საგულდაგულოდ გაუთოვებული და ჩამოკიდებული. – აი, ჩემი კაბები, შენი აზრით, ისინი ყველანი ძველმოდური და გაპრანჭულია, მაგრამ აქ მხოლოდ ის კაბებია, რომლებიც ვერ დაეტია ჩემ ოთახში, ზევით, იქ კიდევ ორი სავსე კარადა მაქვს, დიახ, ორი კარადა, თითოეული სიდიდით თითქმის ამხელაა, რაო, გიკვირს?“ ,,არა, მე დაახლოებით ასეც ვფიქრობდი, იმიტომაც ვთქვი, რომ შენ მხოლოდ დიასახლისი როდი ხარ, შენ რაღაც სხვას ისახავს მიზნად.“ ,,მე მხოლოდ იმას ვისახავ მიზნად, რომ ლამაზად ჩავიცვა და დავიხურო. შენ კი, როგორც გეტყობა, ან სულელი ხარ, ან ბალღი ან ძალიან ბოროტი და საშიში კაცი. წადი, წადი აქედან მალე!“ კ. უკვე

წინკარში იყო გამოსული, და ის იყო, გასასვლელთან ჩასაფრებულმა გერშტეკერმა ხელი სტაცა სახელოში, რომ უკანიდან მოესმა დიასახლისის მბრძანებლური ხმა: „ხვალ აქ ახალ კაბას მომიტანენ, და მაშინ ჩემთან მოგიხმობ!“

გერშტეკერმა, გაბრაზებული რომ იქნევდა ხელს, თითქოს ცდილობს დიასახლისი გააჩუმოსო, რომელმაც გვარიანად გაუწყალა გული, კ.-ს შესთავაზა, გაჰყოლოდა, მაგრამ არკი ეუბნებოდა, რატომ უნდა გაჰყოლოდა, და, თავდაპირველად არავითარი ყურადღება არ მიუქცევია, კ.-მ რომ უთხრა, ახლა სკოლაში უნდა დავბრუნდეო. მხოლოდ მაშინ, როდესაც კ.-მ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არ წამოვალო, – დაამშვიდა, ნუ სწუხხარ, ყველაფერი, რაც დაგჭირდება, შეგიძლია, ჩემთან ნახო, სკოლის ფარეშის ადგილი დატოვეო. დროა, ბოლოს და ბოლოს, წავიდეთო. გერშტეკერი მთელი დღე ელოდებოდა, დედამისმაც არ იცის, რა ექნა. კ. თანდათან მოლბა და ჰკითხა, რისთვის მპირდებიო ჭამა-სმას და ბინას. გერშტეკერმა სხვათა შორის უთხრა, რომ კ. სჭირდება, როგორც თანაშემწე საჯინიბოში, მას სხვა საქმეები აქვს და სთხოვს კ.-ს, ნუ ჯიუტობს და ნუ უქმნის ზედმეტ სიძნელეებს, სურს, მიიღოს გასამრჯელო, - მიიღებს. მაგრამ აქ კ. საბოლოოდ გაკერპდა. ტყუილად ექაჩებოდა გერშტეკერი. მას ხომ არაფერი ესმის ცხენებისა. ეს არც არის საჭირო, მოუთმენლად უთხრა გერშტეკერმა და გულმოსულმა შეკრა მუშტი, თითქოს ევედრებოდა კ.-ს, გაჰყოლოდა. „მე ვიცი, რატომაც გინდა, წამიყვანო თან“, თქვა კ.-მ, მაგრამ გერშტეკერს სულ არ ანაღვლებდა, რა იცოდა კ.-მ, და რა – არა. „შენ, ეტყობა, გადაწყვიტე, რომ მე შემიძლია ერლანგერთან ჩაგიწყო საქმე“. „რა თქმა უნდა, აბა, ისე რა უნდა მაკავშირებდეს შენთან?“ თქვა გერშტეკერმა. კ.-მ გაიცინა, ხელი გაუყარა გერშტეკერს და წააყვანინა თავი სიბნელეში.

გერშტეკერის ქოხს გაჭირვებით ანათებდა ღუმელის ცეცხლი და ერთი დალეული სანთელი, ამ მბჟუტავ შუქზე კი ცერად გამოშვერილი ჭერის კოჭების ქვეშ წელში მოკაკული ქალი წიგნს კითხულობდა. ეს გერშტეკერის დედა იყო. მან ცახცახა ხელი გაუწოდა კ.-ს და გვერდით დაისვა; დედაბერი გაჭირვებით ლაპარაკობდა და მისი გაგება ძნელი იყო, მაგრამ ის, რასაც ამბობდა...


By Dalier Group